როგორც ბატლერი განმარტავს, გენდერის პერფორმაცია თეატრალურ წარმოდგენას ჰგავს, რომლის ფარგლებშიც გენდერი რეპრეზენტაციული მოქმედებაა; მსახიობმა იცის, თუ როგორ უნდა წარმოაჩინოს გენდერული ნიშნები იმისთვის, რომ სოციალურ სივრცეებში თვითაქტუალიზაცია შეძლოს (Butler, 1988, pg. 526). შესაბამისად, ვირჯინია ვულფის პერსონაჟის ქცევის ამგვარი ცვლილება ეხმიანება ბატლერისეულ თეორიას და ორლანდო თეატრალური წარმოდგენის მონაწილედ წარმოჩინდება. იგი ირგებს ქალისთვის დამახასიათებელ ქცევებს, რომლებიც მისტიკური ძილის პერიოდში გადასცეს სინდისის, უბინობისა და კრძალულების ქალღმერთებმა და სწორედ მათ მოთხოვნებს ემორჩილება (ვულფი, 2018, გვ. 117-118).

ალ-ბალქას უნივერსიტეტის პროფესორი, აჰმედ ბანისალამა, თავის სტატიაში *“Fashioning Orlando: Fantastic Irony and Gender Performativity in Virginia Woolf’s Orlando”* ახალგაზრდა ორლანდოს ჩაცმულობასა და პერფორმაციულობაზე მსჯელობს. მისი აზრით, გაცნობიერებული მანიპულაცია ჩაცმულობით პიროვნებას საკუთარი იდენტობის მანიპულაციის საშუალებას აძლევს. ინდივიდი კონკრეტული ბიჰევიორისტული პროტოკოლის შესაბამისად იქცევა, რათა მნახველებს საკუთარ სოციალურ სტატუსზე მის მიერვე წინასწარჩაფიქრებული წარმოდგენა შეუქმნას (Banisalamah, 2017, pg. 304). იგი საკუთარი პოზიციის გასამყარებლად იმონებს ბრიტანელი მეცნიერისა და ფილოსოფოსის, დენის რაილის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ინდივიდი სოციალურ სცენაზე მოსახვედრად იდენტობასთან შესაბამისი კატეგორიების მიხედვით ახდენს თვითიდენტიფიცირებას და საკუთარ თავს ასეთად-და-ისეთად (such-and-such) აპროექტებს (Riley, 2000, pg. 13). ნაწარმოების განმავლობაში ორლანდოს თვითდამკვიდრებისთვის გენდერული როლის მორგება და პერფორმაცია არაერთხელ უწევს. მაშინაც კი, როდესაც იგი ღრმა ძილიდან გამორკვეული აღმოაჩენს, რომ ქალად გადაიქცა, საზოგადოებაში ქალური როლის თამაშს იწყებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი გარეგნული მახასიათებლები არ შეცვლილა. ვირჯინია ვულფი რომ განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტანსაცმლის როლზე, როგორც გენდერის პერფორმაციულობის იარაღზე, ნათლად ჩანს იმ ეპიზოდშიც, როდესაც შვიდდღიანი ძილიდან გამორკვეული ორლანდო დედიშობილა დგას საძინებელ ოთახში:

„ბუკის ხმები მიდგა და ორლანდო დედიშობილა იდგა. სამყაროს შექმნის დღიდან არ შობილა ამაზე მშვენიერი ადამიანი. მისი გარეგნობა ერთ არსებაში აერთიანებდა მამაკაცის სიძლიერესა და ქალის სინატიფეს. [...] ორლანდო ქალად იქცა – ამის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ ყოველი სხვა თვალსაზრისით, ორლანდო ზუსტად ისეთივე დარჩა, როგორც მანამდე იყო. სქესის ცვლილება, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მომავალს ცვლის, სხვა მხრივ არ ცვლის ადამიანის ვინაობას“ (ვულფი, 2018, გვ. 120).

ქალად გადაქცევის შემდეგაც კი მისი ქმედება, ჩაცმულობა პირველ ეტაპზე ნეიტრალურია. ქალურობის შესანიღბავად თურქულ მოსასხამსა და ფართხუნა შარვალს იცვამს, რომლის ტარება ორივე სქესსს შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ მისი სხეული არ ამჟღავნებდა გენდერის უცაბედ ცვლილებას, იგი „იძულებული გახდა, საკუთრ მდგომარეობაზე დაფიქრებულიყო“ (ვულფი, 2018, გვ. 121); ქალი ორლანდო გადანყვეტილებას იღებს, დატოვოს კონსტანტინოპოლი, უარი თქვას დიპლომატიურ საქმიანობაზე და ნაცვლად ამისა, ბოშათა ბანაკში დაიწყოს ცხოვრება, სადაც სახედარზე ამხედრებული მიჰყავს ბოშა ბერიკაცს, რასტამ ელ სადს.

საგულისხმოა ორლანდოს ბოშათა ბანაკში გადასახლება; ვირჯინია ვულფი ბოშათა თავისუფალ ცხოვრებას უპირისპირებს ინგლისის კონსერვატიულ, ნორმატიულ კულტურას. ბოშათა ბანაკში გამქრალია ზღვარი ქალურობასა და მამაკაცურობას შორის – „ბოშათა ქალები ბევრად არაფრით განირჩევიან ბოშა მამაკაცებისაგან“ (ვულფი, 2018, გვ. 135). ბოშებმა ორლანდო ქალად მიიღეს, თანახმანი იყვნენ, ბოშა მამაკაცს გაჰყოლოდა ცოლად, თუმცა საქმიანობა, რომელსაც ორლანდო ბანაკში ეწეოდა (კალათების დანვნა, ქურდობისა და ჩიტებზე ნადირობის ოსტატობა და სხვა) (ვულფი 2018, გვ. 123), არაფრით განირჩეოდა მამაკაცთა საქმიანობისაგან. ჩაცმულობა მეორეხარისხოვანი გახდა ორლანდოსთვის და მხოლოდ მაშინ გააცნობიერა ამ უკანასკნელის მნიშვნელობა, როდესაც ინგლისში დასაბრუნებლად ხომალდ „შეყვარებულ ბანოვანზე“ ნამდვილი „მაღალი საზოგადოების ახალგაზრდა ინგლისელი ქალივით გამოწყობილი ავიდა“ (ვულფი, 2018, გვ. 135). აჰმედ ბანისალმა ჩაცმულობის ამგვარ გაცნობიერებულ ცვლილებას, გენდერული ნიშნით თავისუფალი სამოსიდან მკვეთრად ფემინურ სამოსზე, განმარტავს, როგორც ორლანდოს მიერ იმ ფაქტის გაცნობიერებას, რომ იგი გენდერთა შუაშია მოქცეული და მხოლოდ სტილის ცვლილებით შეუძლია აკონტროლოს, რომელი გენდერის წარმომადგენლად იქცევა (Baisalamah, 2017, pg. 310). სწორედ გემბანიდან იწყება ორლანდოს ქალური სანყისების პერფორმაციულობა, თურქულ შარვალს შეჩვეულს, როდესაც ფეხებში კაბის ნაოჭები გაებლანდა, გააცნობიერა, „რაოდენ დიდ საფრთხეს და პატივს უქადდა მისი ეს ახალი მდგომარეობა“ (ვულფი, 2018, გვ. :135). მისთვის ცხადი ხდება ყველა ის დისკურსულად განპირობებული ქმედებები და ჟესტები, რომელთა დაცვაც მოუწევს ქალად ყოფნის განმავლობაში და უპირობო მორჩილებას აღუთქვამს სუვერენულ კულტურას: „თუ ქვედანელს ვატარებ, თუ ვერ ვიცურავებ, თუ მეზღვაურმა უნდა გადამარჩინოს -ღმერთო ჩემო! – მაშინ გამოდის, აუცილებლად უნდა დავუფლო ამ ყოველივეს“ (ვულფი, 2018, გვ. 138).

თუ მამაკაცი ორლანდო თხუთმეტ წუთსაც არ ხარჯავდა საკუთარი თავის მოწესრიგებაზე დედოფლის კარზე წარსადგენად, ქალი ორლანდოსთვის: „მარტო თმის დაყენება რად ღირს! ყოველ დილას ერთი საათი ხომ მარტო ამას დასჭირდება, სარკეში პრანჭვას კიდევ ერთი საათი, მერე კიდევ ლოდინი, სანამ გამოგნასკვავენ და დაგბანდავენ“ (ვულფი 2018, 138) და ა.შ. ორლანდოს წარმოდგენა ქალურობაზე არაა განპირობებული მისი ფსიქიკური მდგომარეობით ან ბიოლოგიური სქესით, ის განპირობებულია მისი თანამედროვე კულტურის მიერ ნაკარნახევი ნორმატივებით, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ფემინურობის არათუ ექსპრესია, არამედ სხეულის პერფორმაციულობას ეხება საქმე, რაც ბატლერისთვის ქმედებების მუდმივი გამეორებების შედეგია, ტანის სამოსი კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია სქესის რეპრეზენტაციისთვის.

ბერგენის უნივერსიტეტის პროფესორი, რანდი კოპენი, თავის წიგნში „Virginia Woolf, Fashion and Literary Modernity“ საუბრობს ადამიანებისა და ტანსაცმლის ურთიერთდამოკიდებულებასა და ამ უკანასკნელის როლზე იდენტობის ფორმირების პროცესში. მისი აზრით, საზოგადოება ტანსაცმელს სხვადასხვა როლს ანიჭებს; ზოგ შემთხვევაში იგი ანატომიის ან გენდერის რეპრეზენტაციის საშუალებაა, ზოგჯერ კი ინდივიდის შევინროვებას ან განთავისუფლებას ემსახურება (Coppin, 2009, pg. 47).

ტანსაცმლის უნარი – დისკურსული ჩარჩოებიდან ინდივიდის გათავისუფლებისა, ნათლადაა გადმოცემული ორლანდოს მამაკაცად ყოფნის პერიოდის აღწერისას. ვირჯინია ვულფმა რუსული წარმომავლობის პერსონაჟის, საშას ლიტერატურულ სახეში კიდევ ერთხელ წარმოადგინა გენდერის

კონსტრუქციული ფორმა და ტანსაცმელი, როგორც ამ კონსტრუქციის საშენი მასალა; მოსკოვის საელჩოს პავლიონიდან გამოსული საშას დანახვისას მამაკაც ორლანდოში უცხო სადმი უსაზღვრო ინტერესი იღვიძებს, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ჩაცმულობით საშას სქესის განსაზღვრა:

„რუსულ მოდაზე აჭრილი ფაშფაშა შარვალი ეცვა და სქესს უნიღბავდა და გაუგებარი იყო, ვაჟი იყო თუ ქალი. [...] ეს არსება, სულ ერთია, რა ერქვა, ან რომელი სქესისა იყო, საშუალო სიმაღლის, მეტად მოხდენილი აღნაგობის მთლიანად ხამანკისებრ მოთეთრო-მონაცრისფრო, უცხო, მომწვანო ბენვით განწყობილ ხავერდის სამოსში იყო გამონწყობილი“ (ვულფი, 2018, გვ. :31).

თუ ორლანდოსთვის შესამოსელი მისი არისტოკრატიული წარმომავლობის წარმოჩენის საშუალებაა, საშასთან ეს უკანასკნელი თვისება ეკარგება ტანსაცმელს, საშა არღვევს ორლანდოს დისკურსულ ნორმებს, რომლის ფარგლებშიც ქალები საშასგან რადიკალურად განსხვავებულ სახეს ატარებენ. იგი არ ჰგავდა არც ორლანდოს საცოლეს, ლედი მარგარეტს, რომელსაც შეეძლო, ოც წუთს მდგარიყო, რომ მისთვის ორლანდოს ხელი გაეწოდებინა და მარხილზე დაბრძანებაში დახმარებოდა (ვულფი, 2018, გვ. 35). საშას სქესი შეუცნობელი რჩება მანამ, სანამ მეფის რევერანსით არ მიესალმება, რაც ცალსახად მის ფემინურობაზე მიუთითებდა. სქესისა და გენდერული იდენტობის ფარული გათამაშებით ვირჯინია ვულფი გადმოსცემს, თუ როგორ იქცევა გენდერი პერფორმაციულ აქტად კულტურის პროტოკოლის დაცვით. საშას ასეთი დაჟინება, გვერდი აუაროს დისკურსულ ნორმატივებს, მის დაუმორჩილებელ ბუნებაზე მიუთითებს და წარმოიქმნება ტრადიციებთან მებრძოლი ქალის სახე, რომელიც პროტესტს განსაზღვრული ნორმების მიმართ ექსცენტრიკული ჩაცმის სტილითა და ქცევებით გამოხატავს.

ტანსაცმლის საშუალებით გენდერის პერფორმაციული ბუნება და მისი პაროდირება იკვეთება ჰერცოგი/ბარონესა ჰარი/ჰარიეტის პერსონაჟში. ჰარიეტი ორლანდოს ცხოვრებაში მას შემდეგ გამოჩნდა, რაც საშამ მიატოვა და უკან, მოსკოვში დაბრუნდა. რუმინეთის სამეფოდან ორლანდოსთან მოსულმა ჰარიეტმა ვაჟს თავი ქვრივად წარუდგინა. მწერალი პერსონაჟის ქცევებს „ნებისმიერ ქალთან“ მიმართებით აფასებს და აღნიშნავს, რომ ორლანდოს ნახვის სურვილით შეპყრობილი რუმინელი ქვრივი არ ფრთხვება, ლორდის მიწაზე მოსეირნეს როდესაც გამოიჭერენ ისე, როგორც ნებისმიერი ქალი დაფრთხვებოდა, არ ჰგავდა იმ „ნებისმიერ ქალთა“ კატეგორიას, რომლებიც ასეთ გარეგნობას, მის ადგილას რომ ყოფილიყვნენ, თავსაბურავით დაიფარავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გრიზელდას ქცევა არაა ფემინური, მისი ჩაცმულობა – წითელი თავსაბურავი და მოსასხამი – ორლანდოსთვის საკმარისი საბუთია, მის ქალურობაში ეჭვი რომ არ შეეპაროს (ვულფი, 2018, გვ. 98-99). თუმცა, მას შემდეგ, რაც ორლანდო ქალად იქცა და აღიარა კულტურაში გაბატონებული ნორმები, გაითავისა რა თავისი სქესისთვის – ქალისთვის – კულტურულად მიკუთვნებული პერფორმაციის ნიშნები, ჰარიეტი კვლავ გამოჩნდა მის ცხოვრებაში, თუმცა ამჟამად მამაკაცის სახით; ერლჰერცოგის მეუღლე ამჯერად ერლჰერცოგ ჰარიდ ქცეულიყო:

„ორლანდო შემოტრიალდა, რომ ერლჰერცოგის ქვრივისთვის ვერცხლის ლანგრიტ ღვინო მიერთმია, მაგრამ, ჰოი, საოცრებაჰ! – მის ადგილზე შავებში გამონწყობილი მაღალი ჯენლტმენი დახვდა. მისი ტანსაცმელი გროვად ეყარა ბუხრის ცხაურაზე. ორლანდო ოთახში მარტო აღმოჩნდა კაცთან ერთად“ (ვულფი, 2018, გვ. 156).

ერლჰერცოგი ჰარი ამგვარ გარდასახვას მამაკაცი ორლანდოს მიმართ უიმედო სიყვარულს აბრალებს და ქალის ტანსაცმლის ჩაცმის მიზეზად მასთან სიახლოვესა და ყურადღების მიპყრობას ასახელებს. ხოლო მას შემდეგ, რაც ორლანდოს ქალად გადაქცევის ამბავი გაუგია, სამოსით შენიღბვის საჭიროებაც გამქრალა და როგორც მამაკაცი, ისე წარსდგა.

ვირჯინია ვულფის პერსონაჟებისთვის გამქრალია ზღვარი მამაკაცურ და ქალურ იდენტობას შორის; ტანსაცმელი მათთვის ის ცვლადია, რომელიც აყალიბებს გენდერულ იდენტობას და საზოგადოება სამოსს ისეთივე გენდერული ნიშნებით განარჩევს, როგორც მასკულინურობასა და ფემინურობას. „ორლანდოს“ პერსონაჟები თეატრალური და კომიკური გარდასახვით იმ მსახიობებს ემსგავსებიან, რომლებიც ჯუდიტ ბატლერისთვის ქცევების მუდმივი განმეორებითა და სხეულის

პერფორმაციით გენდერსა და ბიოლოგიურ სქესს შორის იმ ურთიერთმიმართების რეპრეზენტაციას ახდენენ, რომელსაც დომინანტური კულტურა განუსაზღვრავს ინდივიდს.

გენდერული ნიშნების ფორმირებისა და სხეულის პერფორმაციის განსხვავებულ მაგალითებს ვხვდებით ნანა აბულაძის რომანში „აკუმი“. თუ ორლანდოს შემთხვევაში ბიოლოგიური სქესის მოულოდნელ ცვლილებაზე იყო დამოკიდებული მისი ქცევების, მანერებისა და ჩაცმულობის გააზრებული და მიზანმიმართული ცვლილება, აკუმის შემთხვევაში საქმე ეხება ანდროგენულ ინდივიდს; იგი იმ გენდერულ ნორმატივებს ემორჩილება, რომლებსაც ჰეტეროსექსუალური ოჯახი განუსაზღვრავს. აკუმის შემთხვევაში დომინანტი კულტურა, რომელიც საზოგადოებრივ სააზროვნო სისტემაში ბიოლოგიურ სქესსა და გენდერს შორის ურთიერთდამოკიდებულების უწყვეტ ჯაჭვს აყალიბებს, ანომალიის წინაშე დგას და ჩნდება კითხვები: „სახელად რა უნდა დაარქვან? როგორ უნდა გაზარდონ? ტანსაცმელი ბიჭის უნდა ეცვას თუ გოგოსი?“ (აბულაძე, 2020, გვ. 21). ამ შემთხვევაში ფემინურობისა ან მასკულინურობისადმი მიკუთვნება ხდება არა ბიოლოგიური სქესის მიხედვით, არამედ პირიქით – ხელოვნურად ჩამოყალიბებული გენდერული ნიშნებისა და სხეულებრივი პერფორმაციის საშუალებით წარმოიქმნება ხელოვნურად კონსტრუირებული ბიოლოგიური სქესი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ფროიდის მიხედვით, მამაკაცური და ქალური სანყისების ჩამოყალიბება ფალოსის ქონასთან და მის ნაკლოვანებასთანაა დაკავშირებული. იქიდან გამომდინარე, რომ აკუმი უსქესო ბავშვია – „არც ეს, არც ის“ (აბულაძე, 2020, გვ. 189), „არც მამალი, არც დედალი“ (აბულაძე, 2020, გვ. 360) და ფალოსნაკლოვანია, პატრიარქალური კულტურის წარმომადგენლები მისთვის ფემინური/ქალური იდენტობის ფორმირებას ახლად დაბადებული ჩვილისთვის სახელისა და სამოსის შერჩევი – ნათლობით – ამყარებენ (აბულაძე, 2020, გვ. 251). სწორედ აქედან იწყება აკუმის სხეულის მატერიალ ქცევა და გენდერის პერფორმაცია. „მისი (აკუმის) მშობლები საგულდაგულოდ მალავდნენ სიმართლეს, ყველა პირობას უქმნიდნენ იმისთვის, რომ ნამდვილად გოგოდ აღზრდილიყო. ამიტომაც იყო მისი კარადა სავსე კაბებითა და ფეხსაცმელებით, რომლებსაც არასდროს იცვამდა“ (აბულაძე, 2020, გვ. 192). ცალსახაა, რომ მშობლები, ეკა და აკაკი, აკუმის სხეულის მატერიალიზებას კულტურული ნორმების შესაბამისად ცდილობენ. აცმევენ ტანსაცმელს, რომელიც გოგონას შეეფერება და მისგან ქალისათვის შესაფერის ქცევას მოელიან. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ცნობიერი ჩამოყალიბებული არაა, აკუმი აპროტესტებს გარშემომყოფების დამოკიდებულებას მისი „სქესისადმი“ და ინტუიტიურად უარყოფს „ქალად“ ყოფნას და ქალურობის პერფორმაციას:

„ვერ ვიტანდი ბავშვობაში, ვარდისფერი რომ უნდა მცმოდა. მახსოვს, პირველად რომ ჩამაცვეს რაღაცა კომბინიზონი, ვარდისფერი იყო. მე ძალიან პატარა ვიყავი, ერთი ამბავი დავიმართე. ბოლოს დედა მიხვდა და გამხადა. მამა ვერ მიხვდა“ (აბულაძე, 2020, გვ. 207).

თუ ვირჯინია ვულფის პერსონაჟებისთვის თავის დამკვიდრებისა ან სექსუალური მიზნების მიღწევის მთავარი იარაღი სოციო-კულტურულ დისკურსში სამოსია, აკუმისათვის ეს უკანასკნელი ინდივიდუალიზმის შევიწროვებისა და ჩახშობის მექანიზმს წარმოადგენს.

ჯუდიტ ბატლერი წიგნში „გენდერზეშფოთვა“ განმარტავს, რომ სხეულის საზღვრების უარყოფით იწყება სუბიექტის ჩამოყალიბება და მსჯელობას იულია კრისტეევას შეხედულების „ის, რაც მე არ ვარ“ კონსტრუქციის ჩამოყალიბებაზე დაყრდნობით აგებს. კრისტეევას მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი ისწრაფვის მშობლებისგან გამოყოფას, უარს ამბობს მათ მოსმენაზე, იგი საკუთარ იდენტობას მაინც მშობლების სურვილებზე დაქვემდებარებით განსაზღვრავს, რადგან მათგან ის „საკვები“ მიეწოდება, რომელიც „მეს“ იცავს პატრიარქალური სიმბოლური წესრიგისგან, „საკვებში“ კი კულტურული ნორმატივები მოიაზრება. შესაბამისად, ინდივიდი ჰეგემონური კულტურისგან თავის დასაცავად იდენტობის სუპრესიასა და სურვილების დათრგუნვას იწყებს (Butler, 2006, pg. 181). ასე მატერიალიზდება აკუმისა და ორლანდოს სხეულები და სურვილები, მათ უწევთ, მონაწილეობა მიიღონ კულტურის მიერ დადგმულ პერფორმანსში, რათა სოციუმის ნაწილად იქცნენ და არა კულტურულ ანომალიად.

მიუხედავად იმისა, რომ აკუმი კულტურის სიმბოლური წესრიგიდან გამოთიშულია თავისი ანატომიური აგებულების გამო, დროთა განმავლობაში მისი ცნობიერი დომინანტი კულტურის

გავლენის ქვეშ ექცევა. სხეული და სექსუალური ლტოლვები მასში ნორმატიულ აზროვნებას აყალიბებს და აჩენს კითხვებს, გოგო რომ ყოფილიყო, როგორი იქნებოდა მისი სხეული: „გოგო არ ვარ! ეგრე მზრდიან უბრალოდ! გოგო რომ ვიყო, მკერდიც მექნებოდა და ისიც...“ (აბულაძე, 2020, გვ. 226).

ჯუდიტ ბატლერის მიხედვით, სუბიექტის „შინაგან“ და „გარეგან“ სამყაროებს შორის განსხვავებას წარმოქმნის საზღვარი, რომელიც ინდივიდის რეპრეზენტაციას აკონტროლებს და არეგულირებს სიმბოლურ წესრიგში (Butler, 2006, pg. 182). აკუმის შემთხვევაში ირღვევა ეს უკანასკნელი და სისტემა არა მხოლოდ კულტურულ, არამედ სამეცნიერო დონეზე ცდილობს ამ პრობლემის აღმოფხვრას; აკუმი დაბადებიდან სამედიცინო ექსპერიმენტის ობიექტი ხდება, ოტო ზინგერი და ანა კვაშალი „შინაგანი“ სამყაროს მოსაწყობად და „გარეგანთან“ კორელაციაში მოსაყვანად ანა მინდელს (აკუმს) ჰორმონალურ მკურნალობას უნიშნავენ; სუბიექტურობა უგულვებელყოფილია და მიზანი მხოლოდ დარღვეული წესრიგის აღდგენაა. მიშელ ფუკო სულს ინდივიდის შინაგან სამყაროდ მოიაზრებს და განმარტავს, რომ „სული, სხეულის ციხეა“ (Butler, 2006, pg. 207) აკუმის შემთხვევაში კი სული სხეულშია მომწყვდეული: „რატომ უნდათ, მაინცდამაინც გოგო ვიყო. მე არ მინდა. [...] გოგოობა ბიჭის სიყვარულს ნიშნავდა, ეს კი არ შეეძლო. მისი სხეული უჯანყდებოდა გენეტიკურ კოდს, სული უჯანყდებოდა სხეულს, სამივე ერთად კი – მეცნიერებას“ (აბულაძე, 2020, გვ. 287). ნანა აბულაძე მხოლოდ ბიოლოგიური სქესის არარსებობით არ გამოხატავს სხეულის პერფორმაციულობის აბსურდულობას, ნულის მნიშვნელამდე დაჰყავს სხეულის მატერიალიზება, რაც მისტიკურ მოვლენად წარმოჩინდება ტექსტში: „(აკუმი) წყალზე იდგა. იდგა ისე, თითქოს მყარ ზედაპირზე მდგარიყო. [...] მშობლებმა და კაცმა სასწორს დახედეს. აკუმმაც დახედა. წითელი ისარი გაუნძრევლად იდგა ნულთან“ (აბულაძე, 2020, გვ. 376-378). აკუმი დისკურსული წესრიგის დამრღვევი ხდება არა მხოლოდ იდენტობის არათანმიმდევრული ფორმირებით, არამედ ხსენებული ზებუნებრივი გამოვლინებებითაც. მსგავს სხეულებრივ ანომალიად შეიძლება ჩაითვალოს ორლანდოს სხეულის მიერ დროისა და სივრცის საზღვრების მოშლა. იგი სამი საუკუნის განმავლობაში, განსხვავებული კულტურული თუ სოციალური მოცემულობების შესაბამისად ირგებდა „ქალურობისთვის“ დამახასიათებელ როლს და ფემინურობას შესაფერისი ტანსაცმლისა თუ ჟესტების საშუალებით გამოხატავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ორლანდოს და აკუმს ერთმანეთისგან ათეული წლები აშორებს, ორივე პერსონაჟისთვის გენდერი პერფორმაციული აქტების კვლავგანმეორებადი მოქმედებების შედეგად წარმოიქმნება. ორივე ნაწარმოებში მკვეთრადაა გამოხატული ჰეგემონური კულტურის მიერ სხეულის მატერიალიზებისა და ინდივიდის ობიექტად ქცევის მაგალითები.

შემდეგ ქვეთავში განხილული იქნება, თუ რა როლს ასრულებს ქორწინება გენდერის პერფორმაციისას და რა განაპირობებს სექსუალური ლტოლვების სუპრესიას „ორლანდოსა“ და „აკუმის“ პერსონაჟებისთვის.

დასკვნა

ზემოთ განხილულ თეორიულ მიდგომებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ჰეგემონი კულტურა ინდივიდისგან ნორმატივებისადმი მორჩილებას მოითხოვს, რათა სიმბოლოთა სისტემის ნაწილად აქციოს იგი. პიროვნებას სხვადასხვა ქმედების მუდმივი გამეორება უწევს, რათა ადგილი დაიმკვიდროს სოციო-კულტურულ გარემოში, ყოველივე კი თეატრალურ დადგმას, პერფორმანსს ემსგავსება, რომელიც მოკლებულია ინდივიდუალიზმსა და ავთენტურობას. ამგვარი პერფორმანსის უშუალო მონაწილეები არიან ვირჯინია ვულფის რომანის „ორლანდო“ პერსონაჟები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტივიზმის დათრგუნვა განსაკუთრებით შესამჩნევია ქალთა კატეგორიასთან, რომლებიც ფალოცენტრულ კულტურაში ობიექტებად არიან მიჩნეულნი.

მამაკაცი ორლანდო სოციალურ წრეებში წარმატებულია, პატივსაცემი ჯენლტმენია დედოფლის კარზე, თუმცა იგი საკუთარი თავის რეპრეზენტირებას იმის შესაბამისად ახდენს, თუ

სად უნევს წარდგენა; მაღალ სოციალურ წრეში ყოფნისას მან არისტოკრატის როლი უნდა მოიგოს, ბუნებასთან მარტოდ დარჩენილი ორლანდო კი რომანტიკულ, სენსიტიურ მამაკაცს წარმოადგენს, რაც მასკულინური კულტურისთვის მამაკაცისთვის შეუსაბამო თვისებებად მიიჩნევა. ნათელია, სოციალური სტატუსის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია პერფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი პირადი ემოციებისა და განცდების დათრგუნვას მოითხოვს.

სხეულის პერფორმაციულობა განსაკუთრებით ძლიერდება ორლანდოს ქალად გადაქცევის შემდეგ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის კულტურაში გაბატონებულ ნორმატიულ წარმოდგენებს ქალთა კატეგორიისადმი. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფემინური საწყისების წარმატებულ რეპრეზენტაციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ტანსაცმელი, რომელიც კულტურული სისტემის ფარგლებში ბიოლოგიურ სქესთან ერთად გენდერის განმსაზღვრელ პოსტულატად არის წარმოდგენილი. ორლანდოსთვის ტანსაცმელი ის ცვლადი ელემენტია, რომელიც მისი სქესის/გენდერის შესაბამისად უნდა შეიცვალოს, რათა თავი დაიმკვიდროს საზოგადოებაში. ორლანდოზე კულტურის ზეგავლენა ირიბი ხასიათისაა, რადგან იგი გაცნობიერებულად ცვლის თავის ვიზუალს მამაკაცურობიდან ქალურობაში გადასასვლელად.

სქესისა და გენდერული იდენტობის კოჰერენტული დამოკიდებულების ჩამოყალიბების ნათელი მაგალითია აკუმი, რომლის შემთხვევაშიც კულტურა თავად ქმნის სასურველ კონსტრუქციას; სახელის, ტანსაცმლის შერჩევითა თუ სამეცნიერო ექსპერიმენტების საშუალებით. ორლანდოსა და აკუმს ამ ნორმატივებისადმი პროტესტი აერთიანებთ, თუმცა ისინი ვერ ახერხებენ ამ მოცემულობებიდან თავის დაღწევას, რის შედეგადაც შინაგანი სამყაროს, სურვილებისა და ემოციების დათრგუნვის აუცილებლობის წინაშე დგებიან.

ლიტერატურა:

პირველადი წყარო:

აბულაძე, ნ. (2020) აკუმი. თბილისი: „ინტელექტი“.

ვულფი, ვირჯინია. (2006). ორლანდო. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მეორეული წყაროები:

Banisalamah, A. (2017). *Fashioning Orlando: Fantastic Irony and Gender Performativity in Virginia Woolf's Orlando*. An Article in Arab Journal for Humanities. Vol.35. issue 140. Pp. 301-317. Jordan: Al-Balqa university press.

Butler, J. (2006). *Gender trouble*. New York: Routledge.

Butler, J. (1988). *Performative Acts and Gender Constitution: An Essay in Phenomenology and Feminist Theory*. Theatre Journal, Vol.40, No.4, pp (519-531). John Hopkins University Press.

Butler, J. (1993). *Body that matters*. New York: Routledge

Castle, Gregory. (2007). *The BLACKWELL Guide to Literary Theory*. Malden, US: Blackwell Publishing

Coppen, R.S. (2009). *Virginia Woolf, fashion and Literary Modernity*. Edinburg: Edinburg University Press.

კავკასიის ომის მემორიალიზაცია აფხაზეთის დე-ფაქტო სახელმწიფოში (1987-2021)

Memorialization of the Caucasian War in the De-facto State of Abkhazia (1987-2021)

ქეთევან ევაძე

Ketevan Epadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

წინამდებარე მოხსენების მიზანია, ახსნას როგორ ხდება კავკასიის ომის მემორიალიზაცია აფხაზეთის დე-ფაქტო სახელმწიფოში პერესტროიკის პერიოდიდან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით. კვლევაში მოკლედ მიმოვიხილავ კავკასიის ომთან დაკავშირებულ ისტორიულ ნიუანსებს, ხოლო შემდგომ პოსტ-კოლონიური თეორიის პრიზმაში ვაჩვენებ, როგორ იქმნება კავკასიის ომზე მეხსიერების ჰიბრიდული ნარატივი, რომელიც აფხაზურ იდენტობას, ერთი მხრივ, კოლონიურ წარსულში აბრუნებს, მეორე მხრივ კი, მისგან გაუცხოებისკენ უბიძგებს. ამ წინააღმდეგობაზე მოლაპარაკების პროცესში, დე-ფაქტო სახელმწიფოს ელიტას უწევს, გააკეთოს არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ, რითიც მისი კვაზი-დამოკიდებულება საგარეო პარტნიორზე იზრდება, ხოლოდ ანტიკოლონიალური დამოკიდებულება უჩინარ მეხსიერებაში გადადის.

კავკასიის ომთან დაკავშირებით რუს და აფხაზ პოლიტიკოსებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. თავადამოკლენასაკლიამკაფიოებამისტორიულნაშრომებში – ომისქრონოლოგიური საზღვრები, აქტორები და ეტაპები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. პირველი სახელდება ომის შესახებ რუსეთის იმპერიის პერიოდშივე ჩნდება. რუსეთის სამხედრო ისტორიკოსმა როსტისლავ ფადეევმა 1860 წელს გამოცემულ ნაშრომში „კავკასიის ომის 60 წელი“ ომის ქვეშ გააერთიანა ის მოვლენები, რომლებიც შამილის სახელს და მის მიერ შექმნილი წინააღმდეგობის მოძრაობას უკავშირდებოდა. ომის საწყისად ფადეევი 1801 წელს მოიაზრებდა, როდესაც ავტორის სიტყვით რუსეთმა მფარველობაში მიიღო – შამილის დამარცხებას.¹ ამავე წიგნში ხანდახან ნახსენებია ტერმინი კავკასიის ომები, რაც შინაარსობრივად იმავე წინააღმდეგობების ისტორიას აღწერს.

ომი დიდი ხნის მანძილზე რჩებოდა ჩრდილოკავკასიელი ხალხების გამაერთიანებელ ჯაჭვად რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო მისი დასრულების შემდეგ იმპერიის მთავარი საზრუნავი საერთო ტრაგედიის მეხსიერების დათრგუნვა და წინააღმდეგობის ქრისტიანული მესიანიზმის იდეით დამარცხება იყო. მე-19 საუკუნეში რუსი სამღვდლოება, რომელიც რუსეთის ადმინისტრაციის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა კავკასიურ კოლონიებში, მუსლიმთა წინააღმდეგობას რუსეთის მიმართ ქრისტიანული მრწამსის მიმართ წინააღმდეგობად აცხადებდა, ხოლო მუსლიმი ხალხების ფიზიკურ განადგურებას და გადასახლებას – მათი ცოდვისათვის გამოვლენილ ღვთის რისხვად.²

რუსეთის იმპერიალიზმის მხარდაჭერა საბჭოთა კავშირმა 1940-იანი წლების ბოლოდან დაიწყო, რამაც შეცვალა კავკასიის ომიც და წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი პირის შამილის ფიგურაც. თუკი, 1920-იანი წლების ნარატივებში იგი ანტიკოლონიური ძალების ლიდერად იყო გამოყვანილი, 1950-იანი წლების ნარატივებში ისტორიკოსები მას თურქეთის აგენტ კოლონიზატორად

¹ Фадеев, Р. (1860). *60 лет Кавказской войны* (Тифлис: типография главного штаба Кавказской армии), 5, 151.

² Кавелин, А. Л. (1885). *Абхазия и в ней Ново Афонской Симоно Кананитский Монастырь* (Москва: Типография В. О. Рихтер).

მოიხსენიებდნენ.³ აღსანიშნავია ისიც, რომ უფრო გვიანდელი პერიოდის ტექსტებში, ზოგი ისტორიკოსი საერთოდ ერიდებოდა შამილის ხსენებას. მიუხედავად ამისა, კავკასიის ომი ყველა შემთხვევაში ჩრდილოკავკასიელი ხალხების აჯანყებებს და რუსეთის მიმართ წინააღმდეგობას ეწოდებოდა.⁴

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოვლენის მიმართ კავკასიელი ხალხების ინტერესი გაიზარდა. განსაკუთრებით სიმბოლური დატვირთვა შეიძინა შამილის ფიგურამ, რომელიც სხვადასხვა ხალხების სასახელო წინაპრად იქცა.⁵ ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიაში ომის პერიოდი თანამედროვე იდენტობის მშენებლობის მნიშვნელოვან ბლოკად იქცა და, ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ სხვა ისტორიული მონაკვეთებისგან განსხვავებით, იგი ყველაზე კარგად არის შესწავლილი.⁶ ჩრდილოკავკასიელმა ხალხებმა ეს მოვლენა საკუთარი იდენტობის მშენებლობისთვის გამოიყენეს და წინააღმდეგობის ისტორიების შექმნა დაიწყეს. პოსტ-კოლონიური წინააღმდეგობის კონტექსტში ეს მოტივები სრულიად გასაგები ჩანს. კოლონიური სისტემების დაშლის შემდეგ, კოლონიზებული ხალხები წარსულის გადაწერას იწყებენ და ტრანსფორმაციისთვის ემზადებიან.⁷ მათი მიზანი ყოფილი მმართველი სისტემისთვის წინააღმდეგობის განწევა, მისი კულტურული ნაკვალევების დე-ლეგიტიმაცია და ახალი მომავლის შექმნაა.⁸

თუმცა, ინტერესს იმსახურებს ის ფაქტი, რომ ჩრდილოკავკასიელი ხალხების გარდა, ომში საკუთარი სახელის ჩაწერას აფხაზებიც ცდილობენ. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა წინააღმდეგობა კავკასიის ომის მიმდინარეობის პერიოდში ანუ 1864 წლამდე რუსეთის მიმართ არ ყოფილა საყოველთაო. აჯანყებებს მაშინდელი ელიტის ცალკეული წევრები აწყობდნენ. თუმცა, კავკასიის ომში ჩასაწერად აფხაზთა მთავარი დასაყრდენი გახდა მოსახლეობის გადასახლების რამდენიმე ტალღა 1860-იანი და 1870-იანი წლების ბოლოს. ამ გზით მათ კავკასიის ომის ქრონოლოგიური საზღვრები გააფართოეს და საერთო აფხაზურ-ჩრდილოკავკასიური ტრაგედიის ნარატივი შექმნეს. ამ ნარატივის ფორმირება მემორიალური აღნიშვნების სახით პერესტროიკის შემდეგ დაიწყო. ეს იყო ხელსაყრელი დრო ახალი მეხსიერებების ფორმირებისთვის, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა და, შესაბამისად, აფხაზეთშიც იჩინა თავი.⁹

პირველი წერილობითი ნარატივი, რომელშიც მკაფიოდ ჩანდა თანამედროვე აფხაზური ანტიკოლონიური მოტივები რუსეთის მიმართ, 1990 წელს აფხაზმა ისტორიკოსმა სტანისლავ ლაკობამ გამოაქვეყნა. ამ ნაშრომში იგი წერდა: „შამილის შეპყრობამ დასავლეთ კავკასიის მთის ხაღების ბედი გააჩუქა. ხუსუდმა ჯაჩებმა ისინი ზღვის და მთის მხიდან მოიმწყვდიეს. ალყის მიუხედავად, ჩერქეზები, უბიხები, დასავლეთაფხაზი ტომები საძევი კიდევ ხუთი წელი განაგრძობდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას“.¹⁰ ლაკობამ აფხაზთა გადასახლება კავკასიის ომში კავკასიელი ხალხების საერთო დამარცხებას დაუკავშირა,¹¹ საიდანაც გამომდინარეობდა დასკვნა, რომ აფხაზები, ჩრდილოკავკასიელი ხალხების მსგავსად, იყვნენ ჩაბმული რუსეთთან ომში და მათ ბედს იზიარებდნენ.

³ Gammer, M. "Historical Narratives in the Caucasus." http://kulturiskvleebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_4.2.pdf (ნანახია 30.03.2023), 1.

⁴ Gammer, M. (1992). "Shamil in Soviet Historiography," *Middle Eastern Studies* 28, no. 4: 757..

⁵ Gammer, "Historical Narratives," 2.

⁶ Reynolds, M. A. (2008). "Native Sons: Post-Imperial Politics, Islam, and Identity in the North Caucasus, 1917-1918," *Jahrbücher für Geschichte Osteuropas* 56: 222.

⁷ Ashcroft, B. (2001). *On Post-Colonial Futures: Transformations of Colonial Culture* (London and New York: Continuum), 1.

⁸ Said, E. (1994). *Culture and Imperialism* (New York: Vintage books), 210.

⁹ Epadze, K. (2022). "Reconstructing a National Hero in the Post-colonial Memory Politics of Abkhazia: Debates over Kelesh Bey Shervashidze." *Caucasus Survey* 10, no. 3: 325.

¹⁰ Лакоба, С. (1990). *Очерки политической истории Абхазии* (Сухуми: Алашара), 20–21.

¹¹ Лакоба, *Очерки*, 26.

ამავე წელს კავკასიის მემორიალიზაციამ ხილული სახე მეხსიერების სხვა მედიუმებშიც მიიღო. თუკი პერესტროიკის შემდეგ, აფხაზები ჩუმად იკრიბებოდნენ კავკასიის ომის გასახსენებლად, 1990 წელს სოხუმის სანაპიროსთან ახლოს მათ მემორიალური ქვა განათავსეს და 31 მაისი ომის მსხვერპლთა დღედ გამოაცხადეს. ეს დღე შემთხვევით არ იყო შერჩეული. 1880 წლის 31 მაისს რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზი ხალხი დამნაშავე მოსახლეობად ოფიციალურად გამოაცხადა. თუმცა, ამ სახელით მათ 3 წლით ადრეც მოიხსენიებდნენ, რაც 1877 წელს აფხაზი მოსახლეობის ნაწილის გადასახლების მიზეზი გახდა.¹²

პოსტაბაჭოთა აფხაზეთში ლაკობას ნარატივი შენარჩუნდა და დომინანტურ ტექსტადაც იქცა, რასაც ადასტურებს მისი ასახვა აფხაზური ისტორიის ორ, სხვადასხვა დროს (2007, 2015 წწ) გამოცემულ სახელმძღვანელოში.¹³ თუმცა, 2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარებისა და აფხაზეთის საელჩოს მოსკოვში გახსნის შემდეგ, წარსულმა ახლებური ინტერპრეტაცია შეიძინა და ლაკობას ნარატივს გამოუჩნდა კონკურენტი ტექსტი. დე-ფაქტო სახელმწიფოს საელჩოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა აფხაზეთის ისტორიის მოკლე ექსკურსი, რომლის ერთ-ერთ ნაწილში საუბარია კავკასიის ომზე. ნარატივის თანახმად: „კავკასიის ომისა და 1866, 1877 წლის ანტიკოლონიური გამოსვლების შემდეგ, აფხაზეთმა ეთნიკური კატასტროფა გადაიტანეს. მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა და დევნილი (მუჰაჯირი) გამხდარიყო.“¹⁴ ამის შემდეგ, ტექსტი აღწერს აფხაზეთის კოლონიზაციას სხვადასხვა ეთნოსის მიერ (რომელთა შორის ნახსენები არიან ქართველები) და აფხაზეთის უკუსვლას და გადახვევას პროგრესის გზიდან. ტექსტში რუსეთის მაგივრად მთავარ დამნაშავედ საქართველოა გამოყვანილი, რომელიც აფხაზებს იმპერიის სახელით ებრძოდა.¹⁵ ამ ნარატივიდან შეიძლება გამოვითქვანოთ დასკვნა, რომ რუსეთთან კვაზი დამოკიდებულების გამო, აფხაზმა პოლიტიკოსებმა კავკასიის ომის მეხსიერებაზე მოლაპარაკება დაიწყეს და აფხაზური წინააღმდეგობა აფხაზთათვის არასასარგებლო, დამღუპველ საქმედ შეაფასეს. აგრესიის ვექტორი კი რუსეთიდან საქართველოზე გადაიტანეს.

ომის ინტერპრეტაციის ცვლილებას თან სდევდა მეხსიერების არეების კორექტირებაც. 2011 წლიდან ომის გახსენების თარიღი შეიცვალა და რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი ავტონომიების თარგზე გადაკეთდა. 31 მაისი 21 მაისით ჩანაცვლდა. ეს სიმბოლური ნაბიჯი მეტად მნიშვნელოვანია პოსტკოლონიური მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში. 1864 წლის 21 მაისს რუსეთის იმპერიამ კავკასიის ომი დასრულებულად გამოაცხადა და მას საზეიმო მსვლელობაც მიუძღვნა,¹⁶ რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თარიღი კალენდარში წინააღმდეგობის დასრულების, მუსლიმთა დამორჩილების და კავკასიის კოლონიებზე გამარჯვების დღედ ჩანერა. რუსეთის ქვეშ მყოფ ავტონომიებში კავკასიის ომის გახსენება 21 მაისს ხდება და როგორც თარიღის ცვლილება აჩვენებს, აფხაზეთი სწორედ რუსეთის გავლენით მიჰყვება აღნიშვნის საერთო ტრადიციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ თარიღის ცვლილებამდე აფხაზმა პოლიტიკოსებმა 1990 წელს სოხუმის ცენტრში დადგმული მემორიალური ქვა მონუმენტური სკულპტურით ჩაანაცვლეს. 2010 წელს, მოქანდაკე გენადი ლაკობამ მუშაობა დაასრულა მხედრის ფიგურაზე, რომლის გამომსახველობითი მხარე ნათლად აჩვენებს ავტორის ჩანაფიქრს. მხედარი ცხენიდან ჩამოვარდნილ კავკასიელს

¹² იქვე, 35.

¹³ Лакоба, С. & Бгажба, Х. (2007). История Абхазии с древнейших времен до наших дней. (Сухум: Министерство Образования РА). Лакоба, С. & Бгажба, Х. (2015). История Абхазии с древнейших времен до наших дней. (Сухум: Министерство Образования РА).

¹⁴ Посольство Республики Абхазия в Российской Федерации (2008). http://www.emb-abkhazia.ru/respublika_abhaziya/histori/chronob/ (ნანახია 02.04.2023).

¹⁵ იქვე.

¹⁶ „Кавказская война,“ *Кавказский Узел*. (2022). <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/171924/> (ნანახია 05.04.2023).

განასახიერებს, რომელსაც ცალი ხელით მუშტი აქვს შეკრული.¹⁷ დე-ფაქტო სახელმწიფოს პოლიტიკოსებმა ეს მონუმენტი სანაპიროსთან ახლოს, ყოფილი მემორიალის ადგილას განათავსეს. იგი აჩვენებს აფხაზეთის სისხლიანი წარსულიდან ახალი მომავლის დაბადების, წარსულზე შურისძიების და გამარჯვების იმედს.

აფხაზეთში არსებული შემთხვევის ასაღწერად შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „ჰიბრიდულობა“, რომელიც პოსტკოლონიალიზმის კვლევებში ყველაზე მყიფე და მოუქნელია, ბუნდოვანების და რედუქციონიზმის ნაკლებობის გამო, თუმცა მაინც ხშირად გამოიყენება. ჰომი ბაბა ამ სიტყვით მოიხსენიებს ყოფილ პერიფერიებზე მკაფიო წინააღმდეგობის არარსებობას ყოფილ კოლონიზატორთან. „ჰიბრიდულობა“ შეიძლება გავიგოთ, როგორც ახალი სივრცე კოლონიალიზმსა და პოსტკოლონიალიზმს შორის, სადაც კულტურული საზღვრები მოშლილია, წარსულის დისკურსების ანმყოფი გადმოდიან, ახალ დისკურსებთან ურთიერთქმედებენ და შერეულ ნარატივებს ქმნიან.¹⁸ კავკასიის ომის შემთხვევაში, აფხაზთა წინააღმდეგობა ორაზროვანია და შეიძლება ითქვას, რომ მეხსიერების პოლიტიკა, რომელსაც აფხაზი ელიტა იყენებს, ჰიბრიდულ ნარატივს ეყრდნობა. ჰიბრიდულობას ქმნის მეხსიერების არეების აღრევა – კოლონიური სიმბოლიზმის პოსტკოლონიურთან გაერთიანება. ერთი მხრივ, იმპერიის გამარჯვების თარიღის დამკვიდრება ომის მემორიალიზაციის აღსანიშნავად, ხოლო, მეორე მხრივ, მასში აფხაზური წინააღმდეგობის ჩანასახების არსებობა.

წინააღმდეგობრივი ნარატივების და მემორიალიზაციის არსებობას საფრთხე 2021 წელს შეექმნა. ამას ბიძგი მისცა 21 მაისს თურქეთში გამართულმა მარშმა, რომელშიც ჩრდილოკავკასიელთა და აფხაზთა დიასპორამ მიიღო მონაწილეობა. აღნიშვნის საერთო ცერემონიაზე ერთ-ერთ მონაწილეს ორი პლაკატი ეჭირა. ერთ-ერთი მათგანი ლევ ტოლსტოის პორტრეტი იყო, რომელიც რუსულ კულტურას და მდიდარ ლიტერატურულ ტრადიციას წარმოსახავდა, ხოლო მეორეზე რუსი გენერლის – ერმოლოვის პორტრეტი იყო გამოსახული. სურათზე ერმოლოვს, როგორც აგრესორი და დამპყრობელი რუსეთის სიმბოლოს, წითელი ხაზი ჰქონდა გადასმული. ამ გზით დიასპორამ რუსეთის ორმაგი ხატი წარმოაჩინა, რომელიც მათ აღქმაში შეიძლება იყოს ცივილიზებული სამყაროს ნაწილიც და მისგან გამიჯნული კოლონიზატორიც.¹⁹

ამ აქციამ დიდი პროტესტი გამოიწვია რუსეთში. პროსამთავრობო ონლაინგამოცემებში გამოჩნდა კრიტიკული სტატიები და წერილები, რომელიც აფხაზეთის დე-ფაქტო პოლიტიკოსებს და მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებდა. ივნისის დასაწყისში ონლაინ გამოცემამ – „კომსომოლსკაია პრავდა“ სპეციალური სვეტი მიუძღვნა კავკასიის ომის გახსენებას, რომელშიც განგებ იყო არეული მოვლენები და ფაქტები. ჟურნალისტმა ვლადიმერ ვორსობინმა თურქეთში გამართული აქცია აფხაზეთს დაუკავშირა და დაწერა: „სოხუმის ცენტრში ხუსეთის გასაბჭავებდად სანთლები დაანთეს. აფხაზები კავკასიის ომის მსხვერპლთა ღღეს და კავკასიელი მთიელების გადასახლება ალნიშნავდნენ ჩირაღდნებით. პრეზიდენტით. პარლამენტის ყველა წევრით. და საგანგებოდ გამოწყობილ მთიელს ხელში ეჭირა სურათი „გამოცხადებული მტრის, რუსი გენერლის ალექსეი ერმოლოვის, რომელიც წითლად იყო გადახაზული. ცერემონიის მნიშვნელობა ნათელია – არასდროს რუსეთში“.²⁰

¹⁷ Шария, В. (2022). „В Абхазии вспоминали „ушедших за море.“ Эхо Кавказа, <https://www.ekhokavkaza.com/a/31864104.html> (ნანახია 05.04.2023).

¹⁸ Easthope, A. (1998). „Homi Bhabha, Hybridity and Identity, or Derrida Versus Lacan,“ *Hungarian Journal of English and American Studies* 4, no. 1/2: 145–146.

¹⁹ Шария, В. (2021). Антироссийская акция или история одного фейка? Эхо Кавказ. <https://www.ekhokavkaza.com/a/31301266.html> (ნანახია 05.04.2023).

²⁰ Ворсобин, В. (2021). Абхазия забила про туристов и мандарины ради биткойнов. Комсомольская правда. <https://www.kp.ru/daily/27287/4425599/> (ნანახია 10.04.2023).

მალევე, ამ მოვლენას გამოეხმაურა ონლაინგამოცემა „სპუტნიკ ი პოგრომი“, რომელსაც ნაციონალისტი იდეოლოგი იგორ პროსვირნინი ხელმძღვანელობს. გამოცემის წერილში, ჟურნალის ოფიციალურ გვერდზე, სოციალურ ქსელში „ვ კონტაქტე“ ნათქვამი იყო: „აფხაზეთში, 21 მაისს, ანტირუსული ჩირადნებიანი მსვლელობა გაიმართა [...] „კავკასიის მსხვერპლთა გახსენების ცეხემონია“ მხავადი წედია, იმართება (ნათელია, ვისი მხრიდანაც) დოტაციურ მთის რესპუბლიკაში. ეს დღე შემთხვევით არაა შერჩეული, რამდენადაც კავკასიის ომი ოფიციალურად 1864 წლის 21 მაისს დასრულდა, რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით, მაგრამ რუსების გამარჯვება თანამედროვე აფხაზეთში ტრაგიკული მოვლენაა. ომის შემდეგ, ათასობით აფხაზი (მუჰაჯირი) ნებაყოფლობით გადასახლდა თურქეთში. ახლა აფხაზეთში მუჰაჯირებს აქტიურად იხსენებენ, მონობისგან თავისუფალ ეპოქაში. სოხუმში გაიხსნა მათი მონუმენტი 2010 წელს. 2011 წლიდან გახსენება ოფიციალურად მიმდინარეობს. როგორც ჩანს, აფხაზეთის ხელმძღვანელობა ასე უხდის მადლობას რუსებს აფხაზეთის საქართველოსგან განთავისუფლებისთვის. ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ აფხაზეთს არ სჭირდება რუსული ფული და რუსი ტურისტები. აფხაზეთს სჭირდება ახალი ერმოლოვები და პასკევიჩები. და, რა თქმა უნდა, ახალი მოჰაჯირები.“²¹

დე ფაქტო აფხაზეთის პოლიტიკოსებმა რუს ჟურნალისტებს მალევე უპასუხეს. დე ფაქტო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვადიმ ხაზარამ განაცხადა: „ჩვენ მოვანყვეთ ეს ღონისძიება. ყოველწლიურად, 21 მაისს, პატივს მივაგებთ კავკასიის ომის მსხვერპლებს, მაგრამ ჩვენს თავს უფლებას არასდროს მივცემთ, რამე მსგავსი გავაკეთოთ (ანტირუსული მარში). რატომ სჭირდებათ ამის სხვაგვარად შეფუთვა და შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა?“²²

ამ დისპუტის მთავარი მიზანი აფხაზეთსა და რუსეთს შორის სამომავლო ურთიერთობების გამორკვევა იყო. რუსი ჟურნალისტებიდან ერთ-ერთი ვლადიმირ ვორსობინი თავად ესწრებოდა მემორიალიზაციის ცერემონიას აფხაზეთში და შესანიშნავად იცოდა, რომ ერმოლოვის პორტრეტით გამოსვლა თურქეთში მოეწყო და არა სოხუმში. რუსეთში იციან, რომ აფხაზები თამამი პერფორმანსების ჩატარებას ვერ ბედავენ, რადგან ხელ-ფეხი მფარველის პოსტკოლონიური ამბიციებით აქვთ შებორკილი. ვორსობინის სტატიის მიზანს კითხვის ნიშნების დასმა წარმოადგენდა აფხაზეთისთვის, რომელსაც რუსეთი საკუთარი „რუსული სამყაროს“ ნაწილად განიხილავს და მესხიერების პოლიტიკა, რომელიც ორი ხალხის კულტურულ განცალკევებას უწყობს ხელს, მისთვის არ არის მისაღები. ამ სცენარის გაგრძელება კიდევ უფრო მკაფიო გახდა 2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. პუტინის ადმინისტრაციამ კავკასიის ომის მემორიალიზაცია მის დაქვემდებარებაში მყოფ ავტონომიებში აკრძალა და მოსთხოვა მათ სოლიდარობის გამოცხადება ომის პერიოდში. იგივე კამპანია გაიზიარა აფხაზეთმაც. ამაზე მეტყველებს აფხაზურ პრესაში ომთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც აღარ ასახავს წინააღმდეგობას რუსეთის მიმართ. წინა წლებისგან განსხვავებით, შერბილებული ტონით გამოირჩეოდა სამი მნიშვნელოვანი გამოცემა, რომელიც პოპულარულია აფხაზეთში. მათში ჩანდა საერთო მესიჯი – რუსეთთან წინააღმდეგობა სარისკოა. მაგალითად, ონლაინგამოცემაში „სპუტნიკ აბხაზია“ გამოქვეყნდა სტატია – „უკვდავი ხსოვნა: სოხუმში კავკასიის ომის დამთავრებას აღნიშნავენ“. თავად სტატიის სათაური აჩვენებს რედაქციის მესიჯს. მემორიალიზაცია რუსეთთან ომის დამთავრებას დაუკავშირდა. შინაარსიც ზუსტად შეესაბამება სათაურს. სტატიაში ნაჩვენებია, რომ რუსეთის იმპერიასთან წინააღმდეგობის გამო აფხაზებმა დემოგრაფიული კატასტროფა და მარცხი განიცადეს.²³ მეორე ჟურნალში „კავკასიის ექო“ ასევე ნეიტრალური სათაურით გამოქვეყნდა სტატია – „აფხაზეთში

²¹ Шария, В. (2021). Антироссийская акция или история одного фейка? Эхо Кавказ. <https://www.ekhokavkaza.com/a/31301266.html> (ნანახია 05.04.2023).

²² იქვე.

²³ „Бессмертная память: в Сухуме отметили день окончания Кавказской войны“ (2022). Sputnik Абхазия. <https://sputnik-abkhazia.ru/20220521/1039205170.html> (ნანახია 05.04.2023).

ზღვით წასულები გაიხსენეს“. მასში ჟურნალისტებმა მემორიალიზაციის ისტორიაზე იმსჯელეს და კავკასიის ომი აფხაზეთისა და საზღვარგარეთის აფხაზების გამაერთიანებელ ძალად წარმოაჩინეს, თუმცა ასევე ახსენეს ამ მოვლენის დამანგრეველი შედეგები აფხაზეთისთვის.²⁴ ამავე სტატიაში საუბარი იყო კავკასიის სხვა ნაწილებში მემორიალიზაციის შეზღუდვებზე, რითიც ავტორებმა აჩვენეს, რომ ომის გახსენება შეცვლილ პოლიტიკურ კონტექსტში საფრთხილოა. მათ მაგალითად მოიყვანეს ყაბარდო-ბალყარეთში კავკასიის ომის გახსენების მარშის აკრძალვა, რაც უკრაინასთან ომის გამო, რუსეთის მიმართ სოლიდარობის გამოცხადებას ნიშნავდა.²⁵

მესამე გამოცემაში „კავკაზსკი უზელ“ ომის მემორიალიზაციაზე საერთოდ არ გაკეთებულა აქცენტი. ტექსტში დეტალურად იყო საუბარი კავკასიის ომის ისტორიულ პასაჟებზე, რუსეთის გამარჯვებასა და იმ მძიმე შედეგებზე, რომელიც ომმა მოუტანა კავკასიას.²⁶

კოლექტიური მეხსიერების ქრილში პრესის დისკურსის ცვლილება მეტად საინტერესოა. რუსეთის ნეოიმპერიალისტური ამბიციების არსებობა ყოფილი კოლონიის მიმართ აფხაზების რიტორიკას კავკასიის ომის შესახებ არბილებს. აფხაზები, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული საკუთარ მფარველზე პოლიტიკური დამოკიდებულების შესახებ, უარს ვერ ამბობენ კომპრომისზე მეხსიერების პოლიტიკაში, რის გამოც, ფაქტობრივად, სუსტდება დაყოფა წარსულის და აწმყოს დისკურსებს შორის. თუკი რუსეთის მხრიდან აფხაზეთის აღიარების შემდეგ, აფხაზური მეხსიერების ნარატივი ჰიბრიდული იყო – აერთიანებდა წინააღმდეგობრივ თარიღსა და ცერემონიას, ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰიბრიდულ მეხსიერებას აფხაზური კომპრომისი კოლონიური კომპონენტისკენ ექაჩება. შესაბამისად, არსებობს რისკი აფხაზთა წინააღმდეგობა მთლიანად რუსულ წესებს დაემორჩილოს. აფხაზეთს გასარკვევი აქვს, რას გაიხსენებს მომავალში: ომის დასრულებას თუ მუჰაჯირთა ტრაგედიას? რუსეთთან წინააღმდეგობას თუ მშვიდობის ისტორიას? ამ კითხვებზე პასუხი უკრაინაში რუსეთის ომის დასრულების შემდეგ გახდება მკაფიო.

ლიტერატურა:

- Ashcroft, B.** (2001). On post-colonial futures: Transformations of colonial culture. *Continuum*.
- Easthope, A.** (1998). Homi Bhabha, hybridity and identity, or Derrida versus Lacan. *Hungarian Journal of English and American Studies*, 4(1/2), 145–146.
- Epadze, K.** (2022). Reconstructing a national hero in the post-colonial memory politics of Abkhazia: Debates over Kelesh Bey Shervashidze. *Caucasus Survey*, 10(3), 325.
- Gammer, M.** (1992). Shamil in Soviet historiography. *Middle Eastern Studies*, 28(4), 757.
- Gammer, M.** (n.d.). Historical narratives in the Caucasus. Retrieved March 30, 2023, from http://kulturiskvlebebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_4.2.pdf
- Reynolds, M. A.** (2008). Native sons: Post-imperial politics, Islam, and identity in the North Caucasus, 1917-1918. *Jahrbücher für Geschichte Osteuropas*, 56, 222.
- Бессмертная память:** В Сухуме отметили день окончания Кавказской войны. (2022). Sputnik Абхазия. Retrieved April 5, 2023, from <https://sputnik-abkhazia.ru/20220521/1039205170.html>
- Ворсобин, В.** (2021). Абхазия забила про туристов и мандарины ради биткойнов. *Комсомольская правда*. Retrieved April 10, 2023, from <https://www.kp.ru/daily/27287/4425599/>

²⁴ Шария, В. (2022). „В Абхазии вспоминали „ушедших за море.“ Эхо Кавказа. <https://www.ekhokavkaza.com/a/31864104.html> (ბანახია 05.04.2023).

²⁵ იქვე.

²⁶ „Кавказская война“ (2022). *Кавказский Узел*. <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/171924/> (ბანახია 05.04.2023).

- Кавказский Узел** (2022). Кавказская война. Retrieved April 5, 2023, from <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/171924/>
- Кавелин, А. Л.** (1885). Абхазия и в ней Ново Афонской Симоно Кананитский монастырь (Москва: Типография В. О. Рихтер).
- Лакоба, С.** (1990). Очерки политической истории Абхазии (Сухуми: Алашара), 20–21.
- Лакоба, С.** (1990). Очерки политической истории Абхазии (Сухуми: Алашара), 26.
- Лакоба, С.** (1990). Очерки политической истории Абхазии (Сухуми: Алашара), 35.
- Лакоба, С., & Бгажба, Х.** (2007). История Абхазии с древнейших времен до наших дней (Сухум: Министерство Образования РА).
- Лакоба, С., & Бгажба, Х.** (2015). История Абхазии с древнейших времен до наших дней (Сухум: Министерство Образования РА).
- Посольство Республики Абхазия в Российской Федерации** (2008). История Абхазии. Retrieved April 2, 2023, from http://www.emb-abkhazia.ru/respublika_abhaziya/histori/chronob/
- Шария, В.** (2021). Антироссийская акция или история одного фейка? Эхо Кавказа. Retrieved April 5, 2023, from <https://www.ekhokavkaza.com/a/31301266.html>
- Шария, В.** (2022). В Абхазии вспоминали «ушедших за море». Эхо Кавказа. Retrieved April 5, 2023, from <https://www.ekhokavkaza.com/a/31864104.html>
- Фадеев, Р.** (1860). 60 лет Кавказской войны (Тифлис: Типография главного штаба Кавказской армии), 5, 151.

ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის ცნობები თბილისის შესახებ (შედარებითი ანალიზი)

References of at-Tabari and Ibn al-Athiri about Tbilisi (Comparative Analysis)

ომიკო ეჯიბია

Omiko Ejibia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქაიხთველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

შუა საუკუნეების არაბული წყაროები უმნიშვნელოვანესია საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. იქნება ეს უშუალოდ საქართველოს ისტორია თუ კულტურულ-სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები რომლებიც მიმდინარეობდა ქართულ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებს/ქვეყნებს შორის. აღსანიშნავია, რომ კავკასიაში არაბული დაპყრობითი ომების პირველივე წლებში ხდება ქართველებსა და არაბებს შორის ურთიერთობის დამყარება და, შესაბამისად, ეს აისახა არაბულ ისტორიოგრაფიაში. შემდგომშიც ურთიერთობებს ჰქონდა ხანგრძლივი და მუდმივი ხასიათი იმ დონეზე, რომ თბილისი ბევრ ავტორთან არაბულ-მუსლიმური კულტურის ნაწილადაა აღქმული და წარმოადგენს ისლამის გავრცელების ბოლო წერტილს ამ გეოგრაფიული მიმართულებით. სწორედ ამ ფაქტორიდან გამომდინარე უნდა იყოს ის, რომ ყველაზე ხშირად, ისტორიული საქართველოდან, სწორედ თბილისი და მასთან დაკავშირებული საკითხებია ნახსენები/აღწერილი არაბულ ისტორიოგრაფიაში.

აბუ ჯა'ფარ მუჰამად იბნ ჯარირ იბნ იაზიდ ატ-ტაბარი (839-923 წწ.) წარმოშობით იყო სპარსელი, ტაბარისტანის ოლქიდან (მაზანდარანის პროვინცია თანამედროვე ირანში), რომელიც იყო ისტორიკოსი და ყურანის ეგზეგეტიკოსი. ის არაბ ისტორიკოსად არის მიჩნეული ორი მიზეზის გამო: ერთი ის, რომ მისი ყველა ნაშრომი შესრულებულია არაბულ ენაზე და მეორე – მის ეპოქაში ირანი/სპარსეთი, როგორც ცალკეული პოლიტიკურ-კულტურული ერთეული, არ არსებობდა და ტაბარისტანიც არაბულ-ისლამური სახალიფოს ნაწილი იყო. ამ მხრივ ატ-ტაბარი არ არის ერთადერთი შუა საუკუნეების მოღვაწეთაგან, რომლებიც მათი წარმოშობის ადგილისა თუ ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, მოიხსენიებიან როგორც არაბი მეცნიერები, მათი სამოღვაწეო-შემოქმედებითი, ენისა და კულტურული მიკუთვნებულობიდან გამომდინარე (მაგ., იგივე შეიძლება ითქვას ალ-ისტახრისა და ალ-ბალხიზეც). ატ-ტაბარის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები საკმაოდ მრავლად მოიპოვება. დანამდვილებით ვიცით მისი დაბადებისა და გარდაცვალების როგორც თარიღები, ასევე ადგილები.¹

ატ-ტაბარი დახასიათებულია როგორც ღვთისმოშიში და ზომიერი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა, იმის მიუხედავად, რომ არ ეტანებოდა სასმელს და არასოდეს დაქორწინებულა (Judd, 2006, გვ. 791). როგორც ჩანს, მისი მამა, ჯარირი, ტაბარისტანში დიდი მემამულე იყო, შესაბამისად, ატ-ტაბარის ჰქონდა ოჯახის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა და, ფაქტობრივად, არ დასჭირვებია ემუშავა, რამდენადაც მას გააჩნდა სტაბილური შემოსავალი.²

¹ დაიბადა აშუღში 839 წლის ზამთარში და გარდაიცვალა 923 წელს ბაღდადში.

² ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ატ-ტაბარის არასოდეს უმუშავია სახელმწიფო ადმინისტრაციულ

ამგვარად, ატ-ტაბარიმ მთელი ცხოვრება დაუთმო განათლების მიღებასა და საკუთარი ნაშრომების შექმნას, რომლებიც მოიცავს სამართალს, ისტორიასა და ყურანის ეგზეგეტიკას. მან მიიღო განათლება იმ ეპოქის საგანმანათლებლო ცენტრებში, როგორებიც იყო: ბალდადი, ქუფა და ბასრა (Bosworth, 2000, გვ. 21).

ატ-ტაბარი არის ოცზე მეტი დასრულებული ნაშრომის ავტორი, რომელთაგან უმეტესობა ისლამურ სამართალს, ყურანს, ჰადისებსა და ისლამის ეტიკას ეხება. ასევე მას მიეწერება დამატებით კიდევ ათამდე ნაშრომი, რომელთა დასრულებაც ვერ მოასწრო.³ მისი შრომებიდან ყველაზე ცნობილი და გამორჩეულია ჯამი 'ან თა' ჯილ ალ-კურ'ან იგივე თაფსირ ატ-ტაბარი ანუ ყურანის ატ-ტაბარისეული კომენტარები და თარახ არ-რუსულ ჯა ლ-მულჟე ანუ მოციქულთა და მეფეთა ისტორია, რომელიც ასევე ცნობილია როგორც თარახ ატ-ტაბარი (ატ-ტაბარის ისტორია). ატ-ტაბარის ისტორია, ფაქტობრივად, წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას, რომელშიც მოთხრობილია ამბები სამყაროს შექმნიდან (აბრაამისტული რელიგიების თვალსაზრისით – ო. ე.) ატ-ტაბარის ეპოქის ჩათვლით. განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა მოციქული მუჰამადის, მისი მიმდევრებისა და სახალიფოს ისტორიას. ამის პარალელურად, ავტორის ხედვის არეალში ექცევა სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების ისტორიები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულნი არიან არაბულ-ისლამურ სამყაროსთან.

პირველად ატ-ტაბარის ისტორიის სრული არაბული რედაქტირებული ვერსია გამოიცა დე გუეს რედაქტორობით, ლეიდენში, 1879-1901 წლებში ცამეტ ტომად. შემდგომი იყო კაიროს გამოცემა 11 ტომად, 1960-1969 წლებში მუჰამად აბუ ალ-ფადლ იბრაჰიმის რედაქტორობით. პირველი ევროპულენოვანი თარგმანი იყო ფრანგულ ენაზე ატ-ტაბარის სპარსული ვერსიიდან, რომელიც ჯერ კიდევ 963 წელს ალ-ბალ'ამიმ (X ს.) სპარსულად თარგმნა სამანიანთა დინასტიის კარზე. სპარსული ვერსიის ფრანგული თარგმანი ჰერმან ზოტენბერგმა ოთხ ტომად გამოსცა პარიზში 1867-1874 წლებში.⁴ სრულყოფილი ინგლისურენოვანი თარგმანი 39 ტომად (ერთიც – დამატება ინდექსებისთვის) გამოიცა 1985-2007 წლებში ნიუ იორკ პრესის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ. აღნიშნულ ინგლისურენოვან თარგმანს ჰყავდა მრავალი რედაქტორი და 29 მთარგმნელი, რომელიც ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ფუნდამენტურ გამოცემად.⁵ საბჭოთა კავშირში პერიოდულად სრულდებოდა არასრული, ნაწილობრივი თარგმანები. მათ შორის პირველი იყო 1939 წელს გამოქვეყნებული ვ. ი. ბელიაევის მიერ შესრულებული თარგმანი თურქმენებისა და თურქმენეთის შესახებ ორ ნაწილად. იმავე ვ. ბელიაევის თარგმანი მოხვდა მეთექვსმეტე ტომში კრებულისა: ნარკვევები შუა აზიისა და ირანის ისტორიიდან, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა. 1960 წელს ატ-ტაბარის ცნობები ჩრდილო აფრიკის შესახებ გამოქვეყნდა ლ. კუბელისა და ვ. მატვაევას თარგმანი კრებულში: ძველი და შუა საუკუნეების წყაროები აფრიკისა და ჩრდილოეთ საჰარის ეთნოგრაფიასა და ისტორიაზე. ასევე, 1987 წელს გამოვიდა ვ. ბოლშაკოვის თარგმანი ატ-ტაბარის რჩეული ნაწყვეტები ცენტრალური აზიის შესახებ, რომელიც გამოიცა ტაშკენტში.⁶

რაც შეეხება ქართულ ისტორიოგრაფიას, ატ-ტაბარი და მისი ნაშრომი ფართოდაა ცნობილი ქართული სამეცნიერო-საისტორიო წრეებისთვის. თარგმანებიდან აღსანიშნავია ო. ცქიტიშვილის

სისტემაში და ასევე მხოლოდ ერთხელ იყო როდესაც ის ერთ-ერთი ვებირის ოჯახის მასწავლებელი იყო.

³ სრული სია ატ-ტაბარის ნაშრომებისა შეგიძლიათ იხილოთ: The history of at-Tabari vol.1, General Introduction, transl. by Franz Rosenthal, State University of New York Press, Albany, NY, 1989 გვ. 81-134; 152-154.

⁴ 1838-53 წლებში გამოვიდა ატ-ტაბარის ნაწილობრივი ლათინური თარგმანი სამ ტომად ლუდვიგ კოსერგატენის, თუმცა აღნიშნული გამოცემა ატ-ტაბარის ისტორიის მეათედსაც არ მოიცავდა.

⁵ სხვადასხვა დროს ამ გამოცემის რედაქტორები იყვნენ ფ. როზენტალი, ვ. ბრინერი, კ.ე. ბოსვორთი და სხვები.

⁶ ასევე დამატებით ატ-ტაბარის შესახებ ასევე შეგიძლიათ იხილოთ: Ак. Крачковский И. Ю., Арабская историко-географическая литература Первая часть, историческая литература, конспект лекций, записанный студентом Ш. К.М. Гринбергвн, Кафедра хамито-семитских языков, мексбраметე ლექცია, გვ. 61-71.

მიერ 1963 წლის „მომბეში“ ბუღა თურქის მიერ თბილისის ალების შესახებ ცნობების თარგმანი, რაც ახლავს სტატიას, რომელიც ისნის საკითხს ეხება (გვ. 142-160). ასევე ე. სიხარულიძის მიერ არაბულიდან თარგმნილი ე.წ. „დაცვის სიგელი“, რომელიც ჰაბიბ იბნ მასლამამ გასცა თბილისისა და ჯურზანის მოსახლეობაზე (სიხარულიძე, 1959, გვ. 167-68). დაცვის სიგელის დათარიღებას ეხება ბ. სილაგაძის სტატია, რომელიც 1971 წელს გამოქვეყნდა „მაცნეში“ სახელწოდებით ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის« დათარიღებისთვის, (გვ. 68-86). ძირითადად ქართველი მკვლევრები და ისტორიკოსები ეყრდნობოდნენ დე გუეს რედაქციას იქნებოდა ეს გ. წერეთლის „არაბული ქრესტომათია“, რომელშიც არაბულ ენაზეა მოცემული ატ-ტაბარის ცნობები თუ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, სადაც სქოლიოში სწორედ დე გუეს რედაქციაა დამოწმებული.

რაც შეეხება იბნ ალ-ასირს, მისი სრული სახელია აბ-უ ალ-ჰასან ‘ალი იბნ მუჰამმად იბნ მუჰამმად აშ-შაბანი, რომელიც უფრო მეტად ცნობილია როგორც ‘ალი ‘იზბ ად-დინ იბნ ალ-ასირი ალ-ჯაზარი. დაიბადა 1160 წლის 12 მაისს ჯაზირა იბნ უმარში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე და გარდაიცვალა 1233 წელს მოსულში (BCE, T.9, 1972, გვ. 616). არსებობს ორი ძირითადი მოსაზრება მისი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ის ან არაბია ან ქურთი (Suleiman, 1996, გვ. 154). გამომდინარე იქიდან, რომ იბნ ალ-ასირი იყო აშ-შაბანის გვარის, შესაბამისად, დიდი არაბული ტომის, ბანუ ბაქრის ნაწილი (Donner, 1980, გვ. 35-38), უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ის არაბული წარმოშობის იყო. ამას შეიძლება დავამატოთ მისი კულტურული და ენობრივი მიკუთვნებულობა არაბულ სამყაროსთან. რაც შეეხება, მოსაზრებას მისი ქურთული წარმომავლობის შესახებ, ამ შემთხვევაში, ეს ფაქტი დაკავშირებული უნდა იყოს მისი დაბადებისა და მოღვაწეობის ადგილებთან,⁷ რომლებიც ქურთებით იყო დასახლებული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მას ჰქონდა კარგი ურთიერთობა და სარგებლობდა ზანქიანთა⁸ დინასტიის მფარველობით, რაც აისახა მის ნამუშევრებში, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია *მოსულის ათაბაგების ისტორია* (Oxf. Dict. of Byzan., 1991, გვ. 972). მის მიერ მოწოდებული ცნობები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბევრი ფაქტისა თუ მოვლენის შემსწრე თავად იყო. ასეთია, მაგალითად, სალაჰ ად-დინის მიერ ალექსის დაკავება, რა დროსაც იბნ ალ-ასირი თან ახლდა სულთანს, შემდეგ კი ერთხანს ალექსოში ცხოვრობდა. მისი უმცროსი ძმა დია ად-დინი (1163-1239 წწ.) ასევე სალაჰ ად-დინთან და მის ვაჟთან მსახურობდა ეგვიპტეში, სირიასა თუ ერაყში.⁹

რაც შეეხება იბნ ალ-ასირის შრომებს, თანამედროვეობას მისი ოთხი ნაშრომი შემორჩა. ესენია: *ათ-თაჰიბ ად-ბაჰიჰ ფე ად-დავდა ად-ათაბაქეა* (ათაბაგების ქვეყნის ბრწყინვალე ისტორია), რომელიც მოსულის ათაბაგების ისტორიაა; *ასად ად-ღაბა ფე მა‘ჩიფათი ას-საჰაბა* (ტყის ლომები: ცნობები საჰიბებისა,¹⁰ რომელშიც საუბარია მოციქულ მუჰამადის უახლოეს მიმდევრებზე; *ად-ღუბაბ ფი თაჰიბ ად-ანსაბ* (ალ-ლუბაბი [ცენტრი, გული] გენიალოგიის შესახებ), რომელიც არაბთა გენიალოგიას ეხება; მის შრომათაგან უმნიშვნელოვანესია თხზულება „ქამიდ ფე-თ-თაჰიბ“ ანუ „სრული ისტორია“, რაც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ატ-ტაბარის ისტორიის ანალოგს, მოიცავს ატ-ტაბარის თხზულების ნაწილს და დამატებული აქვს ატ-ტაბარის შემდგომი პერიოდი 1230 წლამდე, ხოლო 1231 წელი ითვლება თხზულების დასრულების თარიღად. ატ-ტაბარის ისტორიასთან ერთად *ქამიდ ფე-თ-თაჰიბ* ითვლება არაბულ-ისლამური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ცნობები სალადინისა და ჯვაროსნების შესახებ (Francesco, 1969, გვ. 2-30). რაც შეეხება მის რედაქციებსა და პუბლიკაციებს, პირველად იბნ ალ-ასირის თხზულება

⁷ ცხოვრების ძირითადი ნაწილი იბნ ალ-ასირმა მოსულში გაატარა.

⁸ მოსულის მმართველი დინასტია რომელსაც ქურთული წარმომავლობა ჰქონდა.

⁹ მსგავსი კავშირები სალაჰ-ად დინთან, რომელიც წარმოშობით ქურთი იყო, არის ერთ-ერთი არგუმენტი იბნ ალ-ასირის როგორც ქურთული ეთნიკური წარმომავლობის სასარგებლოდ.

¹⁰ საჰიბები იგივე მოციქულ მუჰამადის მიმდევრები.

გამოაქვეყნა კარლ ტორნბერგმა, ლადენში 14 ტომად, არაბულ ენაზე, 1851-1874 წლებში სახელით: *Ibn al-Athīr Chronicon quod perfectissimum inscribitur* (იბნ ალ-ასირის ქრონიკა და კომენტარები). 1987-2002 წლებში ასევე არაბულ ენაზე გამოვიდა იბნ ალ-ასირის აღნიშნული თხზულების არაბული რედაქცია დარ ალ-ქუთუბის მიერ ბეირუტში, 11 ტომად.¹¹ სხვადასხვა დროს გამოდიოდა იბნ ალ-ასირის, ამ ნაშრომის, ეპიზოდური თარგმანები სხვადასხვა ენაზე. მათ შორის ფრანგულ ენაზე ჟოზეფ მიშოს „ჯვაროსნების ისტორიაში“ და Recueil des historiens des croisades-ში (ჯვაროსანთა ისტორიის კრებული) 1887 წელს გამოცემულ მეორე ტომის პირველ ნაწილში. 1940 წელს გამოვიდა პ.კ. ჟუბეს თარგმანი იბნ ალ-ასირის თხზულების იმ ნაწილისა, სადაც საუბარია რუსებსა და აზერბაიჯანზე (Текст воспроизведен по изданию: Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-камилъ (полного свода истории) Ибн-ал-Асира. Баку. АзФан. 1940). ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია 1849 წელს გამოსული დეფრემერის ნაწილობრივი ფრანგული თარგმანი, რომელიც ჟურნალ Journal Asiatique-ს მეოთხე სერიის XIII ტომში გამოქვეყნდა (გვ. 457-522).¹² სწორედ ამ ფრანგულ თარგმანზე დაყრდნობით, ი. მაჭავარიანმა, 1897 წლის ჟურნალ „მოამბის“ დეკემბრის ნომერში, ქართულად თარგმნა ცნობანი იბნ ად-ათიხისა (გვ. 1-16), რომელიც წლების განმავლობაში წარმოადგენდა მნიშვნელოვან რესურსს ქართველი ისტორიკოსებისთვის. ტექსტში ჩართული ნაწყვეტების სახით გვხვდება იბნ ალ-ასირის ცნობების თარგმანები გ. ჯაფარიძის წიგნში *საქათვედო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პიხვედ მესამედში*.

ატ-ტაბარის ხშირად „ისლამური ისტორიოგრაფიის მამად“ მოიხსენიებენ და, ცხადია, არც თუ უმიზეზოდ. ატ-ტაბარი არის, ფაქტობრივად, პირველი ისტორიკოსი, რომელიც შეეცადა, შეექმნა სრულყოფილი ისტორიული თხზულება სამყაროს შექმნიდან მის ეპოქამდე. საუკუნეების განმავლობაში არაბი-მუსლიმი ისტორიკოსები თუ სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლები იყენებდნენ ატ-ტაბარის თხზულებებს და ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ ხდებოდა ტექსტის გადანერა, რაც არ ყოფილა უცხო შუა საუკუნეების ახლო-აღმოსავლეთისათვის. რაც შეეხება იბნ ალ-ასირს, ის არის ატ-ტაბარის ტრადიციების გამგრძელებელი და მისი ისტორიული თხზულების დიდი ნაწილი მოიცავს სწორედ ატ-ტაბარის შრომას, თუმცა გვაქვს გარკვეული განსხვავებული დეტალები, იქნება ეს თარიღები, ტოპონიმები თუ სხვანი, ასევე დამატებულია ისტორია ატ-ტაბარის შემდგომი მოვლენებისა. აღსანიშნავია, რომ ატ-ტაბარის ცნობები თბილისის შესახებ რამდენადმე უფრო ვრცელია იბნ ალ-ასირის ცნობებთან შედარებით. იგივე, ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული წერილი და „დაცვის სიგელი“ თბილისის მოსახლეობისადმი არ გვხვდება იბნ ალ-ასირთან. 764 (ან 765) წელს ხაზართა მიერ თბილისის აღება და ჰარბ არ-რაფანდის სიკვდილი, რომლის სახელიც, როგორც ატ-ტაბარი წერდა, ბაღდადის ერთ-ერთ უბანს ეწოდა (Tarikh, T.8, 1975, გვ. 7). ასევე ბულა თურქის ლაშქრობის შესახებ ინფორმაცია ატ-ტაბარისთან ბევრად უფრო ვრცელი და სკრუპულოზურია. ამასთან, გარკვეული დეტალები გვაქვს იბნ ალ-ასირთან და არ გვხვდება ატ-ტაბარისთან, როგორცაა, მაგალითად, ჯარაჰის დანიშვნა არმინიის ვალად (729 ან 730) და მისი მოხვლა თბილისში ხაზარებთან საბრძოლველად, რომელზეც იბნ ალ-ასირი წერდა, რომ სწორედ თბილისის მხრიდან შეიჭრა ჯარაჰი ხაზართა ქვეყანაში და, სავარაუდოდ, ქალაქი სამანდარი დაიპყრო.

აგრეთვე, ატ-ტაბარი ერთგან აღნიშნავს: *მას ჰქონდა მიმოწეხა თიჰდისის და მთების მოსახლეობასთან თუმცა შემდეგ ის შეეხიძოდა მათ ვიდრე ისინი ახ დამოხიძიდნენ ჰაბიბს* (Tarikh, T.4, 1970, გვ. 162). არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, შეებრძოლა თუ არა ქართლის ერისმთავარი ან სხვა ადგილობრივი ქართველური პოლიტიკური ერთეულების მმართველები ჰაბიბს. ამასთან

¹¹ ეს ის რედაქციაა რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ.

¹² განსხვავებით აბუ უბაიდ ალ-ბაქრის ნაშრომისგან, რომელიც დეფრემერს არაბულ-ფრანგული ტექსტით აქვს მოყვანილი, იბნ ალ-ასირის ცნობები, მხოლოდ ფრანგულ ენაზეა არაბული ტექსტის გარეშე.

დაკავშირებით ე. სიხარულიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომელიც ალ-ბალაზურის ცნობას ეყრდნობა, ზათ ალ-ლუჯუმთან ქართველებისა და არაბების დაპირისპირების შესახებ,¹³ რომლის მიხედვითაც ე. სიხარულიძემ დაასკვნა, რომ „ქართველებს გარკვეული წინააღმდეგობა გაუწევიათ არაბებისთვის“ (სიხარულიძე, 1961, გვ. 190-191). თუმცა ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული სამეცნიერო წრეებში. ატ-ტაბარისთან კი ცნობა პირდაპირ გვეუბნება, რომ ადგილობრივები შეებრძოლნენ ჰაბიბს და ჰაბიბმა ისინი დაიმორჩილა. თუ რატომ შეიძლება ჰაბიბს ამის შემდეგ დაედო სამშვიდობო შეთანხმება, მარტივი ასახსნელია, არაბები კავკასიაში ჯერ არც თუ მყარად არიან და მათთვის სავსებით მისაღები იყო გადასახადის პირობით მოწინააღმდეგის დამორჩილება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგივე ფაქტი, დაცვის სიგელზეც აისახა, რომელშიც გადასახადი კომლობრივია და არა სულადობრივი.

საკმაოდ ვრცელია ატ-ტაბარის მიერ მოცემული ინფორმაცია ბულა თურქის მიერ თბილისის აღებისა, რომელშიც ის გარკვეულ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, ის ჩამოთვლის თბილისის ხუთ კარს და საუბრობს სოლდაბილის გამაგრებაზე, ასევე იძლევა ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის ფიზიკურ აღწერილობასაც, რომელიც, მისივე გადმოცემით, იყო ჩასკვნილი (ჯმუხი), დიდი თავით, მელოტი, წითური, სხეულზე ლურჯი სვირინგები ჰქონდა, ასევე გადმოსცემს მისი შეპყრობისა და სიკვდილით დასჯის დეტალებს.¹⁴ ამასთან, გვაძლევს იმ სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც, ბულამ შეუტია ქალაქს. რეალურად ეს სამივე შესაძლო მხრიდან მოხდა. ჩრდილოეთიდან ზირაქი უტევს, სამხრეთიდან აბუ-ლ-აბბასი და აღმოსავლეთიდან, სოლდაბილის მხრიდან, თავად ბულა, რომელმაც ცეცხლის მტყორცნელები გამოიყენა და ქალაქს ცეცხლი გაუჩინა. ფაქტობრივად, ეს იყო გადამწყვეტი მოვლენა თბილისისთვის ბრძოლაში, რადგანაც ამირა ისჰაკი, რომელიც ზირაქს უკვე ებრძოდა ქალაქგარეთ, ცეცხლსა და ზირაქს შორის აღმოჩნდა მომწყვდეული. აქვე აღვნიშნავთ, რომ გარკვეული ინფორმაცია ატ-ტაბარისთანაც ნაკლულია. მაგალითად, იბნ ხორდადებჰთან (IX საუკუნე) გვაქვს ცნობა ამირა ისჰაკის შესახებ, რომელიც ბულას ლაშქრობამდე დაახლოებით ათი წლით ადრე ხდება. ეს ის ეპიზოდია, სადაც ამირა ისჰაკი იხსენიება, როგორც პროვინცია არმინიის საჰიბი, მფლობელი (Kitab al-masalik, 1889, გვ. 162). რაც შეეხება მსგავსება-განსხვავებებს, ორივე ავტორთან, ბურას ლაშქრობის, ერთი და იგივე თარიღია მოცემული, ატ-ტაბარის შემთხვევაში კი დაზუსტებულია დღე, თვე და რიცხვი; განსაზღვრულია თბილისისა და სოლდაბილის ადგილმდებარეობა მდ. მტკვართან მიმართებით; ორივეგან ნახსენებია ამირა ისჰაკი, მისი ვაჟი ამრი და ისჰაკის ცოლი, რომელიც ას-სარირის მფლობელის შვილი იყო; მსგავსია ინფორმაცია ქალაქის გადანჯის, ცეცხლის სწაფად გავრცელებისა და დახოცილთა რაოდენობის შესახებ; ორივე ავტორი სოლდაბილის აშენებას ხოსრო ანუშირვანს მიაწერს; ზირაქის მიერ გარდაბნის დაპყრობა ორივე ავტორთან გვხვდება.

რაც შეეხება ძირითად განმასხვავებელ ცნობებს, ატ-ტაბარისთან თბილისის 5 კარია ჩამოთვლილი, მაშინ როდესაც იბნ ალ-ასირი მხოლოდ ერთს ახსენებს – ბაბ ალ-მარკასს, რომელიც ამ სახელით სხვა ავტორებთან არ გვხვდება და ატ-ტაბარისთან დასახელებულ რაბადის კარს უნდა შეესაბამებოდეს; იბნ ალ-ასირთან ამირა ისჰაკი მოხსენიებულია, როგორც „ბანუ უმაიას მავლა“;¹⁵ რაც შესაძლოა, მთლად სწორი და ზუსტი არ იყოს. ისჰაკ იბნ ისმაილის სახელში მითითებულია სახელი „შუაიბი“, რომელიც ისლამის ერთ-ერთი წინასწარმეტყველი იყო და ნახსენებია ყურანშიც (Rippin, 1997, გვ. 491). თავის მხრივ, შუაიბი არაბული მადიანის ტომიდან იყო, რომლის ძირითადი ნაწილი,

¹³ ე. სიხარულიძე ზათ ალ-ლუჯუმს ლოჭინთან აიგივებდა.

¹⁴ თბილისის ამირა ისჰაკ ბ. ისმაილის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: ჯაფარიძე, გ. თბილისის ამირა ისჰაკ იბნ იმა'იდ აღ-უმავი ათ-თიფდისი შუა საუკუნეების აღმოსავლეთი წყვილობით წყაჩობებსა და ისტამბულში მხატვრობაში, საისტორიო კრებული: ნელინდუელი #4, თბილისი, მხედარი, 2014.

¹⁵ მავლა ნიშნავდა არა არაბ გამუსლიმებულ ტომს, რომელსაც რომელიმე არაბული ტომი მფარველობდა. „ბანუ უმაიაში“ კი ომაიანთა დინასტია უნდა ვიგულისხმოთ.

ყურანის მიხედვით, ურწმუნოების გამო ღმერთმა გაანადგურა. თუმცა შუაიბი და მისი მომხრეები გადარჩნენ (ყურანი, 2006, 7:90-93). ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუაიბის გვარი/ტომი ისედაც არაბული უნდა ყოფილიყო და ნაკლებად შესაძლებელია, ის უბრალოდ „მავლა“ გამხდარიყო. ალბათ, უნდა დავუშვათ, რომ შუაიბის გვარი/ტომი, შედარებით სუსტი იყო, რის გამოც შესაძლოა, ის შევიდა უმაიანთა გვარის მფარველობაში.

ატ-ტაბარის მიხედვით, ბუღა თურქმა სოლდაბილი უბრძოლველად, მის დამცველთა ხელშეუხებლობის პირობით, დაიკავა; იბნ ალ-ასირი კი მხოლოდ იმას ახსენებს, რომ ეს გამაგრებული ადგილი იყო. თბილისის აღების შემდეგ ორივე ავტორთან დასახელებულია, რომ ლაშქრობა შემგომში გაგრძელდა აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. იბნ ალ-ასირთან ნახსენებია საჰლ იბნ სუმბატის, ჰერეთის მმართველის (მოხსენიებული როგორც არრანის მფლობელი) შეპყრობის ამბავი. იმის მიუხედავად, რომ საჰლ იბნ სუმბატმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბაბექის აჯანყების ჩახშობაში და ამისთვის დაჯილდოვდა კიდევ სახალიფოსგან, ჩანს, მასაც არ აპატიეს ზედმეტი თავგასულობა და როდესაც შესაძლებლობა მიეცა ბაღდადის სახალიფოს, ისიც მოიშორა.

ქვემოთ მოცემულია ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის¹⁶ ცნობები.

ატ-ტაბარი

ტომი 4

გვ. 157

წელი 22 (642-643)

თავი: **ალ-ბაბის დაპყრობა**

...ამის შემდეგ გაგზავნა სურჰკმა ბაქერი იბნ 'აბდ ალლაჰი და ჰაბიბ იბნ მასლამა, ჰუზიფა იბნ 'ასნდი, სალმან იბნ რაბი'ა იმ ხალხისკენ, რომელიც 'არმანიის გარემომცველ მთებშია, გაგზავნა ბაქერი მჰკანისკენ, ჰაბიბი თიფლესისკენ, და ჰუზიფა იმათკენ ვინც ალ-ლანის მთებშია ხოლო სალმანი საპირისპირო მხარეს...

გვ.162

წელი 22 (642-643)

თავი: **ალ-ბაბის დაპყრობა**

...დაინიშნა ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ბაბის [მმართველად] და ამ დროს იგი იმყოფებოდა ჯურზანში. მას ჰქონდა მიმოწერა თიფლესის და მთების მოსახლეობასთან თუმცა შემდეგ ის შეებრძოლა მათ ვიდრე ისინი არ დამორჩილდნენ ჰაბიბს და არ მიიღეს

იბნ ალ-ასირი

ტომი 2

გვ. 430

წელი 22 (642-643)

თავი: **ხსენება მჰკანის დაპყრობისა**

მას შემდეგ რაც დაასრულა სურჰკმა, ალ-ბაბში გაიგზავნა ბაქერი იბნ 'აბდ ალლაჰი, და ჰაბიბ იბნ მასლამა, ჰუზიფა იბნ 'ასნდი და სალმან იბნ რაბი'ა იმ ხალხისკენ რომელიც 'არმანიის გარემომცველ მთებშია ნავიდა ბაქერი მჰკანისკენ. ჰაბიბი თიფლესისკენ, და ჰუზიფა იმათკენ ვინც ალ-ლანის მთებშია ხოლო სალმან საპირისპირო მხარეს...³³

გვ.479

წელი 25 (645-646)

თავი: **'არმანიისა და 'აზარბაჯანის ხალხების ხსენება**

...და შემდგომ გაემართა (ჰაბიბი) ჯურზანისკენ და მოვიდა მასთან მოციქული მისი პატრიკოსისა (ბატრიკ) მთხოვნელად სულჰისა (უსაფრთხოებისა) და მან მისცა ის და გაემართა თიფლესში და მისცა სულჰი მის

¹⁶ იბნ ალ-ასირის მხოლოდ ის ცნობები, რომლებიც აქამდე არ ყოფილა ქართულად თარგმნილი და რომელსაც ატ-ტაბარისეულად თვლიან.

³³ მოცემული მონაკვეთი ატ-ტაბარის ცნობის იდენტურია.

თანხმობა ჰაბიბისგან და იყო მიმოწერა მათ შორის და აი რა მისწერა [ჰაბიბმა]:¹⁷

ტომი 8

გვ. 7

წელი 147 (764-765)

თავი: **ხსენება იმ ამბებისა რაც მოხდა იმ დროს (წელს)**

და რაც მოხდა მაშინ მათ შორის იყო, 'ისტარხან ხვარაზმელის (ალ-ხავარაზმი) თავდასხმა თურქებთან¹⁸ ერთად მუსლიმებზე 'არმენიის რეგიონში და მის მიერ დატყვევება მრავალი მუსლიმისა და დამორჩილებული ხალხისა.¹⁹ ისინი შევიდნენ თიქლესში, მათ მოკლეს ჰრაბ იბნ 'აბდ ალლაჰ არ-რავანდნ, ვისი სახელის მიხედვითაც ეწოდა ჰარბიბა ბალდადში...²⁰

ტომი 9

გვ. 188

წელი 237 (851-852)

თავი: **'არმენიის მცხოვრებთა აჯანყების მიზეზები აჟსუჰ იბნ მუჰამადის წინააღმდეგ**

...გაგზავნა ალ-მუთავაქქილმა ბულა აშ-შარაბი²¹ 'არმენიაში აჟსუჰისთვის შურის საძიებლად.

ხალხს და ისაა ჯურზანში...³⁴

ტომი 4

გვ. 391

წელი 111 (729-730)

თავი: **ხსენება რამდენიმე ამბისა**

...და მაშინ მოვიდნენ თურქები³⁵ აზარბაიჯანში და შეხვდა მათ ალ-ჰარიხ იბნ 'ამრი და დაამარცხა ისინი. და მაშინ დაინიშნა 'არმენიის მმართველად ჰიშამ ალ-ჯარაჰი იბნ 'აბდ ალლაჰ ალ-ჰაქიმი და თან წაიყვანა მისი ძმა მასლამა იბნ 'აბდ ალ-მალიქი და შეიჭრა ხაზართა ქვეყანაში თიქლესის მხრიდან და დაიპყრო მათი ქალაქი ალ-ბაღლა³⁶ და დატოვა ხელუხლებელი. შემდეგ შეიკრიბნენ ხაზარები ბრბოდ და შეიჭრნენ ისლამის ქვეყანაში და ეს გახდა მიზეზი ალ-ჯარაჰის სიკვდილისა რასაც, ღმერთის ნებით, შემდეგში ვახსენებთ...³⁷

ტომი 6

გვ. 111-112

წელი 237 (851-852)

თავი: **ხსენება 'არმენიის ხალხის ჯანყისა**

...როდესაც შეიტყო ალ-მუთავაქქილმა ამის შესახებ (აჯანყების) გაგზავნა იქ ბულა

¹⁷ შემდგომში მოდის ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი და წერილი თბილისის მოსახლეობისადმი, რომელიც იბნ ალ-ასირთან არ გვხვდება. ხოლო აღნიშნული სიგელის და წერილის თარგმანი მოცემულია თსუ-ს შრომები (1959 ტ.79), რომელიც შესრულებულია ე. სიხარულიძის მიერ.

¹⁸ საუბარია ხაზართა ლაშქრობაზე.

¹⁹ აკლ აზ-ზიმმა.

²⁰ ბალდადის ერთ-ერთი უბანი მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (Le Strange: 1900, 122-33).

²¹ იმ ეპოქაში ორი სარდალი იყო ცნობილი ბულას სახელით, ალ-ქაბირი (დიდი) და ას-სალირი (პატარა). ამასთან, ბულა რომელმაც თბილისში ილაშქრა იყო ალ-ქაბირი, ხოლო აშ-შარაბი არის ას-სალირის ზედწოდება. შესაბამისად ატ-ტაბარი ამ შემთხვევაში შეცდომას უშვებს, რამდენადაც შუა საუკუნეების ისტორიკოსთა სხვადასხვა ცნობების მიხედვით სწორედ ბულა ალ-ქაბირმა ილაშქრა თბილისში.

³⁴ ატ-ტაბარის ცნობიდან ჩანს რომ ჯურზანის მცხოვრებნი თავდაპირველად შეებრძოლნენ ჰაბიბს, თუმცა იბნ ალ-ასირთან ეს მონაკვეთი არ გვხვდება, ისევე როგორც ჰაბიბ იბნ მასლამას წერილი და დაცვის სიგელი.

³⁵ იგულისხმება ხაზარები.

³⁶ არაბულად „თეთრს“ ნიშნავს. არსებობს ორი მოსაზრება ქალაქის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. ერთის მიხედვით ის უნდა ყოფილიყო ქ. სამანდარი, რომელიც ირანული ენის ეტიმოლოგიით ნიშნავს „თეთრ სახლს“. მეორე ვერსიით ასოცირდება ქ. ითილთან, ხაზართ ცნობილ დედაქალაქთან მდ. ვოლგაზე. სამანდარ-ალ-ბაიდას იდენტობა უფრო სავარაუდო ჩანს, რამდენადაც ჯარაჰს ასე შორს, ითლამდე არ ულაშქრია.

³⁷ ამ შემთხვევაში, მოცემული გვაქვს ხაზარების ორი სხვადასხვა ლაშქრობა სამხრეთ კავკასიაში. ატ-ტაბართან არსებული ხაზართა ლაშქრობა, ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰის გარდაცვალებიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ ხდება. ხოლო იბნ ალ-ასირის მიერ დასახელებული ლაშქრობა ჯარაჰის კავკასიაში ყოფნის პერიოდს ეხება.

ის მიადგა 'არმენიას ჯაზირას²² მხრიდან. მან დაიწყო (ლაშქრობა) 'არზანიდან მუსა იბნ ზარარათი, რომელიცაა აბუ ალ-ჰურ და მას ჰყავს ძმები: 'ისმა'ელი, სულაჰმანი, 'აკმადი, 'ისა, მუჰამადი და ჰარუნ. ბულამ გაგზავნა მუსა იბნ ზარარა ხალიფას კარზე. შემდეგ მან განაგრძო და მიადგა ალ-ხავსას მთებს და მათი უმეტესობა იყო 'არმენიის მცხოვრები და მკვლელები აწესუქ იბნ მუჰამადის. ბულა შეებრძოლა და დაამარცხა ისინი და დახოცა მათგან 30 000 და ბევრი ტყვედ ჩავარდა, რომლებიც მან 'არმენიაში გაყიდა. შემდგომ გაეშურა 'ალბაკისკენ და დაატყვევა 'აშუტ იბნ ჰამბა აბა ალ-'აბასი, მმართველი 'ალბაკისა, ხოლო 'ალბაკი არის ალ-ბუსჰურაჯანის ნაწილი და ააშენა ნაშავა. შემდეგ ის წავიდა დაბელში, 'არმენიაში და დარჩა იქ ერთ თვეს, იქედან კი გაეშურა თიქლესისკენ.

გვ. 192

წელი: 238 (852-853)

თავი: **ხსენება ბულას მიერ 'ისჰაკ იბნ 'ისმა'ელის დამარცხებისა და თიქლესის გადანჯისა**

უკვე ითქვა რომ მას შემდეგ რაც ბულა მივიდა დაბელს აწესუქ იბნ მუჰამადის მკვლელობის გამო რომელიც 'არმენიელებმა ჩაიდინეს, დარჩა იქ ერთ თვეს. 238 წლის 10 რაბი' ალ-ავვალს, შაბათს (ე.ი. 852 წლის 30 აგვისტო) ბულამ გაგზავნა თურქი ზირაქი, რომელმაც გადაკვეთა მდინარე ალ-ქურრ, რომელიც არის დიდი მდინარე მსგავსი ას-სარათისა, რომელიც ბაღდადშია,²³ შესაძლოა უფრო დიდიც. და ის არის „ქალაქს“ (მადინას) შუა, თიქლესი არის მის დასავლეთ ნაპირზე,

ალ-ქაბერი, რათა შური ეძია აწესუქისთვის, და გაემგზავრა ალ-მავსილიდან, ალ-ჯაზირადან და დაიწყო 'არზანიდან, მუსა იბნ ზარარათი, რომელსაც ჰყავს ძმები 'ისმა'ელი, სულაჰმანი, 'აკმადი, 'ისა, მუჰამადი და ჰარუნ. ბულამ გაგზავნა მუსა იბნ ზარარა ალ-მუთავაქილთან და [შური იძია] აწესუქის მკვლელობისთვის, მოკლა იმათგან დაახლოებით 30 000 და დაატყვევა ბევრი მათგანი და შემდგომ გაყიდა. გაემართა 'ალბაკის ქვეყნისკენ და შეიპყრო 'აშუტ იბნ ჰამბა აბა ალ-'აბასს მფლობელი 'ალბაკისა და 'ალბაკი არის ალ-ბუსჰურაჯანის მხარეში, შემდეგ გაემართა ქალაქ დაბელში,³⁸ რომელიც 'არმენიაშია და დარჩა იქ ერთ თვეს შემდეგ გაემართა თიქლესს.

გვ. 116

წელი: 238 (852-853)

თავი: **ხსენება იმისა თუ რა მოიმოქმედა ბულამ თიქლესში**

უკვე ვახსენე ბულას გამგზავრებაზე თიქლესში. როდესაც ბულა მასზე წავიდა გაგზავნა თურქი ზირაქი, რომელმაც გადალახა მდინარე ალ-ქურრ,³⁹ ის კი არის დიდი მდინარე ხოლო ქალაქი თიქლესი არის მის ნაპირზე სულდაბელი კი მის გვერდით მისგან აღმოსავლეთით (მდინარისგან). როდესაც გადაკვეთა მდინარე დაეშვა თიქლესის მოედნისკენ (ალ-მაიდან). ბულამ ასევე გაგზავნა აბა აბუ ალ-'აბასს ალ-ვარასი ან-ნასრანე 'არმენიის ხალხზე არაბებისა თუ არა არაბების წინააღმდეგ. და მოვიდა [ის]

²² ზემო მესოპოტამია.

²³ ერთ-ერთი დიდი არხი ძველ ბაღდადში. (იხ. Le Strange, Guy, Baghdad During the Abbasid Caliphate. From Contemporary Arabic and Persian Sources, Clarendon Press, Oxford, 1922. გვ. 56).

³⁸ ქ. დვინი.

³⁹ მდ. მტკვარი.

სულდაბელი კი აღმოსავლეთ ნაპირზე.²⁴ ბუღას ბანაკი იყო აღმოსავლეთ ნაპირზე. ზნაქიმა გადალახა ალ-ქურრი თიქლესის მოედანთან, ხოლო თიქლესს აქვს ხუთი კარი: მაადნის კარი, კარის კარი,²⁵ მცირე კარი, რაბადის კარი და სულდაბელის კარი.²⁶ ალ-ქურრ კი არის მდინარე რომელიც ქალაქთანაა. ბუღამ ასევე გაგზავნა აბუ ალ-‘აბბას ალ-ვა’ი ან-ნასრანე არმინის მოსახლეობაზე არაბებისა თუ არა არაბებისთვის.²⁷ ზნაქი დაუპირისპირდა მათ მოედნის კართან ხოლო აბუ ალ-‘აბბასი რაბადის კართან. ‘ისჰაკ იბნ ‘ისმა’ელი გამოვიდა ქალაქიდან ზნაქისკენ და გაუმართა ბრძოლა. ამ დროს ბუღა დადგა გორაკზე სულდაბელის მხრიდან, რათა ენახა ზნაქისა და აბუ ალ-‘აბბასის ქმედებები, ბუღამ გაგზავნა ცეცხლის მტყორცნელები რომლებმაც ქალაქს გაუჩინეს ცეცხლი. ქალაქი იყო ფიჭვის ხის (შენობები) ხოლო ქარმა გაავრცელა ცეცხლი სწრაფად. როდესაც ‘ისჰაკ იბნ ‘ისმა’ელი მობრუნდა რათა ენახა ქალაქი, ნახა რომ ის ცეცხლში

თიქლესთან ბაბ ალ-მარკასის მხრიდან.⁴⁰ გამოვიდა ‘ისჰაკ იბნ ‘ისმა’ელის ბანუ უმაიას მავლა თიქლესიდან ზნაქის წინააღმდეგ და შეხვდა მას ალ-მაიდანთან. ბუღა კი იდგა გორაკზე შემყურედ იმისა თუ იზამდა ზნაქი და აბუ ალ-‘აბბასი. ბუღამ დაუშინა ქალაქს ცეცხლი ცეცხლ სატყორცნებიდან და დანვა ის, რომელიც იყო ფიჭვის ხის (ნაშენი ფიჭვის ხისგან). შედგა ‘ისჰაკ იბნ ‘ისმა’ელი ქალაქთან და ნახა ცეცხლი, რომელსაც უკვე დაეწვა მისი სასახლე და ჯავარიჰი. მოვიდნენ მასთან თურქები შეიპყრეს ის და მისი ვაჟი ‘ამრი. მივიდა იმ ორთან ბუღა და ბრძანა დაეკრათ ‘ისჰაკისთვის (კისერზე) და გააკრეს [ჯვარზე] მისი გვამი მდინარე ალ-ქურრთან და ის იყო ჩასკვნილი მოხუცი დიდი თავით. ქალაქთან ერთად დაინვა დაახლოებით 50 000 მისი მოსახლისგან და დაატყვევეს ვინც გადარჩა და გაძარცვე მიცვალებულები. დაიპყრო ‘ისჰაკის ოჯახი და რაც იყო მისი ქონებისგან (ფულისგან) სულდაბელში, ხოლო

²⁴ ო. ცქიტეშვილის თარგმანში ვგაქვს ასე: ის (მტკვარი) ახა მედინის შუა. თბილისი დასავლეთის ნაპირზე, სოლდაბილი – აღმოსავლეთ ნაპირზე (ცქიტეშვილი 1963:152). ინგლისურ თარგმანში კი არის ასე: და ის (მდ. მტკვარი, ო.ე.) არის ქალაქსა [დაბილი] და თბილისს შუა, ხომელიც დასავლეთ ნაპირზეა სულდაბილი კი აღმოსავლეთ ნაპირზე (The history... vol. 34 1989:122). ვ. მინორსკიმ კი ეს მონაკვეთი ასე თარგმნა: და ის (მტკვარი) ქალაქ თბილისის შუაზეა (Minorsky 1930:61). ამ შემთხვევაში, ო. ცქიტეშვილი სამართლიანად მიუთითებს ვ. მინორსკის თარგმანის უზუსტობასა და ხარვეზზე, როდესაც ვ. მინორსკი სიტყვა მადინას – ვიზიარებთ ინგლისურ თარგმანსაც, რომელიც გრამატიკულად სწორია თუმცა ლოგიკური არ გამოიძის თბილისსა და დვინს შორის არსებული დაშორებიდან გამომდინარე, მით უფრო, რომ დვინს არაფერი აკავშირებს მტკვართან. რაც შეეხება ო. ცქიტეშვილის ვერსიას, ასევე სწორია არაბული გრამატიკის თვალსაზრისით. თუმცა, თავად ო. ცქიტეშვილს არგუმენტად მოჰყავს სიტყვა მადინას – ვინრო მნიშვნელობა და „მედინაში“ სოლდაბილის მედინას გულისხმობს (ცქიტეშვილი 1963:155-156). მიგვაჩნია, რომ სიტყვა „მედინა“ ამ შემთხვევაში ზოგადად ქალაქს აღნიშნავს მისი ფართო გაგებით, რომელიც მოიცავდა თბილისის ორივე სანაპიროს: მისი რაბადის (სავაჭრო-სახელოსნო უბანი), სოლდაბილს – რომელშიც ამირას სასახლე იყო და ქალაქის ციხე-სიმაგრის ჩათვლითაც. „მადინას“ ამ გაგებით არის იბნ ალ-ასირთან ეს მონაკვეთი მოცემული. მართალია თბილისსაც და სოლდაბილსაც სიტყვა მადინათი მოიხსენიებს, თუმცა სოლდაბილის შემთხვევაში აღნიშნავს, რომ ის არის გამაგრებული, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოლდაბილი არის ქალაქ თბილისის ნაწილი, როგორც მისი სიმაგრე.

²⁵ سائر ساواراؤدودو وندا إغوليسخيمبؤدؤس إستورئؤلى ؤالؤؤى ؤارى إغئؤ ؤارىسئ. ؤؤئؤون არؤبؤلى ؤؤؤسؤئس رؤءؤؤؤؤؤس مؤئئؤبؤبؤلى აؤؤს ؤურؤئؤ/ؤურؤئؤ რؤც ნؤؤლებ سؤؤئؤؤؤبؤبؤلى, مؤئ უؤؤრო, რომ არؤნؤئر گؤنمؤرؤؤبؤს არ ئؤؤؤؤؤ.

²⁶ რამდენაცაც სოლდაბილის კარიც თბილისის კარებს შორისაა დასახელებული, ამით შეგვიძლია განვამტკიცოთ ის მოსაზრება, რომ „მადინაში“ შეგვიძლია ვიგულისხმოთ როგორც საკუთრივ თბილისი (მტკვრის მარჯვენა სანაპირო) ასევე თბილისი სოლდაბილთან ერთად.

²⁷ საინტერესოა ფორმა: عؤ و عؤؤ შდრ. ქართ. ყარიბი და აჯამი.

⁴⁰ ამ სახელით თბილისის კარები გვხვდება მხოლოდ იბნ ალ-ასირთან და მისი წარმომავლობა ჯერჯერობით დაუდგენელია. ატ-ტაბართან არის რაბადის კარი.

იყო მისი სასახლე და ჯავარიჰი²⁸ და ისიც გარემოეცვა ცეცხლს. შემდეგ მას შეუტევეს თურქებმა და მალარიბელებმა და დაატყვევეს იგი და მისი ვაჟი 'ამრი და მიჰგვარეს ბულას. ის დაამწყვდიეს ჰასეჰის კართან²⁹ სადაც მას თავი მოჰკვეთეს და მიჰგვარეს ბულას. მისი სხეული კი ჯვარს აცვეს ალ-ქურრთან. 'ისჰაკ იბნ 'ისმა'ილის იყო ჯმუხი მოხუცი დიდი თავით, ლურჯი ნიშნებით,³⁰ წითური, მელოტი და ელამი. მისი თავი ჩამოკიდეს ჰასეჰის კართან. მის სიკვდილით დასჯას ხელმძღვანელობდა ღამიში, ბულას ხელქვეითი. დაახლოებით 50 000 ადამიანი დაინვა ქალაქში. ერთი დღე-ღამის შემდეგ ცეცხლი თავისით ჩაქრა, რადგან ფიქვის ხის ცეცხლი დიდხანს არ ძლებს. მალარიბელები დილას მოვიდნენ. მათ დაატყვევეს ვინც გადარჩა და გაძარცვეს მიცვალებულები.

'ისჰაკის ცოლი ცხოვრობდა სულდაბლში. ის არის თიქლესის მოპირდაპირედ აღმოსავლეთის მხარეს და ეს ის ქალაქია, რომელიც ააშენა ქუსრა ანუშირვანმა. 'ისჰაკს ის გაემაგრებინა და შემოევილო მისთვის თხრილი და ჩაეყენებინა იქ ხუვაისიას³¹ მეომრები სხვებთან ერთად. ბულამ მათ მისცა შეუვალობა და ისინიც დანებდნენ ნავიდნენ საითაც სურდათ.'ისჰაკის ცოლი იყო შვილი ას-სარნის მფლობელისა. ამის შემდეგ ბულამ გაგზავნა ზნრაქი მეომრებით ალ-ჯარდიმანის³² ციხისკენ, რომელიც არის ბარჯა'ასა და თიქლესს შორის. ზნრაქმა დაიპყრო ჯარდიმანი და დაატყვევა მისი პატრიკოსი ალ-კიტრეჯი ჯარდიმანის გზაზე და მოიყვანა ბანაკში. ამის შემდეგ ბულამ შეუტია 'ისა იბნ აჟსუქს სტეფანოზის დისწულს, რომელიც იყო ქსიშის ციხე-სიმაგრეში, რომელიც ალ-ბაჰლაკანის სანახებშია...

ისაა გამაგრებული ქალაქი (მადინა) თიქლესის პირდაპირ. ააშენა იგი ქასრა ანუშირვანმა⁴¹ ხოლო მისი ციხე 'ისჰაკმა, სადაც ის ინახავდა თავის ქონებას და ცოლს, რომელიც იყო შვილი ას-სარნის მფლობელისა. შემდგომ ბულამ გაგზავნა ზნრაქი ალ-ჯარდიმანის ციხისკენ, რომელიც არის ბარჯა'ასა და თიქლესს შორის ჯართან ერთად. დაიპყრო იგი და მისი პატრიკოსი დაატყვევა. შემდეგ ბულა გაემართა 'ისა იბნ აჟსუქისკენ, რომელიც იყო ციხე ქაბიშში ალ-ბაჰლაკანის მიდამოებში აილო იგი და შეიპყრო ის აბა ალ-'აბას ალ-ვარისისთან ერთად რომლის სახელიცაა სუნბატ იბნ 'აშუტი და შეიპყრო მასთან ერთად მუ'ავია იბნ საჰლ იბნ სუნბატი პატრიკოსი 'არანისა.

²⁸ ჯავარაჰი ეს არის მხევალი ქალები, ჰარემი, რეალურად ის სასახლის ნაწილი იყო.

²⁹ სავარაუდოდ თბილისის კიდეც ერთი კარია და შესაძლოა ეს იყოს უშუალოდ მტკვარზე არსებული გარკვეული ზღუდე, რამდენადაც ჰასაქ ნიშნავს შუბს, ეკალს, ცხაურს.

³⁰ საუბარი უნდა იყოს სვირინგებზე.

³¹ სამწუხაროდ არც ო. ცქიტიშვილის და არც ინგლისურ თარგმანში ამაზე კომენტარი არ არის. შესაძლოა იყოს ორთოგრაფიული შეცდომა და უნდა ეწეროს ჰუვაირის ანუ მცველები, მეციხოვნეები.

³² ჯარდიმანი/ალ-ჯარდიმანი იგივე ქანდიმანის ციხე იგულისხმება გარდაბანი.

⁴¹ ხოსრო ანუშირვანს არა ერთი შუა საუკუნეების არაბ-მუსლიმი ავტორი მიაწერს სოლდაბლის აშენებას.

შეჯამებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ატ-ტაბარის ცნობები ფასდაუდებელია და იბნ ალ-ასირი ამ შემთხვევაში მის შემავსებლად გვევლინება, რამდენადაც ზოგიერთი ცნობა ატ-ტაბარისთან ან ნაკლულია ან შეცდომაა დაშვებული. ნებისმიერ შემთხვევაში მოცემული ცნობები წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროებს არაბთა დაპყრობებისა და მათთან თბილისის/საქართველოს ურთიერთობების ქრონიკაში. ამასთანავე, ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ ბუღა თურქის ლაშქრობას თბილისზე განვიხილავთ უფრო ფართო მოცემულობაში, კერძოდ კი, მისი მიზანი არა მხოლოდ თბილისის ამირას დასჯა, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის სახალიფოსთვის დამორჩილება. აგრეთვე, მისი ლაშქრობის მიზეზი აშკარაა, რომ მხოლოდ ამირას ურჩობა არ ყოფილა, რომელმაც ბევრად უფრო ადრე დე-ფაქტო დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თბილისის ამირას დასჯამდე ბუღას ლაშქრობის მიზანს აჭანყებული სომხეთის დამორჩილება წარმოადგენდა.⁴² ხოლო რაც შეეხება ბაილაკანზე ლაშქრობასა და საჰლ იბნ სუმბატის შეპყრობას, ვვარაუდობთ, რომ ეს უნდა შეფასდეს, როგორც ბუღას მცდელობა, აღედგინა სახალიფოს გავლენა და ძალაუფლება სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაზე.

ცხადია, იბნ ალ-ასირს აქვს გამოყენებული ატ-ტაბარის ცნობები მისი ნაშრომის შესავსებად, თუმცა მიგვაჩნია, რომ ატ-ტაბარი არ ყოფილა მისი ერთადერთი პირველწყარო. მართალია, ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს, ამის მიუხედავად, გვაქვს არაერთ განსხვავებული ფაქტი, რომელიც ატ-ტაბარის ნაშრომში არ გვხვდება. ამასთან, უცნაურია, რომ ატ-ტაბარისთან მოცემული „დაცვის სიგელი“ და წერილი თბილისის მოსახლეობისადმი არ გვხვდება იბნ ალ-ასირთან. ამის საფუძველზე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ იბნ ალ-ასირი ეყრდნობოდა არა უშუალოდ ატ-ტაბარის თხზულებას, არამედ ნაშრომის რომელიმე შემდგომ კომპილაციასა თუ გადამუშავებულ ვარიანტს. დასაშვებია მეორე ვერსიაც, რომ იბნ ალ-ასირმა გამოიყენა ატ-ტაბარის თხზულების შემოკლებული ვარიანტი, თავის მხრივ კი, იბნ ალ-ასირმა სხვა ავტორთა ცნობები დაამატა, რომელიც მას მოეპოვებოდა.

მოცემული საკითხების გარშემო შესაძლოა, კიდევ გაგრძელდეს კვლევები სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს ისტორიული შედარების ანალიზი თუ საკუთრივ ტექსტების ანალიზი სხვა არაბი-მუსლიმი ავტორების ცნობებთან მიმართებით.

ლიტერატურა:

- ეჯიბია ო.**, დისერტაცია (2022). IX-X საუკუნეების არაბი გეოგრაფების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.
- მაჭავარიანი ი.** (1897). ცნობანი იბნ ალ-ათირისა, მოამბე #12, სტამბა წიგნების გამავრცელებელთა ამხანაგობისა.
- სილაგაძე ბ.** (1971). ჰაბიბიბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ დათარიღებისთვის, „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერიები, # 1, 68-86.
- სიხარულიძე ე.** (1959). არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ-ს შრომები, ტ. 73, 167-181.
- სიხარულიძე ე.** (1961). საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის, მოამბე #1, 185-195.
- ყურანი** (2006). არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჯანიძემ, კავკასიური სახლი.
- ცქიტიშვილი ო.** (1963). ძველი თბილისის ისტორიიდან (ისნის საკითხისათვის), მოამბე #5, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გვ. 142-160.

⁴² ისკაკ იბნ ისმაილის ურჩობისა და სტატუსის შესახებ იხ. ეჯიბია ო., დისერტაცია (2022): IX-X საუკუნეების არაბი გეოგრაფების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 30-32.

- ჯაფარიძე გ.** (2014). თბილისის ამირა ისჰაკ იბნ იმა'ილ ალ-უმავი ათ-თიფლისი შუა საუკუნეების აღმოსავლურ წერილობით წყაროებსა და ისლამურ მხატვრობაში, საისტორიო კრებული: წელიწდეული #4, მხედარი.
- Kamil Fi-t-Tarikh**, T. 2, (1987), ed. Abu-l-Fida' abd Allah al-Qadi, Darul Kitab al-'alamia. (არაბულ ენაზე)
- Kamil Fi-t-Tarikh**, T. 4, (1987), ed. Muhammad Yusuf, Darul Kitab al-'alamia. (არაბულ ენაზე)
- Kamil Fi-t-Tarikh**, T. 6, (1987), ed. Muhammad Yusuf, Darul Kitab al-'alamia. (არაბულ ენაზე)
- Kitab al-masalik wa'-l- Mamalik, Ibn Khordadhbeh; Kitab Al-Kharadj, Kodama Ibn Dja'far**, (1889), Edit. M.J. DE Goeje, E.J.Brill. (არაბულ ენაზე)
- Tarikh at-Tabari**, T. 4, (1970), ed. Muhammad abu al-Fadl Ibrahim, Darul Ma'arif Fi-l-Misr. (არაბულ ენაზე)
- Tarikh at-Tabari**, T. 8, (1975), ed. Muhammad abu al-Fadl Ibrahim, Darul Ma'arif Fi-l-Misr. (არაბულ ენაზე)
- Tarikh at-Tabari**, T. 9, (1976), ed. Muhammad abu al-Fadl Ibrahim, Darul Ma'arif Fi-l-Misr. (არაბულ ენაზე)
- Bosworth C.E.** (2000), *Al-Tabari*, The Encyclopaedia of Islam Vol. 10, Brill.
- Donner, Fred McGraw**, (1980), The Bakr B. Wā'il Tribes and Politics in Northeastern Arabia on the Eve of Islam. *Studia Islamica*, no. 51.
- Gabrieli Francesco**, (1969), Arab Historians of the Crusades: Selected and Translated from the Arabic Sources, The Islamic World, translated by E. J. Costello, Routledge & K Paul.
- Le Strange, Guy**, (1900), Baghdad During the Abbasid Caliphate, Clarendon Press.
- Le Strange, Guy**, (1922) Baghdad During the Abbasid Caliphate. From Contemporary Arabic and Persian Sources, Clarendon Press.
- Steven C. Judd**, (2006), Medieval islamic civilization Vol.1, Tabari Al-, Routledge.
- Minorsky V.** Transcaucasica, (1930), *Journal Asiatique*, Tome 217, Imprimerie Nationale.
- Rippin A.** (1997), Shu'ayb, The Encyclopaedia of Islam, Vol., IX, Brill, გვ. 491.
- The history of at-Tabari** vol. 1, (1989), General Introduction, transl. by Franz Rosenthal, State University of New York Press.
- The history of at-Tabari** vol. 34, (1989), General Introduction, transl. by Joel L. Kraemer, State University of New York Press.
- The Oxford Dictionary of Byzantium** Vol. 2, (1991), Ibn Al-Athir, Ed.in chief: A.Kazhdan, Oxford University Press.
- Yasir Suleiman**, (1996), Language and identity in the Middle East and North Africa, Curzon Press.
- Текст воспроизведен по изданию:** Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-камилъ (полного свода истории) Ибн-ал-Асира (1940), АзФан.
- Ибн аль-Асир**, Большая советская энциклопедия (БСЕ): т. 9, (1972), гл. ред. А. М. Прохоров, 3-е изд, Советская энциклопедия.

ინტერნაციონალიზაციის პროცესები საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში

Processes of Internationalization of the Higher Education System of Georgia

ფიქრია ვარდოსანიძე

Pikria Vardosanidze

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*

წარმოდგენილი საკითხის განხილვა არის ჩემი სადისერტაციო კვლევის გაგრძელება. წინა კვლევის – „ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების ურთიერთმიმართების კვლევა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე“ შედეგების საფუძველზე დავიწყებ განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის პრაქტიკის კვლევა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. მოგვხსენებათ თემა აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში, სადაც ხდება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, ერთიან სამეცნიერო სივრცეში კვლევების მოქცევა, სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის პროცესის თანმდევი გამოწვევების განხილვა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება. საქართველო, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის სიახლეებს თუ გამოწვევებს, რომლებიც მიმდინარეობს გლობალურად.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკის შესწავლა. მეთოდი: კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე შეგროვდა რაოდენობრივი მონაცემები, ხოლო მეორე ეტაპზე – თვისებრივი. თეორიული კვლევა მოიცავს რელევანტური ლიტერატურის (არსებული კვლევების, თეორიების) განხილვას შემდეგ საკითხებზე: ა) უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია მეცნიერების სხვადასხვა სფეროში; ბ) ინტერნაციონალიზაციის თეორიები; სისტემური მიდგომა ინტერნაციონალიზაციისადმი. ემპირიული კვლევა მოიცავს რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, მათ შორის: ა) უსდ სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების, ინტერნაციონალიზაციის პროცესების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვებას; ბ) ჯგუფურ და ჩაღრმავებულ ინტერვიუებს უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომლებთან და სამივე საფეხურის სტუდენტებთან. შერჩევა მოხდა შემდეგნაირად: სამიზნე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისგან ინფორმაციის მიღება მოხდა ორი გზით: ა) მათ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია: მისია, სტრატეგია და ბ) ოფიციალური წერილებით შესაბამის სამსახურისადმი. რა საერთაშორისო მემორანდუმები და თანამშრომლობა აქვთ უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად; ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოელ ექსპერტთა ჩატარებულ ჩართულობით რამდენმა საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია.

ჩაღრმავებული და ჯგუფური ინტერვიუების კითხვარები სამიზნე უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან გაკეთდა თემების მიხედვით: უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისთვის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საგარეო ურთიერთობათა სამსახურებისთვის და სტუდენტებისთვის. ყველა მონაცემი დამუშავებულია თემატური ანალიზით.

კვლევის პოპულაციას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტები. უნივერსიტეტები შევარჩიე შემდეგი პრინციპების მიხედვით: ა) მხოლოდ დიდი ზომის (სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, მაგ., 2000-ზე მეტი სტუდენტი); ბ) გეოგრაფიული პრინციპი: უნივერსიტეტები

დედაქალაქში და გ) რეგიონის უნივერსიტეტები. კვლევის პროცესში გამიზნული იყო, კვლევას მოეცვა არა მხოლოდ დედაქალაქი, არამედ ქვეყნის რეგიონები (დასავლეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი). სულ 7 უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტების 80% შევარჩიე (3 უნივერსიტეტი), ხოლო რეგიონების უნივერსიტეტების – 70% (4 უნივერსიტეტი). ჩემ მიერ შერჩეული უნივერსიტეტები წარმოდგენილია რუკაზე.

რეგიონების უნივერსიტეტების შერჩევისას მნიშვნელოვანი იყო გეოგრაფიის გათვალისწინება, რომ შერჩევაში მოხვედრილიყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, რადგან ეს რეგიონები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან უმაღლესი განათლების და კვლევის ტრადიციით, უცხო ენის ცოდნის დონით და სხვ. აღსანიშნავია, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ფაკულტეტები არ ფუნქციონირებენ ერთნაირი პრინციპით, შესაბამისად, შევეცადე, ჩემი პოპულაციიდან ისე ამერჩია ფაკულტეტები, რომ შევხებოდი თითქმის ყველა დარგის საგანმანათლებლო პროგრამას. შერჩეული ფაკულტეტები ცხრილი #2

I თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე – უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ცნების განსაზღვრება მრავალგვარია, გვხვდება ბევრი განსხვავებული აზრი, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ცნების განსაზღვრების ეს მრავალფეროვნება არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, პირიქით, ავსებს კიდევ, რადგან, თავად ცნებაა მრავლისმომცველი და, აქედან გამომდინარე, შეიძლება, ბუნებრივიც იყოს, რადგან სხვადასხვა ავტორი ცნების განსხვავებულ ასპექტს აქცევს ყურადღებას, ან შედარებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ცნობილმა მკვლევრებმა (დე ვიტი, ხორსანდი, სტიერი, ნაითი და სხვები) იკვლიეს ინტერნაციონალიზაციის ცნების მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული დანიშნულება უმაღლეს განათლებაში და დაადგინეს, რომ ინტერნაციონალიზაციის თეორიას და ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკულ აღქმას შორის სხვაობაა. *ინტერნაციონალიზაციის თეორიულ მხარედ* მიიჩნევა შემდეგი საკითხების განხილვა: უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროს გაფართოება, სასწავლო პროცესის ხარისხი, ცხოვრების სტილის გაუმჯობესება, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა, საგანმანათლებლო და ინტელექტუალური ღირებულებები, აკადემიური სფეროს გაძლიერება, გლობალური ცნობიერებისა და საერთაშორისო გავლენა. ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკულ მხარედ მოიხრება კომერციალიზაცია: უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა, საერთაშორისო ბრენდის და რეპუტაციის შექმნა, უნივერსიტეტის სახელის ბრენდად ქცევა, კონკურენცია და ა.შ.

II საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე – ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცე, შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეა. 2005 წლიდან ბოლონის პროცესის მიერ საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში შემოტანილია მრავალი ცვლილება. ქვეყანაში მოქმედებს საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ., Erasmus+, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ჰორიზონტ 2020), რომლებიც ახორციელებენ გაცვლით პროგრამებს, სტიპენდიებს, გრანტებს სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე.

მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ ესმით ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია. აღმოჩნდა, რომ ქართულ კანონმდებლობაში პირდაპირი, ცალსახა განმარტება ინტერნაციონალიზაციისა არ არსებობს. თუმცა, არის ირიბი მინიშნებები უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონშიც, პარლამენტის დადგენილებაში და საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეგულაციებშიც. დოკუმენტი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა (2016-2020), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს მეცნიერებისა და განათლების განვითარებას. აქ ხაზგასმულია, რომ განათლების ინტერნაციონალიზაცია უპირობო პრიორიტეტულობაა, რომ სწორედ „ინტერნაციონალიზაცია უწყობს ხელს განათლების ხარისხის განვითარებას“ (სტრატეგიული გეგმა 2016-2020, გვ. 5). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინტერნაციონალიზაცია უნდა შეფასდეს ხარისხის მიერ

და, ამავე დროს, ინტერნაციონალიზაცია განათლების ხარისხის ზრდას უნდა იწვევდეს. ჩემ მიერ განხილული ცვლილებებით მინდოდა, მეჩვენებინა დინამიკა, თუ როგორ იხვეწებოდა სწავლებისა და კვლევების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია საკანონმდებლო დონეზეც და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მისიებსა და სტრატეგიებში.

საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ბევრი და საინტერესო კვლევაა, ჩემი სადოქტორო კვლევა შეეხებოდა მხოლოდ სადოქტორო საფეხურზე ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის მიმართებას, ხოლო თუ როგორ ხდება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაცია ინსტიტუციურ დონეზე, ასეთი კვლევა არ არის, ამგვარად, წინამდებარე სტატია ამ ლიობის ამოვსებას ისახავს მიზნად და შემდეგ კითხვებს მოიცავს:

- რა არის უნივერსიტეტებისთვის ინტერნაციონალიზაციის პროცესი/ორგანიზაციული მიდგომა?
- რატომ სურთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ინტერნაციონალიზაციის დაწერვა და განხორციელება?
- თუ განსხვავდება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში?
- თუ განსხვავდება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა განათლების საფეხურებს შორის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო)?
- თუ ხვდებათ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს რაიმე პრობლემა ინტერნაციონალიზაციის განხორციელების დროს?
- თუ არის სხვაობა ამ პრობლემებთან დაკავშირებით განათლების საფეხურებს შორის?

III კვლევის შედეგები:

რაოდენობრივი კვლევის შედეგების საფუძველზე ჩატარებული თვისებრივი კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ, რამდენადაც უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის შესახებ მკაფიოდ უწერიათ სტრატეგიულ გეგმებსა თუ მისიებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ აქვთ ორგანიზაციული მიდგომა, თუმცა, დეტალურად განერილი შესრულების მექანიზმები და/ან შემდეგ შემომნების დეტალური ფორმები და კრიტერიუმები არ არის. ამის გარეშე კი ინტერნაციონალიზაციის მრავალფეროვანი პროცესი მხოლოდ ფორმალურ ელფერს იძენს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს, პირველი სტანდარტის მოთხოვნის საფუძველზე ადასტურებენ ინტერნაციონალიზაციის გარკვეულ კომპონენტს, თუმცა, კონკრეტულად დემინგის შეფასების ციკლის კონკრეტულად რომელ ეტაპზე, ზუსტი პასუხი ვერ მივიღე. აქაც იკვეთება განხორციელებისა და შეფასების/განვითარების ნაწილში ფორმალობა.

საყურადღებოა ანალიზის საფუძველზე გამოთქმული ვარაუდი დემინგის ციკლის დარღვევის შესახებ (გარდა შემომნებისა) – დაგეგმვის ნაწილში (არასაჭირო საგნების შეთავაზება და საჭირო საგნების არ/ვერ შეთავაზება სტუდენტებისათვის), განხორციელების ნაწილში (დაგეგმილი მობილობისა თუ საერთაშორისო პრაქტიკის დროს არასაკმარისად გამოყოფილი თანხა, სამეცნიერო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა საბაკალავრო და/ან სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით) და განვითარების ნაწილში (სტუდენტები არ ავსებენ ყოველსემესტრულ გამოკითხვებს, რადგან არავის არასდროს გაუთვალისწინებია მათი რეკომენდაციები, არ თვლიან საჭიროდ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობას კვლევის მიზნით).

დაჯამებულად გამოკვეთილი პრობლემები კი შეიძლება ასე დალაგდეს:

- უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის შესახებ მკაფიოდ უწერიათ სტრატეგიულ გეგმებსა თუ მისიებში, შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ აქვთ ორგანიზაციული მიდგომა, თუმცა, არ არის დეტალურად განერილი შესრულების მექანიზმები და/ან შემდეგ შემომნების დეტალური ფორმები და კრიტერიუმები. ამის გარეშე კი ინტერნაციონალიზაციის მრავალფეროვანი პროცესი მხოლოდ ფორმალურ ელფერს იძენს;

- უნივერსიტეტები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს, პირველი სტანდარტის მოთხოვნის საფუძველზე ადასტურებენ ინტერნაციონალიზაციის გარკვეულ კომპონენტს, თუმცა, განხორციელების ნაწილში მათი წარმოდგენა ბუნდოვანია;
- ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ დემინგის ციკლის არასათანადოდ შესრულება – დაგეგმვის ნაწილში (არასაჭირო საგნების შეთავაზება და საჭირო საგნების არ/ვერ შეთავაზება სტუდენტებისათვის), განხორციელების ნაწილში (დაგეგმილი მობილობისა თუ საერთაშორისო პრაქტიკის დროს არასაკმარისად გამოყოფილი თანხა, სამეცნიერო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა საბაკალავრო და/ან სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით) და განვითარების ნაწილში (სტუდენტები არ ავსებენ ყოველსემესტრულ გამოკითხვებს, რადგან არავის არასდროს გაუთვალისწინებია მათი რეკომენდაციები);
- უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ფორმების შესახებ აქვთ საკმაო ინფორმაცია, თუმცა ორგანიზაციული მიდგომის ნაწილში ქაოტური, არასისტემური დამოკიდებულებაა, ინტერნაციონალიზაციის ცნების სიღრმისეული ვერგაგების გამო, შესრულების ნაწილი ზოგჯერ გაუაზრებლად ხორციელდება;
- გამოიკვეთა უნივერსიტეტის რესურსების პრობლემა, ლაბორატორიების საჭირო რესურსებით აღჭურვა, რათა შესრულდეს ხარისხიანი კვლევა; ამონაგების ნაწილში – მობილობაში მონაწილეობის შემდგომ უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს სტუდენტებისგან სრულყოფილი უკუკავშირი. ამ პრობლემების გადასაჭრელად ეფექტიანი იქნება ინტერნაციონალიზაციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების შესაბამისი მოდელი, რომელიც მორგებული იქნება ქართული განათლების სივრცეს და რომელიც წარმოდგენილია ჩემს უკვე დასრულებულ კვლევაში. ამ სტატიის ფარგლებში კი გამოიკვეთა ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მართვის ზემოდან, ე. წ. top down მოდელი, რაც ინტერნაციონალიზაციის საინტერესო, შრომატევად და საჭირო პროცესს უფრო შინაარსობრივსა და ეფექტიანს გახდის და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ამ პროცესის თანმდევი ფორმალობა.

სტატიის თეორიული ღირებულებაა საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკის თეორიული ჩარჩოს შექმნა. სტატიის პრაქტიკული ღირებულებაა საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უკვე არსებული (ფ.ვ.) ინტერნაციონალიზაციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესის ეფექტიანი მოდელის პრაქტიკულად გამოყენება და მართვის ზემოდან, ე.წ. top down მოდელის პრაქტიკაში დანერგვა, რაც ორმაგად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის განათლების სივრცისთვის.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ თუ საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ამ მოდელს გამოიყენებენ ინტერნაციონალიზაციის შეფასებისას, ეს უფრო სისტემურს გახდის ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვან და მრავალფეროვან პროცესს, იქნებოდა ტერმინის სიღრმისეული გააზრებაც და მაქსიმალურად შემცირდებოდა პროცესის ქაოტურობა. საქართველო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა და აქვს სპეციფიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, მათ შორის განათლების სისტემა. საქართველოსათვის ძირითადი სტრატეგიული მიზანი – ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განვვრიანება – ჯერ კიდევ მხოლოდ სამომავლო პერსპექტივაა, მიუხედავად იმისა, რომ მიზნის მიღწევისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაულალავი მუშაობაა. ჩვენი ქვეყნის განათლების სივრცეში ხშირად რეფორმები პირდაპირ გადმოტანილია ადგილობრივი კონტექსტის გაუაზრებლად, რაც, სამწუხაროდ, ართულებს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გააზრებულად წარმართვას, აქვს ფორმალობის ელფერი და ეჭვქვეშ აყენებს პროცესის ობიექტურობასა და ეფექტიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების შემდგომი გაუმჯობესებისა და საერთაშორისო ცნობადობისათვის.

ლიტერატურა:

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. (2019). MES 6 19 00435997, თბილისი.
- ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, ESG. (2015). ჰელსინკი.
- ლეჟავა დ., ამაშუკელი მ.** (2016). ბოლონის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, თბილისი.
- დარჩია ი.** (2013). უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, თბილისი.
- სტიგლიცი ჯ.** (2012). გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბილისი.
- ჰოფსტედე გირტ, ჰოფსტედე გერტ იან** (2011). კულტურები და ორგანიზაციები, გონების პროგრამული უზრუნველყოფა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
- უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები. (2008 ნოემბერი). განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი.
- ალფენიძე ი.** (2014). უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი და მისი სრულყოფის მიმართულებები საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი.
- ბრეგვაძე თ., გურჩიანი ქ., გრძელიძე ი., კახიძე ა.** (2017). უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში, თბილისი.
- საქართველოში უმაღლესი კვლევის დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი, პოლიტიკის დოკუმენტი. (2014). ავტორთა ჯგუფი, თბილისი.
- სართანია ვ.** (2016). ინტერნაციონალური ტენდენციები უმაღლესი განათლების სისტემაში, გლობალიზაცია და ბიზნესი. #2, თბილისი.
- სადოქტორო განათლება საქართველოში, ანგარიში. კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, (2012). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში, ანგარიში, კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, (2014). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- სამნიაშვილი ლ.** (2017). ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი: თსუ.
- Javakhishvili N. Glonti L.** (2011). Still in Transition: Quality Assurance Systems in Georgia, Tbilisi.
- Jibladze E.** Institutional Transformation and Lack of Improvement in the Higher Education system of Post-Revolution Georgia, (2015), Budapest, Hungary
- Tight M.** Globalization and internationalization as frameworks for higher education research, 2019
- Marinoni G.** Egron-Polak E. and Green M. A changing view of the benefits of HE internationalization, (2019), USA
- Billing D.** International Comparisons and Trends in External Quality Assurance of Higher Education: Commonality or Diversity? Vol. 47, No. 1, 2004
- Larsen M. A.** Internationalization in Canadian Higher Education: A Case Study of the Gap between Official Discourses and On-the-Ground Realities, 2015
- Wit H. D. and Schendel R.** Internationalization Higher Education, 2019
Joint Staff Working Document, Association Implementation Report on Georgia, Brussels (6.2.2020), SWD (2020) 30 Final
- Söderqvist M.** Internationalization and Its Management at Higher Education Institutions (2017), Helsinki
- Abdoul T.** Higher Education Internationalization and Quality Assurance in North-South Cooperation (2019), Tunisia

Knight J. Wit H.d. Internationalization of higher education: Past and future 2018

Knight J. Internationalization of Higher Education: New Direction, New Challenges (2005), Ontario

Knight J. Updating the Definition of Internationalization (2011), Ontario

<https://www.eqar.eu>

<http://www.ehea.info/page-ministerial-declarations-and-communiques>

https://www.researchgate.net/profile/John-Donnellan-2/publication/356175303_Sustainability_of_Internationalization_in_Higher_Education/links/618ed85e07be5f31b7754224/Sustainability-of-Internationalization-in-Higher-Education.pdf

თამარ მეფის ეპოქა და შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულებები სევერიან მაისაშვილის შემოქმედებაში

The Epoch of King Tamar and the Portrait Images of Shota Rustaveli in the Works of S. Maisashvili

როსტომ კაჭახიძე

Rostom Katchakhidze

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, Georgia

ნაშრომი ეხება სევერიან მაისაშვილის მრავალმხრივ შემოქმედებაში არსებულ შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის ისტორიულ ეპოქაზე მიძღვნილ მრავალ ფერწერულ თუ გრაფიკულ გამოსახულებას და მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებულ სიუჟეტურ თუ პორტრეტულ კომპოზიციებს. საკითხის ასე დასმა და ერთიან ქრილში განხილვის ბიძგს უშუალოდ მხატვრის შემოქმედება იძლევა. თითქმის ყველა თემატურ სიუჟეტში, სევერიან მაისაშვილი თამარ მეფესთან ერთად გამოსახავს შოთა რუსთაველსაც, როგორც მისი თანმხლები პირი. ფაქტია, რომ მოქმედების ამგვარი ასახვისთვის, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება ისტორიული წყაროდან, რომ დასტურდებოდეს შოთა რუსთაველის აუდიენციის შესახებ თამარ მეფის კარზე. თუმცა ს. მაისაშვილი საკუთარი ინტერპრეტაციით გვთავაზობს მათ ხშირ და ახლო ურთიერთობას. რაც ვფიქრობ, გამონვეულია მხატვრის მიერ

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ღრმა შესწავლის საფუძველზე და თამარის დროინდელი ისტორიული სიუჟეტების ასახვისას, სამეფო კარზე თამართან ერთად, შოთა რუსთაველსაც წარმოგვიდგენს ხოლმე.

თამარ მეფის მოღვაწეობის შესახებ უამრავი ისტორიული წყარო მოგვეპოვება, თუმცა შოთა რუსთაველის შესახებ ძალიან მწირია ისტორიული ცნობები. ჩვენამდე მოღწეულია მისი ერთადერთი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის მხატვრული აზროვნება და იდეური მიდრეკილებანი, ჩვეულებრივ, ევროპული რენესანსის ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე არის მიჩნეული.

შეიძლება ითქვას, რომ ს. მაისაშვილის შემოქმედებაში, ილუზორულად, მიღმიერად და ირიბად ისახება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ისტორია, მართალია, არა ისტორიულად დადასტურებული ფაქტების საფუძველზე, თუმცა არც რეალობას სრულად მოკლებული მოცემულობით, მხატვრის შემოქმედებაში თამარ მეფის სიახლოვეს პოეტის არაერთხელ გამოსახვის სხვადასხვა კომპოზიციურ სიუჟეტში. ს. მაისაშვილის შემოქმედების ამ ნაწილის ერიანად დალაგებისას, რომელიც თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის თემატიკას ეხება, მიჩნდება აზრი, რომ მხატვარი რუსთაველის ეპოქას ხატავს, რომელსაც თამარი მართავს, და არა თამარის ეპოქას, სადაც რუსთაველიც მოღვაწეობდა. თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ნარატივი გასდევს ყველა იმ ისტორიული ჟანრის ნაწარმოებს, რომელსაც ს. მაისაშვილი გვთავაზობს. ვეცდები ამ იდეური მოცემულობის განვრცობას.

დაზგური ფერწერის სამფიგურიან კომპოზიციაზე, რომელიც ს. მაისაშვილის მიერ 1940-იან წლებშია შესრულებული,¹ ასახულია XII-XIII სს.-ის, ერთი თაობის პოეტების:

რუსთაველის, ჩახრუხაძისა და მოსე ხონელის ჯგუფური პორტრეტი, რომელთა შეხვედრაც ვითარდება კვადრატული ქვის წყობით მოფილაქნებული იატაკის მქონე აივანზე, რაც ქართული ტრადიციული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მეტყველი მხატვრულ- ხუროთმოძღვრული

¹ დაკულია სემ – შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

ელემენტია. აივნის ნახევარწრიული, ორთაღოვანი ღიობიდან კლდოვანი პეიზაჟი იშლება. საპირისპიროდ კი ხის მრავალკუთხოვან, მოჩუქურთმებულ მაგიდასთან სხედან პოეტები: მარცხნივ – შოთა რუსთაველის, შედარებით უფრო დიდი ზომის ფიგურაა გამოსახული; მის მოპირდაპირედ, მოხრილი მარცხენა იდაყვით, მაგიდას დაყრდნობილი მოსე ხონელია, ხოლო მათ შუაში ჩახრუხადის გამოსახულებაა. ამ სამი პოეტის მხატვრის მიერ ერთ სივრცეში მოთავსებამ კი ხაზგასმით წარმოაჩინა ის უცილობელი ქეშმარიტება, რომ საქართველოს „ოქროს საუკუნის“ შემქმნელები შოთა რუსთაველთან ერთად მოსე ხონელი და ჩახრუხაძეა.

ჩემია ზრით, კომპოზიციაზე ორი იდეის განვრცობა არის შესაძლებელი:

1. სტუმრად მოსულ პოეტებს, რუსთაველი უკითხავს ნაწყვეტს საკუთარი პოემის იმ თავიდან, სადაც „ქაჯეთის ციხესთან“ ვითარდება მოქმედება. იდეის ამგვარი დაკონკრეტების საშუალებას მაძლევს, პოეტების უკან გამოყენებული პეიზაჟი, რომელიც მთლიანად ეხმიანება ს. მაისაშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ LIII თავის ილუსტრაციაზე ასახულ „ქაჯეთის ციხეს“

2. ან პირიქით, შოთა რუსთაველის შეფასების მომლოდინე მოსე ხონელი, როგორც ავტორი „ამირანდარეჯანიანის“ და ჩახრუხაძე – ავტორი „თამარიანის“.

ჩემთვის მეორე იდეური გამოვლინება უფრო მისაღებია. მხატვრულ-კომპოზიციური ნიშან-თვისებებით, „სამი პოეტის“ სიუჟეტურ გამოსახულებაზე პირველივე შეხედვისთანავე იკვეთება კომპოზიციის მთავარი გმირი – შოთა რუსთაველი, რომლის ფიგურა ჩაცმულობით და შედარებით უფრო დიდი ზომით არის აქცენტირებული. მხატვრული დეტალების საშუალებით, თითქოს ერთმანეთის თანასწორად გამოსახულ და ჩაფიქრებულ პოეტებს შორის, შოთა რუსთაველი დაწინაურებულია კომპოზიციაზე მისი ფიგურის ფრონტალურად მოქცევით, წელში გამართული ჯდომის ამაყი, ლალი და თავისუფალი ფორმით, მის ფეხებქვეშ კვადრატული ფორმის საგებით, რომელიც თითქოს კვარცხლბეკის ფუნქციას ითავსებს. სამივე პოეტის ფიგურის მიღმიერ ფონად იშლება რუსთაველის პოემიდან კულმინაციური ფრაგმენტი „ქაჯეთის ციხის“. ეს დეტალები პოეტებს შორის ქმნის გარკვეულ იერარქიულობას და, ამავედროულად, მხატვარი მიგვანიშნებს XII-XIII სს.-ის ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის უპირატესზე – „ვეფხისტყაოსანზე“.

ვინაიდან შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ თემა უსაზღვროდ დიდია და წარმოდგენილია მისი სრულად ერთ ნაშრომში მოქცევა, მოცემულ ტაბულაზე მაქსიმალურად წარმოვადგინე XX ს.-ის მხატვართა და მოქანდაკეთა მიერ შოთა რუსთაველის ფერწერული და სკულპტურული პორტრეტების ის ნიმუშები, რომლებიც მხატვრულ სიახლოვეს ავლენს ე. წ. ზაზასეულ „ვეფხისტყაოსნში“ მოცემულ შოთას პორტრეტთან, რადგან ეს გამოსახულება გახლავთ შემდგომ განვრცობილი რუსთაველის იკონოგრაფიული სახის დასაბამი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რაც რუსთაველის ფერწერული და გრაფიკული პორტრეტების ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგებით წარმოჩინდა, ვგულისხმობ, პორტრეტების ორ თემატურ ნაწილად დაყოფას: პირველი, რუსთაველის სახე ნეიტრალურ ფონზე და მეორე, რუსთაველი, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, სადაც პოეტი წარმოდგენილია პოემის დასკვნითი მონაკვეთის – „ქაჯეთის ციხის“ ფონზე, რაც აშკარად მიგვითითებს დაკვეთით შესრულებულ მხატვრობაზე, სადაც საკუთარი სტილის წარმოჩენის შესაძლებლობა ნაკლებად მიეცათ მხატვრებს.

ს. მაისაშვილმა თავისი შემოქმედების იმ ეტაპზე, როდესაც ეს საერთო დაკვეთა იყო მხატვრების მიმართ, რუსთაველის პორტრეტის ფერწერული ტილოები ორივე თემატური აქცენტირებით შეასრულა. ერთ-ერთი მათგანი ზემოთ განვიხილეთ, სადაც XII-XIII სს.-ის „სამი პოეტია“ წარმოდგენილი „ქაჯეთის ციხის“ ფონზე; ხოლო მეორე ტილოზე რუსთაველი ნეიტრალურ ფონზეა წარმოდგენილი და ზუსტად იმეორებს თანამედროვე, წინა თაობის და შემდგომი თაობების მხატვართა რუსთაველის პორტრეტის გამოსახვის სტილისტურ ერთიანობას.

ს. მაისაშვილის შემოქმედება გამოირჩევა მისსავე პერიოდში არსებული აქტუალური თემების იმპროვიზაციული, განსხვავებული და თავისუფალი სიუჟეტური თემატიკით, რომელიც მჭიდროდ

კავშირს ამყარებს გარემოსა და ფორმის ასახვის კულტურულ და ეროვნულ ტრადიციებთან, რაც აშკარად ჩანს სევერიან მაისაშვილის გრაფიკულ გამოსახულებებში.

ორი სიუჟეტური გამოსახულება, რომელიც დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში, ასახავს ეპიზოდებს თამარ მეფის ეპოქიდან. სამწუხაროდ, მუზეუმი ვერ გვანვძის ცნობებს ნახატების შექმნის ზუსტი თარიღისა და სათაურების შესახებ, თუმცა 1967 წელს ბატონ მამია დუდუჩავას მიერ გამოცემული კატალოგის მიხედვით, აშკარად შეგვიძლია ამ ნამუშევრებს აღვუდგინოთ სახელი და თარიღი, რადგან ს. მაისაშვილის შემოქმედებაში ამ თემაზე შესრულებული სხვა არცერთი ნამუშევარი არ მოიპოვება. მ. დუდუჩავას მიხედვით, ეს ნამუშევრები გახლავთ „გამოცანების თეატრი XII საუკუნე“. ამ სახელწოდებით, ს. მაისაშვილს ორჯერ შეუსრულებია სიუჟეტური გამოსახულება 1946 და 1948 წლებში. ძნელი სათქმელია მათ შორის პირველი რომელი დაიხატა, თუმცა 1967 წლისთვის ამ სახელწოდებით არსებული ორივე ნახატი, შესრულებული ქალაქდზე გუამითა და აკვარელით, ინახებოდა ყოფილი საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის საცავში, რომლის ფონდიც დღეს განთავსებულია ამჟამინდელ ხელოვნების სასახლეში, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ ნახატის ზომების მიხედვით, რომელსაც მ. დუდუჩავა გვანვძის, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 33X24 სმ. 1946 წელს განეკუთვნება, ხოლო 26X20 სმ. 1948 წლით თარიღდება².

ორივე ნახატის შემთხვევაში, სხვა ისტორიულ პირებთან ერთად, შოთა რუსთაველი თამართან ერთად როგორც არა მხოლოდ ერთ-ერთი პერსონაჟი, არამედ როგორც სასახლის კარზე და უშუალოდ თამართან დაახლოებული პირია წარმოდგენილი. ამგვარი სიახლოვის შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნე, არ არსებობს არანაირი ისტორიული წყარო, რომლის არგუმენტად მოხმობა არის შესაძლებელი. შესაბამისად, ასეთი მხატვრული გადაწყვეტა უშუალოდ ს. მაისაშვილისეული ინტერპრეტაციაა, გაჯერებული ეროვნული მხატვრობის ტრადიციების ქრილში და კვლავ, მხატვრის მიერ რუსთაველის პიროვნული და პოეტური სიღრმეების გააზრების საფუძველზე შექმნილი თამარის ეპოქის, „ვეფხისტყაოსნის“ პოემიდან გაცხადებული, შოთას იდეოლოგიური გადმოსახედიდან აღწერის ნარატივით გაჯერებული.

აქვე უნდა ვახსენოთ გამომცემლობა „საბლიტგამის“ მიერ 1950 წელს დაბეჭდილი ირაკლი აბაშიძის პოემა „რას გადაურჩა თბილისი“, რომლის ილუსტრატორი ს. მაისაშვილია და ეხება საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას“: „დრო იდგა უდიადესი – დავითის, შოთას, თამარის“³. პოემის დასურათებისთვის ს. მაისაშვილი გრაფიკულ ჩანახატებს ქმნის, რომელიც პირობითი ხასიათისაა და ფიგურების კონტურულ მოყვანილობას კიდევ უფრო ასუსტებს ამ პერიოდის პოლიგრაფიის ტექნიკური შესაძლებლობები, თუმცა აშკარად ჩანს მხატვრის გამოცდილება. სევერიან მაისაშვილი ქმნის წიგნის ილუსტრაციას, რომელიც გამიზნულია შავ-თეთრი ბეჭდური ვერსიისთვის. მის მიერ გამოყენებული გრაფიკული ტექნიკის საშუალებებით – დაშტრიხვა, სამოსელის მარტივი დეკორაციული ორნამენტიკა, კომპოზიციის ზოგ ნაწილში ხაზის ინტენსიურობა, ზოგან კი გაზვიადებული პირობითობა, კლდოვანი, არქიტექტურული ფორმების და მთავარი კონტურის მუქი და მკვეთრი მოყვანილობა, ჰაეროვანი და ხაზობრივი პერსპექტივის თანაბარზომიერი აღქმის განცდა და ამ ყველაფრის წიგნის ქალაქდის მასალისა და ბეჭდური შესაძლებლობების გათვალისწინებით წარმოდგენა მკითხველისთვის დეტალებზე გამახვილებული ყურადღებით – იქმნება ერთგვარი მხატვრული მახვილები და გრაფიკულ ილუსტრაციაში ტექსტის შინაარსობრივი მხარე სრულად აღქმადი ხდება. ამასთანავე ს. მაისაშვილი არ ღალატობს საკუთარ იდეურ დამოკიდებულებას და აქაც ფრთხილი მხატვრული სიფაქიზით გვანახებს რუსთაველის განსაკუთრებულ სიახლოვეს თამარ მეფესთან. ციხესიმაგრის ქონგურებიან ბანზე წარმოდგენილია ოთხი პერსონაჟი: წინ – თამარი, მის მარცხნივ – შოთა, უკან – დავით აღმაშენებელი და მარჯვნივ მხედრის სამოსით შემოსილი

² მ. დუდუჩავა, საქართველის სსრ დამსახურებული ხელოვნების მოღვაწე სევერიან მაისაშვილი, თბილისი, 1967, გვ. 25.

³ ი. აბაშიძე, რას გადაურჩა თბილისი, საბლიტგამი, თბ., 1950. გვ. 29.

მამაკაცია, სავარაუდოდ, თამარის მამა – გიორგი III. მათი ერთად დგომა ისტორიულ ფაქტებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ეპოქის ალეგორიულ გადმოცემას ემსახურება რომელიც ტექსტშია აღწერილი – როგორც ერთიანი „ოქროს ხანის“ მმართველები. დავითი თამარის გამეფებამდე უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, თამარის მეფობისას არც გიორგი მესამე იყო ცოცხალი. ალბათ, ამიტომაც აქცევს ს. მაისაშვილი რუსთაველს და თამარის გარდაცვლილ წინაპრებს მის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე. მათი მზერაც განსხვავებული მიმართულებით არის მიპყრობილი: თამარი და შოთა კომპოზიციის ქვედა ნაწილში განიერ და გრძელ რიგად მიმავალ ლაშქარს სიამაყით უცქერენ, ხოლო თამარის მარჯვნივ მდგომი მამაკაცები ფრონტალურად არიან წარმოდგენილები. კომპოზიციის მთავარიკერსონაჟების ასეთი რაკურსით წარმოდგენას მეტი დინამიურობა შემოაქვს ილუსტრაციაში და, იმდროინდელი პოლიგრაფიის ღარიბი ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სიუჟეტი უფრო დენადი, მეტყველი და შინაარსობრივად მდიდარი წარმოჩინდება. მხატვრული ხერხების ასეთი ოსტატობით გამოყენება კი მიგვანიშნებს ს. მაისაშვილის წიგნის გაფორმების საქმეში პროფესიონალურ დახელოვნებასა და ბეჭდვის არსებული ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით ილუსტრაციის შექმნის ოსტატურ მხარეზე.

შოთა რუსთაველის სახე უამრავი ხელოვანის შთაგონების წყაროდ იქცა. გარდა მკაცრად განსაზღვრული სახისმეტყველებისა, მხატვრებს, რუსთაველის გამოსახულება არაერთხელ შეუქმნიათ განსხვავებული მხატვრული სტილით, რომელიც განპირობებული იყო არა დაკვეთით შესრულების შედეგად, არამედ ინდივიდუალური ხედვით, მხატვრისთვის სასურველი ჟანრის, დარგისა და მიმდინარეობის შერწყმული ინდივიდუალური ხასიათის საფუძველზე, თავისუფალი მხატვრული სტილითა და განსხვავებული იერ-სახით; თუმცა, ამ კუთხითაც დღემდე შესრულებული შოთა რუსთაველის არცერთი პორტრეტული გამოსახულება არ კარგავს პოეტურ იერ-სახეს. მიუხედავად მრავალგვარი თამამი გადაწყვეტისა, ხაზის პლასტიურობისა, სადღაც გამკაცრების ან აბსტრაქტულ-კუბისტური თუ მოდერნისტული მანერის მორგებისა, ან თუნდაც თეატრალიზებული ხასიათის გამოვლენისა, რუსთაველის სახისმეტყველება ყოველთვის ადვილად ამოცნობადია.

იმას, რომ ზიჩის ილუსტრაციებმა ქართველ მხატვრებზე დიდი გავლენა იქონია, ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ქართველი ილუსტრატორი ლადო გუდიაშვილი თავის მოგონებებში: „ზიჩი ცოცხალი სურათის ვარიანტს ქმნიდა და შემდეგ განაზოგადებდა მათ. მისმა ილუსტრაციებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ ქართველ საზოგადოებაზე. საგულისხმოა, რომე ეს ილუსტრაციები დღესაც არ კარგავენ ემოციური ზემოქმედების ძალას, ისინი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა. შემდეგ კარგა ხანს იყო ინტერვალი. ნელა, თანდათან, მაგრამ ძნელად იღვიძებდა ჩვენში წიგნის მხატვრობის ძველი ტრადიცია. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც რუსთაველის ილუსტრაციებზე მუშაობა განაახლა, იყვნენ გრიგოლ და ლადო ჯაფარიძეები – ჩვენი ცნობილი მხატვრის უჩა ჯაფარიძის უფროსი ძმები. მათ დახატეს რამდენიმე ილუსტრაცია და რუსთაველის პორტრეტი. რაც შეეხება ქანდაკებას, განსაკუთრებით საინტერესო იყო იაკობ ნიკოლაძის პორტრეტული ნამუშევარი, მაგრამ თვითონ მოქანდაკეს ეს პორტრეტი არ აკმაყოფილებდა და სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუწყვეტია მის ხელახლა ხორცშესხმაზე ფიქრი. მინდა ტრადიციას გვერდი ავუარო და რუსთაველი უქუდოდ გამოვაქანდაკო, ამბობდა.

ტრადიციულად კი ხალხს ყველაზე მეტად ზიჩი მოსწონდა და არც უნდოდათ, რომ პოემის ილუსტრაციები ახალი თვალითა და ახალი მიდგომით შექმნილიყო. რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას, მე უფრო მეტად თავაქარაშვილისეული ილუსტრაციები მიზიდავდა და მიზიდავს დღესაც.“⁴ სად იხსნება ბრჭყალი??? ამ ფონზე, ეროვნული მხატვრობის ინტერპრეტაციების იმგვარად განცდა, რომელსაც ს. მაისაშვილი გვანვდის შოთას პიროვნული ხასიათის აღსაქმელად, იშვიათი შესამჩნევია სხვა მხატვართა შემოქმედებაში. ს. მაისაშვილი სარგებლობს, როგორც ზაზასეული

⁴ ლ. გუდიაშვილი, მოგონებების წიგნი, „სერაფიტი“, ლიტ. ჩანანერი თინა კობალაძის, ნაკადული, თბ., 1979, გვ. 91.

პორტრეტიდან, ისე ზიჩისეული შემოთავაზებით, თუმცა არც საკუთარ ინტერპრეტაციებს არ აკლებს სახის წერის მანერას და მისთვის ყველაზე ახლობელი ეროვნული მხატვრობის ჩარჩოებში აქცევს ასკეტურ ტიპაჟს და ზედმეტი თავისუფლების, სტილიზაციის და მძაფრი მოდელირების გარეშე წარმოგვიდგენს რუსთაველის პორტრეტის საკუთარ აღქმას.

ტაბულებზე მოცემულ ილუსტრაციებს თუ გავადევნებთ თვალს, სადაც არასრული სიაა XX ს.-ში შექმნილი რუსთაველის პორტრეტებისა, თუმცა ვლინდება სტილისტური ტენდენცია, აშკარაა, რომ თითოეული მათგანი განსხვავებული მხატვრული სტილიზაციისაა. მხატვრებისთვის რუსთაველი შთაგონების ამოუწურავ წყაროდ იქცა და „ამიტომაც მუდამ ახალი თვალთ კითხულობენ მას ჩვენი მხატვრები“⁵ სად იხსნება ბრჭყალი??? სევერიან მაისაშვილის მიერ შესრულებული ეს პორტრეტები არ სცდება მინიატურული მხატვრობის პრინციპებს, მისი მხატვრული მახასიათებლები პასუხობს წიგნის ილუსტრირების სიღრმისეულ მოთხოვნებს, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს, უშუალოდ ამ გარეგნობის მექონე პოეტის მიერ დაწერილი პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ენერჯის შეგრძნებას და ჩვენამდე მოტანას, რომელიც გააზრებულია ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურისგან გამომდინარე და ამიტომაც არის მხატვრის ოსტატობა დამცხრალი გემოვნებით გამოვლენილი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პოეტური იერ-სახე ქართული ეროვნული ტრადიციებით ფორმირებული. წარმოდგენილი ნიმუშებიდან, ამ მოცემულობით, წიგნის ილუსტრირებისთვის ამგვარი „დამცხრალი“ გემოვნების გამოვლინება იგრძნობა მხატვრებთან: ფრანგ მხატვარ მიურატთან, დ. შევარდნაძესთან და რ. სტურუასთან, თუმცა მათი მხატვრული წერის მანერაში, იგრძნობა მიახლოება დაზგურ ფერწერასთანაც და ბოლომდე ვერ ასახავს ისეთი ნაწარმოების ავტორის პორტრეტს, რომლის გარეგნობა სრულად ეთანხმება „ვეფხისტყაოსნის“ დამწერის შინაგან ხასიათს. თუ დავაკვირდებით, ს. მაისაშვილის რუსთაველი ძალიან წააგავს მისსავე შექმნილ ილუსტრაციებში წარმოდგენილ მთავარ პერსონაჟებს: ტარიელს და ავთანდილს; იგივე ჩანს თამარის გამოსახულების შემთხვევაშიც. აქაც სევერიან მაისაშვილის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებში წარმოდგენილ ქალთა სახეებს თავისუფლად შეგვიძლია მივამსგავსოთ, ს. მაისაშვილისვე შესრულებული თამარის პორტრეტული ტიპი, რომელიც, ამავდროულად, აღებულია ქართული შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ნიმუშებიდან: ვარძია, ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი – ეს ის ოთხი ტაძარია, სადაც თამარ მეფის ფრესკულ გამოსახულებას ვხვდებით და, შესაბამისად, აღნიშნული სტილისტიკის გამთვალისწინებელი ილუსტრაციების ავტორი, ვერაფრით ვერ ასცდებოდა ეროვნული მხატვრობის ტრადიციის უხვად გამოყენებას საკუთარი მხატვრული აზრის გადმოსაცემად⁶.

თამარ მეფის პორტრეტი. XX ს.-ის მხატვართა შემოქმედებაში შოთა რუსთაველის პორტრეტს ხშირად ახლავს თამარის გამოსახულებაც, როგორც პოეტის იდეური შთაგონების წყაროსი. თამარის პორტრეტის შექმნისას, მხატვართათვის ინსპირაციის წყაროს წარმოადგენს შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ნიმუშები: ვარძიის, ბეთანიის, ბერთუბანის და ყინწვისის ფრესკები (იხ. ტაბ. N20), ოთხივე მათგანი თამარის თანადროულია და მის სიცოცხლეშივეა შესრულებული, მათ შორის კი ყველაზე ადრეულ ნიმუშად ვარძიის ფრესკა მოიაზრება, სადაც მამასთან, გიორგი III-სთან ერთად არის წარმოდგენილი თამარი საყბურისა და სასაფეთქლეების გარეშე, რაც ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ვარძიის ფრესკა თამარის გათხოვებამდე, 1185 წლამდეა შესრულებული.

გვიანი შუა საუკუნეების ბოლომდე, თამარ მეფის სხვა გამოსახულება არსად არ გვხვდება, გარდა XVIII ს.-ის ერთ-ერთი ხელნაწერისა, რომელიც კალიგრაფ დავით თუმანიშვილის მიერ არის

⁵ ლ. გუდიაშვილი. მოგონებების წიგნი, „სერაფიტი“, ლიტ. ჩანაწერი თინა კობალაძის, ნაკადული, თბ., 1979, გვ. 92.

⁶ Г. Алибегашвили, Четыре портрета царицы Тамары, Тб., 1957; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 267-274; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 156; ირ. ციციშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1995 წ. გვ. 99, 101-114, 117-118; ა. კლდიაშვილი, ვარძია ანანურის ეკლესიისა და მიმდებარე დასავლეთის სათავსოს მოხატულობათა შედარება, ჟურ. ძეგლის მეგობარი, თბ., 1986, გვ. 31-39.

გადანერვილი და გრაფიკული მხატვრობის მდარედ შესრულებული, პირობითი ნიმუშებით არის გაფორმებული. ხელნაწერის სხვადასხვა გვერდზე ტახტზე მჯდომი თამარის ორი გამოსახულება გვხვდება, რომელიც გიორგი ჩახრუხადის და იოანე შავთელის ტექსტებს ერთვის თავსამკაულის სახით, ორივე გამოსახულება შავი მელნით არის შესრულებული.

თამარ მეფის პორტრეტული გამოსახულებები განსაკუთრებული სიხშირით XX ს.-დან იხატება, რაც განპირობებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციით, პოემის ღრმა შესწავლით ლიტერატურულ-სამეცნიერო კუთხით და უამრავი სამეცნიერო ნაშრომისა თუ უშუალოდ პოემის სხვადასხვა ვერსიის გამოქვეყნებით, რომელთა დიდი ნაწილის მხატვრულ გაფორმებაზე იზრუნა ათეულობით სხვადასხვა დარგის ხელოვანმა; შოთა რუსთაველის მიერ პოემის მიძღვნის მთავარ ადრესატად თამარ მეფის მოაზრებამ, XIX-XX სს.-ების სხვადასხვა პოეტისა და მწერლის მიერ თამარისა და შოთას ეპოქაზე მიძღვნილი მრავალი ნაწარმოებისა და ლექსის გამოქვეყნებამ, საიუბილეო თარიღების განსაკუთრებული აღნიშვნისთვის სამთავრობო დაკვეთებმა ცალკეულ მხატვართა და მოქანდაკეთა ამ თემით დაინტერესება გამოიწვია.

შოთა რუსთაველის პორტრეტულ გამოსახულებებთან ერთად თამარ მეფის პორტრეტების ასახვამ ან პირდაპირ თამარის წინაშე მუხლმოყრილი შოთას მიერ პოემის მიძღვნის სიუჟეტის ვიზუალიზაციის სურვილმა მხატვრებს გაუჩინა მისწრაფება, როგორც შოთას, ისე თამარ მეფის ახალი იკონოგრაფიული სახის შექმნისა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ თამარის სახე XX ს.-ის ქართველ მხატვართა შემოქმედებაში მკვეთრად არ განსხვავდება ქართული კედლის მხატვრობაში არსებული თამარის იკონოგრაფიული ოთხი სახისგან. ოდნავ სახეცვლილი, განსხვავებულ გარემოსა და ფერადოვან სისტემაში წარმოდგენილი თამარ მეფის მხატვრული ვარიაციები შემოგვთავაზებს XX ს.-ის მრავალმა ხელოვანმა, მათ შორის სევერიან მაისაშვილმაც. 1946 წელს მხატვრის მიერ შექმნილი თამარ მეფის სახე გამოირჩევა მისეული ინდივიდუალური მხატვრული წერის მანერითა და ეროვნული ხედვით.

კედლის მხატვრობის ოთხივე ნიმუშზე თამარი გადაბმული წარბებით არის წარმოდგენილი. სხვადასხვა მხატვართან პორტრეტული ტიპაჟის უცვლელად გამეორება თითქოს კანონიკურ ელემენტად იქცა. მხატვრები: რობერტ სტურუა, კორნელი სანაძე, გიორგი ერისთავი, ლადო გუდიაშვილი და სხვ. თამარს ისეთივე დამახასიათებელი ნიშნით გამოსახავენ, როგორც ამას ფრესკულ მხატვრობაში ვხვდებით. XXს.-ის მხატვრები თამარის სამეფო შესამოსლისა და აქსესუარების გამოსახვისთვის ძირითადად ვარძიისა და ბეთანიის შედარებით უფრო უკეთესად შემორჩენილი ფრესკული მხატვრობიდან იღებენ მაგალითს. თუმცა, რამდენიმე მხატვართან აშკარად იგრძნობა მცდელობა სიახლის ძიებისა. პირველად სახეცვლილ იკონოგრაფიულ გამოსახულებას გვთავაზობს მიხაი ზიჩი შოთას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მიძღვნით სიუჟეტში, სადაც თამარ მეფის პროტოტიპად მხატვარს, რაფიელ ერსთავის მეუღლის – ანა ერისთავის ნატურა გამოუყენებია; თამარის პორტრეტის შექმნის ამგვარი ტენდენცია მოგვიანებით უფრო აქტუალური გამხდარა: მაგალითად, დღეისთვის თამარ მეფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პორტეტი, რომელიც მხატვარმა ქეთევან მაღალაშვილმა შეასრულა 1944 წელს, არის სინთეზური გამოსახულება, სადაც მეფის სამოსის შესაქმნელად მხატვარი ბეთანიის ფრესკის მაგალითით სარგებლობს, ხოლო სახის გამოსახვისას იყენებს ცნობილი მსახიობის – თამარ ციციშვილის ნატურას და მისეული მხატვრული მანერით ასახვის შემდგომ, გამოდის მრავალი ნიშნით გამორჩეული თამარის უფრო დახვეწილი, რეალისტური იკონოგრაფიული სახე, რომელიც არც ძალიან შორდება ფრესკაზე მოცემულს და არც მისი გამეორება – „ეს არის, „კდემამოსილი“ ქალის შესახებ მარადქალურის განმასახიერებელი, ზოგადქართული იდეალის განცხადება და არა მხოლოდ დიდი ხელისუფალის „ხატება“. ამ იდეალში შეხამებულია არა გარეგნული სილამაზე, არამედ სწორედ მშვენიერება, ქალურობა...“⁷ მსგავსად ქეთევან მაღალაშვილისა, სხვებიც იყენებენ მხატვრულ პროტოტიპებს თამარ მეფის პორტრეტზე მუშაობისას, თუმცა ზოგი მათგანის ვინაობა დღემდე უცნობია.

⁷ ნ. მირცხულავა, ქეთევან მაღალაშვილი. ფერწერა, გრაფიკა, თბილისი, 2015, გვ. 54.

მხატვრულ-სტილისტური შესწავლის საფუძველზე, ს. მაისაშვილის მიერ შესრულებული თამარ მეფის სახისწერა აშკარა მსგავსებას ავლენს მაღალაშვილისეულ თამართან, თუმცა აშკარაა მათ შორის განსხვავებაც. ს. მაისაშვილის ნახატის ფონი განსაკუთრებული ფერადოვანი ინტენსიობით გამოირჩევა და კომპოზიციურად თამარის მთლიან ფიგურას პირობითი პეიზაჟის ფონზე გვთავაზობს. ამასთანავე, თუ მაღალაშვილი ბეთანიის ფრესკის მაგალითზე წარმოადგენს თამარის მისეულ ვერსიას, ს. მაისაშვილის ნახატში იგრძნობა ბერთუბანის ფრესკასთან უფრო მეტი სიახლოვე (იხ. ტაბ. N21), თუმცა სახის მოყვანილობა, ნაკვთები და ხასიათი, თამარის პორტრეტის XX ს.-ში ჩამოყალიბებული მაღალაშვილისეულ სახისწერას ესადაგება, ხოლო შესამოსლის ფაქტურა, ფერი და ორნამენტიკა ს. მაისაშვილთან ერთობლივად არის ალებული, როგორც ბერთუბანის ფრესკიდან, ისე ქ. მაღალაშვილის ფერწერული ტილოდანაც. საგულისხმოა ისიც, რომ ს. მაისაშვილი სრულ ფიგურას გვთავაზობს დაახლოებით მსგავს სიმბოლურ-ალეგორიულ მხატვრულ გარემოში, რომელიც ზემოთ, „სამი პოეტის“ კომპოზიციის შემთხვევაში განვიხილეთ (იხ. სურ. N31). ფერადოვანი ინტენსიობის ისეთი აქცენტები, როგორც ს. მაისაშვილი გვთავაზობს თამარის პორტრეტის ფონად არსებულ გარემოზე, შეუძლებელია, მხოლოდ დეკორაციულ როლს ასრულებდეს. მხატვარი აშკარად ცდილობს კონკრეტული მხატვრული მახვილების დასმას და „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკის თამარის ისტორიულ პერსონასთან დაახლოებას.

მთეთრო-მოლურჯო და ვარდისფერი წვრილ-წვრილი ყვავილებით უხვად დაპენტილ ხეებს შორის, ერთი ნაბიჯით წინ დგას თამარი; მის უკან მრავალკონუსიანი, გაღვანშემორტყმული ციხე-კოშკია, რომლის მთავარი, ყველაზე მაღალი, ქონგურებიანი კოშკურა, კომპოზიციის შუაში ექცევა და წინა პლანზე მდგარი მთავარის ფიგურა ამ არეალში ეწერება. გადაჭრით ვერ ვიტყვით, მაგრამ ციხე-სიმაგრე, გარდა სამეფო რეზიდენციისა, „ქაჯეთის ციხის“ სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს, სადაც პოემის კულმინაციური სიუჟეტი ვითარდება; ხოლო წინ ორი ხე, რომელიც სხვადასხვა ფერის ყვავილებით არის გადაჭედული, ციხიდან გათავისუფლებული ნესტან-დარეჯანისა და მისი სატრფო ტარიელის, ან პოემის მამაკაცი და ქალი გმირების სიმბოლოდ მოაზრებაც არის შესაძლებელი. და ამ ყველაფრის წინ, მწვანე მდელოზე მდგარი ეპოქის სახე – თამარ მეფეა, რომლის უკან „აყვავებულა“ თავისუფლება და მშვიდობა, მისი ძლიერი მმართველობის შედეგად.

ს. მაისაშვილის შემოქმედებაში აყვავებული ხეების წარმოდგენა, როგორც სიმშვიდის, ჰარმონიულობის და პოზიტიური განახლების სახე, სხვა გრაფიკულ კომპოზიციებშიც გვხვდება, მაგალითისთვის შეგვიძლია, მოვიყვანოთ ერთ-ერთი ყველაზე მიმსგავსებული მცენარეული დეკორით გამშვენებული პეიზაჟი – „გაზაფხული – პირველი მერცხალი“; სადაც ანალოგიურად განთავსებულ ხეების შუაში შორეული პეიზაჟი იშლება, რომელიც ბოდბის ფერდობიდან დანახულ ალაზნის ველსა და კავკასიონის მთებს მოგვაგონებს. ვინაიდან აღნიშნული პეიზაჟი და თამარის პორტრეტის შექმნის თარიღები ცნობილია და ორივე მათგანი 1946 წელს არის შესრულებული, არ გამოირიცხება ის მოცემულობაც, რომ მხატვარი ექცევა კახეთის ბუნებისა და არქიტექტურის მხატვრული ზეგავლენის ქვეშ და თამარის პორტრეტის ფონზე წარმოდგენილ ციხე-სიმაგრეს, ბოდბის ციხის მაგალითზე ასრულებს. აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ს. მაისაშვილის მიერ არაერთი გრაფიკული ნახატია შესრულებული კახეთის თემაზე 1946 წელს – „პატარა კახი“, „როველი წინანდალში“, „მარანი“ და სხვ.

თამარ მეფის თემაზე ს. მაისაშვილის მიერ შესრულებული გამოსახულება, გამოქვეყნებულია 1947 წელს ჟურნალ „პიონერში“ და წარმოადგენს ქართველი მწერლის, პროზაიკოსის, პოეტისა და დრამატურგის – ბატონი ოთარ ქელიძის ნაწარმოების – „თამარ მეფის საფლავი, ლეგენდა“⁸ დასურათებას, სადაც აღწერილია ლეგენდა, თუ როგორ დაიბარა „ლონემიხდილმა“ თამარმა „ორი ვჟკაცი ლამაზი“ და სთხოვა მისი გასაიდუმლოებული დაკრძალვა. უკანასკნელი თხოვნის შემდეგ კი, ორივე მათგანი „სამშობლოს მიწას ემთხვევნენ, წამოდგნენ გალომებული ვაჟები... ამბობენ, თურმე,

⁸ ო. ქელიძე, თამარ მეფის საფლავი, ლეგენდა, ჟურ. „პიონერი“, N5, 1947, გვ. 20-22.

ერთმანეთს გულებში დაჰკრეს ხანჯლები და მოჩუხჩუხე წყაროსთან სისხლი დაღვარეს ალალი, რომ ქვეყნად არვის გაეგო, სადა მარხია თამარი“.

ლექსად ნათქვამი, გართმული ლეგენდის ტექსტი, ჟურნალის სამ გვერდზე ორ სვეტად ნაწილდება. სამივე გვერდზე ტექსტს ერთვის გრაფიკული გამოსახულებები. სათაურს და თამარის მავედრებელ პოზაში მყოფ ნახევარფიგურას ტექსტის თავსამკაულის სახე აქვს, რომელიც ტექსტის ორივე სვეტისგან გამოყოფილია განიერი, შავი მართკუთხა ზოლით; ცენტრში, თამარის იგივენაირი სქემატურ-გრაფიკული გამოსახულებაა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ამ „თავსამკაულზე“ კარგად ჩანს ილუსტრაციისა და ტექსტის სათაურის გააზრებული ურთიერთმიმართება; დიდი შრიფტით ნაბეჭდი სიტყვები „თამარ მეფის“ მოქცეულია მისივე ფიგურის ზურგსუკან, ხოლო სიტყვა „საფლავი“ თამარის წინ, ზედ შავ ზოლზე, რომლის ბოლო კუთხიდან ამოდის წვრილი მცენარეული დეკორი – ორღეროვანი ყვავილის სახით; ხოლო შუაში, უშუალოდ თამარის ფიგურის ქვეშ, შავ ზოლზე, სიტყვა „ლეგენდა“ არის თეთრად ნაბეჭდი. ტექსტისა და გამოსახულების შინაარსობრივად ერთმანეთს შეხმიანებული ამგვარი გადაწყვეტა მიმანიშნებელია მხატვრის განსწავლულობაზე და იმ გავლენაზე, რომელსაც ხელნაწერი წიგნების მხატვარ-ოსტატები გვთავაზობდნენ გვიან შუა საუკუნეებამდე. აქ კარგად ჩანს საფლავისა და თამარის ურთიერთმიმართება, მისკენ დახრილი მცენარეული დეკორი და ზურგს უკან არსებული დიდი შრიფტით სახელი „თამარ“ და მცირე შრიფტით „მეფის“ – წარწერის ასე წარმოდგენით მხატვარი მიგვანიშნებს, რომ მეფე ბევრი იყო, მაგრამ თამარის მსგავსი დიდი მმართველი ცოტა.

შემდეგი გვერდის ზედა ნაწილი ორ სვეტად ნაბეჭდ ტექსტს უჭირავს, ხოლო ქვედა ნახევარზე მრავალფიგურიანი გრაფიკული კომპოზიციაა. ცენტრში ხის განიერ და დაბალ სარეცელზე მწოლიარე უგვირგვინო და თმაგაშლილი თამარ მეფეა. მის გარშემო სასახლის კარზე დაახლოებული პირების, პირადი მსახურებისა და მისი შთამომავლების დამწუხრებული ფიგურებია წარმოდგენილი, მათ შორის შოთა რუსთაველის ფიგურაც იკითხება. ისინი უსმენენ თამარის უკანასკნელ თხოვნას მის წინ დაჩოქილი ორი „ვაჟკაცი ლამაზის“ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წინაშე, განსახილველად მდარე პოლიგრაფიული ნიმუშია წარმოდგენილი (სამწუხაროდ, ორიგინალი დაკარგულია), გამოსახულებაზე თითოეული ფიგურის იერარქიული ფენების მიხედვით დაყოფა და ზოგი მათგანის იდენტიფიკაციაც კი მარტივად არის შესაძლებელი, რაც მხატვრის გულმოდგინე მუშაობის – შესამოსლების, აქსესუარების, კომპოზიციური განაწილების, ფიგურების დაწყვილების და მსგავს თემებზე მრავალგზის მუშაობის გამოცდილებას შეგვიძლია მივანეროთ. გაშლილი, სასახლის დარბაზული ტიპის ინტერიერის მხოლოდ ერთი კედელი კრავს კომპოზიციას, სადაც უწყვეტი სამთალოვანი ფრაგმენტის, განიერი ღიობებიდან, პირობითი, მცენარეული დეკორით დატვირთული პეზაჟის ფრაგმენტები მოჩანს, თაღები დაბჯენილი დეკორატიულად გაფორმებულ სვეტებსა და იმპოსტებზე. სვეტებზე ვხედავთ ორ-ორ ლილვს, იმპოსტები გაფორმებულია წრიული დეკორატიული ფორმებით. ჟურნალის მესამე გვერდის ნახევარი უჭირავს, ერთ სვეტად ნაბეჭდ ტექსტს და ტექსტის მეორე სვეტის ადგილზე გრაფიკულ ილუსტრაციას, სადაც ლექსის ბოლო ეპიზოდის დასურათებაა, მსგავსად ზემოთ განხილული თამარის პორტრეტისა. აქაც ორი ხის წინ დგანან ვაჟები და უკან პირობითი პეიზაჟის სახით, თამარის დანატოვარი ეპოქის ალეგორია მოიაზრება. წინა პლანზე, ახლოს მდგარი, თავდახრილი ვაჟები ერთმანეთს მხრებით ეხებიან, ორივე მათგანს გულთან აქვს ხელი მიტანილი და ჯერ კიდევ ჭრილობამიყენებულებს, ფეხზე დგომის ძალა შესწევთ.

ბოლოს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ზემოთ განხილული კომპოზიციები ს. მაისაშვილს შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში აქვს შესრულებული, ყოველთვის საგრძნობია იდეური სიახლოვე შოთა რუსთაველის და თამარ მეფის პერსონებს შორის, რომელიც განმტკიცებულია „ვეფხისტყაოსნის“ ნარატივით: „სამი პოეტი“ (1936), „შოთა რუსთაველის პორტრეტი“ (1936), ორი კომპოზიცია – „გამოცანების თეატრი XII საუკუნე“ (1946 და 1948 წლებში შესრულებული), ი. აბაშიძის პოემის – „რას გადაურჩა თბილისი“ ერთ-ერთი ილუსტრაცია (1950), შოთა რუსთაველის ორი გრაფიკული პორტრეტი (შესრულებული 1963 წელს), „თამარ მეფე“ (1946) და გრაფიკული ილუსტრაციები ო.ჭელიძის ლექსისთვის „ლეგენდა – თამარ მეფის საფლავი“.

ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში იმდენად მნიშვნელოვანია რუსთაველის და თამარის პორტრეტული გამოსახულებების თემატიკა, რომ მისმა განხილვამ მოგვცა საშუალება, თითქმის მთელი XX ს.-ის მხატვართა შემოქმედების დიდი დიაპაზონის ქრილში განგვეხილა ს. მაისაშვილის შემოქმედება კომპარატივისტული მეთოდით და მხატვრის შემოქმედებაში გამოგვეკვეთა მისი მხატვრული მიზნები, სიახლოვე ეროვნული მხატვრობის ტრადიციულ ფორმებთან, ქართული პატრიოტული შემართებით მუშაობა, ზოგან ქართულ-აღმოსავლური ელემენტების სინთეზი და ზოგან ფერადოვანი პალიტრის ძალიან ხალისიანი, მჟღერი ხასიათი, რიგ შემთხვევაში ტექსტის შინაარსის ღრმა გააზრების საფუძველზე ილუსტრაციებში იდეის ასახვის საქმე.

ლიტერატურა:

- აბაშიძე ი.** რას გადაურჩა თბილისი, თბილისი, გამომცემლობა „საბლიტგამი“, გვ. 29
- ამირანაშვილი შ.** (1971). ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, გვ. 267-274;
- ბერიძე ვ.** (1974). ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, გვ. 156;
- კლდიაშვილი ა.** ვარძია ანანურის ეკლესიისა და მიმდებარე დასავლეთის სათვასოს მოხატულობათა შედარება, (1986). ჟურ. ძეგლის მეგობარი, თბილისი, გვ. 31-39
- მირცხულავა ნ.** (2015). ქეთევან მაღალაშვილი ფერწერა, გრაფიკა, თბილისი, გვ. 54
- ციციშვილი ირ.** (1995) ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, გვ. 99, 101-114, 117-118;
- ჭელიძე ო.** (1947). თამარ მეფის საფლავი, ლეგენდა, ჟურ. „პიონერი“, N5, გვ. 20-22
- Алибегашвили Г.** (1957). Четыре портрета царицы Тамары, Тбилиси

ანტიგმირის მხატვრული სახის ევოლუცია ქართულ მხატვრულ ტექსტებში

Evolution of the Image of Anti-Hero in Georgian Fiction

ლალი კუკავა

Lali Kukava

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi, Georgia

შესავალი

პროტაგონისტისა და ანტაგონისტის დაპირისპირების სქემა ჯერ კიდევ ანტიკური დრამიდან იღებს სათავეს. ეს კლასიკური სქემა ქართულ (და არა მარტო) ჯადოსნურ ზღაპრებშიც არის. ჩვენი დაკვირვების საგანია, თუ რა ესთეტიკური მახასიათებლებით გამოირჩეოდა, როგორ იცვლებოდა, რა ევოლუციას განიცდიდა ანტიგმირის მხატვრული სახის გამოსახვის ფორმები, გზები, საშუალებები ქართული ლიტერატურული პროცესის სხვადასხვა ეტაპზე: ძველში, ახალსა და უახლესში, რეფლექსურ-ტრადიციონალური კულტურის ეპოქიდან პოსტტრადიციონალურ ეპოქამდე – აგიოგრაფიიდან პოსტმოდერნიზმამდე; ვფიქრობთ, ლიტერატურა „მიჩქმალული გმირობის ქომავობა“ იყო და დარჩება მარად.

1. ქართული ლიტერატურის ძველი პერიოდი, რომელიც ნიმუშის, კანონის, კონვენციის ესთეტიკას ეფუძნება, ხასიათდებოდა მწყობრი მსოფლმხედველობითა და იდეალური სახეების გამოსახვით. მწერლობა ესწრაფვოდა ახალ აღთქმაზე დაფუძნებული ადამიანის კონცეფციის გამყარებას ნიმუშის ესთეტიკით. ძველ ქართულ მწერლობაში ცენტრალური ფიგურა იყო წმინდანი ან იდეალური მიჯნური, რაინდი, მეგობარი. ადამიანი გამოისახებოდა, როგორც ღვთისმსახური. მწერალი აჩვენებდა რთულ გზას, რომელიც გმირმა გაიარა დამცრობილი „ხატებისა და მსგავსების“ აღსადგენად. ლიტერატურის არსებობის მიზეზი დიდი ხნის მანძილზე გმირების არსებობა იყო.

რა უნდა ითქვას ჰაგიოგრაფიულ ანტიგმირზე? რა იდეას, პრინციპებს ასახიერებს, რას უპირისპირდება, რით განემსგავსება იდეალურ გმირს, რის დამკვიდრებას ცდილობს, ქმნის თუ არღვევს რამეს? რა ხდის ანტიგმირად? როგორ შემოდის მხატვრულ ქსოვილში და რატომ განეწყობა მისდამი მკითხველი ცალსახად უარყოფითად? როგორ ეძლევა მკითხველს მისი ქცევის ინდექსი, როგორც ანტიგმირისა?

ჰაგიოგრაფია, თავისი მიზნიდან გამომდინარე, აღწერდა რწმენასა და იდეალს შენირული ადამიანის ღვანლს, ჩვეულებრივ, ერთ მთავარ გმირზე აკეთებდა აქცენტს და ანტიგმირს იყენებდა დანამატად იდეალური მოწამის სრული სახის წარმოსაჩენად. ადრეული ჰაგიოგრაფიული ტექსტების უმრავლესობაში ანტიგმირები **ერთგანზომილებიანი სქემები** იყვნენ, რომელთა ფუნქცია იყო იდეალური გმირის – პროტაგონისტის მიზნებისათვის დაბრკოლების შექმნა. ისინი ბოროტებას განასახიერებდნენ. ანტიგმირის ფუნქცია წმინდანის სახის მეტად განათებას ემსახურებოდა და მხოლოდ ერთგვარი ანტურაჟის როლს ასრულებდა. ის იდეალური გმირის სახის შესაქმნელად საჭირო ფონი იყო და ხშირ შემთხვევაში უკანა პლანზე მკრთალად ან პროფილში გამოისახებოდა. ი. ამირხანაშვილი აგიოგრაფიულ ანტიგმირზე ამბობს: გმირის პიროვნება სამგანზომილებიანია – გული, სული და სხეული; ანტიგმირს მხოლოდ ერთი საწყისი აქვს – სხეული. ამიტომ წარმოადგენს არა პიროვნებას, არამედ ძალას, მძლავრს, გაარსებითებულ ადიექტივს. თუმცა მისი ძალა ილუზიაა. ანტიგმირს სული რომ ჰქონოდა, ის იქნებოდა ტრაგიკული სული; გულიც რომ ჰქონოდა, იქნებოდა ტრაგიკული პიროვნება (ამირხანაშვილი, 2014: 7).

ყოფითი სფეროს საგნები და მოვლენები ჰაგიოგრაფს არ აინტერესებს. ადამიანის არსებობის საფუძვლად მიჩნეულია მისი სულიერი, გონითი, მეტაფიზიკური მისწრაფებანი. პრაგმატულ-მერკანტილური სარგებლის ძიება წმინდანის სახეს არ უკავშირდება და თავს იყრის ანტიგმირის სახეში. ანტიგმირის ქცევა, გმირისაგან განსხვავებით, მოვლებულია ირაციონალურ საზრისსა და მიზანს ან ეს საზრისი და მიზანი არ აღემატება პირადი სარგებლის მიღებას. ვარსქენის საქციელს სწორედ ეს განსაზღვრავს. ანტიგმირი არაფერს ქმნის თავისი კეთილი და თავისუფალი ნებით, ამიტომ, როგორც სიკეთე, იგი არარაობაა. ამიტომაც დიდი დრო მისი ემოციებისა და ქმედებების აღწერაში არ იხარჯება.

ჰაგიოგრაფიული ანტიგმირი **ირაციონალურად და პრაგმატულად მოქმედისუბიექტია**, რომელიც, წმინდანისაგან განსხვავებით, „სწრაფვითა“ და ურყევობით არ ხასიათდება, მას აქვს მხოლოდ მიზნები და არა იდეალები. ამიტომ უარსოა და მისი ხასიათის, როგორც არასრულყოფილების ნიმუშის ვრცლად ჩვენება ჰაგიოგრაფი ავტორისთვის საინტერესო არ არის.

როგორც აღვნიშნეთ, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში ანტიგმირი შაბლონურია ხოლმე. იგი კომპოზიციის ნაწილი, დაბრკოლება უფროა, ვიდრე სრულფასოვანი პერსონაჟი, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ანტიგმირზე – ვარსქენ პიტიახშზე. ანტიგმირის ქცევის ასეთი გამოკვეთილი მოტივაცია, მათი ემოციების გამოსახვა ადრეულ ტექსტებში არ გვხვდება და ამ მხრივ, იაკობ ხუცესის თხზულება გამონაკლისია.

ანტიგმირი მოწამესთან ერთად საკმაოდ დიდ როლს იკავებს „შუშანიკის წამების“ სიუჟეტში. პროტაგონისტი და ანტაგონისტი ლამის ერთი დოზით ჩნდებიან ნაწარმოებში, რაც ჰაგიოგრაფიისათვის უჩვეულოა. იგი გამოჩენის პირველივე ეპიზოდთან აქტიურად ქმნის სიუჟეტურ ხაზს პროტაგონისთან ერთად. მისი ფსიქოლოგია და ხასიათი საკმაოდ მკაფიო და დამუშავებულია ავტორის მიერ, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ჰაგიოგრაფიული თხზულებების ანტიგმირების შესახებ. ავტორი აჩვენებს, რომ პიტიახშის აზროვნება და ორიენტაცია არაპროგრესულია, როგორც პიროვნება ვერ ქვრეტს, თუ სად არის ქვეყნის სასიკეთო მომავალი. ვარსქენი ამით ენათესავება შემდგომი ეპოქების ანტიგმირებს. ასევე ახალი პერიოდის ლიტერატურის ანტიგმირებს ვარსქენი ჰგავს იმითაც, რომ რელიგია მისთვის მხოლოდ საშუალება და იდეოლოგიაა ვინრო პიროვნული სარგებლის მისაღებად და ძალაუფლების მოპოვების სურვილით, შურით, სიხარბით... პირადი კომფორტის სივრცის შესაქმნელად. მას რელიგიის, ზოგადად ყველასა და ყველაფრის, საკუთარ სამსახურში ჩაყენება სურს. შუშანიკისა და ვარსქენის კონფლიქტი – ეს არის ბრძოლა სიკეთისა და ბოროტების, ძალაუფლებისა და მორალის, ინდივიდუალობისა და კონფორმიზმისა.

უარყოფით განცდას ანტიგმირისადმი ავტორი გვიმძაფრებს, როცა ვარსქენს შემდეგი ეპითეტებით ამკობს: „სამგზის სანყალობელი“, „უბადრუკი“, „მგელი“ – მის გვერდით იდეალური მოწამეა საპირისპირო ეპითეტებით: „სამგზის სანატრელი“, „ნეტარი“, „კრავი“. ავტორი ამით აძლიერებს კონტრასტს გმირსა და ანტიგმირს შორის. ზოგადად, იაკობ ხუცესისთვის, როგორც მწერლისთვის, კონტრასტის ხერხი ნიშანდობლივია (მდრ. შუშანიკის სიტყვები, როცა იგი ვარსქენისა და არშუშას საქმეებს აპირისპირებს).

ვარსქენის მეტყველებაზე რომ დავაკვირდეთ, მისი რეპლიკების ნაკითხვა ხმადაბლა, მშვიდი ტონით შეუძლებელია. ის არის მოძალადე, მისი „მძლავრობა“, ირგვლივ ყველასა და ყველაფერზე გაბატონების სურვილი, აგრესია ჩანს არა მარტო მეუღლესთან, არამედ ძმასთან, სასულიერო პირებთან, ხალხთან დამოკიდებულებაში. ყველა ეპიზოდი, სადაც ვარსქენი უშუალოდ მონაწილეობს, აჩქარებული რიტმითა და შინაგანი დაძაბულობით გამოირჩევა (როგორც „მძლავრი“, იგი ჯაყოს ლიტერატურულ წინაპრად შეიძლება დავსახოთ).

სასულიერო მწერლობის მიერ შექმნილი ადამიანის იდეალი საერო მწერლობამ ახლებურნი ესთეტიკით გაიმეორა. მას ადამიანის თვისობრივად ახალი იდეალი არ მოუცია. ერთადერთი რამ შეიცვალა: სხეული, რომელიც ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში დამცრობილი იყო, სასულიერო მწერლობამ თანდათან წინ წამოწია. „ვეფხისტყაოსნის“ იდეალური პერსონაჟებიც ღვთისმსახურები

არიან. მათ აქვთ მსხვერპლის გაღების ნიჭი და ადამიანის უმაღლესი დანიშნულება: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.“ ამ მხრივ იდეალი, რომელსაც სასულიერო მწერლობა სახავს, არ განსხვავდება საერო მწერლობის იდეალებისაგან.

ძველ ქართულ მწერლობაში (საეროშიც და სასულიეროშიც) სამყაროს თეოცენტრული სტრუქტურა იგულისხმება. ეს ნიშნავს, რომ ღმერთი არის საწყისი წყარო ნებისმიერი ადამიანური გამოვლინებისათვის, რეალობისთვის. ემპირიული სინამდვილე გაგებულია, როგორც დასრულებული და თვითკმარი, ოთხი ელემენტის ერთიანობით შემტკიცებული. გრძნობად-აღქმადი სინამდვილე იმდენად უმნიშვნელოა, რომ მწერლობა მის აღწერას თავის მისიად არ მოიაზრებს.

2. ანტიგმირი მე-19 საუკუნის ლიტერატურაში. მე-19 საუკუნეში ანტიგმირის ფუნქცია გაიზარდა. ახალმა ეპოქამ ანტიგმირის სახეს დაუკავშირა ზოგადი იდეები, ისინი იქცნენ კრებსით მოდელებად და მათი საშუალებით მწერლობამ, როგორც სარკემ, შეძლო აერეკლა რეალობა. შემდგომი ლიტერატურაც ამ ტენდენციას აგრძელებს და ანტიგმირთა არაერთ დასამახსოვრებელ სახეს ქმნის.

რეალისტური ხელოვნება იდეოლოგიის ფუნქციას ატარებს, ის ჯერ კიდევ მიიჩნევა ხალხზე ზემოქმედების საშუალებად. ამით ის ძველ პერიოდს ენათესავება. ჰაგიოგრაფიაც ხალხზე ზემოქმედების მოსახდენად იწერებოდა. ამიტომ ამ პერიოდში მასკულტურა მიღებული ფორმაა.

ანტიგმირმა უნდა გამოიწვიოს კრიტიკა, ზიზღი, გმობა და ამ გზით შეასრულოს თავისი მისია – საზოგადოების გაუმჯობესება. რაცინო უნდა აღემატებოდეს ინსტინქტებსა და დაფარულ ლტოლვებს. ლუარსაბის რაცინო, პირიქით, ინსტინქტებსაა დაქვემდებარებული და დამონებული. თეიმურაზ ხევისთავი, ლუარსაბისგან განსხვავებით, მოაზროვნე და შემმეცნებელია, მაგრამ გარესამყაროს შეცვლისა და შემოქმედების იმპულსი ჩამქრალია მასში. ისიც ვერაფერს ქმნის და ცვლის, ამით ლუარსაბისგან არ განსხვავდება. „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით, რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია – ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ახლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?“; „შენ სცხოვრობ – რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ – რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო – რომ ვით მამა ზეცის იყო შენც სრული“ (ჭავჭავაძე, 2015: 70-71).

ახალმა ლიტერატურამ შექმნა პერსონაჟები, რომელთაც დაუკავშირდა ეპოქალური პრობლემები: სოციალური თუ ეროვნული ჩაგვრა, ტოტალიტარიზმი, კორუფცია... ანტაგონისტის ტიპი განასახიერებს ამ მოვლენებს და მათი მეშვეობით მკითხველისთვის უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები ხდება ამბის აქტუალობა და პრობლემურობა. მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ილია ჭავჭავაძემ უბრალოდ კი არ დაგვანახა ბატონყმობის სისასტიკე, არამედ მეორე მხრიდან შემოურა საკითხს. როგორც მეცნიერი იუზა ევგენიძე წერს: „ილიამ ამ მოთხრობაში თვალნათლივ უჩვენა, რომ გარეშე ყოველგვარი სისასტიკისა და მხეცური ინსტინქტების გაღვივებისა, თავისი რაობით ბატონყმური ურთიერთობა თავისთავად არის დამლუპველი, რამდენადაც იგი აბატონებს უსაქმურობას, ადამიანს ადამიანის სახეს უკარგავს, ადამიანი ცხოველის დონეზე დაჰყავს; საზოგადოებრივ აქტივობას ცვლის“ (ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, 2010: 66).

ილია ითხოვს ადამიანისაგან, რომ შემოქმედის ხატი და მსგავსი იყოს, მაგრამ ამას ამბობს არა იდეალის ჩვენებით, არამედ ანტიგმირის ხატვით. ლუარსაბი, დარეჯანი, ლამაზისეული, დავითი თუ სხვა პერსონაჟები არ არიან სინამდვილის შემმეცნებელი, გარდამქნელი ან შემოქმედები. ამიტომ მათი ყოფა პირუტყვის ყოფისაგან არ განსხვავდება. ილია ითხოვს ადამიანისაგან, რომ იყოს ყოფიერებისთვის საზრისის მიმნიჭებელი, მისი გარდამქნელი და უკეთესობისკენ შემცვლელი. მას სჯერა, რომ ადამიანს ეს არა თუ შეუძლია, ამისთვისაა შექმნილი. ილიას განმანათლებლურ-იდეალისტურ ფილოსოფიას გავლენა აქვს, ადამიანი არის საგნებისა და მოვლენებისთვის ღირებულების მიმნიჭებელი და წესრიგის შემოქმედი, როგორც ღმერთი. რადგან „კაცია ადამიანის?!“ პერსონაჟები ამისთვის მოწოდებულნი არ არიან, ამიტომაც ისინი ანტიგმირები არიან. მათი ყოფა

დანუნებული აქვს მწერალს, პირუტყვობასთან აქვს შედარებული. ლუარსაბის ნაკლი ის როდია, რომ გემოთმოყვარეა და ბევრს ქამს, არამედ ის, რომ შემმეცნებელი და გარდამქნელი, შემოქმედი არ არის.

3. ანტიგმირი მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“

ანტიგმირის გამოსახვის თვალსაზრისით ყველასგან გამოირჩა მიხეილ ჯავახიშვილი. მან ერთ რომანში ორი ანტიგმირი დაგვიხატა. მათში გადაანანილა ყველა ის საძრახისი თვისება, რაც მის ეპოქას ახასიათებდა. გარკვეული გაგებით, მარგოც შეიძლება ანტიგმირად მივიჩნიოთ თავისი უმოქმედობით. თუმცა, სად გადის ზღვარი მსხვერპლსა და ანტიგმირს შორის და რა მასშტაბის დანაშაულია მარგოს უმოქმედობა, სხვა, უფრო ფართო მსჯელობის საგანია და ამჯერად ამაზე აღარ შევჩერდებით.

თეიმურაზი ინტელიგენციის წარმომადგენელია, კარგად აღზრდილი, დახვეწილი მანერებითა და ენციკლოპედიური ცოდნით. თუმცა, ვერ ახერხებს ეს ცოდნა განათლებამდე აამაღლოს. იგი იმდენად ქმედუნაროა, იმდენად არის დაკავებული უმნიშვნელო საკითხებზე უმიზნო ლაყბობით, რომ ვერ ამჩნევს მის ცხვირწინ დატრიალებულ ტრაგედიას. ეს ყველაზე კარგად მარგოს მხილებაში ჩანს. თუმცა, რა შეცვალა მარგოს მიერ პრობლემის გაცნობიერებამ, ესეც საკითხავია! როგორც ავტორი გვაჩვენებს, თეიმურაზი ნიჰილისტია და სწორედ რწმენის დაკარგვაშია მთელი მისი უბედურება. მას თითქოს საყრდენი არ აქვს. გარეგნობითაც სუსტია. „თეიმურაზი უმზეო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული და ნაქანდაკევი, მაგრამ გამხდარი და გაძვალტყავებული, მხრებაყრილი და მკერდჩავარდნილი, ბეცი და მელოტი, გაფუფქულ ქათმის მინამგვანი, მნიგნობრობით დაღლილი, დაშრეტილი, გამონურული და დამდნარი ნაკაცარი, რომელსაც მომავლად თვალწინ მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გააჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი: ტკბილი მოგონებანი, საერთო პატივი, მეგობართა სიყვარული, მუდმივი მოლოდინი უცნაურ მომავლისა და მარადიული დევნა ბუნდოვან ლანდებისა“ (ჯავახიშვილი, 2015: 4).

მისი სრული ანტიპოდია ჯაყო ჯივაშვილი. „იგი [ჯაყო ჯივაშვილი] ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედაბოძივით სქელი და გაფარჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ ისე განიერად დადგმულ თეძოებსა და მხარ-ბეჭს, რომ ვინრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა. რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირისახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძგვნილი ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქოს ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებელიყო“ (ჯავახიშვილი, 2019: 2). იგი სრულიად გაუნათლებელია, რაც მის მეტყველებაში და მანერებში იგრძნობა, მაგრამ მისგან საოცარი ძალა გამოსჭვივის, რაც მომნუსხველად მოქმედებს დანარჩენებზე. მხოლოდ ბოლო ნაწილში დავინახავთ, რომ ჯაყო სინამდვილეში არც ისეთი ძლევამოსილია. ნინიკას მუშტი (ნინიკა აქ ზოგადად საზოგადოებას განასახიერებს) მალევე უკან ხევს მას. ეს მოსალოდნელიც იყო. მოძალადეს ყოველთვის გამოუჩნდება მასზე ძლიერი მჩაგვრელი, რადგან ძალადობა ძალადობასვე უმობს.

ისინი თითქოს ზიარჭურჭელია, ერთად რომ ქმნიან ერთ მთელს. ჯაყოს ძლევამოსილება თეიმურაზის უსუსურობაზეა დამოკიდებული და პირიქით. ასევე ჯაყოს გაუნათლებლობა და ცხოველური მანერები უფრო თვალშისაცემია თეიმურაზის განათლებულობისა და დახვეწილი მანერების ფონზე. აღსანიშნავია ასევე საუბრის თავისებური მანერა, ორივე პერსონაჟს რომ ახასიათებს. ჯაყო დამახინჯებული ქართულით მეტყველებს, თეიმურაზი კი – ენას უკიდებს. აუდიალი მკითხველისათვის ეს კიდევ ერთი საშუალებაა, რათა გონებაში შექმნას კოლორიტი. რომ შევაჭამოთ, ჯავახიშვილთან, ისევე როგორც ილიასთან, ანტიგმირში განსხეულდა იმ ეპოქის სატკივარი. ილიამ ერთ პერსონაჟში ჩაატია ყველა უარყოფითი თვისება, ჯავახიშვილმა კი ორ პერსონაჟში გაანაწილა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ საოცრად დახვეწილი და მიგნებული მეტაფორა. თეიმურაზ ხევისთავს სიცოცხლე დამპალი მძორივით ჰკიდია. ეს სწორედ მე-20 საუკუნის ინტელიგენციისათვის დამახასიათებელი ნიჰილიზმია მხატვრულად გამოხატული.

4. ადამიანის პრობლემა პოსტმოდერნიზმში. კარდინალურად იცვლება ანტიგმირის ფუნქცია პოსტმოდერნიზმში. აქ ნიშანდობლივი გახდა განსაკუთრებული მისიის დაკისრება უღირს, გარიყულ ადამიანთათვის. კლასიკური გაგებით გმირი უკვე არ ჩანს. ვფიქრობთ, ეს ტენდენცია დეკონსტრუქციის ერთ-ერთი მაგალითია. ამას ფესვები შეიძლება სახარებაში ჰქონდეს: უარყოფილისადმი გულშემატკივრობა ჯერ კიდევ სახარებიდან იღებს სათავეს: უფალი მებაჟებთან ერთად სადილობს, მეძავს ექომაგება. „ჰრქუა მათ იესუ: არასადა აღმოგიკითხავსა ნიგნთა შინა: ლოდი, რომე შეურაცხევს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვირველ წინაშე თვალთა ჩვენთა“ (მათე, 21, 42).

შესაძლოა, სწორედ ეს იყოს XX საუკუნეში დაწყებული პროცესის, ლიტერატურის პათოსისაგან მაქსიმალურად დაცლის დამაგვირგვინებელი ფაზა – როცა გმირი, კლასიკური გაგებით, ქრება და ასპარეზს უთმობს უფრო რთულ, მრავალნახნაგოვან პერსონაჟებს, რომლებიც არც კლასიკური ანტიგმირები არიან, ზოგადად სცდებიან ყველანაირ სქემას.

მწერლები სულ უფრო და უფრო მეტად ინტერესდებიან ადამიანის რთული შინაგანი სამყაროს შესწავლით, მათი ქმედების ხსნას ცდილობენ. შედეგად უკვე ანტიგმირი ერთგანზომილებიანი ცალსახად ბოროტმოქმედი კი არ არის, არამედ მისი ქცევა განპირობებულია წარსულში ტრავმული გამოცდილებით. თანამედროვე მწერლობაში ანტაგონისტების ქცევებს რთული ახსნა და ისტორიები აქვს. ისინი ხშირად პრობლემური წარსულისა და გამოცდილების პირები არიან. პოსტმოდერნიზმში არც არის გამოკვეთილი გმირი და ანტიგმირი, კეთილი და ბოროტი პერსონაჟი. მათი დახასიათება უკვე ასეთი მარტივად და წრფივად არ შეიძლება. მათი ხასიათი მრავალგანზომილებიანია. XXI საუკუნის ლიტერატურა ცდილობს, მაქსიმალურად შეისწავლოს ადამიანი, ახსნას მისი ემოციები და ქმედების განმაპირობებელი ფაქტორები. ამის შედეგად მივიღეთ რთული ხასიათები ლიტერატურაში და მივედით ფსიქოლოგიურ რეალიზმამდე. ლიტერატურა ხშირად ასახავს ორაზროვანი მორალისა და ქმედებების პერსონაჟებს.

თუნდაც მადონე ავიღოთ აკა მორჩილაძის რომანიდან “ობოლე”. საზოგადოების თვალში ბანდიტი, მკვლელი ქალი, რომელსაც პოლიცია ეძებს, იარაღს ატარებს, სიგარეტს ეწევა და ღვინოს სვამს. იგი ქალის ხატის – რასაც ბავშვობიდან გვინერგავდნენ – აბსოლუტური დამსხვრევაა, მაგრამ ის არ არის ცალსახად უარყოფითი პერსონაჟი, ბევრჯერ იმდენად ტრაგიკულად კეთილშობილია, რომ თანაგრძნობით მსჭვალავს მკითხველს: მას არ შეუწყვეტია ავადმყოფ მამაზე ზრუნვა, შორიდან მატერიალურად ეხმარებოდა მას, მეზობლებსაც გვერდში ედგა გაჭირვებისას. იმიტომაც ჩაიგდო თავი საფრთხეში, მამისთვის უკანასკნელი პატივი რომ მიეგო. ძალიან სევდიანი ფაქტია, რომ ეს ბობოქარი ქალი სინამდვილეში ოჯახის შექმნაზე და მშვიდ ცხოვრებაზე ოცნებობს. ძალიან სევდიანად ჟღერს მისი სიტყვები: „მე ქალი როის ვიყავი, კი აღარ მახსოვს... ამდენი წელიწადია, კაცი ვარ...“ (მორჩილაძე, 2011: 256).

ზურა ჭიშკარიანის რომანის „სალექი განთიადები უმაქროდ“ მთავარი მოქმედი პერსონაჟებიც წყალწალეხულ ადამიანთა ჯგუფია. ნიშანდობლივია, რომ მათ ეკისრებათ ყველაზე მნიშვნელოვანი მისია: გაათავისუფლონ კომპიუტერულ სისტემაში გაჭედილი მეშიახ. სწორედ მათ უნდა გადაარჩინონ ღმერთი, ვინც ვინრო ადამიანური საზომებით ყველაზე შორსაა მისგან. შესაძლოა, აქ ავტორი მეტაფორულად აჩვენებდეს იმას, რომ სამყაროს ბედი სწორედ ფსკერის ადამიანების ხელში შეიძლება აღმოჩნდეს.

ასეთია ზოგადი სურათი ერთგანზომილებიანი ბოროტმოქმედიდან რთულ, შუქ-ჩრდილებიან პერსონაჟებამდე.

დასკვნა:

ჩვენი მიზანი იყო ადამიანის გამოსახვის ევოლუციის ზოგად სურათზე დაკვირვება ქართული ლიტერატურული პროცესის მთელ სიგრძეზე და დასკვნა არა მხოლოდ ლიტერატურისა და ხელოვნების, არამედ ფილოსოფიურ კონტექსტშიც საინტერესო უნდა ყოფილიყო – ვინ არის

ანტიგმირი და რა როლი აქვს მას საზოგადოების განვითარების პროცესში? განვითარების პერსპექტივა „ყურადღების მიღმა დარჩენილ“ ანტიგმირის სახეში აღმოჩნდა. **ლიტერატურამ სწორედ უარყოფითი პერსონაჟის გამოსახვა განავითარა.** რაკი იდეალური გმირების პროტოტიპი თვით მაცხოვრის ხატი იყო, მისი განვითარება შეუძლებელი აღმოჩნდა მწერლობისთვის. რომანტიზმის შემდეგ იწყება დეჰეროიზაცია, მოდერნიზმში გმირი კლასიკური გაგებით საერთოდ უჩინარდება, პოსტმოდერნიზმიდან კი იწყება ანტიგმირის გამოსახვა ახალ ხარისხში.

დროთა განმავლობაში, ეპოქების შესაბამისად ლიტერატურულ ტექსტში უარყოფითი გმირის გამოსახვის ტექნიკა განვითარდა და მან განიცადა ევოლუცია. ლიტერატურის პროგრესირებასთან ერთად, მწერლები უფრო მეტად დაინტერესდნენ ადამიანის ბუნების სირთულის შესწავლით და შექმნეს ნიუანსობრივი პერსონაჟები, მათ შორის ანტაგონისტები, რომლებიც ასახავენ ადამიანის გამოცდილების მრავალფეროვნებას. ლიტერატურა პროგრესირებს იმ მხრივაც, რომ მწერლები ადამიანის ბუნების უფრო და უფრო ღრმად შესწავლას ახერხებენ.

ლიტერატურამ ცალსახად დადებითი, წმინდანობამდე მისული ადამიანი უკვე არ ჩათვალა ასახავად იმდენად საინტერესოდ, რამდენადაც სუსტი, დაშლილი, დეზორიენტირებული, რომელიც გავლენას სამყაროზე კი არ ახდენს, კი არ განკარგავს და წარმართავს მას, არამედ ჩაიკარგა და დაექვემდებარა გარესამყაროს. რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი, რაც ძველი და ახალი ლიტერატურის ანტიგმირებს (ვარსქენი, ლუარსაბი, თეიმურაზი...) დაჰყვა, ეს არის მათი არაპროგრესულობა; ისინი კომფორტის ზონის ადამიანები არიან, სურთ, რელიგიაც კი მოირგონ; ვერ სცდებიან საკუთარ „ჭაობს“ და ვერც კი ხედავენ, სად არის ხსნა, სად ეძებონ საყრდენი და სამომავლო ძალა.

პოსტმოდერნიზმმა თავისი ასახვის საგნად სწორედ წინამორბედი ლიტერატურის მიერ გარიყული სახეები აირჩია. ამაში შეგვიძლია საზოგადოების აზრიც დავინახოთ. იგი განწირულის მხარეს იჭერს და ეს ტენდენცია ლიტერატურაშიც იჩენს თავს. XXI საუკუნის ლიტერატურული პერსონაჟები, წინამორბედებისგან განსხვავებით, მკვეთრად ინდივიდუალურები არიან. მათ აქვთ ბევრი ნაკლი, შესაძლოა, ბნელი წარსული, პრობლემებით აღსავსე ანმყო და გაურკვეველი მომავალი. ისინი თავიანთი არასრულყოფილებით სამყაროსთან მუდმივ კონფლიქტში არიან და მათი ცხოვრების ჩვენებით თანამედროვე სამყაროს სურათი იკვეთება.

ლიტერატურა ხომ ცხოვრებაა? ცხოვრებაში გმირები კი ნაკლებად არიან. ალბათ, ამიტომაც თანამედროვე ლიტერატურა ფსკერის ადამიანებს გამოექომაგა და მკითხველსაც ასე შეახსენა: ღმერთი ყველა ადამიანშია და შენც პოტენციური გმირი ხარო!

ლიტერატურა:

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. (2010). ტ. 2, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ამირხანაშვილი, ი. (2014 მაისი). აგიოგრაფიის ანტიგმირი. სჯანი, 15.

ფარულავა, გ. (1982). მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბილისი.

მორჩილაძე, ა. (2011). Obole, თბილისი: „სულაკაურის გამომცემლობა“.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის საერთო რედაქციით, 1, 1963, თბილისი.

ილია ჭავჭავაძე (2015). კაცია-ადამიანი?!, თბილისი: „საბას“ წიგნები.

ჯავახიშვილი, მ. (2019). ჯაყოს ხიზნები, თბილისი: გამომცემლობა „ნინო ხუნდაძე“.

ჯიშარიანი, ზ. (2017). საღეჭი განთიადები უშაქროდ, თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

„ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა H-ტიპის სოციალური კავშირი H-shaped Social Network of the Characters in “The Knight in the Panther’s Skin”

ჯიანფენგ ლი

Jianfeng Li

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ადამიანის არსი მისი სოციალური კავშირების ჯამია. იგივე ითქმის ლიტერატურული ნაწარმოებების პერსონაჟებზეც, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მხატვრულ სახეებზე. ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი საგანძურის, „ვეფხისტყაოსნის“, პერსონაჟები XI-XII საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ცოცხალი ინდივიდუალური ხასიათებია.


ნაშრომში ვცდილობთ, გავანალიზოთ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა განმსაზღვრელი გეოგრაფიული და კლასობრივი ფაქტორები, კერძოდ, რომელი ქვეყნიდან ან რეგიონიდან არის კონკრეტული პერსონაჟი და რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელია იგი.

ცხრილი 1: „ვეფხისტყაოსანში“ გეოგრაფიული და კლასობრივი ინფორმაცია

გეოგრაფია \ ფენა	მაღალი ფენა	საშუალო ფენა	დაბალი ფენა
ინდოეთი	ფარსადანი, ნესტან-დარეჯანი	ტარიელი	ასმათი
არაბეთი	როსტევანი, თინათინი	ავთანდილი, სოგრატი, უსამი	შერმადინი
მულღაზანზარი	ფრიდონი	-	-
გულანშარო	ფატმანი, უსენი	-	-
ხატაეთი	რამაზი	-	-

ასევე, ვცდილობთ, დავადგინოთ H-ტიპის სოციალური კავშირი პერსონაჟთა შორის, სადაც, სავარაუდოდ, სწორედ საშუალო ფენა ამყარებს პერსონაჟთა კავშირებს სხვადასხვა კლასსა და სხვადასხვა ქვეყანას შორის. ყოველი პერსონაჟის სოციალური მანძილი არის 2 (სოციალური მანძილი თითოეულ კლასს შორის არის 1 და სოციალური მანძილი თითოეულ ქვეყანას შორის არის 1).

სქემა 1. „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა H-ტიპის სოციალური კავშირი



ასეთი მიდგომის საფუძველზე შეგვიძლია დავაკვირდეთ შემდეგ სამ შემთხვევას:

- 1) სხვადასხვა ქვეყანასა და ფენას შორის კავშირების დამყარების ძირითადი მედიატორები საშუალო ფენის პერსონაჟები არიან. მათ შეუძლიათ მიაღწიონ და დაამყარონ კავშირი როგორც დაბალ, ასევე მაღალ ფენასთან ერთსა და იმავე ქვეყანაში. მაგალითად, პოემაში ყველაზე ხშირად ჩნდება სახელები ავთანდილი და ტარიელი.
- 2) გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, მაღალი და დაბალი ფენების მოძრაობა ნაკლებია იმიტომ, რომ სხვადასხვა მაღალ და დაბალ ფენას შორის კავშირი მცირეა. ეს ფენები, ძირითადად, საშუალო ფენის მეშვეობით ამყარებენ ქვეყნებს შორის კავშირებს. მაგალითად, პოემაში არ არსებობს პირდაპირი კავშირი არაბეთისა და ინდოეთის მეფეებს შორის. დაბალი ფენების კავშირი კი კიდევ უფრო მეტად შეზღუდულია ქვეყნებს შორის კავშირების თვალსაზრისით; მაგალითად, შერმადინს სოციალური კავშირები აქვს მხოლოდ არაბეთის ფარგლებში (მეფესთან, სპასპეტთან და მეფის ასულთან).
- 3) გეოგრაფიული ფაქტორების გარდა, გარკვეულწილად კლასობრივი ფაქტორებიც მოქმედებს კავშირის დამყარებაზე, განსაკუთრებით დაბალ ფენებს (ყმებს) და მეორე ქვეყნის მაღალ ფენებს (მეფეებს) შორის კავშირები, რომლებიც პოემაში საერთოდ არ ჩანს – არ არსებობს. მაგალითად, ინდოეთის მონა ასმათს არ აქვს კავშირი არაბეთის მეფე როსტევანთან და/ან მის თანამესაყდრე თინათინთან, ხოლო არაბეთის მსახურს შერმადინს, ასევე, არ აქვს კავშირი ინდოეთის მეფე ფარსადანთან.

ამგვარი დაკვირვებიდან გამომდინარე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შოთა რუსთაველის მიერ აგებული XI-XII საუკუნეების საქართველოს სოციალური სტრუქტურა და კლასობრივი მიგრაციის სურათი:

- 1) საშუალო ფენა ყველაზე მოძრავი ფენაა და მასთან მიმართებით, მაღალი და დაბალი ფენის შეზღუდული სოციალური მანძილის გამო, აქტუალიზებულია „გამყარებული საზოგადოებრივი ფენის ფენომენი“. დაბალი ფენისთვის რთულია ფენებს შორის არსებული იერარქიის საფეხურებზე აღმასვლა, ხოლო მაღალი ფენისთვისაც არაა ადვილი ფენების იერარქიის საფეხურებზე დაღმასვლა-დადაბლება.
- 2) სოციალური მანძილით შეზღუდული, ნაკლებად აქტიურია მოსახლეობის ფართომასშტაბიანი მიგრაცია ქვეყნებს შორის – ამის მთავარი ფაქტორია განვითარების გამონწვევის თვალსაზრისით პასიური მიგრაცია, როგორცაა ომის, შიმშილის, ცუდი გარემოსა თუ სხვა ფაქტორებით გამონწვეული მიგრაციები. გარკვეულწილად, ეს ხელს უწყობს საქართველოს საკუთარი უნიკალური და დამოუკიდებელი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას.

ლიტერატურა:

- ვახანია, ნ.** (2017). რუსთაველი და მისი პოემა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, შოთა რუსთაველი სა-
იუბილეო კრებული, ზუგდიდი, გვ. 54-63.
- შოთა რუსთაველი** (1957). „ვეფხისტყაოსანი“.
- ჯავახიშვილი ივ.** (1955). ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, გვ. 19.
- Jacob, R., Koschützki, D., Zweig, K., Peeters, L., Tenfelde-Podehl, D.** (2005). Algorithms for Centrality Indices,
In: Brandes, U., Erlebach, T. (eds) Network Analysis. Lecture Notes in Computer Science, v. 3418. Springer,
Berlin, Heidelberg. https://doi.org/10.1007/978-3-540-31955_94.

მირზა გელოვანის ომის ლირიკის პოეტიკა The Poetics of Mirza Gelovani's War Lyrics

სალომე ლომოური
Salome Lomouri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

მეორე მსოფლიო ომმა დიდი გავლენა იქონია მეოცე საუკუნის პოეზიაზე. ბევრი პოეტი თავადაც მონაწილეობდა ომში და ბრძოლის ველზე ნანახსა და განცდილს აღწერდა. ომი ფრონტს მიღმა დარჩენილთაც შეეხო, მასზე წერდნენ ის პოეტებიც, რომელთაც თავად არ უბრძოლიათ, თუმცა ზოგი მათგანი არანაკლები სიცხადითა და რეალიზმით აღწერდა ფრონტულ ყოფას. ამ პროცესში პირველი მსოფლიო ომის პოეტთა შემოქმედებამაც დიდი როლი შეასრულა.

მეორე მსოფლიო ომის ლირიკა თემატურად მრავალფეროვანია, თუმცა შესაძლებელია, რამდენიმე ძირითადი თემის გამოყოფა. ზოგი პოეტი ომის ტრაგედიასა და უდროოდ დაღუპულ თანამებრძოლებზე წერდა, ზოგი ყურადღებას ამახვილებდა ჯარისკაცების სიმამაცესა და თავგანწირვაზე; ამ ტიპის ლექსები ხშირად პატრიოტულ პათოსსაც შეიცავდა. მწვავედ დადგა ეგზისტენციალიზმის საკითხიც, კითხვები ადამიანის ცხოვრების არსზე, დანიშნულებაზე, ფილოსოფიური ანალიზი პოეზიაში კვლავ შემოიქრა. თუმცა ევროპასა და ამერიკაში გამოიკვეთა კიდევ ერთი ნაკადი – ომის პოლიტიკური და სოციალური კრიტიკა. თავისთავად ცხადია, ამგვარი პოეზია ბოლშევიკურ ქვეყნებში ვერ იარსებებდა, რადგან საბჭოთა კავშირში არავის ჰქონდა ხელისუფლების გაკრიტიკების უფლება.

ქართველი პოეტების ლექსებში უფრო ხშირად მტრისგან სამშობლოს დაცვის მოტივს ვხვდებით. მას შემდეგ, რაც ისევ დასაშვები გახდა ნაციონალიზმის სახელით აკრძალული პატრიოტიზმი, ამგვარი სულისკვეთების ლექსებმა იმძლავრა. ომმა განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია მე-20 საუკუნის 30-იანი წლების პოეტთა თაობაზე და მათი უმრავლესობა შეინირა კიდევ. ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ლადო სულაბერიძე, რევაზ მარგიანი ჟურნალ „ჩვენს თაობაში“ ბეჭდავდნენ ლექსებს. უმეტესობას 30 წლამდე მიღწევაც არ დასცალდა და ლიტერატურის ისტორიაში „მარად ჭაბუკებად დარჩენილთა“ სახელით შევიდნენ. მიუხედავად ამისა, მათი პოეზია ყურადღებას იქცევს ორიგინალური პოეტიკით, თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვით, ახალი სალექსო ფორმებითა და პოეტური სტილისტიკით. 1932-34 წლებში გაბატონებული „სოციალისტური რეალიზმის“ მეთოდის შეზღუდვების მიუხედავად, მათ მოახერხეს ახალი სიტყვა ეთქვათ ქართულ პოეზიაში და გულწრფელი, ღრმა განცდით ეწერათ.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში „ქართულ დიგეზაგუხაში დამკვიდრებული მოდერნისტული ტენდენციები კონცეპტუალური ანტაგონიზმში აღმოჩნდა საბჭოთა დიგეზაგუხის იდეოლოგიური პინციპებთან. სუდიეხი ლიხებუდებების დესტრუქციით აღნიშნული პოდიტიკური კუხის იმთავითვე დაუპიხისპიხდა შინაგანი, სუდიეხი ძიებით აღნიშნულ დიგეზაგუხულ პიოცესს“ (რატიანი და სხვ., 2016, გვ. 9). თუ 20-იან წლებში სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლები ჯერ კიდევ ახერხებენ შემოქმედებითი თავისუფლების მცირე დოზით შენარჩუნებას, 30-იანი წლები ქართული ლექსის ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდია. ამ ათწლეულის დასაწყისში უკვე ოფიციალურად გაუქმებულია ყველა სალიტერატურო დაჯგუფება და მიმდინარეობა. ხელისუფლება მთელი ძალით ებრძვის ნოვატორობას, რომელსაც ფორმალიზმს უწოდებს, და მთელ მწერლობას ერთ ჩარჩოში აქცევს. რჩება ერთადერთი შემოქმედებითი მეთოდი საბჭოთა რეალიზმისა. ამავდროულად, ეს არის პერიოდი, როცა 20-იანი წლების რეპრესიების შიში ჯერ კიდევ ცოცხლობს ხალხის მეხსიერებაში

და, შეიძლება ითქვას, პოეტათვის სოციალისტური რეალიზმის დადგენილი გზიდან გადახვევა გამირობის ტოლფასია.

ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მირზა გელოვანს ეყო გამბედაობა, მოეთხოვა ლექსის განახლება და ესაუბრა იმდროინდელი პოეზიის ნაკლოვანებებზე. 1939 წელს იგი მწერალთა ყრილობის სხდომაზე თამამად განაცხადებს:

„ღღევანდედ ქაჩთურ პოეზიაში (მე ვამბობ ახადგაზხდათა შემოქმედების გამოკლებით, ხადგან, ხოცა ჩვენში დაპაჩაკია პოეზიაზე, ახასოდეს ახადგაზხდებს ახ ათვიან) გამეფებურია აღწეხითი, ხედვითი პოეზია, ზოგჯე ფოტოგრაფიამდე დასუდი პოეზია. ლექსი იწყება იმით, რომ ქვა ქვაზე გდია, ხე გვას ქადვით, ყვავილნი ჰყვავიან, წინათ აქ საშინელება იყო და აი, თუხმე მზე ამოსუდა, ყვედაფეხი იოდად გაკეთებურა. მწეხლებმა, სახოგბო პოეზიასთან ეხთად, უნდა ვწეხოთ ყოვედღიუხ ნაკლოვანებებზე. დიახ, ასე უნდა ხედბოდეს, მაგამ ღღევანდედი პოეზია იწყება ხომედიმე მომხდახი ფაქცის ხატვით და თავდება სადოზუნგო ხოგბით. ამიგომაც, თითქმის ყველა პოეტი ერთმანეთს ჰგავს. რომელიმე ლექსს პოეტის გვარი რომ მოაცილო, კაცი ვერ გაიგებს, ვისი დაწერილია. თუ ახალგაზრდის ლექსში ოდნავი ორიგინალურობა, ოდნავი გამბედაობა გამოსჭვივის, მას არ ბეჭდავენ“ (2009, გვ. 433).

ამ სხდომიდან მალევე მირზა გელოვანს საბჭოთა არმიის ინივერსიტეტი და ფრონტზე გზავნიან, ხოლო 1941 წლიდან, მას შემდეგ, რაც „ჩვენი თაობის“ გამოცემა შეწყდა, მის ლექსებს ქართული პერიოდიკაში აღარ ბეჭდავენ. მირზა გელოვანის ომის ლირიკა მისი პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია. იგი შეულამაზებლად და გულწრფელად გვიყვება ომზე, თავის გამოცდილებებზე. ფრონტიდან გამოგზავნილ ბარათში პოეტი წერდა, რომ *„სურ მეუხახე ბიძოლებში იმყოფებოდა“* და *„სუნთქავდა დენთისა და გყვიების ბოდს“*. იგი ძალიან განიცდიდა იმასაც, რომ მის ლექსებს არ აქვეყნებდნენ. 1944 წელს მ. გელოვანი თავის დას, რუსუდანს, სწერს: *„ნუთუ ახ ყოთ ჩემს ღექსებს სიმახთდე, ხომ ახც ეხთი მათგანი ახ დაბეჭდიდა აქანობამდის?“* (2009, გვ. 492). შესაძლოა, ფრონტული ლექსების არდაბეჭდვის მიზეზი სწორედ მათი სიმართლე იყო, ის მძიმე რეალობა, რომელსაც პოეტი თვალნათლივ გვიხატავდა.

1940 წელს მირზა გელოვანი კვლავ რუსუდანისადმი მიწერილ ბარათში ამბობს: *„აქ (ჭაჩში) ვისწავდე ადამიანი და ნამდვირი ცხოვრება – მთელი თავისი უფსკრულებით, სილამაზით, გაუგებრობით. აქ ვისწავლე, როგორ ძვირი ღირს მოსიყვარულე გული და როგორ არ ვაფასებთ მათ. აქ დავინახე, როგორ იცვლება ადამიანი გარემოების მიხედვით, როგორც ქამელეონი. აქ განვიცადე ბევრი დამცირება, რამაც უფრო აამაღლა ჩემი ამაყი სული“* (2009, გვ. 475).

მირზა 1944 წელს დაიღუპა, ბელორუსიაში, მდინარე დასავლეთ დვინის გადალახვისას, როცა სულ რაღაც 27 წლის იყო. მისი პოეტური შემოქმედება 11 წელიწადს ითვლის. მ. გელოვანის პირველი ლექსები 1933 წლით თარიღდება. საარქივო კრებულ „დაბრუნებაში“ (2009) 314 ლექსი და მათი 50-მდე ვარიანტი შესული. ამათგან ომის ლირიკას 40-მდე ლექსი მიეკუთვნება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის არის პოეტის შედევრებიც.

მირზა გელოვანის ადრეული პერიოდის ლექსები ვერსიფიკაციული ძიებებითაა მდიდარი. იგი იყენებს ქართული ლექსწყობისთვის ცნობილ თითქმის ყველა საზომს და იზოსილაბურ ლექსებში საზომთა რიტმულ ვარიაციებს გვთავაზობს. თამარ ბარბაქაძე მიუთითებს, რომ მირზა გელოვანის 30-იანი წლების პოეტურ ტექსტებში უკვე შეინიშნება საგანგებო ძიების კვალი სტროფიკის სფეროშიც: გვხვდება სონეტი, მრჩობლენი, აშულური, სამტაპედეებითა და სექსტინით დაწერილი ლექსები (2017, გვ. 68).

„მხავადფეხოვანია და მხავადმხივი მიხვას ომამდედი ღექსები. ჭაბუკუხი გზნებით აგაცებური სტეიქონები, სიცოცხლის, სიღამაზის, ბუნების გეფიადი“ (ცხადაია, 2017, გვ. 200). პოეტი ცდილობს, რიტმულ-მეტრული ვარიაციები საზრისის მიხედვით შეარჩიოს. მისი ადრეული ლირიკა მზიან-ჩრდილიანია, ერთი მხრივ, ახალგაზრდული მგზნებარებით სავსე, მეორე მხრივ კი – ერთგვარი სევდით გაჟღენთილი, რომელიც ლირიკულ გმირს მუდამ თან სდევს. ამგვარი გაორება მირზას პიროვნებიდან მომდინარეობს. ის თავის თავში ორ „მე“-ს ატარებს – ერთი „მზის პოეტია“, მზის მეგობარი, მეორე კი – მინაგანი ტრაგიზმით დაღდასმული, „მზისაკენ სევდით მყეფარი“.

ომის ლირიკაში ეს გაორება აღარ შეიმჩნევა. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემატიკას შეჩეხებული პოეტი ცხადი, რეალისტური, სურათებით აღგვიწერს ბრძოლის ველს და სამშობლოში დაბრუნებას ნატრობს. მირზა გელოვანის ლექსებში ომი რომანიტიზებული არ არის. მხოლოდ ალაგ-ალაგ იელვებს პატრიოტული პათოსი, რაც ბევრი იმდროინდელი პოეტის ომისადმი მიძღვნილი ლექსების მთავარი თემა გახდა (ამას მთავრობის პირდაპირი დაკვეთაც უწყობდა ხელს). მირზა გელოვანი, უმეტესად, ომის სისასტიკეზე, უდროოდ და უაზროდ შეწყვეტილ სიცოცხლეთა ტრაგიზმზე გვესაუბრება. იგი წერს იმაზე, თუ რა ძნელია, შეინარჩუნო ადამიანური ღირსება და სულის სიმაღლე ფრონტზე, როდესაც სიკვდილს გამუდმებით თვალეში უყურებ და მისი შიში ყოველ ამოსუნთქვას დაჰყვება.

მ. გასპაროვი აღნიშნავს: „*ლექსების კითხვისას ჩვენ ახასოფეს აღვიქვამთ მხოლოდ იმას, ხაც ნათქვამია სიგყვიეხად – ჩვენ ყოველთვის შევიგრძნობთ იმასაც, რასაც გვეუბნება მათი მეტრი, რიტმი, რითმები, სტროფები*“ (2003, გვ. 13). ყველა ეს კომპონენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული მათგანი გავლენას ახდენს ლექსის მკითხველისეულ აღქმაზე.

მირზა გელოვანისადრეული ლირიკა (1935-1938) მიდრეკილია ჰეტეროსილაბიზმისკენ – სტროფის ფარგლებში ორი ან სამი საზომის მონაცვლეობისკენ და ხშირად ორიგინალურ და მელოდიურ კომპოზიციებს გვთავაზობს. პოეტი მეტრის ცვლილებით ათამაშებს რიტმსა და ინტონაციას და ზოგჯერ მოულოდნელ ეფექტს ქმნის. უფრო მეტიც, იგი წერს ე.წ. „შერეული ტიპის“ ლექსებს. „მეტრული ორგანიზაციის თვალსაზრისით, ეს ნიმუშები, ერთგვარად, შუალედურ მდგომარეობას ასახავს თავისუფალ და კონვენციურ ლექს შორის“ (ქურთიშვილი, 2017, გვ. 190); თუმცა მირზას ომში განვევის შემდეგ ამგვარი ვერსიფიკაციული ძიებანი მეორე პლანზე ინაცვლებს. 1940 წლიდან 1944 წლის ჩათვლით დაწერილი 36 დათარიღებული ლექსიდან 25 იზოსილაბურია. პოეტი ყველაზე ხშირად სიმეტრიულ 10-მარცვლედს (5/5) იყენებს. მეორე ადგილს ბესიკური 14-მარცვლედი (5/4/5) იკავებს, თუმცა გვხვდება 12-, 9-, 8-, 7- და 6-მარცვლედებიც, მათგან ზოგი მხოლოდ ჰეტეროსილაბურ ლექსებში. აღსანიშნავია, ორი ვერლიბრი და სონეტი „*** არ არის ძნელი“.

რიტმული პოლიფონიურობა, რაც მირზა გელოვანის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია და მდიდრულ ჟღერადობას სძენს მის ლექსებს, ომის ლირიკაში ნაკლებად შესამჩნევია. ეს, ნაწილობრივ, იმის ბრალიცაა, რომ პოეტს ცოტა დრო ჰქონდა ლექსებზე სამუშაოდ. ამას თავადვე აღნიშნავს რუსუდანისადმი გაგზავნილ წერილებში. თუმცა იზოსილაბური საზომები მის ლექსებს უფრო მეტად მელოდიურს ხდის. შეიძლება ითქვას, აქ ერთგვარ დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე – ჰარმონიული ფორმა უპირისპირდება დისჰარმონიულ შინაარსს და შედეგი მართლაც შთამბეჭდავია:

*მთაწმინდიდან სმოლენსკამდე გზაა შოხი,
უფხო შოხი – გზა ბიძოლის და მწუხახების.
გახსოვს ღამე? – გავუძვეხით ნაღმებს ოხნი
და მგჩის ბდინდაჟს შევუკეთეთ ყუმბახები.
გახსოვს დნეპხი? – მღვხიე, ხოგოხც გათენება.
დნეპხზე მღვხიე – შემოდგომის მღვხიე ქაჩი,
დაჩეხიდებს თბილისის ცა გვამხთედება,
ჩვენს საშვედად მთაწმინდიდან წამომდგაჩი.*

(გელოვანი, 2009, გვ. 252)

„მთაწმინდიდან სმოლენსკამდე“ 12-მარცვლიანი ტრიმეტრით (4/4/4) არის დაწერილი. რიტორიკული შეკითხვები და გამეორებები ლექსის ექსპრესიულობას აძლიერებს. მეორე სტროფში სამჯერ გამეორებული „მღვრიე“ მოცემული ხატების ფონზე ბრძოლის ველზე წარმოქმნილი ქაოსის ასოციაციასაც ქმნის, მით უფრო, რომ წინა ორ ტაეპში ლირიკული გმირი ნაღმებსა და ყუმბარებს ახსენებს, რომლებიც მკითხველის გონებაში აფეთქებასა და კვამლს უკავშირდებიან. სიმბოლურია

დნეპრის ხსენებაც – მდინარე მეტაფორულად სიცოცხლეს/ცხოვრებისეულ გზას უკავშირდება და ომის ქარცეცხლში მოყოლილ მებრძოლთა ცხოვრებაც ისეთივე „ამღვრულია“, როგორც მდინარის ტალღები.

„პოეზია დაკავშირებულია ჩიგოჩიკასთან: პოეზია ის ენაა, რომელიც გულისხმობს ენისა და მეტყველების ფიგურათა მხავადფეხოვნებას. მისი მიზანი მკითხველის დახწმუნებაა. აჩისტოგედე ასხვავებდა ჩიგოჩიკას პოეტიკისგან. ის ამტკიცებდა, რომ პოეზია საუკეთესო გამოსავალია მკვეთი ემოციების გამოსახატავად“ (ქალერი, 2014, გვ. 99). მირზა გელოვანის ომის ლირიკა მდიდარია რიტორიკული ფიგურებითა და ტროპებით და მეტრული სისადავის მიუხედავად, ექსპრესიული და დინამიკურია.

აღსანიშნავია, რომ პოეტისთვის ყველაზე ნაყოფიერი 1935 (77 ლექსი) და 1936 (80 ლექსი) წლებია. ხოლო 1940-42 წლებში ერთგვარი პაუზა გვაქვს, ამ პერიოდში იგი მხოლოდ 14 ლექსს წერს (წლების მიხედვით – 4, 4 და 6 ლექსი). 1943 წელს მათი რაოდენობა 15-მდე იზრდება, სიცოცხლის უკანასკნელ წელს კი იგი ომის ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს ქმნის. შეიძლება ითქვას, მირზა გელოვანს დრო დასჭირდა, რომ ომის გამოცდილებები პოეტურ ტექსტებად გარდაექმნა.

გრიგოლ რობაქიძე თავის წერილში „ლექსები ომზე“ იმ პერიოდის გამოჩენილი პოეტების (მაიაკოვსკი, ბრიუსოვი, მანდელშტამი და სხვ.) ომზე დაწერილი ლექსების განხილვისას აღნიშნავს, რომ ეს ლექსები ცივი, მოსაწყენი, მექანიკური და უსულოა. მარტივი რითმებითა და რიტმებით სავსე ამ ლექსებს არაფერი აქვთ საერთო ნამდვილ პოეზიასთან, ლირიკასთან. მათში არა მხოლოდ დათრგუნულობა, ერთგვარი მოშვებულობაც იგრძნობაო. გამონაკლისად იგი მხოლოდ ანა ახმატოვას ლექსებს მიიჩნევს. უფრო მეტიც, რობაქიძის აზრით, თანამედროვე ომი ისეთი გრანდიოზული მოვლენაა, რომ თვით გენიოსი-ტიტანების სისხლძარღვებსაც არ შეუძლია მისი დატევნა, ამიტომ არც ის უკვირს, თუკი დასახელებულმა პოეტებმა ომი ძირეულად, საფუძვლიანად, ბოლომდე ვერ გადახარშეს (ჯოხაძე, 2021, გვ. 472).

მირზა გელოვანის ომის ლირიკას ცივს და მექანიკურს ვერ ვუნოდებთ. პირიქით, პოეტი ახერხებს მთელი სიმძაფრითა და სიცხადით მოიტანოს მკითხველამდე ომის სისასტიკე. მისი ლექსები არ ერგება საბჭოთა მთავრობის კონიუნქტურას, რომელიც პოეტებს მოუწოდებდა, ეწერათ შემართებით სავსე, პატრიოტული პათოსით გაჟღენთილი ლექსები: „საბჭოლოდ დექსით უნდა გამოვიდეს დღეს მწეხარი... მან კადამი უნდა შესცვადოს საბჭოლოდ იახალით... ყველა საბჭოთა მოქალაქეს უნდა განუვითალოს თავგანწიხური პატიოსანობა და უშიშაობა მებრძოლის მაღალი მოხალისეობის თვისებები“ – აცხადებდა „ლიტერატურული საქართველო“ 1941 წლის 10 ივლისს (ცხადაია, 2021, გვ. 423).

მირზა გელოვანს სიმამაცე ნამდვილად არ აკლდა. იგი ამაცობდა თავისი სვანი წინაპრების ვაჟკაცობითა და გამბედაობით: „ჩაკი დაეშვა ხევებში მწუხხი,/ წხიაპს მივანდე სვანუხი მუხლი;/ საჭიხვეებზე კდეები ხუხი/ გათენებამდე ვდახე“ (გელოვანი, 2009, გვ. 197) – პოეტი მზადაა, სიკვდილს თვალეში ჩახედოს და გმირულად იბრძოლოს, მის ლექსებში ერთგვარი გამონვევაც კი ისმის – თითქოს მოგვიწოდებს, მისი სიმამაცე გამოვცადოთ, მაგრამ ამგვარი მზადყოფნა ფრონტის საშინელებას ვერ გადაფარავს, ამიტომ ომის რომანტიზების ნაცვლად, იგი შეულამაზებლად გვიხატავს სინამდვილეს – რომ ომი სიკვდილია, სიკვდილის გამუდმებული შიში და სულიერ ღირებულებათა მსხვერვა. ომი პიროვნებებს ანგრევს და მირზა მთელი არსებით ილტვის, რომ ამგვარი ნგრევა თავიდან აიცილოს.

შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის ველზე, სადაც მარადიულ ფასეულობათა ნიველირება ყველაზე მარტივია, პიროვნული ღირსების შენარჩუნება მირზა გელოვანისთვის გადამწყვეტი ხდება:

*იქ სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ,
სისხლის წვიმაში, გყვიების ჩქეჩში
მე ახ ვკაჩგავდი სიმალღეს ჩემსას,
რომელიც ოდეს გიყვარდა ჩემში.*

(2009, გვ. 262)

იგი განიცდის თანამებრძოლთა ხვედრს, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ სიკვდილს ვერაფერი დაუდგება წინ და დღეს თუ ხვალ, შეიძლება, თავადაც იგივე ხვედრი გაიზიაროს:

*შენ ნახე, ხოგოხ იწვოდა ზეცა
გაუგონაჲი მღვხიე დაწვითა
შენ გახსოვს, ცყვია მე ხოგოხ ამცდა
და ამხანაგის გულში გაცივდა.
ხოგოხ დაეცა იგი დაჭიდი]
ხოგოხ კაწიავდნენ მიწას თითები
და გაზაფხულის შოხი აჩიდი
ხოგოხ მოჰქონდა დღეს გაფითებით.
მითხაჲი, განა გიშვედის
ხომ შედხკე ახდა სიკვდილის გამო?
ხამდენი ნახე შენ ფეხშიშველი
ბავშვი უსახლო და უდედმამო.
შენ მიდიოდა... გზა იყო სისხლის
და ბავშვის თვალებს უცვდიდა იეხს
სიკვდილისაგან შენ ვეხია გიხსნის,
თვითონ სიკვდილი თუ ახა სძლიე.*

(2009, გვ. 244)

ლექსში „შენ“ ლირიკული გმირი თითქოს მეორე პირს ესაუბრება, მაგრამ, ამავდროულად, ნათელია, რომ იგი საკუთარ თავს მიმართავს. „პოეზია, *ხოგოხც მეცყვედების გიპი, დინგვისტუხად მონოდოგუხოებისაკენ მიისწიფვის*“ (ლოტმანი, 2015, გვ. 358). მირზა გელოვანის პოეზიას კი, უმეტესად, ჰყავს ადრესატი, რომელსაც ლირიკული გმირი ესაუბრება და ზოგ შემთხვევაში, ისევე, როგორც ამ კონკრეტულ ლექსში, ეს მისივე ალტერ ეგოა. გამეორებები, ანაფორა, ანჟამბემანი და ინვერსია ლექსის პოეტიკურ ქარგას ქმნის.

აღსანიშნავია, რომ ლირიკული გმირი ხშირად უმანკო ბავშვს ედარება, რომელიც ომის ქარცეცხლშია მოყოლილი: „და სასიკვდილო ცყვიების ფაიფაგს/ ღამეში გაწვდილთ ცეცხლის ენებად,/... მე ვუცქეხოდი თვალებით ბავშვის“ (გელოვანი, 2009, გვ. 262). ომი – დანახული უდანაშაულო ბავშვის თვალებით – კიდევ უფრო საშინელია. ეს განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობა ვერლიბრში „სურათი“:

*ბავშვი ეკითხებოდა მამას: – ხოდის წავადთ სახლში?
ღხუბდები ახა ჰგვანდნენ ღამუხებს, –
ღხუბდებს შეეჭამათ ცა.
და მგიხადი ბავშვი, ხოგოხც მოდალუხი
ეკითხებოდა ხმას საკუთაჲს:
ხოდის წავადთ სახლში?
იმ ღამეს მზის გახდა ახაფეხს ეძინა.
– გვიშვედეთ, გვიშვედეთ! – ჰკიოდა გიგადი.
– გვიშვედეთ, ხეებმა შეიბეს ფეხები,
ხომ ხოგოხც ჭინკებმა,
იქიოდონ ცაში!
– ახ გესმით? ხოგოხც ბადახის
ჩუხჩუდი კითხულობს ხმა:
– ხოდის წავადთ სახლში?*

(2009, გვ. 245)

პოეტი თავად არის დაკარგული ბავშვი, რომლის ჩურჩულიც ომის ქარცეცხლში გახვეული სამყაროს ხმაურში იკარგება და არავის ესმის. ომი მხოლოდ ადამიანებს კი არა, ბუნებასაც ანადგურებს, გარშემო ყველაფერს დაღს ასვამს. ბრძოლის ველზე ქაოსი ისადგურებს. სიმბოლურია ისიც, რომ მზეს სძინავს, მთვარე კი არ ჩანს. მნათობები მირზა გელოვანის პოეზიაში ზოგჯერ მეტაფორებია. ამ კონტექსტში მზე ხშირად მის მეგობრად, მფარველად გვევლინება და მისი დაძინება ლირიკული გმირისთვის საფრთხის პირისპირ მართოდ დარჩენის მანიშნებელია. მ. გელოვანი ამგვარად მიგვანიშნებს, რომ მას განსაცდელი ემუქრება.

„მიხზას სხუდიად განსხვავებული, „ნამდვირი პოეტის“ (გუჰამ ასათიანი) ინდივიდუალური ხმა პიხადურ განცდად აქცევს ყვედაფეხს, ხასაც მისი მზეხა სწვდება. უცდომელი პოეტური გუმანი ფეხსა და სახეს უცვდის ახა მხოლოდ გახესამყაროში მომხდახ ნებისმიეხ მოვდენას, ახამედ შინაგან განცდაში გაელვებულ შეგრძნებასა და აღქმას. ეს გუმანი ჩანურულია და აშკარად თუ ფარულად ჩნდება მირზა გელოვანის თითქმის ყველა ლექსში“ (ჯოხაძე, 2021, გვ. 475).

პოეტის ომის ლირიკა თემატურად მრავალფეროვანია. ერთი მხრივ, ის წერს ისეთ ლექსებს, როგორებიცაა: „ჩემს მინურ ქოხში“, „შენ“, „***იქ, სადაც სხვები..“, „***მთანმინდიდან სმოლენსკამდე“ და „საზიზღარი დილა“, მეორე მხრივ, გვაქვს სატრფოსა და დედისადმი მიძღვნილი ლექსები: „ნუ მწერ“, „განშორება“, „მელოდე“, „ო, მაპატიეთ“, „დედას“ და სხვ.

*ლექსში „გმირობას მისას“ პოეტი დაღუპულ თანამებრძოლს აღგვიწერს:
თოვრით დაფაჩურ ნაძვების ახროს ის იწვა ეხით
და უცქეხოდა ღხუბლების მადლობს თვადებით თეთხით
ახც ხმდის ნატეხი, ახც ბუდე ისხის ახ ეგდო სადმე
მხოლოდ შემხმახი მოშაო სისხლი შვენოდა წახბებს.*

(2009, გვ. 242)

დიდბესიკური (5/5/5) საზომით დაწერილი ლექსის პირველი სტრიქონი ჰარმონიულ ბუნების სურათს ხატავს, რომელსაც წამიერად ცვლის ტრაგედიის განცდა. უკვე ტაეპის დასასრულს ვხვდებით, რომ რაღაც რიგზე ვერ არის და „თვალეხი თეთრი“ ამ წინათგრძნობას ადასტურებს. თოვლი მირზა გელოვანის პოეზიაში გაბატონებული მხატვრული სახეა. ის ჯერ კიდევ პოეტის ადრეულ ლირიკაში გვხვდება: „დედამიწა შეიმოსა თეთხი სამოსედით,/ თეთხი კახავებს დაემგვანა ატეხიდი მთები./ მახსოვს შენი გუნდაობა უხედთათმნო ხედით,“ – წერს იგი 1934 წელს (2009, გვ. 24). თოვლი წმინდაა, სპეტაკია და დედამიწასაც ასპეტაკებს, მაგრამ ომის საშინელება მის შელახვასაც ლამობს.

„საზიზღარ დილაში“ ასახულია, თუ გაუსაძლისი პირობები და სიკვდილთან შეჩეხება როგორ აუფასურებს ადამიანურ ღირებულებებს:

*გვიბხდანეს, მივხოხავთ წინ,
ფხთხიდად.
ტყვიეხი წვიმს.
ფიცეხი გხძედი უღვაშებით
სიტყვას გვეუბნება სამშობლოზე, ვაჟკაცობაზე,
ეხ, ვეხაფეხს ვშეხებით,
თოხემ მოგვბეზხდა ყვედა ესენი.
გაშდა ნახევახ წხით.
საზიზღახი დიდა.
წინ.
ფხთხიდად.
ვიღაცას ყუმბახის ნატეხი მოხვდა,
ნაწდავები უჭიხავს ხედით.
ხა ვუყოთ, მოხდა,
უახესს ვედით.*

(2009, გვ. 317)

ამგვარ ფატალისტურ განცდას ზოგჯერ ბრძოლის ჟინი ანაცვლებს („მთანმინდიდან სმოლენსკამდე“). სასტიკ რეალობას შეჩეხებულ პოეტს მხოლოდ სიყვარულზე, სატრფოზე ფიქრი და სამშობლოში დაბრუნების იმედი აძლებინებს – ეს არის მისთვის ერთადერთი ნათელი წერტილი გარემომცველ ჯოჯოხეთში – „მაქვს სიყვარული – იების სუნთქვა/ სხვას კი ძვირფასო არც ვინატრებდი/ ვარ ერთი ვინმე ცასავით სუფთა/ და ცაზე ვრცელი გულის პატრონი“. ლირიკული გმირი ხვდება, რომ სატრფო ბოლომდე ვერ გააცნობიერებს, თუ რისი გადატანა უნევს: „ო, *ჰა თქმა უნდა, შენმა ოცნებამ/ ახ შეუძლია წახმოიგინოს -/ მაქვს მინდობები ბიძის მოთმენა, / სისხლის ღამე და სისხლის დოგინი*“ (2009, გვ. 239), მაგრამ იმედი აქვს, რომ სამშობლოში დაბრუნებული შეძლებს ამ განცდათა უკან მოტოვებას და სიცოცხლის გაგრძელებას.

მირზა გელოვანის ომის ლირიკა დიქოტომიურია – ერთდროულად ფაქიზი და შემზარავი, იმედითა და სასონარკვეთილებით სავსე. „ცასავით სუფთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონი“ პოეტის ლექსებში ჩანს სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი და შეუდრეკელი სიმამაცე.

ბრძოლის ველზე განცდილ საშინელებათა მიუხედავად, მირზა გელოვანი არ კარგავს მისთვის დამახასიათებელ ფაქიზ მსოფლაღქმას, რაც მის პოეზიას სხვათაგან გამოარჩევს. ლექსში „მელოდე“ პოეტი სატრფოს მიმართავს:

*მე დაბრუნებით გკვირებს წავედი,
ოლონდ მოსვდამდის, ოლონდ ბოლომდის,
ხოგოხც გაზაფხულს ეღიან მთაში, –
შენი დამაზი გური მეღოდეს.
... და ქოხწიღს ზეცის სუფხაზე გავში,
ოლონდ მოსვდამდის, ოლონდ ბოლომდის,
ხოგოხც გაზაფხულს ეღიან მთაში, –
შენი დამაზი თხოვრვა მეღოდეს.*

(2009, გვ. 243)

მირზა გელოვანი პატივს მიაგებს დაღუპულ თანამებრძოლებს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ომი მისთვის ჰეროიკული არ არის. ზოგ ლექსში ფრონტულ ყოფას წარსულის ბედნიერ დღეთა მოგონებები უპირისპირდება: „სახეში გვათოვს, მგეხი ახა სჩანს/ სიკვდილის ნაგვია გამიხდა დახდად,/ ვდგევახ სხვებივით, სველი ფაჩაჯა/ აჩაფეხს მაძღვეს სიცივის გახდა/ *ჰა სასტიკია, ჰა სატიხედი სხვის ქვეყანაში თოვლი პიხვედი*“ – წერს პოეტი და მომდევნო სტროფში დახატული იდილიური სურათი ამ იდილიის დაკარგვას კიდევ უფრო მტკივნეულს ხდის: „*მე ვხედავ თოვლზე დაყვირ ნაფოგებს/ მეზობლის ბიჭი მახხიდს ამზადებს/ გუზგუზებს, ოხჩავს ჩვენი ბუხაჩი/ ჩემს დაკაჩგვაზე დედა მწუხახებს/ ცხოვრება მაინც ჰვეთქს ძველებუხად*“ (2009: 266).

მირზა გელოვანის ომის ლირიკას სტილისტიკური და სემანტიკური მრავალფეროვნებაც ახასიათებს. ი. ლოტმანი აღნიშნავს, რომ „*პირობის სიუჟეტებთან შედახებით, პოეტური სიუჟეტები გამოიჩვენა განზოგადების გაცილებით მაღალი დონით. პოეტური სიუჟეტი ახ მიისწიფავს, მოგვითხროს ეხთი ხომედიმე ჩვეულებივი ამბავი; მან უნდა გადმოგვცეს მთავაჩი და ეხთადეხთი მოვლენა, დიხიკური სამყაიხოს ახსი*“ (2015, გვ. 351). მ. გელოვანის ომის ლირიკის ზოგიერთ ლექსს ამგვარი განზოგადებული სიუჟეტი აქვს. პოეტი ახერხებს, რამდენიმე სტრიქონში ჩაათიოს მთელი ისტორია – პიროვნების შინაგანი ბრძოლის, სიყვარულის, იმედის, თანაგრძობის, სასონარკვეთის, მონატრების, სიმამაცისა და შეუდრეკელობის.

სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნების მიუხედავად, პოეტს არ ტოვებს სიკვდილის გარდუვალობის განცდა. სატრფოსადმი მიძღვნილ ლექსებში იგი დაჟინებით იმეორებს, რომ დაბრუნდება, მაგრამ ეს დაპირება ზოგჯერ საკუთარი თავის დარწმუნების მცდელობას ემსგავსება: „*მე გპიხებოდით, რომ დავბრუნდები/ რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ/ მაგრამ დღეები, როგორც ქურდები/ ჩემს შეპირებას ანადგურებენ. / და სადმე ტყვია თუ გააციებს/ გულს საშინელი განადგურებით,/ თქვენ მაპატიეთ, ჰო მაპატიეთ,/ დანაშაული არ დაბრუნების*“ (2009, გვ. 246).

1943 წელს ლექსში „მეგობარ პოეტს“ (გ.ძ.-ს) იგი წერს:

*ამალამ ჩემი სვანუხი მუხდი
მე შემახვედრებს მტეხთა ბდინდაუებს
ღღეს ჩემი იყო სალამოს მწუხხი,
ხვად იქნებ ჩემთვის ახც იჩიჟაჟებს.
და ვისაც ყოფნის მტკიცე იმედი
ახ შოხდებოდა ძად-ლონე მიხდიდს,
ვინც იწვა თოვდში სიკვდილის გვეხდით
და მტხის საფახში გზავნიდა სიკვდილს,
ვინც მომაკვდავ ძმას განშოხდა ქაჩში,
სახეს უსისხლოს და განაოცებს,
ვინც იახალთან მივიდა ბავშვი,
და ახდა შუბრზე ითვლის ნაოჭებს...*

(გელოვანი, 2009: 250)

სიკვდილი მტერს და მოყვარეს არ არჩევს და გადარჩენისთვის გამუდმებული ბრძოლა მომქანცველია. ზოგჯერ მისი მოლოდინი იმდენად გაუსაძლისი ხდება, რომ პოეტს ათქმევინებს: „თოვდი მოვიდა, ო, ახა თეთხი,/ სუდ სხვანაიხი თოვდი მოვიდა./ მგონია, მოხვად, შენ მოხვად ეხთი/ და თოვდის სპეტაკ კუბოს მოიგან./ დამმახხე თოვდში. დამმახხე ქაჩში,/ თოხემ მომბეზხდა მიწა ბოხოცი./ იჩქაჟე, ვიდე თოვდივით წავშიდი/ შენზე ფიქრებს და შენზედ მოდოდინს“ (2009, გვ. 268).

მირზა გელოვანის პოეტური შემოქმედების გზა იოლი არ ყოფილა, მაგრამ მან შეძლო, ბოლომდე შეენარჩუნებინა გულწრფელობა და სულიერი სისპეტაკე. დონალდ რეიფილდი წერდა, რომ მ. გელოვანს ჰქონდა უნარი, გასცდენოდა პატრიოტულ ჰეროიზმს და ომის საშინელება გულბრყვილო სიხარულით განემსჭვალა (Rayfield). მისი ფრონტული ლექსები, მართლაც, ომის ტრაგედიასთან ერთად ცხოვრების სილამაზესაც აღწერს. საყვარელი ქალის სახე პოეტს მუდამ თან სდევს და ასულდგმულებს

*„ჩემს ლექსებში“ იგი აცხადებს:
გაბზაჟდ სხივებს – ამახთუდ ხედებს,
სალამოს, ღღეში – თითოღვას, ძიებას,
ძვიხფას სახედებს, უცნობ სახედებს
ჩემი ღექსები – ვით პატიება!*

(2009, გვ. 267)

მირზა გელოვანის პოეზია უაღრესად ფაქიზი, ღრმა და მდიდარია, პოეტიკური ძიებებითა და ორიგინალური მხატვრული სახეებით სავსე. მისი ლექსები ვერისფიკაციულ ძიებებთან ერთად: ალიტერაციით, რითმებითა და რიტორიკული ფიგურების სიუხვითაც იქცევს ყურადღებას; რომ არა უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე, მირზა გელოვანი, ალბათ, გაცილებთ მეტს მოასწრებდა, თუმცა ომის ლირიკაც საკმარისია, რომ მას გამორჩეული ადგილი მივაკუთვნოთ 30-იანი წლების ქართული ლექსის ისტორიაში.

ლიტერატურა:

- ბარბაქაძე, თ.** (2017). მირზა გელოვანის „დაბრუნებული“ სონეტები და სხვა ლექსები, ლექსმცოდნეობა IX, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- გელოვანი, მ.** (2009). დაბრუნება. საარქივო გამოცემა, თბილისი: „ეროვნული მწერლობა“.
- ლოტმანი, ი.** (2015). პოეტური ქმნილების ლექსიკურ დონეზე, ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, ტ. III, თბილისი: „GGLAPress“.

- რათიანი, ი., ელბაქიძე, მ.** (2016). ქართული მწერლობის გოლგოთა, ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941), თბილისი: „მწიგნობარი“.
- ქალერი, ჯ.** (2014). ლიტერატურის თეორია, ძალიან მოკლე შესავალი, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- ქურთიშვილი, შ.** (2017). მირზა გელოვანის ლირიკის სალექსო საზომები, ლექსმცოდნეობა IX, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- ცხადაია, ზ.** (2017). მირზა გელოვანის პოეტური სახეები და იდეოლოგიურ-კრიტიკა, ლექსმცოდნეობა IX, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- ცხადაია, ზ.** (2022). ჟურნალი „ჩვენი თაობა“, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, III ნაწილი, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- ჯობაძე, მ.** (2021). მირზა გელოვანი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ნაწილი III, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- Rayfield D.** Mirza Gelovani, <https://www.poetryfoundation.org/poets/mirza-gelovani>
- Гаспаров, М. Л.** (2003). Очерк истории европейского стиха. Москва: „фортуна лимитед“.

ერის ევროპული კონცეფციები და მათი გავლენა საქართველოში ერის ცნების ფორმირებაზე 1893-1917 წ.წ.

European Concepts of Nation and their Influence on the Formation of the Concept of Nation in Georgia (1893-1917)

ნინო მაისურაძე

Nino Maisuradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

1893-1917 წლები საკვლევ პერიოდად გამიზნულად არის არჩეული, რადგან ამ პერიოდში იწყება საქართველოში პოლიტიკური ორგანიზაციების თუ მიმდინარეობების ჩამოყალიბება. ეროვნულ საკითხზე 60-იანი წლებიდან დაწყებული დებატები კი გადადის პოლიტიკურ ქრილში, რადგან დისკუსიაში ჩართული მხარეები პოლიტიკური ჯგუფების და შემდეგში პარტიების წარმომადგენლები იყვნენ. ქართული პოლიტიკური ელიტა საკვლევ პერიოდში იბრძოდა პოლიტიკური შეგნების განვითარებისთვის, მაგრამ პოლიტიკური დონის ამაღლების მიზეზი პოლიტიკური ელიტისთვის განსხვავებული იყო, ვიდრე სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოსამზადებელი პერიოდის ჩამოყალიბება. დასახელებულ ნაწილს პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება სჭირდებოდა სოციალიზმის განხორციელებისათვის. 1893-1917 წლებში საქართველოში ჩამოყალიბებულ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთში მიმდინარე პროცესებს. საზოგადოების ნაწილისთვის რუსეთი უსაფრთხოებასთან ასოცირდებოდა. სოციალ-დემოკრატიული პარტია სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ხალხში და მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, შესაბამისად, პარტია საუბრობდა მთლიანი საზოგადოების სახელით. სოციალ-დემოკრატები აქტიურად მოღვაწეობდნენ საკუთარი პოლიტიკური გეგმების რეალიზაციისათვის, ისინი აქცენტს აკეთებდნენ სოციალური უთანასწორობის მოსპობაზე, რაც საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერას იმსახურებდა.

პოლიტიკური ელიტის მეორე ნაწილი კი ერთვება 1892-1893 წლებიდან გააქტიურებულ დისკუსიაში ეროვნულ საკითხზე ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით. საინტერესოა, რომ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ქართული პოლიტიკური ელიტის ეს ნაწილი ირჩევდა ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას, თეორიულ საფუძვლად კი იყენებდნენ ევროპელი ავტორების მიერ ერის ცნების შესახებ შექმნილ ცნობილ კონცეფციებს (ერნესტ რენანი, პასკვილესტანის ლაომანჩინი, იოჰან კასპარ ბლუნჩლი, ლუდვიგ გუმპოლოვიჩი და სხვ.). ევროპელი მოაზროვნეების შეხედულებები ერის ცნების შესახებ ქართველი ეროვნული პოზიციის დამცველი პოლიტიკოსებისთვის იქცა გარკვეულ თეორიულ ბაზისად. ამიტომ, შეუძლებელია ამ კონცეფციების და მათი გავლენების შესწავლის გარეშე გავიაროთ 1893-1917 წლების საქართველოში ერის ცნების ფორმირების საკითხი. დღეს სამეცნიერო წრეებში ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას იმ ევროპელ ავტორებზე, რომლებმაც 1893-1917 წლებში დიდი გავლენა მოახდინეს ქართველი ეროვნული პოზიციის დამცველთა ნაწილზე. თუმცა, ქვეყნის ისტორიაში სწორედ ეს პერიოდი გამოირჩევა ეროვნულ საკითხზე გამართული მწვავე დისკუსიით, რომელშიც დაპირისპირებულ მხარეებს პოლიტიკური პარტიები წარმოადგენდნენ. XX საუკუნის დასაწყისში გამწვავდა იდეოლოგიური დაპირისპირება პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. დაპირისპირების და დისკუსიის მთავარი საკითხი იყო ერის ცნება და ეროვნული პრობლემატიკა. იმ პერიოდის ეროვნული პოზიციის დამცველი ქართველი მოღვაწეები სხვადასხვა ავტორის კონცეფციებს ირჩევდნენ საკუთარი თვალსაზრისის დასაცავად. კვლევა თვისებრივია და ეყრდნობა მეორადი წყაროების ანალიზს, მათი ინტერპრეტაციის მეთოდს.

ერნესტ რენანის ერის დეფინიციამ გავლენა მოახდინა „ივერიის“ გარშემო შემოკრებილ ჯგუფზე. თავად ერნესტ რენანი ერს ახასიათებს, როგორც დიდ სოლიდარობას, რომლის საფუძველშიც არის ის საკრალური გრძნობები და მსხვერპლი, რომელიც ერის წევრებმა წარსულში გაიღეს და მომავალშიც გაიღებენ ერის ინტერესების დასაცავად. ერნესტ რენანისთვის ერის არსებობა ყოველდღიური პლემისციტია, ანუ ნების დადასტურება, რომ საზოგადოებას უნდა ამ ერის წევრად ყოფნა და მზად არის, მომავალშიც დაიცვას ერის ინტერესები. ერნესტ რენანი მის ცნობილ საჯარო გამოსვლაში „რა არის ერი?“ (1882) უარყოფდა ყველა იმ ნიშანს, რომელიც იმ პერიოდში იყო გავრცელებული ერის განმსაზღვრელად და აღიარებდა მხოლოდ წარსულისა და მომავლის ერთიანობას, ანუ პირველი უკავშირდება მოგონებებს და იმ მემკვიდრეობას, რომელიც ერს გადაეცემა, ხოლო მეორე ასპექტი სურვილია მომავალში ერთად ცხოვრების და ამ მემკვიდრეობით სარგებლობის. ეს პროცესი ჯამდება ანმყოში, რადგან ერს გამოხატულად ერთად არსებობის სურვილი ანმყოში აქვს (Renan, 1882). „ივერიაში“ ერნესტ რენანის გამოსვლა „რა არის ერი?“ ორჯერ თარგმნა (1882 წ. და 1901 წ.). „ივერიის“ ჯგუფის გარდა ერნესტ რენანის ერის თეორიას გარკვეული გავლენა ჰქონდა ალექსანდრე ჯანელიძეზე, რომელიც ეროვნების რაობის გარკვევაში აღიარებს ერნესტ რენანის როლს. მიხაკო წერეთელი კი აკრიტიკებს რენანის ერის კონცეფციას, რადგან რენანი ენის მარკერს არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას, მიხაკო წერეთლის მოსაზრებით კი, შეუძლებელია ადამიანის არსებობა ენის გარეშე და სწორედ ენის მიხედვით ეკუთვნის ადამიანი რომელიმე სოციალურ წრეს. მისი მოსაზრებით, წარსულის დიდებული საქმეების გახსენება და მემკვიდრეობის შენახვაც მხოლოდ საკუთარ ენაზე ხდება და აქედან გამომდინარე, ერნესტ რენანის ერის დეფინიცია მისთვის მიუღებელია (წერეთელი, 1990).

რენანის „რა არის ერი?“-ის ქართულ გამოხმაურებაზე საუბრისას აღსანიშნავია იპოლიტე ვართაგავა, რომელმაც 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა სტატია „ჩვენი ეროვნული თვითცნობიერება“. ავტორი სტატიის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ერის რენანისეულ განსაზღვრებას სრულიად ეთანხმება. იპოლიტე ვართაგავას მოსაზრებით, იმ ხალხს, რომელმაც დაკარგა ან არ აქვს ეროვნული თვითცნობიერება, ერს ვერ ვუნოდებთ. ერად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ეროვნული თვითშეგნების ქონა.

მიხაკო წერეთელი განიხილავს არა მხოლოდ ერნესტ რენანს, არამედ „ერი და კაცობრიობის“ შექმნის დროს (1910), საქართველოში პოპულარულ ყველა ევროპულ ერის კონცეფციას და, ძირითადად, მათი კრიტიკით საბოლოოდ სთავაზობს მკითხველს საკუთარ ერის დეფინიციას. ვთვლი, რომ ნეგატიური გავლენის შესწავლაც აუცილებელია, რადგან კრიტიკის ფონზე ნათლად ჩანს, თუ რატომ აკეთებდნენ ამას ქართველი მოაზროვნეები, რათა მოერგოთ ქართული რეალობისთვის ევროპაში შექმნილი ერის თეორიები. მიხაკო წერეთელი, მაგალითად, განიხილავს ერნესტ ნისს, სოლომონ რეინაკს, პასკვილე სტანისლაო მანჩინის, იოჰან კასპარ ბლუნჩლს, რენე ვორმსს, გაბრიელ ტარდის და ავსტრომარქსისტებს. მიხაკო წერეთელი აღფრთოვანებულია რუდოლფ შპრინგერის (ანუ კარლ რენერის) „პერსონალური პრინციპით“, რომელიც ქართველი მოაზროვნისთვის ეროვნული იდეის პოსტულატია. „პერსონალურ პრინციპში“ იგულისხმება რუდოლფ შპრინგერის თეორია, რომლის მიხედვითაც ეროვნება მიბმული არ არის ტერიტორიაზე და ეს მიჯაჭულობის განცდა არ არის ერის მთავარი მახასიათებელი. ტერიტორიის ადგილს რუდოლფ შპრინგერისთვის იკავებს სოციალური გარემო და სოციალური ურთიერთობები, ანუ ერი იქცა პიროვნულ კავშირად. ამ მოსაზრებაში ეთანხმება ავსტრომარქსისტს მიხაკო წერეთელი, მაგრამ როდესაც კარლ რენერი საუბრობს იმაზე, რომ სახელმწიფოების დაშლით ვერ გადაწყდება ერების გათავისუფლების საკითხი და ეს თავად ამ ერებისთვისაც არ იქნება სასარგებლო (ავსტრიის მაგალითიდან ამოდის კარლ რენერი), ეს მიხაკო წერეთლისთვის მიუღებელია, რადგან მისი მოსაზრებით, სწორედ სახელმწიფოების დაშლით გადაწყდება ერის პრობლემა.

ზოგადად ავსტრომარქსიზმის გავლენა 1893-1917 წლებში დიდი იყო. ქართველი სოციალ-დემოკრატები და ეროვნული პოზიციის დამცველები თანაბრად განიცდიდნენ ამ გავლენას.

დავაკონკრეტებ და ვიტყვი, რომ საუბარი მაქვს სოციალ-დემოკრატების მენშევიკურ ნაწილზე, განსაკუთრებით ეს გავლენა ნათელი ხდება მენშევიკებზე ავტონომისტთა მომხრე ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ. სოციალ-დემოკრატების ავტონომისტთა ჯგუფის გარდა, ავტონომარქსიზმის გავლენა ნოე ჟორდანიასზეც დიდი იყო. 1913 წელს ნოე ჟორდანიას აქვეყნებს ვრცელ სტატიას „ნაციონალური კითხვა ჩვენში“, სადაც მისი ეროვნული პოზიცია უბრუნდება და უახლოვდება მესამე დასის შექმნის დროს ჩამოყალიბებულ პოზიციას. ამ სტატიაში ნოე ჟორდანიას სტალინის პოზიციის სანინალმდეგოდ თვლის, რომ ტერიტორიასთან მჭიდრო ურთიერთობების შეცვლის საფუძველზე წარმოიშვა სწორედ ეროვნება. ნოე ჟორდანიას იზიარებს რუდოლფ შპრინგერის აზრს, რომ ტერიტორიული პრინციპი მუდმივად იქნება კონფლიქტის და დაპირისპირების საფუძველი, რადგან ამ პრინციპის მთავარი მახასიათებელი არ არის თანასწორობა. ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისას ნოე ჟორდანიასთვის კატეგორიულად მიუღებელია ტერიტორიული პრინციპი. ამის საპირისპიროდ ნოე ჟორდანიას აღიარებს პერსონალურ პრინციპს და იზიარებს ოტო ბაუერის ერის დეფინიციას, რომ ერი არის ხასიათის შედარებითი ერთობა ბედის ერთობის ნიადაგზე ჩამოყალიბებული. ოტო ბაუერის თეორია ერისთვის აუცილებლად გულისხმობს კულტურულ ავტონომიას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნოე ჟორდანიას თვლის, რომ ამიერკავკასია ტერიტორიულ ოლქებად უნდა დაიყოს და თითოეული ოლქი უნდა იყოს ეკონომიკური და ეროვნული ერთეულიც, შეიძლება ერთი ოლქი ორი ან მეტი ერისგან შედგებოდეს. მისი მოსაზრებით, ასეთ ოლქებს ფართო დემოკრატიული თვითმმართველობის უფლება უნდა მიენიჭოს (ჟორდანიას, 2022).

რუდოლფ შპრინგერთან ერთად პოპულარული იყო ოტო ბაუერი და მისი პოპულარული ერის დეფინიცია, რომ ერი ხასიათის შედარებითი ერთობაა. ხასიათის ერთობაში ავტორი გულისხმობს ფიზიკურ და სულიერ ნიშანთა ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია ყველა ერისთვის და, რაც მთავარია, ეს ხასიათის ერთობა ინდივიდუალურია, ანუ ყველა ერს განსხვავებული ხასიათი აქვს. მიხაკო წერეთელი აკრიტიკებს ოტო ბაუერის ერის კონცეფციას და აღნიშნავს, რომ მის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია არაფრის მომცემია, რადგან ეს განსაზღვრება მხოლოდ ამტკიცებს ერის არსებობას, ეს კი მისთვის არასაკმარისია (წერეთელი, 1990).

მიხაკო წერეთლისგან განსხვავებით, ვლადიმერ დარჩიაშვილი 1908 წელს გამოქვეყნებულ სტატიების სერიაში „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“ ერის დეფინიციის განსაზღვრისას ზუსტად იმეორებს ოტო ბაუერის ერის დეფინიციას და ამბობს, რომ ერის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ნაციონალური ხასიათი. სწორედ ნაციონალური ხასიათით განსხვავდებიან ერები ერთმანეთისგან და ეს განაპირობებს იმასაც, რომ ერთი და იგივე ფაქტს თუ მოვლენას სხვადასხვა ერი განსხვავებულად აღიქვამს. ეს განსაზღვრება ზუსტად იზიარებს ოტო ბაუერის ერის დეფინიციას, მაგრამ აქ არ არის საუბარი ბედის ერთობაზე, რომელიც ერის ფორმირების განმსაზღვრელი ფაქტორია ოტო ბაუერის შემთხვევაში.

შესაძლებელია, ვისაუბროთ 1893-1917 წლებში ერის თეორიების „ნეგატიურ გავლენაზეც“, რადგან ქართველი მოაზროვნეები ევროპული ერის თეორიების კრიტიკის ფონზე აყალიბებდნენ საკუთარ შეხედულებებს ერის ცნების და ეროვნული საკითხის შესახებ. ამის შესანიშნავი მაგალითია არჩილ ჯორჯაძეზე ლუდვიგ გუმპლოვიჩის თეორიის გავლენა. გუმპლოვიჩი სოციალ-დარვინიზმის წარმომადგენელია, ანუ ის სოციალურ ცხოვრებას ბუნებრივი შერჩევის პრინციპით ახასიათებს. ის კანონად მიიჩნევს იმას, რომ ყველა სოციალურ ჯგუფს აქვს იმის მისწრაფება, რომ დაიმორჩილოს ყველა სხვა სოციალური ჯგუფი. მიზეზი მატერიალური მისწრაფებების დაკმაყოფილებაა, ანუ ეკონომიკური მოტივებია სოციალური მოძრაობის მიზეზი. გამარჯვებული ჯგუფი ქმნის სახელმწიფოს საკუთარი მმართველობის განსამტკიცებლად დამარცხებულ ჯგუფზე. ეს ბრძოლა შესაძლებელია, მოხდეს სახელმწიფოს შიგნითაც სხვადასხვა ჯგუფს შორის, ანუ სახელმწიფო წარმოიქმნება ერთი ჯგუფის მიერ მეორის დამორჩილების შედეგად. აქედან გამომდინარეობს, რომ ერის არსებობა სახელმწიფოს გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ერი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ფორმაა, საზოგადოების არსებობა კი სახელმწიფო იძულების გარეშე შეუძლებელია.

არჩილ ჯორჯაძე ეროვნების წარმოშობის და სახელმწიფოს კავშირის გასააზრებლად სწორედ გუმპლოვიჩის თეორიას მიმართავს და იზიარებს მის პოზიციას, რომ სახელმწიფო არ შექმნილა თანაბარუფლებიანი საზოგადოების ნიადაგზე, სახელმწიფო შეიქმნა იქ, სადაც ერთმა ჯგუფმა დაიმორჩილა მეორე ჯგუფი და თავისი ძალაუფლების გასამყარებლად შექმნა სახელმწიფო. თუმცა არჩილ ჯორჯაძის მოსაზრება განსხვავდება გუმპლოვიჩის თეორიისგან იმით, რომ გუმპლოვიჩი თვლის, რომ დაპირისპირებული სოციალური ჯგუფები ერთმანეთისგან ეთნიკურად განსხვავდებიან, ანუ ამ ბრძოლას ეთნიკური და რასობრივი ხასიათი აქვს, დამპყრობელი უმცირესობა ყოველთვის განსხვავდებოდა ეთნიკურად დაპყრობილი უმრავლესობისგან. ხოლო არჩილ ჯორჯაძე არ თვლიდა, რომ ეთნიკური ელემენტი ყველგან და ყოველთვის სახელმწიფოს შემოქმედი ელემენტი იყო. არჩილ ჯორჯაძის აზრით, სახელმწიფო ნაყოფია უმცირესობის მიერ უმრავლესობის დაპყრობის, მაგრამ ეს უმცირესობა ყოველთვის არ განსხვავდებოდა ეთნიკური უმრავლესობისგან (ჯორჯაძე, 1990).

კვლევაში განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა ერნესტ რენანის და ავსტრომარქსისტულ ერის თეორიებზე, რადგან სწორედ ეს თეორიები იყო 1893-1917 წლების საქართველოში ყველაზე პოპულარული ერის თეორიები. ეს ერის კონცეფციები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ ერთი საერთო, რაც აქვთ მათ, არის ის, რომ ორივე მათგანი ერის ემოციურ დეფინიციას გვთავაზობს, სადაც სუბიექტური ფაქტორები არიან ერის მთავარი განმსაზღვრელი ნიშნები.

ლიტერატურა:

Renan, E. (1882). *What is a Nation?* Paris: Presses-Pocket.

ქორდანია, ნ. (2022). ნაციონალური კითხვა ჩვენში. In ი. ჯ. უნივერსიტეტი, სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა (pp. 11-79), თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

წერეთელი, მ. (1990). ერი და კაცობრიობა, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ჯორჯაძე, ა. (1990). *სამშობლო და მამულიშვილობა*. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

საბჭოთა ეპოქის რეცეფცია გურამ ფანჯიკიძის რომანში „ეშმაკის ბორბალი“ Reception of the Soviet Era in Guram Panjikidze's Novel "The Devil's Wheel"

თეა მაჭავარიანი

Tea Matchavariani

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Akaki Tsereteli State University, Georgia

საბჭოთა კავშირის ნგრევა გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა ქართული მწერლობისათვის. ეპოქის მუხტს: შინაგანი წონასწორობის რღვევა, შეხედულებათა გადაფასება, ფიქრისა და აზროვნების რადიკალურად განსხვავებულ სიბრტყეზე დგომა, ხვალინდელი დღის შიში, თავისუფლებით ნაანდერძევი პასუხისმგებლობის განცდა, დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესი – ცხადია, ლიტერატურა გვერდს ვერ აუვლიდა, თუმცა ვერც სინქრონულად გაჰყვებოდა.

დღეს თითქმის ყველა თანხმდება იმ ფაქტზე, რომ საბჭოთა რუსეთი გახლდათ ტოტალიტარული სახელმწიფო, რომელიც კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა მცირე ერების მიმართ. მ. მამარდაშვილის სიტყვების ინტერპრეტაცია რომ მოვახდინოთ, რუსეთთან „თანაცხოვრების“ ბოლო 80 წელი იმის თვალსაჩინოებაა, რომ ქართველ ერს პრაქტიკულად არ გვიცხოვრია, რადგან ყოველი ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობა სამოქალაქო საზოგადოების მოკვდინება, გაუჩინარება და მოსპობაა. ტოტალიტარიზმის ნგრევამ იმის შეგრძნება გაგვიჩინა, რომ საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი ისტორიული ფიგურებისა და როლების გაყალბების ხანა დასრულდა. ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო, რადგან ეროვნული სახელმწიფოებრიობის გზის საწყის ნერტილზე ვდგავართ (მამარდაშვილი 2011: 243). დარღვეულ ეროვნულობას „სულის რევოლუცია სჭირდება“, მაგრამ თავს მოხვეული ცნობიერებიდან გამოსვლის პროცესი, ნაციონალური გზის პოვნა იოლი ვერ აღმოჩნდა, აქ დიდი როლი შეასრულა ლიტერატურამ, რომელმაც ისტორიასთან თანხვედრაში ითავა, გამოეწროთო ხალხის სული და ერის პირუთვნელი მსაჯული გამხდარიყო (ბაქრაძე, 1990: 224).

ასე გაჩნდა ქართულ მწერლობაში პოსტსაბჭოთა ლიტერატურა – ტიპური პოსტკოლონიური ნარატივი, ისეთი ლიტერატურის შექმნა და კითხვის პრაქტიკა, რომელიც ეხება ექსპლუატაციის მოვლენებს და იმპერიალისტური იდეოლოგიების ორმაგ სტანდარტებს (მურა, 2012: 19-20).

ამ ეპოქის წარმმართველი ტენდენციები ლიტერატურული პროცესის მნიშვნელოვანი მარკერები გახდა და მოიცვა საბჭოთა პერიოდის ტრაგიკული რეფლექსია, ახალი რეალობის რეცეფციათა თავისებურებები, დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში არსებული ნგრევის და დაპირისპირების შედეგად წარმოქმნილი კრიზისი, საბჭოთა იდეოლოგიის მარცხის შედეგად გამონვეული პიროვნული დრამის სულიერი ტრამვა და ფრუსტრაცია, რასაც სხვა მოვლენებთან ერთად განაპირობებდა დამოუკიდებელ ვითარებაში იოლად მიღწევადი კეთილდღეობის, სოციალური თანხმობის ილუზია (კუტივაძე, 2019: 127)

უპირველესი, რაც პოსტსაბჭოთა ნაწარმოებებს ახასიათებს, ეს არის მწერალთა პოზიციების სხვადასხვაობა. მკითხველის ცნობიერებაში იწყება კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბება არსებული ლიტერატურული კანონების ტრანსფორმირებისა და რეალობის ახლებურად ასახვის გზით, რაც მაქსიმალური სუბიექტივიზმითაა ნასაზრდოები. ე. წ. „მეხსიერების ეპოქაში“ (Hopa, 2005: 391) შექმნილი ნარატივი ეხება თანამედროვეობის მწვავე პრობლემებს, თუმცა ხშირად მომხდარ მოვლენათა მასშტაბურობა და მნიშვნელობა მათსავე მხატვრულ დამუშავებას არ შეესაბამება. მ. მირესაშვილის აზრით,

ლიტერატურისათვის დამახასიათებელია პიროვნულ განცდებზე დაფუძნებული ნაციონალური ტრამვისაგან გათავისუფლების პროცესები: „აქცენტების გადატანა ხდება წარსულში მიღებულ ტრამვებზე, ტანჯვასა და დამცირებაზე, რაც კულტურულ-პოლიტიკური და მხატვრული ნარაჯის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს“ (მირესაშვილი, 2015: 171). აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ეპოქისა და საზოგადოების მტკივნეულ პრობლემათა წაკითხვა და სწორი ანალიზი იმისათვის, რომ მოგვეხდინა იმედიანი მერმისის ფორმირება (ნემსაძე, 2007: 77).

წარსულისადმი დამოკიდებულება, მისთვის აზრის მინიჭების პროცესების და პრინციპების შესწავლა სიფრთხილეს მოითხოვდა, რადგან აღნიშნული ქმედება მჭიდროდ უკავშირდება იდენტობის ფორმირების პროცესს, რითიც ყალიბდება საერთო მეხსიერება და საერთო ფასეულობები (ჩიქოვანი, 2005: 8-9). რამდენად სწორად და ობიექტურად შეძლო მწერლობამ ეს, ბევრად იოლია შეფასდეს დღევანდელი გადასახედიდან, დისტანცირებული დროიდან.

გურამ ფანჯიკიძე გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია, ეპოქის სულისგამომხატველობად მოიაზრება მისი რომანები, რომლებმაც შემოინახა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი სახეები, შეხედულებები, საბჭოთა პერიოდის ადამიანის აზროვნების მოდუსი. მწერლისათვის სინამდვილე ყოველთვის იყო ქმედების განმსაზღვრელი. იგი თვლიდა, რომ ეპოქას მოაქვს ინერცია და რიტმი, თუ მწერლური თვისებები ამ რიტმსა და ინერციაში არ ზის, ყოველთვის იქნება ანაქრონიზმი ნაწარმოებსა და ეპოქას შორის (ფანჯიკიძე, 1986: 517).

გ. ფანჯიკიძის რომანი „ემშაკის ბორბალი“ 1980-1990 წლებში იწერებოდა. პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1993 წელს, ხოლო 1994 წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა. პერიოდი, რომელსაც დაემთხვა რომანის გამოსვლა, მეტად მძიმე აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის, ამიტომაც მწირი იყო მასზე გამოხმაურება. მეორედ 2014 წელს გამოიცა.

გ. ფანჯიკიძის წარმოდგენილი რომანი კოლონიის პირობებში დაკარგული პიროვნული და ნაციონალური იდენტობის რეპრეზენტირების მცდელობაა საქართველოს ისტორიის აკრძალული, უცნობი, მაგრამ მაინც ნაცნობი ფაქტების აღდგენის მიზნით.

მწერალი მიადგა აქამდე მისგან საჯაროდ გადაუმუშავებელ და ღიად დაუფიქსირებელ პასაჟებს, რადგან რომანი ასახავს მემკვიდრეობით მიღებული მეხსიერების მოდელს 1937 წლის რეპრესიებიდან დაწყებული ეროვნული აქციებით დასრულებული. განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევი ფაქტია ის, რომ იგი იმ მცირერიცხოვან ნარაჯიათა სიაშია, რომლებშიც ხრუშჩოვისა და ავღანეთის ეპოქების ქართული ტრამვაა წარმოდგენილი. მწერალს გამოგონილთან ერთად ისტორიული პერსონაჟებიც შემოჰყავს და მათი ერთ სიბრტყეზე მოქცევით თხზავს, აღადგენს წარსულს.

მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესზე მსჯელობისას ი. მინდაძე ყურადღებას აქცევს ჰალბვაქსის მოსაზრებას, პოსტკოლონიურ სამყაროში პიროვნების სოციალიზაციისას განმსაზღვრელ ფაქტორებთან დაკავშირებით. ის თვლის, რომ ინდივიდუალური მახსოვრობის არეალს და შესაძლებლობებს განსაზღვრავს სივრცე და იდეოლოგია, იგი მოიცავს კოლექტიური მეხსიერების პლასტებს, რომელთან თანაშერწყმა ავალდებულებს ინდივიდუალურ მეხსიერებას, გარკვეული მოგონებები დააბუსტოს მისით და გამოტოვებული ადგილები საჭიროებისამებრ შეავსოს (მინდაძე, 2021: 14-15).

აღნიშნული რომანი ნარატორის კომუნიკაციური მეხსიერების ნაყოფია გარკვეული დროით სტრუქტურირებული, რამდენიმე თაობის განცდილ-გაზიარებული. მწერალი ახდენს მეხსიერების ნებისმიერ შრეში (კოლექტიური, ინდივიდუალური, კულტურული) გადანახული წარსულის რეპრეზენტაციას. კოლონიური ზენოლისაგან გათავისუფლება (ჩვენ შემთხვევაში იგი რუსეთის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დროის მიხედვით სახეცვლილ მონოპოლიას მოიაზრებს) ვერ იქნებოდა ბოლომდე ობიექტური, რადგან კოლონიურ განცდებთან დაბრუნებას ღიად გამოაქვს ანტაგონისტური სახეების დაძაბული ურთიერთობა, რაც მოიცავს ისეთ ნიუანსებს, როგორებიცაა: სიძულვილი და მორჩილება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინდივიდუალური მეხსიერება კოლექტიური მეხსიერების ნაწილს წარმოადგენს, თუმცა მაინც საკუთარი ინდივიდუალიზმით ნასაზრდოებს. გურამ

ფანჯიკიძის ანტიკოლონიური პათოსი განსაკუთრებით იგრძნობა მის ბოლოდროინდელ წერილებში, რომელთაც უხვად ჰყავდათ კონკრეტული ადრესატები რუსულ პოლიტიკურ-პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ სივრცეებში, მეტიც, როგორც ნაციონალური იდენტობის მაძიებელი იგი თანაგრძნობასაც კი ელოდა თავისი კოლეგებისაგან, რომლებიც თავისთავად უნდა ყოფილიყვნენ საკუთარი ნაციონალური იდენტობის ძიების პროცესში (ვგულისხმობთ რუსული იმპერიალისტური არსებობისგან რუსი ნაციის გათავისუფლების პროცესს). როცა „ევროპული“ რუსეთი დუმდა (ისევე როგორც დღეს), აღშფოთებული კითხულობდა: „რატომ არ ისმის რუსი მწერლების ხმა?“ (ფანჯიკიძე, 1992: 4).

რომანი, ფაქტობრივად, წარმოადგენს აღსარებას, წარსულის გადაფასებას. ესაა გორდელების გვარის ოთხი წარმომადგენლის ცხოვრების სააშკარაოზე გამოტანა, თითოეული ქმნის საბჭოთა მოქალაქის გარკვეულ ტიპს: განსხვავებული ფიქრით, მრწამსით, ქმედებით, თუმცა ყველას აერთიანებს ერთი – მათი პიროვნული თუ კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს იმპერია. მწერალი ცდილობს, გვაჩვენოს ეს პროცესი, მით უმეტეს, მნიშვნელოვანი უნდა იყოს მისი გაანალიზება ეპოქაში, რომელშიც პერსონაჟები და თავად ავტორი ცხოვრობდნენ. შესაბამისად, უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, რა გახდა მიზეზი, ერთსა და იმავე ნაციასთან, განსხვავებული პოლიტიკური კურსის (მეფის რუსეთი, საბჭოთა რუსეთი), მაგრამ მაინც ხანგრძლივი ტრამპული კოლონიური თანაცხოვრების. პოსტმოდერნისტული „ავტორის ნილაბი“ კარგი საშუალება აღმოჩნდა გურამ ფანჯიკიძისათვის საკუთარი თავის ახლებურად წარმოსაჩენად. თხრობის ტრამპტორია, ძირითადად, მიმართულია ანმყოფად წარსულში: არჩილ გორდელი უმცროსი - არჩილ გორდელი უფროსი. მწერლის მიერ გამოყენებული არალინეარული სტილი მეტად შთამბეჭდავს ხდის სათქმელს.

სტალინის ჰიპოსტასი – „ხალხების მამა“ – რომანის წამყვან ხაზს წარმოადგენს. მწერალი ცდილობს, ახსნას, როგორ მოქმედებს რეპრესირებული მანქანა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, შიშს ბადებს ინდივიდებში, მისთვის მანიპულირების იდეალური საშუალება „მტრის ხათის“ შექმნაა, მთელი ენერჯია წარმართული უნდა იყოს რეალურად თუ პოტენციურად „სახიფათო ელემენტების“ წინააღმდეგ რწმენით, რომ „ვნებს“ და „საშიშია“. ინდივიდის მიერ არაერთგზის მიღებული ტრამპული გამოცდილება პიროვნული ღირსების ლოკალიზებას ახდენს. იწყება თავის გადარჩენის მექანიზმის ამუშავება, სრული მორჩილება და აღფრთოვანება, თვითდაჯერება იმის, რაც უნდა გჯეროდეს და თან მისი პრეზენტირება. ხდება პიროვნების ავტონომიურობის აბსოლუტური კრახი, რაც გამოიხატება ჯერ შიშსა და მორჩილებაში, შემდეგ კი მეტამორფოზირებულ იქნება სიყვარულსა და ფანატიზმში, პლუს რეჟიმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების განცდა აძლიერებს ლიდერის კულტს, მასებში ჩნდება ბელადის იდეალი, ცნობიერი შლის საზღვარს წარმოსახულსა და რეალობას შორის. იმას, ვინც ვერ ფლობს პიროვნულ თავისუფლებას, პასუხისმგებლობას, უჩნდება უფრთხობის გრძნობა, ნდობის ფაქტორი. არჩილ გორდელი უფროსი ცოლისა და შვილის მოღალატეობას უფრო „იჭერებს“, ვიდრე არსებულის ფარსს. ამიტომაც არის, რომ სტალინის სიკვდილთან ერთად მისთვისაც სრულდება არსებობა, რადგან იწყება ახალი ერა, პერსონაჟის თქმით, „მასხარების დღე!“ (ფანჯიკიძე, 2014: 210). რომანში წარმოჩენილი ბელადის უკვდავების აბსურდული სურათი საპირისპიროა მწერლის მრწამსისა, იგი მთელი არსებით ატარებდა სიძულვილს სტალინისადმი და დარწმუნებული იყო, რომ ყველა სარეპრესიო კამპანია, რომელიც მან წამოიწყო, ორმაგი ძალით იწვნია ქართველობამ, რათა დამტკიცებულიყო სტალინის „ობიექტურობა“ და „მიუკერძოებლობა“ (ფანჯიკიძე, 1998: 43).

არჩილ გორდელი უფროსის მიღმა მწერალი მოიაზრებს ქართველი ადამიანის ტიპს, მას:

- ვინც არის საბჭოთა სინამდვილეში გამოჩარხული და რეალიზებული, ტრამპული და ამნეზირებული მესხიერებით საარსებო არეალთან თანამერწყმული ინდივიდი, რომლის პიროვნული „მე“ მთელი თავისი არსებობის განმავლობაში იმყოფებოდა რეცესიულ მდგომარეობაში, რაც უზრუნველყოფდა საბჭოური ნიღბის უშიშრად ტარებას;

- ვინც დარწმუნებულია ან თავს ირწმუნებს, რომ უყვარს სტალინი, საბჭოთა დიქტატორი, რომელმაც მილიონობით ადამიანი მოსპო, მისი ფანატიზმი იბადება იმიტომ, რომ იგი ნებისმიერი შეხედულებისაგან თავისუფალ თავნებობას განასახიერებს;
- ვინც სტალინს მიიჩნევს სიმბოლოდ დაკარგული ეროვნული იდენტიფიკაციისა, როცა ხედავს, რომ იმპერიის თავში იმ ნაციის, არნახული ძალაუფლებისა და გავლენის მქონე პიროვნებაა, რომელიც სწორედ ამ იმპერიის მიერ არის დაპყრობილი (ნიჟარაძე, 1991: 128-197).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ორ ცხრას შუა“ მოქცეული საბჭოთა საქართველოსათვის 1956 წლის მარტის ამბები „საბჭოთა ქართული“ ნაციონალიზმის დაბადების დასაწყისად მიიჩნევა (ქარუმიძე, 2010), დესტალინიზაცია გახდა საბაბი, რამაც ხალხი რუსთაველზე გამოიყვანა ბელადის შელახული ავტორიტეტის აღსადგენად. თუმცა მალე გაიღვიძა ნაციონალურმა სულმა და მოთხოვნებმა სხვა სახე მიიღო. ამ საკითხზე მსჯელობისას ბ. წიფურია ხაზს უსვამს იმას, რომ ტრაგედიის ადეკვატურად ასახვა, რა თქმა უნდა, ვერ მოხდებოდა იმავე ძალის მიერ კონტროლირებად ოფიციალურ დისკურში, რომელიც პასუხისმგებელი იყო საზოგადოების მიმართ ტრამვულ ქმედებებზე, ამიტომაც იყო, რომ 1956 წელზე გამომხაურება, თუნდაც გამოუქვეყნებელი ტექსტების სახით, ქართულ ლიტერატურაში ფართოდ არ მომხდარა (წიფურია 2016: 189-190).

გურამ ფანჯიკიძის ყველა რომანი უფლებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ ნონკონფორმისტი გმირის დაბადების სურვილზე, რომელმაც უნდა შეცვალოს, გაარღვიოს ის მიკროსივრცე, რომელშიც არსებობს, მოძრაობს და ეს რღვევა იქნება უფრო დიდი რღვევის დასაწყისი.

საბჭოთა კავშირი სხვა არაფერია, თუ არა უტოპიური პოსტულატების რეალიზების სურვილი ცალკეული ერთეულების გამოკვეთის მიზნით, პერსონაჟები მის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებენ როგორც აქტიურს, ასევე- პასიურს, ამ ხაზს მიჰყვება „მეშვიდე ცა“, „თვალის პათოსანი“, „აქტიური მზის წელიწადი“, ოდნავ განსხვავებული რაკურსით – „სპირალი“ (ამ უკანასკნელში თანადროულობის ჰიბრიდი იხატება – ქურდისა და ინტელიგენტი პროფესორის სიმბიოზი). აღნიშნული რომანების ყველა პერსონაჟი მიზნად ისახავს, გაანადგუროს (შეეცადოს მაინც) არსებული უსახობა და ამას თავის მიკროსოციუმიდან იწყებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფანჯიკიძის გმირები ვერ ახერხებენ არსებულის დამარცხებას, რადგან ბახტინისეული საკარნავალო ატრაქციონის დატოვების სურვილის რეპრესირებული ფორმით არსებობა ვერ აძლევს პერსონაჟებს მიზნის მიღწევის საშუალებას.

„ეშმაკის ბორბალში“ ამ ხაზს იწყებს ლევან გორდელი, პასიური მეტროლი, რომელიც, მიუხედავად მამის წინააღმდეგობისა, არასოდეს იჯერებს დედის ლალატს, არ იღებს ბელადის კულტს, არც ის სჯერა, რომ ამ ქვეყანას რამე ეშველება. იგი ნიჰილისტურად ასკვნის, არ არსებობს მექანიზმი, რომელიც წინ აღუდგეს ერთი კაცის ბრძანებას. ადამიანის ფანატიზმისაგან გათავისუფლების პროცესმა, სიმართლესთან პირისპირ შეხვედრამ და იმის აღმოჩენამ, რომ თავისუფლებას სულ სხვა გემო აქვს, მაგრამ მისით ვერ დატკბები, ადამიანები უფრო დიდ საპყრობილეში მოამწყვდია.

უნდა გამოვყოთ მწერლის მიერ მნიშვნელოვანი მომენტების მიღმა ბევრად ღრმად მიმალული მოდუსები. მაგ., ლევანის შვილთან ერთადერთ დიალოგს, რომელიც ფატალურად სრულდება (გერმანული ნაგაზის ყეფა საკონცენტრაციო ბანაკში შეძენილ ტრამვას აცოცხლებს), მწერალი წარმართავს რუსული ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, რითიც გვაჩვენებს ფსევდოქრისტიანული სულგრძელობის მატარებელი ნაციისა და საბჭოთა ტოტალიტარიზმზე არანაკლებ დიქტატორული ფაშიზმის ძალადობრივი სიმბიოზის საშიშროებას.

რაც შეეხება გუშინდელში შექმნილ არჩილ გორდელს, იგი წინააღმდეგობრივი, კონფლიქტური, დეპერსონიზირებული, ცენტრისკენული სვლით გაჯერებული პერსონაა, თვითონ არის ის სივრცე, რომელსაც ყოველთვის უპირისპირდებოდნენ წინამორბედი რომანების პერსონაჟები.

არჩილ გორდელი უმცროსისათვის მიღებული გამოცდილება იმ დიდი კოლექტიური ტრამვის გამოვლინებაა, რომელიც ანადგურებს ჩვენი საზოგადოების ძირითად ქსოვილს, იწვევს სიცოცხლის მნიშვნელოვან დანაკარგს და წარმოადგენს კრიზისის პიროვნებაში – უჭირს, განსაზღვროს, ვინ არის და სად მიდის. საფრთხის წინაშე ჩამოყალიბებული უმწეობის განცდა, შფოთვა ახდენს მასში

თავის გადარჩენის განცდის ლოკალიზებას, სენსორული ინფორმაციის შეზღუდულ აღქმას, რაც მემკვიდრეობით ტრანსპორტირდება კოლექტიურ ცნობიერებაში ქრონოტიპის ნებისმიერ ასპექტში.

მისი სახით მწერალი ქმნის ტიპს, რომელიც იბრძვის მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენისათვის და, მიუხედავად ფარული შინაგანი წინააღმდეგობისა, ვერ ახერხებს, იხსნას საკუთარი პიროვნება, შესაბამისად, ვერ ახდენს ჩამოყალიბდეს სივრცის საწინააღმდეგო გმირად ამ სივრცის არსებობის პროცესში.

გორდელებისათვის სსრკ-ის (თუ რუსეთის) მარწუხები იყო გასვლა დროიდან, ისტორიიდან, ცხოვრებიდან, უტოპიის ამაო დევნაში, რაც ყოველთვის გაცნობიერებული ჰქონდა რაციონალურ გონს, ისტორიიდან ამოვარდნამ დაკარგა სასიცოცხლო ძალების ნორმალური ურთიერთგაცვლის გრძნობა, ადამიანთა შორის კომუნიკაცია, ამან მიგვიყვანა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთგვარ კოლექტიურ თვითმკვლელობამდე, „ცხოვრების მიღმა“ ფიქსირებამდე, ყველანი ერთბაშად აღმოვჩნდით „ფეხზე მდგომი გვამების ტყეში“ (მამარდაშვილი, 2010).

სად არის ხსნა? შეძლებს კი გორდელების უკანასკნელი წარმომადგენელი, დათო გორდელი (ახალი თობა, მარტოსული გმირის მოდელი, ახალი წესრიგის დაუსრულებლად მაძიებელი), პიროვნულ ხსნას, რაც უნდა იყოს ნაციონალური ხსნის ნიშანიც?! მისი ფორმირება ხდება XX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში, როცა იწყება ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანა, პირადი თუ საზოგადო ცხოვრების გადაფასება, ცდომილების მიგნება, ჩნდება ნგრევა-შენების დაუოკებელი სურვილი. ამიტომაც არის, რომ დათო საკუთარი ნებით მიდის ავღანეთში. 1979-1989 წლებში საბჭოთა კავშირის მიერ მცირე აზიის ამ ქვეყანაში განხორციელებული ე. წ. სამშვიდობო მისიის თემის რეცეფცია მეტად მწირია ქართულ ლიტერატურაში, ამ მხრივ, გ. ფანჯიკიძე შეიძლება ნოვატორად ჩავთვალოთ, მით უმეტეს, რომ მისი პერსონაჟი მთელი სიმძაფრით იხსენებს იქ გატარებულ დღეებს და საბჭოთა ჯარისკაცების რეალურ დანიშნულებას.

დათოს თაობა იწყებს იმის მტკიცებას, რომ მამები ვერ იქნებიან უკეთესები შვილებზე, რომ „ძველ კვარცხლბეკზე მდგარი“ მომავლის სიდიადეს უნდა ვუმზერდეთ (ბაქრაძე, 1990: 323), მაგრამ დიადი წარსული ბურუსითაა მოფენილი და ახლა ჯერი შვილებზეა. მამებისა და შვილების ურთიერთობაზე საუბრისას პროფ. მანანა კვაჭანტირაძე მიიჩნევს, რომ მამები თავისუფლებისა და გადარჩენის კოდის შემნახველები არიან, მაგრამ შეფიცულნი, ვერშემსრულებელნი. შვილებმა არ იციან და ვერც მამებისგან გებულობენ გადარჩენის საიდუმლოს. ეს კი ხდება საბაბი, რომ „ყოველ მამაში არის ის, რაც მას დამნაშავის მდგომარეობაში აყენებს შვილის წინაშე და ყველა შვილში არის ის, რაც სინანულს აღძრავს მამის წინაშე“ (კვაჭანტირაძე, 2008: 247). რაინდობის იდეალებით შეპყრობილმა თაობამ არჩევანი უნდა გააკეთოს ზნეობასა და უზნეობას, შეუგუებლობასა და მორჩილებას შორის, იბრძოლოს და თავი დააღწიოს იმ მარწუხებს, რომლითაც საზოგადოებას მისი დამონება სურს, მაგრამ, ამავდროულად, ის განზოგადებულ სახეს წარმოადგენს იმ ადამიანებისას, ტიპაჟებისას, რომლებზეც ყოფამ, ქვეყანაში არსებულმა ვითარებამ, ძალადობისა და განუკითხაობის სინდრომმა ძლიერი ზეგავლენა იქონია, მით უმეტეს, ჯერ კიდევ არ მომხდარა „სოვიეტიზმის“, როგორც ცხოვრების, წარმოების, აზროვნების წესისგან სრულად თავის დაღწევა. თვითგადარჩენის მძაფრმა სურვილმა ქართველებს კარგად შეაძლებინა სისტემით სარგებლობა, საკუთარი მიზნებისადმი მისი მისადაგება, რის გამოც ისინი გაებნენ ხსენებული წყობისათვის დამახასიათებელი კორუფციის, ქრთამის, მაქინაციების ხაფანგში (რაც „პერესტროიკამდე“ დაწერილ ყველა რომანში მეტ-ნაკლები სიმძაფრით ასახა მწერალმა და რასაც განასახიერებს არჩილ გორდელი). ახალ დროებაში ამას დაემატა ნიადაგ უკმაყოფილო კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი. რადგან აღმოვჩნდით ისეთ სამყაროში, სადაც არც სიცოცხლისეული ძალები და არც ჭეშმარიტი აზრი რაციონალური ზრახვებით კონტროლს არ ექვემდებარება.

დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ ნარატორის პოზიციაზე, ბოლომდე დაუსრულებელ სათქმელზე, ავტორის მიერ პერსონაჟისათვის გამოუტანელ ვერდიქტზე. ყოველი თვითმყოფადი მხატვრული თხზულება ავტორისეულ მიზანდასახულებათა მთლიანობით

ყალიბდება, ნარაცია ხშირად უარყოფს ავტორის ინტენციას, ლიტერატურული მნიშვნელობა მკითხველის შეუზღუდავ ინტერპრეტაციას ენიჭება (ჭილაია, 2012: 24-25).

რომანის ფინალი ამ ფონს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ გ. ფანჯიკიძე თანადროული საქართველოს ყოფიდან იღებს ისტორიულ პლასტებს, სულაც არ არის გასაკვირი მწერლის გადანყვეტა, მკითხველი გაბუნდოვანებული დატოვოს გაურკვეველ მომავალთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, მწერალს და, მით უმეტეს, ჩვენ კარგად შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები: საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებით მოგვრილი სიხარული მალე ჩაანაცვლა სამოქალაქო თუ ეთნიკურ ნიადაგზე განვითარებულმა მოვლენებმა. პატრიოტული აღმაფრენის შემდგომ იწყება ილუზიების მსხვრევის მტკივნეული პროცესი, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო ყოველდღიური გადრჩენისათვის ბრძოლა, კულტურული ცნობიერება კრიზისის ფაზაში შედის.

სამწუხაროდ, აღნიშნული ფსიქოტიპი იმ გენეტიკური კოდის მატარებელი უნდა იყოს, რომელსაც სულ მალე „დაკარგული თაობა“ დაერქმევა. მათ საკუთარი ნებით გამოიარეს მინიერი ჯოჯოხეთი და საკუთარი ძალებითვე დადგნენ საშინელი გამოცდის წინაშე. წინაპრებისგან მიიღეს ყველაფერი საუკეთესო, უარყოფითსა და სიძულვილთან ერთად. დათოს ტიპაჟზე საუბრისას ნ. წერეთელი ხაზს უსვამს იმას, რომ გ. ფანჯიკიძე დიდ იმედებს ამყარებს მათზე და ჩვენც გვაჯერებს, რომ ისინი სიმართლის, პატიოსნების, სიყვარულის, კაცობის სულ სხვა გზით ივლიან, „წინაპრების მიერ დაშვებულ მომაკვდინებელ შეცდომებს აღარ გაიმეორებენ“ (წერეთელი, 2016: 7).

დღეს უკვე მწერლის წინათგრძნობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, ან იმ ტრავმული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ლოგიკური ანალიზის უნარზე, რომლის შედეგადაც თვალნათლივ ვხედავთ: დაჭრილი იმპერია იმ ზღაპრულ გველეშაპს მოგვაგონებს, რომელიც ყოველ ჯერზე ახერხებს რეინკარნაციას და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ მის მიერ შთანთქმული გმირი შავეთის გავლის შემდეგ, გველეშაპისაგან შთანთქმული, შიგნიდან არ გამოფატრავს მას, ან ბოროტების ქაოსი თვითონვე არ ამოანთხევს, უარს იტყვის მასზე.

შეიძლება ითქვას, რომ ფანჯიკიძის ფინალური რომანი ფინალური სცენაა წინამორბედი რომანების ყოფისა. მწერლის სურვილი, შეექმნა რეალობას შეპირისპირებული ნონკონფორმისტი პირი (პირები), რომელიც გაიმარჯვებდა და მისი გამარჯვება კოლონიზატორული დიქტატიტ რეპრესირებული ეროვნული თუ პიროვნული იდენტიფიკაციის გამარჯვების დასაწყისად რეალიზდებოდა, კრახით მთავრდება, რითიც მწერლის მესიჯი უნდა ამოვიკითხოთ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი პიროვნების უსუსურობისა და მენიპური ნონკონფორმისმის შესახებ. თუ სხვა რომანებსაც გადავავლებთ თვალს, ეს არის ნარატორის ერთგვარი „ახირება“, როცა მკითხველისათვის მთავარ პერსონაჟად წარმოდგენილი ინდივიდები ვერ ახერხებენ სივრცის კონცეპტუალურ გარდასახვას დესაკრალიზებული სიბრტყიდან საკრალიზებულ განფენილობაში, „იმ“ იდუმალ უსაზღვროებაში, რომელიც სასაზღვრო ზოლის მიღმაა განფენილი და მისკენ მიილტვის მხოლოდ ვერტიკალურ პარადიგმაზე მოძრავი პერსონა. ამიტომაც მათ მოძიებას მეორეხარისხოვან ტიპაჟებსა თუ რომანის სათაურში ვცდილობთ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გ. ფანჯიკიძის რომანი „ეშმაკის ბორბალი“ საკუთარ თავში მოიცავს საბჭოთა ეპოქაში ისტორიული ფიგურების როლისა და მნიშვნელობის, ფაქტებისა და ქმედებების გაყალბება/გადაფასების რეცეფციას, ავთენტური ისტორიული პირების ქრონოტიპებად ქცევის საშუალებით ქართულ ცნობიერებაში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ფორმირებული კოლექტიური ტრამული ფსიქოლოგიის დაძლევის სურვილს, უკვე ჩამოყალიბებულ თაობათა ფსიქოლოგიაში ფესვებგამდგარი მიკერძოების, სიძულვილისა თუ ნოსტალგიური ილუზიის მოშლას. მწერლის მიერ ეთნოფსიქოლოგიურ თუ კულტურულ გამოცდილებასთან შეთვისებით სამყაროს ჭვრეტისა და ქმნის საკუთარ მიზანდასახულობას.

ლიტერატურა:

- ბაქრაძე, ა.** (1990). ეროვნული ენერჯის ძიება, წიგნში *მწეხრობის მოთვინიეხება*, თბილისი: რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“.
- კვაჭანტირაძე, მ.** (2009). „განგაშის რომანები“.
<https://burusi.wordpress.com/2009/05/13/მანანა-კვაჭანტირაძე-გან/>
- კუტივაძე, ნ.** (2019). XX საუკუნის დასასრულის სოციუმი მხატვრულ ნარატივში, *XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და დიგეხაგუხუდი დისკუსი*. საეხთაშოხისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი: გამომცემლობა GCLA Press.
- მამარდაშვილი, მ.** (2010). ჩახშული ფიქრი (საუბრები ანი ეპელბუნთან). <https://burusi.wordpress.com/2010/05/04/merab-mamardashvili-10/>
- მამარდაშვილი, მ.** (2011). ნაციონალიზმი და პოსტკოლტალიტარული საზოგადოება. *ცნობიეხების ციპოლოგია*, თბილისი: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი.
- მინდაძე, ი.** (2021). ჭგუფის თვითმყოფადობა და კულტურული მეხსიერების ხატები, თბილისი.
- მირესაშვილი, მ.** (2015). პოსტკოლონიური კრიტიკა, მომხრენი და მოწინააღმდეგენი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XIII, თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მურა, ჟ.** (2012). პოსტკოლონიური კრიტიკა, ისტორია, თეორია. *ფხანკოფონუხი დიგეხაგუხეები და პოსტკოლონიუხი თეოხია*. თბილისი: გამომცემლობა „მნიგნობარი“.
- ნემსაძე, ა.** (2007). იდენტიფიკაციის პრობლემა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, *კიტიკა*, N2.
- ნიჟარაძე, გ.** (1991). კომუნისტური რეჟიმი და ქართული შეგნება.
http://kulturiskvlebebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/gaga_nijaradze.pdf
- Нора, П.** (2005). „Всемирное торжество памяти“.
<https://magazines.gorky.media/nz/2005/2/vsemirnoe-torzhestvo-pamyati.html>
- ფანჯიკიძე, გ.** (1986). თხზულებანი 3 ტომად, ტ. II, თბილისი.
- ფანჯიკიძე, გ.** (1992). პასუხი რუს მწერლებს. *დიგეხაგუხუდი საქაიხთვედო*. N4.
- ფანჯიკიძე, გ.** (1998). ღია წერილი ვიტალი კოროტიჩს და სხვებსაც. *დიგეხაგუხუდი საქაიხთვედო*, 1988 N2-4.
- ფანჯიკიძე, გ.** (2014). *ემმაკის ბოხბადი*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ქარუმიძე, ზ.** (2010). პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი, თბილისი: არილი.
- ჩიქოვანი, ნ.** (2008). *ეხთიანი კავკასიის ნაიხაგივი*. თბილისი.
- წერეთელი, ნ.** (2016). დიდი მწერალი და მეგობარი. ჟურნალი სიტყვა, N27.
- წიფურია, ბ.** (2016). გამოსხადებაი: 9 მარტის ტრამვა და სტალინური ნარატივის დასასრული საქართველოში. *ქაიხთუდი გექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნუდ კონტექსტში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**ფრაზეოლოგიები ქართველი და ეთნიკური უმცირესობის
სტუდენტთა ინგლისურ აკადემიურ ტექსტებში
(სასწავლო კორპუსული შედარებითი ანალიზი)**

**Phraseology in English Academic Texts of Georgian and Ethnic Minority Students
(Learner Corpus-based Comparative Analysis)**

მარინე მახათაძე

Marine Makhatadze

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*

1. შესავალი

უცხოური ენის შემსწავლელთა წერილობითი და ზეპირმეტყველების მონაცემები ენობრივი კომპეტენციისა და ლინგვისტური თავისებურებების განსაზღვრისათვის უტყუარ რესურსს წარმოადგენს. სასწავლო კორპუსი მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული საბადაოა, რომლის მეშვეობით ხორციელდება უცხოური ან მეორე ენის შემსწავლელთა ენობრივ ინტერნალიზაციაზე დაკვირვება. ენაში აქტუალიზებული სიტყვათხმარების შემთხვევების ანალიზის მიზნით, ვქმნით სასწავლო კორპუსს დასმული პრობლემის გადასაჭრელად.

ასეთი ტიპის კორპუსი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სასწავლო კორპუსი უცხოური ან მეორე ენის (L2) შემსწავლელთა ენას წარმოაჩენს მთელი სისავსით. ეს არსობრივი ელემენტი სამეცნიერო ლიტერატურაში სასწავლო კორპუსის ცნების განსაზღვრისას მკაფიოდაა ხაზგასმული. მაგალითად, ნ. ნესელჰაუფი ასეთ დეფინიციას გვთავაზობს: „სასწავლო კორპუსი არის სისტემატური, ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი ტექსტების ნაკრები, რომელიც ენის შემსწავლელთა მიერაა შესრულებული“ (ნესელჰაუფი, 2004: 125). ცნებაში „სისტემატური“ იგულისხმება კორპუსში მოცემული ტექსტების რეპრეზენტაციულობა და დაბალანსებულობა. ტექსტები შერჩეულია რამდენიმე საკვანძო კრიტერიუმის საფუძველზე, მაგალითისათვის, ენის შემსწავლელთა ცოდნის დონის ან მათი მშობლიური ენის განსაზღვრის გათვალისწინებით.

ზოგადად, სასწავლო კორპუსის შექმნამ კვლევათა ფართო სპექტრს მისცა დასაბამი. კორპუსლინგვისტიკის ეს ახალი განშტოება 1980-იანი წლებიდან იღებს სათავეს და ერთგვარად იმ ნაპრალის შემავსებელია, რომელიც მშობლიურ ენასა და მის დიაქრონიულ, სტილისტიკურ და რეგიონალურ ვარიანტებზე ორიენტირებულმა კორპუსლინგვისტიკამ ვერ აითვისა. სასწავლო კორპუსის კვლევამ კარი გაუღო უცხოური ენის შემსწავლელთა ენობრივი თავისებურებების შესწავლას.

კვლევის მიზანია, ჩვენ მიერ შექმნილი სასწავლო კორპუსის მაგალითზე, კულტურათაშორის ქრილში წარმოვაჩინოთ ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და კონსტრუქციების გამოყენების თავისებურებები ქართველ და ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების ინგლისურენოვან აკადემიურ ტექსტებში. სტატისტიკურ საბოძებზე დაყრდნობით, დავადგინოთ, რომელი ფრაზეოლოგიური ერთეულები გვხვდება ქარბად ან იშვიათად ქართველ და ეთნიკურად არაქართველ სტუდენტთა ნაწერებში. დასახული მიზნის მისაღწევად ვიყენებთ კორპუსული მასალის შეპირისპირებით ანალიზს, ერთი მხრივ, ჩვენ მიერ შექმნილ სასწავლო კორპუსსა და, მეორე მხრივ, „საკონტროლო“ კორპუსს შორის, რომელშიც თავმოყრილია მშობლიურ ენაზე (ამ შემთხვევაში – ინგლისურ ენაზე) მოსაუბრეთა ენობრივი ნაწარმი.

ჩვენი საკვლევი თემის აქტუალურობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში აქამდე არ შექმნილა ინგლისური ენის სასწავლო კორპუსი, რის გამოც შეუძლებელი იყო, დაგვედგინა, როგორი ლექსიკური თავისებურებებით ხასიათდება ინგლისური ენის ქართულ და ეთნიკურად არაქართული სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად ვაანალიზებთ ინგლისური ენის შემსწავლელ ქართულ და ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა ტექსტობრივ ნიმუშებს, რომლებიც აქამდე არ ყოფილა მეცნიერულად შესწავლილი. ნაშრომის სიახლე განისაზღვრება იმით, რომ გამოკვლევა არის უცხოური ენის შემსწავლელთა ტექსტების ლინგვისტური ანალიზის პირველი ცდა კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რომელიც ტექსტების პროგრამულ დამუშავებასთან არის დაკავშირებული. კვლევა აღნუსხავს, იკვლევს და აანალიზებს ფრაზეოლოგიზმების ენობრივ არსენალს.

კვლევა წარმართულია კორპუსზე დამყარებული მეთოდოლოგიით და იმ პროგრამული ინფრასტრუქტურით, რომელიც ფრაზეოლოგიური მონაცემების კვლევის საშუალებას იძლევა. კვლევის რაოდენობრივი მეთოდი დაგვეხმარა სასწავლო კორპუსისათვის ჩვენ მიერ შეგროვებული წერილობითი მასალისა და სხვა მეტამონაცემების სხვადასხვა კრიტერიუმით შესწავლაში, ასევე საკვლევ მასალაში მოძიებული ინფორმაციის რაოდენობრივ შედარებასა და პროცენტული მაჩვენებლების კალკულაციაში. კვლევის მეთოდოლოგია დაფუძნებულია ვრაცლავ ბრეზინას (2018), სილვიენ გრეინჯერისა (2017), ნადია ნესელჰაუფისა (2005) და ჰილდე ჰასელგარდის (2017) თეორიულ ნაშრომებზე, აგრეთვე, კვლევაში ვითვალისწინებთ დასავლეთევროპული და ამერიკული სასწავლო კორპუსების შექმნის ძირითადი პრინციპებსა და მოდელებს.

2. სასწავლო კორპუსები და ფრაზეოლოგია

ფრაზეოლოგია იკვლევს და შეისწავლის სიტყვათა კომბინაციების გამოყენებას, მნიშვნელობასა და სტრუქტურას (Cowie, 1994: 3168), თუმცა ეს კონცეპტი ამოსაცნობად და კატეგორიზებისათვის საკმაოდ რთულია. ფრაზეოლოგია თავისი არსით მულტიდისციპლიურია და მოიცავს ლინგვისტიკის მრავალ მიმართულებას, როგორცაა მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკისა და დისკურსის ანალიზი.

1970-80-იან წლებამდე ფრაზეოლოგიის კვლევისას ლინგვისტებს გეზი ერთი მიმართულებით ჰქონდათ აღებული – ძირითადად, იდიომების შესწავლას ეთმობოდა განსაკუთრებული ყურადღება. ამას გარდა, შესიტყვებების შესწავლაც სათავეს 1950-იანი წლებიდან იღებს, როდესაც ფირსმა (1951) კოლოკაციები განმარტა, მეტიც, არა მარტო აღწერა ეს ლინგვისტური ფენომენი, არამედ სიხშირის გათვალისწინებით გამოყო მათი რამდენიმე ტიპი. ფირსის მიდგომა ფუნდამენტურად ეფუძნება სიხშირის პრინციპს და მან ცნება „კოლოკაცია“ გამოიყენა მოცემულ კონტექსტში ლექსემების მნიშვნელობის დასაზუსტებლად, თუმცა აღნიშნული ცნება დღეისათვის მეტნაკლებად დიფერენცირებულად გამოიყენება ენის სხვადასხვა დონეზე: კოლოკაცია აღნიშნავს ლექსემათა თანაარსებობას. მოგვიანებით სხვა მკვლევრებმა (ჰალიდეიმ, სინკლერმა) ფირსის მოსაზრების გაზიარებით სიხშირეზე დამყარებულ მიდგომას ჩაუყარეს საფუძველი.

მეორე მხრივ, იმავე პერიოდში, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთევროპის წამყვანი მეცნიერები, ვინოგრადოვი (1947), ამოსოვა (1963) და მელჩუკი (1988) დაინტერესებულნი იყვნენ ფრაზეოლოგიით და შექმნეს ფრაზეოლოგიზმების ამომწურავი და სისტემატური აღწერილობითი კონცეფცია. მათ განასხვავეს ერთმანეთისგან წინადადების მსგავსი ერთეულები, იდიომები. განარჩიეს სიტყვის მსგავსი ერთეულებიც, რომლებიც პრაგმატული ფუნქციის მატარებლები არიან. არსებული კვლევა მოგვიანებით ქოუიმ განავითარა და მას ფრაზეოლოგიური მიდგომა ეწოდა.

კორპუსლინგვისტიკაში რეგულარულად განმეორებადი სიტყვათა წყებები რამდენიმე ტერმინით გვხვდება, მაგალითად,

ენ-გრამები (Granger & Bestgen 2014; Ebeling & Hasselgård 2015a) და ლექსიკური 'დასტები' (lexical bundles) (Biber et al. 1999). ჯ. სინკლერი შესიტყვებას განმარტავს როგორც ტექსტში ერთმანეთთან ახლო მანძილზე მყოფ ორ ან ორზე მეტ ლექსიკურ ერთეულს. შესიტყვებების კვლევისათვის ტექსტკორპუსში გასათვალისწინებელია საძიებო, ანუ საკვანძო სიტყვასა (node) და მის მოსაზღვრე სიტყვებს შორის არსებული მანძილის განსაზღვრა (Sinclair 1991: 170).

კორტესი (2004) სასწავლო კორპუსებში ასახულ ფრაზეოლოგიზმებს განასხვავებს მათი სტრუქტურული და ფუნქციური კატეგორიების მიხედვით. ავტორი გამოყოფს 4 „საუნივერსიტეტო რეგისტრს“: დისკუსია, სააუდიტორიო სწავლება, სახელმძღვანელოები და აკადემიური პროზა.

ფრაზეოლოგიზმების, კონკრეტულად რამდენიმე ლექსიკური ერთეულისაგან შემდგარი ფრაზების კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინგლისური ენის ჩინელი სტუდენტებისა და მშობლიურ ენაზე (ინგლისური) მოსაუბრეთა კორპუსების შედარებით ანალიზს. შედეგად, ლექსიკური ერთეულების გამოყენება ამ ორი კატეგორიის სტუდენტების ესეებში გასაკვირად მსგავსი იყო, თუმცა ჩინელი სტუდენტების წერილობით მონაცემებში გამოიკვეთა ზედმეტად განზოგადებული მაკავშირებელი სიტყვების გამოყენება, ისევე როგორც კონკრეტული იდიომატური გამონათქვამების სიჭარბე (Chen & Baker, 2010). მსგავსი მეთოდოლოგიით შექმნილი შვედი სტუდენტების სასწავლო კორპუსი კი ცხადყოფს არსებით განმასხვავებელ ნიშნებს მშობლიურ ენასა და ინგლისური ენის შემსწავლელებს შორის (Ådel & Erman, 2012). ავტორები ასკვნიან, რომ ინგლისური ენის შემსწავლელებს მეტად შეზღუდული ფრაზეოლოგიური რეპერტუარი ახასიათებთ.

სასწავლო კორპუსში ლექსემებს იკვლევდა სალაზარი (2014), რომელმაც დარგობრივი (ბიომედიცინის) კვლევით ნაშრომებში არსებული 3-6 სიტყვიანი ფრაზეოლოგიური ერთეულების სიხშირე, სტრუქტურა და ფუნქციები შეისწავლა. ავტორის მიზანი ნაწილობრივ პედაგოგიური ხასიათისაა.

3. მასალა და მეთოდოლოგია

კორპუსლინგვისტიკაში ენობრივი ინტერნალიზაციის პროცესის შესწავლა შედარებითი მეთოდით ხორციელდება. სასწავლო კორპუსის კვლევა ჩვეულებისამებრ მოიცავს ენის შემსწავლელთა რამდენიმე ჯგუფის შედარებას. ენობრივ ტრანსფერზე დასაკვირვებლად ეფექტურია ერთი და იმავე სამიზნე ენის შემსწავლელების კვლევა, რომლებიც სხვადასხვა მშობლიურ ენაზე საუბრობენ.

სოციოლინგვისტურმა კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ სოციალური ცვლადები, როგორცაა სქესი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების დონე, სოციალური როლები, ეთნიკური წარმომავლობა ან იდენტობა გავლენას ახდენს ენის გამოყენებაზე. არა მხოლოდ სოციოლინგვისტური მიდგომები შეისწავლის ენის ცვალებადობას, არამედ ლინგვისტიკის მრავალი სხვა მიმართულება მიზნად ისახავს, ახსნას სხვადასხვა სახის ენობრივი ვარიაცია.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში ფუნდამენტურ ტექსტობრივ მასალას წარმოადგენს, ერთი მხრივ, ქართველი ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტებისა და, მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა (ინგლისური ენის შემსწავლელთა) აკადემიური ტექსტების სასწავლო კორპუსი. საკონტროლო კორპუსად კი გამოყენებულია მიჩიგანის სასწავლო კორპუსი the Michigan Corpus of Upper-Level Student Papers (MICUSP). ჩვენ მიერ შედგენილი კორპუსის წერილობითი მონაცემები მოიცავს ძირითადად ლინგვისტიკისა და ლიტერატურის ირგვლივ შესრულებულ ნამუშევრებს. ცხრილი 1 წარმოადგენს ჩვენ მიერ შედგენილი სასწავლო კორპუსისა და საკონტროლო კორპუსის ზოგად მონაცემებს:


ცხრილი 1. კვლევისათვის გამოყენებული სასწავლო კორპუსები

დისციპლინა: ლინგვისტიკა ლიტერატურა	სიტყვების (ტოკენების) რაოდენობა
ქართულ სტუდენტთა ინგლისური ენის სასწავლო კორპუსი	61,351
ეთნიკური უმცირესობის (აზერბაიჯანელი და სომეხი) სტუდენტთა ინგლისური ენის სასწავლო კორპუსი	51,273
MICUSP (L1, ამერიკული ინგლისური)	154,160

ჩვენ მიერ შექმნილი სასწავლო კორპუსი (ორივე ქვეკორპუსი – ქართველებისა და ეთნიკური უმცირესობის) ანოტირებულია, რაც დასმული პრობლემის გადაჭრის მოქნილ საშუალებად გვევლინება და ყველა იმ ენობრივი ნიუანსსა და თავისებურებებს ხდის ფარდას, რაც ინგლისური ენის შემსწავლელთა ცოდნის მიღმა იმალება.

მონაცემთა შეგროვების წინ სტუდენტებს გავაცანით პროექტის მიზნების შესახებ, ხოლო თანხმობა კვლევაში მონაწილეობისათვის და ესეების გამოყენების ნებართვა აღებულ იქნა წერილობით. კვლევაში ჩართული სტუდენტები სწავლობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით. მონაწილეთა უმრავლესობა ბაკალავრიატის სტუდენტია, ნაწილი კი მაგისტრატურის. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები არიან აზერბაიჯანელები და სომეხები. ეს მეტამონაცემები შეგროვებულ მათ წერილობით ნაშრომებთან ერთად. სტუდენტებმა დამატებით შეავსეს მონაცემთა ბაზისათვის საჭირო კითხვარი (გაუზიარეს ინფორმაცია საკუთარ თავზე, მშობლიურ ენაზე, მშობლების მშობლიურ ენასა და ინგლისურ ენასთან შემხებლობაზე). ესეები დაინერა ზედამხედველობის ან დროითი შეზღუდვის გარეშე, სტუდენტებს ლექსიკონების გამოყენების უფლება ჰქონდათ. შესრულებული დავალება გადმოგზავნილ იქნა ელექტრონულად. სტუდენტთა სახელები ან სხვა სახის მაიდენტიფიცირებელი დეტალი კვლევის კონფიდენციალურობიდან გამომდინარე იქნა მოშორებული. სასწავლო კორპუსის მეთოდოლოგიის უფრო თვალნათლივ წარმოსაჩენად, წარმოვადგენთ ენის შემსწავლელთა და კვლევაში გამოყენებული დავალების ცვლადებს (იხილეთ ცხრილი 2).

ცხრილი 2. დავალებისა და ენის შემსწავლელთა ინფორმაციის შემცველი ცვლადები.



კვლევის რაოდენობრივი და კორპუსული ანალიზი დამუშავდა AntConc-სა და #Lancsbox პროგრამებში, ხოლო ანოტაციისკვლევაში ფრაზეოლოგიზმებს, კერძოდ, კოლოკაციებსა და რამდენიმე ლექსიმისაგან შემდგარ ფრაზებს ავტომატურად და მანუალურად გავანალიზებთ. მეტყველების ნაწილების ანოტაცია მოვახდინეთ TagAnt მეშვეობით, რომელმაც სასწავლო კორპუსის თითოეულ სიტყვაფორმას მიანიჭა შესაბამისი გრამატიკული კატეგორიის თეგი. ეს პროცესი ამარტივებს ენის შემსწავლელთა მიერ გრამატიკული კატეგორიების, მაგალითად, წინდებულებისა და დამხმარე ზმნების გამოყენების თავისებურებებზე დაკვირვებას. კონკორდანსი კი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის კვლევა-ძიების შესაძლებლობას იძლევა: სასწავლო კორპუსში ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების განმეორებადობის კვლევას; წარმოაჩენს ენობრივი ერთეულების კონტექსტში გამოყენების მაგალითებს და ავტომატურად მოიპოვებს კოლოკატებსა და სიტყვათა კლასტერებს.

უპირველესად, შესიტყვებების დასადგენად ვიყენებთ სიხშირეზე დაფუძნებულ მიდგომას და ამისათვის მოვიშველიებთ რამდენიმე გზას შესიტყვებების შესწავლისათვის. ესენია: n-gram (დანაწევრებული ტექსტობრივი ფრაგმენტები: კლასტერები, „ლექსიკური დასტები“, კოლგრამები და ა.შ.), შესიტყვების ფანჯარა და შესიტყვების ქსელები. N-gram ამოიცნობს ტექსტკორპუსში სიტყვის მომიჯნავე კომბინაციებს. შესიტყვების ფანჯარა ეძებს შესიტყვებებს კონკრეტული ფანჯრის მონაკვეთში, მაგალითად 5L, 5R გულისხმობს საძიებო სიტყვიდან მარცხნივ განლაგებულ 5 სიტყვას და 5 სიტყვას მარჯვნივ. და ბოლოს, შესიტყვების ქსელები აერთიანებს ენასა და დისკურსში სიტყვებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებს. (Brezina, McEnery, & Wattam, 2015).

თუმცა, მეორე მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ სტატისტიკაზე ორიენტირებულ მიდგომას თავისი შეზღუდვებიც გააჩნია და საჭიროდ მივიჩნევთ რამდენიმე არსებითი მალიმიტირებელი ფაქტორის დასაბალანსებლად, ჩვენს კვლევაში გათვალისწინებულ იქნეს სტრუქტურული (ლექსიკო-გრამატიკული) პარადიგმებიც. სტატისტიკაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენების დროს გაჩენილ სიცარიელეს ამოვავსებთ სასწავლო კორპუსში შესიტყვებების მოდელების მანუალური მოძიებით.

4. კორპუსის ანალიზი

სტატისტიკური საზომების გამოყენებით დავადგინეთ რა მსგავსება/განსხვავებაა ჯგუფებს შორის და რა ხარისხით მოახდინა გავლენა სხვადასხვა ცვლადმა ლინგვისტურ ფენომენზე. ფრაზეოლოგიზმების სიხშირე და გავრცელებადობა ორივე კორპუსში ააშკარავებს ჭარბ ან ნაკლებად გამოყენების თავისებურებებს. მიღებული შედეგების გათვალისწინება უნდა მოხდეს არა მხოლოდ ლექსიკოგრაფების მიერ, რათა გაუმჯობესდეს სალექსიკონო სიტყვასტატიები ორენოვანი ლექსიკონებისათვის, არამედ, პედაგოგიური საქმიანობაშიც, უცხოური ენის შემსწავლელთა ფრაზეოლოგიური რეპერტუარის გასამრავალფეროვნებლად.

ყველაზე ხშირად გამოყენებული რამდენიმე ლექსემისგან შემდგარი ფრაზების რაოდენობრივი მონაცემების შედეგები მოცემულია ცხრილში. ყვითლად გამუქებული ფრაზეოლოგიური ერთეულები მიუთითებს მოცემულ კორპუსებში მათ დამთხვევას.

ცხრილი 3. ყველაზე ხშირად გამოყენებული ფრაზეოლოგიური ელემენტები სასწავლო კორპუსებში

ფრაზეოლოგიზმები (ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების ინგლისური ენის სასწავლო კორპუსი)	სიხშირე Frequency	დიაპაზონი Range
I think that	6	4
And so on	6	5
First of all	6	6

When it comes to	6	3
I can say that	5	3
In my opinion	5	4
As a result	4	4
In an example of	3	2

ფრაზეოლოგიზმები (ქართული სტუდენტების ინგლისური ენის სასწავლო კორპუსი)	სიხშირე Frequency	დიაპაზონი Range
For example	37	31
I think that	19	14
I agree with	18	18
I think so	12	10
First of all	11	7
In addition	10	9
Reasons why I think	10	8
Of course	7	7

ვინაიდან, კვლევებმა აჩვენა, რომ უცხოური ენის ლექსიკის შესწავლა კუმულაციური პროცესია: იწყება კონტექსტში მნიშვნელობის ცნობით და სრულდება მისი შესაფერისი, სწორი გამოყენებით. სასწავლო კორპუსი კი ამ პროცესის შედეგს ააშკარავებს. თუმცა, სასწავლო კორპუსზე დაფუძნებული კვლევებით ხორციელდება არა მხოლოდ შეცდომების გამოვლენაზე ორიენტირება, მათი აღბეჭდვა, კლასიფიკაცია და ანალიზი, არამედ რაოდენობრივი ანალიზის გზით კონკრეტული სიტყვების, ფრაზებისა თუ სტრუქტურების ქარბად ან არასაკმარისად გამოყენების კვლევაც შესაძლებელია. ჩვენ მიერ მიღებული შედეგები ცხადყოფს ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის, ინტერნალიზაციის პროცესის სირთულეებს როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ და სომეხ სტუდენტებში. შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების სიუხვით გამოირჩევა ქართული სტუდენტების ნაწერები, ფუნქციურად ისინი ბუნებრივად იყენებენ მაკავშირებელ სიტყვებსა და არგუმენტაციის გასამყარებელ ლექსემებს.

კვლევის შემდეგ ეტაპზე, ყველაზე ხშირად გამოყენებული ფრაზეოლოგიზმების გავრცელებულობის ხარისხის შესწავლა დავიწყეთ იმ მიზნით, რომ გვენახა რომელიმე კონკრეტულ ტექსტში კოლოკაცია ქარბად იყო თუ არა ხმარებული (იხილეთ ცხრილი 5).

ცხრილი 4. ფრაზეოლოგიზმების გავრცელებულობა სასწავლო კორპუსებში

ფრაზეოლოგიზმები (ქართული სტუდენტების ინგლისური ენის სასწავლო კორპუსი)	გავრცელებულობა	ტექსტები
I think that	56 (22.35)	27/56
And so on	27 (10.58)	19/56
First of all	11 (4.39)	7/56
When it comes to	11 (4.39)	7/56

I can say that	6 (2.59)	6/56
In my opinion	6 (2.41)	5/56
As a result	4 (1.60)	3/56
In an example of	3 (1.10)	2/56

ფრაზეოლოგიზმები (ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების ინგლისური ენის სასწავლო კორპუსი)	გავრცელებულობა	ტექსტები
I think that	5 (3.51)	3/42
And so on	6 (4.21)	5/42
First of all	6 (4.21)	5/42
When it comes to	1 (0.70)	1/42
I can say that	5 (3.51)	3/42
In my opinion	4 (2.81)	3/42
As a result	3 (2.11)	3/42
In an example of	0	0
As we can see	56	27/42

ფრაზეოლოგიზმები (MICUSP მიჩიგანის სასწავლო კორპუსი)	გავრცელებულობა	ტექსტები
I think that	7	6/41
And so on	2	2/41
First of all	4	4/41
When it comes to	6	5/42
I can say that	0	0/41
In my opinion	3	3/41
As a result	38	24/41
In an example of	0	0/41
As we can see	1	1/41

შედეგების მიხედვით ინგლისური ენის ქართველ და ეთნიკურად არაქართველ შემსწავლელთა მონაცემებში რიგი ფრაზეოლოგიზმები ქარბად გამოიყენება, მაგრამ იგივე ლექსიკური ერთეულები დაბალი სიხშირით ვლინდება მიჩიგანის კორპუსში. მაგალითისათვის, საძიებო ლექსიკური ერთეული *as we can see* ჩვენ მიერ შექმნილ კორპუსში გვხვდება 27 ტექსტში (11.3%), ეთნიკურად არაქართველი სტუდენტების ნაწერებში მოცემული ფრაზეოლოგიზმის რაოდენობა 2-ჯერ მეტია ქართველ სტუდენტთა ნაშრომებში აღმოჩენილ ოდენობაზე. ამის საპირისპიროდ, მიჩიგანის კორპუსში მხოლოდ 1 ტექსტში (0,06%) ვხვდებით მოცემულ ფრაზას; კვლევა ცხადყოფს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკა ხშირ შემთხვევაში განზოგადებულია ენის შემსწავლელთა მიერ და ერგება ისეთ კონტექსტებს, რომელშიც მშობლიურ ენაზე მოსაუბრეები იშვიათად იყენებენ, მაგალითად, *in an example of* ფრაზა, რომელიც ჩვენ მიერ შექმნილ სასწავლო კორპუსებში პოპულარობით სარგებლობს, მიჩიგანის სასწავლო კორპუსში მისი გამოყენების სიხშირე 0-ის ტოლია.

ეთნიკურად არაქართველი სტუდენტების მეტამონაცემებში ისინი აღნიშნავდნენ, რომ უცხოური ენის (ინგლისურის) შესწავლა არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, განსხვავებით ქართველი სტუდენტებისაგან. ვვარაუდობთ, რომ ენის ინტერალიზაციის პროცესის სირთულიდან გამომდინარე, აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულების კონტექსტში გამოყენებისას ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები ნაკლები ლექსიკური სიუხვით გამოირჩევიან. შედეგებმა ცხადყო ის არაბუნებრივობისა და ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური ერთეულის ქარბად გამოყენების ტენდენცია ინგლისური ენის შემსწავლელებში.

5. დასკვნა

ჩვენთვის საინტერესოა დაკვირვება უცხოური ენის შემსწავლელთა ფორმულარულ ერთეულებზე, ენის შესწავლა-ინტერალიზაციის და მენტალური ლექსიკონის ერთეულებზე წვდომის კოგნიტურ პროცესებზე. ტექსტკორპუსი, და ჩვენი კვლევის შემთხვევაში, სასწავლო კორპუსი შესიტყვებებისა და სხვა ენობრივი თავისებურებების, მათი კანონზომიერების, სიხშირული განაწილების შესახებ არსებული ინფორმაციის მდიდარი წყაროა. შედეგების მიხედვით ინგლისური ენის ქართველ და ეთნიკურად არაქართველ შემსწავლელთა მონაცემებში რიგი ფრაზეოლოგიზმები ქარბად გამოიყენება, მაგრამ იგივე ლექსიკური ერთეულები დაბალი სიხშირით ვლინდება მიჩიგანის კორპუსში. სტატისტიკურ საზომებზე დაყრდნობით, დავადგინეთ, რომელი ფრაზეოლოგიური ერთეულები გვხვდება ქარბად ან იშვიათად ქართველ და ეთნიკურად არაქართველ სტუდენტთა ნაწერებში.

ლიტერატურა:

- Anthony, L.** (2022). AntConc (Version 4.2.0) [Computer Software]. Tokyo, Japan: Waseda University. Available from <https://www.laurenceanthony.net/software>
- Anthony, L.** (2022). TagAnt (Version 2.0.5) [Computer Software]. Tokyo, Japan: Waseda University. Available from <https://www.laurenceanthony.net/software>
- Ädel, A. & B. Erman.** 2012. Recurrent word combinations in academic writing by native speakers and non-native speakers of English: A lexical bundles approach. *English for Specific Purposes* 31: 81-92.
- Biber, D., Johansson, S., Leech, G., Conrad, S. & Finegan, E.** 1999. *Longman Grammar of Spoken and Written English*. London: Longman.
- Brezina, V., Weill-Tessier, P., & McEnery, A.** (2021). #LancsBox v. 6.x. [software package].
- Chen, Y.-H. & P. Baker.** 2010. Lexical bundles in L1 and L2 academic writing. *Language Learning and Technology* 14 (2): 30-49.
- Cortes, V.** 2004. Lexical bundles in published and student disciplinary writing: Examples from history and biology. *English for Specific Purposes* 23, 397-323.
- H. Hasselgård.** 2015a. Learners' and native speakers' use of recurrent word combinations across disciplines. *Bergen Language and Linguistics Studies (BeLLS)* vol.6, 87-106.
- Granger, S.** 1998. Prefabricated patterns in advanced EFL writing. In In Cowie, A.P. (ed.), *Phraseology: Theory, Analysis and Applications*. Oxford: Oxford University Press, 145-160.
- Hasselgren, A.** 1994. Lexical teddy bears and advanced learners: A study into the ways Norwegian students cope with English vocabulary. *International Journal of Applied Linguistics* 4: 237-259.
- Salazar, D.** 2014. *Lexical Bundles in Native and Non-native Scientific Writing*. Amsterdam: John Benjamins.
- Phraseology in English Academic Texts of Georgian and Ethnic Minority Students (Learner Corpus-based Contrastive Analysis)

**შუა საუკუნეების იუდაურ-ქრისტიანული ნარატივი
ქართველი ერის მშენებლობის პროცესში
(XIX საუკუნის მეორე ნახევარი – XX საუკუნის დასაწყისი)**

**Medieval Judeo-Christian Narrative in the Process of Building the Georgian Nation
(Second Half of the 19th Century – Beginning of the 20th Century)**

მიხეილ მეფარიშვილი

Mikheil Meparishvili

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*

წინამდებარე ნაშრომი შეეხება იმას, თუ რატომ და როგორ მიიჩნიეს ქართველი ებრაელები ქართველი ერის მშენებელმა ინტელექტუალებმა ჩვენ ჯგუფის წევრებად; რომელმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა ამ პროცესზე და რამდენად იყო დაკავშირებული ახლად შექმნილი ნარატივი ქართველების შემწყნარებლური ბუნებისა, შუა საუკუნეების იუდაურ-ქრისტიანულ ტრადიციებთან. შევისწავლეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული პუბლიცისტური და მხატვრული ტექსტები, ამასთანავე, „ქართლის ცხოვრებისა“ და შუა საუკუნეებში შექმნილი მხატვრული ლიტერატურის ნაწილი, რათა განგვესაზღვრა ის ძირითადი ხაზები, რაც დროში ფორმით ცვალებადმა, თუმცა შინაარსით უცვლელმა ნარატივმა ქართლის/ქართველების გამორჩეულობისა განავითარა. **საკვლევი კითხვებია:**

1. როგორი იყო კულტურული მეხსიერების პოლიტიკა მე-19 საუკუნის საქართველოში ქართულ ებრაულ თემთან მიმართებით?
2. როგორ წარმოიჩინდა ქართული იდენტობის მშენებელ მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში ებრაელები?
3. რომელმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა ფაქტორებმა განაპირობა ქართველი ებრაელების მიჩნევა ჩვენ ჯგუფის წევრებად?

კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კონტენტანალიზი. თეორიულ ჩარჩოდ განსაზღვრულია ენტონი სმიტის ნაციონალიზმის თეორია, ხოლო ტექსტების ანალიზისას გამოვიყენეთ ალეიდა ასმანის კულტურული ნიმუშების კონცეფცია.

ანტისემიტური/ანტიიუდაისტური ნარატივი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ორ დეკადაში ებრაელების მიმართ არსებობდა უარყოფითი განწყობები, რომლებიც ძირითადად სისხლის ცილისწამებასა და ებრაელების ვაჭრობაში ჩართულობაზე იყო დაფუძნებული. 1870-იან წლებში ხშირად ვხვდებით ისეთ ამბებს, სადაც იკვეთება ებრაელების მიმართ რელიგიური შევიწროებისა და რიტუალების უპატივცემულობის საკითხები.¹ შალვა წინუაშვილის საქართველოში სისხლის ცილისწამების ფაქტების გაჩენას რუსეთის იმპერიის ჩინოსნებს უკავშირებს, რომელთა მიზანი მცირე ერების ერთმანეთში წაკიდება იყო (წინუაშვილი, 2001: 10-12). უდავოდ რომ მივიჩნიოთ სისხლის ცილისწამების ფაქტების რუსეთიდან შემოსვლა, ისიც ასევე უდავო ფაქტია, რომ რწმენა, თითქოს ებრაელებს

¹ ანონიმური (1875, 5 მარტი). *ღმობა*, #27, გვ.2. <https://cutt.ly/SLouLv2>

სჭირდებოდათ ქრისტიანი ბავშვის სისხლი, საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და ებრაელები სისტემურ ჩაგვრასა და დევნას განიცდიდნენ. ქეთევან კაკიტელაშვილი (2014) შენიშნავს, რომ სისხლის ცილისნამების ფაქტები თითქმის ყოველწლიურად მეორდებოდა 1876-1885 წლებში. ებრაელების მიერ ქრისტიანი ბავშვის მოტაცების თაობაზე შექმნილ საგაზეთო ცნობებში იკვეთება ორი დაპირისპირებული პოზიცია: ერთი, რომელიც ასახავს ფაქტს და ხალხის პოზიციას და მეორე – ავტორისა და გაზეთის პოზიციას, რომელშიც ებრაელების მიმართ თანაგრძობა ჩანს (193-195). სისხლის ცილისნამების საქმეებიდან აღსანიშნავია სურამის² (1877) და საჩხერის³ (1878) შემთხვევები. გლეხებს ღრმად სწამდათ, რომ ებრაელები ბავშვებს იტაცებდნენ და აწამებდნენ.⁴ გაზეთი „დროება“ ხშირად აქვეყნებდა სტატიებს, სადაც მკითხველს ახსენებდნენ, რომ ებრაელებს არ სჭირდებოდათ ქრისტიანის სისხლი და რომ ის მხოლოდ ცრურწმენაა.⁵ საჩხერის საქმეზე სერგეი მესხმა თავის წერილში მოუწოდა მოსამართლეებს, რომ მათ მიღებულ გადაწყვეტილებაზე იქნებოდა დამოკიდებული საქართველოში ებრაელების არსებობა.⁶ ილია ჭავჭავაძემ გააკრიტიკა ბრალდების მხარე, რომ 8 ადამიანის პატივი და ღირსება დააფუძნა „მგონიაობას“ და მათი ბედი „საფათერაკოდ“ გახადა, რამდენადაც გამოძიებას ნათლად უნდა აეხსნა, აქვთ თუ არა რჯულად „ზოგიერთ წყობას ურიებისას“ ქრისტიანის სისხლის დაღვრა.⁷

ანტისემიტიზმი ევროპაში 1870-1880-იან წლებში ვითარდება არა რელიგიური ანტაგონიზმის ირგვლივ, არამედ იგი გარდაიქმნება სოციალურ და ეკონომიკურ საკითხად. მოდერნული ანტისემიტიზმი თავისი არსით პოლიტიკური იდეოლოგია იყო, რომელიც არა მხოლოდ ავრცელებდა ნეგატიურ განწყობებს, არამედ თავადაც აწყობდა თავდასხმებს ებრაული თემების მიმართ (Rürup, 2012, 293). ქართველი ავტორები ცალსახად გამოდიან ანტისემიტური განწყობების წინააღმდეგ. საქართველოში სისხლის ცილისნამების ფაქტები რელიგიურ საკითხად დარჩა, რომელმაც არ შეიძინა კულტურული და სოციალური განზომილება. ქართველი ავტორები, როგორც მოდერნულობის შემომტანები, თავისთავად ეწინააღმდეგებიან არამოდერნულ და არაჰუმანურ გამოვლინებას მოდერნულობის ხანაში.

1860-1880-იან წლებში გამოქვეყნებული წერილებისა და საგაზეთო ცნობების, ხოლო 1860-1922 წლებში გამოქვეყნებული მოთხრობების უმრავლესობის სულისკვეთება ანტისემიტურ მსოფლმხედველობას იზიარებს. ებრაული თემი აღიქმება კარგად ორგანიზებულ, თვითმოქმედების მქონე ჯგუფად. პოპულარულ დისკურსში ებრაელი იყო წარმოსახული ძუნწ ვაჭრად, ვინც მაღალ პროცენტში ასესხებდა ფულს („ურიული ვალი“, „ურიის პროცენტი“) (Chikovani et al., 2018, 42). ერთი მხრივ, ებრაელები (და სომხები) ვაჭრობაში არიან ჩართული, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველები ისევ „მისწოლიან თავიანთს მამა-პაპურ გუთანსა და ურემსა“⁸ ებრაელების დევნის ფაქტები ბაზრობებზე გვხვდება, სადაც მათ უკრძალავდნენ ვაჭრობას და საქმიანობას, რითიც ებრაელი „მბრძანებლობდა“.⁹

1870-იან და 1880-იანი წლების პირველ ნახევარში ხშირად ვხვდებით ებრაელებისა და სომხების გაიგივებას, როგორც სინდისზე ხელაღებული ვაჭრების მიჩნევით, რომლებიც თავის

² N.N. დროების კორრესპონდენცია, *დროება*, #80 გვ. 2, 1878, 26 აპრილი. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/160586/1/Droeba_1878_N80.pdf

³ ანონიმური. ქუთაისის ოლქის სასამართლო, *დროება*, #49, გვ. 1-2, 1879, 6 მარტი. <https://cutt.ly/yLooxIW>

⁴ ანონიმური. ურიების საქმე, *დროება*, #54, გვ. 2-4, 1879, 11 მარტი. <https://cutt.ly/FLopaj9>

⁵ ანონიმური. ურიების საქმე, *დროება*, #63, გვ. 3, 1879, 22 მარტი. <https://cutt.ly/BLopX8Z>

⁶ მესხი, ს. (ს.მ.). *უჩიების საქმე*, *დროება*, #38, გვ. 1, 1879, 21 თებერვალი. <https://cutt.ly/5LgAIJE>

⁷ ჭავჭავაძე, ი. შინაური მიმოხილვა, *ივერია*, #3, გვ. 144, 1879, მარტი. <https://cutt.ly/vLoaRNO>

⁸ ეფემიაშვილი, ი. „დროების“ კოხხესპონდენცია“, *დროება*, #42, გვ. 1, 1867, 20 ოქტომბერი. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/152170/1/Droeba_1867_N42.pdf

⁹ ანონიმური. ფელეტონი, *დროება*, #129, გვ. 2, 1882, 23 ივნისი. <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/166608>

ძმებს ავინროებენ.^{10/11} ისტორიის ამ ეტაპზე სომეხი „პოლოსები“ და ებრაელი „ყაყოები“ ერთად მოქმედებენ. ოქროს დახარბებულნი ხშირად უსამართლო და მოქრთამული ჩინოსნებისა და ეკზეკუციის მოკავშირეებადაც გვევლინებიან.¹² ასეთი პროტაგონისტები არიან სოლომონ მეჯღანუაშვილი (ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი), ურია შამოელა და სომეხი არუთინა, ლახიბი გდებების გაჭიხვებით მოსახგებდე ხახამი გაბრიელა. მილიონერი, თუმცა „ნუნთან ახალოხში“ გამონყობილი ვაჭარი ებრაელების მიმართ მოქმედი სტერეოტიპია.¹³

1880-იანი წლების მეორე ნახევარში ებრაელები უკვე გამოეყოფიან სომხებს ვაჭრობის კუთხითაც. „დროება“¹⁴ და „ივერია“¹⁵ ებრაელებს სომხებთან შედარებით უკეთეს ვაჭრებადასახელებენ და ეს განსხვავება ანტისემიტური დამოკიდებულების უარყოფის კონტექსტშია ნახსენები. ნიკოლოზ ხიზანიშვილი,¹⁶ ზაქარია ჭიჭინაძე ებრაელებს სომხებთან აპირისპირებს (ჭიჭინაძე, 1990, 45-46). დებულება, რომ ყველანი ებრაელების მოვალენი იყვნენ, ილია პაპისიმედოვს გაკრიტიკებული აქვს, რადგანაც წვრილ მოვაჭრე ებრაელების უმრავლესობა დამოკიდებული იყო მსხვილ ვაჭრებზე და ისინიც ისეთივე „ყველფის ობიექტები იყვნენ, როგორც სხვა დანარჩენი გლეხობა“ (პაპისიმედოვი, 1945, 40).

ებრაელების ვაჭრობაში ჩართულობის საკითხი ქართველი ავტორების პოზიციებს უფრო მეტად უახლოვებს მოდერნულ ანტისემიტობას. ანტისემიტობის მხარდამჭერი სტრატა თითქმის ყოველთვის შედგებოდა მათგან, ვინც ტექნოლოგიურ-ინდუსტრიული რევოლუციითა და მზარდი კაპიტალიზმით მოტანილი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების გამო საფრთხეში გრძნობდა თავს. ებრაელები იდენტიფიცირებული იყვნენ არა მხოლოდ მთავარ მოსარგებლებად, არამედ ამ გაუარესებული მდგომარეობის გამომწვევად (Rürup, 2012, 293).

თავი II. გამორჩეულობის ნარატივი

პოპულარულ დისკურსში გავრცელებულ ანტისემიტობთან დაპირისპირების ერთგვარი პასუხია გამორჩეულობის ნარატივის შექმნა და გავრცელება. მისი ბაზისია შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ხატი ებრაელებისა. სახელმწიფოს დომინანტურ ეთნიკურ კულტურასა და ისტორიაში განსხვავებული ეთნიე, რომელიც შეძლებდა აკულტურაციას, იყვნენ მიღებული, სხვები უარყოფილი ან დაქვემდებარებულ პოზიციაში ჩაყენებული (Smith, 1987, 139). აკულტურაცია გავლილ ჯგუფს წარმოადგენდა ქართველ ებრაელთა თემი. ქეთევან კაკიტელაშვილი შენიშნავს (2014), რომ 1880-იანი წლებიდან სისხლის ცილისნამების შემთხვევების გაშუქებისას აღარ ჩანს ხალხის უარყოფითი განწყობები და მას ცვლის ინფორმაცია, რომ ხალხი არ აღელვებულა ქრისტიანი ბავშვის დაკარგვის გამო. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ანტისემიტური განწყობების არსებობა ეწინააღმდეგებოდა უკვე იმ დროისათვის დამკვიდრებულ შეხედულებას ქართველთა ტოლერანტობის შესახებ. 1880-იანი წლებიდან ჩნდება საგაზეთო პუბლიკაციები, სადაც „ქართველი ებრაელის“ ცნების შემოტანით ხაზი ესმება საქართველოში მათი ცხოვრების ფაქტს, ხოლო „ქართველი ებრაელის“ და „ქართველი ისრაელის“ ცნებები მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ მკვიდრდება (გვ. 201-201).

¹⁰ ანონიმური. დროება, #31, გვ. 3, 1881, 28 თებერვალი. <https://cutt.ly/vLofvWA>

¹¹ დროებითი აბასთუმნელი. კოხხესპონდენცია აბასთუმნიდან, *ღიოება*, #439, გვ. 3, 1874, 6 სექტემბერი. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/227190/1/Droeba_1874_N439.pdf

¹² იაშვილი, პ. (პაოლ). *სიმღეხა მიხეიდ მოშიაშვილისა, მათხახი*, #1, გვ. 9, 1916, 10 აპრილი. <https://cutt.ly/8Logy4i>

¹³ თუმანოვი, დ. „*ღიოების კოხხესპონდენცია*“, *ღიოება*, #417, გვ. 2, 1874, 29 მარტი. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/226833/1/Droeba_1874_N417.pdf

¹⁴ ანონიმური. სურამიდამ, *ღიოება*, #194, გვ. 3, 1885, 10 სექტემბერი. <https://cutt.ly/MLoQICI>

¹⁵ მგალობლიშვილი, ს. *ფედერონი (მგზავის შენიშვნები)*, *ივერია*, #200, გვ. 1, 1888, 24 სექტემბერი. <https://cutt.ly/WLoQjDA>

¹⁶ ხიზანიშვილი, ნ. (plebs). ჩვენებური ებრაელობა, *ივერია*, #141, გვ. 2, 1902, 6 ივლისი. <https://cutt.ly/DLomJsC>

საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის წერილი (1877) „ოსმალის საქართველო“, სადაც ავტორი ახლად შემოერთებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ პროვინციებში მცხოვრებ ქართველ მუსლიმებს ქართველი ერის ნაწილად მიიჩნევს, რადგანაც ილიას არ ადარდება „სარწმუნოების სხვადასხვაობა“ (გვ. 3). იაკობ გოგებაშვილის განმარტებით (1990), ებრაელებს საქართველოში მყუდრო ცხოვრება ჰქონდათ (გვ. 404). ზაქარია ჭიჭინაძეს (1990) სწამს, რომ ქართველ ებრაელებს ბაგრატიონები მფარველობდნენ, რითიც ებრაელები ცილისწამებისა და დევნისაგან თავისუფლდებოდნენ (გვ. 21-22). ილია ფერაძე (ცნობის ფურცელი, 1899, 2-3), თედო ჟორდანიას (ივერია, 1892, 2), პოლიევქტოს კარბელაშვილი (ივერია, 1891, 2) ქართველ ებრაელებს მიანერენ ქართლის სამეფოს ქრისტიანობასთან დაახლოვებას: მონოთეიზმის შესახებ ცოდნისა და ქრისტეს კვართის შემოტანას. ისტორიულ ტექსტში დაცული ცნობები ებრაელების შესახებ მე-19 საუკუნეში ინტელექტუალებმა კოლექტიური მეხსიერების ნაწილად აქციეს. ავტორებმა ყურადღება „მოქცევაი ქართლისაის“ იმ ვერსიას მიაპყრეს, რომლის მიხედვითაც ებრაელები ქრისტეს ჯვარცმამი არ მონაწილეობენ და არა „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, რომლის მიხედვითაც ელიოზმა მხარი დაუჭირა ქრისტეს ჯვარცმას (ყაუხჩიშვილი, 1955, 37). ბურჟუაზიამ და ინტელიგენციამ შეინარჩუნეს და გამოიყენეს მანამდე არსებული ტერიტორიული და პოლიტიკური გაერთიანებები საკუთარი მიზნებისთვის. ღმერთის როლი და ეკლესიის ავტორიტეტი ჩაანაცვლა სახელმწიფომ (Smith, 1987, 132). მე-19 საუკუნეში ქართველმა ინტელექტუალებმა, „მოდერნულმა ელიტამ“ პრემოდერნული ელიტის, ბაგრატიონების, გამორჩეულობის ნარატივი განავრცეს მთელს ერზე იმის მტკიცებულებად, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ბუნებითი შემწყნარებლობის გამო ანტისემიტიზმი არ განვითარებულა.

1880-იანი წლებიდან პრესაში ჩნდება 26-საუკუნოვანი თანაცხოვრებაზე შექმნილი ნარატივები, რომლებიც ასახავენ რედაქციის თუ ავტორის პოზიციას სისხლის ცილისწამების საქმეებზე გამომხატურებისას. სოფელ ჯალაურთაში ქრისტიანი ბავშვის დაკარგვის და დაღუპვის ამბის გამო დაწერილ კორესპონდენციაში გაზეთ „დროების“ 166-ე ნომერში წერია: „ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ჩვენმა ხალხმა, რომელსაც ოცდა-ექვსი საუკუნის განმავლობაში მყუდრო და მშვიდი განწყობილება ჰქონია ურიებთან, მიბაძოს სხვებს (აღნიშვნა ჩემია – მ.მ.)“ (დროება, 1884, 166, 3).¹⁷ 26-საუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრების ნარატივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ავტორები არიან გრიგოლ ვოლსკი, ანტონ ფურცელაძე,¹⁸ ილია ბახტაძე,¹⁹ ნიკო ხიზანიშვილი.²⁰ ამავდროულად, ისინი წერდნენ დასავლეთ ევროპის გამოცდილებაზე, ებრაელებისთვის თანასწორი უფლებების მინიჭებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მნიშვნელობაზე. წარსულისა და დასავლეთ ევროპის გამოცდილების გაერთიანებით დაუპირისპირდნენ საქართველოში მოქმედ დისკრიმინაციულ კანონმდებლობას, რომელიც ქართველმა ავტორებმა რუსულ ადმინისტრაციას დაუკავშირეს. ამ საკითხებზე მოსაუბრე ავტორებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ ილია ჭავჭავაძე,²¹ ნიკო ნიკოლაძე,²² სერგეი მესხი.²³ რუსეთის შავრამბელების მიმართ კრიტიკა განსაკუთრებით მწვავე ხდება ე.წ. ბეილისის პროცესის დროს მე-20 საუკუნის დასაწყისში. გრიგოლ ფარქოსაძე ქართველებისა და ებრაელების მშვიდობიან და მეგობრულ თანაცხოვრებას იყენებს იმის მაგალითად, რომ საქართველო რუსეთზე უფრო მაღლა დგას.²⁴ რუსეთის კრიტიკად უნდა მივიღოთ გოგებაშვილის

¹⁷ ა.ა. *ღმობის კოჩესპონდენცია ქუთაისიდან*, *ღმობა*, #166, გვ. 3, 1884, 24 მარტი. <https://cutt.ly/8Lod1Hs>

¹⁸ ფურცელაძე, ა. *გფილისი*, *12 ნომბეხი*, *ივერია*, #246, გვ. 1, 1895, 12 ნომბეხი. <https://cutt.ly/NLocLQV>

¹⁹ ბახტაძე, ი. (ხონელი). *ფედეგონი*, *ივერია*, #198, გვ. 2, 1886, 14 სექტემბერი. <https://cutt.ly/gLocPDK>

²⁰ იქვე, გვ. 3.

²¹ ივერია. #3, გვ. 149, 1879. <https://cutt.ly/vLoaRNO>

²² ნიკოლაძე, ნ. (სკანდელი). *უჩების მდგომარეობა საქართველოში*, *ღმობა*, #32, გვ. 3, 1871, 18 აგვისტო. <https://cutt.ly/eLhcYg6>

²³ მესხი, ს. *ებრაელების შესახებ*, *ღმობა*, #9, გვ. 1, 1875, 19 იანვარი. <https://cutt.ly/JLhc1fR>

²⁴ იქვე, გვ. 1-2.

სიტყვები, რომ ახლანდელმა გარემოებებმა საქართველო ჩამორჩენის გზაზე დააყენა, მაშინ, როცა წარსულში „ჩვენცა ვრეულვართ ერთა დასში (გოგებაშვილი, 1892, 21-22).

დასკვნა

ინტელექტუალებმა ეთნიკს და მასთან დაკავშირებული მითების (მათ შორის, ქართველ ებრაელებთან საერთო წარსულის შესახებ) საფუძველზე ერის შექმნა გაიაზრეს გარდაქმნისა და „ალორძინების“ პროცესად, რითიც დაძლიეს რუსეთიდან „იმპორტირებული“ პოგრომები, როგორც რღვევის ან დაქვემდებარების მდგომარეობა (Smith, 1987: 17). კოლექტიური თვითობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც საზიარო უნდა ყოფილიყო ქართველებისთვის და რაც მართლაც გახდა მემკვიდრეობითი სიმბოლოებისა და მითოლოგიების საგანი (Smith, 1987: 14), ისტორიული შემწყნარებლობა აღმოჩნდა.

მე-19 საუკუნის ავტორებმა გამოიყენეს კულტურული ნიმუშები, რომლებიც წარსულში მოქმედებდნენ. ასმანისეული „რეზონანსი“ შეესაბამება წარსულში უკვე დამკვიდრებულ თხრობის მანერას, რომელიც ჩამოყალიბდა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში, ხოლო „გავლენა“ (ემოციის მატრავშირებელი ძალა) შეესაბამება, ერთი მხრივ, ებრაელების, როგორც ქართული ოჯახებისადმი მტრულად განწყობილი ვაჭრების ჯგუფად მიჩნევას და, მეორე მხრივ, გახშირებულ პოგრომებს, რომელიც ანადგურებდა რეზონანსის იმ თარგებს, რომლებიც ქართველებს წარმოაჩენდა ცივილიზაციის ნაწილად, ე. ი. შემწყნარებელ ერად (Assmann, 2015: 44). ახალი იმპულსები დანგრევით ემუქრებოდნენ მანამდე არსებულ მოდელებს. მოდელები „ირაზმებიან“ ახალი ცხელი წერტილის დასაშოშმინებლად (Assmann, 2015: 46). იქმნება ქართველების ტოლერანტულობისა და 26-საუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრების ნარატივები (Assmann, 2015: 63).

გამორჩეულობის იდეა იყო კულტურული თარგი, რომელმაც მე-19 საუკუნეში განიცადა ტრანსფორმაცია და ჩამოყალიბდა ბუნებითი შემწყნარებლობის ნარატივის სახით. კულტურული თარგი გამორჩეულობისა შუა საუკუნეებში დაუკავშირდა მცხეთელ ებრაელებს, რომლებიც შუა საუკუნეების ტექსტების მიხედვით, მონაწილეობდნენ ქართლის სამეფოსთვის გამორჩეულობის დამკვიდრებაში. ამით უნდა აიხსნას ის, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში, საწყის ეტაპზე, ებრაელები წარმოჩენილი არიან დაუნდობელ „ჩარჩ-ვაჭრებად“, რომლებიც ქრისტიანების ყვლეფის და ნვალების საპასუხოდ პოგრომებსა და სისხლის ცილისწამების ბრალდებებს იღებენ. პოპულარულ დისკურსში გავრცელებულ ანტისემიტიზმს დაუპირისპირდა ინტელექტუალური დისკურსი და შედეგად, მე-19 საუკუნეში არ განვითარდა მოდერნული ანტისემიტიზმი, არამედ გვხვდება რელიგიურ და სოციალურ ბაზისზე დაფუძნებული მტრული განწყობა და მოქმედება ებრაელების მიმართ, რომელმაც არ მიიღო პოლიტიკური დატვირთვა. მართალია, ამ მცდელობებმა დაივიწყეს და მიჩქმალეს ანტისემიტიური პოგრომები და ებრაელების დევნა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ უფრო ორგანიზებულ და ბევრად საშიშ მოდერნულ, პოლიტიკურ ანტისემიტიზმს საქართველოში გასაქანი არ მიეცა.

დღეს კვლავაც ცოცხლობს 26-საუკუნოვანი თანაცხოვრების მეხსიერება.²⁵ ქართულ-ებრაული მეგობრობის თაობაზე შექმნილი ტექსტები მოგვითხრობენ ამ გამოცდილების უნიკალურობაზე და მისიმსოფლიოსთვის გაცნობის სურვილის სახავენი მისწინად. ანტისემიტიური შემთხვევები^{26,27,28} ცალკეულ

²⁵ საქართველოს მთავრობა. *ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი უხიოხობის გხადიცას ახამაგხიადუხი კუღუხუდი მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა*. 2018, 4 ნოემბერი. <https://cutt.ly/IKW8msl> (ნანახია 06.06.2022).

²⁶ იდენტობა. „*აი ანთო, აია!*“ – შეძახილები მახგვედაშვილის მისამახითო. 2013, 8 დეკემბერი. <https://cutt.ly/pKW8t4t> (ნანახია 24.05.2022)

²⁷ *გორეხანგობისა და მხავადეფიოვნების ინსტიტუტი*. საეკლესიო ანტისემიტიზმი – შეფასებები და შეჯამება. 2021, 5 იანვარი. <https://cutt.ly/DKW8qNq> (ნანახია 24.06.2022)

²⁸ სივიდ.ჯი. *ბათუმში ებრაული სასაფდო შეუხაცხყვეს*. 2008, 1 მაისი. <https://civil.ge/ka/archives/143443> (ნანახია

გამოვლინებადაა მიჩნეული 26-საუკუნოვანი თანაცხოვრების ნარატივის ფონზე. ქართველების ბუნებითი შემწყნარებლობის ცნება ემყარება ნორმატივებს, რომელიც ნაკლებად ანალიტიკურია. ტოლერანტობისა და 26 საუკუნოვანი თანაცხოვრების ნარატივები ისხლეთს ყველა მცდელობას საკუთარი თვითგანსაზღვრის კრიტიკული გადაფასებისა. ქართველების შემწყნარებლური დამოკიდებულება განიხილება, როგორც მორალური მაქსიმა, ქმედება, რომლისგან განსხვავებულად მოქცევაც წარმოუდგენელია, მაშინ, როდესაც, 26-საუკუნოვანი თანაცხოვრების ნარატივი არის არა უპირობო, არამედ კარგი საქციელი, რომელსაც ჰქონდა მოტივი. ეს მოტივი კი საკუთარი თავის ჰუმანურობისა და შემწყნარებლობის მტკიცებას წარმოადგენდა, რომელიც გამორჩეულობის კულტურული ნიმუშით იყო ნაკარნახევი. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი დისკუსია დაგვაფიქრებს იმ კულტურული მოდელების შესახებ, რომლითაც ვაგებთ ჩვენს იდენტობას და თვითრეპრეზენტაციას ვენევით. 26-საუკუნოვანი თანაცხოვრებისა და ტოლერანტულობის ნარატივები გვასწავლის, რომ, ერთი მხრივ, შეგვიძლია გარიყულად მონიშნული ჯგუფი ვდევნოთ და, ამავდროულად, ვაქციოთ ჩვენი ჯგუფის ნაწილად, მეორე მხრივ კი, მათი მტკივნეული გამოცდილებები იდენტობის მაკონსტრუირებელ ნარატივს დაუქვემდებაროთ და დავივიწყოთ.

ლიტერატურა:

სამეცნიერო ლიტერატურა:

- თაყაიშვილი, ე.** (რედ.). (1891). ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, სტამბა ი. ა. მანსვეტოვისა.
- წულაძე, ლ.** (2020). სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- კრიხელი, ა.** (რედ.). (1945). სსიპ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები, III ტომი, თბილისი საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გამომცემლობა.
- პაპისიმედოვი, ი.** (1945). საქართველოს ებრაელთა აღებ-მცემის ისტორიისთვის. კრებულში ა. კრიხელი (რედ.), საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 3, გვ. 9-84.
- ყაუხჩიშვილი, ს.** (რედ.). (1955). ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბილისი: სახელგამი.
- ჩიქოვანი, ნ., ჩხაიძე, ი., მაცაბერიძე, დ., წერეთელი, ი., კაკიტელაშვილი, ქ.** (2014). იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918).
- წინუაშვილი, შ.** (2001). „ადრიათ დამ – სისხლის შაჩი“ ცივისწამებაა, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Smith, A. D.** (1987). *The Ethnic Origins of Nation*. Blackwell Publishing.
- Assman, A.** (2015). Impact and Resonance: Towards a Theory of Emotions in Cultural Memory. In: STORDALEN, Terje, ed., Saphinaz-Amal NAGUIB, ed.. *The formative past and the formation of the future : collective remembering and identity formation*. Oslo:Novus Press (41-70).
- ben-Oren, G.** (1992). The history of the Jews of Georgia until the Communist Regime. In: Rachel Arbel, Lili Magal (Eds), In *The Land of the Golden Fleece. The Jews of Georgia – History and Culture*. Beith Hatefutsoth and Ministry of Defence Publishing House (37-61).
- Chikovani, N., Pirtskhalava, N., Kakitelashvili, K.** (2018). Jewish Identity in Georgia in Light of the European Cultural-Political Tradition at the Turn of the Twentieth Century. *Frankfurter Judaistische Beiträge*, 42.
- Rürup, R.** (2012). Anti-Jewish Prejudices, Antisemitic Ideologies, Open Violence: Antisemitism in European Comparison from the 1870s to the First World War. A Commentary. *Quest. Issues in Contemporary Jewish History. Journal of Fondazione CDEC*, 3(6), 289-301. www.quest-cdecjournal.it/focus.php?id=305

მხატვრული ლიტერატურა:

- არდაზიანი, ლ. თხზულებანი, საბჭოთა საქართველო, 1964.
- ბატონიშვილი, ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941.
- გოგებაშვილი, ი. თავდადებულნი ქართველნი: ისტორიული მოთხრობანი, განათლება, 1990. <https://cutt.ly/KLuqWGN>
- გოგებაშვილი, ი. რანი ვიყავით გუშინ? წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის სტამბა, 189). <https://cutt.ly/FLuro6i>
- გოგებაშვილი, ი. რჩეული ნაწერები 4 ტომად, ტ. 2, სახელგამი, 1990.
- ევდოშვილი, ი. თხზულებანი, ტ. 3, ფედერაცია, 1937. https://catalog.nplg.gov.ge/record=b1395983-S1*geo
- თვარაძე, რ. (რედ.). ქართული მწერლობა 40 ტომად, ტ. 1, 1987, თბილისი: ნაკადული.
- თვარაძე, რ. (რედ.). (1987). ქართული მწერლობა 40 ტომად, ტ. 2, ნაკადული.
- ლომოური, ნ. (1959) მოთხრობები, ცოდნა.
- ნიკოლეიშვილი, ა. (2008). ებრაული თემა ქართულ მწერლობაში, საგამომცემლო ცენტრი.
- ტაბიძე, ტ. (1985). ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, მერანი.
- ფურცელაძე, ა. (1903). ასული ისრაელისა, ზ.ჭიჭინაძის გამომცემა. <https://cutt.ly/vLuqgAu>
- ფურცელაძე, ა. (1897). ლექსები ანტონ ფურცელაძისა, გრ. ჩარკვიანის და მ. ამირიძის გამომცემა. <https://cutt.ly/6Luqm70>
- ფურცელაძე, ა. (1951). რჩეული ნაწერები, სახელმწიფო გამომცემლობა.
- შენგელაია, დემნა. სანავაჩხო, მნათობი, #1, გვ. 1-37, 1924. <https://cutt.ly/dLutYgj>
- შენგელაია, დემნა. სანავაჩხო, მნათობი, #2, გვ. 17-52, 1924. <https://cutt.ly/cLutPoV>
- შენგელაია, დემნა. სანავაჩხო. მნათობი, #3, გვ. 33-68, 1924. <https://cutt.ly/cLut9Rl>
- წერეთელი, ა. დავითის გვირგვინი, 2013, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- წერეთელი, ა. თხზულებათა სხუდი კხებუდი 15 ტომად, ტ. 1, 19). 50, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.
- წერეთელი, ა. თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. 2, 1950, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.
- წერეთელი, ა. თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. 3, 1954, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.
- წერეთელი, ა. თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. 14, 1961, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. <https://cutt.ly/3LuqCtW>
- წერეთელი, გ. პირველი ნაბიჯი; რუხი მგელი; ჩვენი ცხოვრების ყვავილი, 1991, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჭიჭინაძე, ზ. ქართველი ებრაელები საქართველოში, 1990, „მეცნიერება“.
- ჭიჭინაძე, ზ. ჭონის შაგირდი, 1927, გამომცემლობა ა. შახბარათოვისა.
- ხუნდაძე, რ. ლექსები, წიგნაკი პირველი, 1905., ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა.

საგაზეთო პუბლიკაციები:

- ავალიშვილი, ნ. (1912, 18 ოქტომბერი). ებრაელთა და სომეხთა მიმართ, იმეხეთი. <https://cutt.ly/oLuuN4j>
- აკოფოვი, ა. (1882, 25 ივლისი). ჩვენებუხს უხიებზედ, ძხოება. <https://cutt.ly/bLuu7u7>
- ალხაზიშვილი, ი. (1877, 27 აპრილი). 4 აპრილის ამბავი სურამში, ძხოება. <https://cutt.ly/4LoicGA>
- ბახტაძე, ი. (ხონელი). (1886, 14 სექტემბერი). ფედერონი, ივერია. <https://cutt.ly/gLocPDK>
- ბებრიძე. (1898, 1; 8; 22; 15; თებერვალი; 1 მარტი). რა მოუვა სოსიკას, კვადი. <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/328881>

გამსახურდია, კ. მგზავის შთაბეჭდილებანი, წეხილები გეჰმანიიდან, იმეხეთი. 1913, 5 ივლისი. <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/118399>

გომართელი, ი. (ი. გ-რი.). კიიგიკუდი შენიშვნა, კვადი. 1896, 1 სექტემბერი. <https://cutt.ly/YLomu4C>

ეფემიაშვილი, ი. „დროების“ კორრესპონდენცია, გხოება, 1867, 20 ოქტომბერი. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/152170>

დროება. 1867, #42.

დროება. 1868, #43.

დროება. 1870, #23.

დროება. 1871, #20. <https://cutt.ly/eLodEwH>

დროება. 1871, #32. <https://cutt.ly/eLhcYg6>

დროება. 1874, #439.

დროება. 1875, #2. <https://cutt.ly/rLou6t3>

დროება. 1875 #9. <https://cutt.ly/ELgFIMm>

დროება. 1875, #27. <https://cutt.ly/SLouLv2>

დროება. 1875. #86. <https://cutt.ly/LLgFg1V>

დროება. 1875, #99. <https://cutt.ly/eLob2Do>

დროება. 1876, #28. <https://cutt.ly/OLoist5>

დროება. 1877, #38. <https://cutt.ly/6LoiSDh>

დროება. 1877, #40. <https://cutt.ly/VLoiXp2>

დროება. 1877, #59. <https://cutt.ly/qLoi338>

დროება. 1878, #80. <https://cutt.ly/WLgPfEg>

დროება. 1878, #101. <https://cutt.ly/YLgSs8V>

დროება. 1878, #108. <https://cutt.ly/ULooro2>

დროება. 1879, #49. <https://cutt.ly/yLooxlW>

დროება. 1879, #50. <https://cutt.ly/LLooQys>

დროება. 1879, #51. <https://cutt.ly/6LooK17>

დროება. 1879, #54. <https://cutt.ly/FLopaj9>

დროება. 1879, #55. <https://cutt.ly/vLopkN1>

დროება. 1879, #56. <https://cutt.ly/iLopQXM>

დროება. 1879, #58. <https://cutt.ly/SLopPd2>

დროება. 1879, #61. <https://cutt.ly/6LoaSvp>

დროება. 1879, #63. <https://cutt.ly/BLopX8Z>

დროება. 1879, #64. <https://cutt.ly/HLocz1J>

დროება. 1879, #136. <https://cutt.ly/mLoa89i>

დროება. 1881, #4. <https://cutt.ly/PLogDOn>

დროება. 1881, #8. <https://cutt.ly/HLogV7J>

დროება. 1881, #16. <https://cutt.ly/vLog9Qu>

დროება. 1881, #24. <https://cutt.ly/zLohwDy>

დროება. 1881, #31. <https://cutt.ly/vLofvWA>

დროება. 1881, #46. <https://cutt.ly/ZLohUi>

დროება. 1881, #165.

დროება. 1881 #93. <https://cutt.ly/xLgMHBs>

დროება. 1882, #129. <https://cutt.ly/sLosdp9>

დროება, 1883, #153. <https://cutt.ly/eLgDijt>

დროება. 1883, #195. <https://cutt.ly/ELoszXu>

დროება. 1884, #66. <https://cutt.ly/8Lod1Hs>

დროება. 1884 #166. <https://cutt.ly/pLoveUa>

- დროება. 1885, #194 <https://cutt.ly/MLoQICl>
- ევდოშილი, ი.** *ტიხილი ებხაელებისა, სახადხო ფუხცედი, სუხათებიანი დამაგება*, 1915, 15 მარტი. <https://cutt.ly/zLojaL4>
- ერისთავი, ზ.** (1860). ქუთაისის იარმურკა, ცისკაჰი, #1., 131-138. <https://cutt.ly/LLuumnQ>
- ვოლსკი, გ.** (უმნიფარიძე). (1883, 21 სექტემბერი). *ებხაელების საქმე ჩვენში, დროება*. <https://cutt.ly/NLoxPxZ>
- თუმანოვი, დ.** (1874, 29 მარტი). *დროების კოხხესპონდენცია, დროება*. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/226833>
- იაშვილი, პ.** (პაოლო). (1916, 10 აპრილი). *სიმღეხა მიხეიდ მოშიაშვიდისა, მათხაბი*. <https://cutt.ly/8Logy4i>
- ივერია. 1877, # 9. <https://cutt.ly/GLofMlj>
- ივერია. 1878, #27. <https://cutt.ly/KLoaxjr>
- ივერია. 1878 #37. <https://cutt.ly/BLonkDi>
- ივერია. 1879, #3. <https://cutt.ly/vLoaRN0>
- ივერია. 1895, #246. <https://cutt.ly/9Los00A>
- იმერეთი. 1912. #17. <https://cutt.ly/pLohX2C>
- იმერეთი. 1912 #6. <https://cutt.ly/YLoh0xq>
- კაკაბაძე, ვ.** (1913, 12 სექტემბერი). *ებხაელებზე, იმეხეთი*. <https://cutt.ly/CLokrfk>
- კარბელაშვილი, პ.** (პ. ცხვილოელი). (1891, 16 თებერვალი). *საქართველო და მისი ისტორიული წარსული, ივერია*. <https://cutt.ly/ELovWYN>
- კარბელაშვილი, პ.** (პ. ცხვილოელი). (1891, 17 თებერვალი). *საქართველო და მისი ისტორიული წახსუდი, ივერია*. <https://cutt.ly/bLovcr3>
- ლორთქიფანიძე, ნ.** (1912, 5 ოქტომბერი). *სიკვდილის წამალი, იმეხეთი*. <https://cutt.ly/CLoj3P3>
- მესხი, დ.** (1913, 13 ოქტომბერი). *ფიქთა მოხევეში, იმეხეთი*, 1913. <https://cutt.ly/ULoz5Jx>
- მესხი, ს.** (1875, 19 იანვარი). *ებხაელების შესახებ, დროება*. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/156881>
- მესხი, ს.** (ს.მ.). (1879, 29 ივნისი). *უხიების დევნა იმეხეთში, დროება*. <https://cutt.ly/NLuioOz>
- მესხი, ს.** (ს.მ.). (1879, 21 თებერვალი). *უხიების საქმე, დროება*. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/162342>
- მგალობლიშვილი, ს.** (1888, 24 სექტემბერი). *ფედეგონი (მგზავის შენიშვნები), ივერია*. <https://cutt.ly/WLoQjDA>
- ნიკოლაიშვილი, ი.** (1895). *ხას მეჩხით, მეც ადამიანი ვახ, მოამბე, #3, 1-14*. <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/155549>
- ნიკოლაძე, ნ.** (სკანდელი). (1871, 18 აგვისტო). *უხიების მდგომარეობა საქართველოში, დროება*. <https://cutt.ly/YLox99N>
- ჟორდანი, თ.** (-ეგრი-). (1892, 14 იანვარი). *გაგანიდია თუ ახა ჩვენის ქვეყნიდამ უმთავრესი სიწმიდე საქართველოსი, კვათი უფდისა, ივერია*. <https://cutt.ly/2Lov9zV>
- რაზიკაშვილი, თ.** (1893, 21 მარტი). *მოსეს სიკვდილი, კვადი*. <https://cutt.ly/cLojEKe>
- ფარქოსაძე, გ.** (იმერი). (1913, 4 ოქტომბერი). *სამახცხვინო დაქა, იმეხეთი*. <https://cutt.ly/yLohD1W>
- ფარქოსაძე, გ.** (იმერი). (1913, 11 სექტემბერი). *ეხთი ადგილიც, იმეხეთი*. <https://cutt.ly/wLohQzy>
- ფერაძე, ი.** (1899, 14 თებერვალი). *პიხვედი ქადაგება ქრისტიანობისა საქართველოში, ცნობის ფუხცედი*. <https://cutt.ly/cLobpDd>
- ფურცელაძე, ა.** (1895, 12 ნოემბერი). *გფიდისი, 12 ნოემბეხი, ივერია*. <https://cutt.ly/NLocLQV>
- შანშიაშვილი, ს.** (ა. შ-ლი). (1908). *მოსე, ნიშადუხი, 7-8* <https://cutt.ly/NLozRZR>
- ჭავჭავაძე, ი.** (1877, 28 აპრილი). *ოსმადოს საქართველო, ივერია*. <https://cutt.ly/qLuuxqF>
- ჭავჭავაძე, ი.** (1881). *უხიების ბედი, ივერია, #6, 138-156*. <https://cutt.ly/7Lon19G>
- ჯავახიშვილი, მ.** (1906, 11 ივნისი). *ხუსეთის ცხოვრებდან, ივერია*. <https://cutt.ly/pLoxgVO>
- წერეთელი, ა.** (აკაკი). (1895, 19 ნოემბერი). *საჭიხო პასუხი, კვადი*. <https://cutt.ly/PLuyAsV>
- წერეთელი, ა.** (1897). *ქახთუდი ფუდის თავგადასავადი, აკაკის თვიუხი კხებუდი, #3, გვ. 21-40*. <https://cutt.ly/qLuyL1X>

- წერეთელი, ა. (1871, 12 აგვისტო). ცხედ-ცხედი ამბები, *ღიგობა*. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/154476>
- წერეთელი, ა. (1897). სიტყვის ბანზე აგდება, *აკაკის თვიური კრებული*, #3, გვ. 13-20. <https://cutt.ly/qLuyL1X>
- წერეთელი, ა. (1858). *ხტო პადესტინისა, ცისკაჲი*, #11. 1858, ნოემბერი, გვ. 197. <https://cutt.ly/uLueS1d>
- წერეთელი, გ. (1897, 16, 23. 30 ნოემბერი). ათი მცნება, *კვადი*. <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/342019>
- სიზანიშვილი, ნ. (პლებს). (1902, 6 ივლისი). *ჩვენებური ებჲაედობა, ივეჲია*. <https://cutt.ly/DLomJsC>
- წერეთელი, ვ. (ურო). (1912, 9 ოქტომბერი). *სომხებისა და ებჲაედების ეჲთობა სოციადემოკრატისთან, იმეჲეთი*. <https://cutt.ly/gLuymPf>
- ხუნდაძე, რ. (1895). *მდინაჲესა ზედა ბაბიღონისათა, მწყემსი*, 1895 #3-4, გვ. 10. <https://cutt.ly/mLuuZx3>

ციფრული წყაროები:

- იდენტობა. (2013, 8 დეკემბერი). „აჲ აანთო, აჲა!“ – *შედახილები მაჲგვედაშვიდის მისამაჲითი*. <https://cutt.ly/pKW8t4t>
- სივიდ.ჯი. (2008, 1 მაისი). ბათუმში ებჲაუდი სასაფდაო შეუჲაცყვეს. <https://civil.ge/ka/archives/143443>
- გოდეჲანგობისა და მაჲვადეჲოვნების ინსტიტუტი. (2021, 5 იანვარი). საეკლესიო ანტისემიტიზმი – შეფასებები და შეჯამება. <https://cutt.ly/DKW8qNq>
- რადიო თავისუფლება. (2019, 8 მაისი). საქაჲთვედოში დაკანონდა ღვთისმშობლის წიღებვდომიღობა. <https://cutt.ly/SKW8W25>
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე. (1997, 12 მარტი). *პეზიდენტის ბჲდანებუდება საქაჲთვედოში ებჲაედთა დამკვიდრების ოცდაეჲვსსაუკუნოვანი თაჲილის აღნიშვნის შესაბებ*. <https://cutt.ly/FKW8cKS>
- საქართველოს მთავრობა. (2018, 4 ნოემბერი). *ქაჲთუდ-ებჲაუდი 26-საუკუნოვანი უჲთიეჲთობის გჲადიციას აჲამაგეჲიადუჲი კუდგუჲუდი მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა*. <https://cutt.ly/IKW8msl>

არისტოფანეს „ლისისტრატეს“ ტრანსკოდირების ძირითადი ხერხები სპაიკ ლის ფილმში „ჩი-რაკი“

The Basic Ways of Transcoding Aristophanes' *Lysistrata* in Spike Lee's Movie "Chi-Raq"

ნანა მუქერია

Nana Mukeria

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

შესავალი

არაერთი მხატვრული ფილმი არსებობს, რომელიც ეფუძნება ანტიკური დრამის, განსაკუთრებით კი ბერძნული ტრაგედიის სიუჟეტს. როგორც წესი, რეჟისორებს ხიბლავთ მხატვრულად ინტერპრეტირებული უნივერსალური მითოსური პარადიგმები, რომლებსაც ის ვიზუალური გამომსახველობა თუ მსოფლმხედველობრივი ასპექტები შესძინეს, რაც მათ სოციო-პოლიტიკურ კონტექსტსა თუ ესთეტიკურ ხედვას შეესაბამებოდა. ანტიკურ კომედიას, რომელიც მეტწილად მოკლებულია მითოსურ საფუძველს და ძირითადად მიმართულია თანადროული პრობლემების მხილებისაკენ, ერთი შეხედვით, თითქოს ნაკლებად უნდა რგებოდა თანამედროვე კინოხელოვანთა ყურადღება, თუმცა არისტოფანეს კომედიები, მათი მარად აქტუალური თემატიკით და დინამური სიუჟეტებით, კარგად მოერგნენ კინემატოგრაფიულ შესაძლებლობებსა და გამომსახველობით ხერხებს. ამ თვალსაზრისით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული ე.წ. „გენდერული რევოლუციის“ (England, 2010) კვალდაკვალ, განსაკუთრებით პოპულარული გახდა არისტოფანეს კომედია „ლისისტრატე“, რომლის ეკრანიზაციის არაერთი მაგალითი არსებობს. მაგალითად: მარჩელო პალიეროს „ბედისწერის ქალიშვილები“ („Daughters of Destiny“ by Marcello Pagliero; 1954), ჯორჯ მარშალის „მეორე უდიდესი სქესი“ („The Second Greatest Sex“ by George Marshall; 1955), მაი ცეტერლინგის „გოგონები“ („The Girls“ by Mai Zetterling; 1968), ფრანსუეზ ბელმუნის „ლისისტრატა“ („Lysistrata“ by Francesc Bellmunt; 2002;) რიჩარდ უილიამსის „პროლოგი“ („Prologue“ by Richard Williams; 2015).

უკანასკნელ ხანებში გადაღებულ ფილმებს შორის უდავოდ გამოირჩევა ამერიკელი რეჟისორის, სპაიკ ლის 2015 წლის ფილმი „ჩი-რაკი“ (Chi-Raq, 2015), რომელმაც სკანდალური ხასიათით მაშინვე მიიპყრო მაყურებელთა და კინოკრიტიკოსთა ყურადღება. ფილმში თავიდანვე მითითებულია, რომ მისი სიუჟეტი არისტოფანეს „ლისისტრატეს“ ეფუძნება და ფილმის მთავარ გმირსაც სწორედ ამიტომ, არისტოფანეს კომედიის მსგავსად, ლისისტრატა ჰქვია.

სპაიკ ლის ეს მუსიკალური ფილმი, რეჰისა და ჰიპ-ჰოპის თანხლებით, სატირულ ჟრილში წარმოაჩენს მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებს, როგორცაა კრიმინალური იდეოლოგია და ძალადობა, რომელიც ბატონობს ბანდიტური წარსულითა და დღევანდელი ცნობილ ქალაქ ჩიკაგოში. მსგავსად არისტოფანეს „ლისისტრატეს“ პროტაგონისტისა, რომელიც ცდილობს, დაასრულოს სისხლისღვრა ათენსა და სპარტას შორის, „ჩი-რაკის“ მთავარ გმირს, ლისიტრატას სურს, შეაჩეროს უაზრო ძალადობა, რომელიც შეიარაღებული დაჯგუფებების სისხლიანი შეტაკებების გამო ყოველდღიურად სპობს უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლეს მის ქალაქში. სპაიკ ლის ფილმი არის სატირა, რომლის ძირითადი სათქმელი ძალადობის დაგმობაა, რამაც, რეჟისორის ჩანაფიქრით, უნდა შეცვალოს საზოგადოების ცნობიერება.

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია, თუ როგორ „თარგმნის“ სპაიკ ლი არისტოფანეს კომედიის სიუჟეტსა და ძირითად იდეებს კინოხელოვნების ენაზე. აქვე შესწავლილია ის ძირითადი მსგავსებები და განსხვავებები, რაც კომედიასა და ფილმს შორის შეიმჩნევა, გაანალიზებულია კომედიის ავტორისა და ფილმის რეჟისორის ძირითადი სათქმელი, მისი მნიშვნელობა და აქტუალობა.

მეთოდები

მოკლედ მიმოვიხილავ იმ მეთოდურ მიდგომებს, რომლებსაც ეფუძნებიან მკვლევრები დრამატული ჟანრის ტექსტების (ზოგადად, ვერბალური ტექსტების) კინორეცეფციების შესწავლისას და რომლებსაც ამ ნაშრომის ფარგლებში თავადაც აქტიურად ვიყენებ.

კარგადაა ცნობილი, რომ ანტიკური დრამის კინოადაპტაცია, როგორც კულტურული ფენომენი, კომპლექსურ შემოქმედებით პროცესს წარმოადგენს; იგი განსხვავებულ კულტურულ გარემოში შექმნილი ორიგინალის ახალ სოციო-კულტურულ, მედიალურ და ენობრივ სისტემაში გადმოტანას (ე. წ. ტრანსკოდიფიცირებას/ტრანსკულტურიზაციას) გულისხმობს. შესაბამისად, ანტიკური დრამის კინოადაპტაცია იყენებს ახალ, განსხვავებულ გამომსახველობით ფორმას სამიზნე აუდიტორიასთან საკომუნიკაციოდ. თავის მხრივ, ორიგინალის მოდიფიკაციის ხარისხი და თვისობრიობა უშუალოდ არის დაკავშირებული რეჟისორის მსოფლმხედველობრივ ასპექტებთან და ჩანაფიქრთან (Michelakis, 2013; Harwick, 2005).

სემიოტიკური კვლევის მეთოდის მიხედვით, კინემატოგრაფიული ასახვა ისეთსავე დამოუკიდებელ ენობრივ სისტემას წარმოადგენს, როგორც ვერბალური ტექსტი. მიდგომის თვალსაზრისით, იგი მოიცავს კინოთეორიის კრიტიკას, კომპარატივისტიკას, რეცეფციის კვლევებსა და ლიტერატურულ კრიტიკას. ინტერსემიოტიკური გაცვლის (ინტერსემიოსისი) პროცესში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც უშუალოდ ძველი ბერძნული დრამის ტექსტის კინომედიუმში გადატანისას იჩენს თავს, არის ის საკმაოდ დიდი დროითი ინტერვალი, რომელიც ორიგინალს აშორებს საბოლოო პროდუქტთან. თარგმანის თეორეტიკოსის, ჯეიმს ჰოლმსის მიხედვით, ტექსტის სიძველე რეპრეზენტაციის სამ დონეზე იჩენს თავს. ეს დონეებია: 1. ლინგვისტური დონე; 2. ლიტერატურული/პოეტური დონე; 3. სოციო-კულტურული დონე (Holmes, 1972).

ამ კონტექსტში, კინოში ანტიკური დრამის ასახვის უკვე არსებული შემთხვევების ანალიზზე დაყრდნობით, ირინე სტატი ბერძნული დრამების რეცეფციის სამ მოდელს გამოყოფს; ესენია: 1. სიძველის შენარჩუნება ინტერპრეტაციის ყველა დონეზე: რეჟისორი მკაცრად მიჰყვება თხზულების ტექსტს და ცდილობს, მოახდინოს მისი ნარატიული და მხატვრული დინამიკის სრული შენარჩუნება შესაბამის კულტურულ და ფიზიკურ გარემოში; 2. ნაწილობრივი მოდერნიზაცია: შენარჩუნებულია ტექსტის სადიალოგო პარტიები და ნარატიული სეგმენტები; იცვლება დრო-სივრცული კონტექსტი; 3. აბსოლუტური მოდერნიზაცია: რეჟისორი თავისუფლად ექცევა ტექსტს, ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებულია მხოლოდ ფაბულა, მეტ-ნაკლები ვარიანტულობით ტექსტის ძირითადი მნიშვნელობები და კონცეპტუალური გზავნილები (Stathi, 2015).

კონტექსტუალური ანალიზისა და შედარებითი მეთოდის საფუძველზე, ნაწარმოების სოციალურ-პოლიტიკური მოტივების კვლევის კონტექსტში, ამ ნაშრომის ფარგლებში მიზნად ვისახავთ, ერთმანეთს შევუდაროთ არისტოფანეს „ლისისტრატესა“ და სპაიკ ლის ფილმის „ჩი-რაკი“ ნარატიული და სიუჟეტური სეგმენტები, რათა გავანალიზოთ, რამდენად ტრანსკოდიფიცირებული ან ტრანსკულტურიზირებულია ის ფორმალურ-ესთეტიკური სტრატეგიები თუ საშუალებები, რომლებიც არისტოფანეს კომედიის მთავარ კონცეპტუალურ გზავნილს წარმოადგენს, კერძოდ, რამდენად მოდერნიზებულია ტექსტის ძირითადი კონტენტი. საყურადღებოა, რომ, მიუხედავად ფილმის შესახებ არსებული არაერთი რეცენზიისა, ეს საკითხი სისტემურად არ ყოფილა შესწავლილი.

ძირითადი თემების, მოტივების, პერსონაჟების და სიმბოლოების მიმოხილვა

არისტოფანე, „ლისისტრატე“

ომი და მშვიდობა, სექსი და დაუმორჩილებლობა – ეს არის ის ძირითადი თემები, რომლებიც ცნობილმა ბერძენმა კომედიოგრაფოსმა არისტოფანემ შემოიტანა „ლისისტრატეში“, სადაც ქალები განსაკუთრებულ მისიას იკისრებენ – დაასრულონ ხანგრძლივი პელოპონესის ომი ათენსა და სპარტას შორის ე.წ. „სექსუალური გაფიცვის“ გზით. არისტოფანე წარმოაჩენს მის თანამედროვე საბერძნეთში ქალის რეალურ სოციალურ სტატუსს იუმორისა და აბსურდის გამოყენებით. მისი ქალი პერსონაჟები შეთანხმებულად მოქმედებენ და შეიმუშავენ გეგმას, რათა მათი ქმრები და შვილები არ შეუერთდნენ ელინურ ქალაქებს შორის გაჩაღებულ ომს. მშვიდობის დამყარების მიზნით, ისინი თავს იკავებენ სექსისგან და უარს ამბობენ მეუღლეებთან სარეცლის გაზიარებაზე, სანამ არ მიიღწევა სამშვიდობო შეთანხმება. თუმცა ქალები მხოლოდ გაფიცვით არ იფარგლებიან, მათ სწორად დაგეგმილი ტაქტიკა აქვთ. აკროპოლისის ხელში ჩაგდება, სადაც სახელმწიფო ხაზინა იყო განთავსებული, ომისთვის საჭირო მატერიალურ სახსრებზე კონტროლის მოპოვებასაც გულისხმობდა. „ლისისტრატეში“ წარმოდგენილია პროვოკაციული ოცნება, რომ ქალებს შეეძლოთ ომის შეჩერება მამაკაცებთან სექსუალური ურთიერთობის აკრძალვითა და შეთანხმებული, სწორად გათვლილი სტრატეგიით.

კომედიის პროტაგონისტი, ლისისტრატე არის ძლიერი ნებისყოფის, ენერგიული, თუმცა შინაგანად განონასწორებული ქალი, როგორც ეს ქვეშარტ პოლიტიკურ ლიდერს შეეფერება. სწორად არის შენიშნული, რომ მას აქვს პელოპონესის ომისდროინდელი ათენის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების სწორი, ანალიტიკური აღქმა, რასაც წარმატებით იყენებს გაფიცვის მოთხოვნების სწორად ჩამოსაყალიბებლად (Baron, 2001).

არისტოფანეს „ლისისტრატეში“ სიმბოლოების გაგება აუცილებელი პირობაა ნაწარმოების ძირითადი იდეების სწორად და სიღრმისეულად აღსაქმელად. კომედიას და მის მთავარ გმირ ლისისტრატეს მეტყველი სახელი „ლაშქრის დამშლელი“ ჰქვია (Λυσιστράτη – ლსა-დაშლა, სტრატ – ჯარი), რაც ნაწარმოების სულისკვეთებას ეხმიანება. ლისისტრატე გვევლინება ლიდერად, რომელიც საბერძნეთის სხვადასხვა, ათენისა და სპარტის მოკავშირე ქალაქთა ქალებს აერთიანებს საკუთარი იდეის გარშემო. მათი გაერთიანებაც არ აღმოჩნდა ადვილი – ქალების უმეტესობა დიდხანს ყოყმანობდა, სანამ ლისისტრატეს წინადადებას დათანხმდებოდა. ზოგიერთი ქალი ფეხმძიმობის იმიტაციით ცდილობდა შინ, მეუღლესთან გაქცევას. აშკარად ჩანს, რომ ქალებიც საკუთარი სხეულის მოთხოვნილებების ტყვეობაში არიან.

„ლისისტრატეში“ პელოპონესის ომი ერთგვარად პროეცირებულია სქესთა შორის კონფლიქტზე, რომელიც ნაწარმოების მთავარ კომიკურ ოპოზიციად გვევლინება. ქალებმა შინაომი გამოუცხადეს მამაკაცებს სხვა, უფრო მასშტაბური და დამლუპველი ომის დასასრულებლად, რომელსაც სავალალო შედეგები მოაქვთ არა მხოლოდ მამაკაცებისთვის, რომლებიც ომში იღუპებიან, არამედ მათი დედებისა და მეუღლეებისთვის. ქალების თქმით, ქუჩები ცარიელია, უფროსი ქალბატონები დარჩნენ დაუქორწინებლები, რადგან მამაკაცები ომში იმყოფებიან (არისტოფანე, 2011).

კონფლიქტი ქალებსა და მამაკაცებს შორის კომედიაში ფიზიკური დაპირისპირებითაა წარმოდგენილი – მოხუც მამაკაცთა გუნდი თავს ესხმის ქალთა გუნდს, მაგისტრატი ცდილობს ლისისტრატეს დაპატიმრებას, რასაც ქალები ეწინააღმდეგებიან და უტევენ მაგისტრატის მცველებს. მამაკაცთა ძალას ფიზიკური სიძლიერე განასახიერებს, ხოლო ქალებისას – სექსუალურობა, რომელსაც ქალი პერსონაჟები მამაკაცთა დასამორჩილებლად იყენებენ. ქალთა და მამაკაცთა დაპირისპირება კომედიაში გაჯერებულია სექსუალური ხასიათის, ხშირად უნმანური ხუმრობებით. ვნებას აყოლილი მამაკაცების მიმართ არისტოფანე დაცინვას არ იშურებს და მართლაც, კომედიაში წარმოდგენილი მამაკაცები: მებრძოლები იქნებიან, მაცნეები, მაგისტრატები, ცოლს მონყურებული ქმრები თუ მოხუცები, კომიკურ პერსონაჟებად გვევლინებიან, განსაკუთრებით, ქალების ფონზე.

გამარჯვებაც ბოლოს ქალებს რჩებათ, ისინი აღწევენ მიზანს – მშვიდობა დამყარებულია! იარაღს ენაცვლება ნადიმი, ომს – მშვიდობა, რომელსაც ისევ და ისევ შიშველი და სექსუალურად მომხიბვლელი ქალღმერთი სიმბოლოურად განასახიერებს (არისტოფანე, 2011, გვ. 90).

განვიხილოთ რამდენად აისახა არისტოფანეს კომედიის ეს თემები და სიმბოლოები სპაიკ ლის ფილმში და რამდენად მნიშვნელოვანია ისინი რეჟისორის მთავარი სათქმელისათვის.

სპაიკ ლი, „ჩი-რაკი“ შელტონ ჯექსონ ლი იგივე სპაიკ ლი ამერიკელი კინორეჟისორია, რომელიც მისი უკომპრომისო და პროვოკაციული ხელწერით არის ცნობილი. ჯაზის კომპოზიტორის, ბილ ლის შვილი, საშუალო კლასის ოჯახში, ბრუკლინში გაიზარდა. სპაიკ ლის შემოქმედებაში ხშირად აღმოაჩენთ პოლიტიკური საკითხების, რასიზმის, ურბანული კრიმინალისა და ძალადობის თემების კრიტიკულ განხილვას. ნიუ-იორკის უნივერსიტეტში სწავლის დროს მან მისი მომავალი შემოქმედებითი პარტნიორი, რეჟისორი და სცენარისტი ერნესტ დიკერსონი გაიცნო და მასთან ერთად გადაიღო სადიპლომო სტუდენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი „Joe’s Bed-Stuy Barbershop: We Cut Heads“ („ჯოს სადალაქო ბედ-სთიუში: ჩვენ ვკრეჭთ თავებს“), რომელმაც მაშინვე მიიპყრო ყურადღება და დაიმსახურა Academy of Motion Picture Arts and Science-ის ჯილდო. 90-იანი წლები უდავოდ საუკეთესო იყო ლის კარიერაში. 1990 წელს მან გადაიღო ფილმი „მით უფრო მეტად“ – დრამა დენზელ ვაშინგტონის მონაწილეობით, სადაც უესლი სნაიპსის, სემუელ ლ. ჯექსონის და თავად სპაიკ ლის სამსახიობო შესრულებასაც ნახავთ. 1992 წელს სპაიკ ლიმ პატივი მიაგო ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს აქტივისტს და აფროამერიკელების დამცველს, მალკოლმ იქსს და ამავე სახელწოდებით გამოუშვა ფილმი „მალკოლმ X“ (**Malcolm X**). მსახიობმა დენზელ ვაშინგტონმა, ამ ფილმში მთავარი როლის შესრულებისთვის მიიღო საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ჯილდო ბერლინისა და ნიუ-იორკის კინოკრიტიკოსთა ღონისძიებაზე და ნომინირებული იყო როგორც ოსკარზე, ისე ოქროს გლობუსზე. მისი შემდეგი ფილმი იყო 1995 წელს გადაღებული „კამელოები“. ინტრიგებით მოცული სიუჟეტი გვიამბობს ნარკოტიკების სამყაროს შესახებ ბრუკლინის სამეზობლოში. შემდეგი მნიშვნელოვანი ნამუშევარი გახდა „4 პატარა გოგონა“ (4 Little Girls, 1997). ფილმი მოგვითხრობს აფეთქების შესახებ, რომელმაც ბირმინგემის ეკლესიაში 1963 წელს ოთხი პატარა მოსწავლე იმსხვერპლა. საუკეთესო დოკუმენტური სიუჟეტისთვის ფილმმა დაიმსახურა ოსკარის ნომინაცია. გარდა უამრავი სარეკლამო თუ სასცენარო წარმატებისა, სპაიკ ლი პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. 1993 წლიდან დღემდე იგი კინოხელოვნებას ასწავლის ნიუ-იორკის უნივერსიტეტში.

„ჩი-რაკი“, რომლის სცენარის ერთ-ერთი ავტორი თავად ფილმის რეჟისორია, წარმოადგენს თანამედროვე მუსიკალურ სატირას, რომლის მთავარი თემებია: ურბანული ძალადობის, კრიმინალის, იარაღის უკანონო ტარებისა და პოლიტიკური მიკერძობების დაგმობა. მოქმედება მიმდინარეობს თანამედროვე ჩიკაგოში, სადაც დაფიქსირებულია დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ტრაგიკული ეპიზოდების კვალდაკვალ, მსგავსად არისტოფანეს კომედიისა, აქ იხილავთ ბევრ კომიკურ ეპიზოდს. მიჩნეულია, რომ რომ სპაიკ ლის ფილმებს შორის ეს ფილმი საუკეთესო ნამუშევარია.

ლისთან ერთად ფილმი „ჩი-რაკის“ თანაავტორია დამოუკიდებელი კინორეჟისორი და კანზასის უნივერსიტეტის კინოხელოვნების პროფესორი, კევინ უილმოტი.

როგორც აღვნიშნეთ, ლისისტრატეს მრავალი სასცენო და ეკრანული ადაპტაცია არსებობდა, სპაიკ ლის ფილმი მათგან გამოირჩევა სიმწვავეთა და პოლიტიკური აქცენტებით. ბიოგრაფების თქმით, „ძნელია სპაიკ ლის სურათის აღქმა იმ კუთხით, რომ ადამიანი უყურებს სტანდარტულ პოლივუდურ ფილმს, რადგან ის გადაჭარბებული სიმძაფრით ასახავს კონკრეტულ სცენებს თავის ფილმებში, რათა გამოიწვიოს პოლიტიკური კომენტარები“ (Machgoan, 2018).

ეს პოლიტიკური ქვეტექსტი და სატირა ფილმის სათაურიდანვე იკვეთება.

ფილმის სიუჟეტის მიხედვით, კრიმინალურმა უბნებმა მიიღეს მეტსახელი ჩი-რაკი (Chi-Raq), რაც ჩიკაგოსა და ირანის დასახელებების კომბინაციას წარმოადგენს. ეს არის მინიშნება იმაზე, რომ ჩიკაგოში კრიმინალი და დანაშაული იმაზე მეტად მძვინვარებს, ვიდრე საომარ ვითარებაში

მყოფ ავღანეთსა და ირანში. მსგავსად არისტოფანეს კომედიისა, ფილმის სათაურიც მეტყველია – ცხადი ხდება, რომ ფილმი ასახავს შემზარავ და სამწუხარო რეალობას, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას აწუხებს. ჩიკაგოს კრიმინალური ყოველდღიურობა გაიგივებულია საბრძოლო მოქმედებებთან ერთად. შესაბამისად, ჩიკაგოს ბანდებს შორის მიმდინარე ომი გვევლინება როგორც პელოპონესის ომის თანამედროვე ეკვივალენტი. 2000-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე, ერთადერთი, ავღანეთსა და ჩიკაგოში მკვლელობათა და სიკვდილიანობის სტატისტიკა ნაჩვენებია ფილმის დასაწყისში, რითიც ცხადი ხდება, რომ ჩიკაგოში ყოველწლიურად უფრო მეტი მკვლელობაა დაფიქსირებული, ვიდრე ერთადერთი ავღანეთში ერთად აღებული (Forbes, 2016).

ფილმში რეპერი და მსახიობი ნიკ ქენონი ასრულებს ფილმის მთავარი პერსონაჟის, ლისისტრატას საყვარლის, დემეტრიუს დიუპრეის როლს. სწორედ მისი მეტსახელია ჩი-რაკი, ვინაიდან ის გვევლინება ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ, რომელსაც არეულობა შემოაქვს ქალაქში. ფილმის სათაური ასახავს როგორც პერსონაჟის სახელს, ისე თავად კრიმინალური უბნების სახელწოდებას. ჩი-რაკი არის ბანდის „სპარტელების“ ლიდერი, რომელიც წლების განმავლობაში იბრძვის „ტროელების“ წინააღმდეგ, რომლებსაც ხელმძღვანელობს სასტიკი და საზარელი, თუმცა, ამავდროულად, კომიკური პერსონაჟი, სახელად ციკლოპი (მსახიობი: უეასლი სნაიფსი). ფილმი იწყება ოთხნუთიანი სიმღერით, რომელსაც ახლავს ტიტრები, ერთგვარი მორბენალი სტრიქონი, სადაც გაცხადებულია ფილმის მთავარი პრობლემა. ეს ოთხნუთიანი სიმღერა ფილმის პროლოგის ფუნქციას ასრულებს.

მომდევნო ეპიზოდში ჩვენ ვხედავთ სროლის სცენას, იღუპება 11 წლის გოგონა. თავად დემეტრიუსი და მისი მეგობარი გოგონა, ლისისტრატა (მსახიობი: ტიონა პარისი) თავდასხმის შედეგად უსახლკაროდ რჩებიან.

ფილმის სიუჟეტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისის ჰელენ ვორთი (მსახიობი: ანჯელა ბასეტი), რომელიც იურისტია და ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი აქტივისტი. სწორედ მისი მეოხებითა და მასთან საუბრის შემდეგ ლისისტრატა თავადაც ბანდითური დაჯგუფების ლიდერის, ჩი-რაკის პარტნიორი ქალი იაზრებს კრიმინალური ომების შემზარავ შედეგებს და იწყებს ფიქრს ამ ძალადობის შეჩერებაზე. ლიბერული აქტივისტი ქალის, ლეიმა გბოვეს მაგალითით შთაგონებული ლისისტრატა კრებს ყველა ქალს, რომელიც დაკავშირებულია ორივე ბანდის წევრებთან და მოუწოდებს მათ, უარი თქვან საკუთარ მამაკაცებთან ინტიმურ ურთიერთობაზე. ლისისტრატა არიგებს ქალებს, რომ აღადგინონ ეს „პრივილეგიები“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანდები ხელს მოაწერენ სამშვიდობო ხელშეკრულებას და დათანხმდებიან ძალადობრივი ყოფის შეცვლაზე. თანდათანობით ეს მოძრაობა სცდება ჩიკაგოს საზღვრებს, შემდეგ კი – ქვეყნის ფარგლებსაც. სექსუალურ ბოიკოტში ერთვებიან სხვადასხვა პროფესიის ქალები: პოლიტიკოსები, იურისტები, პოლიციელები, არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლები და რაც ყველაზე კომიკურია – მეძავეები და სატელეფონო სექსოპერატორები. საზოგადოება თანდათან ერთიანდება მამაკაცების წინააღმდეგ, რათა მოიპოვოს სიმშვიდე ქალაქში და ბოლო მოუღოს დაუსრულებელ მკვლელობებს და სისხლისღვრას. ლისისტრატე და მისი თანამებრძოლი ქალები იკავებენ სამხედრო ობიექტებს და საბოლოოდ აღწევენ კიდევ სასურველ შედეგს. ქალების სამთვლიანი პროტესტის შემდეგ ჩიკაგოელი ბანდის წევრები თანხმდებიან მშვიდობაზე და მასობრივად აბარებენ იარაღს.

სპაიკ ლი, რომლის ფილმი გაჯერებულია თანამედროვე საზოგადოების პრობლემებით, კარგად იცნობს ოცდამეერთე საუკუნის ტენდენციებს და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. საუკუნის დასაწყისში აგორებულმა ქალთა მასობრივმა პროტესტებმა, როგორც ჩანს, დამატებითი ინსპირაცია მისცეს ფილმის ავტორებს. თვითონ ფილმშიც არაერთხელ ნახსენებია აფრიკელ ქალთა მასობრივი გაფიცვები სამოქალაქო ომების შესაჩერებლად.

ვინაიდან ამ გაფიცვებს მნიშვნელობა აქვთ ფილმის სიუჟეტისა და სულიკვთების სწორად აღსაქმელად და რადგან ფილმის პერსონაჟები ხშირად ახსენებენ ამ გაფიცვებსა და მათ ლიდერებს, მოკლედ ვიმსჯელებთ ოცდამეერთე საუკუნეში ქალთა ინიციატივით დაწყებულ საპროტესტო

გამოსვლებზე ორიოდ კონკრეტული მაგალითის განხილვით. მაგალითად, 2011 წლის ოქტომბერში ლეიმა გოვეს და პრეზიდენტს ელენ ჯონსონ სირლიფს მიენიჭათ ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. მათი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა

„არაძალადობრივ მსვლელობას ქალთა უსაფრთხოებისა და უფლებების დასაცავად“ (Inclusive security, 2012). ეს მასობრივი აქცია ჩატარდა დასავლეთ აფრიკის ქვეყანაში, ლიბერიაში, რომელიც ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყნად. ქალთა ეს მსვლელობა მიმართული იყო ლიბიაში მიმდინარე მრავალწლიანი სამოქალაქო ომის შესაჩერებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამოქალაქო ომის დროს მებრძოლთა უმრავლესობას კაცები შეადგენდნენ, ქალები იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც იტვირთეს კონფლიქტის შედეგები. ის, რისი გადატანაც უნევდათ ბერძენ ქალებს პელოპონესის ომის დროს, ძალიან ჰგავს ლიბერიელი ქალების ტანჯვასა და გაჭირვებას ოცდამეერთე საუკუნეში. ლიბერიის ორი სამოქალაქო ომი, რომელიც 1989 წლიდან მცირე შესვენებით 2003 წლამდე მიმდინარეობდა და 250 000 ადამიანის სიცოცხლე შეინირა, კატასტროფული აღმოჩნდა ქვეყნისათვის. ლიბერიელ ქალებს კონფლიქტის წლების განმავლობაში ჯარში განვული მათი ახალგაზრდების ტანჯვის ხილვა უნევდათ. ქალები ხედავდნენ, რომ მათი ახალგაზრდა ქალიშვილები დღის განმავლობაში იძულების წესით სამოქალაქო ომში იბრძოდნენ, ხოლო ღამით სექსმონებად ემსახურებოდნენ მამაკაცებს. ქალები კარგავდნენ მეუღლეებს, შვილებს, მამებს და, ამავედროულად, ებრძოდნენ საშინელ სიღარიბეს (Morales, 2013). ლიბერიელმა ქალებმა გადანყვიტეს, მიეღოთ რადიკალური ზომები, რომელიც საბოლოოდ შეცვლიდა ქვეყნის ბედს, რადგან ისინი ვეღარ უძლებდნენ ომსა და სისხლისღვრას. ქალებმა წამოიწყეს სახალხო მოძრაობა, „სექსუალური გაფიცვა“, რომელიც მოითხოვდა მშვიდობას და ძალადობის შეწყვეტას. ლეი გოვეიმ, მათმა ლიდერმა, აღნიშნა, რომ ისინი „ლიბერიის ბედს საკუთარ ხელში აიღებენ“ და დასძინა, რომ „ომმა ასწავლა მათ, რომ მომავალი მდგომარეობს იმაში, რომ უთხრან არა ძალადობას და მტკიცე კი – მშვიდობას“ (Morales, 2013).

კიდევ ერთი, არისტოფანეს კომედიასთან ახლოსმდგომი ისტორიული მაგალითი მოხდა ტოგოში, 2014 წელს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოძრაობის ლიდერებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ მათი გადანყვიტელება შთაგონებული იყო ლიბერიელი ქალების მასობრივი აქციით მშვიდობისთვის. ქალები ტოგოში მოითხოვდნენ ხუთჯერ არჩეული პრეზიდენტის გადადგომას. პროტესტი მოეწყო ბოლო საარჩევნო შედეგების გამოქვეყნებისას (BBC, 2012). აქტივისტების მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გამოეთქვა პროტესტი და გაეაქტიურებინათ მამაკაცები, რომ მათ შეეცვალათ დესპოტურ-ავტორიტარული სისტემა. ტოგოში არსებული არეულობის ფონზე, პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. 100-ზე მეტი ადამიანი ჩასვეს ციხეში. ქალთა საპროტესტო მოძრაობას „მოდით, გადავარჩინოთ ტოგო“ დაერთო მათი გადანყვიტელება – სექსუალური ბოიკოტი გამოეცხადებინათ მეუღლეებისთვის. ერთ-ერთი აქტივისტის, აბლა ტამეკლოეს მიერ გაკეთებული შედარება ძალიან აქტუალურია: „ჩემთვის ეს მარხვას ჰგავს და თუ არ მარხულობ, ვერ მიიღებ იმას, რაც გსურს ღვთისგან“ (Anderson, 1994). სექსუალური ბოიკოტი, რომელიც წამოიწყეს ტოგოელმა ქალებმა მამაკაცებზე ზეწოლის მიზნით, ძალზე წააგავს არისტოფანეს „ლისისტრატეში“ ბერძენი ქალების ბრძოლის ხერხს მამაკაცთა დასაყოლიებლად, შეენყვიტათ პელოპონესის ომი. აქციის მონაწილე ქალები ტოგოში საპროტესტო მსვლელობაში რამდენიმე კვირა მონაწილეობდნენ და უარს ამბობდნენ მამაკაცებთან სარეცლის გაზიარებაზე. იზაბელ ამეგანვმა, პარტიის „ეროვნული ალიანსი“ პრეზიდენტმა, ტოგოელ ქალებს მისცას იმედი, რომ მათი ამ ბოიკოტით ბოლოს მოუღებდნენ რეპრესიულ სისტემას (Agbedahin, 2014).

16 წლის წინ, ამეგანვიმ თქვა: „ჩვენ გვინდა ვიბრძოლოთ, როგორც ლიბერიის ქალებმა, რადგან როდესაც ომის დამთავრება კაცებს ევალებოდათ, ქალებმა დაიწყეს გაფიცვა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა მშვიდობა ლიბერიაში. ამიტომ ჩვენ გვინდა იგივე გავაკეთოთ ტოგოში, რათა დავავალდებულოთ ტოგოს უმრავლესობა, იბრძოლოს და ჩვენთან ერთად დაასრულოს მთავრობის მიერ მოსახლეობის ჩაგვრა“ (Butty, 2012).

ჩვენის მხრივ, იმასაც დავამატებდით, რომ ქალთა მასობრივი პროტესტი, რომელმაც მთელი ქვეყანა და მსოფლიო ააღელვა, სულ ახლახანს, 2022 წლის სექტემბერში ირანშიც აგორდა, რაც 22 წლის ირანელი ქალის, მაჰსა ამინის საეჭვო გარდაცვალებამ გამოიწვია, რომელიც პოლიციის მიერ ჰიჯაბის არასწორი ტარების გამო დააკავეს. სწორედ ქალების მასობრივმა გამოსვლებმა, რომლებიც ჰიჯაბის აკრძალვის მოთხოვნებით გამოვიდნენ ქუჩაში, გამოაფხიზლა მთელი საზოგადოება და გადაზარდა ეს პროტესტი პოლიტიკურ მოთხოვნებში (Tisdall, 2022).

საყურადღებოა, რომ ირანელ მოძრაობის სლოგანი: „ქალი, სიცოცხლე, მშვიდობა“ ისევ და ისევ უბრუნდება მშვიდობის მოთხოვნას, რომელიც ჯერ კიდევ არისტოფანეს პერსონაჟებს აქვთ „ლისისტრატეში“.

ამრიგად, ცხადია, რომ გარდა არისტოფანეს კომედიისა, სპაიკ ლი დამატებით საზრდოობს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით, თუმცა მუდმივად ინარჩუნებს კავშირებს ანტიკურ ტექსტთან, რასაც ქვემოთ უფრო დანვრილებით განვიხილავთ.

შედარებითი ანალიზი

სიუჟეტი და სიუჟეტური ელემენტები

დიდ დაკვირვებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ სპაიკ ლის ფილმის ძირითადი სიუჟეტური ხაზი მთლიანად მიყვება არისტოფანეს კომედიის შინაარსს. მთავარი პერსონაჟი – ორივე შემთხვევაში ლისისტრატე- ცდილობს ქალების შეკავშირებას, რათა სექსუალური გაფიცვის გზით მათ მოახერხონ მამაკაცთა დაყოლიება, შეწყვიტონ ერთმანეთთან იარაღით დაპირისპირება; შენარჩუნებულია ტექსტის სადიალოგო პარტიები და ნარატიული სეგმენტები; განსხვავება ამ თვალსაზრისით მხოლოდ იმაშია, რომ იცვლება დრო-სივრცული კონტექსტი, ხდება სიუჟეტის მოდერნიზაცია – კომედიის სიუჟეტი ანტიკურ ხანაში, ძვ.წ. V საუკუნის დანყისის ათენში ვითარდება, ხოლო ფილმისა – ოცდამეერთე საუკუნის ჩიკაგოში.

კონფლიქტის ძირითადი მხარეები არისტოფანეს შემთხვევაში არიან: ერთ მხარეს- ათენი და მისი მოკავშირე ქალაქები, ხოლო მეორე მხარეს -სპარტა და პელოპონესის ლიგის წევრები, ხოლო სპაიკ ლის ფილმში მთავარი კონფლიქტი „სპარტელებსა“ და „ტროელებს“ ორ კრიმინალურ დაჯგუფებას შორის მიმდინარეობს.

საინტერესოა, რომ სპაიკ ლის მიერ „სპარტელების“ ბანდის ანტაგონისტი დაჯგუფების სახელწოდებად „ათენელების“ ნაცვლად „ტროელების“ გამოყენება, ჩვენი აზრით, შეიძლება მიანიშნებდეს მითურ ტროას ომზეც, რომელიც სწორედ ტროელი მეფისნულის, პარისის მიერ სპარტელი ელენეს გატაცების ალუზიას ინვესს. ეს დამატებითი დეტალი, ჩვენი დაკვირვებით, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩიკაგოელ კრიმინალთა დაპირისპირების ხანგრძლივობას და მასშტაბურობას.

გარდა მთავარი სიუჟეტური ხაზის თანხვედრისა, კომედიასა და ფილმში ყურადღებას იქცევს არაერთი საკვანძო ეპიზოდის, სიუჟეტური სეგმენტების მსგავსება.

1. არისტოფანესთან ლისისტრატე ადებინებს ფიცს ქალებს, რომ ისინი არ შეიცვლიან აზრს და გაფიცვას საბოლოო მიზნის მიღწევამდე გააგრძელებენ:

„სახლში ქალწულივით გავლევ მთელს ცხოვრებას...
ლამაზი კაბითა და კოპნიად მორთული...
რათა ქმარს მოვუნდე განსაკუთრებულად...
მაგრამ არასოდეს ნებით არ დავყვები...“

(არისტოფანე, 2011, გვ. 24)

ფილმშიც ქალები ლისისტრატას მიერ შედგენილი ფიცის ტექსტს იმეორებენ, რათა შეინარჩუნონ გამძლეობა ცდუნების წინაშე და არ დანებდნენ თავიანთ პარტნიორებს“. I will deny

all right of access and entrance of every husband, lover or male acquaintance who comes to my direction, in erection” („მე უარს ვეტყვი ყველანაირ წვდომაზე ქმარს, საყვარელს ან ნებისმიერ ნაცნობ მამაკაცს, რომელიც მოვა ჩემთან ერექციით“) (Chi-Raq, 31:23).

2. კომედიაში ვხედავთ ეპიზოდს, სადაც მამაკაცები თავს იყრიან, რათა განიხილონ გაფიცულ ქალთა მიერ აკროპოლისის აღება, ამავდროულად კი, საკუთარ უბედურ ყოფაზე წუნუნებენ, რაც სექსუალური დაუკმაყოფილებლობითაა გამოწვეული:

„საშინელია უბედურება...
ამას თირკმელი როგორ გაუძლებს?
სული გაუძლებს ანდა კვერცხები?
ამას რომელი გვერდი გაუძლებს?
ხომ მოგწყდა დილას, თუკი საღამოს არ იმუშავა?!“

(არისტოფანე, 2011, გვ. 72)

ფილმში მსგავსი ეპიზოდი გვხვდება, როდესაც მამაკაცები იკრიბებიან და მსჯელობენ ქალთა გაფიცვაზე და წუნუნებენ, რადგან მათ ენატრებათ ცოლები, ქალები, ენატრებათ ვაგინა და სურთ, დაასრულონ ძალადობა, თუ ეს მათ მოუტანთ ჩვეულ ცხოვრების რიტმს, თბილ საწოლს და საყვარელ ქალს (Chi-Raq, 1:28:27).

3. კომედიაში ქალები აკროპოლისში შეიჭრებიან და გამაგრდებიან, რათა ხელი შეუშალონ სახელმწიფო ხაზინიდან სახსრების გადინებას სამხედრო მიზნებისთვის.

ფილმში ქალები იჭრებიან სამხედრო ობიექტებზე და მოითხოვენ ძალადობის შეწყვეტას.

4. არისტოფანეს „ლისისტრატეში“ ქალები პროტესტით აღწევენ მიზანს და მყარდება მშვიდობა ათენსა და სპარტას შორის. ფილმში ქალების გაფიცვა ბანდება შორის სამშვიდობო მოლაპარაკებით და იარაღის დაყრით სრულდება.

იდეა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ არისტოფანეს ძირითადი იდეა და მიზანი პელოპონესის ომის შეჩერებაა, რაც ყველაზე კარგად ჩანს არა მხოლოდ „ლისისტრატეში“, არამედ მის სხვა, ომის შესახებ დაწერილ კომედიებში: „აქარნელები“ და „მშვიდობა“, რომლის მთავარი, კომიკური პერსონაჟები მშვიდობის დასამყარებლად იღწვიან. პელოპონესის ომის ექო ჩანს „ბაყაყებსა“ და „თესმოფორიადესებში“ (ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე“) (Kotini, 2010).

სპაიკ ლის მთავარი მიზანი კრიმინალური დაპირისპირების შეჩერებაა, თუმცა ამას თან ერთვის არაერთი პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა მასობრივი პროტესტის გზით. „ჩი-რაკს“ არ სჭირდება პასიური მაცურებელი, რადგან საკითხი ეხება რასობრივ უსამართლობას, სექსიზმსა და სიღარიბეს, ასევე კრიმინალურ ქაოსს და ადამიანთა უბედურებას. ცხადია, რეჟისორის ჩანაფიქრი ადამიანებში რადიკალური ზომების მიღების სურვილის გაღვიძებაა, რამაც, სრულიად შესაძლებელია, შეცვალოს რეალობა და თავად ადამიანები. კოლექტიური პასუხისმგებლობისკენ მოწოდება, ჯგუფური, შეთანხმებული პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ, რაც სპაიკ ლის გმირებს ამოძრავებს, აუცილებელია, არსებობდეს თანამედროვე საზოგადოებაში.

თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სპაიკ ლის ფილმი არისტოფანეს „ლისისტრატეს“ პაროდი არ არის. პირიქით, ის მაცურებელს გადასცემს არისტოფანეს კომედიის ძირითად მესიჯებს. ფილმი, კომედიის მსგავსად, ცდილობს, საზოგადოებაში აამაღლოს ცნობიერება იმ საშინელ შედეგებზე, რაც მოჰყვება რასობრივ კონფლიქტსა და იარაღით ძალადობას. ეს ფილმი საშუალებას აძლევს ლის და მის თანასცენარისტ კევინ უილმოტს, ასახონ არა მხოლოდ ერთი,

არამედ მრავალი პრობლემა, რომელიც მათ თანამედროვე საზოგადოებას აწუხებს. ეს არის არა მხოლოდ კრიმინალების თარეში, ბანდიტურ დაჯგუფებათა სისხლიანი ომები, არამედ სოციალური პრობლემები, როგორცაა:

რასიზმი, შავკანიანების ერთმანეთზე ძალადობა, იარაღის კონტროლი, კორუმპირებული პოლიტიკოსები, ძალადობისადმი გულგრილობა, უბნების კომერციული და მორალური განადგურება, უგულბელყოფილი ვეტერანები, უსახლკაროები და ბევრი სხვა მძიმე პრობლემა, რომელიც თრგუნავს ადამიანებს „დიდი ქალაქების“ ჩრდილში.

იმის მიუხედავად, რომ „ჩი-რაკი“ და „ლისისტრატე“ იზიარებენ მთავარ იდეას – ებრძოლონ ძმათა შორის ომს და ადამიანთა უაზრო მკვლელობას, თხრობის სტილი და სცენური დეტალები განსხვავდება ფილმსა და კომედიაში. ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი შეიძლება იყოს ის მძიმე ეპიზოდი, სადაც ვუყურებთ ირინეს შვილთან გამომშვიდობების სცენას; როდესაც ის მკვლელობის ადგილზე მიდის და გრძნობს, რომ რაღაც რიგზე არ არის. შემდეგ კი აღმოაჩენს საკუთარი ქალიშვილის ცხედარს, რის გამოც იგი მთლიანად განადგურებული და გულმოკლულია. ფილმში ასახული მოვლენები უსასტიკესი, მაგრამ რეალურია. ნათელია, რომ სპაიკ ლის განზრახვა ამ ფილმის გადაღებისას უფრო შორსმომავალი იყო, ვიდრე უბრალოდ ძველი კომედიის მნიშვნელოვანი ნაწილის მოდერნიზაცია. მას სურდა „ჩი-რაკი“ ვიზუალური ეფექტების მეშვეობით უფრო მწვავე კრიტიკად და, ამავდროულად, იმედად ქცეულიყო საზოგადოებისათვის.

ფილმში, ისევე, როგორც ინტერვიუებში, ლი ხშირად იმეორებს, რომ ახლა არ არის სურვილების გამოთქმის და ფიქრის დრო, არამედ მოქმედების – გადამწყვეტი მოქმედების დრო (Klein, 2020).

ამრიგად, სამოქალაქო დისფუნქციისა და თვითგანადგურების პირობებში, ლის დაარისტოფანეს ლისისტრატე ამტკიცებენ, რომ საზოგადოების ხსნა მიიღწევა ჯერ ინდივიდუალური, შემდეგ კი კოლექტიური პასუხისმგებლობით. ამ საზოგადოებრივი, სოციალური ტრანსფორმაციის მხატვრული ტერმინებით გადმოცემამ, ლის საშუალება მისცა, დაემტკიცებინა სატირის ეფექტურობა რეალობის შესაცვლელად, სადაც მთავარი მოტივი და ჩანაფიქრი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებია. შედეგად, ამ ფილმში მიზნები მიიღწევა ისეთი გზებით, რომლებიც დამაჯერებლად აქტუალური და უფრო რადიკალურია, ვიდრე ლისისტრატეს ნებისმიერმა სხვა თანამედროვე ადაპტაციამ შეიძლება შემოგვთავაზოს.

ჟანრი

თუკი არისტოფანეს შემთხვევაში არ არსებობს მისი ნაწარმოებების ჟანრის შესახებ ალტერნატიული მოსაზრება, „ჩი-რაკის“ ჟანრობრივი კუთვნილების შესახებ კინოკრიტიკოსებს შორის არ არის ერთიანი პოზიცია.

ეს, პირველ რიგში, გამომწვეულია იმ მიზეზით, რომ სპაიკ ლის ფილმში ერთმანეთს ორიგინალურად ერწყმის კომიკური და ტრაგიკული ეპიზოდები და ელემენტები. ფილმის ბოლო სცენა, როდესაც ლისისტრატას პატრნიორი ჩი-რაკი 11 წლის გოგონას მკვლელობას აღიარებს, როგორც ფიქრობენ, „სრულყოფილად ემორჩილება არისტოტელეს ფორმულირებას „პოეტიკაში“, რომ საუკეთესო ტრაგედიებს აქვს სამი ელემენტი: დანაშაული, აღიარება და ტანჯვა“ (Due, 2016).

საინტერესოა, რომ სპაიკ ლი თავადაც ადარებს არისტოფანეს „ლისისტრატეს“ საკუთარ კინონამუშევარს. ნიუ-იორკ თაიმსთან (New York Times) ინტერვიუს დროს მან განმარტა, რომ არისტოფანეს „ლისისტრატე“ არის კომედია და სატირა. ხოლო მისი ფილმი მხოლოდ სატირაა, რითიც იგი ნაწილობრივ ასახავდა და პატივს მიაგებდა არისტოფანეს ხედვასა და იდეას (Tillet, 2016).

ამრიგად, პასუხი იმაზე, არის თუ არა ფილმი „ჩი-რაკი“ ტრაგედია თუ კომედია, ერთ-მნიშვნელოვანი არ არის – ეს არის ტრაგიკული ისტორია, რომელიც გაჯერებულია როგორც ცინიკური სევდითა და სატირით, ისე იუმორით, რომელიც, გარემოებებიდან გამომდინარე, ხშირად უხამსი და მძიმე მოსასმენია დახვეწილი ყურისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის საერთო მიმოხილვები

დადებითი იყო, „ჩი-რაკის“ ირგვლივ დაპირისპირებები არ სრულდებოდა. ფილმის მოკლე ვიდეოანოტაციამ ცხარე დებატები გამოიწვია. ფილმის პრემიერამდე სასწრაფო დახმარების ექიმმა ემი ჰომ ჩანერა ინტერვიუ Chicago Tribune-სთვის, სადაც ის ამტკიცებდა, რომ ჩიკაგოში სიკვდილის შემთხვევები, რომლებიც ყოველ ღამე ახლომდებარე საავადმყოფოებში ხდებოდა, მსუბუქად და კომედიურად იყო ასახული ამ ფილმში. მსგავსი კრიტიკა გამოქვეყნდა Twitter-ზე და სხვა სოციალურ მედია პლატფორმებზე (Levinson, 2020).

მართლაც, აუდიტორია შეიძლება დაბნეული იყოს რეჟისორის საოცარი უნარით, კომიკური ნიაღვრებით გააშუქოს ასეთი მძიმე გარემოება, მაგრამ იუმორი ყოველთვის იყო სოციალურ ბოროტებასთან გამკლავების პოპულარული საშუალება, იქნება ეს ძველ საბერძნეთში პელოპონესის ომის სისასტიკე თუ ჩიკაგოს შორის უაზრო ქუჩის კონფლიქტი და ერაყის ბანდები. ლის „ჩი-რაკში“ კომედია და ტრაგედია ურთიერთკავშირშია.

ეს არის ერთდროულად როგორც თანამედროვე, აქტუალური ამბავი, ისე, ძველი, ე. წ. „უკვდავი“, მარადიული ნარატივი. სათქმელი ფილმში გადმოცემულია პირდაპირ, ღიად, მაყურებლის დანდობის გარეშე. ვფიქრობთ, ამ მიზეზების გამო სპაიკ ლის კინონამუშევარს მუსიკალური ტრაგიკომედია შეიძლება ვუნდოთ.

პერსონაჟები და სიმბოლოები

ზემოთ უკვე ვახსენეთ როგორც კომედიის, ისე ფილმის მთავარი პერსონაჟი ლისისტრატე, სულიერად მტკიცე ლიდერი, რომელიც ფილმის კომედიასთან მსგავსების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია.

ფილმის ბოლოს დოლემედესი (ფილმის მთხრობელი) ლისისტრატეს ასე ახასიათებს: „ლისისტრატემ რომის იმპერიაზე ძლიერი იმპერია ააშენა“ (Chi-Raq, 1:57:02).

განსხვავებით კომედიისგან, რეჟისორი, კინემატოგრაფიული ხელოვნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ ლისისტრატას შინაგან თვისებებზე, არამედ გარეგნულ მახასიათებლებზეც.

ოქროს სამკაულებიდან დაწყებული, მოდური და, ამავდროულად, გამომწვევი ჩაცმულობით დამთავრებული, ლისისტრატა წარმოუდგენლად მომხიბვლელი და თავდაჯერებულია. განსხვავებით კომედიისგან, ფილმში ეს პერსონაჟი მეტამორფოზას განიცდის. თავდაპირველად ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ იგი ვერ აცნობიერებს, რომ ძალადობის ნაწილია. როცა მისი ელენი მას ესაუბრება, იგი იჩენს ამპარტავნებას და სრულ გაუნათლებლობას. მას არ სურს, გაიგოს, რომ ჩი-რაკი ძალადობს ადამიანებზე და არც ის აინტერესებს, რა მეთოდს გამოიყენებდნენ მისი პარტნიორის შესაჩერებლად. ბედის ირონიით, მიუხედავად იმისა, რომ ჩი-რაკი სხვა არაფერია, თუ არა უბედურება, ლისისტრატა თავს კომფორტულად გრძნობს მასთან. მოგვიანებით ჩვენ ვხედავთ ფილმის მთავარი გმირის სრულ გარდასახვას, თუ როგორ აეხილება მას თვალი, იძენს თანამოაზრეებს და როგორც ყალიბდება ჭეშმარიტ ლიდერად, რომელიც ქმნის ბრწყინვალე გეგმას. მსგავსად არისტოფანეს ლისისტრატესი, რომელიც აკროპოლისთან უხმობს ქალებს ათენის მოწინააღმდეგე ქალაქებიდან, მათ შორის – სპარტელ ლამპიტოს, ლისისტრატა სისხმლისმღვრელი ქაოსის შეჩერების მიზნით თანამშრომლობს ტროას ბანდის მეთაურის თანამზრახველ ინდიგოსთან. თანდათანობით, ლისისტრატეს პერსონაჟი სრულიად იცვლება. ის შინაგანად ძლიერდება და მიისწრაფვის მდგომარეობის გამოსწორებისაკენ. საბოლოო ჯამში, ის ნაკლებად ხდება დამოკიდებული ჩი-რაკზე, მაგრამ მაინც უყვარს და ენატრება იგი. და ამგვარი გრძელი გზის გავლის შემდეგ და შინაგანი ტრანსფორმაციის წყალობით, ლისისტრატა ახერხებს, მოერიოს საკუთარ თავს, შეკრიბოს ძლიერი ქალები, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეწყვიტონ ძალადობა.

თანამედროვე ცხოვრების რეალობიდან გამომდინარე, სპაიკ ლი იყენებს დამატებით ელემენტებს, როგორცაა სატელეფონო სექსოპერატორები და ლგბტ ჩართულობა ბანდების ომში; ამ გზით, მთლიანი სიუჟეტი სრულყოფილად შეესაბამება ჩიკაგოს თანამედროვე რეალობას.

საყურადღებოა ფილმის სხვა პერსონაჟებზე და მათ სიმბოლურ მნიშვნელობაზე დაკვირვება.

ერთ-ერთი ბანდის, „სპარტელების“ მეთაურს, რომელიც ლისისტრატეს რჩეული მამაკაცია, ფილმის მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, დემეტრიუსი ჰქვია, რაც, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ ააშკარავებს რეჟისორის სურვილს, რომ ბერძნული წარმოშობის ამ სახელით დააკავშიროს ფილმის სიუჟეტის ანტიკურ ნარატივთან, ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს „ტროელების“ მეთაურის მეტსახელი „ციკლოპი“, რომელიც ბერძნულ მითოლოგიასთან მიმართებებს უნდა ასახავდეს.

ამ პერსონაჟის შემოყვანით სპაიკ ლი ცდილობს, მეტი რეალიზმი შემოიტანოს ფილმში და თვალნათელი გახადოს ლისისტრატას მოტივაცია, სიკვდილი ააშოროს ახლობელ ადამიანს. ამავდროულად, რეჟისორს სურს, აჩვენოს ლისისტრატას შინაგანი ბრძოლა, რაც წინ უძღვის საყვარელ მამაკაცთან სიახლოვეზე უარის თქმას. ამავდროულად, თავად ჩი-რაკიც ნაწარმოების ბოლოს განიცდის შინაგან მეტამორფოზას. იგი აღიარებს 11 წლის გოგონას მკვლელობას და ინანიებს.

არისტოფანეს „ლისისტრატეს“ კინომატოგრაფიული გადამუშავებისას რეჟისორი ააშკარავებს საზოგადოების განახლების კოლექტიურ, ერთგვარ რიტუალურ ერთიანობას, რომელიც საფუძვლად უდევს არისტოფანეს კომედიას. ლის ფილმის ორი ცენტრალური პერსონაჟის, ლისისტრატესა და ჩი-რაკის, ტრანსფორმაცია ამის ცხადი მაგალითია. პროტესტით მოპოვებული წარმატება და ლისისტრატეს ევოლუცია ფილმში უფრო ნათლად არის ასახული, ვიდრე არისტოფანეს კომედიაში, რომლის პროტაგონისტი უკვე კომედიის დასაწყისშივე გვევლინება მიზანდასახულ და საკუთარი იდეის ერთგულ ქალად, რომელიც ბოლომდე ინარჩუნებს შინაგან სიმტკიცეს.

ასევე საყურადღებოა ფილმის ნარატორის, დოლომედესის მნიშვნელობა ფილმის სიუჟეტისთვის (მის როლს სამუელ ჯექსონი ასრულებს). თუკი არისტოფანესთან ჩვენ გვყავს ორი, მოხუცი კაცებისა და მოხუცი ქალების გუნდი, რომელიც ნაწილობრივ ასრულებს მთხრობელის როლს, ლის ფილმში სწორედ დოლომედესს აქვს აღებული ეს ფუნქცია. იგი არა მხოლოდ გვიხსნის ფილმში გადმოცემული ამბების შინაარსს, არამედ ურთავს საინტერესო კომენტარებსაც, რაც ზოგჯერ პარაბაზის ალუზიას ქმნის.

საგულისხმოდ გვეჩვენება, ამ თვალსაზრისით, დოლომედესის საკუთარი სახელი. საინტერესოა, რომ ეს სახელი (ბერძნ. Δολομήδης „მზაკვარი, ეშმაკი“) არც ანტიკურობაში და არც თანამედროვეობაში საკუთარ სახელად არსად გვხვდება, თუმცა მისი ბერძნული ეტიმოლოგია ამ საკუთარ სახელსაც, ჩვენი აზრით, სახელის „ლისისტრატეს“ მსგავსად, მეტყველ სახელთა რიგში აყენებს. საინტერესოა, რომ დოლომედესი არის წყლის ობობის ცნობილი სახეობაც, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკაშიც ბინადრობს. შემთხვევითად არ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ სწორედ ჩრდილოეთ ამერიკაში ბინადარი ამ ობობის ერთი სახეობა (*dolomedes tenebrosus*), რომლის მამრი ეგზემპლარები გამოირჩევიან განსაკუთრებული მტაცებლური და აგრესიული ხასიათით, მდებარეობსთან შეჯვარების შემდეგ ილუპებიან უცნობი მიზეზით (Steven, 2013).

მსგავსად არისტოფანეს კომედიისა, ფილმშიც ფიგურირებენ კონფლიქტის მონაწილე სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. კომედიაში ესაა მოხუც მამაკაცთა და და მოხუც ქალთა გუნდები, რომლებიც ახალგაზრდებთან შედარებით მეტ რადიკალიზმს იჩენენ. მაგალითად, როდესაც ქალები აკროპოლისზე გამაგრდებიან, მოხუცი მამაკაცების გუნდი მათ ჩირაღდნებით უტევს, რომ კვამლით გამოაძევეთ განძთასაცავიდან. ახალგაზრდებს ტოლს არ უდებენ მოხუცი ქალები, რომლებიც მოხუც მამაკაცებს, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ცივ წყალს გადაასხამენ.

ფილმშიც იუმორის დიდი ნაწილი მომდინარეობს მამაკაცისა და ქალის ორ თაობას შორის მუდმივი კონფლიქტიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ხანშიშესულ მამაკაცებს. ხანდაზმული კაცები არა მხოლოდ გამოდიან როგორც სექსისტები, ქალთმოდულეები, ისინი ასევე უარს ამბობენ ინციდენტში პასუხისმგებლობის აღებაზე და სექს-გაფიცვას განიხილავენ, როგორც უხერხულობას და შურისძიების ფორმას ახალგაზრდა მამაკაცების საქციელზე. ფილმი „ჩი-

რაკი“ სრულყოფილად ასახავს საზოგადოების თვისებას – აიღონ პასუხისმგებლობა პრობლემურ საკითხებზე. სპაიკ ლის არისტოფანეს მოხუც მამაკაცთა გუნდის შესაბამისი, მეორეხარისხოვანი პერსონაჟი შემოჰყავს – ბებერი ჰერცოგი, რათა დაამტკიცოს, რომ სამყარო უკეთესობისკენ არ შეიცვლება, თუ „ჩვენი პრობლემა“ არ გახდება „ჩემი პრობლემა“, სანამ საზოგადოების თითოეული წევრი, სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი არ აიღებს პასუხისმგებლობას (“Chi-Raq”, 1:06:35-1:06:47).

კიდევ ერთი საინტერესო მიმართება შეიძლება დავინახოთ ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟის, ირენესა და არისტოფანეს „ლისისტრატეში“ მშვიდობის პერსონიფიკაციას შორის. შემთხვევითი არ არის, რომ შვილმკვდარ დედას სწორედ ეს სახელი, ირენე (ბერძნ. Είρήνη „შვიდობა“) შეურჩიეს სცენარისტებმა, რითიც მიანიშნებს იმაზე, რომ მშვიდობას თანამედროვე სამყაროში უკლავენ „შვილს“, მის მომავალს. ირენეს შვილის მკვლელობა, რომელიც ფილმის დასაწყისშივე ხდება, მოქმედების შემდგომი განვითარებისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამის შემდეგ იწყება ლისისტრატეში ის მეტამორფოზა, რომელიც მას პროტესტის ლიდერობამდე მიიყვანს. საყურადღებოა, რომ ფილმი სრულდება ჩი-რაკის აღიარებით, რომ მან შემთხვევით მოკლა ირენეს შვილი და მზადაა, კანონის წინაშე პასუხი აგოს.

ფილმში კიდევ რამდენიმე პერსონაჟს ჰქვია ანტიკურობასთან დაკავშირებული სახელები. ესენია: ჰეკუბა (ლა ლა ანტონი, რომელიც გაფიცულ ქალთა გუნდის წევრია. ის არის ძლიერი, დამოუკიდებელი, სიმართლის მოყვარული ქალი, რომელიც მზად არის ბოლომდე იბრძოლოს ძალადობრივი ქმედებების წინააღმდეგ), ბაკხოსი (ისაი ვიტლოკის მონაწილეობით, რომელიც ხანდაზმულ მამაკაცთა ერთობის წევრია) და ოიდიპოსი (ვეიდ ვილსონის შესრულებით, რომელიც ასევე კრიმინალური დაჯგუფების წევრია).

როგორც წესი, გენდერული ატრიბუტების ხაზგასასმელად არისტოფანე ხშირად იყენებს არა მხოლოდ ე. წ. აშკარა სიმბოლოებს (ფალოსი, ქალების სიშიშვლე), არამედ სხვა, შედარებით ევფემისტურ ვარიანტებსაც. მაგალითად, მამაკაცების შემთხვევაში, ხშირად გვხვდება ტექსტში შემდეგი ფალიკური სიმბოლოები: ჯოხი, შუბი, ხმალი, კვერთხი, ჩირაღდანი. ამას თავად არისტოფანეს ტექსტი ადასტურებს, სადაც ერექციიაში მხილებული მაცნე ირწმუნება, რომ იგი მოსასხამის ქვეშ მაცნის კვერთხს მალავს (Aristophanes, 1994). ქალური სიმბოლოები (სამოსი, ჭურჭელი, თითისტარი, სუნამო) მთელ კომედიაში დომინირებენ მამაკაცურ სიმბოლოებზე და ერთგვარად მათ ჩანაცვლებას ცდილობენ. აკროპოლისის აღების შემდეგ ქალები დებენ ფიცს და ამისათვის არა ფარსა და შუბს, არამედ ღვინით სავსე თიხის ჭამებს იყენებენ (Aristophanes, 1994). მოხუცი ქალები წარმატებით იგერიებენ მოხუც მამაკაცთა გუნდს და მათ ჩირაღდნებს წყლით აქრობენ; ცოლი სხვადასხვა ხრიკით აცურებს და თავს არიდებს ვნებიან მეუღლეს (Aristophanes, 1994).

არისტოფანეს კომედიის ანალიზისას აღვნიშნეთ, რომ სქესთა შორის კონფლიქტის მეშვეობით იმიტირებულია და, ამავდროულად, არიდებულია უფრო მასშტაბური დაპირისპირება – პელოპონესის ომი.

საინტერესოა, რომ მსგავს სიმბოლოებს ფილმშიც ვხვდებით. მაგალითად, იარაღი ფილმში პირდაპირ არის დაკავშირებული როგორც სექსთან, ასევე ძალადობასთან. ეს ორი რამ მამაკაცის დომინანტობის გამომხატველია. იარაღით ჩადიან დანაშაულს. თავად ჩი რაკი თავის სასქესო ორგანოს ხშირად ადარებს პისტოლეთს. ფილმში არ არის არც ერთი კადრი, სადაც იარაღი ქალსაც უჭირავს. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალების მოთხოვნა – განაიარაღონ მამაკაცები, ნაწილობრივ, მამაკაცთა დომინანტობის დასასრულის დასაწყისია.

ენა, გამომსახველობითი ფორმები

სამართლიანად აღნიშნავს კეტრინ ჯონსი წიგნში „სექსი თუ სიმბოლო?“ საბერძნეთის და რომის ეროტიკული გამოსახულებები: „თუკი სექსუალური ხასიათის ხუმრობები და მინიშნებები სხვა კომედიებში გარკვეულწილად ჩარჩოებშია მოქცეული, ფრაგმენტულია და ნაწარმოების

სიუჟეტს ერთგვარად ხელუხლებელს ტოვებს, „ლისისტრატე“ არის მორცხვი ადამიანის კომპარი, რადგან ეს კომედია მთლიანად წარმოადგენს სექსუალურ ხუმრობას“ (Johns, 1982).

მართლაც, კომედია გაჯერებულია სექსუალური ხუმრობებით, რომლებიც ზოგჯერ უნმანური ლექსიკით, ზოგჯერ კი მახვილგონივრულ, ევფემისტურ სიტყვათა თამაშზეა აგებული. მაგალითად:

1. ლისისტრატეს და ქალთა ფიცი: „ვერაგინ, ვერც ქმარი და ვერც საყვარელი ვერ მომადგება ამდგარი...“ (არისტოფანე, 2011, გვ. 23);
2. ბერიკაცთა გუნდის კორიფეოსი: „ნეტავ გრიგალი ამოვარდეს,... მერე კი დაბლა ეს დედაკაცი წამოეცვას მოულოდნელად წვეტიან რამეს...“ (არისტოფანე, 2011, გვ. 72);
3. ათენელი შიკრიკი: „ნეტავ რას წრიალებ? ან ეგ მოსასხამი რათ გინდა, თუ გზაში უკვე დაგინყლულდა?...“ (არისტოფანე, 2011, გვ. 73);
4. შიკრიკი: „როგორ ვიქნებით? ქალაქში დავდივართ წელში გატეხილნი და ხელში გვიჭირავს სუყველას... ლამპარი.“ (არისტოფანე, 2011, გვ. 75).

ამ თვალსაზრისით ფილმი ერთგვარად აჭარბებს კიდევ არისტოფანეს კომედიას. უნმანურობა ისმის სიმღერებში, ლექსებში და დიალოგებში და ეს გასაკვირი არცაა, რადგან ფილმის პერსონაჟები მეტწილად კრიმინალურ სამყაროს მიეკუთვნებიან. უნმანურობა ისმის ქალების ლექსიკაშიც, რომლებიც საკუთარ მოთხოვნებს და ლოზუნგებსაც მათი ჩიკაგოელი პარტნიორი მამაკაცებისთვის გასაგებ, ქუჩურ ენაზე აყალიბებენ. საოცრად კომიკურია, როგორ განაიარაღა და ალყაში მოაქცია 75 ქალმა შეერთებული შტატების ადგილობრივი სამხედრო დანიშნულების პუნქტი, სადაც გადმოკიდეს საპროტესტო ლოზუნგი, რომელიც სიტყვების თამაშზეა აგებული: “No peace, no pussy. Lock it up” (Chi-Raq, 1:15:03; სიტყვასიტყვით: თუ არ იქნება მშვიდობა, არ იქნება ვაგინა. მსუბუქად რომ ვთქვათ – თუ არ იქნება მშვიდობა, არ იქნება სექსი).

არისტოფანესთან მამაკაცები გამოსახულნი არიან როგორც ცოლების და, ზოგადად, ქალების მიერ ადვილად მანიპულირებადი სულელები; „ლისისტრატეს“ კულმინაციური მომენტი ათენელი კინესიასის და მისი მეუღლის, მირინეს ეპიზოდი, როცა კინესიასს სურს მირინესთან დაწოლა, ხოლო ცოლი, ლისისტრატეს მითითებით, მუდმივად იგონებს მიზეზებს, რომ არ ჰქონდეს მასთან ინტიმური კავშირი.

მსგავსი იუმორითაა გაჯერებული მომენტი, როდესაც ფილმში ლისისტრატა მაღალჩინოსან მამაკაცს გაასულელებს და საცვლების ანაბარა დატოვებს, გაფიცულ ქალთა გუნდი კი ამ ყოველივეს თვალყურს ადევნებს და სასაცილოდ არ ყოფნით მამაკაცის უსუსურობა, მიამიტობა და მოუთმენლობა. მოგვიანებით კი ვხვდებით ერთ-ერთი ქალბატონის კომენტარს: “I put more nerves into a man’s thing than he ever did in his brain” (Chi-Raq, 1:03:07; შეიძლება ითარგმნოს შემდეგნაირად: მე უფრო მეტ ამაგს ვდებ კაცის სასქესო ორგანოში, ვიდრე თვითონ ის თავის ტვინში), რაც მეტყველებს ქალის მიერ მამაკაცის ინტიმური გზით დამორჩილების სიმარტივესა და თავად მამაკაცის სისუსტეზე. ლის აზრით, მამაკაცი უძლურია ქალის წინაშე და ის მარტივი სამართავია, რადგან ტვინის ნაცვლად ამ დროს მას მხოლოდ საკუთარი სექსუალური ფანტაზიები მართავს.

კომიკურ მომენტს ვხვდებით ასევე, როდესაც გაფიცული სექსმუშაკები და სტრიპტიზორები არ გამოცხადდებიან ბორდელოში, რაც მამაკაცთა მღელვარებას იწვევს. ფილმში ქალები არაერთხელ მიმართავენ ეშმაკურ ხერხებს, რათა კაცებისაგან თავი დააღწიონ. მიუხედავად იმისა, რომ ლი და უილმოტი არ ზღუდავენ მკრეხელური ენის გამოყენებას ისე, როგორც არისტოფანე, მათი აქცენტი ქორწინებებსა და მონოგამიურ ურთიერთობებზე მთელი ფილმის განმავლობაში ხელს უწყობს ჰეტეროსექსუალობას. იუმორისტულია ის სცენა, როდესაც ვნებამორეული მამაკაცები ცდილობენ, მეძავებისა და სტრიპტიზკლებების მომსახურება მიიღონ, თუმცა გაგებით ეკიდებიან მათ უარს, რადგან გაიგებენ, რომ ეს ქალები მათ ცოლებთან და საყვარლებთან ერთად გაფიცვას შეუერთდნენ.

გვექმნება ასეთი შთაბეჭდილება, რომ სპაიკ ლი ცდილობს, ფილმი „ლისისტრატას“ არა მხოლოდ შინაარსით, არამედ გადმოცემის ფორმითაც დაუახლოვოს. თითქოს კომედიის მეტრულ

საზომებთან მისაახლოებლად, ფილმში ხშირად გამოიყენება მუსიკა, ლექსი, რეჩიტატივი, რაც კარგად ჩანს რეპისა და ჰიპჰოპის ჟანრის სიმღერებსა და ფილმის საუნდტრეკებში. 127-ნუთიან ფილმში 51 ნუთი ჟღერს მუსიკა, სულ 13 სხვადასხვა სიმღერა, რომელთა შორის ყველაზე გრძელია რობერტ სილვესტერ ქელის „დაყარეთ იარაღი“.

სპაიკ ლიმ, არისტოფანეს მსგავსად, ლექსებით ასაუბრა თავისი გმირები. მხატვრულად გამოთქმული ღია ტექსტებით, რეჟისორმა ირიბად და, ამავედროულად, პირდაპირ შეძლო ესაუბრა მთავრობის კორუფციას, პოლიციის სისასტიკესა და კრიმინალურ ქაოსზე. რადგან გმირები ლექსად საუბრობენ, აშკარად ჩანს, რომ სპაიკ ლის სურს, არა მხოლოდ სიუჟეტურად მისდიოს არისტოფანეს კომედიას, არამედ ენობრივად დაუახლოვდეს კომედიის ტექსტს, რასაც წარმატებით ახერხებს კიდევ.

დასკვნა

ტექსტისა და ფილმის შედარების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სპაიკ ლიმ ინტერსემიოტიკური გაცვლის პროცესში არისტოფანეს ტექსტის კინომედიუმში გადატანისას ძირითადად შეინარჩუნა კომედიის სიუჟეტი, იდეა, მთავარი მოტივები, სიმბოლოები და ენობრივი სტილი. რეჟისორმა ოსტატურად მოარგო ეს ელემენტები თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს და დამატებითი, აქტუალური გზავნილები შემოგვთავაზა. მსგავსად არისტოფანეს გმირი ქალებისა, ლის პერსონაჟთა რადიკალიზმი არის მესიჯი და მოტივაცია ცვლილებებისთვის. დამატებით ლის ფილმში შემოდის ანტირასისტული მესიჯები, რომლებიც გვახსენებს, რომ „Black Lives Matter“ – შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია. ფილმში ასახული კრიტიკა მიმართულია როგორც სისტემის, ასევე თავად რასისტულად განწყობილი საზოგადოების მიმართ, რადგან როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ისე საზოგადოების წევრების ერთმანეთის მიმართ ძალადობის დროს შავკანიანთა სიკვდილი ნაკლებ ბოროტებად აღიქმებოდა.

უნდა ითქვას, რომ ორივე, ფილმიც და კომედიაც, ზრდის აუდიტორიის ცნობიერებას იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ყოველთვის, საუკუნეთა განმავლობაში, არისტოფანეს ეპოქაშიც და თანამედროვე მსოფლიოში აღელვებდა საზოგადოებას. ფილმი აღმოჩნდა ძალიან აქტუალური თანამედროვე სამყაროსთვის, რადგან ადამიანებმა დაინახეს არა მხოლოდ საზარელი რეალობა, არამედ – აქედან გამოსავალი. კომედიაც და ფილმიც არის იმ კოლექტიური სოლიდარობის დემონსტრაცია, რომელსაც შეუძლია მოიტანოს მშვიდობა.

განსხვავებით არისტოფანესგან, რომელმაც ქალების ყოვლისშემძლეობა დაუშვა საკუთარ ფანტაზიაში, ლიმ ეს ამბავი რეალისტურად, სრულიად შესაძლებლად მიიჩნია. ფილმში ჩვენ ვხედავთ ძლიერ და დამოუკიდებელ ქალებს, რომლებიც მზად არიან სერიოზული პოლიტიკური ცვლილებებისათვის, რისი მაგალითებიც არაერთხელ ყოფილა თანამედროვე მსოფლიოში.

ფილმში ლი აკრიტიკებს სამთავრობო სისტემას, რომელიც არ ეწინააღმდეგება იარაღით ვაჭრობას საკუთარი ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე. ფილმში წამოჭრილია უმუშევრობის პრობლემა, განათლების დაბალ დონესა და კლასთა შორის უთანასწორობა. პოლიტიკოსები არიან სასტიკად გაკრიტიკებულნი, რადგან ისინი არ აჩერებენ ამ სისხლისღვრას, რადგან თავად ნახულობენ ფინანსურ სარგებელს. ფილმში თავად ღმერთი გამოსახულია შავკანიანად და, ამავედროულად, მწვავედ გაკრიტიკებულია შავკანიანთა ყალბი ძმობა და მეგობრობა. ფილმში ასახულია კაცობრიობის ლტოლვა თვითგანადგურებისკენ “Save us from us” (გვიხსენ საკუთარი თავებისაგან) ფილმის ერთ-ერთი მესიჯია, სადაც სიყვარული ხსნის ერთადერთი გზა და ფილმის მთავარი მესიჯია – “Love wins” – სიყვარული გაიმარჯვებს (Chi-Raq, 2015).

ფილმი ასევე საყურადღებოა თავისი რელიგიური ქვეტექსტებით, რაც სამომავლო კვლევისთვის ძალზე საინტერესო საკითხია.

ღისა და არისტოფანეს ლისისტრატე ამტკიცებენ, რომ საზოგადოების ხსნა მიიღწევა ჯერ ინდივიდუალური, პიროვნული, შემდეგ კი კოლექტიური პასუხისმგებლობით. მხატვრულმა ფილმმა

ლის საშუალება მისცა, დაემტკიცებინა სატირის ეფექტურობა რეალობის შესაცვლელად, სადაც მთავარი მოტივი და ჩანაფიქრი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებია. შედეგად, ამ ფილმში მიზნები მიიღწევა ისეთი გზებით, რომლებიც დამაჯერებლად აქტუალური და ძალზე რადიკალურია, რაც აბსურდის თეორიად და მხოლოდ კომედიად გვეჩვენება არისტოფანესთან.

ამგვარად, მთავარ შეკითხვას, თუ რამდენად მოდერნიზებულია არისტოფანეს ტექსტის ძირითადი მნიშვნელობა, შეგვიძლია, ვუპასუხოთ შემდეგნაირად: ფილმი წარმოადგენს არისტოფანეს კომედიის ნაწილობრივი მოდერნიზაციის მაგალითს. თხზულების ტრანსკოდირებისას, მართალია, ფილმში იცვლება დრო-სივრცული კონტექსტი, მაგრამ შენარჩუნებულია ტექსტის ძირითადი ნარატიული სემანტიკა, რისი მაგალითებიც უხვად გვხვდება ფილმში.

იყო თუ არა ლის მიზანი, გაეცოცხლებინა ანტიკურობა თანამედროვეობაში? შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორმა ამ პასუხს თავიდანვე დადებითად უპასუხა, როცა განაცხადა, რომ ფილმი „ჩი-რაკი“ არისტოფანეს კომედიის მოტივებზე შექმნა. როგორც კვლევამ აჩვენა,

„ლისისტრატეს“ ტრანსკულტურიზაციის პროცესში სპაიკ ლიმ უფრო მეტად დაუკავშირა ფილმი ანტიკურ სამყაროს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით იყო მოსალოდნელი. შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორმა ვირტუოზულად შესრულებული, წარმატებული ექსპერიმენტი შემოგვთავაზა, რომლის საშუალებითაც თანამედროვე მაყურებელი დაუახლოვა ძველ კომედიას, თითქოს ახალი სული ჩაჰბერა არისტოფანეს ორიგინალურ სიუჟეტს, კომედიოგრაფოსის ფანტაზია რეალისტურ ამბად აქცია და ვინ იცის, იქნებ, ამით ახალი მკითხველიც შემატა არისტოფანეს და ზოგადად ანტიკური სამყაროს შედეგებს.

ლიტერატურა:

- არისტოფანე** (2011). კომედიები, ლევან ბერძენიშვილის თარგმანი, ტ. IV, მეოთხე გამოცემა, თბილისი: ლოგოს პრესი.
- სპაიკ, ლ.** (რეჟისორი). 2016. ჩი-რაკი (ფილმი). Lions Gate Entertainment, კალიფორნია. <https://www.fmovies.co/film/chi-raq-7557/>
- Agbedahin, K.** (2014). "Interrogating the Togolese historical sex strike." *International Journal on World Peace* 31.1: 7.
- Anderson, G. L.** (1994). "Women and peace, a bad treaty, and the collapse of complex societies." *International Journal on World Peace* 31.1 (2014): 3-6.
- Aristophanes** (1994). *Lysistrata*. New York : Dover
- Baron R. J.** (2001). *Tricksters and Typists; 9 to 5 as Aristophanic Comedy in: Classical Myth and Culture in the Cinema*, edited by Martin B. Winkler, Oxford University Press, (172-192)
- Butty, J.** (2012). "Togo Opposition Leaders Call for Week-Long Sex Strike." VOA, Voice of America (VOA News), 29 Aug. <https://www.voanews.com/a/togo-women-sex-strike/1496144.html>.
- Du , C.** (2016). "Get in Formation, This Is an Emergency: The Politics of Choral Song and Dance in Aristophanes' *Lysistrata* and Spike Lee's *Chi-Raq*." *Arion: A Journal of Humanities and the Classics* 24.1 (2016): 21-54. Web. 6 Dec.
- Einhorn, E.** (2016). *Lysistrata*, <http://www.lysistratascript.com/script/scene-1.html>.
- England, P.** (2010). The Gender Revolution: Uneven and Stalled. *Gender & Society*, 24(2), 149-166. <https://doi.org/10.1177/0891243210361475>
- Hardwick, L.** (2005). *Refiguring Classical Texts: Aspects of the Postcolonial Condition*, In B. Goff (ed), *Classics and Colonialism*, 107-117, London, Gerlad Duckworth and Co Ltd
- Holmes, J. S.** (1972). *The Name and Nature of Translation Studies*. *Papers on Translation and Translation Studies*. 67-80, Amsterdam: Rodopi
- Johns, C.** (1982). *Sex or Symbol? Erotic images of Greece and Rome*: Routledge, p. 90
- Klein, E.** (2020). "Seductive Movements in *Lysistrata* and Spike Lee's *Chi-Raq*: Activism, Adaptation, and Immersive Theatre in Film." *Adaptation* 13.1: 59-76.

- Kotini, V.** (2010). Aristophanes's Response to the Peloponnesian War and the Defeat of the Comic Hero, *Alif: Journal of Comparative Poetics*, N 30, Trauma and Memory, pp134-135 (pp. 134-149).
- Levinson, M. H.** (2020). FROM ARISTOPHANES TO STEPHEN COLBERT: TIME-BINDING WESTERN SATIRE. *ETC.: A Review of General Semantics*, 77(3-4), 224-232.
- M. by I. S.** (2012, July 31). *How Liberian women organized a sex strike and helped end a war*. Inclusive Security RSS. Retrieved October 25, 2022, from <https://www.inclusivesecurity.org/2012/07/31/how-liberian-women-organized-a-sex-strike-and-helped-end-a-war/>
- Michelakis P.** (2013). *Greek Tragedy on Screen*, Oxford: Oxford University Press. Phoenix Press.
- Morales, H.** (2013). "Aristophanes' Lysistrata, the Liberian 'sex strike', and the Politics of Reception." *Greece & Rome* 60.2 : 281-295.
- Stark, C.** (2018). "Lysistrata(s): Aristophanes and Spike Lee." *Classical Receptions Journal* 10.3: 249-274.
- Steven, K.** (2013). "Spontaneous male death and monogyny in the dark fishing spider; vol. 9 no. 420130113. <http://rsbl.royalsocietypublishing.org/content/9/4/20130113.long>.
- Taylor, Ch.** (2016). "Film In Review." *The Yale Review* 104.3: 177-192.
- Tisdall, S.** (2022). "Iran's brave young women must break their own chains. The west won't help". *The Guardian*. Archived from the original on 8 October 2022. Retrieved on October 2022. <https://www.theguardian.com/world/2022/oct/08/irans-brave-young-women-must-break-their-own-chains-the-west-wont-help>
- Tollenaar, K.** (2019). "Rereading Thucydides: Where Are the Women?" *The Strategy Bridge*, *The Strategy Bridge*, 8 Oct. <https://thestrategybridge.org/the-bridge/2019/10/8/rereading-thucydides-where-are-the-women>.
- Wasson, D. L.** (2022). "Lysistrata." *World History Encyclopedia*, <https://www.worldhistory.org>
- "Spike Lee Satire Chi-Raq Tackles Gun Violence with Update on Lysistrata CBC News." (2016) *CBC news*, CBC/Radio Canada, 21 Mar., <https://www.cbc.ca/news/entertainment/spike-lee-chi-raq-1.3500681>.
- "The Peloponnesian War." *National Geographic Society*, <https://education.nationalgeographic.org/resource/peloponnesian-war>.
- "Togo Women Call Sex Strike against President Gnassingbe." (2012) *BBC News*, BBC, 27 Aug. <https://www.bbc.com/news/world-africa-19389625>.

გენდერი და იდენტობის პოლიტიკა საბჭოთა საბავშვო მხატვრულ ლიტერატურაში

Gender and Identity Politics in the Soviet Children's Literature

თამარ ნამგლაძე

Tamar Namgladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

შესავალი

ჰომოსოციეტის ფორმირება ქალის როლის გადააზრებასაც გულისხმობდა. ქალები(ც) უნდა ჩართულიყვნენ სოციალიზმის მშენებლობის პროცესში. შესაბამისად, უნდა შეცვლილიყო ქალების მდგომარეობა/როლი სოციუმში, ერთი მხრივ, და მათი აღქმა/თვითაღქმა, მეორე მხრივ. იმისათვის, რომ ამ ცვლილებას ემოქმედა მომავალ თაობაზე, ზეგავლენის ერთ-ერთ საშუალებად საბავშვო მხატვრული ლიტერატურა გამოიყენებოდა. ამ გზით, ბავშვებს მიეწოდებოდათ ქალის და სოციუმში მისი როლის ახლებური გააზრება (ჰომოსოციეტის სხვა მახასიათებლებთან ერთად). მკითხველის ასაკიდან გამომდინარე, მოცემული იყო არა მხოლოდ ქალის, არამედ გოგოს სანიმუშო ხატებიც. აღნიშნულ იდეოლოგიურ ზეგავლენაზე ქართული და რუსული კულტურების პასუხი განსხვავდება. ამის მიზეზი კონკრეტული კულტურის ბირთვში არსებული ფასეულობებია. სწორედ ამ ფასეულობებმა განაპირობა რეაქცია არსებულ ზეგავლენაზე.

კვლევაში გაანალიზებულია შემდეგი ნაწარმოებები: „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (ვ. ოსეევა, 1947-1951), „დაშნა“ (ა. რიბაკოვი, 1948), „ბრინჯაოს ფრინველი“ (ა. რიბაკოვი, 1955-1956), „ათფურცლიანი რვეულები“ (ე. ყიფიანი, 1956), „როცა მთავრდება ბავშვობა“ (ალ. ჩხაიძე, 1956), „მონაფის დღიური“, „კორეელი გმირები“ (ნ. ნაკაშიძე, 1957), „იყალთოელი ბიჭები“ (ლ. მრელაშვილი, 1957), „უთაური ბიჭის კახას თავგადასავალი“ (ო. იოსელიანი, 1960), „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“ (ი. ტომინი, 1962), ხუთი რობინზონი (პ. კატაევი, 1963). არსებული ფორმატიდან გამომდინარე, მოცემულ ტექსტში განხილულია მხოლოდ ის უმთავრესი განსხვავებები, რომლებიც გამოვლინდა ქართულ საბავშვო ნაწარმოებებში რუსულ ნაწარმოებებთან შედარებისას. შესაბამისად, აღარ არის მოტანილი მაგალითები რუსული ნაწარმოებებიდან. როგორც ქართულ, ისე რუსულ ნაწარმოებებში იკვეთება ქალის შემდეგი როლები: 1. მებრძოლი 2. პიონერი, რგოლის ხელმძღვანელი, პიონერხელმძღვანელი 3. დედა.

მებრძოლი – გოგო ან ახალგაზრდა ქალი მებრძოლის როლში. მსგავსი პერსონაჟის და-ნიშნულება გმირის ხატის შექმნაა, რომელიც კონკრეტულად გოგოებზე ზემოქმედებისთვის არის გამიზნული. „მებრძოლი“ ხშირად გვხვდება ომის შემდგომ რუსულენოვან ნაწარმოებებში. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს ვ. ოსეევას „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“. ნაწარმოებში ქალ მებრძოლსა და კომკავშირელს შორის კავშირს უსვამს ხაზს პერსონაჟი ტანია – ვასიოკის მეზობელი და მეგობარი. ძალიან ჩუმი და მორიდებული გოგო ჯერ კომკავშირში განწევრიანდება, ომის დაწყების შემდეგ კი წითელარმიელი გახდება და პარტიზანებს შეუერთდება.

კვლევის ფარგლებში განხილულ ქართულ საბავშვო ლიტერატურაში ქალი-მებრძოლი შედარებით უფრო იშვიათია. ამ მხრივ თვალშისაცემია ნ. ნაკაშიძის მოთხრობა „კორეელი გმირები“. მოთხრობაში ასევე მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მტრის ხატი – ხაზგასმულია ამერიკელების სისასტიკე, დამცინავი დამოკიდებულება კორეელების მიმართ. მტრის ხატი გაცხილებით მკაფიოდ

ჩანს პოლკოვნიკისა და დატყვევებული კორეელი პილოტის საუბრისას. აღსანიშნავია, რომ პილოტი არის ახალგაზრდა კორეელი ქალი, რომლის თვითმფრინავს ამერიკელები ჩამოაგდებენ. ის, რომ მფრინავი ახალგაზრდა ქალია, პოლკოვნიკს ახალისებს. ქალი ტირის და პოლკოვნიკი, როგორც უფროსი, დამრიგებლურად ესაუბრება:

„ხომ ხედავ, კიმ ენ სინ, მეორე რანგის პილოტო, რომ შენი ქვეყანა განადგურებულია, შენი მთავრობა ახლა შენისთანა პატარა გოგონებს აგზავნის ჩვენთან, ამერიკელებთან, საომრად, იმის მაგივრად, რომ ქედი მოიხაროს და შებრალება გვთხოვოს...“ (ნაკაშიძე, 1957: 231) და უმატებს, რომ კი არ დახვრეტს, არამედ საკუთარ განკარგულებაში დატოვებს, როგორც პატარასა და გამოუცდელს. მაგრამ ქალი პასუხობს: „*მე ვგვიჩი იმიტომ, ხომ ვეჩ გავამაჩთღე ჩემი ძვირფასი ბედადის კიმ იხ სენის დავადება*“ (ნაკაშიძე, 1957: 231).

აღშფოთებული პოლკოვნიკი ქალს სიკვდილით აშინებს. საბოლოოდ კი მისი დახვრეტის ბრძანებას გასცემს. ქალი სიკვდილის წინ ამბობს:

„- ამერიკელებო, იცოდეთ, სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ! იცოდეთ, კორეელი ხალხი გაიმარჯვებს! მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე!...“ (ნაკაშიძე, 1957: 231) და „- კორეავ, ჩემო სამშობლოვ, შენი თავისუფლებისთვის...“ (ნაკაშიძე, 1957: 231)

ამ მონაკვეთებში სამი მნიშვნელოვანი აქცენტი დასმული: პირველი, მტრის ხატი; მეორე, გენდერული საკითხი; მესამე, ბელადის თაყვანისცემა, რომელსაც მოჰყვება სამშობლოსთვის თავგანწირვა.

პიონერი, რგოლის ხელმძღვანელი ან პიონერხელმძღვანელი – ეს როლ(ებ)ი საბჭოთა საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ გვხვდება საყურადღებო განსხვავება – რუსულ ნაწარმოებებში გოგონები ამ როლ(ებ)ში სრულიად სერიოზულად და ანგარიშგასანევად არიან აღქმულნი („ვასილკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, „დაშნა“, „ბრინჯაოს ფრინველი“); მსგავსი დამოკიდებულება კი არც ისე ხშირია ქართულში. კვლევაში განხილულ ქართულ ნაწარმოებებში გოგონები ხელმძღვანელის როლში არასერიოზულად, ირონიულად არიან აღქმულნი ბიჭების მხრიდან. ხელმძღვანელი გოგოს დაცინვაც სრულიად დასაშვები და ჩვეულებრივი ქცევაა. რაც შეეხება პიონერ გოგოს, პიონერი ბიჭების მხრიდან ის საერთოდ არ აღიქმება თანასწორად.

მაგალითად, ე. ყიფიანის ნაწარმოებში „ათფურცლიანი რვეულები“, ერთ-ერთი ამბავი „მეტოქეები“ („ათფურცლიანი რვეულები“ სტრუქტურულად მოთხრობებისგან (მოსწავლეების საშინაო დავალებებისგან) შედგება; ამ მოთხრობებს კი მასწავლებლის კომენტარები და მისი ცხოვრებისეული ისტორია აერთიანებს). სწორედ „მეტოქეები“ (მოსწავლე მზია კვესელავას საშინაო დავალება) ასახავს პიონერის ცხოვრებასა და გენდერულ საკითხს. მოთხრობის მიხედვით, ზაფხულში თბილისში დარჩენილი ბავშვებისთვის პიონერთა ბანაკი გახსნეს. ამ ბანაკში მზია გაიცნობს ბიჭს – ბუბას. ბუბა გულღრძო, უკმეხი და გოგონების მოძულეა, თუმცა არც ბიჭებთან აქვს კარგი ურთიერთობა. ბანაკში აცხადებენ შეჯიბრს, გამარჯვებულ ოც პიონერს კი ტურისტულ ლაშქრობაში წაიყვანენ. ბუბას ამ ჯგუფში მოხვედრის შესაძლებლობა თითქმის არ აქვს, რადგან ბანაკის ყველაზე კარგ სპორტსმენთან – ბაკურთან აქვს კონფლიქტი. სწორედ ამ კონფლიქტის გარშემო ვითარდება მოქმედება. მზია თავიდანვე აღნიშნავს, რომ სჯერა, ბუბასნაირი ადამიანის შეყვარებაც შეიძლება, მხოლოდ გულთბილად და ყურადღებით მოჰყრობა არის საჭირო. მოქმედების განვითარებასთან ერთად, მზია სულ უფრო და უფრო ღელავს ბუბაზე. ბაკურს და ბუბას ჯართის მომგროვებელი რაზმის ხელმძღვანელებად დანიშნავენ, რითიც მეტოქეობა ახალ გაგრძელებას პოულობს. მზია ბუბას რაზმში აღმოჩნდება და ყველანაირად ცდილობს, დაეხმაროს. „*იქნებ ბუბამ გამოიჩინოს თავი, ვფიქრობდი მე, იქნებ აღიდგინოს თავისი გატყვევებული სახელი?*“ (ყიფიანი, 1974: 380). ბუბა თავის რაზმის წევრებს ემუქრება კიდევ, რომ არ უნდა დააღალატონ, თორემ ხომ იციან მისი ამბავი! მისი ჯგუფის წევრი ბიჭი კი ამშვიდებს: „*ბაკურს სამი გოგო ჰყავს რაზმში, ჩვენ კი მხოლოდ – ორი, რა თქმა უნდა, ვაჭობებთ, – თქვა მიტომ*“ (ყიფიანი, 1974: 381), რაზეც ბუბა პასუხობს, რომ ზოგიერთი ბიჭი გოგოსავით დოყლაპია. მიუხედავად ამ დამოკიდებულებისა, გოგონები აქტიურად მუშაობენ, ჯართის

შეგროვების მიზნით სარდაფებსა და ეზოებს ათვალიერებენ. თუმცა საწყობის გამგე დასცინის კონსერვის ქილების მიტანის გამო, შემდეგ კი ირონიულად ახსენებს ამ ამბავს რამდენჯერმე. ამის გამო ბუბასგანაც იღებენ უხეშ შენიშვნას. მიუხედავად უხეშობისა, მზია ბუბას ქცევის გამართლებას ყოველთვის ახერხებს. როდესაც ბუბა ვარძიასა და თამარ მეფის საფლავზე აღელვებით საუბრობს, მზია დაასკვნის, რომ ბიჭი ქალაქში კი არა, მთებში ან მიუვალ კლდეებში უნდა დასახლებულიყო; სწორედ ეს იყო მისი უხასიათობის მიზეზი.

ერთხელაც აღმოჩნდება, რომ ბუბას რაზმმა გაუსწრო ბაკურის რაზმს. თუმცა წარმატების მიზეზი ბაკურის ავადმყოფობაა – უკვე ხუთი დღეა, რაც წევს. საწყობის გამგე ამბობს: „*მხოლოდ ის საცოდავი გოგოები დადიან – გაელიმა გამგეს და ეთერს მიუბრუნდა. – კონსერვის კოლოფების გარდა, ვერაფერი მოაქვთ. რა თქმა უნდა, აჯობებთ, მით უმეტეს, თქვენს რაზმში ორი ბიჭია*“ (ყიფიანი, 1974: 395).

მზია ჯერ ნირნამხდარია წარმატების მიზეზის გამო, თუმცა შემდეგ გამხიარულდება, რადგან ახლა ბუბა ნამდვილად წავა ლაშქრობაში. ბუბას კი პირიქით, აღარ უხარია წარმატება. ერთ დღესაც მზია გაიგებს, რომ ბუბა, ყველასგან უჩუმრად, აგროვებს ჭართს და ბაკურის რაზმის სახელზე აბარებს. ამ შეხვედრისას ბუბა მზიას უხეშად ეპყრობა: „*მანდ დამიცადე-მეთქი! – რატომღაც დამიღრიალა*“ (ყიფიანი; 1974: 396), „*შენი საქმე ახ ახის!* – ცივად მომიგო მან“ (იგივე; იქვე). „– ხმა ჩაიკმინდე-მეთქი, ხომ გესმის? – დამემუქრა ბუბა.“ (იგივე; იქვე). გულნატკენი მზია ბუბას კოლექტივის ლაღატში სდებს ბრალს, მაგრამ ბუბას საწყობის გამგე იცავს: „– არა, ბიძიკო, სცდები, – ნიშნის მოგებით მითხრა გამგემ, – ეს ლაღატი კი არა, ნამდვილი მეგობრობაა. ასეთები უნდა იყოს ყველა! – და თითი ბუბასკენ გაიშვირა“ (ყიფიანი, 1974: 396). გარეთ გამოსული მზია, მიუხედავად იმისა, რომ გულში ლანძღავს ბუბას, საკუთარი თავისთვის მოულოდნელად წამოიძახებს: – რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, ბუბა!

ბუნებრივია, ბაკურის რაზმი გაიმარჯვებს. ბუბას მოთხოვნით, ბავშვები არ გაამხელენ მის საქციელს. ბუბა თბილისში რჩება. მნიშვნელოვანია, რომ მზია, რომელსაც მოპოვებული ჰქონდა ლაშქრობაში წასვლის უფლება (მისმა კედლის გაზეთმა ყველას აჯობა), საკუთარი სურვილით დარჩება თბილისში. მოთხრობის ბოლოს ის და ბუბა ტირში მიდიან.

საყურადღებოა ქეთევან მასწავლებლის შეფასება: „*ღიღი სიყვარულის დასაწყისია მზიასა და ბუბას მეგობრობა*“ (ყიფიანი; 1974: 398).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზოგადი დამოკიდებულება გოგოების მიმართ ასახულია როგორც მამაკაცი პერსონაჟების მხრიდან, ისე თავად ქალების (გოგოების) თვითაღქმით (თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მოთხრობის ავტორი მამაკაცია). პერსონაჟების კუთხით იკვეთება:

1) ბუბა: საყურადღებოა, რომ ამ პერსონაჟს ურთიერთობების პრობლემა ზოგადად აქვს. ამიტომ არ არის გასაკვირი მისი მხრიდან მზიას დამცირება, მაგრამ გასათვალისწინებელია მიტოს ნათქვამიც და საწყობის გამგის მოსაზრებებიც. ამ პერსონაჟების დამოკიდებულებები უკვე საჭიროს ხდის გენდერული საკითხის განვრცობას.

2) საწყობის გამგე: გოგოების მიმართ არის გამოკვეთილად დამცინავი. გაურკვეველია, თუ რატომ არიან გოგოები საცოდავები (ფრაზა – მხოლოდ ის საცოდავი გოგოები დადიან). შინაარსის მიხედვით, გოგოებს არაფერი შესაცოდი არ დამართნიათ, მხოლოდ ბაკური არის ცუდად, მაგრამ საწყობის გამგის აზრით, საცოდავები არიან, რადგან ბიჭი აღარ არის რაზმში. კონსერვის ქილები ხუმრობისა და გოგოების შესაძლებლობების ხაზგასმის განმეორებად თემად იქცა. ბუბას ფარული საქციელის გამჟღავნების შემდეგ მზიას „ნიშნისმოგებით“ უხსნის მდგომარეობას, რადგან მზიას (მისი აზრით) უჭირს სიტუაციაში გარკვევა. ბუბას კი ყვირილის და უხეშობის გამო (ხმა ჩაიკმინდე, შენი საქმე არ არის და ა.შ.) შენიშვნას არ აძლევს. პირიქით, ისევ მზიას არიგებს, რადგან, მისი აზრით, გოგო სცდება და ვერ ხვდება, რა არის ნამდვილი მეგობრობა (თუმცა საინტერესოა, როგორი შეფასება იქნებოდა, რომელიმე გოგოს საკუთარი რაზმისგან ფარულად სხვა რაზმისთვის რომ შეეგროვებინა ჭართი; ბუნებრივია, იმავე მიზეზის გამო).

3) მზია: მზიას რეაქცია ბუბას ქცევაზე მაჩვენებელია, რომ მსგავსი დამოკიდებულება გოგოებისადმი დასაშვებია და ჩვეულებრივად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ მზიას ბევრჯერ სწყინს ბუბას უხეშობა, მაინც ყოველთვის პოულობს ბიჭის ქცევის გამამართლებელ არგუმენტს. მზიასთვის მთავარია ბუბას სურვილის ახდენა, რისთვისაც ძალებს არ იშურებს. იმის შემდეგაც კი, რაც ბუბა უყვირებს და ტირილამდე მიიყვანს, მზია მაინც მისი კარგი ბიჭობით არის აღფრთოვანებული (რადგან მეგობარს დაეხმარა). დამცირება უკვე დავინწყებულია. რადგან ბუბამ ვერ მოიპოვა ლაშქრობაში წასვლის უფლება (რისი მიზეზიც მისი გადანწყვეტილება იყო), მზია საკუთარი შრომით მოპოვებულ ჯილდოზეც ამბობს უარს და თვითონაც აღარ მიდის ლაშქრობაში. ერთგვარი თავგანწირვა, რომელიც მზიას, როგორც „კარგი გოგოს“ სტატუსს უსვამს ხაზს.

4) მასწავლებლის დასკვნა: ქეთევან მასწავლებლის მოსაზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ყოველი დავალების (მოთხრობის) შემდეგ ის თითქოს თავისებურ შეჯამებას აკეთებს, თავის აზრს გამოთქვამს და მკითხველის აღქმის მიმართულებას განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში ქეთევან მასწავლებლის რეაქცია ცალსახად დადებითია. მისი აზრით, ეს მეგობრობა დიდი სიყვარულის დასაწყისია (თუმცა სიყვარულზე მინიშნება მხოლოდ მზიას მხრიდან არის, ბუბა მხოლოდ იმუქრება და უხეშობს). ის ფაქტი, რომ მასწავლებელიც ბუბას დამოკიდებულებას არა მხოლოდ დასაშვებად, არამედ სიყვარულის დასაწყისად მიიჩნევს, ასახავს კონკრეტული გენდერისთვის მიღებული ქცევებისადმი თავად ქალის დამოკიდებულებას (ბიჭმა შეიძლება იყვიროს და დაამციროს გოგო; გოგომ უნდა მოითმინოს, ბიჭის ხასიათისა და ქცევის ფსიქოლოგიური მხარე დაინახოს, დაეხმაროს მას და იზრუნოს მასზე, დააფასოს მისი ქცევა და „თუ საჭიროა“, თავის სურვილებზე ან მიღწევებზე უარიც თქვას). იმის გათვალისწინებით, რომ ავტორი მამაკაცია, ეს შეიძლება იყოს მამაკაცის ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს ქალი/გოგო. თუმცა, სწორედ ეს აზრი მიეწოდება მკითხველს და ამ აზრთან ერთად ღირებულებები და ქცევის მოდელები. ხოლო მსგავსი ღირებულებების/ქცევის მოდელების ხშირი განმეორება-მიწოდება სხვადასხვა მედიუმის (კვლევის შემთხვევაში ნაწარმოებების) საშუალებით, აყალიბებს გენდერულ ხატებს, სტერეოტიპებსა და კონკრეტულ მოთხოვნებს ქალის/მამაკაცის მიმართ.

ნაწარმოებში „როცა მთავრდება ბავშვობა“ (ალ. ჩხაიძე) გენდერული საკითხი განსაკუთრებით მკაფიოდ სწორედ ზალიკასა და მისი კლასელი მაიას მეტოქეობით არის გამოკვეთილი. პირველივე შეხვედრისას ზალიკა აითვალწუნებს მაიას, რადგან მაია არ არის დამთმობი და მორიდებული. საუბრისას მარტივად ჯაბნის ბიჭებს, იცავს საკუთარ აზრს. მაია, ამავდროულად, სპორტულია, კარგად თამაშობს ფრენბურთს და შესანიშნავად ცურავს (ზალიკა და თამაზი გაეჭიბრებიან, მაგრამ ვერ აჯობებენ). კლასშიც მოსდით შელაპარაკება მაიასა და ზალიკას. აღსანიშნავია, რომ ამ ხასიათის გამო მაიას ეზოში ქალაბიჭას ეძახიან. ლოგიკური იქნებოდა, ასეთი აქტიური, ინიციატივიანი, დამოუკიდებელი, ბიჭების თანასწორად წარმოჩენილი პერსონაჟი რეალიზებული ყოფილიყო თავის სოციალურ გარემოში. თუმცა, მაიას რეალიზება სხვის მოვლა-პატრონობაში გამოიხატება. მაია ჰამლეტ ბეგიშვილის ახლო მეგობარი გახდება, მაგრამ მათი მეგობრობა უფრო დედა-შვილურ ურთიერთობას წააგავს: მაია ჭკუას არიგებს ჰამლეტს, ურჩევს სახელის გამოცვლას, სახელსაც მაია სთავაზობს, მიჰყავს კინოში და კინოდან სახლამდეც აცილებს. ანუ გოგოს აქტიური ხასიათი ისევ სხვაზე მზრუნველობასა და მოვლაში გამოიხატება და არა რაიმე სხვა სახის, თუნდაც სოციალურ აქტივობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალისთვის უმთავრესი როლი არის დედობა. მიუხედავად იმისა, არის თუ არა გოგო „ქალაბიჭა“, საბოლოო ჯამში მთელი მისი ენერჯია ისევ სხვაზე ზრუნვისკენ არის მიმართული, სხვაზე მზრუნველობაში რეალიზდება.

6. ნაკაშიძის ნაწარმოებში „მონაფის დღიური“ მნიშვნელოვანი საკითხია საზოგადოების დამოკიდებულება გოგოს/ქალის მიმართ. ეს თემა უფრო მეტად არის გამოკვეთილი ორი პერსონაჟის – ირინე ლაკანაურისა და ლალი მალიძის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ორივე სანიშნავი მოსწავლეა, მაგრამ სხვა მხრივ ერთმანეთის ანტიპოდებს წარმოადგენენ. ირინე ბიჭებისთვის

იდეალს წარმოადგენს, თავისი ულამაზესი გარეგნობით ყველას ხიბლავს, მთავარი პერსონაჟი – ალიკო კი მისით მოჭადოებულა. ირინეს გამო ალიკო ლალის – თავის უახლოეს მეგობარსაც კი ჩამოშორდება. მიუხედავად იმისა, რომ გოგოები კარგად სწავლობენ, მათი სამომავლო გეგმები განსხვავდება. ირინე სპეციალობის არჩევას არ აპირებს, რადგან საოჯახო საქმეები უყვარს. მართალია, ირინეს დედას უნდოდა, რომ შვილი ექიმი გამოსულიყო, როგორც თვითონ, მაგრამ გოგონას მყარი არგუმენტი აქვს: „ოჰ, დედიკო, მეც ხომ ექიმი გამოვიდე, ვინ იოჯახებს? მაშინ ხომ ყველა უსადიდოდ დავჩეხებოდით (ნაკაშიძე; 1957: 189). ირინეს უსაყვარლესი საქმე დიასახლისობა და სუფრის გაშლაა. როდესაც ყველა აღფრთოვანებულია მყინვარწვერის სილამაზით, გულგრილად ამბობს, არც კი გამიხედავს იქითო; მაგრამ ბოსტნისა და კოლმეურნეების დანახვა გამოაცოცხლებს, რადგან იქ ყვავილოვანი კომბოსტო მოყავთ, მას კი ძალიან უყვარს კარაქით გაკეთებული ყვავილოვანი კომბოსტო. შემდეგ ყველას ურიგებს თავის გამომცხვარ ქაღებებს და: „მე ვხედავდი, დიხექტოხმა ხოგოხი სიამოვნებით გამოაჩთვა იჩინეს ქადა და ამხანაგებს მიაწოდა და ხოგოხი სიამოვნებით და კმაყოფილებით გამოაყოდა ყველამ თვალი“ (ნაკაშიძე, 1957: 184)

ალიკოც იზიარებს აზრს, რომ ქალს სპეციალობა არ სჭირდება. ამ საკითხის შესახებ მეგობრებთანაც აქვს საუბრები: „აჩაფეხი საინგეხესო აჩ აჩის, ხომ ქაღიც და კაციც, ყველა მეცნიეხი იყოს. შენ ნახე, დაკანაუხს ხა დამაზად აქვს ყვედაფეხი მოწყობილი სახეღში. თვითონაც დამაზია... ამასთან ჭკვიანია...“ (ნაკაშიძე; 1957: 198) – ამბობს ალიკო და თან სინდისის ქენჯნას გრძნობს, რადგან ჭკუა არ არის ირინეს უპირატესობა. მაგრამ ალიკოსთვის დიასახლისობაა ამოსავალი წერტილი და ეუბნება კიდევ მეგობარ ათანასეს: „ათანასე, – ვუთხარი მე, – მართალი მითხარი, შენ გინდა მათემატიკოსი ცოლი გყავდეს?“ (ნაკაშიძე, 1957: 198)

ასევე, ლალისთან ცხოვრებასა და პროფესიებზე საუბრისას (სანამ ჯერ კიდევ მეგობრობდნენ), ლალი ამბობს, რომ ისეთი სპეციალობა უნდა აირჩიოს, რომელიც სამშობლოს გამოადგება, ე. ი. რითიც მეტ სარგებლობას მოუტანს ხალხს. ალიკო ეკითხება, ნუთუ მთელი ცხოვრება სწავლას აპირებო? ლალის აკვირვებს კითხვა, ჯერ ხომ არ ვარ დიდი ხნისო და კითხვას შეუბრუნებს: განა შენ არ აპირებ მეცნიერ-გეოლოგობასო? ალიკო პასუხობს, რომ ის კაცია და მას პროფესორობა უნდა. თურმე, მზიასაც უნდა პროფესორობა. ამაზე ალიკო ამბობს:

“– შენც? აბა, რა ქალის საქმეა პროფესორობა? [...]

– მაშ რა არის, შენი აზრით, ქალის საქმე?

– ქალის საქმე? აი, ოჯახში... მშობელთა კომიტეტში, როგორც დედაჩემი... მე სრულიადაც არ მომწონს ირბინოს ქალმა აქეთ-იქით, როგორც ჩემი დეიდაშვილი ასპირანტი ანიკო დარბის და სულ წიგნს ჩასჩიჩინებს“ (ნაკაშიძე, 1957: 141).

მნიშვნელოვანი მონაკვეთია ალიკოსა და ლალის ჩხუბი. ალიკომ გოგო თმით ითრია და შეაჯანჯლარა. ლალი ნაიქცა და გასისხლიანდა, მაგრამ წამოდგა, დაენია ალიკოს, გამოლანძღა და სახეში ორი სილა გაანწა. ამის შემდეგ ალიკო ფიქრობს: „ჩაგომ, ჩაგომ მცემა, – მტკიოდა გული, – [...] ხა ვუყოთ, ხომ ცუდად მოვექეცი... აჩა, აჩა, აჩ უნდა მეკადეხებინა... მაგჩამ... მასაც განა არ უნდა მოეთმინა? – და პირველად გამიელვა თავში, – მეც უნდა მომეთმინა თუ რა? მე ხომ ბიჭი ვარ! და განა ქალმა უფრო არ უნდა მოითმინოს?.. მერე, რატომ უნდა მოითმინოს ქალმა?“ – მიტრიალებდა თავში ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები“ (ნაკაშიძე, 1957: 163).

ცხადია, ეს მონაკვეთი ასახავს იმ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ქალმა უნდა მოითმინოს. საგულისხმოა, რომ ისევ ალიკო არის ნაწყენი და რატომ მცემამო, კითხულობს, მიუხედავად იმისა, რომ პირველმა თვითონ ითრია თმით ლალი. ეს ფაქტი მხოლოდ ცუდ საქციელად არის აღქმული, რომელიც გოგოს უნდა მოეთმინა.

თუმცა მნიშვნელოვანია ის კითხვები, რომლებიც მთავარ პერსონაჟს უჩნდება – 1) თვითონ თუ უნდა მოეთმინა, მაგრამ ბიჭი რომ არის? 2) ქალმა ხომ უფრო უნდა მოითმინოს? და 3) ყველაზე მნიშვნელოვანი – მერე, რატომ უნდა მოითმინოს ქალმა?

მთელი ეს მონაკვეთი მიუთითებს იმ დამოკიდებულებაზე, რაც ზოგადად ქალის მიმართ იყო

საზოგადოებაში. ამ კითხვების საშუალებით კი ავტორი ცდილობს, მკითხველიც დააფიქროს ამ დამოკიდებულებაზე.

ლაკანაურის საშუალებით ავტორი მნიშვნელოვან აქცენტს სვამს – სწორედ ეს გოგო, რომლითაც ყველა აღფრთოვანებულია, უღალატებს კოლექტივს და კინაღამ ჩაშლის სპექტაკლს. აღსანიშნავია, რომ ირინეს ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს. ირინე დილით ჩვეულებრივად მივა სკოლაში, შემდეგ კი ბოლო რეპეტიციებზე აღარ გამოცხადდება. ირკვევა, რომ ლაკანაური მოსკოვში მიემგზავრება საქმროსთან ერთად, რომელმაც წინა დღეს ჩამოაკითხა. ანუ დილით ირინემ უკვე იცოდა, რომ სპექტაკლში მონაწილეობას არ მიიღებდა, მაგრამ არავინ არ გააფრთხილა. ბავშვები ჯერ ვერ იცერებენ მომხდარს, შემდეგ კი ლაკანაურის როლს ლალის გადასცემენ. ალიკო გაოგნებულია: „მაგჩამ დაკანაუხი? ეს ხომ დადაგი იყო ჩვენი კოდექცივისა... „ნუთუ არ შეიძლებოდა ერთი დღე მოეცადა“, – ვფიქრობდი მე და ... საშინლად შემძულდა... ლაკანაური კი არა... არჩილი...“ (ნაკაშიძე, 1957: 207). საინტერესოა, რომ ალიკოს სძულდა არა ირინე, ვინც კოლექტივს უღალატა, არამედ არჩილი. შეიძლება ეს მხატვრული ხერხი იყოს და გარკვეულ გრძნობებზე მიუთითებდეს, მაგრამ ასევე გამოსატავს ქალისადმი დამოკიდებულებას – აზრი არც ჩნდება, რომ ირინეს თვითონ მიელო გადაწყვეტილება. მის ნაცვლად მიიღეს გადაწყვეტილება, ჩამოვიდნენ და წაიყვანეს და ეს კითხვას არც აჩენს.

საპირისპირო სახე იქმნება ლალის პერსონაჟის საშუალებით, რომელიც საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანაზე ფიქრობს, უნდა სწავლის გაგრძელება და სპეციალობის შეძენა, თავის ქალურობას არ გამოკვეთს და არ იყენებს (რასაც მუდმივად აკეთებს ირინე, ბიჭებს ეკეკლუცება და ამ გზით თავის პატარ-პატარა დავალებებს ასრულებინებს).

ლ. მრელაშვილის „იყალთოელ ბიჭებშიც“ ზოგადად გოგოებისადმი არასერიოზული, დამცინავი დამოკიდებულება არის გამოხატული: „ესლა აკლია გოგოებთან იამხანაგოს. სანდროს საკმარისი ამხანაგები ჰყავს და მეტი არც ესაჭიროება. ისინი ჭირშიაც მასთან არიან და ლხინშიაც. გოგონები კი რალაც ენას ვერ აკავენ ბირში“ (მრელაშვილი, 1974: 35); „გოგოებს სიგყვა დაეჭეხებათ? მოგაგყუებდა?“ (მრელაშვილი, 1974: 37); ასევე, სამუშაოსთან დაკავშირებით: „ღუა წავიდეს და ნასიმინდახში შადაფის კონების შეკვხაში უშვედოს დაღისა და დიდის. [...] იმ გოგოებს უხახიათ, რომ საქმე დაგვადე, მაგჩამ იმათი შეკხუდი კონა ხა უნდა იყოს? შენ დაუახე და ყველა კონა შეამოწმე, ახ გაიხსნას“ (მრელაშვილი, 1974: 152).

ყველაზე ნათლად ეს დამოკიდებულება ჩანს „სნაიპერისა“ და ლენას საუბრის დროს, როდესაც გვირაბში უნდა ჩავიდნენ. „სნაიპერი“ გაბრაზებულია, რომ მათთან ერთად ლენაც მოდის (მიუხედავად იმისა, რომ გასაღები სწორედ ლენამ უშოვა) და მთელი გზა ეჩხუბება: „*ხა ეშმაკად მოგათხევენ იქ, კაცმა ხომ თქვას?*“ (მრელაშვილი, 1974: 341). „*აჩა, ხომ აგილია თავი და მოღიხახ, იცი, სად მივდივართ?*“ (იგივე; იქვე).

„ – ნუ მეჩხუბები, ვახტანგ, მე ხომ ჩემი ნებით არ მოვდივარ?

– არა, კაბის კალთები დაგახიეთ, ჩქარა წამოდიო.

– მითხრეს და მოვდივარ.

– ჰოდა, ვინც გითხრა, იმანვე გათრიოს“ (იგივე; იქვე).

ანდა „*ხომ გითხახი, ნუ გვინდა მაგისი თხევა-მეთქი, [...] უღოღიავე ახდა და შინაც მიაციდე, ხომ სადმე ასანთის ღეხს ფეხი ახ წამოჰკჩას*“ (მრელაშვილი, 1974: 125).

მართალია, ამ ასაკის გოგონებისა და ბიჭებისთვის დამახასიათებელია შეჭიბრებითობა და მსგავსი ურთიერთობები. თუმცა ასევე საყურადღებოა, რომ მოცემულ მონაკვეთებში ეს დამოკიდებულებები გაცილებით უფრო მკვეთრად არის ასახული, რაც განასხვავებს საბჭოთა იდეოლოგიის გამომხატველი ნაწარმოებებისგან.

აღსანიშნავია, რომ საკითხი გაცილებით მეტი სიმწვავეით არის დასმული, ვიდრე რუსულ ნაწარმოებებში. თუკი რუსულში ქალის იდეოლოგიური კუთხით აზროვნებაზეა გაკეთებული აქცენტი,

ქართულში აქცენტი გაცილებით მეტ პლასტს მოიცავს, მათ შორის მამაკაცების მიერ მოწონებას (რასაც რუსულში ასე პირდაპირ არ ვხვდებით).

დედა – კვლევაში განხილული ნაწარმოებების მიხედვით (ქართული, რუსული) უმრავლესობაში დედის, მასწავლებლისა და ცოლის როლები არის გადაჯაჭვული, მაგრამ სრულიად განსხვავებულია ხასიათები და მათდამი დამოკიდებულება. რუსულ ნაწარმოებებში ქალის ეს მდგომარეობაც მოიცავს იდეოლოგიურ კონტექსტს (მაგალითად, კონკრეტულ იდეოლოგიურ თემებზე საუბრები შვილთან), ხანდახან გარკვეულ სტატუსსაც გულისხმობს სოციალურში. ეს არც ისე ხშირია ქართულ ნაწარმოებებში, არსებობის შემთხვევაში კი შინაარსობრივ-აზრობრივი დატვირთვა ნაკლებად არის გამოხატული. ამის საპირისპიროდ, ქართულ ნაწარმოებებში დედის სახე უმთავრესად შვილზე ზრუნვასა და მისთვის თავგანწირვაზეა ორიენტირებული.

ნაწარმოებში „როცა მთავრდება ბავშვობა“ (ალ. ჩხაიძე) დედის სამნაირი სახეა ჩამოყალიბებული. პირველი, სუსანას პერსონაჟის სახით მკაფიოდ არის ასახული, თუ როგორი არ უნდა იყოს დედა – ზედმეტი მზრუნველობითა და კონტროლით სრულიად ამახინჯებს შვილის ცხოვრებას. მხოლოდ მანქანით დაჰყავს, ერევა სკოლის საქმეებში (მაგ., უნდა რომ ჰამლეტი კლასის კარამდე მიაცილოს, რადგან ეშინია დერეფანში ვინმემ არ აწყენინოს). ჰამლეტი ხშირად უხერხულად გრძნობს თავს დედის საქციელის გამო.

დედის მეორე სახე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟის – ზალიკას დედის, ტასოს საშუალებით ყალიბდება. ზალიკას მამამ ცოლ-შვილი დიდი ხნის წინ მიატოვა, ამიტომ ტასო მარტო ზრდის შვილს. მუშაობს სამკერვალო ფაბრიკაში და, როგორც ნათქვამია: „თუმცა აჩაფეხს აჩ აკვებდა ეჩთაფეხთ ვაჟიშვილს, ცადი უღლით ნაწევ ჭაპანს მაინც აჩ ჰქონდა იმდენი ბაჩაქა“ (ჩხაიძე, 1965: 50). მიუხედავად იმისა, რომ ტასო ბევრს მუშაობს და შვილს არაფერს არ აკლებს, დედა-შვილი მაინც იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობს, რომ ზალიკა ლანჩაამძვრალ ფეხსაცმელს მავთულით ამაგრებს. თამაზი (მთავარი პერსონაჟი) თავის ახალ კედებს აჩუქებს. გარდა ამისა, როდესაც ბიჭები თბილისში გაიპარებიან, ტასო სრულიად უუნარო მდგომარეობაშია. იმის ნაცვლად, რომ შვილის მოსაძებნად თვითონ რაიმე მოიმოქმედოს, მთლიანად თამაზის მამის – არჩილის იმედად არის. „ცხემდგამშიაღ ტასოს აჩაფეხის გაკეთება აღაჩ შეეძლო. იმითლა ინუგეშებდა თავს, რომ მინდაძებოც მის ღლეში იყვნენ და აჩილი ყვედაფეხს გააკეთებდა დაკაჩგუდი ბავშვების აღმოსაჩენად“ (ჩხაიძე, 1965: 224). მაშინაც კი, როდესაც დაკარგული ბიჭები თბილისიდან დარეკავენ, ტასო შვილთან დალაპარაკებასაც კი ვერ ახერხებს, მხოლოდ უხმოდ უსმენს ზალიკას სიტყვებს: არ იჯავრო, ზეგ ჩამოვალ.

ამავდროულად, მოცემულია დედისა და ცოლის კიდევ ერთი ხასიათიც – ნინო, თამაზის დედა, მუდმივად თვალყურს ადევნებს შვილს, გრძნობს მცირე ცვლილებებს მის ხასიათში, არ აკლებს მზრუნველობას, მაგრამ არ აკონტროლებს. შვილთან ურთიერთობაში წარმმართველი მამის – არჩილის სიტყვაა. ნინო თავის ეჭვებსა და მოსაზრებებს არჩილს უზიარებს და შემდეგ თამაზთან დალაპარაკებას მოითხოვს. იმის გამო, რომ შვილს არ უყვარს როდესაც მშობლები სკოლაში მიდიან და მის ამბებს არკვევენ, ნინო თამაზისგან მალულად ხვდება კლასის დამრიგებელს. კიდევ უფრო აფორიაქებული, იმასაც ვერ წყვეტს, შვილს თვითონ დაელაპარაკოს თუ ქმარს მიანდოს ეს საქმე. იმისთვის, რომ ქმარიც შეამზადოს შვილთან სასაუბროდ და შვილიც, ხუმრობით დაწყებულ შეჯიბრებას ახსენებს გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. როდესაც თამაზი განაცხადებს, სალამოს სკოლაში მინდა გადასვლაო, ნინოს პირველი რეაქცია შეშფოთებაა, მეორე კი: „მამაშენმა გაგცეს პასუხი! – ნინო გავიდა ოთახიდან, მაგრამ გულმა არ მოუთმინა და ისევ შემობრუნდა“ (ჩხაიძე, 1965: 175). შემობრუნებულს ქმარი ანიშნებს, რომ საუბარში არ ჩაერიოს, ნინოც მხოლოდ ნერვიულობს და აღშფოთდება. მამა-შვილის საუბარი ჩხუბით დასრულდება, ნინოც სასწრაფოდ ქმრის დამშვიდებაზე ზრუნავს და კინოში წასვლას სთავაზობს არჩილს. საბოლოოდ, ნინო და არჩილი ისე წავლენ კინოში, არც გამოელაპარაკებიან თამაზს.

ზემოთგანხილული ქალების – სუსანას, ტასოს და ნინოს – ხასიათების შედარებით რამდენიმე საინტერესო მომენტი იკვეთება: 1. ქალი ქმრის გარეშე ბოლომდე ვერ ახერხებს ოჯახის მიხედვას ვერც ფინანსურად, ვერც ფსიქოლოგიურად: ტასო მუშაობს, მაგრამ მაინც ხელმოკლედ ცხოვრობენ. ზალიკა ცუდად სწავლობს. ბიჭების გაპარვის შემდეგ კი ტასოს შვილის მოძებნაც კი არ შეუძლია, ისევ ნინოს ქმრის იმედი აქვს. 2. სუსანა, რომელიც ბიჭს ძირითადად საკუთარი შეხედულებით ზრდის, ბევრ შეცდომას უშვებს. სუსანასგან განსხვავებით, ნინო მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ქმარს ანდობს და რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია, ის შვილსაც უწევს ანგარიშს (თუკი სუსანა ჰამლეტზე მბრძანებლობს, ნინო სკოლაშიც კი მალულად მიდის, რადგან თამაზს არ უყვარს მშობლების სკოლაში მისვლა). სუსანაც და ნინოც ოჯახებზე ზრუნავენ, მაგრამ სუსანა საკუთარი სურვილების და ახირებების მიხედვით, ნინო კი – ქმარ-შვილზე ფიქრით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაწარმოებში გენდერის საკითხი დედისა და ცოლის ხატებთან არის გადაჭაჭვული. ყველა ქალი მამაკაცთან/ბიჭთან მიმართებაშია წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ ამ სახით გამოხატულია ის იდენტობა, რომელიც ქალისთვის არის განკუთვნილი – უმთავრესად დედა, შემდეგ ცოლი. უნდა იზრუნოს ოჯახზე (მოცემულია ამის კარგი და ცუდი მაგალითები. ცუდის შემთხვევაშიც კი ეს არის ზრუნვა ოჯახზე, უბრალოდ არასწორად გაგებული და ქმრის ჩარევის შემდეგ ესეც „გამოსწორდება“). ქმრისგან მიტოვებული ქალი კარგი დედაა, მაგრამ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მაინც ვერ უმკლავდება და კაცის იმედად არის;

ო. იოსელიანის ნაწარმოებს „უთაური ბიჭის კახას თავგადასავალი“ მნიშვნელოვან ხაზად გასდევს ოჯახის თემა და კახას დედის სახე. კახას ჰყავს მამინაცვალი, რომელიც სვამს და პერიოდულად სახლიდან იკარგება. ამის გამო ოჯახში მუდმივად პრობლემებია. კახა ცდილობს, ამ დროს სახლში არ გაჩერდეს. დედა წარმოდგენილია როგორც სევდიანი, დაჩაგრული ქალი, რომელიც სულ მუშაობს და შვილზე დარდობს. თან აშკარად დანაშაულის გრძნობა აქვს მის მიმართ. როგორც თავად კახას პერსონაჟი ამბობს „მას შემდეგ, ხაც ღეღას მეოხედ გათხოვიდი ქადის სახედი დაეჩქვა და, როგორც მამიდაჩემი ამბობდა, „ქალობა შეირცხვინა“, ჩემი ყველა სურვილი მისთვის კანონად გადაიქცა“ (იოსელიანი, 1960: 562). როგორც ირკვევა, დედა მეორედ ბებულის სურვილით გათხოვდა.

მთელი ეს ხაზი კვლევითთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აქამდე განხილულ ნაწარმოებებში ოჯახი ხშირ შემთხვევაში უკავშირდებოდა პიონერის სახეს, წარმოაჩენდა მისი ჩამოყალიბების გზას (პროლეტარული ოჯახი – სანიმუშო პიონერი). ამ შემთხვევაში კი წარმოდგენილია კულტურის დამოკიდებულება – ქალის მეორედ გათხოვებას ეწოდება ქალობის შერცხვენა, ქალი თავს დამნაშავედ გრძნობს შვილის მიმართ, რადგან ხელმეორედ გათხოვდა და სახლში მამინაცვალი მიუყვანა. ანუ ასახულია კულტურაში დამკვიდრებული მოთხოვნა ქალის მიმართ – მთავარია დედობა, ქმრის გარდაცვალების შემდეგ უნდა იცხოვროს საკუთარი შვილისთვის, მეორედ გათხოვება კი სამარცხვინო საქციელია.

დასკვნა

განხილული ნაწარმოებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რუსულ საბჭოთა საბავშვო ნაწარმოებებში გოგო/ქალი იდეოლოგიური კუთხით მეტად ჩართულია სოციუმში, ვიდრე ქართულში. შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ ქართული ნაწარმოებების უმრავლესობაში ქალი და/ან გოგო მამაკაცთან ან ბიჭთან მიმართებითაა წარმოდგენილი. ამ კუთხით განსხვავდება ნ. ნაკაშიძის ნაწარმოებები, რასაც კონკრეტული მიზეზიც აქვს (საუბარია მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე). თუკი ბიჭი თავიდანვე არის წარმოდგენილი ანგარიშგასაწევ და უპირატეს მდგომარეობაში, გოგო ხშირად ხდება დაცინვისა და შეფასების ობიექტი (არა მხოლოდ ბიჭების მხრიდან). გოგოს/ქალის ადგილად უმთავრესად სახლი და ქმარ-შვილზე ზრუნვა მოიაზრება. სოციუმში რეალიზების ფორმა კი კვლავაც ოჯახთან უნდა იყოს დაკავშირებული (მაგ., მშობელთა კომიტეტი), გარკვეული პროფესიის ქონა ან არჩევა კი განსახილველი საკითხია. განსხვავებით რუსული საბავშვო ნაწარმოებებისგან,

სადაც გოგო მეთაურის – რგოლის ხელმძღვანელის, პიონერხელმძღვანელის როლში სრულიად სერიოზულად არის აღქმული. რუსულ ნაწარმოებებთან შედარებით, ქართულში ქალი მებრძოლის სახე უფრო იშვიათად არის მოცემული (საყურადღებოა, რომ ნ. ნაკაშიძის მოთხრობაშიც ქალი კორეელია და არა ქართველი).

მიუხედავად იმისა, რომ ორივე კულტურამ განიცადა ერთი და იმავე იდეოლოგიის ზეგავლენა, ვერ მოხერხდა ამ კულტურების ბირთვებში არსებული ფასეულობების გაერთმნიშვნელოვნება.

ლიტერატურა:

იოსელიანი, ო. (1960). „უთაური ბიჭის კახას თავგადასავალი“, „ქართველ მწერალთა ნაწარმოებები“, სა-
თავგადასავლო ბიბლიოთეკა, თბილისი: „ნაკადული“.

მრელაშვილი, ლ. (1974). „იყალბოთელი ბიჭები“, თბილისი: „ნაკადული“.

ნაკაშიძე, ნ. (1957). „ყველამ მიულოცა“, თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საბავშვო
და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა.

ყიფიანი, ე. (1974). „ათფურცლიანი რვეულები“, ორტომეული, ტ. I, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ჩხაიძე, ალ. (1965). „როცა მთავრდება ბავშვობა“, თბილისი: „ნაკადული“.

სახელმწიფო მიდგომები და კულტურული მრავალფეროვნების საკითხები (ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის მაგალითზე)

State Approaches and Issues of Cultural Diversity (Museum of Folk and Applied Arts)

ირინე საგანელიძე

Irine Saganelidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ისტორიულად მულტიეთნოსურსა და მულტიკულტურულ საქართველოში სხვადასხვა კულტურული მარკერის მატარებელ ეთნოსთა თანაცხოვრება არაანტაგონისტურ გარემოში მიმდინარეობდა, რაც ქართული ყოფისა და კულტურის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელიც გახდა. საქართველოს მდებარეობამ აზია-ევროპის გზაგასაყარზე, ე. წ. კულტურათა და ცივილიზაციათა სასაზღვრო ზონაში, ისტორიულად მისი და მეზობელი ქვეყნების გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა, პოლიტიკური რეალობის ხშირმა ცვლამ და სხვა ფაქტორებმა გამოიწვია აქ არაერთი საუკუნის განმავლობაში არაქართველ ეთნოსთა ნებითი თუ იძულებითი მიგრაცია, დისპერსიული თუ კომპაქტური განსახლება. ამას ერთვოდა ისიც, რომ უცხო ეთნოსთა ჩამოსახლება ზოგჯერ განპირობებული იყო თავად ქართული სახელმწიფო ერთეულების მესვეურთა პოლიტიკური ნებით, რაც ნაკარნახევი იყო ქვეყნის შიდა საჭიროებებით: სამხედრო მიზნითა თუ მტრისგან მოხსნეულ-დაცლილ ტერიტორიაზე ეკონომიკური ვითარების გამოსასწორებლად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ე. წ. სასაზღვრო ზონის მკვიდრი ავთენტური მოსახლეობისათვის სახასიათო ფსიქოლოგიურ-მენტალური თავისებურება, რაც, უპირველესად, მის მიერ უცხო კულტურათა მიმღებლობაში გამოიხატა. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების ერთობლიობამ და სიხშირემ განაპირობა ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს მიერ მისი მდგრადობის გარანტიად მიჩნეული ძირითადად არადოკუმენტირებული შემწყნარებლური მიდგომა უკვე თავის თანამოქალაქეებად აღიარებულ მცირე ეთნოსთა წარმომადგენლებისა და მათი კულტურების მიმართ. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ისტორიულ წარსულშიც და, განსაკუთრებით, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სახელმწიფოთა მიერ კულტურის პოლიტიკის შემუშავების სავალდებულოდ დადგენის შემდეგ, საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული ვექტორი სწორედ კულტურული მრავალფეროვნების დაცვის სახელმწიფო მიდგომაა. ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში დაცული საქართველოს მკვიდრი არაერთი მცირე ეთნოსის კულტურული მემკვიდრეობის სამუზეუმო ექსპონატები, მართალია, უპირველესად, ასახავს მათი შემქმნელი ეთნოსის შემოქმედებით პოტენციალს, თუმცა, იმავდროულად, მუზეუმში მათი არსებობა კარგად წარმოაჩენს თანადროულ სახელმწიფო მიდგომას მცირე ეთნოსთა მიმართ. ამიტომ ჩემი სამეცნიერო კვლევის მიზანი ამ მუზეუმში დაცულ ეთნიკურ უმცირესობათა მიერ შექმნილი ტრადიციული ხელოვნების ნიმუშთა მეშვეობით **კულტურული მრავალფეროვნების საკითხებთან ერთად** სახელმწიფო მიდგომების კვლევაა. ცხადია, ეს მიდგომები და მათი მოტივაცია იცვლებოდა პოლიტიკური კლიმატის შეცვლასთან ერთად. უცვლელი იყო და არის ერთადერთი მოცემულობა – საქართველოს მულტიკულტურულობა. საკითხის შესწავლის აქტუალობას ზრდის დღეს მსოფლიოში უფლებადაცვითი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად მცირე ეთნოსთა უფლებების, მათ შორის, კულტურული უფლებებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს აქვს საინტერესო პრეისტორია. მის სათავესთან დგას კავკასიის კუსტარული, იგივე კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტი (1899-

1926) და კავკასიის შინამრეწველობის მუზეუმი (1913). ამ უკანასკნელის სამართალმემკვიდრეა ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი. ფაქტობრივად, საუკუნეზე მეტი ხნის ეს მუზეუმი და წინამორბედი დაწესებულებები თავიანთი არსებობის განმავლობაში სხვადასხვა სტრუქტურას ექვემდებარებოდა. 1960 წლიდან კი ის დაექვემდებარა კულტურის სამინისტროს, მას შეუერთდა ხალხური ხელოვნების მუზეუმი და ეწოდა საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. დღეს კი ის სსიპ კულტურის ისტორიის მუზეუმის – ხელოვნების სასახლის შემადგენლობაშია.

თავდაპირველად, მეფის რუსეთის იმპერიის დროს დაარსებული კომიტეტი და მუზეუმი, ცხადია, მისი კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი იყო, რამეთუ თავად ამ პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო არა ზრუნვა საქართველოს მკვიდრ ავთენტურ თუ მცირე ეთნოსთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, არამედ მათ მიმართ პრაგმატული დამოკიდებულება. სწორედ ამან განაპირობა აქ კავკასიის კუსტარული, იგივე კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის დაარსება 1899 წელს. თუმცა, ამგვარ პრაგმატულ სახელმწიფო მიდგომას, როგორც წესი, თავისი პოზიტიური უკუგებაც აქვს, რისი შედეგიცაა საქართველოს მუზეუმებში, მათ შორის, ხალხურსა და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში დაცული მცირე ეთნოსთა ტრადიციული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რომელთაგან რამდენიმეს შერჩევით (აზერბაიჯანულ, სომხურსა და დაღესტნურ კულტურულ მემკვიდრეობას) შევხები. თუმცა, მანამდე მოკლედ მიმოვიხილავ ამ მუზეუმის პრეისტორიასა და თანადროულ სახელმწიფო პოლიტიკას. კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტი – იგივე კავკასიის კუსტარული კომიტეტი, როგორც ვთქვი, 1899 წელს დაარსდა საქართველოში (პირველი თავმჯდომარე ა. ფირალოვი). კომიტეტის უპირველესი ამოცანა იყო ინფორმაციის მოგროვება კავკასიის რეგიონში შინამრეწველობის დარგებისა და იქ დასაქმებული ადამიანების შესახებ, კავკასიის მასშტაბით ხალხური რეწვის – ხელოსნობისა და ხელოვნების კერების აღრიცხვა-აღნუსხვა, მათი განვითარებისთვის ხელშეწყობა, არსებული და ახალი სარეწვისა და ხალხური რეწვის პროდუქციის მარკეტინგი როგორც იმპერიაში, ასევე საერთაშორისო მასშტაბითა და ა. შ. კავკასიაში დამკვიდრებული რუსეთის იმპერია აქტიურად სწავლობდა რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს. ჯერ კიდევ იმპერატორი ნიკოლოზ I (1825-1855) 1826 წელს წერილში «ფიქრები საქართველოზე» წერდა, რომ კავკასია წლების განმავლობაში გატარებული გონივრული კოლონიური პოლიტიკის მეშვეობით, შესაძლოა, რუსეთის უმდიდრეს კოლონიად იქცეს. ამ წერილში სხვადასხვა ადგილობრივ ნედლეულთან ერთად დიდი ადგილი დაეთმო ფაბრიკული ნაწარმის წარმოების გაფართოების აუცილებლობას როგორც საერთაშორისო ვაჭრობის შუამავალს. ეს არ იყო მეფის ერთი რიგითი მოსაზრება, არამედ მასში გაცხადდა რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა. კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი კომპონენტი გახლდათ რეგიონის სამრეწველო პოტენციალის განსავითარებლად ადგილობრივი სამრეწველო, მათ შორის, უპირველესად, შინამრეწველთა (კუსტართა) მიერ შექმნილი პროდუქციის გატანა მსოფლიო ბაზარზე და იმპერიის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა. ამას ხელს უწყობდა მსოფლიოს დედაქალაქებში მოწყობილი საერთაშორისო გამოფენებიც, რომლებზეც იმპერიები, ტექნოლოგიურ სიახლეებთან ერთად, ძირითადად, თავიანთ კოლონიებში შექმნილ პროდუქციას – დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ხელნაკეთ ნივთებს წარადგენდნენ. საინტერესოა, რომ პირველი მსოფლიო გამოფენა ჯერ კიდევ 1851 წელს გაიმართა ლონდონში. ამ სახის გამოფენებში მონაწილეობისა და რუსეთის ეკონომიკისათვის პოზიტიური შედეგების მიღების შესაძლებლობამ, აქტუალური გახდა ხალხური და შინამრეწველობის დარგების შესწავლის, შენარჩუნებისა და განვითარების პრაგმატული მიზანი. ამის ეფექტურად განსახორციელებლად 1880-იან წლებში სანკტ-პეტერბურგში შეიქმნა პირველი ორგანიზაციული სტრუქტურა – რუსეთის შინამრეწველობის კომიტეტი, მოგვიანებით – შინამრეწველობის მუზეუმიც. ცენტრალურ რუსეთში ზემოთ აღნიშნული მიზნის წარმატებით იმპლემენტაციამ, ცხადია, განაპირობა მსგავსი კომიტეტებისა და მუზეუმების დაარსება იმპერიის პერიფერიებშიც – კავკასიასა და შუა აზიაში. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში შინამრეწველობის

დარგების განსავითარებლად ჯერ კიდევ 1887 წელს თბილისში დაარსდა მეაბრეშუმეობის სადგური და აბრეშუმის მუზეუმი. თუმცა, მათთვის საგანგებო შენობის აგება 1891 წელს მოხერხდა მუშტაიდის ბაღების ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის მუზეუმმა (დაარსდა 1911 წელს, პირველი ექსპოზიცია გაიხსნა 1913 წელს) და მოგვიანებით სახელოსნოებმაც (ძაფსართავი, სამღებრო...) დაიდო ბინა. უნდა ითქვას, რომ, მართალია, მუზეუმის დაარსება ოფიციალურად 1910-იან წლებში მოხდა, მაგრამ კომიტეტის შენობაშივე უკვე არსებობდა პატარა მუზეუმი შინამრეწველობის რამდენიმე ასეული ნიმუშით. კომიტეტს ჰქონდა ოფიციალურად დამტკიცებული საკმაოდ ფართო სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა არა მარტო შინამრეწველობის დარგების თანადროული მდგომარეობის შესწავლას კავკასიის რეგიონში, არამედ სახელოსნოების გახსნას, შინამრეწველობის დარგებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით ოსტატების მომარაგების უზრუნველყოფას, გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობას, უფრო მოგვიანებით, 1907 წლიდან კომიტეტში სამხატვრო სახელოსნოს ხელმძღვანელად მოსული ი. სტრაუმეს (1874-1970. იგი 1924 წელს ტოვებს საქართველოს) თაოსნობით სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციების გააქტიურებას. თავად ი. სტრაუმესა და ექსპედიციების მონაწილე სხვა მხატვართა მეშვეობით, უმთავრესად, 1908-1913 წლებში ხდებოდა კავკასიის სხვადასხვა რეგიონში არქიტექტურის, კედლისა და მინიატურული მხატვრობის ჩანახატების, ასევე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ძეგლების, მათ შორის, ხალიჩების ესკიზების შექმნა და ფოტოგრაფირება. მათი ინტერპრეტირებით კი ადგილობრივ სახელოსნოებში მქსოველები ქსოვდნენ ხალიჩებს. სხვათა შორის, საჭიროების შემთხვევაში კომიტეტი ხელშეკრულებით იწვევდა ცნობილ მხატვრებსა და არქიტექტორებს: ო. შმერლინგს, ჰ. ჰრინევსკის, მ. ფრენკენს, ა. კალგინსა და სხვ. მათი თავდაპირველი ამოცანა მხოლოდ ხალიჩების ესკიზების ჩახატვა, ფოტოგრაფირება და ფიქსაცია იყო, თუმცა, წელ-წელა ისინი იწყებენ ადგილობრივი ხელოვნების სხვა ნიმუშების ჩახატვასაც. ი. სტრაუმემ ასევე შეადგინა მუზეუმში დაცული ფოტოალბომები, რომლებშიც შესულია კავკასიის სხვადასხვა რეგიონში გადაღებული ხალიჩების, ნაქარგობის, ლითონმქანდაკელობისა და ხეზე კვეთის ნიმუშები და მათი ესკიზები. თუმცა, მაინც გამოსაკვეთია მისი დამსახურება კავკასიური ხალიჩების კვლევის საქმეში. ამ ალბომებში შესულია და ასევე მინის ნეგატივებზე აღბეჭდილია კავკასიური, მათ შორის, ძალზე ბევრი აზერბაიჯანული ხალიჩა. ხალიჩების ქსოვისას მათი ხარისხის, ასევე საერთაშორისო ბაზრის სხვა მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად უმნიშვნელოვანესი იყო რამდენიმე კომპონენტის გათვალისწინება – ბუნებრივი მასალის გამოყენება (ძაფი, საღებავი), ტრადიციული ორნამენტის დაცვა, საქსოვი დაზგების გადაიარაღება, მქსოველთა სწავლების დონის ამაღლება და ა. შ. ამიტომ კომიტეტმა დაიწყო ზრუნვა საღებავის ხარისხის, მდგრადობისა და კავკასიური ტრადიციული ხალიჩისთვის დამახასიათებელი კოლორიტის შენარჩუნებაზე. მან დაამყარა კავშირი საღებავების მწარმოებელ გერმანულ კომპანია *Fredrich Bayer and C*-სთან. ხარისხის გაზრდის მიზნით მოხდა ასევე სოფლის უბრალო საქსოვი დაზგების გადაიარაღება, ე. წ. სარაევოს დაზგის ტექნიკური გაუმჯობესება სოფლის პრიმიტიული საქსოვი დაზგის ნაცვლად, რადგან ამ გაუმჯობესებული დაზგებით შესაძლებელი ხდებოდა ხალიჩის მართკუთხა გეომეტრიული ფორმის მიღება, რაც იყო ხალიჩების საერთაშორისო ბაზრის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა. ამ მიმართულებებით საქმიანობის გასაუმჯობესებლად ასევე უმნიშვნელოვანესი იყო სამხატვრო სახელოსნოს არსებობა, ასევე ექსპედიციების შედეგად ტრადიციული ორნამენტული სახეებისა და კომპოზიციების გამოყენებით ე. წ. ტექნიკური ფერადი ნახატების (მოიცავდა ხალიჩის ერთ მეოთხედს) შექმნა, რომელთა მიხედვით იქსოვებოდა ხალიჩები. ამასთან ერთად, ხალიჩების საქსოვი კარგად აღჭურვილი სახელოსნოების, ინსტრუქტორების სკოლის, მქსოველთა საგანმანათლებლო სკოლა/სახელოსნოსა და მუშტაიდის ბაღის ტერიტორიაზე შალის სართავი და სამღებრო სახელოსნოს არსებობა – ყოველივე ეს იძლეოდა საშუალებას, შექმნილიყო მაღალხარისხოვანი და კოლორითული ხალიჩები. საგანგებოდ უნდა ითქვას თავის სახელოსნოებში შექმნილი პროდუქციით კომიტეტის მონაწილეობის შესახებ გამოფენებში. დავასახელებ ზოგიერთს: 1900 წელს კომიტეტი მონაწილეობდა პარიზის

საერთაშორისო გამოფენაში; 1901 წელს თბილისში, მუშტაიდის ბაღში, გამართულ სოფლის მეურნეობის გამოფენაზე კომიტეტმა წარადგინა ხალიჩები, აბრეშუმის, ხისა და კერამიკის ნაწარმი; 1902 წელს კომიტეტმა მონაწილეობა მიიღო სანქტ-პეტერბურგში, თავრიდის სასახლეში, გამართულ სრულიად რუსეთის შინამრეწველობის პირველი გამოფენა; ტურინის 1911 წლის გამოფენაზე კომიტეტმა წარადგინა 14 ხალიჩა, 3 ფარდაგი, ვერცხლის 51 ნაკეთობა, აქლემისა და ცხვრის მატყლის მაუდი, აბრეშუმის ქსოვილები, ასევე ხავერდზე აბრეშუმით ნაქარგი ნივთები. ხალიჩებსა და ქსოვილებს ოქროს ორი მედალი, შალის ქსოვილებსა და ვერცხლის ნაკეთობებს ვერცხლის ორი, ხოლო აბრეშუმის ქსოვილებს ბრინჯაოს მედლები მიენიჭათ. ამასთანავე, ყველა ხალიჩა და ექსპონატების დიდი ნაწილი გაიყიდა. ამ ინსტიტუციათა არსებობაზე ნეგატიური ზეგავლენა იქონია 1914-1918 წლებმა, I მსოფლიო ომის პერიოდმა, როცა მუზეუმის კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილი გახიზნეს ჩრდილოეთ კავკასიაში, კომიტეტის ბევრი წევრი გაიწვიეს ფრონტზე, თუმცა, კომიტეტმა გარკვეულწილად შეძლო მუშაობის განახლება უკვე დამოუკიდებლობის წლებში, მაგალითად, დაიწყო მიხეილ მაჩაბლის (მოგვიანებით მუზეუმის დირექტორის) თაოსნობით პროექტის „ქართული ხალიჩა“, მერე კი პროექტ „ქართული მაქმანის“ განხორციელება. მათი პროდუქციის შექმნისას კი პრიორიტეტული ხდება ქართული კლასიკური ხელოვნების (კედლის მხატვრობის, მინიატურული ხელოვნების, ქვაზე კვეთის ნიმუშების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, მათ შორის, ხალიჩების...) მოტივებზე დაფუძნებული ორნამენტის გამოყენება. მცირე ეთნოსთა შინამრეწველობის ტრადიციული ნიმუშების პარალელურად ეროვნულის წინ წამოწევა ერთგვარი დემონსტრირება იყო საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობის დროს არსებული კულტურის ეროვნული პოლიტიკისა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის, ანუ გასაბჭოების შემდგომაც კომიტეტმა, მასთან არსებულმა სახელოსნოებმა, აქ მომუშავე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების არაერთი დარგის ოსტატებმა არა მხოლოდ გააგრძელეს, არამედ გააფართოვეს თავიანთი საქმიანობა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, რამეთუ ამ ინსტიტუციების მატერიალურ ბაზაზე შექმნილი პროდუქციაც არსებითად იდეოლოგიზებულ სახეს იძენდა და ასახავდა საბჭოურ სულისკვეთებას ხელოვნებაში. განსაკუთრებით ის გამოვლინდა საბჭოთა პერიოდში მოქსოვილ ე. წ. პორტრეტულ ხალიჩებში, რომლებზედაც გამოსახული იყვნენ ბელადები, იქსოვებოდა სხვა ტიპის ხალიჩებიც, რომლებიც ასახავდა საბჭოთა აღმშენებლობის ცალკეულ ფრაგმენტებს. 1960 წლის შემდეგ გაიზარდა ქართული და არაქართული ხალხური და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ასევე თვითნასწავლ შემოქმედთა ნამუშევრების შექმნა (ერთ-ერთია ჩემთვის საინტერესო თვითნასწავლი მხატვრის – კარაპეტ გრიგორიანცის ნახატები).

კომიტეტისა და მუზეუმის საქმიანობის უფრო დაწვრილებითი დახასიათება ჩემი კვლევის არეალს სცილდება, თუმცა, აღნიშნულიც კი წარმოდგენას გვიქმნის ჩატარებულ უაღრესად ღირებულ საქმიანობაზე, რისი დასტურიცაა ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში დაცული მცირე ეთნოსების გამოყენებით ხელოვნების ნიმუშები, რომელთაგან ჩემი ყურადღების ერთ-ერთი ობიექტი აზერბაიჯანული ხალიჩებია. კომიტეტმა უდიდესი როლი შეასრულა კავკასიური ხალიჩის აღორძინებისა და პოპულარიზაციის საქმეში. მსოფლიოში ცნობილია აზერბაიჯანული ხალიჩები ტრადიციული ორნამენტისა და ქსოვის ხერხებით. ამიტომ ი. სტრაუმემ რამდენჯერმე მოაწყო ექსპედიცია უშუალოდ აზერბაიჯანში, მაგალითად, ყუბის რაიონის სოფ. კონახენდსა და ჯეკისაში, ასევე ყარაბახის ავტონომიურ ოლქსა და შემახის მაზრის კაპრისტანის რაიონში. იქ ცნობილ ხელმოსაქმე ქალების მიერ მოქსოვილი აზერბაიჯანული ხალიჩებისა და ზილების მიხედვით შექმნა ტექნიკური ნახატი ერთ მეოთხედზე, გააფურადა ისინი და ზოგიერთის მიხედვით კომიტეტის სახელოსნოებში მოიქსოვა პროდუქცია. მათ ხარისხსაც და ფერადოვნებას უზრუნველყოფდა კომიტეტის ძაფსართავი და სამღებრო სახელოსნოები, სადაც ბუნებრივი, მრავალფერადი საღებავით იღებებოდა მაღალი ხარისხის მატყლის დართვით მიღებული შალის ძაფი. ეს ნახატები დღესაც დაცულია მუზეუმში.

აზერბაიჯანელების მიერ მოქსოვილი ხალიჩების ერთი სახეობა ე. წ. ბორჩალოს ხალიჩების სახელითაა ცნობილი. ბორჩალო ქვემო ქართლის რაიონული ცენტრის – მარნეულის ადრინდელი დასახელებაა (ბორჩალო – თურქმენი ტომის სახელწოდება). ირანის სეფიანი მმართველის, შაჰ-აბას I-ის (1589-1627) დროს გადმოსახლებულ ამ ტომს საქართველოში გადმოჰყვა ხალიჩების ქსოვის საუკუნოვანი ტრადიცია. თუმცა, ავთენტურ მოსახლეობასთან თანაცხოვრების შედეგად გარკვეული ურთიერთგავლენით ამ რეგიონში შეიქმნა ორიგინალური კომპოზიციები. ისინი გამოირჩევა სისადავით, ლაკონიურობით, ორიგინალური კომპოზიციური სქემებით. ნამყვანი ორნამენტული მოტივი აქ რქანახარა მედალიონებია, კოლორიტი კი აგებულია მწვანე, წითელ-ყვითელსა და წითელ ყავისფერზე. გამოირჩევა ამ ხალიჩების ძაფის განსაკუთრებული ბზინვარება და სირბილე, მაღალი ხაო და ქსოვის საშუალო სიმჭიდროვე. მუზეუმში ბორჩალოს რაიონის რამდენიმე ხალიჩაა დაცული, რომლებიც XX ს-ის 20/30-იან წლებშია მოქსოვილი იქ არსებულ არტელებში. მუზეუმშივეა დაცული სხვა ტიპის აზერბაიჯანული ხალიჩაც. კახეთის სოფელ იორმულანლოს აზერბაიჯანელი მოსახლეობა მაღალი ხარისხის ხალიჩებს ქსოვდა, რომლებიც ყარაჩოპის ხალიჩის სახელითაა ცნობილი. მას ბორჩალოს ხალიჩებთან სტილისტური მსგავსება ახასიათებს, რაც, ძირითადად, ვლინდება გეომეტრიულ კომპოზიციასა და ფერთა კოლორიტში. გარდა ამისა, ი. სტრაუმეს მიერ შედგენილ ზემოთ ნახსენებ ფოტოალბომებში შესულია აზერბაიჯანული ხალიჩების ფოტოები და მიენერება წყაროში დაფიქსირებული შესაბამისი ნარწერები. კუსტარულ კომიტეტში შექმნილი და აქ წარმოდგენილი აზერბაიჯანული ხალიჩური ნაწარმისა თუ მათი ტექნიკური ფერადოვანი ნახატების მცირე რაოდენობის ნიმუშებიც წარმოდგენას გვიქმნის XX საუკუნის 10/20-იანი წლების კომიტეტის თაოსნობით შექმნილ აზერბაიჯანული ხალიჩური ნაწარმის კოლორიტულ ფერადოვნებაზე.

ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში დაცულ მცირე ეთნოსთა შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ძალზე საინტერესოა თვითნასწავლი მხატვრის კარაპეტ გრიგორიანცის (1866-1943) 1930-იან წლებში შესრულებული ნამუშევრები, იგი დაიბადა განჯის გუბერნიის, ყაზახის მაზრის სოფელ კულალიაში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ უფროს ძმებთან ერთად თბილისში გადმოდის, სწავლობს ქართულ წერა-კითხვას თელავში, თან ხატავს და წერს. 1884 წელს კვლავ თბილისში ბრუნდება, ხატვის ბუნებრივ ჩვევებს ავითარებს გერმანელ მხატვარ გელფინგთან, ხსნის საკუთარ სამხატვრო სახელოსნოს, სადაც ამზადებს აბრებს, დროშებს ხელოსანთა ამქრებისათვის. თუმცა ის ქართული და სომხური მწერლობითაცაა გატაცებული. ცნობილია, რომ მისი პიესა «ძმის მკვლეელი» დაიდგა ავლაბრის არაქსიანის თეატრში. ი. გრიშაშვილისა და ს. კლდიაშვილის ცნობით, ის არაერთი ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი და მთარგმნელია: მაგ., სომხურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“; „ეფრემ ვერდი“ – ძველი ქართული ასტროლოგიური წიგნი და სხვა არაერთი ლიტერატურული ტექსტი. თუმცა, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან შემორჩა მხოლოდ „ძველი თბილისის დაუჯერებელი ამბები“, სადაც იმდროინდელი თბილისის გარემო, ყოფა და კოლორიტული ამბები დოკუმენტურადაა აღწერილი. საგულისხმოა, მის მიერ ძველი ტფილისის ე. წ. დაუჯერებელ სხვა ამბებთან ერთად ინფორმაცია 1872 წ. მოსკოვში გამართულ პეტრე პირველის დაბადებიდან 200 წლის თავისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო გამოფენის შესახებ, რომელზეც, კ. გრიგორიანცის თანახმად, კავკასიის ხალხთა კულტურული მემკვიდრეობაც იყო წარმოდგენილი, კერძოდ, იგი ამახვილებს ყურადღებას იქ ექსპონირებული აზერბაიჯანული ხალიჩების საუკეთესო ნიმუშებზე. მათ, თურმე დამთვალეიერებელთა განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია. მათ მაღალმხატვრულ მხარესა და შესრულების ტექნიკურ დონეზე იმდროინდელი პრესაც წერდა. თუ მისი ინფორმაცია უტყუარია, უცილობლად ეს ხალიჩური ნაწარმი შექმნილი იყო აზერბაიჯანის მკვიდრ შინამრეწველთა მიერ, რომელთა საუკეთესო ნიმუშების მიხედვით მოგვიანებით უკვე თბილისში შექმნილ კომიტეტის სახელოსნოებში იქსოვებოდა, როგორც მაღლა აღვნიშნეთ, ანალოგიური პროდუქცია.

კ. გრიგორიანცი ჩემთვის ამჯერად უფრო საინტერესოა როგორც თვითნასწავლი, საკმაოდ პროდუქტიული მხატვარი. არსებობს ცნობა, რომ მას მოუხატავს თბილისის ცნობილი სასადილო

„სიმპათია“ და სხვა არაერთი დუქანი თუ ამ ტიპის დაწესებულება. ძირითადად, ხატავდა გამოჩენილი ადამიანების, მეცნიერთა, მხედართმთავრების, ტფილისელი აშუღების პორტრეტებს, თუმცა მას დაუხატავს ნატიურმორტებიც. ამ უკანასკნელის ორი ნიმუში დაცულია ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში. ისინი ხასიათდება საგნების სიმეტრიული განლაგებით და ორივე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის დასაწყისამდე გავრცელებული ფერწერული აბრის პრინციპითაა შექმნილი, რომელშიც ტრადიციული ხალხური ელემენტები პროფესიული დაზგური ფერწერის ელემენტებთან თანაარსებობს. ეს კი საცნაურს ხდის მის გარკვეულ განსწავლულობას მხატვრობაში. მუზეუმის კოლექციის გამორჩეული ნიმუშებია მისეული პორტრეტები: „ახალგაზრდა ყარაჩოხელი“, „პატარძალი დაირით“, „მოცეკვავე რძალი“ და „ქალის პორტრეტი“, რომლებშიც იგრძნობა იმ დროს თბილისში ეგზომ გავრცელებული ფერწერული აბრის ტრადიციები. მისი მხატვრად ფორმირებაც ხომ თბილისში მოხდა. ამიტომ, მიუხედავად ბიოლოგიური წარმომავლობისა, მისი შემოქმედება, განსაკუთრებით პორტრეტები, შეგვიძლია ართული პრიმიტიული ხელოვნების საინტერესო ნიმუშებად მივიჩნიოთ. პორტრეტირებულთა ფიგურების ფრონტალური დგომა, განყენებული მზერა, სახეების გამჭვირვალე მასალის ფაქტურებით დაფარვა ერთგვარ მისტიკურობას სძენს სახეებს. სამივე პორტრეტზე ფიგურები მსხვილი პლანით, ატრიბუტიკის თანხლებითა და სტატიკურ პოზაშია წარმოდგენილი, რითიც ისინი ახლოსაა XX ს-ის დასაწყისის ფოტოპორტრეტებთან, ასევე საფლავის ქვებზე ამოკვეთილ ფრონტალურ ფიგურებთან, სუდარებზე ამოქარგულ სახეებთან. სახის განზოგადების, დეტალების ზუსტი, ზედმიწევნით გამოსახვაში, გამოსახულების სიბრტყობრივად გადმოცემაში იგრძნობა ავტორის გამოცდილება, ერთგვარი ხელოსნური პროფესიონალიზმი და, ამასთან ერთად, განზოგადების, იმპროვიზაციისა და შემოქმედებითი თავისუფლების უნარი. გრიგორიანცის ნამუშევრები იმითაცაა ფასეული, რომ ესაა თბილისის ერთ-ერთი უკანასკნელი მხატვარი, რომელიც ახერხებს თავის ხელოსნურ პროფესიონალიზმთან ერთად შეინარჩუნოს პრიმიტივისათვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა და ხედვა. სწორედ ამ თვისებების გამო ის თავის დროზე საკმაოდ ცნობილ მხატვრად ითვლებოდა თბილისში. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ მეტეხის სახვითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორ გ. ბუხნიკაშვილის თხოვნით მას საგანგებოდ შეუქმნია რამდენიმე ტილო (როგორც ჩანს, ისინი შემდგომ გადაეცა მეტეხის მუზეუმის ტერიტორიაზე გარკვეული დროის განმავლობაში შეკედლებულ ხალხური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს), რომლებიც დღეს ამ მუზეუმის საინტერესო ექსპონატებია და, ამავდროულად, მაჩვენებელი XX საუკუნის 30-იან წლებში მცირე ეთნოსთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკისა, რომლის გატარება ევალდებულებოდა კულტურულ დაწესებულებებს, მათ შორის, უპირველესად, სამუზეუმო ინსტიტუციას.

ქრონოლოგიურად და ჟანრობრივადაც სრულიად სხვა ეპოქისა და ჟანრისაა საქართველოს მკვიდრი დაღესტნელი შემოქმედი ქალის – მანაბა მაგომედოვას (1928-2013) შემკვიდრობა. საქართველოსა და მსოფლიოში განთქმული ლითონზე კვეთის ტრადიციული დაღესტნური ხელოვნება ამ მუზეუმში წარმოდგენილია ყუბაჩური ლითონმქანდაკებლობის ამ ცნობილი ოსტატის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების რაოდენობრივად ძალზე შთამბეჭდავი და მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულებული შესანიშნავი ნაკვეთობებით. მისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე (7 წლიდან ცხოვრობდა თბილისში), იგი ეზიარა ყუბაჩურთან ერთად ლითონზე კვეთის ქართულ ხელოვნებას. ამიტომ მისი ხელოვნება ამ ორი ეთნოსის კულტურის ერთგვარი სინთეზია. მისი შემოქმედებითი და პიროვნული ცხოვრება ძირითადად საქართველოში მიმდინარეობდა. ამიტომ. გასაკვირი არაა, რომ იგი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნ-ალბომში საქართველოს მეორე სამშობლოს უწოდებს. იქვე გადმოცემულია მისი შემოქმედებითი ცხოვრების გზა ყუბაჩიდან თბილისამდე. ადრეულ ასაკშივე მშობლიურ ყუბაჩში ლითონზე კვეთის ტრადიციულ ხელოვნებაში გარკვეული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის შემდეგ მან თბილისელ ოსტატებთან – ა. ჭიქიასა და მ. იმედაძესთან შეისწავლა ფილიგრანის ოსტატობა, დახვეწა ლითონზე კვეთის ყუბაჩური ჩვევები, მოსკოვში დაეუფლა გრავირებას, ტვიფრული

მინანქრის დამუშავებას, თბილისში დაოსტატდა ტიხრული მინანქრის ნიმუშთა შესრულებაში, დ. ციციშვილისა და რ. შმერლინგის რჩევებით გაეცნო კომპოზიციის არსს, ქართული ორნამენტის შექმნის ხელოვნებას. ამიტომ ყუბაჩური ტრადიციული ორნამენტის გარდა, მის შემოქმედებაში ქართული ლითონმქანდაკეობის უძველეს ნიმუშთა გაცნობით ყუბაჩურის გვერდით ჩნდება ქართული ორნამენტული დეკორის სტილიზებული ვარიანტები, ლითონმქანდაკეობის ნიმუშთა თემატიკის მრავალფეროვნებასთან ერთად მრავალფეროვნდება მისი ტექნიკაც. ამასთან, იგი ქმნის როგორც სამკაულებს, იარაღს, ისე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშს, რომლებიც მონაწილეა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენებისა და დაცულია კერძო კოლექციებში, მსოფლიო მუზეუმებში, მათ შორის, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში. საინტერესოა მუზეუმის კუთვნილი, 1957 წელს შექმნილი ლარნაკი გორგასალი, რომელიც მიეძღვა თბილისის დაარსების 1500 წლისთავს. ესა არის ძალზე ნატიფი ნაკეთობა ვერცხლისა და სპილოს ძვლის გამოყენებით, ვერცხლი კი გრავირებული, მოსევადებული და მოვარაყებელია, გამოყენებულია ქართული თემატიკის სცენები, დაკავშირებული გორგასლის მიერ თბილისის დაარსების ლეგენდასთან. ასევე 1957 წელსაა შესრულებული ამ მუზეუმის კუთვნილი ვერცხლის ჭედური მეორე ლარნაკი. მუზეუმში დაცულ მის ნამუშევართაგან უნდა დასახელდეს დეკორატიული ნივთი – მცირე ზომის, ნატიფად შესრულებული საპუდრე (1953), რომლის შესრულებისას გამოყენებულია სხვადასხვა მასალა და ტექნიკა (ვერცხლი, ტვიფრული მინანქარი, სევადი, გრავირება, ვარაყი). საოცრად მიმზიდველია მისი ვერცხლის სურა (1965), რომელიც, შედარებით თავშეკავებული ორნამენტიკის მიუხედავად, გზიბლავს დახვეწილობითა და დინამიკურობით. აქაც ტექნიკათა მონაცვლეობით აღწევს შემოქმედი საოცარ ეფექტს. ძალზე დინამიკური ორნამენტით ხასიათდება ამ მუზეუმში დაცული მაგომედოვას სპილენძის ჭედური დეკორატიული სინი; ვერცხლის ფიალა (1958); კაკლის ხისა და ვერცხლის გამოყენებით შექმნილი კულა (1959), ასევე საღვინე ნაკრები; ან სალამური (1956). თბილისის დაარსების 1500 წელს მიეძღვნა ასევე მისი ვერცხლისა და სპილოს ძვლის გამოყენებით შესრულებული ხანჯალი ორმხრივი ქარქაშით (1958). ძალზე გამორჩეულია უხვად ორნამენტირებული ვერცხლის ყდიანი სამაგიდო ბლოკნოტი (1957).

ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში დაცული აზერბაიჯანული ხალიჩების, სომეხ თვითნასწავლ მხატვარ კ. გრიგორიანცისა და დალესტნელ ლითონმქანდაკებელ მ. მაგომედოვას შემოქმედება არა მხოლოდ მეტყველებს ამ მუზეუმის კუთვნილი ექსპონატების ავტორთა ეთნიკურ წარმომავლობაზე, არამედ ნათლად წარმოაჩენს ამ ინსტიტუციის მიდგომას მცირე ეთნოსთა კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა მიმართ, რადგან თითქმის ყველა მათგანის შექმნა თავად მუზეუმის სურვილი და ნება იყო, განსაკუთრებით კი – XX საუკუნეში. მეორე მხრივ, მუზეუმში ეთნიკურ უმცირესობათა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა არამცირერიცხოვნება კიდევ ერთი დასტურია საქართველოს მულტიეთნოსურობის, მულტიკულტურულობისა და, იმავდროულად, ავთენტური მოსახლეობის მხრიდან ამის მიმღებლობის მაღალი კულტურისა.

ლიტერატურა:

- კოშორიძე ი.** (2013). დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება – დარგები, სტილები, ეპოქები, თბილისი.
- საგანელიძე ი.** ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერა და სახელმწიფო მიდგომები საქართველოში (2009-2019), დისერტაცია.
- საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი. (2018). კოლონიური პოლიტიკიდან ეროვნულ მუზეუმამდე. თბილისი.
- მაგომედოვა მ.** (2017). წიგნი-ალბომი, თბილისი.

გივი მარგველაშვილის ეთიკური მრწამსი ანუ როგორ აგრძელებენ პერსონაჟები სიცოცხლეს

Giwi Margvelashvili's Ethical Beliefs or How the Characters Continue their Lives

მარი სიმონიშვილი

Mari Simonishvili

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქაიხვედო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*

მხატვრული ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის უსასრულობის პრობლემა ესთეტიკის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. „ხელოვნების ნებისმიერი ფორმით გამოვლინება მიეკუთვნება სინამდვილის იმ სფეროს, რომელიც გაგებას მოითხოვს“ (ყულიჯანიშვილი, 2006: 301). ფილოსოფიური ჰერმენევტიკა სიცოცხლის ფილოსოფიას უკავშირდება და დღის წესრიგში დგება უკვე გაგების ინტუიტიური განცდა; გარემომცველი სინამდვილე ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანს, ეს უკანასკნელი კი თავად იქცევა გამოცანად, ხან შემოქმედის, ხან რეციპიენტის, ხანაც თანაავტორის როლში (ყულიჯანიშვილი ა., ესთეტიკა, თბ., „მერიდიანი“, 2006).

ცხადია ისიც, რომ კონკრეტული, პრობლემური საკითხის გადაჭრა, ტექსტისმიერი სინამდვილის რომელიმე ასპექტის დეკოდირება არ გულისხმობს საბოლოო ატარაქსიულ განწყობას. იმისთვის, რომ სინამდვილის არსს ჩავწვდეთ, საჭიროა, ჯერ ეს სინამდვილე გამოვააშკარაოთ. ამიტომ მკითხველი ერთდროულად ანგრევს და აშენებს სამყაროს, იმ სინამდვილეს, რომელიც თან მზამზარეულია და თან ახლიდან აღმოსაჩენი. ჰაიდეგერის აზრით, „პოეტიკა ნიშნავს გამოვლენას, გამოაშკარავებას შექმნის, შემოქმედების თვალსაზრისით“ (ყულიჯანიშვილი, 2006: 311).

გივი მარგველაშვილის პერსონაჟებისთვის მკითხველს, თავად წაკითხვის პროცესს მოაქვს სინამდვილის შემეცნების განცდა. მათი გაგებით, ტექსტისმიერი რეალობა შორსაა იმ „რეალობისგან“, რომელიც წიგნის ყდებს მიღმაა, ამიტომ ებრძვიან მუდამ ამ ფატალურ მოცემულობას და სურთ, შეცვალონ ის დეტერმინირებული სიუჟეტი, დიქტატორმა ავტორმა რომ შექმნა მათთვის.

ჩაკეტილი, მოჭადოებული, თემების გამხსნელია გივი მარგველაშვილი და ამიტომაც მისი პროზა დაუმორჩილებლობის ნამდვილი მანიფესტი. მისი შემოქმედების – რომანების, მოთხრობების, მინიატურების, პიესების, ფილოსოფიური თუ ენათმეცნიერული თხზულებების მთავარი თემა ყოფიერებასა და მუნყოფიერებას შორის ორთაბრძოლა, მცდელობა, გადანყვეტილება, შემართება, დაუცხრომლობა და მუდმივი მზაობა – განწყობა იმისა, რომ ლიტერატურულად „ითამაშო“. შილერი ხომ ადამიანის თანდაყოლილ ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებებს მესამესაც უმატებდა და მიიჩნევდა, რომ თამაში თვითონ კი არის არასერიოზული, თუმცა სერიოზულ როლს ასრულებს. თამაშის დროს ადამიანი არის შინაგანად თავისუფალი და ამასთანავე თავისუფალი ბუნებრივად.

ნაირა გელაშვილი აღნიშნავს, რომ გივი მარგველაშვილის წიგნის სამყაროს თავისი კანონები აქვს, მწერლის მთავარი იარაღი შემოქმედებით ფანტაზიასთან ერთად ფილოსოფიური სიზუსტე და თანმიმდევრობაა. ეს გულისხმობს იმას, რომ თუ რეალურად ერთი კონკრეტული ადამიანის დაბადება ქმნის მხოლოდ ერთჯერად ისტორიას, წიგნის გმირის ცხოვრება მარადიულობასთანაა წილნაყარი და მისი სიცოცხლე დამოკიდებულია სხვაზე, მკითხველზე, რადგან ეს უკანასკნელი უბერავს გმირებს სულს. შესაბამისად, მარადიულ წრებრუნვას ემორჩილება ლირიკული გმირი და უსასრულოდ ელის წამკითხველს (გელაშვილი ნ., „მე წიგნის გმირი ვარ,“ თბ., ქართული გამოცემა, შპს ალონი, 2018).

გივი მარგველაშვილი კარგად იცნობს ფუკოსა და დერიდას ფილოსოფიურ კონცეფციას. სწორედაც, რომ ნიშანი, კვალი, ცნობიერების შეცვლაა ის მთავარი კონცეპტები, ასე რომ ერწყმიან ერთმანეთს დერიდას ფილოსოფიასა და მარგველაშვილის ინტერპრეტირებულ ტექსტში.

გივი მარგველაშვილის ნაწარმოებები იძლევა საშუალებას, გადამერს თუ დავესხებებით, უფრო ღრმად შევიდეთ წიგნისმიერ რეალობაში, უფრო მივუახლოვდეთ დამალულ ჭეშმარიტებას, რათა კოდები მოვხსნათ იმ ქმნილებას, რომელიც თავისთავში ატარებს ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას; ამისთვის საჭიროა სათანადო ფონური ცოდნა და ენის შეგრძნება, იმ ენისა, რომელიც ყოფიერების სახლად და ჭეშმარიტი ურთიერთობების – ავტორისა და მკითხველის საშუალებად ქცეულა. მარგველაშვილი წიგნის გმირების მხსნელად იქცევა, მათ ყოფიერებას იკვლევს და მიიჩნევს, რომ ადამიანები ტექსტით ვართ განსაზღვრულები. ყველა დიდი რომანი, რომელიც მისი ხელიდან გამოვიდა, სწორედ რომ წიგნის გმირების განსაკუთრებული თვისებების კვლევას ეძღვნება. „ეს არის გივი მარგველაშვილის ერთ-ერთი ძირეული შეგრძნება და აზრი, მისი პოეტიკის ბირთვი: ყველაფერი ტექსტია: სამყაროც, ისტორიაც, ადამიანიც; დაწერილი ტექსტები (წიგნები) ხშირად სხვა ტექსტებს: რეალურ ისტორიას, ადამიანთა ბედისწერებს, კაცობრიობის გზას განსაზღვრავენ. ადამიანი სამყაროში, ისტორიაში, ქვეყანაში – ეს არის ტექსტი ტექსტებში.“

საკვანძო სიტყვები: გივი მარგველაშვილი, პოსტმოდერნიზმი, მკითხველი, ავტორი, ინტერპრეტაცია.

ლიტერატორი, გერმანისტი რეზო ყარალაშვილი წერილში „მხატვრული ნაწარმოების აღქმა“ საუბრობს მკითხველის ფენომენზე. „ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ კარგი მკითხველი ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც კარგი მწერალი, მაგრამ, ალბათ, იშვიათად შეხვდებით ადამიანს, თავის თავზე რომ თქვას, ვერაფერი მკითხველი ვარო... ლიტერატურული ნაწარმოების მიმართ რატომღაც იგულისხმება, რომ იგი ყველასთვისაა მისაწვდომი, განურჩევლად იმისა, გააჩნია თუ არა ადამიანს წიგნის კითხვისთვის საჭირო თვისებები. თუმცა ყველა ადამიანი, რა თქმა უნდა, ერთნაირად ვერ გამოავლენს ფანტაზიას, ემოციურ მგრძობელობას, ინტერპრეტაციის უნარს და სხვა სამკითხველო ჩვევებს, რის გამოც მხატვრული ნაწარმოების აღქმის ხარისხი სხვადასხვა მკითხველისთვის განსხვავებული იქნება“ (ყარალაშვილი 2008: 32). და, აი, მარგველაშვილის რომანებისა თუ მინიატურების უკიდურესად სამყაროდან ლირიკული გმირები საშველად უხმობენ მკითხველს, რომელმაც ოდენ კითხვა არ იცის. ამ უკანასკნელს უნდა ესმოდეს ის სასონარკვეთილი ხმა, რომლის მიწვდენასაც ლამობენ ორ ყდას შორის, ორგვარ რეალობას შორის მყოფი გმირები.

რეზო ყარალაშვილი იმავე წერილში ამბობს, რომ „როდესაც მკითხველი წიგნს იღებს ხელში, მის პირველ მოთხოვნას ნაწარმოებისადმი მოთხოვნილი ამბის „ნამდვილობა“ უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან მხატვრული ნაწარმოების დამაჯერებლობის, მისი ნამდვილობის ილუზიის გარეშე გასაუბრება ავტორსა და მკითხველს შორის ვერ შედგება“ (ყარალაშვილი 2008: 33).

მარგველაშვილის პროზის ქვეტექსტი კი დაკარგული მკითხველის ძიებაა სწორედ. ერთგვარი პალიმფსესტური პრინციპი, რომლის საშუალებითაც იქმნება ამ ავტორის სამყარო, გულისხმობს ორი დიქტატურის წნეხქვეშ დაწერილი შემოქმედების დღის სინათლეზე გამოტანას სპეციფიკური, მომზადებული, უშიშარი მკითხველის მიერ. ლიტერატურათმცოდნე კლაუს ჰეტელვალტერი „მუცალის“ შესახებ წერდა, რომ იგი გვევლინება როგორც კანტის კრიტიკული ნაშრომების, ალენის სასიამოვნო ლიტერატურული ხუმრობების ვირტუალურ შერწყმად (<https://youtu.be/5DgkLENNpKM>). მისი პერსონაჟი ხომ ორ ყდას შორის ცხოვრობს და მხოლოდ ერთ რამეს ნატრობს, რამენაირად გაიჭრას გარეთ, მხოლოდ წიგნის გმირი კი არ იყოს, არამედ რეალურ ადამიანად გადაიქცეს. ჩვენ წინ ხომ არსებითად სხვა სამყარო იშლება, ეს დაშიფრული ავტობიოგრაფიაა, ყოფიერებისა და შემეცნების ახლებური გააზრება, ჭიდილი ისტორიულ პარადიგმასთან, წიგნის ორი ყდის მსგავსად ორგვარ რეალობასთან – ტოტალიტარულ ფაშიზმსა და ტოტალიტარულ კომუნისტთან, ყოფის აუტანელ სიმძიმესთან და, რაც მთავარია, განმათავისუფლებელ, მხსნელ ადამიანთა შესახებ. „მე

მთლიანად შემოიპყრო იდეამ, რომ წიგნი ადამიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და, რომ ამის მხატვრულ-ფილოსოფიური გამოხატვა იყო საჭირო. მე ვიგრძენი, რომ აქ ყამირთან მქონდა საქმე, თუმცა არა ტერრა ინკოგნიტოსთან. შემდეგ კი შევეუდექი პრობლემის პედანტურად დამუშავებას, რაც მხატვრულად განხორციელებული ხშირად გიჟმაჟობად აღიქმება, – თავისი მიზანდასახულობის მიხედვით კი, ალბათ, ფანტასტიკურ რელიზმს უნდა განეკუთვნოს“ (მარგველაშვილი, 2018: 221).

ეს ფანტასტიკური რეალიზმი კი წიგნის გმირების სხვა, ახალი, „უცხო“ რეალობაა, „სხვა“ მკითხველის თვალთ დანახული და ამდენად „ყველა განსაცდელი და უბედურება, რაც წიგნის მიხედვით გვიწერია, არც ისეთ საშინელებად გვეჩვენება და ჩვენი თემატური სიკვდილითაც გაცილებით ადვილად ვკვდებით. ამდენად, უდიდესი განცდა მაშინ გვეუფლება, თავს რეალურ პირთა (მკითხველთა) თვალეებში რომ ვხედავთ და ჩვენკენ მომართული მათი მზერის წყალობით შევიცნობთ, რომ ჩვენ ვართ.“

რეზო ყარალაშვილი მიუთითებს, რომ მკითხველის სპეციფიკურ განწყობაზეა დამოკიდებული ნამდვილობის ილუზიის შექმნა, მკითხველის ცნობიერება მომართულია იმისკენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადაერთოს კითხვის პროცესში და აქ მოყოლილი ამბები აღიქვას ისე, როგორც გარკვეული რეალობა, როგორც ნამდვილად არსებული. ცხადია, მკითხველს ესმის, რომ ეს რეალობა არ არის ემპირიული რეალობის იდენტური, მაგრამ „ამავე დროს, ის არც მხოლოდ შეთხზული და მოგონილი ამბავია, არამედ გარკვეული სახის რეალობა და სინამდვილე“ (ყარალაშვილი, 2008: 33).

გოეთე წერდა: „იცით, როგორ მკითხველს ვინატრებდი? ისეთს, რომელიც მეც, თავის თავსაც და მთელ სამყაროსაც დაივიწყებდა და მხოლოდ ჩემს წიგნში იცოცხლებდა“ (ყარალაშვილი 2008: 33).

მხატვრული ნაწარმოების სწორი აღქმისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ფაქტების ცოდნა, ტექსტი გააზრებული უნდა იყოს, როგორც გარკვეული შინაარსის შემცველი მოდელი. ამისთვის კი საჭიროა, მკითხველს შეეძლოს მხატვრული სისტემის დეკოდირება სტილისტური თავისებურებების, ტროპის გამოყენების კანონზომიერების, რიგი ენობრივი ნიუანსების გააზრების საფუძველზე. მნიშვნელოვანია ჟანრული მახასიათებლების ცოდნა, ვინაიდან ყოველი ახალი ჟანრი გვთავაზობს იმგვარ კანონებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მკითხველის მხრიდან. შესაბამისად, ეს ქმნის უკვე ფონური ცოდნის გარკვეულ დონეს, როცა კულტურული ცოდნის ასპექტი კითხვის პროცესში უდიდეს როლს ასრულებს. ამ უკანასკნელს ემატება მკითხველური გამოცდილების ნიუანსიც, როცა რეციპიენტისთვის აღუქმელი არ რჩება ტექსტისმიერი სინამდვილის კონკრეტული პასაჟები (ყარალაშვილი რ., ქართული 12, თბ., „დიოგენე“, 2008).

ამდენად, ისევ გოეთეს თუ დავესესხებით, „სამი სახის მკითხველი არსებობს: ერთი, რომელიც განსჯის გარეშე ტკბება, მეორე, რომელიც ტკბობის გარეშე მსჯელობს და საშუალო, რომელიც ტკბობისას მსჯელობს და მსჯელობისას ტკბება. სამკითხველო განწყობის ერთ-ერთი მხარის უგულებელყოფა სწორედ გოეთეს მიერ გამოყოფილ მკითხველთა პირველ ორ კატეგორიას წარმოშობს, ხოლო მათი სინთეზი აყალიბებს კვალიფიციურ მკითხველს, რომელსაც შესწევს ნაწარმოების გაგების უნარი“ (ყარალაშვილი, 2008: 35).

მხატვრული ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის უსასრულობის პრობლემა ესთეტიკის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. „ხელოვნების ნებისმიერი ფორმით გამოვლინება მიეკუთვნება სინამდვილის იმ სფეროს, რომელიც გაგებას მოითხოვს“ (ყულიჯანიშვილი, 2006: 301).

ფილოსოფიური ჰერმენევტიკა სიცოცხლის ფილოსოფიას უკავშირდება და დღის წესრიგში დგება უკვე გაგების ინტუიტიური განცდა; გარემომცველი სინამდვილე ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანს, ეს უკანასკნელი კი თავად იქცევა გამოცანად ხან შემოქმედის, ხან რეციპიენტის, ხანაც თანაავტორის როლში (ყულიჯანიშვილი ა., ესთეტიკა, თბ., „მერიდიანი“, 2006).

როგორც კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ლევან ბრეგაძე სტატილაში „წიგნებში გადასახლება“ მიუთითებს, გივი მარგველაშვილის მხატვრული შემოქმედება უკავშირდება ერთ

ორიგინალურ, მხატვრულ იდეას, რომლის ძალითაც პერსონაჟების განმათავისუფლებელი, მხსნელი წიგნის სამყაროს სამმართველოს საშუალებით ტექსტებს ისე „გადმოაკეთებს,“ რომ ბოროტებას თავისი ვერ გააქვს. ცხადია, ბიოგრაფიული მომენტები განაპირობებს იმ მთავარი მხატვრული კონცეპტის გაჩენას, რასაც სახლში დაბრუნება ჰქვია. უსათაურო ლექსში ამას ამბობს კიდევ: „დაე, შენი საიდუმლო იყოს შენი სამშობლო/ დაე, იყოს სამშობლო მთა უკანასკნელი. უკანასკნელი კითხვა“ (https://lit-studies.blogspot.com/2020/03/blogpost_13.html?fbclid=IwAR2yYCCrtXEOZJDYcBeYUWrcA9vRJ7GO8pf7rZGw02SvboB4ycunz7jXsc).

ტენდენცია იმისა, რომ ხშირად ადამიანები ცდილობენ, მძიმე წარსულისგან გათავისუფლებას, მარგველაშვილის პროზაში ირონიულ-სარკასტულ ხასიათს იძენს; წიგნის სამმართველოს ერთგული თანამშრომლების მსგავსად, მოგონებათა სამყაროს საიდუმლო ორგანიზაცია სასწრაფოდ ჩნდება ცნობიერების კარიბჭესთან და მყისვე საკითხავ მარაგს, თუნდაც სხვათა წარსულს აწვდის ავტორს.

მარგველაშვილისეული ცნობიერების სტრუქტურა მთელი სისავსით წარმოადგენს მიჯნას, გარდამავალ სუბლიმაციურ ენერგიას ადამიანის ყოფიერების განმსაზღვრელ ცნობიერებასა და იმ პიროვნულ არაცნობიერს შორის, რომელიც მივიწყებული, განდევნილი, გაძევებული განცდებისა თუ ლტოლვების ერთობლიობაა. ამიტომაცაა, რომ ორმაგი დიქტატურის მომაკვდინებელ გავლენებს თან გაურბის და თან ერთგვარ არქეტიპად აქცევს საკუთარი ცხოვრების და შემოქმედების გასაგებად.

მისი ლირიკული გმირები სხვა ფილოსოფიური ენის საშუალებით ახერხებენ ფსიქოანალიზის ურთულესი ეტაპების გავლას იქამდე, სანამ მათი ხმა მკითხველებს არ მისწვდებათ. ჰერმენევტიკის პრინციპითაც ხელოვნების ნაწარმოები არ იფარგლება მხოლოდ წარსულის დრო-სივრცით, მას გააჩნია ანმყო და აქვს უნარი, გადალახოს დროითი საზღვრები. რადგან ის ისტორიული შემეცნების საგნად არ იქცევა, ამიტომ ერთ შემთხვევაში მკითხველი ძალმოსილია, მოახდინოს მხატვრული სინამდვილის თავისებური რესტავრაცია, ხოლო სხვა შემთხვევაში – ინტეგრაცია.

გივი მარგველაშვილის პროზაში ტექსტს ფატალური ფუნქცია აკისრია, მისი სიუჟეტების, თემების, გმირების ხასიათში გარკვევა ხშირად უჭირს მკითხველს. გავიხსენოთ მინიატურა „ორი მკითხველი: „რა სახიფათო იქნებოდა მკითხველისთვის ლექსის უდაბნოები, იგი რომ მართლა განიცდიდეს, რასაც კითხულობს“ (მარგველაშვილი, 2018: 62).

მოგვეხსენება, ადამიანური ყოფის განსაკუთრებული მოვლენაა ენა. ჰაიდეგერი ხომ ყოფიერების სახლსაც უწოდებს მას. შემოქმედი ბრმად არ გვანვდის ცნობებს, მას სურს, მიზანმიმართულად გამოხატოს განცდები, ემოციები, განწყობები, დამოკიდებულებები. ტექსტი ენის თავისებური, სპეციფიკური სახეა. იგი საუბრობს, ამიტომ მხატვრული ნაწარმოების გაგება გულისხმობს ამ კონკრეტული ტექსტის სამეტყველო დისკურსთან ზიარებას.

გაო სინჯინი წერს: „მე მჯერა იმისა, რასაც „ვივ ლიტერატურას“ ვუწოდებ: ეს არის გაქცევისა და სიცოცხლის შენარჩუნების ლიტერატურა. მე მჯერა მომენტის ლიტერატურის, ლიტერატურისა ცოცხალი ადამიანებისთვის. უნდა შეგვეძლოს თავისუფლების გამოყენება“ (ვასაძე, 2008: 71).

ბედის ჩარხი წაღმა რომ დატრიალდეს, ყველა ჩაკეტილი სიუჟეტი რომ გაიხსნას, საჭიროა საგანგებოდ მომზადებული მკითხველის პოვნა, იმგვარი მკითხველისა, რომლისთვისაც ლირიკული გმირის „ონტოკონტექსტოლოგიური საყვედური“ (ხაზგასმა გ. მ.) სრულებით უცხო იქნება და მას არასდროს დაუსვამს კითხვას პერსონაჟი: „რატომ არ მკითხულობ, რატომ არ გიყვარვარ?“ (მარგველაშვილი 2018: 55).

რეზო ყარალაშვილის აზრით, „იმისთვის, რომ ტექსტმა მკითხველის წარმოსახვაში ადეკვატური დაკონკრეტება განიცადოს, მკითხველს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნის მარაგი, რომელიც კითხვის პროცესში რეაგირებას მოახდენს ტექსტის სიგნალებზე და ხორცს შეასხამს მხატვრულ სინამდვილეს. შესაბამისად, რაც უფრო განსწავლული და მდიდარი ერუდიციის პატრონია მკითხველი და დეკოდირების რაც უფრო მეტ ხერხს ფლობს იგი, მით უფრო დიდ ინფორმაციას მიიღებს ის მხატვრული სისტემიდან“ (ყარალაშვილი 2009: 36).

მწერალი, რომლის ბედი განსაზღვრა ორმა ტირანულმა იდეოლოგიამ, ახერხებს და საოცარი ოსტატობით მორალური გზით მაინც (ფიზიკურად თუ ვერა) ხელიდან უსხლტება დიქტატურას. ის გარბის და ამ გაქცევით ამსხვრევს იდეაში სამუდამოდ მისჯილი ბედისწერის ბორკილებს. მისი თავშესაფარი წიგნებია, მისი ერთადერთი რეალობა წიგნის სამყაროა და, როგორც შემოქმედი, სახელდებით იწყებს სამყაროს ქმნას, ის ემსგავსება უზენაესს და აშენებს ახალ რეალობას, ყველაფერს იწყებს თავიდან და ადამიანს აბრუნებს კიდეც მუნყოფიერებაში. მწერლის ფსიქიკა უმკლავდება ყოველგვარ გარეგნულ სიძნელეებს, გაჭირვებას; ის ახერხებს და საოცარი ტალანტის ძალით სრულიად მარტოსული უშიშრად ეჭიდება სხვა, უცხო ყოფის ჯერ გაუცნობიერებელ სირთულეებს. მისი სამეტყველო ენა ამართლებს ჰაიდეგერისეულ ყოფიერების სახლის სიმბოლისტურ გადაწყვეტას და გერმანული ფრაზეოლოგიით მარგველაშვილის პროზა სრულ მწერლურ შეურიგებლობას უცხადებს მოქმედ, თანადროულ რეალობას. ამიტომაც, ის კლასიკური ლიტერატურული ტენდენციების მატარებელი ავტორი არ გახლავთ. ის წერს იმაზე, რაც სურს და წერს ისე, როგორც სურს. ეს იშვიათი შემთხვევაა. ცენზურის მკაცრი კანონებისგან თავისუფლდება ავტორი და მკითხველსაც ასეთს ელოდება – თავისუფალს ყოველგვარი კლიშეებისგან.

ლიტერატურა:

ბარამიძე გ. (1993). *ფანტაზია და მსოფდმხედველობა*, თბილისი: გონი.

ბუხრიკიძე დ. *წიგნები და ხაზები: გივი მაჩველიაშვილი – დაბუნება დროა და სივსივეში ხეგიაღის შემდეგ*, ცხელი შოკოლადი, თბილისი, 2012. ISSN 1512-2220. ივნისი. N80. გვ.118-119.

გასეტი ო. ი. (1992). *ხელოვნების დეჰუმანიზაცია*, თბილისი: ლომისი.

გაფრინდაშვილი ნ., მირუსაშვილი მ. (2014). *დიგეხაგუხათმცოდნეობის საფუძვლები*, თბილისი: „მერიდიანი“.

ლიოტარი, ჟ. ფ. *პასუხი კითხვაზე – ხა აჩის პოსტმოდერნი?* ჟურნალი „პოლილოგი“, თბილისი, 1994, N4, გვ. 195-207.

ტენი ი. (1990). *ხელოვნების ფიდოსოფია*, თბილისი: საქართველო.

ფუკო მ. (2004). *სიგყვები და საგნები*, თბილისი: დიოგენე.

ცინცაძე გ. (1975). *გაგების მეთოდი ფიდოსოფიაში და პიხოვნების პიხობდმა*, ფილოსოფიის ინ-ტი. თბილისი: მეცნიერება.

ყულიჯანიშვილი ა. (2006). *ესთეტიკა*, თბილისი: მერიდიანი.

ჰაიდეგერი მ. (1992). *დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა*, თბილისი: „გონი“.

ჰაიდეგერი მ. (1989). *ყოფიეხება და დრო*, თბილისი.

ასურელები საქართველოში: იდენტობის თანამედროვე გამოწვევები (სოფელ ქანდის მაგალითზე)

Assyrians in Georgia: Current Challenges for the Identity (the Case of the Village Kanda)

თინათინ სოზიაშვილი

Tinatin Soziashvili

დამოუკიდებელი მკვლევარი, საქართველო

Independent Researcher, Georgia

შესავალი

ნაშრომში განხილულია სოფელ ქანდაში მცხოვრები ასურელი მოსახლეობის თანამედროვე ყოფა, ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშე დგას მათი კულტურული თვითმყოფადობა საქართველოში, ასურელების მიერ საკუთარი მომავლის ხედვა, ქართულ საზოგადოებასთან ასურელთა ინტეგრაციის ხარისხი და მიმართება საერთო სამოქალაქო იდენტობასთან.

სოფელი ქანდა მდებარეობს ქართლში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანის თემში. მცხეთის რაიონში არსებობს ორი ქანდა, პატარა, რომელიც ეთნიკურად ქართველებით არის დასახლებული და ძველი ქანდა, რომლის ძირითადი მოსახლეობა ასურელია. ჩემი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს ძველი ქანდა. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ძველ ქანდაში ცხოვრობს 1106 ადამიანი, ეთნიკური ასურელების ხვედრითი წილი 58,7%-ს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, 197). აქ მცხოვრები ასურელების უმეტესი ნაწილი ქრისტიანული აღმსარებლობისაა. მათი სამეტყველო ენა ქართულია, ასურულ ენას კი საოჯახო ენის სტატუსი ჰქონდა, თუმცა, მათი აქტიურობის შედეგად, 2016-2017 წლებში ასურული ენის სწავლება დაიწყო სკოლებშიც. ასურელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გარე სამუშაოზე შრომით (მაგალითად, ხელოსნობა) ირჩენს თავს, ხშირია უცხოეთში მიგრაციაც, თუმცა კოვიდ პანდემიის პერიოდში ბევრი მათგანი შინ დაბრუნდა. ასევე, აქვთ მცირე მეურნეობები, რომლის განვითარებასაც ხელს უშლის სარწყავი არხების უქონლობა.

კვლევის ძირითად თეორიულ საყრდენს ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური თეორია წარმოადგენს. როგორც ენტონი სმითი აღნიშნავს, თვითგანსაზღვრისა და საკუთარი ადგილის ძიების პროცესი ნაციონალური იდენტობის გასაღებია, რომელსაც გაზიარებული უნიკალური კულტურის მეშვეობით ვაცნობიერებთ (სმითი 2008, 21). ეთნოსიმბოლისტური თეორიის ქრილში ქანდის ასურელი მოსახლეობის პრობლემათა განხილვისას, ყურადღება გავამახვილე ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა საერთო კოლექტიური მემსიერება, ღირებულებები, ტრადიციები, სენტიმენტები, მითები და სიმბოლოები, რამაც მომცა მათი კულტურული მახასიათებლებისა და ღირებულებების უკეთ გააზრების შესაძლებლობა.

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება სოფელ ქანდაში ჩატარებულ სავლელ სამუშაოებს. ასურელების კულტურის ელემენტების უკეთ გასაცნობად გამოვიყენე დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდი. არაფორმალური ინტერვიუების მეთოდის მეშვეობით, შევეცადე, შემეგრძობინა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენად ინარჩუნებენ საკუთარ ტრადიციებს, ენას, იდენტობას და რა გამოწვევების წინაშე დგანან. მეორეული ანალიზის მეთოდით დავამუშავე ასურელებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. ინტერნეტსივრცეში არსებული სტატიები და რეპორტაჟები კი კონტენტანალიზის მეთოდით გავაანალიზე.

სტატიებზე მუშაობის პროცესში ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმის გამორკვევა, თუ როგორ განსაზღვრავენ ქანდელი ასურელები საკუთარ იდენტობას, რა განცდა და ემოციები აქვთ ისტორიული სამშობლოსა და დღევანდელი საცხოვრებლის მიმართ. ამ საკითხების გააზრებისათვის მოვიშველიე ენტონი სმითის მოსაზრება, რომლის მიხედვით, ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, ნებისმიერ კულტურულ კონფიგურაციას ლეგიტიმურობას ანიჭებს, შემოიკრებს თავის გარშემო ისეთ ადამიანებს, რომლებიც აცნობიერებენ კულტურული ღირებულებების მნიშვნელობას და ცდილობენ მის შენახვას შთამომავლობისთვის (სმითი 2008, 104). ჩემი კვლევისათვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია ნაციონალიზმის კულტურული ფორმების წარმოჩენა. საერთო ღირებულებების, ტრადიციების, სიმბოლოების, მეხსიერების, მემკვიდრეობისა და კულტურული ნათესაობის შეგრძნება აღვივებს სენტიმენტებსა და ეროვნულ გრძნობებს, რაც კრავს საზოგადოებას და ბადებს ერთიანობის განცდას (სმითი, 2008, 20-21).

ქართულ საზოგადოებასთან ასიმილაციის გზაზე დამდგარი ასურელები ეთნიკური გამოღვიძების პროცესს გადიან და ცდილობენ, მომავალ თაობას შეუნარჩუნონ საკუთარი წარსული, ისტორია, არ დაკარგონ ტრადიციები, ენა, კულტურა და რელიგია. ეს ყველაფერი კარგად ჩანს ისეთ ინსტიტუციურ ერთეულებში, როგორიცაა სკოლა, ეკლესია, თავშეყრის ადგილები. ერთიანობის განცდას ასევე აძლიერებს ასურული დღესასწაულების, რელიგიურისა თუ საეროს, ერთობლივად აღნიშვნა. როგორც ენტონი სმითი აღნიშნავს, ხშირად ხდება იდენტობათა ურთიერთგადაფარვა, რელიგიური იდენტობა მჭიდროდ უკავშირდება ეთნიკურს, ორივე კი ეფუძნება კლასიფიკაციის ერთ კრიტერიუმს – კულტურულს. ისინი ხშირად აძლიერებენ და მოიცავენ ერთმანეთს, ერთად და ცალ-ცალკე შეუძლიათ საზოგადოებრივი ერთობის მობილიზაცია და გაძლიერება (სმითი, 2008, 9).

სოფელ ქანდის ასურული მოსახლეობა დღეს ცდილობს, შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა. ქვემოთ ვისაუბრებ იმაზე, თუ რა სიძნელებებს და პრობლემებს აწყდებიან ისინი ამ პროცესში.

ძველი ქანდის თანამედროვე ვითარება. ქანდა გზისპირა სოფელია. ცენტრალური მაგისტრალის ერთ მხარეს დასახლებული პუნქტია, მეორე მხარეს – ქანდის სასაფლაო. სოფელი ვაკე ადგილასაა გაშლილი, მისასვლელი გზა ასფალტისაა, სახლები მოვლილი და ლამაზად მოპირკეთებულია, უფრო მეტად ქალაქური ტიპის დასახლებას მოგვაგონებს. სოფელში არის ქანდის საჯარო სკოლა და ახლად აშენებული საჯარო საბავშვო ბაღი. ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის გვერდით აშენდა ცამეტი ასურული მამის მონასტერი. გარდა ამისა, სოფელში არის წმ. ნინოს სახელობის ეკლესია, წყარო და წმ. მარზაის სახელობის ეკლესია სოფლიდან განაპირას, ველზე, სადაც თავდაპირველად დასახლდნენ ქანდელი ასურელები.

ქანდის მკვიდრი, ჯულიეტა ისაევი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მათი მდგომარეობა და ყოველდღიური ყოფა ისეთივეა, როგორც სხვა დანარჩენი მოსახლეობისა: „არავისგან არაფრით განსხვავდებით, ჩვენ, ისევე როგორც სხვები, არსებობისთვის ვიბრძვით“ (ყაჭრიშვილი, 2014). ქანდელი ასურელების ქართულ საზოგადოებასთან ასიმილაციის ხარისხი საკმაოდ მაღალია, რაც გამოიხატება მათ ყოველდღიურობასა თუ სარიტუალო დღესასწაულების აღნიშვნაში, სადაც ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები ჭარბად არის. თუმცა განსხვავება „ჩვენ“ და „სხვას“ შორის მაინც არსებობს. ჩემმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა საუბრისას აღნიშნა, რომ რამდენადაც არ უნდა ჰქონდეთ შეთვისებული ქართული კულტურის წეს-ჩვეულებანი, ისინი მაინც ეროვნული უმცირესობის ნაწილნი არიან, რადგან მათ აქვთ განსხვავებული ენა, რელიგიური დღესასწაული, საკვები და ცეკვები, რომელსაც არ ივიწყებენ და გადასცემენ შთამომავლობას.

ტერიტორია, ენა, რელიგია – როგორც იდენტობის მარკერი. ამ ნაწილში ყურადღებას ვამახვილებ საერთო ტერიტორიაზე, ენასა და რელიგიაზე, რომლებიც ეროვნული იდენტობის ძირითადი მარკერებია. ენტონი სმითის აზრით, ადამიანი და ტერიტორია უნდა ეკუთვნოდნენ ერთმანეთს. ტერიტორია არ უნდა იყოს უბრალოდ მიწა, ეს უნდა იყოს ისტორიული ადგილი, სამშობლო, რომელიც საკრალიზებულია ადამიანის ცნობიერებაში. სამშობლო ხდება ისტორიული

მეხსიერებისა და ასოციაციების საცავი, ადგილი, სადაც წინაპრები, გმირები, წმინდანები ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ და ლოცულობდნენ. მისი საკრალური ცენტრი თავს უყრის თავის „შვილებს“, ანდა შორიდან შთააგონებს მათ, ვინც ხანგრძლივ გადასახლებაში იმყოფება. ამრიგად, მძაფრი ნოსტალგია და სულიერი მიჭაჭვულობა აძლებინებს ეთნოსს მაშინაც კი, როდესაც ის მოწყვეტილია თავის სამშობლოს (სმითი, 2008, 11, 28). ქანდელი ასურელები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ ორი სამშობლო აქვთ, ერთთან ფიქრებით და ემოციურად არიან დაკავშირებულნი, მეორესთან კი – ფიზიკურად. ამას ერთ-ერთი რესპონდენტის მოყოლილი ამბავიც ადასტურებს: 2015 წელს, როდესაც აქტიურად მიდიოდა ისლამური დაჯგუფების ISIS-ის მიერ ქრისტიან ასურელთა დევნა და ტელევიზიით მასობრივად ვრცელდებოდა მათი წამების ამსახველი კადრები ერაყიდან, სირიიდან და ირანიდან, მისი მეუღლე ტელევიზორის ყურებისას ცრემლებს ვერ იკავებდა და განიცდიდა ამ ფაქტს, როგორც მისი ერის გენოციდს. ასეთი განცდები ისტორიული სამშობლოს მიმართ ახალგაზრდებში ნაკლებად იჩენს თავს. თუმცა, ასურელი მოძღვარი, მამა სერაფიმე ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში ბევრმა, მათ შორის ქანდელმა ასურელმა, გამოთქვა ობლად დარჩენილი ბავშვების დახმარებისა და შეფარების მზაობა. ასევე, ის ამბობს, რომ რადგან მათ თავიანთი მიწა არ აქვთ, ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ასურელი ნათესავად ითვლება, რაც აძლიერებს მათ ერთობას (პაპასკირი, 2015).

შესაძლოა მიწა პირველსაცხოვრისს არ წარმოადგენდეს, თუმცა ადამიანებს, გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, მის მიმართ გაუჩნდეთ ისეთი დამოკიდებულება, როგორც ისტორიული სამშობლოს მიმართ. ქანდელ ასურელებსაც ასეთი მიმართება აქვთ იმ ტერიტორიის მიმართ, სადაც დღეს ცხოვრობენ. ამ ფაქტს ლეგიტიმაციას ისიც სძენს, რომ მათ ეს ადგილი ნაჩუქარი ან ვინმესგან ნათხოვარი კი არ აქვთ, არამედ ნაყიდი აქვთ მუხრანბატონისგან. ისინი ხშირად ამბობენ, რომ საქართველო მათი მეორე სამშობლოა და ქართველი ხალხის მიმართ მაღლიერებას გამოთქვამენ.

რელიგია და ენა ხელს უწყობს ეთნიკური ჯგუფის შიგნით სოლიდარობის გაძლიერებასა და ჯგუფის თითოეული წევრის მიერ საკუთარი თავის ასოცირებას ეროვნულ კულტურულ სიმბოლიკასთან. ქანდის მოსახლეობის უმეტესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია და მათი დიდი სურვილი იყო, რომ სოფელში ჩასულიყო ეთნიკურად ასურელი მოძღვარი. მამა სერაფიმეს გამოჩენამ ქანდაში წინ წამოწია თემის გადარჩენის საკითხი, ხელი შეუწყო ასურელთა კულტურისა და რელიგიური ელემენტების პოპულარიზაციას ქართულ საზოგადოებაში, რამაც ვფიქრობ, გაზარდა დანარჩენი მოსახლეობის ინტერესი მათი რელიგიური პრაქტიკის მიმართ, ხოლო თავად, როგორც ეთნოსს, გაუღვივდა სურვილი, უფრო მეტად შეინარჩუნოს საკუთარი ენა, რელიგია და კულტურის ელემენტები. ასურელი მოძღვრის ქრისტეს ენაზე გალობის მოსასმენად უამრავი ადამიანი ჩადის ქანდის ცამეტი ასურელის მამის სახელობის მამათა მონასტერში. ამ საკითხს არაერთი სატელევიზო გადაცემა თუ რეპორტაჟი მიეძღვნა. რელიგიური რიტუალები თითქმის არაფრით განსხვავდება ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისგან.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კულტურული ერთობისთვის გადამწყვეტი როლი სოციალურ კომუნიკაციას უჭირავს, კომუნიკაციის უმთავრესი საშუალება კი ენაა (სმითი, 2004, 18). ვფიქრობ, ქანდელ ასურელებს მიაჩნიათ, რომ მათი იდენტობის გადარჩენის მთავარი ფაქტორი არის ასურული ენის შენარჩუნება.

ქანდელი ასურელები საუბრობენ არამეული ენის ურმიულ დიალექტზე. როგორც აღვნიშნე, ასურული ენა და მისი შენარჩუნება დღეს საკმაოდ აქტუალური საკითხია არა მარტო ქანდელი, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ასურელებისთვისაც. არაერთ რეპორტაჟს, სტატიასა და პირად საუბრებში წაიკითხავთ და მოისმენთ, თუ რამდენად საკრალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ეთნოსის გადასარჩენად ენის შენარჩუნება. მათი მთავარი და ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ ამ ენაზე იესო ქრისტე საუბრობდა და არ შეიძლება მისი დაკარგვა. მარიამ ნანობაშვილი ამ საკითხთან მიმართებით წერს, რომ ქრისტეს შობის წელთაღრიცხვის მიჯნაზე პალესტინის ქალაქებში არამეული ენა იყო გაბატონებული. სასწავლებლებში ისწავლებოდა როგორც

ებრაული, ისე არამეული. თუმცა, მეცნიერებს ამაზე სხვადასხვა აზრი აქვთ (ნანობაშვილი, 2012, 150-151). მამა სერაფიმე კი ამბობს, რომ ენა წლების განმავლობაში განიცდის გარკვეულ ცვლილებებს, რაც გაირა ასურულმა ენამაც და არგუმენტად მოჰყავს ფონეტიკური და სიტყვათა შედარებითი მაგალითები. „როდის შეგიძლია თქვა, რომ შენ ხარ ასურელი? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენ საუბრობ ასურულად,“ – ამბობს იგი (ნათია ქენქაძე, 2016).

სოფელ ქანდაში ასურულს საოჯახო ენის სტატუსი ჰქონდა, ძირითადად სახლში საუბრობდნენ, ასევე, როგორც ერთ-ერთმა მთხრობელმა მიაგებო, საერთო თავშეყრის ადგილებშიც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იქ ყველა ეთნიკურად ასურელი იყო და ენა ესმოდა. სუფრაზე თუ სხვა ეროვნების ადამიანის გამოერევა, ასურულად არ დაილაპარაკებენ, რადგან ეს უპატივცემულობად ითვლება. უფროსი თაობა ასურულად საუბრობს, მაგრამ იშვიათია, რომ ვინმემ დამწერლობაც იცოდეს. ახალგაზრდობას რაც შეეხება, მათ შესაძლოა, ენა ესმოდეთ, თუმცა ამ ენაზე არ საუბრობენ. ამან, დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ასურული ენის დაკარგვა გამოიწვიოს. ამის პრევენციის მიზნით, ასურელებს გაუჩნდათ სურვილი, რომ მათი ენის სწავლება სკოლებშიც დაწყებულიყო.

2016 წელს, მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ლინგვისტური უფლებების დაცვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდა პროექტი და გამოიცა ბრძანება (N1255), რომლის მიხედვითაც სკოლებში დაინერგა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისთვის შემდეგი ენების სწავლება: ოსური, ხუნძური, უდიური, ქურთული და ასურული. ძველი ქანდის საჯარო სკოლა ერთადერთია მთელ საქართველოში, სადაც ასურული ენა ისწავლება V, VI და VII კლასებში (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2017, 7). ბავშვებს ასურულ ენას ასწავლის მონვეული პედაგოგი ეკატერინა ბიტკაში, აღმოსავლეთმცოდნე, ასურული ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნინევიას“ დამფუძნებელი. საშუალება მქონდა, შევხვედროდი მას და დავსწრებოდი გაკვეთილის პროცესს. ჩემი ვიზიტი ქანდის საჯარო სკოლაში დაემთხვა ასურული ახალი წლის დღესასწაულს. ბავშვებს მომზადებული ჰქონდათ პრეზენტაციები ასურული ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციებზე, საკლასო ოთახი გაფორმებული იყო ბავშვების მიერ დახატული ასურული თემატიკის ნახატებით. ისინი მიაგებოდნენ თავიანთი კულტურის, დღესასწაულებისა და ტრადიციული საკვების შესახებ. წარჩინებულმა მოსწავლემ მითხრა: „ასურული ენა მინდა ვიცოდე, რადგან პატივს ვცემ დედას, რომელიც ასურელია, მაგრამ ეს ჩემთვის როგორც უცხო ენის შესწავლა, ისეა და ცოტა მიჭირს“. ამაში სხვა მოსწავლეებიც დაეთანხმნენ. ამბობენ, რომ ენის მიმართ ინტერესი აქვთ, თუმცა ასურული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესს გარკვეული სირთულეები ახლავს. მასწავლებელი ცდილობს ბავშვებში ინტერესის გაღვივებასა და ნახალისებას, თუმცა აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა უმეტესობამ არ იცის ასურული ენა და ხშირ შემთხვევაში, ისე უწევთ სწავლა, როგორც დამატებითი უცხო ენის. ეკატერინამ ერთი საინტერესო ფაქტი მიაგებო: მას დაუკავშირდა ყოფილი მოსწავლე, რომელმაც სკოლა უკვე დაამთავრა და უთხრა, რომ სკოლის პერიოდში ვერ გაიაზრა ასურული ენის მნიშვნელობა და ახლა უნდა, რომ იგი კარგად შეისწავლოს. ეს მასწავლებლისთვის ძალიან დიდი სტიმულია, რომ გააგრძელოს თავისი საქმიანობა, რომელიც მისი მხრიდან, ფაქტობრივად, ენთუზიაზმი უფროა საკუთარი ეთნოსის გადასარჩენად.

ენის არცოდნის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა, იყოს ეთნიკურად შერეული ოჯახები. მამაკაცები ნაკლებად ქორწინდებიან ასურულ ქალებზე, ნათესაური კავშირების გამო. ძირითადად, ეთნიკურად ქართველი ცოლები მოჰყავთ სხვა სოფლებიდან. ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელსაც ქართველი მეუღლე ჰყავს, აღნიშნა, რომ ოჯახში ქართულად ლაპარაკი უფრო უადვილდება, რადგან ყველას ესმის, თუმცა აწუხებს დანაშაულის გრძნობა, რომ იშვიათად საუბრობს შვილთან ასურულად.

ეთნონიმის განსაზღვრა, გვარების შეცვლა, ქართულ საზოგადოებასთან ასიმილაცია. ქანდელ ასურელებში თვითგანსაზღვრის პრობლემა უშუალოდ კავშირშია იმ ეთნონიმთან, რომლითაც მათ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები მოიხსენიებენ საქართველოში.

ეთნონიმი ეთნიკური იდენტობის გამომხატველი ტერმინია. ასურელთა შორის გავრცელებული თვითსახელწოდება იყო: ათურაი, სურაი, ქალდაი, სოგრახი-ასური-ანნი. დღეს კი საკუთარ თავს ასურელებს უწოდებენ. საქართველოში ასურელთა აღმნიშვნელი რამდენიმე ეგზოეთნონიმი გამოიყენება. როგორც წერილობით, ისე ზეპირ წყაროებში, ასურელის მაგივრად, ხშირად გვხვდება „ასირიელი“, რაც რუსული ენის გავლენით დამკვიდრებული ტერმინია (ეთნოსები საქართველოში, 2008, 182). ასევე, XIX-XX საუკუნის წყაროებში გვხვდება ტერმინი „აისორი“, რომელიც სათავეს იღებს სომხური „ასსორისიდან“, რაც იმ პერიოდში გამოიყენებოდა წინააზიური ფენოტიპის მქონე ადამიანების მიმართ (ეთნოსები საქართველოში, 2008, 171). დღესდღეობით, ქართველი ასურელები თვლიან, რომ „აისორი“ არის ამ ეთნოსის დამაკნინებელი და დამამცირებელი ტერმინი და არ სურთ, მათ მიმართ გამოყენებული იყოს სხვა ეთნონიმები, გარდა ასურელისა.

მეორე საკითხი, რასაც მინდა შევეხო, ისევ თვითგანსაზღვრისა და საზოგადოებაში თავის დამკვიდრების საკითხს ეხება. ლაკო ბიტ ბაბიკოვის სტატიაში „სოფელი, სადაც ქრისტეს ენაზე საუბრობენ“ წერს, რომ მისი არაქართული გვარი ყოველთვის ბადებდა კითხვებს – „სადაურია?“ „ქურთია?“ რუსია?“ რა სარწმუნოებისაა? ასე იყო სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც. თუმცა ის ამყობს იმით, რომ 13 ასურელი მამის შთამომავალია – „მათი, ვის სახელთანაც არის დაკავშირებული VI საუკუნეში საქართველოს სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბება და განვითარება“ (ბიტ-ბაბიკოვი, 2015). როდესაც ასურელები საქართველოში ჩამოვიდნენ, გვარები არ ჰქონდათ. მოგვიანებით, რუსეთის ხელისუფლების გავლენით, შეიცვალა მათი სოციალური სტრუქტურა და მიიღეს გვარ-სახელები. პატრონიმიის აღმნიშვნელ „ბით“ პრეფიქსიან ოჯახის სახელს დაერთო რუსული „ოვი“ ან „ევი“. მაგალითად, ბითიაკობი გახდა იაკოფოვი, ბითკაშა – კაშაევი, ბითრუბან – რუბანოვი და ა.შ. (ეთნოსები საქართველოში, 2008, 175). გვარების მსგავსი დაბოლოების გამო, ისინი ხშირად ასოცირდებიან კიდეც სხვა ეთნოსთან. ერთ-ერთი საშუალო ასაკის რესპონდენტი ქალბატონი იხსენებს, რომ გასულ საუკუნეში გვარის გამო არაერთხელ შექმნია პრობლემა, რაც მისთვის გულისწყვეტის საგანი გამხდარა. სწორედ ამიტომ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისი შვილებისა და შვილიშვილებისთვის შეეცვალა გვარის დაბოლოება და მიენიჭებინა ქართული გვარებისთვის დამახასიათებელი სუფიქსი. თვლის, რომ რუსების მიერ გატარებული პოლიტიკა შეცდომა იყო და რუსულ დაბოლოებას სჯობს, რომ ქართული ჰქონდეს, ასე უფრო გაუადვილებათ ქართულ საზოგადოებაში ადაპტაცია და წარმატების მიღწევა.

ქანდელ ასურელებს შორის აზრი ორად იყოფა, ერთნი თვლიან, რომ საკუთარი გვარს არა ქართული დაბოლოება, არამედ წინსართი „ბით“ უნდა დაუბრუნდეს, რათა შეინარჩუნონ იდენტობა, მეორენი კი თვლიან, რომ „სადაც ხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო“. ბოლო დროს შერეულ ოჯახებში შეიმჩნევა შვილებისთვის დედის, ანუ ქართული გვარის მიცემის ტენდენცია. ამ საკითხზე ვესაუბრე რამდენიმე ქანდელ ასურელს, ისინი თვლიან, რომ თუ რომელიმეს შვილი წარმატებულია სპორტში, რომ არ დაიჩაგროს, სჯობს ქართული გვარი ჰქონდეს. ზოგიერთისთვის კი გვარების შეცვლის ეს პროცესი მიუღებელია და თვლის, რომ არ შეიძლება გვარის შეცვლა და საკუთარი ეროვნების ღალატი. „ვის მოვატყუო?“ – მითხრა ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომლის შვილიც წარჩინებული სპორტსმენია.

თუმცა ფაქტია, რომ ქართულ საზოგადოებასთან ასიმილაციის პროცესი დაწყებულია, რასაც ხელს უწყობს შერეული ქორწინებები, საერო თუ რელიგიური დღესასწაულების და რიტუალების (ქორწილი, დაკრძალვა, ნათლობა) ქართული ტრადიციით აღნიშვნა, განათლების მიღება ქართულ ან, ზოგ შემთხვევაში, რუსულ ენაზე და ა.შ. ვფიქრობ, პროცესის შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლოა ასურული ენის შესწავლა და საკუთარი კულტურის ელემენტების შენარჩუნება.

თემის გადარჩენის გზები. საქართველოში არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ასურული თემის გაძლიერებას. ასეთია, მაგალითად, ასურელთა საერთაშორისო კონგრესი, რომლის მიზანია ასურული ენის, კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება და

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების დამყარება; ასურული კულტურული ცენტრი „ბეტ ნახრაინ“. 1990-იანი წლებიდან საქართველოში არსებობს ასურული ცეკვის ანსაბლები „ნინევი“ და „დაიანა“ (ეთნოსები საქართველოში, 2008, 181); ასურული ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნინევი“, რომლის ხელმძღვანელიც არის ზემოთ ნახსენები ეკატერინა ბიტკაში. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია ასურული კულტურის შენარჩუნება და თემის გაძლიერება. გარდა იმისა, რომ ქანდის საჯარო სკოლაში ბავშვებს ენას ასწავლის, ეკატერინა არის სხვადასხვა დღესასწაულის აღნიშვნისა და ღონისძიებების ორგანიზატორი. მისი ორგანიზაციის ეგიდით იბეჭდება წიგნები, ბროშურები და ბუკლეტები („ასურული ზღაპრები“, „მოგონებები ექიმ ფრეიდუნ ათურაიას შესახებ“, „ასურელების საყვარელი კერძების რეცეპტები“, „ასურული ენის დღე“ და ა.შ.), რომელიც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ასურული კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება.

1999 წლის 17 ნოემბერს იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე დადგინდა მშობლიური ენის დღე, რომელიც აღინიშნება 2000 წლიდან, ყოველ 21 თებერვალს. 2013 წელს აშშ-ში შეკრებილი ასურული საზოგადო მოღვაწეების ერთობლივი გადაწყვეტილებით, ასურული ენის დღედ 21 აპრილი გამოცხადდა. ამ დღის აღსანიშნავად, საქართველოშიც იმართება სხვადასხვა სახით ღონისძიებები. მათ შორის ქანდის საჯარო სკოლაშიც აღინიშნება ეროვნული ენის დღე. ეკატერინა ბიტკაშის ინიციატივით, ბავშვები იძიებენ ინფორმაციას ეროვნული ენის დღესთან და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ხატავენ თემატურ ნახატებს, იმართება ღია გაკვეთილები და ა.შ., რაც ბავშვებში ზრდის ინტერესს ასურული ენის და ტრადიციების შესახებ.

ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ ასურული ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა, ენის სწავლა, ინფორმაციის მოძიება, საკუთარი კულტურის ელემენტების უფრო ახლოს გაცნობა ბავშვებში იდენტობის შენარჩუნების სურვილს გააღვივებს.

შესაძლებლობა მქონდა, დავსწრებოდი ასურული ახალი წლის ღონისძიებას, რომელიც აღინიშნება ყოველ გაზაფხულზე, 1 აპრილს. ასურულად ამ დღეს „ხაბ-ნისან“ ეწოდება, ეს არის გაზაფხულის მოსვლისა და ბუნების გამოცოცხლების დღესასწაული, რაც დაკავშირებულია სამინათმომქმედო სამუშაოების დაწყებასთან. ასურელები ამბობენ, რომ მას არანაირი რელიგიური დატვირთვა არ გააჩნია და მხოლოდ ასურელთა ერთიანობისა და აღორძინების დღესასწაულს ნიშნავს. ოფიციალურად ამ დღის აღნიშვნა ასურელთა მსოფლიო კონგრესზე, 1968 წელს აღადგინეს. შექმნეს ეროვნული კალენდარი, რომელიც დაეფუძნა უძველეს წელთაღრიცხვას და ამ კალენდრის მიხედვით, წელს 6773 წელი იზეიმეს ასურელებმა (ასურელები საქართველოში ახალ წელს ზეიმობენ, 2013).

ეკატერინას მიზანია საქართველოში მცხოვრები ასურელების ერთმანეთთან დაკავშირება და მათთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოილხენენ, ასურულ ცეკვებს იცეკვებენ და დააგემოვნებენ ასურულ ტრადიციულ საკვებს, რითიც ერთად ყოფნის მეტი ინტერესი გაუჩნდებათ. მაინტერესებდა, თუ იქნებოდნენ დარბაზში ქანდელი ასურელებიც და რამდენად გამოხატავდნენ ინტერესს ამ ყველაფრის მიმართ. ღონისძიებას ოცამდე ქანდელი ესწრებოდა, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი ცეკვებში. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ქანდელი ასურელების მხრიდან დიდი აქტიურობა ამ დღის აღნიშვნის მიმართ არ ყოფილა. ინტერვიუებისა თუ გამოკითხვის დროს რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ახალ წელს უფრო 1 იანვარს აღნიშნავენ. პროცესში არჩართვის რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა: მაგალითად, პიროვნული დამოკიდებულება ორგანიზატორის მიმართ, რელიგიური ფაქტორი – ამ დროს მარხვის პერიოდია და ეს არ არის რელიგიური დღესასწაული, ასევე ფინანსური პრობლემა.

ახალი წელი არა, მაგრამ ქანდაში წმინდა მარზაიას ხსენების დღე განსაკუთრებულად აღინიშნება. იგი ასურული ერის მფარველი წმინდანია. მარეზობა, იგივე წმინდა მარზაიას ხსენების დღე, წელიწადში ორჯერ არის, პირველად 18 იანვარს და მეორედ 14 ივნისს. დღესასწაულს უბნების მიხედვით ზეიმობენ, თითოეულ უბანში გროვდება ფული, ყიდულობენ საკლავს, სამი დღის მარხვის შემდეგ კლავენ, ხარშავენ და ერთმანეთში ანაწილებენ. პირველ მარეზობას, ძირითადად,

მამაკაცები უძღვებიან პროცესს. რაც შეეხება 14 ივნისს, მქონდა შესაძლებლობა უშუალოდ მენახა, თუ როგორ დღესასწაულობენ ქანდელი ასურელები ამ დღეს. სოფელში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ მათთვის რაღაც განსაკუთრებული ხდება, გაცოცხლებულია სოფელი და ადამიანები გამოსულნი არიან ქუჩაში. შეთანხმებული უბნელები ერთ-ერთის ოჯახში იკრიბებიან, სადაც გროვდება რძე, ფქვილი და ერბო. აქ ქალები უფრო აქტიურად არიან ჩართულნი. სახლის წინ ანთებენ ცეცხლს და იწყებენ ქვაბებში „მურთუხას“, ტრადიციული ასურული საკვების, მომზადებას. მნიშვნელოვანია, რომ ქვაბს იმ ოჯახის წევრმა მოურიოს, სადაც ეს დღესასწაული აღინიშნება, ეს მათთვის დიდი პატივია. ფიქრობენ, რომ ამ გზით წმ. მარზაია შემობრძანდება მათ ოჯახში და კეთილდღეობას მოუტანს. თუ გოგო ან ბიჭი დასაქორწინებელია, ის ურევს „მურთუხას“ და სურვილს ჩაუთქვამს, სანამ არ მოიხარება არ შეიძლება ბევრი ლაპარაკი და ა. შ. აღნიშვნის სუფრაზე ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებიან. მომლოცველები კი მიემართებიან წმ. მარზაიას ტაძრისკენ, სანთლებს ანთებენ და შესთხოვენ შემწეობას. ქანდაში არსებობს რამდენიმე ლეგენდა ამ ტაძართან დაკავშირებით: გადმოცემის თანახმად, თითქოს ამ ტაძარში ჯვარს და-ძმა იწერდა, რა დროსაც ისინი ქვად ქცეულან და დღეს ტაძარში ორი ადამიანის ფორმის ქვა ინახება. მეორე თქმულების მიხედვით, ქანდას წმინდა მარზაიას მფარველობით სეტყვა, წყალდიდობა, ელქეჩი არასდროს ეკარება (ქეთი გიგოლაშვილი, 2019).

შეიძლება ითქვას, რომ ეს ის ნაციონალური, ასურული დღესასწაულია, რომელსაც ქანდაში დიდი თუ პატარა ერთად აღნიშავს, რომლის მნიშვნელობაც თითქოს თითოეულ მათგანს გათავისებული აქვს. ეს არის სწორედ ის, რაც აკავშირებთ მათ წარსულთან და საკუთარ ფესვებთან. წმ. მარზაია და ამ დღის აღნიშვნა მათი იდენტობის განუყოფელი ნაწილია.

იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით, ასევე აღსანიშნავია ასურული ტრადიციული საკვები, რომელიც მათი კულტურული მემკვიდრეობაა. ძირითადად ტრადიციულ საკვებს ქანდაში დღესასწაულებსა და მნიშვნელოვან დღეებში ამზადებენ, მაგალითად: ბუშალა – ცივი საზაფხულო კერძი, დოლმა – ვაზის ფოთლისგან დამზადებული ტოლმა, მურთუხა, რომელიც მარეზობას კეთდება და ა. შ. ტრადიციული საკვების კეთებას ქართველი რძლებიც სწავლობენ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისმა მეუღლემ ისწავლა ასურული რეცეპტები და მისადმი სიყვარულის გამოსახტად უმზადებს ასურულ კერძებს.

ასურული თემის გადარჩენის გზებს ვხედავ სწორედ იმ კულტურის ელემენტებში, რაც განასხვავებს მათ, დანარჩენი საზოგადოების წევრებისგან. ენა, ასურულ ენაზე შესრულებული წირვა-ლოცვა, ტრადიციები, დღესასწაულები, საკვები, მითები ქანდელ ასურულ თემს უნიკალურ, გამორჩეულ თვითმყოფადობას სძენს და გვაფიქრებინებს, რომ ისინი კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ იდენტობას.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ქანდელი ასურელები ინარჩუნებენ თავიანთი ისტორიული სამშობლო-სადმი მიკუთვნებულობის განცდას, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ქანდაში მიევიდნა ეთნიკურად ასურული მოძღვარი. გამოიკვეთა ორი ფაქტორი, რომელიც აძლიერებს ასურულ თემს: რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო. ასურელები ენისა და რელიგიის, როგორც მთავარი მარკერების საფუძველზე განსაზღვრავენ საკუთარ იდენტობას. ამავე დროს, მათ აფიქრებთ ასურული ენის შენარჩუნების პერსპექტივა. რაც აისახა კიდევ სასკოლო პროგრამაში ასურული ენის დამატებით. შესაძლებელია, ხანდახან რელიგიური და ეროვნული შეხედულებები ერთმანეთს არ შეესაბამებოდეს, თუმცა ორივე ასურული თემის იდენტობის გაძლიერებას და აღორძინებას ემსახურება.

კვლევის შედეგების მიხედვით, ეს არის ეთნიკურ-ენობრივი უმცირესობა, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს საკუთარი ლინგვისტური, ეთნიკური და რელიგიური მახასიათებლები.

ლიტერატურა:

- ასურელები საქართველოში ახალ წელს ზეიმობენ (2013). *Netgazeti.ge*. <https://netgazeti.ge/news/20595/ბიტ-ბაბიკოვი, ლ.> (2015). სოფელი, სადაც ქრისტეს ენაზე საუბრობენ. *The Tbilisi times*.
- ნათია ქენქაძე, ლ. ქ.** (2016, ოქტომბერი 4). სოფელ ქანდის საჯარო სკოლაში არამეული, იგივე ასურული ენა სავალდებულო საგანი გახდა. <https://www.youtube.com/watch?v=VgO4jrGNc7Q>
- ნანობაშვილი, მ.** (2012). სემიტურ ენათა შესწავლის სემინარი (ა. სილაგაძე, Ed.), თბილისი: აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.
- პაპასკირი, ლ.** (2015). გენოციდი რწმენის გამო, ჟურნალი „გზა“. <http://gza.kvirispalitra.ge/life/2043-genocidi-rcmenis-gamo/>
- საქართველოს მთავრობა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია (2017). სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. თბილისი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.
- საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. (2008). ეთნოსები საქართველოში, თბილისი: გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, თბილისი.
- სმითი, ე. დ.** (2004). ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია (რ. ამირეჯიბი-მალენი, რედ., & მ. მ. ჩხარტიშვილი, თარჯ.), თბილისი: ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.
- სმითი, ე. დ.** (2004). *ნაციონალიზმი, ეთნიკურობა, იდენტობა* (Vol. II ნაწილი). (რ. ამირეჯიბი-მალენი, Ed., & მ. ჩხარტიშვილი, Trans.), თბილისი.
- სმითი, ე. დ.** (2008). *ნაციონალიზმი იდენტობა*, (მ. ლ. პატარიძე, თარჯ.), თბილისი: „ლოგოს პრესი“.
- ქეთი გიგოლაშვილი, დ. ლ.** (2019, ივლისი 9). ქანდა. <https://tourismadjara.ge/vi/c280358/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90>
- ყაჯრიშვილი, თ.** (2014). სოფელი, სადაც დღემდე ქრისტეს ენაზე ლაპარაკობენ, კვირის პალიტრა. <https://kvirispalitra.ge/article/22396-sofeli-sadac-dghemde-qristes-enaze-laparakoben/>

განათლება და ეროვნული იდენტობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

Education and National Identity in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)

ნატო სონღულაშვილი

Songhulashvili Nato

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განათლების საკითხის შესწავლას სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში და არა ერთი გამოკვლევაა შექმნილი ამ მიმართულებით. თუმცა, ამჟამად ჩემი მიზანია, ყურადღება გავამახვილო შემდეგ საკითხებზე, განათლება, როგორც: 1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, 2. ეროვნული იდენტობის და 3. სოციალურ ფენათა დაახლოების საშუალება. აღნიშნული საკითხის ამგვარად შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოვარკვით: 1. რა ფაქტორებმა განაპირობა საგანმანათლებლო სისტემის აქტუალობა? 2. რა ფუნქცია შეიძინა 1918-1921 წლებში განათლებამ? 3. რა როლი შეასრულა განათლებამ ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაში და სხვადასხვა სოციალური ფენების დაახლოებაში; 4. რა ღონისძიებებს ატარებდა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საგანმანათლებლო სისტემის აღორძინებისთვის? 5. რა გავლენა იქონია განათლების სისტემის განვითარებისათვის ბრძოლაში რუსეთსა და, ზოგადად, ევროპაში მიმდინარე ფაქტორებმა? 6. რა წარმოადგენდა ეპოქის გამოწვევას?

1. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, უნდა გადაეღებინა ფეოდალური სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში დამკვიდრებულიყო და ჩამოყალიბებულიყო და, რაც მთავარია, განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსხვავებული გზით: შეიარაღებული გამოსვლების ნაცვლად განათლებით, ცოდნით, ორგანიზებულობით და მისი მოთხოვნა ეპოქის და საქართველოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ყოფილიყო. 2. მეორე მხრივ, ეს არის პერიოდი, როდესაც ქართული კულტურული ელიტის ნაწილი ცდილობს ნაციონალიზმის პროპაგანდას, ცოდნის ამალგებას, ქვეყნის ისტორიის გაცნობას ფართო ფენებში, წარსულის იდეალიზაციას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას. 3. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდებიან ახალი სოციალური ფენები: პროლეტარიატი და ბურჟუაზია, საფუძველი ეყრება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას, რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვების და საქართველოს სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვები გააჩნდათ. ეს არის ეროვნული იდეის ჩამოყალიბებისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდი, რომელიც გახდა საფუძველი 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

1. განათლების როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესში – კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ ახალი სოციალური ფენების: პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა. ახალ გარემოში ახალი მოთხოვნები და გამოწვევები გაჩნდა. არა მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ მთელი საზოგადოება ძირულ გარდაქმნებს განიცდიდა. მით უმეტეს, რომ XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ევ-

როპაში საკმაოდ გაძლიერდა, რასაც შედეგად ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველო ამ ცვლილებებს განსხვავებულად ხვდება. ის, როგორც რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ნაწილი, ბუნებრივია აქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას განიცდის და მაშინ, როცა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებს და ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლების მეშვეობით საერთო ქართული სივრცის შექმნას და ყველა სოციალური ფენის თანაბრად ჩართვას ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ეს პროცესი გრძელდება 1918-1921 წლებში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს, რა ფორმით ვითარდებოდა ეროვნული იდეა? როგორ მოიპოვებოდა განათლების პროცესი?

2. განათლების როლი ეროვნული იდენტობის განმტკიცების პროცესში – მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქართველი ერის მთავარი ლოიალობის ობიექტი – მეფე აღარ არსებობდა, გაუქმდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სასულიერო წოდების წარმომადგენლებს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული უფლებების რეალიზაციისთვის. საზგასასმელია, რომ ხალხთან მთავარი დამაკავშირებელი და ეროვნული იდეების მატარებელი ყოველთვის იყო სამღვდლოება. ამ უფლების ჩამორთმევის შემდეგ, რუსეთმა მაინც ვერ შეძლო საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირის სრული აღმოფხვრა ხალხსა და ეკლესიას შორის, საჭირო გახდა ახალი ორგანოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ხალხთან კავშირს და რაც მთავარია, ეროვნული იდეების ქადაგებას.

სკოლა, გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, მას ახალი ეპოქა ახალ მოთხოვნებს უყენებდა. ამიტომ საჭიროა, გამოირკვეს: 1. რა როლი ჰქონდა და რა მეთოდებით მოითხოვდა ქართული კულტურული ელიტა ქართულ ენაზე წარმოებულ განათლებას. 2. რა ფორმით უნდა მომხდარიყო სკოლების საშუალებით ეკონომიკური, სამეურნეო განათლების და ეროვნული ცნობიერების ამაღლება და თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ყველა სოციალური ფენის

3. სოციალურ ფენათა დაახლოების საკითხი – ბატონყმობის გაუქმებას შედეგად მოჰყვა კაპიტალისტური წყობის დამკვიდრება. ახალმა ეკონომიკურმა ფორმამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სისტემაში. ჩამოყალიბდა ახალი სოციალური ფენები: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ფაქტობრივად, გაქრობის საფრთხე შეექმნა თავადაზნაურობას, რაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა. შეეზღუდა გლეხებს ფუნქციები, განსხვავებულ გარემოში თავის დამკვიდრება უჭირდა. არაქართველთაგან შემდგარი ბურჟუაზია, რომელიც მატერიალური თვალსაზრისით ძლიერ ძალას წარმოადგენდა, ნაკლებად იყო დაინტერესებული ქართველი ერის მომავლით, პროლეტარიატი კი სანყის ეტაპზე კლასობრივი ცნობიერებით იყო შეპყრობილი. ეს ყოველივე უარყოფითად აისახებოდა ქართველთა ერთიანობაზე, ამიტომ საჭირო გახდა, მტკიცედ ჩამოყალიბებული იდეოლოგია, რომლის ირგვლივ გაერთიანდებოდა ქართველობა. როგორც ცნობილია, საქართველოში ეროვნული იდეის განვითარების მიმართულებით ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნის II ნახევრიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და მათი მთავარი მიზანი ხდება ილიას მიერ დამკვიდრებული ლოზუნგის: „მამული, ენა სარწმუნოება“ შენარჩუნებისთვის ბრძოლა. ეს არის იდეა, რომელიც, ფაქტობრივად მთლიანად გასდევს XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილის, კულტურული და პოლიტიკური ელიტის ბრძოლას ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის მოსახლეობის ფართო ფენებში და ეროვნული თავისუფლებისათვის. დავიწყებ იმით, რომ ილიას მიერ ერთიან ლოზუნგად დამკვიდრებული „მამული, ენა, სარწმუნოება“, საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა ეტაპზე ეპოქის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში იდგა ყოველთვის, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში რომელიმე მათგანი წინა პლანზე იყო წამოწეული და განმსაზღვრელ როლს

ასრულებდა. 1918-1921 წლებში კი თითოეული სიმბოლო მნიშვნელოვანი ხდება და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დამოუკიდებელ საქართველოში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე კვლევის ობიექტია: პირველი რესპუბლიკის პერიოდი ერთ-ერთი რთული მონაკვეთია საქართველოს ისტორიაში. ერთი მხრივ, ყალიბდება და მეორე მხრივ, განვითარებას განიცდის ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური ფორმები, რომლის უპირველეს გამოხატულებას წარმოადგენდა განათლებული და საკუთარი ქვეყნის ისტორიის მცოდნე საზოგადოება. როგორც უკვე აღვნიშნე, XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესი განათლებული და ნაციონალური იდეის შეგნებით განმსჭვალული საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ იყო მიმართული. ამ პროცესების ლოგიკური გაგრძელებაა 1918-1921 წლებში მიმდინარე მოვლენები. დამოუკიდებელმა საქართველომ გეზი დასავლეთზე აიღო და მისი მიზანი გახდა ქვეყნის სხვადასხვა სფეროს ევროპეიზაცია და მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა განათლების ფაქტორმა. განათლების საკითხის წინა პლანზე წამოწევა უკავშირდება ეპოქის მოთხოვნილებას. გარდა იმისა, რომ ქართველი ნაციონალისტების მიზანი იყო წიგნიერი თაობის აღზრდა, ეს ისტორიული აუცილებლობიდანაც გამომდინარეობდა. XIX საუკუნის II ნახევარი და XX საუკუნის პირველი ოცნლეული არის დრო, როდესაც მსოფლიო მასშტაბით იწყება ახალი გარდაქმნები, როგორც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისითაც. განათლებული საზოგადოების საჭიროება ახალმა პოლიტიკურმა წყობამაც მოითხოვა. კაპიტალისტურმა წყობამ მთლიანად შეცვალა არსებული სიტუაცია. მოდერნულ ეპოქაში განათლება ყველასთვის სავალდებულო გახდა. ამასთან სქესთა განურჩევლად ყველას ერთად უნდა ესწავლა. ეს პროცესი სოციალური უთანასწორობის მოსპობისკენაც იყო მიმართული. „ბავშვობაში სწავლის დროს ერთად ყოფნა სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა შვილებში განავითარებს ისეთ სულიერ და ზნეობრივ ჩვეულებებს, რომელიც შემდეგ, როცა ისინი ცხოვრებაში გამოვლენ, ბევრის მხრით სასარგებლო და გამოსაადეგი იქმნება. ეს გარემოება ხელს შეუწყობს წოდებრივი ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრას“.¹ სკოლის უმთავრეს ფუნქციად იქცა სოციალური ფენების დაახლოება. „სკოლამ სრულიად უნდა მოსპოს თავის კედლებში წოდებრივი განსხვავება. შეძლებითი უთანასწორობა კიდევ უფრო საგრძნობელია დღეს. სკოლა არ უნდა უწყობდეს ხელს შეძლებულთა ეგოიზმის განვითარებას. არ უნდა ზრდიდეს მათში რაიმე თავისებურ ეგოიზმს, რომელიც შეძლებულს აგრძნობინებს თავის ვითომდა უპირატესობას. ამიტომ დაწყებითი სკოლა ყველასათვის საერთო უნდა იყოს, რომ ღარიბი მუშის შვილი და მილიონერისა თანასწორნი იყვნენ აღზრდის წინაშე. ეს შეამცირებს განკერძოებას, ორივე მხარეს შეაჩვევს ერთმანეთის მეტის პატივისცემას“.² მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოებულ სწავლა-განათლების პროცესს, არამედ სკოლებში არსებული ბიუროკრატიული სულის აღმოფხვრას. საგანმანათლებლო საკითხებზე გვხვდება ინფორმაცია ნებისმიერი სახის წყაროში, რადგან ეს იყო ეპოქის მთავარი მოთხოვნა და გამოწვევა. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობდა საზოგადოების დარწმუნებას სკოლების დიდი რაოდენობით გახსნის აუცილებლობაში. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ფაქტორი გამომდინარეობდა როგორც ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე, ასევე ქართული საზოგადოებისთვის ეროვნული დატვირთვაც გააჩნდა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული ბრძოლის ახალი ეტაპი თავისთავად მოითხოვდა საგანმანათლებლო სისტემის დახვეწა-განვითარებას, რაც გრძელდება როგორც XX საუკუნის დასაწყისში, ისე 1918-1921 წლებში. „ეროვნული სკოლა ეს ის მოედანია, სადაც ერის გრძნობამ და გონებამ პირველი ფეხი უნდა აიდგას; ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს მასაზრდოებელი სულისა და ხორცის იმ პატარა სანყაოთი, რომელიც ზედ გამოჭრილია ერის შინაურ

¹ გაზეთი „ივერია“, 1905, #148, გვ. 1

² კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, ტ. 1, პარიზი: დ. ხელაძის გამოცემა, 1935, გვ. 18

ცხოვრებაზე, მის სულიერ და ხორციელ ცხოვრებაზე. და მართლაც სკოლა მსაზრდოებელია ერისა, მაგრამ სკოლასაც გარჩევა აქვს: მახინჯ სკოლის შემწეობით შეიძლება ადამიანის სრული გადაგვარება, მისი პიროვნების დაჩაგვრა. მისი უნარიანობის ჩაკვლა. სკოლის დახმარებით ძალიან ადვილია მონების გაზრდა. სწორედ ამისთანა მისიას კისრულობდნენ ჩვენებური ძველი მთავრობის სკოლები, რომელთა უპირველესი მიზანი მოზარდ თაობისათვის გონების ახსნა და განვითარება კი არ იყო, არამედ სხვადასხვა მოზარდ თაობის გადაგვარება და მათთვის საჭირო ბიუროკრატ მოხელეების აღზრდა.³ აღნიშნული პერიოდი ნაციონალიზმის და სოციალიზმის ქადაგების დროა და ამიტომ განსხვავებული იდეები არსებობდა. ყველა მიმდინარეობა თუ ორგანო საკუთარი იდეოლოგიის დამკვიდრებას ცდილობდა ხალხში. ამ მხრივ გამონაკლისი არც სკოლა იყო. რამდენადაც ეროვნულ მოღვაწეებს სკოლის საშუალებით ნაციონალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო იდეების ქადაგება სურდათ, იმდენად რუსეთის ხელისუფლება საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის იყენებდა. მაშინ, როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლაში ყველა სოციალური ფენის ჩართვა გახდა საჭირო, დღის წესრიგში დადგა საზოგადოების ერთიანი იდეის ირგვლივ გაერთიანება. ეს ფუნქცია სკოლას უნდა შეესრულებინა. 1917 წლის 17 ივლისის განათლების სამინისტროს მოხსენებიდან სკოლების რეორგანიზაციის თაობაზე, საუბარია წოდებათა მოსპობის აუცილებლობაზე: „თანასწორობის იდეაზე აგებულს დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუწყნარებელია, რომ სოციალურად და წოდებრივად განკერძოებულს ერში ყოველ წრეს, ყოველ კლასს ჰქონდეს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი გზა განვითარებისათვის. თანასწორობა არა მარტო უფლებრივი მოვლენაა, იგი აუცილებლად კულტურულ თანასწორობას გულისხმობს და მაშასადამე, მთელი საზოგადოების ცოცხალი ძალები თავისი განვითარებისათვის ერთგვარს, თანასწორსა და თანაბარ პირობებში უნდა იყოს ჩაყენებული. ცხადია, რომ საზოგადოების ყველა ელემენტისათვის ერთი საერთო განათლების სკოლა საჭირო თავისი შინაარსით, თავისი პროგრამით. თანასწორობა მოითხოვს, რომ საზოგადოებაში ჯგუფებისა და კლასების არსებობამ არ შექმნას მთლიანობის დამრღვევი, გამთიშველი პირობები, რასაც ადგილი აქვს, როდესაც სკოლა წოდებრივ შემადგენლობაზეა აგებული. აქედან – ერთი სკოლა არა მარტო შინაარსით, არამედ შემადგენლობის მხრივაც.⁴ ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა წყობამ გარკვეული გავლენა იქონია, როგორც ევროპაში, ასევე რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე და ახალი ეპოქისათვის დამახასიათებელი იდეებს ზიარებული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან ერთად წოდებრიობის გაუქმებაზეც ამახვილებდა ყურადღებას. მართალია, თითოეულ პოლიტიკურ დაჯგუფებას საკუთარი სამოქმედო გეგმა გააჩნდა საქართველოს სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით, თუმცა საგანმანათლებლო სისტემის ამ ფორმით დახვეწა-სრულყოფაზე თითქმის ყველა თანხმდებოდა.

მართალია, 1918-1921 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიზანმიმართული და თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად განათლების პრობლემის მოგვარება უმთავრეს საკითხად იყო დაყენებული და ამისთვის არაერთი ღონისძიება გატარდა, თუმცა საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობდა, რაც შეეხებოდა სკოლებში ეროვნული საგნების შეტანის საკითხს. ბუნებრივია, როდესაც აღნიშნულ პერიოდს ვაფასებთ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეს პერიოდი საკმაოდ ხანმოკლე იყო იმისთვის, რომ ყველა დასახული მიზანი და გეგმა განხორციელებულიყო და რეალობად ქცეულიყო. თუმცა, ვფიქრობ აღნიშნული დროის მონაკვეთი ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოს ისტორიაში თავისი მიღწევებით.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც იდგა 1918 წელს ახლად დამოუკიდებლო-ბა-მოპოვებული საქართველოს წინაშე იყო სკოლებში ეროვნული ხასიათის საგნების შეტანა. ეს კარგად არის ასახული 1918 წლის 13 ნოემბრის ქალაქთბილისის მეორე ქართული გიმნაზიის დირექტორისადმი,

³ გაზეთი „მებრძოლთა ხმა“, 1917, #40, გვ. 13

⁴ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. #509, ფურც. 6

ამავე გიმნაზიის მოსწავლეების მიერ მიმართული განცხადებიდან: „დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოში ყოველ მცხოვრებს ესაჭიროება სახელმწიფო ენის ცოდნა და ნამეტნავად თვით ქართველობას. ჩვენ ტფილისის მე-2 ვაჟთა გიმნაზიის ქართველნი მოწაფენი, როგორც ასეთნი, მოკლებული ვიყავით სამშობლო ენის სათანადოდ შესწავლას. გვრცხვენოდა ჩვენი თავისა, რომ არ შეგვეძლო სამშობლო ენაზედ მსჯელობა ფართე საზოგადოებაში; იჩრდილებოდა ჩვენი გულის წადილი და სულიერი განცდა სწრაფად ქრებოდა, ვინაიდან ამას ენა ვერ გამოთქვამდა და სათანადო მომზადებაც არ მოგვეპოვებოდა. ასე მიდიოდნენ წელნი, მაგრამ ისტორიამ თავისი გაიტანა და საქართველოც ჩადგა თავისუფალ ერთა ლაშქარში. სახელმწიფოებრივი აპარატი სწრაფად იქმნება და ქართველი მოწინავე ახალგაზრდობაც უნდა მიეშველოს მას თავისი ცოდნით. ეს რომ შეასრულოს ქართველმა ეხლანდელმა ახალგაზრდობამ, მას სჭირია ზედმინვნით მშობლიურ ენის ცოდნა, რომელიც გამოიხატება არა მარტო ქართული წერა-კითხვის შესწავლაში, არამედ ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და მის კანონმდებლობის ცოდნის და შესწავლისაგან. ეს განხორციელებულია ჩვენს გიმნაზიაში/სახეში, გვყავს მე-8 კლასი, მაგრამ უკიდურესად მცირე მასშტაბში. საქართველოს ისტორიას სულ 2 გაკვეთილი აქვს კვირაში დათმობილი, მაშინ როდესაც ისეთ საგანს, როგორც არის რუსული ისტორია, რომლის შინაარსიც რამდენჯერმე გვაქვს შესწავლილი, 2-ჯერ აქვს ადგილი დათმობილი კვირაში. მართალია, ეს რუსული ისტორიის კურსი ზოგადად აშუქებს საგანს კულტურის და ეკონომიის მხრივ, მაგრამ ჩვენ მე-8 კლასის მოწაფეებს, რომელნიც აგერ რამდენიმე თვის შემდგომ უნდა წარვსდგეთ საზოგადოებათა წინაშე, გვესაჭიროება უფრო ჩვენი ერის, სამშობლოს ისტორიის ცოდნა, მისი კულტურის და ეკონომიის განვითარება, ვინაიდან ამიერიდგან მასთან გვექნება ყოველდღიურად საქმე“.⁵ ამასთან განცხადებაში მოსწავლეები სვამენ კითხვას: „რა ვიქნებით ჩვენ? აქ არსებობს მხოლოდ ერთი პასუხი: ყოველ ჩვენგანის ქართული სახე დაიჩრდილება და როდესაც კამათი ჩამოვარდება საქართველოზე, მის ისტორიის განვითარებაზე, ჩვენ მხოლოდ შეგვრჩება სახეზედ წითელი ფერი“.⁶

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. მათ შორის იყო გარდაქმნები განათლების სფეროში. ქართველი საზოგადოების ნაწილი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მაქსიმალურად ცდილობდა ფართო ფენებში განათლების დონის ამაღლებას და ბუნებრივია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს საკითხი უპირველესი განხილვის საგანი გახდა. ეს, პირველ რიგში, გამოიხატებოდა სკოლების ნაციონალიზაციით, რომელსაც საფუძველი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა და 1918 წლიდან ახალი აღმავლობა განიცადა. ეს ყოველივე კი დაკავშირებული იყო სკოლების რეორგანიზაციის პროგრამასთან, რაც, პირველ რიგში, გულისხმობდა ქართულ ენაზე სწავლა-განათლების წარმოებას და სასწავლო საგნებში: საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის შეტანას. როგორც აღვნიშნეთ, ამ მიმართულებით მოღვაწეობას ართულებდა საქართველოს, განსაკუთრებით თბილისის სკოლების ეროვნული შემადგენლობა. როგორც ცნობილია, რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების ჩამოსახლებას შეუწყო ხელი, რამაც მთელი სიმწვავით თავი იჩინა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. 1918 წლის მონაცემებით, ზოგიერთ სკოლებში ქართველებს არაქართველები სჭარბობდნენ.

1918-1921 წლებში, მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკა ვითარდებოდა და წელში გამართვას ცდილობდა, ფორმალურად თუ არაფორმალურად, მთელი საზოგადოება, მუნიციპალიტეტები თუ ქალაქების წარმომადგენელი ცდილობდნენ, შეექმნათ დემოკრატიული და გახსნილი სივრცეები, რომელიც ხელმისაწვდომი გახდებოდა ყველა დაინტერესებული პირისთვის. რაც მთავარია, ამგვარ

⁵ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. # 211, ფურც. 32

⁶ იქვე, ფურც. 32

ადგილას მოხვედრილი ნებისმიერი მოქალაქე მეტად მნიშვნელოვან, ფასეულ ინფორმაციას ათუ ცოდნას მიიღებდა და ეს ურთიერთობა ნაყოფიერ შედეგებს მოიტანდა ზოგადად. სახალხო უნივერსიტეტებში იმართებოდა საინტერესო ლექციები ისეთ თემებზე, როგორცაა: ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა, მსოფლიო და საქართველოს ისტორია, ბუნებისმეტყველება, პოლიტიკური ეკონომიკა, ქალთა ჰიგიენა, ფიზიოლოგია, გეოგრაფია და ა.შ.

აი, როგორ აღწერს 1919 წელს „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილ ერთ წერილში უცნობი „მოკეთე“ სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობას: „სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების იმ ელემენტებისთვის, რომელთაც სიღარიბისა თუ სხვა მიზეზების გამო თავის დროს ვერ მიუღიათ განათლება“.⁷ როგორც ჩანს, სახალხო უნივერსიტეტი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული თბილისში, მისი ფილიალები არსებობდა პრაქტიკულად დედაქალაქის ყველა უბანში და საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა ლექციებისა და დისკუსიების მიმართ.

საარქივო-დოკუმენტურ წყაროებში საინტერესო შეფასებას ვხვდებით განათლებასთან მიმართებით ქართველი მაჰმადიანების შესახებ. აი, ერთი მათგანი: „სწავლა-განათლების მხრივ სამაჰმადიანო საქართველო ყველაზე უფრო ჩამორჩენილი მხარეა მთელ კავკასიაში. თავის ფიზიკურ და ეკონომიურ გეოგრაფიის მიხედვით, აჭარა და მესხეთი შვეიცარიას მოგვაგონებს, მაგრამ აჩვენებს არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მეორე ხალხი, რომელიც სწავლა-განათლების მხრივ აჭარა-მესხეთის ხალხზე უფრო უბედური იყოს. ამ ქვეყნის თითქმის ვერც ერთ ალაგს ვერ ნახავთ სწავლა-განათლების ნიშან-წყალს, ვერ ნახავთ სკოლას. ხალხიდან გამოსული ინტელიგენცია არ არის; უნივერსიტეტდამთავრებულთა რიცხვი ორია (რეჟები ნიჟარაძე და ჰასან ლორთქიფანიძე) და ისიც არის გიმნაზია-გათავებული (სულეიმან დიასამიძე და მუსტაფა ქანსელაძე), რომლებიც ამჟამად ქართულ უნივერსიტეტში სწავლობენ. მთელს ჩვენს ინტელიგენციას ეს პირები შეადგენენ. აჭარა-მესხეთის მხარეში ბათუმი ისეთი ცენტრია, რომლის საშუალებითაც 3-4 დღეში შეიძლება დამოკიდებულების დაკავება ყველა კულტურულ ქვეყნებთან, ამასთანავე აჭარა-მესხეთში ბევრი არის ბუნებრივი გზები (ჭოროხის, აჭარის წლის, ფოცხოვის, ქობლანის ხეობები), რომლებიც ამ მხარეს ბათუმთან აკავშირებენ. და ასეთ პირობებში საკვირველიც კია, რომ ამ მხარეში ცივილიზაციის ნასახიც არ არის. ორივე ძმები ქართველები ერთნაირ გეოგრაფიულ პირობებში ცხოვრობდნენ; მით უფრო დამალონებელია ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც ქრისტიან ქართ-ველებმა მიაღწიეს განვითარების სათანადო სიმაღლეს და მათ დამოკიდებულება აქვთ მთელ კულტურულ ქვეყანასთან, ქართველი მუსულმანები ამ მხრივ სრულიად მოწყვეტილნი არიან და განაგრძობენ პრიმიტიულ ცხოვრებას. ასეთი მოვლენა აიხსნება იმ ისტორიული პირობებით, იმ მონობით, რომელიც აჭარა-მესხეთმა გადაიტანა თავის თავზე.“⁸

1920 წლის 7 ივნისის საქართველოს დამ-ფუძნებელ კრებაზე განხილული საკითხებიდან ირკვევა, რომ ახალციხის მაზრაში საშუალო სკოლები საერთოდ არ იყო, იყო მხოლოდ უმაღლესი და პირველდანიებითი სკოლა. უმაღლესდანიებით სასწავლებლებში სამი განყოფილებაა: ქართული, სომხური და რუსული. უმაღლეს სასწავლებელში სწავლა სესის მიხედვით არ იყო მოწყობილი და ზოგადად ამ რეგიონში სკოლების გახსნის აუციებლობა იდგა დღის წესრიგში.⁹ 1919 წლის 29 დეკემბრის მონაცემებით სენაკის მაზრაში ითვლებოდა: 121 პირველდანიებითი სკოლა, აღნიშნული სკოლებიდან 11 ახალგახსნილია. 2. მაზრის მთელი პირველდანიებითი სკოლები შეიცავდა 473 განყოფილებას, 3. მოწაფეთა რიცხვი უდრიდა 11 516. 4. მასწავლებლები 281, რომლებიდან 240-ს აკმაყოფილებს ხაზინა, 41-ს ინახავდა ერობა.¹⁰

⁷ საქართველოს რეგიონების ცხოვრება 1918-1921 წლებში, თბილისი, 2018, გვ. 206

⁸ სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. #9, ფურც. 10-11

⁹ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. #970, ფურც. 1

¹⁰ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #546, ფურც. 1

1921 წლის 3 თებერვლის შორაპნის ერობის გამგეობის მონაცემებით: მაზრაში არსებობდა სულ 128 დაბლდანყებითი სასწავლებელი, რომელშიც ასწავლიდა 233 მასწავლებელი.¹¹

ოზურგეთის მაზრაში იყო 129 პირველდანყებითი, 21 უმაღლეს დანყებითი სასწავლებელი და 1 ვაჟთა გიმნაზია. პირველდანყებით სასწავლებელში დასაქმებული იყო 368 მასწავლებელი, უმაღლეს დანყებითში – 160 და ვაჟთა გიმნაზიაში – 7. აქედან: პირველდანყებით სასწავლებელში მუშაობდა 45 საშუალო განათლებამიღებული და 323 დაბალ განათლებამიღებული მასწავლებელი. უმაღლესდანყებით სასწავლებელში შესაბამისად იყო 10 უმაღლესდაუმთავრებელი, 115 საშუალო განათლებამიღებული და 35 დაბალ განათლებამიღებული. ვაჟთა გიმნაზიაში 1 უმაღლეს დამთავრებული და 6 უმაღლესდაუმთავრებელი.¹²

1919 წლისთვის ერობამ გახსნა ტფილისის მაზრაში ათი სკოლა შემდეგ სოფლებში: აღბულაღში /კახეთი/, თხინვალში, შინდისში, ხატის-თელეთში, ახალ სოფელში, ვაშლოვანში, კუმისში, დიდი ენაგეთი და ერთობაში. სწავლა დაიწყო შემდეგ სასწავლებლებში: 1. აღბულაღში, 2. თხინვალში, 3. ხატის თელეთში, 4. პატარა თონეთში, 5. ვაშლოვანში. თბილისის მაზრაში სულ ფუნქციონირებდა 71 სკოლა.¹³

ქუთაისის მაზრაში დანყებითი 2-კლასიანი სკოლათა რიცხვი იყო 20 და 1 კლასიანი – 144, სულ: 164 სკოლა. მასწავლებელთა რიცხვი – 319... დღის წესრიგში იდგა სკოლების გახსნა: 1. მათხოჯის, 2. გურნის, 3. იანეთის, 4. ცხენტაროს, 5. სვეტმალაღის, 6. ჟონეთის, 7. მოჩა-ჭიხაიშის, 8. ენრის, 9. ღანირის, 10. მთავარანგელოზის, 11. ბარის, 12. ზეკარის, 13. ბაშის, 14. ნახახულევის, 18. ენერის, 19. ჯიქ უბანია, 20. ბაგინეთის, 21. გაღმა წყალტუბოს, 22. გეგუთის, 23. ახალ სოფლის, 24. ციხის-ულორის, 25. გოდოგანის, 26. მეჩხერის, 27. ძმუისა-კისორეთის, 28. ლეკორეთის, 29. შუამთის, 30. ფერსათის, 31. ძეგნარის, 32. ჯვაროვანის, 33. დაბაძველის, 34. ნაბლარის, 35. კოკ-ოხომარის.¹⁴

1920 წლისთვის თბილისში ითვლებოდა მთავრობის თექვსმეტი გიმნაზია და რამდენიმე სხვა ტიპის საშუალო სასწავლებელი. საშუალო სასწავლებლების ასეთი რიცხვი სრულიად საკმარისი იყო თბილისისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თბილისში მოქმედებდა კიდევ 27 კერძო საშუალო სასწავლებელი, რომელიც მთავრობის სასწავლებლების უფლებით იყვნენ აღჭურვილნი. მათ ეს უფლებები მოიპოვეს რევოლუციის პირველ ხანაში, როდესაც არავის ეცალა ხეირიანად გამოერკვია, ღირსი იყო თუ არა რომელიმე კერძო სასწავლებელი, რათა მას მინიჭებოდა მთავრობის სასწავლებლის სრული უფლებები.¹⁵ ამიტომ ხე-ლისუფლება ცდილობდა არსებული პრობლემების მოგვარებას. ამ პერიოდისთვის არასასურველ სასწავლებლებად ითვლებოდა: 1. პუშკინის კერძო გიმნაზია, 2. მეორე სახალხო ოთხკლასიანი სრულუფლებიანი გიმნაზია, 3. ტერ-სტეპანოვის ოთხკლასიანი შერეული გიმნაზია, 4. ოთხკლასიანი სრულუფლებიანი გიმნაზია ტოფფიმენკოსი, 5. აგაპიევის სრულუფლებიანი რეალური სასწავ-ლებელი, 6. იარუშენკოს სრულუფლებიანი შერეული გიმნაზია, 7. ტიხომნოვის და პასენკოს სრულუფლებიანი კერძო გიმნაზია, 8. გუდენკოს სრულუფლებიანი გიმნაზია, 9. ორბელიანცის გიმნაზია, 10. შამოვის გიმნაზია, 11. ქალთა გიმნაზია ალექსანდროპოლის მასწავლებელთა ჯგუფისა, 12. მაჭაიძის გიმნაზია მოზრდილთათვის, 13. თევზაძის გიმნაზია, 14. რეალური სასწავლებელი სლავიანო-რუსთა საზოგადოების.¹⁶

ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების უწყებაში ირიცხებოდა 1917 წლამდე აფხაზეთში და სამურზაყანოში მყოფი შვიდი სამრევლო სკოლა: ოქუმისა, საბერიოში, ფოქვეშისა, მოქვისა, გალისა, დიხაზურგისა, აჩადანდარისა და ლიხ-ნისა.¹⁷

¹¹ იქვე, ფურც. 20

¹² იქვე, ფურც. 38

¹³ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. # 616, ფურც. 1

¹⁴ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #742, ფურც. 19

¹⁵ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. # 616, ფურც. 46

¹⁶ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #616, ფურც. 49-50

¹⁷ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #586, ფურც. 18

1919 წლის 26 მარტის თავრარის მრევლის მღვდლის გრიგოლ კორძაიას თხოვნიდან სამინისტროსადმი, შვილის განათლების საფასურის გადახდაში დახმარებისათვის ჩანს სვანეთში არსებული მდგომარეობა: „მოგეხსენებათ, რომ სვანეთი სიბნელით გარემოცულია, მოცილებულია კულტურულ მხარეებს და საჭიროებს ნასწავლ ინტელიგენტურ ძალებს, რომ ხალხი არანორმალურ გზაზე დამდგარი შედეგისათვის მაინც გამოსადეგი იყოს ჩვენი ძვირფასი თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიურად და სხვადასხვანაირ სასურველის მხრით. თუკი ვინმე მოიძებნება სვანეთში ცოტათი თუ ბევრად პროგრესის ბადეში მოდებული, ისევდაისევ ჩვენი ღარიბი სამღვდელოების შვილების. უკანასკნელ ლუკმას ვიღებდით პირიდან, ვზრდიდით შვილებს, რომ ჩვენსავით და ჩვენი თანამოძმეების მსგავსად სიბნელეში არ დარჩენილიყვნენ.“¹⁸

1919 წლის 11 თებერვლის მთავრობის დადგენილების თანახმად საუნყებათაშორისო კომისიის განკარგულებაში გაღებულ იქმნა სახელმწიფო ხაზინიდან 150 ათასი მანეთი ღარიბ მოწაფეთათვის სწავლის ფულის შესატანად... სწავლა-განათლების მიღებაში ზნეობრივი და ნივთიერი დახმარების აღმოჩენა განათლების სამინისტროს სთხოვეს სვანებმა, ასეთი მთხოვნელები იყვნენ აგრეთვე აფხაზები, ინგილოები და სხვა განაპირა კუთხეთა მცხოვრებლებს შორისაც.¹⁹

1919 წლის 16 სექტემბერს მთავრობამ დაადგინა, განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადაეცა ორასი ათასი მანეთი სტიპენდიის დასანიშნად იმ ახალგაზრდებისათვის, რომელნიც აფხაზეთის ან საქართველოს რომელიმე სხვა განაპირა კუთხის ძირითად მცხოვრებლებად ითვლებოდნენ და საშუალება არ ჰქონდათ საკუთარი ხარჯით მიეღოთ სწავლა-განათლება. ასეთი ახალგაზრდებისათვის სწავლა-განათლების მისაღებად დახმარების აღმოჩენა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა: აფხაზეთის და საქართველოს სხვა განაპირა კუთხის მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლება ცენტრთან შედარებით დაბალ დონეზე იყო, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობას ნაკლები სულიერი კავშირი გააჩნდა დანარჩენ საქართველოსთან. ხელისუფლების შხედულებით: „ერთ კულტურაზე აღზრდილი ხალხი ყოველთვის ცენტრისკენ იქნება მოქცეული და ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს თავის საარსებო ინტერესებს აღარ დაუპირდაპირებს, პირიქით ჩვენსას შეუთანხმებს და კონტაქტით იმოქმედებს საერთო საქმისათვის. ამ გზით მაშინ შესაძლებელი იქნება კვალად გაცხოველდეს კულტურული ურთიერთობა ცენტრსა და პერიფერიათა – აფხაზეთი, აჭარა და სხვა შორის, რომელიც წარსული საუკუნის განმავლობაში ბოლო ხანამდე თანდათანობით სუსტდებოდა, ხელმეორედ დამყარდეს, გაიღვიძოს ჩვენ მოძმეთა ფართო წრეებში ძველი კეთილმეზობლური ცხოვრების საჭიროება და აუცილებლობა.“²⁰

1920 წლის სასწავლო წლიდან გაიხსნა უმაღლესი დაწყებითი სკოლა შემდეგ ადგილებში: ველისციხეში, გურჯაანში, კარდენახში და ანაგაში, სულ ახალი ოთხი სკოლა. ამავე სასწავლო წლიდან ფუნქციონირებას იწყებდა პირველდანიწყებითი სკოლა შემდეგ ადგილებში: 1. ქართველებისათვის: ნაილური, ქვ. ყანდაურა, შიბლიანი, ფხოველი, ქალალო, მელაანი, ნალაუბანი, ცლუნკაანი, ჭაბუკიანი, გიორგეთი, ყარსუბანი, გურგენიანი, თელა /ოთხმეტი სკოლა/. 2. ოსებისათვის: თონა, ბოლქვა /ორი სკოლა/. 3. თათრებისათვის: კართუბანი, კაბალი, მულანლო, ლამბალო, წინმატიანი /ოთხი სკოლა/.

მომავალი სამოსწავლო წლიდან ემატებოდა თითო მასწავლებელი პირველდანიწყებით სკოლებს შემდეგ სოფლებში: ქართული სკოლები: ვარდისუბანი, შრომა, ათენი, ლელიანი, დედოფლისწყარო, ქვაჩხაანი, ბოდბისხევი, ჭუგაანი, ზემო მაჩხანის, აქობო, ვაქირი, ანაგა, ბაკურციხე, კოლაგი, ვეჯინი, გურჯაანი, ჩუმლაყი, ახაშენი, ჯიმითი, მაღარო/ოსი მასწავლებელი/. რუსულ სკოლებში: გრათოვკა, ახალი ალექსანდროვკა, ახალი დიმიტრიევკა /სამი მასწავლებელი/.

1920 წლის ხარჯთაღრიცხვით ყრილობის მიერ გაღებული თანხა – 150 000 მანეთი დახმარება მოსწავლე ახალგაზრდობის განაწილდეს შემდეგი წესით: თითოეულს ახალგაზრდას მიეცეს თვიურად 4000 მანეთი. ცხრა სამოსწავლო თვის განმავლობაში თითოს 36 000 მანეთი წელიწადში.²¹

¹⁸ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. #599, ფურც. 6

¹⁹ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. #599, ფურც. 14

²⁰ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. #599, ფურც. 19

²¹ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. #530, ფურც. 6

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის დანიშნულებას შეადგენს: ა) განხილვა განათლების მინისტრის დავალებით: 1. პედაგოგიური კითხვებისა და პროექტებისა; 2. სასწავლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამებისა; 3. წიგნებისა, თხზულებებისა და პერიოდულ გამოცემებისა, რომელთა გავრცელებაც განზრახულია სასწავლებლებში; 4. წინასწარ მოსაზრებებისა სამეცნიერო ექსპედიციათა შესახებ, სამეცნიერო მიზნით ამა თუ იმ პირის გაგზავნის შესახებ და საზოგადოდ მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობის შესახებ. 5. განხილვა სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსების პროექტებისა, 6) ანგარიშებისა პროფესორთა და სხვა პირთა, რომელთაც საკითხის დამუშავებს და 7) საზოგადოდ იმ საქმეების და კითხვების განხილვა, რომელთაც მინისტრი წარმოუგზავნის კომიტეტს აზრის გამოსათქმელად: ბ) განხილვა აგრეთვე ანალოგიურ კითხვებისა, რომლებიც აღძრულ იქნებიან თვით კომიტეტის მიერ... 5. სასწავლო კომიტეტი განიყოფებს ორ ნაწილად: ძირითად და სპეციალურ განათლების/ტექნიკური და პროფესიონალური/ ნაწილად“.²²

განახლებულ სკოლებში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, მათ შორის ერთი რუსული, მეორე არჩევითი: ფრანგული, გერმანული, ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოგიკა, მათემატიკა, მათემატიკური გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯიში, გალობა და მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა.²³ 1919 წლის 22 ივლისის მთავრობის დადგენილების თანახმად: „1. პირველდაწყებითი სკოლა 7-8 წლიანია და ევალება განათლების სამინისტროს სათანადო გეგმის გამომუშავება საყოველთაო განათლების შემოღებისა. 2. საშუალო სკოლა 4-წლიანია, უკანასკნელ კლასებში სხვადასხვა დარგებად იყოფა. მომავალ სასწავლო წელში: 1. გაუქმებულ იქმნას საერთო განათლების საშუალო სკოლებთან არსებული მოსამზადებელი კლასები. 2. 1919/20 და 1920/21 სასწავლო წლების განმავლობაში არსებული საზოგადო განათლების საშუალო სკოლა და აგრეთვე საკომერციო სკოლების პირველი ოთხი კლასი გადაკეთებულ იქმნას უმაღლეს დაწყებით სკოლებათ. 3. ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი გამორიცხულ იქმნას საშუალო სკოლის სასწავლო გეგმიდან“.²⁴

ამას გარდა, დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დებულებები საყოველთაო სავალდებულო, უფასო სწავლების შემოღების შესახებ. „1. საყოველთაო სწავლება საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა ორთავე სქესის შვილებისათვის უნდა იყოს სავალდებულო და უფასო. შენიშვნა: იმ მოქალაქეთა შვილების მინიმალური ცოდნის შესამოწმებლად, რომელნიც არ ისურვებენ სახელმწიფო სკოლაში სწავლის მიღებას, რესპუბლიკა აწესებს განსაკუთრებულ კონტროლს. 2. საყოველ-თაო სწავლების ორგანოდ ცნობილია პირველ-დაწყებითი სახალხო სკოლა ოთხწლიანი კურსით. ამ საფეხურზე სახალხო სკოლა იძლევა ზოგადი ხასიათის განათლებას. 3. სასკოლო ასაკის ბავშვად უნდა ირიცხებოდეს 7-11 წლის ყმაწვილი. შენიშვნა: საყოველთაო სწავლების შემოღების პირველ წელს შესაძლებელია მიღებულ იქმნან პირველ განყოფილებაში 8, 9 და 19 წლის ბავშვებიც. 4. საყოველთაო სწავლების განხორციელება სწარმოებს სასკოლო ქსელის მიხედვით, რომელიც უნდა დასრულდეს ოთხი წლის განმავლობაში. 5. სასკოლო ქსელის შედგენა მომავალი და შემდეგი წლებისათვის ევალებათ ადგილობრივ ორგანოებს – ერობათა და ქალაქების თვითმმართველობებს, რომელნიც დღეიდგან ერთი წლის განმავლობაში ვალდებული არიან, წარუდგინონ იგი სახალხო განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად. 6. საყოველთაო სწავლების შემოღების საერთო ხელმძღვანელობას უწევს სახალხო განათლების სამინისტრო, ხოლო მას პრაქტიკულად ანხორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობანი: ერობა და ქალაქები. 7. ერობა და ქალაქები, რომელნიც შეუდგებიან საყოველთაო სწავლების განხორციელებას სამინისტროს მიერ

²² სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #530, ფურც. 17

²³ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #518, ფურც. 9

²⁴ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #518, ფურც. 12

მოწონებულის სასკოლო ქსელის მიხედვით, ღებულობენ დახმარებას მხოლოდ მასწავლებელთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.²⁵

1919 წლის 3 მაისის თარიღით, #3220-ით, სამინისტრომ წარადგინა მთავრობაში მოხსენება „საზღვარგარეთ სპეციალურ სწავლა-განათლების მისაღებად გასაგზავნ ახალგაზრდათათვის სასტიპენდიო თანხად ერთი მილიონი მანეთის გაღების შესახებ; ამ პროექტით შესაძლებელია, უახლეს ხანაში საზღვარგარეთ გაიგზავნოს 83 ახალგაზრდა მაინც, თუ თვითუფლებს მათგანს წლიურად დაენიშნება 12000 მანეთი. მათი გაგზავნით დღევანდელი სიმცირე სპეციალისტებისა/ფინანსისტების, აგრონომების, ინჟინრების და სხვა/ ცოტაოდენ შესუსტდება და შესაძლებელი შეიქმნება ბევრი საპასუხისმგებლო საქმე ახლო მომავალში ისეთ სპეციალისტების ხელში აღარ დავტოვოთ, რომელნიც ეროვნულად ჩვენთან არ არიან დაკავ-შირებულნი, ჩვენს ეკონომიურ მოლონიერებას, რაც ტექნიკის განვითარების შედეგია, თავიანთ ინტე-რესების გარეშედ თვლიან და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობით მუშაობაში ან ხელს გვიცარავენ ან და ნაკლები სინდისიერებით ეკიდებიან ჩვენი ეკონომიკის მკვიდრ ნიადაგზე დამყარების საქმეს.“²⁶

1919 წლის 8 ივლისს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ საზღვარგარეთ გაიგზავნა 75 სტიპენდიანტი, რომელნიც შემდეგნაირად იყვნენ დანაწილებულნი ქვეყნების მიხედვით: 40 ქალაქ ბერლინში და გერმანიის დანარჩენ ქალაქებში, 11 – ქ. პარიზში, 12 – საფრანგეთის ქალაქებში: გრენობლში და მონპელიში, 1 – ბელგიაში, 1 – ამერიკაში, 5 – ინგლისში და 5 – იტალიაში.²⁷

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918-1921 წლებში, ბუნებრივია, ეროვნული ეკონომიკის საკითხმა ახალი განზოგადება შეიძინა და ეს პრობლემა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ეკონომიკით თანაბრად იყვნენ დაინტერესებული როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, ასევე სხვა პოლიტიკური პარტიები. ერთი სიტყვით, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მოქმედების განსხვავებულ სისტემაზე გადავიდა, საბოლოო მიზანი კი ერთი იყო: ეროვნული მრეწველობის, ეკონომიკის, მეურნეობის აღორძინება. თუ 1900-1917 წლებში ქართველი ინტელიგენცია ძირითადად იფარგლებოდა მოწოდებებით პრესის მეშვეობით და რუსული ხელისუფლების შიშით აქტიურ ნაბიჯებს ვერ დგამდა, 1918-1921 წლებში ქართული პოლიტიკური ელიტა ყოველ ღონეს ხმარობს პრაქტიკული ნაბიჯების რეალიზაციისთვის. ეს გამოიხატებოდა სხვადასხვა ფორმებით. 1. გრძელდება წინა წლებში დაწყებული პროცესი სამრეწველო სკოლების გახსნის და სასწავლო დაწესებულებებში სამეურნეო საგნების შეტანით. საჭირო იყო, ერთი მხრივ, ქართული, ეროვნული მეურნეობის შენარჩუნება და, მეორე მხრივ, კაპიტალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი ფორმების შემოტანა-დამკვიდრება. 2. იქმნება სპეციალური პროექტები, სადაც ყურადღება გამახვილებულია ყველა დეტალზე.

ლიტერატურა:

ალასანია, გ. (2003). თვითიდენტიფიკაცია შუა საუკუნეების საქართველოში (მთელისა და ნაწილის ურთიერთობა). კრებული, „ქართველური მემკვიდრეობა“. VIII. ქუთაისი: ენა და კულტურა

ანდერსონი, ბ. (2003). წარმოსახვითი საზოგადოებები. თბილისი: ენა და კულტურა.

გვაზავა, გ. (1919). ჩეხია: (სოციოგრაფიული მიმოხილვა). თბილისი, 225.

გვაზავა გ. (1920). ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. თბილისი

გურული, ვ. (2008). ეროვნული ცნობიერება-სახელმწიფოებრიობა. პოლიტიკური ორიენტაცია. თბილისი: უნივერსალი

²⁵ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #4, ფურც. 17

²⁶ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #54, ფურც 11

²⁷ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #35, ფურც. 11

გურული, ვ. (2006). ილიადან ილიამდე. თბილისი: უნივერსალი.

სარიშვილი, ტ. (1986). სახალხო განათლების საკითხები რევოლუციამდე ქართულ ბოლშევიკურ პრესაში. თბილისი

სარიშვილი, ტ. (1956). სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდე საქართველოში (1901-1921). თბილისი

საქართველოს ისტორია XX საუკუნე. (2003). თბილისი.

დამონებული წყაროები:

საარქივო მასალები: 1. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, (შემდეგში სცსა), ფ. 83, აღწერა 1, საქ. # 2.

სცსა, ფ. 83, საქ. # 46.

სცსა, ფ. 153, საქ. # 178.

სცსა, ფ. 153, საქ. # 3615.

სცსა, ფ. 153, საქ. # 2306.

სცსა, ფ. 153, საქ. # 19241.

სცსა, ფ. 153, საქ. # 1782.

ჟურნალები:

განათლება, 1908, #1

განათლება, 1917, #6-7.

ანტიკურ კულტურაში დამკვიდრებული „სიმპათიის“ ინტერდისციპლინური კონცეფცია პტოლემეაიოსის „ოთხნიგნულში“

The Interdisciplinary Term “Sympathy” in Classical Antiquity and its Use in Ptolemy’s “Tetrabiblos”

გვანცა ფოფხაძე

Gvantsa Popkhadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ძველ ბერძნულ ტექსტებზე მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოლისემანტური ცნებები, რომლებიც კულტურის მრავალსფეროვან მოიცავს და ნაირგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ასეთი პოლისემანტური ცნებაა „სიმპათია“. თანამედროვე სამყაროში ცნება „სიმპათია“ „ემპათიის“ სინონიმად გამოიყენება. ძველ ბერძნულად კი *sympátheia* ნიშნავდა „თანაგანცდას“, „ერთობლივი განცდის მდგომარეობას“ (Schliesser, 2015, p. 3), რომელიც ვრცელდებოდა არა მხოლოდ ადამიანებში, არამედ სხვა, როგორც სულიერ, ისე – უსულო საგნებში, როგორც მიკროკოსმოსის, ისე – მაკროკოსმოსის მასშტაბით და მოიცავდა მრავალ სფეროს: ფილოსოფიას, მაგიას, ასტროლოგიას, მედიცინას, მუსიკასა და ოპტიკას. ანტიკურობიდან დღემდე ზემოთ აღნიშნულ დარგებში ამ საკითხის კვლევას აქტუალობა არ დაუკარგავს. საკვლევო სტატიის მიზანია, გამოკვეთოს ტერმინი „სიმპათია“, როგორც მრავალდისციპლინური ლექსიკური ერთეული პტოლემეაიოსის „ოთხნიგნულში“, იკვლიოს მისი მიმართება ანტიკური ეპოქის სხვადასხვა დარგობრივ ლიტერატურასთან (ფილოსოფია, მედიცინა, ენციკლოპედიური მეცნიერება და ა.შ.). ასევე, გამოიკვეთოს ამ ტერმინის გამოყენების განსხვავებული ასპექტები. საკითხის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერმინ „სიმპათიის“ გამოყენებას ელინისტურ ასტროლოგიურ ტექსტებში¹ და ამ ფონზე „ოთხნიგნულში“ მისი თავისებურების ანალიზს.

ტერმინზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ „ტეტრაბიბლოსში“ ზმნა „*sympathéō*“ სამჯერაა გამოყენებული, არსებითი სახელი „*sympátheia*“ – ცხრაჯერ; მისი ანტონიმი ზმნა „*antipathéō*“ – რვაჯერ, ხოლო არსებითი სახელი „*antipátheia*“ – სამჯერ. რაც შეეხება კონტექსტს, ხსენებული ტერმინი გამოიყენება ფილოსოფიური, სამედიცინო და წმინდად ასტროლოგიური დანიშნულებით.

კოსმიური სიმპათიის ცნება „ტეტრაბიბლოსში“

სტოიკოსთა წარმოდგენით, სამყარო გაჯერებულია ყოვლისგანმსჭვალავი *pneūma*²-თი, რომელიც წარმოშობს *sympátheia*³-ს, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „თანაგანცდა“

¹ ჰეფესტიონი (ca. 415/1973), დოროთეუსი (ca. 75/1976), პორფირიოსი (CCAG V, 1940), ვალენსი (D. Pingree, Ed., 1986), გემინოსი (ca. 70/1898), რეტორიოსი (ca. 600/2007), სერაპიონ ალექსანდრიელი (CCAG VIII, 1921).

² *pneūma* (სუნთქვა) – ესაა სამყაროს სული, მაგრამ, ამავდროულად – მატერიალური. იგი ამქვეყნად ყველაფერში შთაბერილი და ყველაფერს ერთმანეთთან აკავშირებს, როგორც სულიერ, ისე – უსულო საგნებსაც.

³ მნიშვნელოვანი კონცეფცია, კოსმიური სიმპათიის იდეა, ჩამოაყალიბა სტოიკოსმა ფილოსოფოსმა პოსიდონიუსმა (დაახლ. 135–50 წწ. ძვ. წ.). მისი კონცეფცია გულისხმობს იმას, რომ ყველაფერს, რაც ხდება სამყაროს ერთ ნაწილში, შეუძლია გავლენა მოახდინოს საგნებზე სამყაროს სხვა ნაწილში, თუნდაც მათ შორის არ არსებობდეს ურთიერთკავშირი. როგორც ჩანს, ეს იდეა ძალიან ძველია და წინ უსწრებს მიზეზობრიობის კონცეფციას. ლაქი (2006) ხაზს უსვამს, რომ ეს ცნება ფუნდამენტურია

და გულისხმობს იმას, რომ სამყაროში ყველაფერი ურთიერთდამოკიდებულია, „სიმპათეტიკურ“ კავშირშია ერთმანეთთან, ანუ სამყაროს ერთ ნაწილში მომხდარ ცვლილებას შეუძლია ცვლილება გამოიწვიოს სამყაროს მეორე ნაწილში⁴. პტოლემეაიოსი, რომელიც სამყაროს დაყოფის არისტოტელესეულ მოდელს მიჰყვება, ასევე იზიარებს მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის კავშირის სტოიკოსთა ტრადიციისთვის ნიშანდობლივი „კოსმიური სიმპათიის“ კონცეპტს. თავის ასტროლოგიურ ნაწარმოებში – „ოთხნიგნეული“ („ტეტრაბიბლოსი“) (ca. 168/1954) – ვხვდებით იდეას ცისა და მიწის ჰარმონიული კავშირისა და „ურთიერთსიმპათიის“ შესახებ, როცა ყველაფერი ურთიერთკავშირშია და ცვლილება ერთში იწვევს ცვლილებას მეორეში:

მთვარეც, როგორც დედამიწასთან ყველაზე უფრო მოახლოებული ციური სხეული, მას უხვად აფრქვევს [სხივთა] ნაკადს და საგნების უდიდესი ნაწილი, სულიერი თუ უსულო, **თანაგანიცდის** (sump-athoúntin) და იცვლება მასთან ერთად. მისი სინათლის კვალდაკვალ მდინარეები ააზვირთებენ და დააცხრობენ თავიანთ დინებებს, ზღვები მოქცევას უკუაქცევენ მის ამოსვლასა და ჩასვლასთან ერთად, ცხოველები და მცენარეები, თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც, იზრდებიან და იმცრობიან მისი ავსებისა თუ კლების შესაბამისად. (Ptol. ca. 168/1954 p. 6)

მრავალი სტოიკოსი ფილოსოფოსი ასტროლოგიის დამცველადაც კი გვევლინებოდა. სტოიკური დოქტრინა სიმპათიის შესახებ იმის მტკიცებულებად იქცა, თუ როგორ ხდება ზემოთ აღნიშნული ზემოქმედება ფიზიკურად ასტროლოგიური პრინციპებით. ამ კონცეფციის მიხედვით, სამყაროში ყოველივე მონაწილეობას იღებს სიმპათიაში: „ადამიანი მიკროკოსმოსია, მთლიანის ხატება მცირე მასშტაბით. ვარსკვლავები არიან ცოცხალი არსებები, რომელთა სულიერი ძალა დიდად აჭარბებს ადამიანისას და კოსმიური სიმპათიის წყალობით გავლენას ახდენს მის ბედზე“ (Dijksterhuis, 1961, p. 86). პტოლემეაიოსს სტოიკოსთაგან აღებული აქვს არა მხოლოდ კოსმიური სიმპათიის ზოგადი იდეა, არამედ კონკრეტული მაგალითიც: სიმპათია რომ განაპირობებს ტალღების მოქცევა-უკუქცევას მთვარესთან, ეს იდეა ეკუთვნის სტოიკოს პოსიდონიუსს (პოსიდონიუსის აღნიშნული თვალსაზრისი გადმოცემულია სტრაბონის „გეოგრაფიაში“, ca. 7 BC – 18 AD/1877). სექსტუს ემპირიკუსიც (II სკ.) საუბრობს სტოიკოსთა ნიშანდობლივი დოქტრინის შესახებ (Bett, 2012) – სამყარო ერთიანი სხეულია, ამგვარად, მთვარის ავსებისა და დაცხრომის შესაბამისად განიცდიან ხმელეთისა და ზღვის ცხოველები ზრდასა და დაღმასვლას, ხოლო ტალღები აზვირთდებიან და დაცხრებიან.

სამედიცინო სიმპათია, როგორც რიტორიკული ხერხი ასტროლოგიის ეფექტურობის დასასაბუთებლად

პლინიუსის „ბუნების ისტორიის“ (Plin. HN. ca. 77/1906) მიხედვით, ბუნებაში არსებობს სიმპათიისა და ანტიპათიის პრინციპები, რომლებზე დაკვირვებამაც ადამიანებს მედიცინის განვითარების საშუალება მისცა. წამლის ზემოქმედებაც სნეულებაზე სიმპათია-ანტიპათიის პრინციპს ექვემდებარება. მკურნალობის აღნიშნული პრინციპი არც გალენის (129-216 წწ.) სამედიცინო სკოლისთვის იყო უცნობი. ამგვარი სამედიცინო სიმპათიის მაგალითები უხვადაა „ტეტრაბიბლოსის“ I წიგნის მე-3 თავში:

ცხადია, რომ ზოგადშიც და კერძოშიც ყველა მოვლენისათვის (რომელიც ხდება პირველმიზეზის გამო, რომელიც დაუძლეველი და უფრო აღმატებულია, ვიდრე ნებისმიერი რამ, რაც მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს) აუცილებელია, რომ ყოველთვის და უტყუარად აღსრულდეს,

მაგიის, ასტროლოგიისა და ალქიმიისათვის (p. 5). ერთ-ერთი გამორჩეული ასტროლოგი, რომელიც ასტროლოგიის ლეგიტიმაციას „სიმპათიის“ კონცეფციაზე დაყრდნობით ცდილობდა, იყო მანილიუსი (I საუკუნე) (p. 402).

⁴ როგორც ლაქი აღნიშნავს, როცა საქმე ეხება მაგიასა და ასტროლოგიას, ტერმინ „სიმპათიას“ არაფერი აქვს საერთო „თანაგრძობასთან“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ „სამყაროში ქმედებისა და უკუქმედების“ მნიშვნელობას ატარებს (p. 33), 2006.

მაგრამ [იმ მოვლენათაგან], რომლებიც ასეთი არ არის, ადვილი ხდება არიდება მათი, რომლებიც უკუქმედებებს აწყდებიან (antipathēsóntōn) (Ptol. ca. 168/1954, p. 17).

პტოლემეაიოსს პლინიუსიდან აქვს აღებული აგრეთვე სიმპათია-ანტიპათიასთან დაკავშირებული ცრურწმენა (Ptol. ca. 168/1954), რომ მაგნიტი თითქოს ველარ მიიზიდავს რკინას, თუკი მას ნიორს გაუხახუნებთ, რომ ნებისმიერი რამ, უკუქმედითი ძალის უმეცრების გამო თავის ნებაზე მიშვებული, ყოველთვის და უტყუარად იმოქმედებს პირველადი ბუნების ძალის შესაბამისად, თუმცა წყლული ვერც მოიმატებს, ვერც გაიხრწნება, თუკი მის საწინააღმდეგოდ მკურნალობა დაინიშნება, ვერც მაგნიტი მიიზიდავს რკინას, თუკი მას ნიორს წაუსვამენ.

სიმპათია – თანხმობა და ჰარმონიული კავშირია, ანტიპათია – მტრობა და დაპირისპირება. სიმპათია-ანტიპათიის პრინციპს შეიცავს მედიკამენტები, რომლებიც სამკურნალოდ გამოიყენება. პტოლემეაიოსი იყენებს ნიორი-მაგნიტის ანალოგიას მკითხველისთვის ცნობადობის გამო, რათა ანტიპათიის პრინციპი უკეთ აუხსნას⁵.

ამგვარი ანალოგიის მოხმობა ერთ მიზანს ემსახურება: აჩვენოს ასტროლოგიის მოქმედების მექანიზმი და ცხადყოს ასტროლოგიის ეფექტურობა. პტოლემეაიოსს სურს, აგვიხსნას, რომ ცის ზედა სივრცეში წარმოქმნილი პლანეტარული კომბინაციები მართალია, უტყუარი და შეუცდომელია, მაგრამ, როცა მათი ზემოქმედება მიწაზე ვრცელდება, საქმეში ერთვებიან არაპროგნოზირებადი სტიქიური ძალები, თუ სხვა მიწიერი ფაქტორები, რომლებიც მათ უტყუარ ზეგავლენას ასუსტებენ. პროგნოზირების წარმატებისთვის საჭიროა დამატებითი არაასტროლოგიური ფაქტორების გათვალისწინებაც. ასეთი ფაქტორი ბევრია, მაგრამ პტოლემეაიოსი არჩევს ყველაზე მნიშვნელოვანს (გენეტიკა, რასა, კულტურული გარემო, კლიმატური პირობები). ასტროლოგი ემსგავსება ექიმს, რომელიც დიაგნოზის დასასმელად პაციენტს ჯანმრთელობისა თუ ცხოვრების წესის შესახებ სხვადასხვა შეკითხვით მიმართავს. ამის გათვალისწინებით:

რადგან ჩვენ არ ვეძიებთ წუნს ექიმებში, როცა ისინი დაავადებაზეც და პაციენტის ინდივიდუალურ თავისებურებებზეც საუბრობენ ვინმეს გასინჯვის დროს, ამ შემთხვევაშიც არ უნდა შევეწინააღმდეგოთ ასტროლოგების მიერ სადაურობის, ქვეყნისა თუ ალზრდის (ან ნებისმიერი სხვა ან უკვე შემდგარი ფაქტორის) წინ წამოწევას (Ptol. ca. 168/1954, p. 13)

ამგვარად, სიმპათეტიკური და ანტიპათეტიკური ფაქტორების გათვალისწინება ზრდის ასტროლოგიის ეფექტურობას, ვინაიდან ციურ სხეულთა ზემოქმედებაში ინტერვენციას ახდენს ლოკალური მიწიერი ფაქტორები, რომელთა მხედველობაში არმიღება ასტროლოგს მცდარ გზაზე აყენებს.

სიმპათია, როგორც ტექნიკური ასტროლოგიური ტერმინი

„სიმპათიის“ კონცეფცია ასტროლოგიურ დისკურსშიც უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს, ვინაიდან ის თავის თავში მოიაზრებს ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც შესაძლებელია სამყაროში ერთმანეთისგან სივრცობრივად დაშორებულ საგნებს შორის. ამგვარად, ხსენებული კონცეფცია ასტროლოგებს პლანეტების, ვარსკვლავების, ზოდიაქოს ნიშნებისა თუ მათი ქვედანაყოფების და დედამიწაზე არსებული საგნების ურთიერთკავშირის ასახსნელად მყარ თეორიულ საფუძველს უქმნის. ელინისტური ასტროლოგიური ტექსტების კვლევამ აჩვენა, რომ „სიმპათია“ ადგილს იმკვიდრებს ტექნიკურ ასტროლოგიურ ტერმინთა შორის და გამოხატავს სხვადასხვა ასტროლოგიურ კომპონენტთა ურთიერთობის ერთგვარ ფორმას, რომელიც მონათესავეობით და//ან ჰარმონიით არის განპირობებული. შესაბამისად, „სიმპათია“ გამოიყენება: უფრო ვიწრო გაგებით, მხოლოდ და მხოლოდ ჰარმონიული ურთიერთობების გამოსახატავად, აქ იგი გვევლინება დისჰარმონიისა და ანტიპათიის საპირწონედ; უფრო ფართო გაგებით, სხვადასხვაგვარი

⁵ უფრო ვრცლად იხ. Lehoux, Lehoux, 2012, pp. 137-138.

მონათესავეობის ან მსგავსების გადმოსაცემად, აქ მის საპირისპიროდ შეგვიძლია მივიჩნიოთ უკავშირობა ან გათიშულობა.

ელინისტურ ასტროლოგიურ ლიტერატურაში „სიმპათია“ სხვადასხვა კონტექსტითაა წარმოდგენილი, ამიტომ შევეცადე, იგი გარკვეულ კლასიფიკაციაში მომექცია. მაშასადამე, სიმპათია ესაა ურთიერთობის ერთგვარი ფორმა: 1) ზეცის კომპონენტა⁶ შორის, 2) ზეცისა და მიწის კომპონენტა შორის (პირველი მოიაზრებს როგორც ციურ სხეულებს, ისე – ზოდიაქოს, ხოლო მეორე – გეოგრაფიულ პუნქტს, ადამიანს ან მისი სხეულის ნაწილებს⁷). 3) მიწიერ არსთა შორის (რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია ციურ სხეულთა განლაგებით. ამგვარი ურთიერთობის ფორმაა ადამიანთა მეგობრობა, რომელიც ზეციური კონფიგურაციებითაა ნაკარნახევი).

სიმპათია ზეცაში

თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული ტერმინის გამოყენების სიხშირეს ასტროლოგიურ ლიტერატურაში, ყველაზე მეტი წილი მოდის გარკვეული მონათესავეობით დაკავშირებული ზოდიაქოს ნიშნების, მათი მმართველი ან მათში განლაგებული პლანეტების ურთიერთობების დახასიათებისას. მაგალითად, პორფირიოსის მიხედვით: „ყველაზე უფრო ხელსაყრელი ვითარება იქმნება ზოდიაქოს ნიშანთა ბუნებრივი სიმპათიის შედეგად (τὸν ζῳδιὸν φυσικῆς συμπαιθείας), როცა მინიშნების შემცველი ცთომილნი მათში ტრანზიტით აღმოჩნდებიან“ (Porph. Isag. 2 CCAG V, 4, p. 185).

მოყვანილი ციტატიდან გამომდინარეობს, რომ გარკვეულ ზოდიაქოს ნიშანთა შორის არსებობს ბუნებრივი სიმპათია, რომელიც დადებითი მოვლენების განმაპირობებელია, თუმცა პოზიტიური ზეგავლენის გააქტიურებისთვის საჭიროა, ამ ნიშნებში მოხვდეს შესაბამისი ციური სხეულები. გარკვეულ ზოდიაქოს ნიშანთა შორის სიმპათია უცვლელი ბუნებრივი მოცემულობაა, ხოლო პლანეტათა ტრანზიტი – დროებითი მოვლენა, რომელიც ამ მოცემულობის ეფექტს ხელშესახებს ხდის. ახლა საჭიროა, გავცეს პასუხი კითხვას: რომელ ზოდიაქოს ნიშნებს აერთიანებს სიმპათია და რა კრიტერიუმითაა ეს ურთიერთობა „სიმპათიად“ შერაცხული.

ზოდიაქალური წრე შედგება 360 გრადუსისა და თორმეტი ზოდიაქოს ნიშნისაგან. მასზე შესაძლებელია, ჰიპოთეტურად აიგოს სხვადასხვა წესიერი მრავალკუთხედი (სამკუთხედი, კვადრატი, ექვსკუთხედი და ა.შ.), რომელიც თანაბრად დაშორებულ ზოდიაქოს ნიშნებს გარკვეული პრინციპით ერთმანეთთან აკავშირებს. მაგალითად: წესიერი სამკუთხედის წვეროები ექცევა ზოდიაქოს იმ ნიშნებში, რომლებიც ერთმანეთისგან ხუთი ნიშნით და 120 გრადუსით არის დაშორებული, კვადრატის შემთხვევაში – 4 ნიშნით და 90 გრადუსით. ასტროლოგებს მიაჩნდათ, რომ ამ ტიპის გეომეტრიულ ურთიერთობაში – ე.წ. „ასპექტში“ – მოხვედრილი პლანეტები ერთმანეთთან რეზონირებენ და

⁶ იგულისხმება: პლანეტები, ვარსკვლავები, ზეცის წარმოსახვითი დანაყოფები: ზოდიაქო და მისი ქვედანაყოფები (დეკანები).

⁷ როდესაც დოროთეოსი საუბრობს დაავადებათა ასტროლოგიურ მაჩვენებლებზე მას შემდეგ, რაც ის განიხილავს დაავადებათა გამომწვევ პლანეტებსა და მდებარეობებს, ზოდიაქოს ნიშნებსა და სხეულის ნაწილების კავშირებს, გადმოგვცემს: „რაც შეეხება იმას, თუ სხეულის რომელი ნაწილისთვისაა დაავადება ნიშანდობლივი, ეს შეიტყვე ზოდიაქოს თორმეტი ნიშნის ბუნებრივი სიმპათიისა და მონათესავეობისაგან“ (Dorotheus, ca.75/1976).

⁸ მკვლევრები გამოყოფენ ასპექტების დეფინიციის ორ გზას: პირველი მოიაზრებს ხუთი პლანეტისა და ორი მნათობის ერთგვარ გეომეტრიულ ურთიერთობას, როცა ისინი ისე არიან განლაგებული ერთმანეთის მიმართ, თითქოს „ხედავენ“ (aspicere) ერთმანეთს. ელინისტურ ასტროლოგიაში მიღებული იყო ოთხი კონფიგურაცია, რომელიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა: „ოპოზიცია: (κατὰ διάμετρον) ორი ისეთი პლანეტა, რომელიც მდებარეობს ზოდიაქოს წრის ერთი და იმავე დიამეტრის დაბოლოებაზე, ე. ი. ერთმანეთისგან 180°-ით, ოპოზიციაშია; კვადრატურა (κατὰ τετράγωνον): ორი პლანეტა, რომელიც ერთმანეთისგან 90°-ით არის დაშორებული, კვადრატურის ასპექტშია და ქმნის კვადრატის ერთ ნახნაგს; სექსტილი (κατὰ ἑξάγωνον): პლანეტები, რომლებიც ერთმანეთისგან 60°-ით არიან დაშორებული,

გარკვეული სახის გავლენებსაც წარმოქმნიან, რომელთაგან ზოგი დადებითია, ზოგი – უარყოფითი. კლავდიუს პტოლემეოსის მიხედვით: ხსენებულ ასპექტთა შორის ტრიგონი და სექსტილი ინოვდება ჰარმონიულად იმიტომ, რომ მათ აყალიბებს ერთი ტიპის ნიშნები: ან მხოლოდ ქალური, ან მხოლოდ მამაკაცური, მაშინ, როცა ოპოზიცია და კვადრატურა არაა ჰარმონიული, ვინაიდან ისინი ერთი გვარის ნიშნებს ერთმანეთის საპირისპიროდ განაწყობენ (Ptol. ca. 168/1954 1.13).

სხვადასხვა ასტროლოგი ჰარმონიულ ასპექტებთან კონტექსტში ხშირად იყენებს ტერმინ „სიმპათიას“, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება ტრიგონს: „ტრიგონული კონფიგურაციები თანამღმობი [სიმპათეტიკური] და ხელშემწყობია (sumpathēs kai ὀphélimos), ხოლო მასში დამანგრეველი [პლანეტა]⁹ თუ არის, ნაკლებად საზიანოა“ (Porph. Isag. 2 CCAG V, 4, p. 185).

პორფიროსის ამ თვალსაზრისის მიხედვით, ტრიგონი, თუკი დაზიანებული არაა, ჰარმონიული და სიმპათეტიკურია, ხოლო მისი წარმომშობი რომელიმე პლანეტა თუ ავისმოქმედა, მაშინ ტრიგონის სიმპათეტიკური ბუნების წყალობით ზიანი შერბილებულია. ტრიგონის ამგვარ ბუნებას განაპირობებს ის, რომ მასში შემავალ ნიშნებს აერთიანებს სქესი და რომელიმე ელემენტი (მინა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი). მეორე ჰარმონიული ასპექტი, სექსტილი, უფრო სუსტია და მას მონათესავეობის ნაკლები საფუძველი აქვს: მხოლოდ სქესი. მაგალითად: თუკი ერთი პლანეტა მერწყულშია, ხოლო მეორე სამოცი გრადუსის დაშორებით – ვერძში, მაშინ მათ სექსტილი აკავშირებს. ვერძსა და მერწყულს აერთიანებთ სქესი – ორივე მამაკაცური ნიშანია. მაგრამ თუ ერთი პლანეტა მერწყულშია, ხოლო მეორე 120°-ის დაშორებით ტყუპებში, მაშინ ისინი ტრიგონს ქმნიან. მერწყულს და ტყუპებს აერთიანებთ არა მხოლოდ სქესი, არამედ სტიქიური ელემენტიც: ორივე ჰაერის ნიშანია. შესაბამისად, ტრიგონი გაცილებით უფრო ძლიერ ასპექტად მიიჩნევა, ვიდრე სექსტილი¹⁰. ამიტომ ტერმინ „სიმპათიას“ ასტროლოგები ყველაზე ხშირად მის მიმართ იყენებენ. ტრიგონისეული სიმპათიის საპირისპიროა „ანტიპათია“, რომელიც დისჰარმონიულ ასპექტებთან – ოპოზიციასა და კვადრატურასთანაა დაკავშირებული. ეს აზრია გატარებული ჰეფესტიონის „აპოტელესმატიკაში“:

დიამეტრალურ ფიგურებს [ოპოზიციებს] ქიში და ანტიპათია აქვთ, სამკუთხა [ტრიგონული] კონფიგურები ჰარმონიული და თანამღმობია (súmphōna mèn kai sumpathē), თუმცა არა ისეთი ძლიერი, როგორც კვადრატურები. ჰექსაგონები [სექსტილები] გაცილებით სუსტია და მათგან დახმარებაც თუ დაბრკოლებაც ნაკლებად შესამჩნევია... ამგვარად, ოთხკუთხა და დიამეტრალური კონფიგურაციები ვალდარეთ, როგორც დამანგრეველი, ხოლო სამკუთხა – როგორც თანამღმობი (სიმპათეტიკური) (hēs sumpathē), მის დარად – ექვსკუთხაც, თუმცა კი უფრო სუსტია (Haep. ca. 415/1973 p. 413)

ტრიგონულ ზოდიაქოს ნიშანთა სიმპათია ამ ნიშნებთან დაკავშირებულ პლანეტებზეც

სექსტილურ ასპექტში იმყოფებიან და შეადგენენ ექვსკუთხედის გვერდს ან გვერდებს. ტრიგონი: (kata trígōnion): პლანეტები, რომლებიც ერთმანეთისგან 120°-ით არიან დაშორებული, ტრიგონის ასპექტში იმყოფებიან და ქმნიან სამკუთხედის გვერდს ან გვერდებს“ (Bowen & Rochberg, 2020, p. 632). მეორე გაგებით, ასპექტები არის ზოდიაქოს ნიშნებს შორის ურთიერთობა. ამ გაგებით კონკრეტული ასპექტების განმარტება ზემოაღნიშნულის ანალოგიურია (Bowen & Rochberg, 2020, p. 632). ეს გულისხმობს იმას, რომ ჰარმონიული ასპექტები ჰარმონიულია როგორც პლანეტებს, ისე – ზოდიაქოს ნიშნებს შორის, ხოლო დისჰარმონიული ორივე შემთხვევაში დისჰარმონიულია. პირველი და, შესაძლოა, ორიგინალური ასპექტი ცნობილია როგორც „თანამყოფობა“ ან „შეერთება“, რაც გულისხმობს პლანეტათა ყოფნას ერთსა და იმავე ნიშანში ან მათ სიახლოვეს რამდენიმე გრადუსის ფარგლებში. თავდაპირველად შეერთება ტექნიკურად არ იყო კლასიფიცირებული, როგორც „ასპექტი“ ან „კონფიგურაცია“ და ადრეული ელინისტური ასტროლოგები, ჩანს, განმარტავდნენ მას ოთხი შესაბამისი კონფიგურაციისგან დამოუკიდებლად (Brennan, 2017, p. 295).

⁹ ჰოლდენის განმარტებით, აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა ასპექტის ერთი ან ორივე ბოლო წერტილი დაზიანებულია (Holden, 2010, p. 11).

¹⁰ სექსტილთან მიმართებით ყველაზე უფრო რადიკალური თვალსაზრისი აქვს გემინუსს. მისი აზრით, ექვსკუთხა კონფიგურაცია ვერავითარ სიმპათიას ვერ გენერირებს. ის სექსტილს, როგორც ასპექტს, არ აღიარებს.

ვრცელდება: ვეტიუს ვალენსი აცხადებს, რომ იუპიტერი და მთვარე კოსმიურ სიმპათიაში *trigōnos kosmikēn sumpatheian* (Vet. Val. ca. 150-175/1986, p. 6) იმყოფებიან, ვინაიდან იუპიტერის ნიშანი არის თევზები, რომელიც იმავე სამკუთხედში შედის, რომელშიც მთვარის ნიშანი – კირჩხიბი (კირჩხიბი, მორიელი, თევზები). ასევე, იუპიტერთან მზესაც სიმპათია აკავშირებს, ვინაიდან ამ უკანასკნელის ნიშანი – ლომი – იმავე სამკუთხედში შედის, რომელშიც იუპიტერის კიდევ ერთი ნიშანი – მშვილდოსანი (ვერძი, ლომი, მშვილდოსანი).

პორფირიოსი თავის „შესავალში“ პლანეტათა ეგზალტაციის ნიშნებზე¹¹ მსჯელობისას არ ივინყებს ტრიგონულ ნიშანთა შორის არსებულ ბუნებრივ სიმპათიას და მას იმის არგუმენტად იყენებს, თუ რატომაა ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში ესა თუ ის პლანეტა ეგზალტირებული. პორფირიოსი ცთომილებს ყოფს დღიურად და ღამეულად. მისი განმარტებით, დღიური პლანეტებისთვის ეგზალტაციის ნიშანი ისაა, რომელიც მის ერთ-ერთ ნიშანთან ტრიგონულ კონფიგურაციაშია: „ცთომილთა ეგზალტაციად დგინდება მათი დღიური სამყოფლის ტრიგონები და ის [ნიშნები], რომლებიც ბუნებით თანამდომობია (*tē phūsei sumpathoūnta*)“ (Porph. Isag. 6 CCAG V, 4, p. 199).

ამგვარად, პორფირიოსის მიხედვით, მზე მართავს ლომს და მისი ეგზალტაციის ნიშანია ვერძი. ვერძი ქმნის ტრიგონულ კონფიგურაციას ლომთან, მაშასადამე, ამ ორ ნიშანს ბუნებრივი სიმპათია აკავშირებს. ღამეულ ცთომილთა ეგზალტაციის ნიშნები – „მათი სხივების სისუსტის გამო“ (Porph. Isag. 6 CCAG V, 4, p. 199) – განისაზღვრება არა ტრიგონით, არამედ უფრო სუსტი ასპექტით – სექსტილით. ამ მონაკვეთში პორფირიოსი „სიმპათიას“ იყენებს მხოლოდ ტრიგონულ ნიშნებთან მიმართებით, ხოლო სექსტილურთან იგი ამ ტერმინს არ მიმართავს.

ტრიგონის ჰარმონიულ ბუნებას პტოლემეაიოსიც აღიარებს. იგი აღნიშნავს, რომ ტრიგონული და ტოლგვერდა ფორმა თავის თავში ყველაზე უფრო ჰარმონიულია. მიუხედავად ამისა, ტრიგონული ურთიერთობების აღწერისას პტოლემეაიოსი არსად არ იყენებს ტერმინს „სიმპათია“. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პტოლემეაიოსი არ ცნობს ტრიგონულ ნიშანთა ჰარმონიას და ურთიერთსიახლოვეს, არამედ მას ახასიათებს ტენდენცია, სხვა ტერმინებით გამოხატოს ზოდიაქოს ნიშანთა და ცთომილთა ურთიერთობანი: არსებითი სახელი *sunoikeiōsis* და ზმნა: *sunoikeiōm*, აგრეთვე, არსებითი სახელი *oikeiōsis* და ზმნა: *oikeiōm*. პირველს ძირითადად იყენებს პლანეტათა და ზოდიაქოს ნიშანთა მონათესაობის აღსაწერად, მეორეს – თავად ზოდიაქოს ნიშნების ურთიერთობისას. არც ცთომილთა ეგზალტაციის ნიშნების განსაზღვრისას იყენებს ბუნებრივი სიმპათიის არგუმენტს. პორფირიოსისგან განსხვავებით პტოლემეაიოსი ეგზალტაციის ნიშნების არსებობას ტრიგონული სიმპათიით კი არ ხსნის, არამედ ცთომილთათვის მახასიათებელი ოთხი ჰუმორის (ცხელი, ცივი, მშრალი, სველი) გაძლიერებით. მაგალითად, მზე ეგზალტირებულია ვერძში არა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მზის ნიშანთან – ლომთან – ქმნის ტრიგონს, არამედ იმიტომ, რომ მზეს ვერძში ყოფნისას უძლიერდება ჰუმორი – სიცხე.

ტერმინი „ბუნებრივი სიმპათიაც“ პტოლემეაიოსს მხოლოდ ერთხელ აქვს გამოყენებული კალენდარულ საკითხებზე მსჯელობისას იმ მონაკვეთში, როცა აღნიშნავს ბუნიობათა და მზებუდობათა ოთხი წერტილიდან (ვერძი, კირჩხიბი, სასწორი, თხის რქა) „საკუთარი განსჯითა და [ამ ოთხ წერტილთა] ბუნებრივი სიმპათიით (*kaī phusikās sumpatheias*)“ (Ptol. ca. 168/1954, p. 148), თუ როგორ ანიჭებდნენ ხოლმე უპირატესობას რომელიმე ერთს.

ელინისტური ასტროლოგიის წარმომადგენლები „სიმპათიას“ უფრო ფართო გაგებითაც იყენებდნენ. ვეტიუს ვალენსის მიხედვით, სამყაროში ოთხ ელემენტს ერთმანეთთან აკავშირებს სიმპათია. მაგალითად, ცეცხლი და ჰაერი რადგან აღმავალი ელემენტებია, ერთმანეთს ერწყმიან. ცეცხლი, მშრალი ელემენტი, საზრდობს ჰაერის სიმსუბუქით, ხოლო, მეორე მხრივ, ცეცხლი არ აძლევს ჰაერს ყინულოვანი ან ბნელი ბუნების მიღების საშუალებას, არამედ აქცევს მას სითბოდ და სირბილედ. სიმპათიაშია ცეცხლოვანი ლომი და ჰაეროვანი მერწყული ისევე, როგორც წყლისა

¹¹ ზოდიაქოს ნიშანი, რომელშიც პლანეტა თავს ყველაზე ძლიერად ავლენს.

და მინის ნიშნები ერთმანეთთან (Vet.Val. ca. 150-175/1986, p. 32). რეტორიოს ეგვიპტელი (Rhet. ca. 600/2009) უფრო შორს მიდის და სიმპათიას უკავშირო (asündetos) ნიშნებს შორისაც პოულობს. რაც შეეხება კლავდიუს პტოლემეაიოსს, იგი „სიმპათიას“ მსგავსი მნიშვნელობით არსად არ იყენებს.

სიმპათია ზეცასა და მინას შორის

მონათესავეობის აღმნიშვნელი ცნება – *sunoikeiōsis* – ასევე გამოყენებულია ასტროგეოგრაფიაში ზოდიაქოს ნიშნების (აგრეთვე ვარსკვლავების) და დედამიწაზე კლიმატური ზონების მონათესავეობის გადმოსაცემად. თუმცა იქვე, იმავე კონტექსტში, პტოლემეაიოსი იყენებს ტერმინს „სიმპათია“, როცა აღნიშნული სიმპათიების ბუნებრივი მიზეზის ახსნის პირობას დებს (Ptol. ca. 168/1954). შეიძლება ვიფიქროთ, რომ „მონათესავეობა“ არის ერთგვარი მოცემულობა, საფუძველი, ხოლო „სიმპათია“ – რეზონანსი, რომელიც მონათესავეობის საფუძველზე წარმოიქმნება. პტოლემეაიოსი აღწერს ზოდიაქალური ტრიგონების, ზოდიაქოს ნიშნებისა და ცთომილების მონათესავეობას ამა თუ იმ ქვეყანასა და მასში მცხოვრებ ხალხთან, ზოგჯერ კი იმავე კონტექსტში იყენებს სიმპათიას:

თითოეული უძრავი ვარსკვლავი **ენათესავება** (*sunoikeiōntai*) იმ ქვეყნებს, რომელთა მიმართ **სიმპათიას** (*sumpátheian*) განიცდიან ზოდიაქოს მონაკვეთები, რომელთაც აქვთ ისეთივე დახრილობა, როგორც მის პოლუსზე გავლებულ წრეზე აქვთ უძრავ ვარსკვლავებს (Ptol. ca. 168/1954 p. 123)

უნყვეტი კავშირისა და რეზონანსის დატვირთვით სიმპათია ფიგურირებს ქალაქების ბედის პროგნოზირებისას. პტოლემეაიოსი გვთავაზობს ქალაქებისთვისაც შევადგინოთ ისეთივე პირადი რუკა, როგორც ადამიანებისთვის, ოღონდ პიროვნებების შემთხვევაში რუკა თუ დაბადების მომენტში ციურ სხეულთა განლაგებას ასახავს, ქალაქის შემთხვევაში მისი დაარსებისას არსებულ ცის სურათს უნდა ასახავდეს. ზოდიაქოს იმ ნიშნებს, რომლებიც ქალაქის დაარსებისას ჰოროსკოპის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს (მზე, მთვარე, კულმინაციის ცენტრი) შეიცავს, ამ ქალაქთან სიმპათეტიკური კავშირი ექნება და ზოდიაქოს ამ მონაკვეთების გააქტიურება ქალაქის ბედზეც აისახება:

გარდა ამისა, დედაქალაქების შემთხვევაში მათდამი უდიდეს სიმპათიას განიცდიან (*málista sumpathoúsini*) ზოდიაქოს ის ადგილები, რომლებიც გაიარა მზემ, მთვარემ, ცენტრმა (განსაკუთრებით ჰოროსკოპის) ქალაქის დაარსების დროს, როგორც ადამიანის დაბადების ჟამს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც უცნობია მათი დაფუძნების ზუსტი მონაცემები, სიმპათიას ავლენენ ის ადგილები, რომლებზეც დგას კულმინაციის წერტილი მათი დაბადების ჟამს, ვინც იმ დროს იყო მმართველი ან მეფე (Ptol. ca. 168/1954, p. 123).

მზისა და მთვარის დაბნელების მომენტში პტოლემეაიოსი გვთავაზობს დაკვირვებას იმ ზოდიაქოზე, რომელშიც დაბნელებები ხდება და ქვეყნებზეც, რომელთაც ნათესაობა აქვთ ამ ზოდიაქოს ტრიგონთან, ანალოგიური სახით ის გვთავაზობს დაკვირვებას, თუ რომელ ქალაქს აკავშირებს (მისი დაფუძნების დროს ასცენდენტისა და მნათობთა განლაგების მიხედვით, ხოლო თუკი დაფუძნების დრო უცნობია, მისი იმდროინდელი მმართველის კულმინაციის წერტილის¹² მიხედვით) სიმპათია დაბნელების ზოდიაქალურ ნიშანთან (Ptol. ca. 168/1954, p. 125).

მმართველისა და ქვეყნის ან ქალაქის ბედის ურთიერთკავშირი და ზეცაში ამ კავშირის ძიება ჯერ კიდევ ქალდეელებიდან მოდის. ამ ტიპის ასტროლოგია (მუნდანური) პირად ჰოროსკოპულ ასტროლოგიაზე დიდი ხნისაა, ქვეყნისა და მისი მმართველის ბედ-იღბლის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ასტროლოგებს სწამდათ მმართველს, ქალაქსა და ზოდიაქოს შორის სიმპათეტიკური კავშირის არსებობა. ამ საკითხთან დაკავშირებით პტოლემეაიოსის მსგავსი შეხედულება აქვს გამოთქმული ჰეფესტიონს, რომელიც სიმპათიას იმავე კონტექსტში იყენებს: „მაგრამ, როდესაც [ქალაქის, რეგიონის] დაფუძნების დრო უცნობია, გასათვალისწინებელია,

¹² ეკლიპტიკის უმაღლესი წერტილი, იგივე „კულმინაციის წერტილი დამკვირვებლის თავს ზემოთ: მეათე ადგილი“ (Barton, 2003, p. 214).

აკავშირებს თუ არა თანალმობა (სიმპათია) იმ დროის მეფეთა და მმართველთა კულმინაციის წერტილს იმავე ადგილთან (Haep. ca. 415/1973).

სიმპათია – ურყევი მეგობრობის ფორმა

„სიმპათია“ – მეგობრობის ფორმაა, „ანტიპათია“ – მტრობის. ცნებათა ამგვარ კლასიფიკაციას არაერთი ასტროლოგი იზიარებდა. პტოლემეაიოსი მეგობრობაზე საუბრისას გამოყოფს ორი სახის მეგობრობასა და მტრობას: ერთი უფრო მყარი და ხანგრძლივია, ამ სახის მეგობრობა გადმოცემულია ტერმინით *sumpatheía*, ხოლო მტრობა არა ანტიპათიით, არამედ სხვა სიტყვით – *ékhthra*. მეორე ტიპის მეგობრობა და მტრობა უფრო მოისუსტებს და დროშიც შეზღუდულია, აქ წარმოდგენილია შემდეგი ანტონიმური წყვილი – *sunastría-antidikía*:

რაც შეეხება მეგობრულ და არამეგობრულ განწყობებს, რომელთაგან უფრო დიდსა და გრძელჟამიერს ვუნოდებთ მოყვარეობასა და მოძულეობას (*sumpatheías kai ékhthras*), ხოლო შედარებით მცირესა და ხანმოკლეს – მახლობლობას და მოქიშპეობას (*sunastrías kai antidikías*), ჩვენი კვლევა-ძიება ამ გზით წარიმართება (Ptol. ca. 168/1954, p.323)

თანამედროვე გაგებით „სინასტრია“ მოიაზრებს ორ პირად ნატალურ რუკაში პლანეტების განლაგებათა შედარებასა და ანალიზს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შეეწყობიან ეს ადამიანები ერთმანეთს და როგორ წარიმართება მათი ურთიერთობა, მაგრამ პტოლემეაიოსი მას უფრო მცირედი მეგობრობის გადმოსაცემად მიმართავს, „სიმპათია“ კი უფრო აღმატებული მეგობრობის მნიშვნელობითაა გამოყენებული. პტოლემეაიოსის იდეას უცვლელად იზიარებს ჰეფესტიონიც, რომელიც სიმპათიას იმავე კონტექსტში იყენებს: „რაც შეეხება მეგობრულ და არამეგობრულ განწყობებს, ზოგი უფრო დიდი და გრძელჟამიერი მოყვარეობა და მოძულეობაა, ზოგი – შემთხვევითი მეგობრობა და უბრობაა“ (Haep. ca. 415/1973, 2. 23).

სიმპათიას მეგობრობასთან კონტექსტში იყენებენ არამხოლოდ ასტროლოგები – პტოლემეაიოსი და ჰეფესტიონი, არამედ ბუნებათმცოდნე და ასტრონომი გემინოსიც. ეს უკანასკნელი სიმპათიას ორი გაგებით იყენებს: პირველი – როგორც ვარსკვლავების თანაგანცდას დედამიწასთან, კერძოდ – ამინდთან, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება და მეორე გაგებით – როგორც ურთიერთობას ზოდიაქოს ნიშნებს შორის¹³, შემდეგ უკვე ამ ნიშნების ქვეშ დაბადებულ ადამიანთა შორის:

ოპოზიციური ნიშნები შობილთა შორის სიმპათიის აღმძვრელადაა მოაზრებული ქალდეელების მიერ. რამეთუ მიიჩნევა, რომ ოპოზიციის ქვეშ შობილნი თანაუგრძნობენ ერთმანეთს და, როგორც ზოგიერთი იტყვის, ურთიერთსაპირისპიროდ მდებარეობენ. იმავედროულად, ვარსკვლავთა განლაგებაც საპირისპირო ნიშნებში ხელს უწყობს ან აზიანებს შობილთ, ვარსკვლავთა მოცემული ძალიდან გამომდინარე (Gemin. ca. 70/1898. 2, 5-6)

სამივე ავტორთან „სიმპათია“ ზეცის გავლენით განპირობებული ადამიანური ურთიერთობის ფორმაა, გემინოსის მიხედვით, ის შეიძლება დადებითის მიმართულებითაც განვითარდეს და უარყოფითისაც, პტოლემეაიოსისა და ჰეფესტიონის მიხედვით კი ის არა უბრალოდ ცალსახად დადებითი, არამედ მეგობრობის საუკეთესო ფორმაა. სიმპათია, როგორც კეთილგანწყობის შემცველი ცნება, თავისთავადაც არსებობს ბერძნულში, მაგრამ ასტროლოგიურ ტექსტებში ის იძენს ტექნიკური ტერმინის დატვირთვას, რადგან ზეციური ფაქტორითაა გამოწვეული.

¹³ გემინოსის (ca. 70/1898) მიხედვით, სიმპათიები წარმოიქმნება სამი გზით: ოპოზიციით, ტრიგონითა და კვადრატურით. სხვა დანაყოფებით ვერავითარი სიმპათია ვერ წარმოიშობა. ავტორი გამორიცხავს სიმპათიის არსებობას როგორც მეზობელ ზოდიაქოს ნიშანთა შორის, ისე იმ ნიშანთა შორისაც, რომლებიც ზოდიაქოს წრეზე სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურას (ექვსკუთხედი, რვაკუთხედი) ხაზავენ, გარდა სამკუთხა, ოთხკუთხა და დიამეტრალური განლაგებისა, ვინაიდან მხოლოდ მათში მოიპოვება ერთგვარი ბუნებრივი სიმპათია.

ბინარული ოპოზიცია: სიმპათია-ასიმპათია

„ანტიპათია“ „სიმპათიის“ საპირისპირო მოვლენაა. თუმცა ასტროლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება „სიმპათიის“ კიდევ ერთი ანტონიმი – „ასიმპათია“ *asumpathēs*. როგორც „ა“ თავსართი მიუთითებს, ცნება სიმპათიის არქონას გამოხატავს¹⁴. ასტროლოგიაში მას უწოდებენ ზოდიაქოს ნიშნებს, რომლებსაც ერთმანეთთან მონათესავეობის არავითარი კრიტერიუმი არ აკავშირებს. ვეტიუს ვალენსის „ანთოლოგიაში“ ვხვდებით ზედსართავ სახელს *asumpathēs* (Vet. Val. ca. 150-175/1986, 139.1) და ზმნიზებას *asumpathōs* (Vet. Val. ca. 150-175/1986, 138. 30), როგორც მონათესავეობის (*oikeiōs*) საპირისპირო ცნებას. სერაპიონ ალექსანდრიელი სიმპათეტიკურად მოიხსენიებს ზოდიაქოს ნიშნებს, რომლებსაც ერთმანეთის „ხილვა“ შეუძლიათ, ასიმპათეტიკურად *asumpatheis* კი მათ, რომლებსაც ამის ძალა არ შესწევთ¹⁵ (CCAG VIII, 226). საინტერესოა, რომ ამ სიტყვას პტოლემეაიოსიც იყენებს, ოღონდ არა ასტროლოგიური დატვირთვით არამედ მისი პირველადი მნიშვნელობით: „ოთხნიგნეულის“ მე-3 წიგნში, ადამიანის ხასიათის თავისებურებების განხილვისას, ამ ეპითეტით – *asumpatheis* – მოიხსენიებს ადამიანს, რომელსაც თანაგრძნობის უნარი არ აქვს (იხ. Ptol. ca. 168/1954, 261).

მთლიანობაში, „ოთხნიგნეულში“ ტერმინ „სიმპათიის“ მხოლოდ ასტროლოგიურ კონტექსტში გამოყენების შემდეგი შემთხვევები ფიქსირდება:

ქოროგრაფიის საკითხებზე მსჯელობისას: სიმპათია ზეცასა და გეოგრაფიულ პუნქტებს შორის.

სიმპათია – ურყევი მეგობრობის ფორმა: პტოლემეაიოსი მეგობრობაზე საუბრისას გამოყოფს ორი სახის მეგობრობას: უფრო მყარსა და ხანგრძლივს, ანუ სიმპათიას, უფრო სუსტსა და დროში შეზღუდულს – სინასტრიას.

პტოლემეაიოსს ერთხელ აქვს გამოყენებული ტერმინი „ბუნებრივი სიმპათია“ კალენდარულ საკითხებზე მსჯელობისას, კერძოდ, ბუნიობა-მზებუდობის წერტილთა განსაზღვრისას.

მართალია, ტერმინ „სიმპათიას“ ყველაზე ხშირად ვეტიუს ვალენსის „ანთოლოგიაში“ ვხვდებით, მაგრამ ამ ცნების გამოყენების დარგობრივი მრავალფეროვნების თვალსაზრისით პტოლემეაიოსი ელინისტური ხანის ასტროლოგთა შორის გამორჩეულია. საკითხის კვლევისას გამოვლინდა, რომ პტოლემეაიოსი აღნიშნულ ტერმინს იყენებს: ა) წმინდა ასტროლოგიურ-ტექნიკური ტერმინის მნიშვნელობით; ბ) ფილოსოფიური დატვირთვით (სტოიკური იდეის – კოსმიური სიმპათიის კონტექსტში); გ) მედიცინის კონტექსტში: პტოლემეაიოსი მიმართავს ბინარულ ოპოზიციურ წყვილს სიმპათია – ანტიპათიას, სადაც „სიმპათია“ მიზიდვის, ხოლო „ანტიპათია“ განზიდვის ძალას განასახიერებს: წამალი კურნავს დაავადებას მასთან ანტიპათიური დამოკიდებულების წყალობით. ამავდროულად, განსხვავებულ კონტექსტებში გამოყენების მიუხედავად, ტერმინი „სიმპათია“ არ სცილდება პტოლემეაიოსის მიერ „ფიზიკურ“ მეცნიერებებად მოაზრებულ დისციპლინათა ჩარჩოებს.

ლიტერატურა:

Barton, T. (2003). *Ancient Astrology*. Routledge.

Bowen, A. C., & Rochberg, F. (2020). *Hellenistic Astronomy: The Science in Its Contexts*. Brill's Companions to Classica.

Brennan, C. (2017). *Hellenistic Astrology: The Study of Fate and Fortune*. Amor Fati Publications.

CCAG (1921). *Catalogus codicum astrologorum graecorum*: vol. VIII, part 4, ed. Boudreaux, Cumont, Lamertin,

¹⁴ ლიდლ-სკოტის ლექსიკონი ამ სიტყვას ასე განმარტავს: “without fellow-feeling or sympathy” (LSJ), ლექსიკონი ცალკე გამოყოფს ამ ცნების ასტროლოგიურ მნიშვნელობას: *Astrol.*, epithet of certain ζῳδια (LSJ).

¹⁵ ასტროლოგიაში არსებობს ზოდიაქოს ნიშნები, რომლებსაც ერთმანეთთან არავითარი ასპექტის აღიარებული ფორმა არ აკავშირებს. ე.ი. მათ არ შეუძლიათ ერთმანეთის „დანახვა“. ასტროლოგიაში ასეთ ნიშნებს „ზურგშექცეული“ ანუ *apostrophē* უწოდებთ (იხ. Brennan, 2017, p. 608).

Brussels.

- CCAG** (1940). *Catalogus codicum astrologorum graecorum*: vol. V, part 4, Bruxellis: Lamertin.
- Dijksterhuis, E. J.** (1961). *De Mechanisering Van Het Wereldbeeld*.
საგულისხმოა, რომ მარკოზ მახარებლის ანტიოქიის ეპისკოპოსად მოხსენიებამ ტრადიციული სახე მიიღო ქრისტიანულ ლიტერატურაში. ამის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ლიფსიუსის მოწმობას დოროთეოსის მცდარი შეხედულების შესახებ უფლის სამოცდაათთაგან მოციქულთა შორის სხვადასხვა მარკოზის არსებობასთან დაკავშირებით, რომელთაგან ე. წ. ბარნაბას ძმისწული აპოლონიის ეპისკოპოსადაა დასახელებული, იოანე-მარკოზი კი – ბიბლოსის მომავალ მწყემსმთავრად. იქვე დასძენს, რომ დოროთეოსის, ფსევდო-იპოლიტესა და ლოგოთეტეს ტრაქტატებში მარკოზი რიგით მე-14 ადგილზეა 70 მოციქულის სახელთა სიაში, თუმცა სამივე მათგანი აბსოლუტურად სხვადასხვა მარკოზს მოიხარებს.²⁷ X საუკუნის კონსტანტინოპოლურ სვინაქსარზე დაყრდნობით, ბერძნული მართლმადიდებლური კალენდარიც ბარნაბას ძმისწულ მარკოზს აპოლონიადელ ეპისკოპოსად თვლის, ხოლო იოანე-მარკოზს – ანტიოქიის ბიბლოსის მღვდელთმთავრად. მარკოზის პიროვნების სხვადასხვა ადამიანად მიჩნევის ტენდენციამ XIX საუკუნემდე გასტანა, მხედველობაში გვაქვს ევანგელისტის სხეულის შესახებ დაცული 1811 წლის

²⁴ Oden, 2011, 194; Willem, 2016, 8.

²⁵ Oden, 2011, 114-115; Willem, 2016, 8.

²⁶ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიოქიის საპატრიარქოში IV საუკუნიდან შედიოდა 15 ეპარქია, მათ შორის ლიბანი და მთელი მისი შემოგარენი.

²⁷ Lipsius, 1884, 328.

იტალიურენოვანი დისერტაცია, სადაც ავტორი ხაზგასმით განარჩევს მარკოზ მახარებელს სამოცდაათ მოციქულთაგან.²⁸

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად მთელი 19-საუკუნოვანი არასწორი იდენტიფიცირებისა, მარკოზ მახარებელი, იოანე-მარკოზი და ბარნაბას ძმისწული მარკოზი ერთი და იგივე პიროვნებაა.

ლიტერატურა:

- A.A.M. van der Hoeven, John Mark, Author of the Gospel of John with Jesus' Mother, The Netherlands, 2013; www.JesusKing.info
- Apokryphen Apostelgeschichten und Apostellegenden, Ein Beitrag Zur Altchristlichen Literaturgeschichte Von Richard Adelbert Lipsius. 1884, Zweiter Band, Zweite Hälfte.. Braunschweig, C. A. Schwetschke Und Sohn (M. Bruhn).
- Apollonia, ancient city, North Africa; <https://www.britannica.com/place/Apollonia-ancient-city-North-Africa>
- ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი (2009). თბილისი.
- ბიბლია (2013). თბილისი: „პალიტრა L“.
- Bruns J.** Edgar, The Confusion Between John and John Mark In Antiquity; https://biblicalstudies.org.uk/pdf/scripture/37_023.pdf
- Coptic Synaxarium (Coptic Orthodox Calendar), 30 Baramoda (The Thirtieth Day of the Blessed Month of Baramoudah), The Martyrdom of the Great Saint Mark, the Apostle The Evangelist of the Land of Egypt; https://st-takla.org/Full-Free-Coptic-Books/Coptic-Synaxarium-or-Synaxarion_English/08-Bermodah/Coptic-Calendar_30-Baramouda.html
- Еортоλόγιο 2022: Οι Άγιοι που εορτάζουν σήμερα Τρίτη 4 Ιανουαρίου: Σύναξη των Αγίων Εβδομήκοντα Αποστόλων; <https://orthodoxia.online/eortlogio/simera-giortazoume-ti-synaxi-ton-agion-evdomikonta-apostolon>
- Garsoian, Nina**, 1996, From Byzantium To Iran, Atlanta, Kouymjian (D), 453-474.
- ИМЯ МАРК В ПРАВОСЛАВНОМ КАЛЕНДАРЕ (СВЯТЦАХ); <https://www.krestilnoe.ru/imena-muzhskie/mark>
- Juan Marcos Evangelista**, 2011; <https://docplayer.es/15587395-Juan-marcos-evangelista.html>
- Малинин, А.М.**, 1952, Латинско-Русский Словарь, Москва.
- Mango, C.**, 1989, Architettura Bizantina, Milano.
- Marcus (name) – Wikipedia; <https://en.m.wikipedia.org>
- Oden T. C.**, The African memory of Mark: Reassessing early church tradition, 2011.
- Rubbi, A.C.**, Dissertazione Sopra Il Corpo Di San Marco Evangelista, Riposto Nella R. Patriarcale Basilica Di S. Marco In Venezia, Impresa Nella Tipografia Picotti, 1811.
- საქართველოს ეკლესიის კალენდარი. (2022). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.
- Собор святых семидесяти апостолов; <http://www.patriarchia.ru/db/text/909494.html>
- St. Mark The Apostle and Evangelist; <https://www.copticchurch.net/synaxarium/saints/mark.html>
- ტროპარიონი, ტროპარ-კონდაკთა კრებული. (2011). მესამე შევსებული გამოცემა, რუსთავი: „გორგასალი“.
- Valentini, G.**, 1969, Domus Ecclesiae: L'edificio sacro cristiano: Morfologia, funzioni, espressione, Bologna, Casa Ed. Prof. Riccardo Patron.
- წმიდანთა ცხოვრება, 2001, ტომი II, თბილისი. <https://www.orthodoxy.ge/tveni/anb-m.htm>
- წმიდანთა ცხოვრება, 2001, ტომი III, თბილისი. <https://www.orthodoxy.ge/tveni/seqtemberi/27-markozi.htm>
- წმიდანთა ცხოვრება. (2003). ტომი IV, თბილისი. <https://www.orthodoxy.ge/tveni/oqtomberi/30-tertiosi.htm>
- Willem Oliver, Mark the Evangelist: His African Memory, 2016, HTS Theologiese Studies/Theological Studies 72(4), a3400, p. 1-13. <http://dx.doi.org/10.4102/hts.v72i4.3400>

²⁸ Rubbi, A.C., 1811, 27.

ესპანელ ქალთა მონოდებები ჟურნალ “Mujeres Libres” წინასიტყვაობის მიხედვით

Spanish Women’s Vocations According to the Forewords of the Journal “Mujeres Libres”

ელენე ჭირაკაძე

Elene Chirakadzelvane

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მეტად აქტუალური გახდა გენდერული საკითხებისა და მის გარშემო არსებული პრობლემების კვლევა, მათი სამეცნიერო ანალიზი. ამ თვალსაზრისით, ბევრი სხვადასხვა მიმართულება გამოიკვეთა. ერთ-ერთი საინტერესო კი უდავოდ, ჟურნალ-გაზეთებია, კერძოდ კი, ფემინისტური, ქალთა გამოცემები, სადაც ასახულია მათი პრობლემები, უფლებრივი ბრძოლისკენ სწრაფვა, მიზნები და ა.შ.

ესპანელი ქალებისთვის გარდამტეხი პერიოდი იყო მეოცე საუკუნე, როდესაც ესპანეთის სოციალ-კულტურული ძვრები მნიშვნელოვნად შეეხო მთლიანად საზოგადოებას, უფრო ზუსტად კი, ესპანეთის სამოქალაქო ომი, სადაც ფაშისტური ძალები აქტიურად იბრძოდნენ ქალთა უფლებების შეზღუდვისკენ. მათ წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ანარქისტული მოძრაობა Mujeres Libres (თავისუფალი ქალები). მათ ეჭვქვეშ დააყენეს პატრიარქატი, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც ბურჟუაზიის ინსტიტუტებში, ასევე, იმდროინდელ დომინანტურ კულტურაში. ეს ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი ფემინისტური ძალა იყო ესპანეთში, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოეხდინა ისტორიაში.

ჟურნალი „Mujeres Libres“ იყო ეფექტური ინსტრუმენტი ორგანიზაციის შეხედულებების გავრცელებისთვის, რომელსაც გადამწყვეტი საგანმანათლებლო როლი უნდა შეესრულებინა. უშუალო მიზანს წარმოადგენდა ქალებისთვის დაწყებითი განათლების მიცემა და გარკვეული სახით პოლიტიკური მომზადება, რაც მათ საშუალებას მისცემდა, მონაწილეობა მიეღოთ ანარქისტულ საქმიანობებში. 1936 წლის ივლისში ესპანელი ანარქისტებისთვის დადგა ახალი პერიოდი, რომლის ერთდროული მიზნები იყო ფაშიზმის განადგურება და საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა.

ამრიგად, თავისუფალმა ქალებმა შექმნეს ჟურნალი, რომლის ზოგიერთი ეგზემპლარი ვერ მოიძებნა, რადგან ფაშიზმმა დაამარცხა ანარქისტული რევოლუცია, რომელსაც ეს ქალები ხელმძღვანელობდნენ და დღეს შემორჩენილია მხოლოდ 13 ნომერი, რომელიც გამოიცა 1936-1938 წლებში.

მოგეხსენებათ, ჟურნალის ყველა ნომრის განხილვა სტატიის ფორმატში შეუძლებელია, ამიტომ, მნიშვნელოვად მიგვაჩნია ვისაუბროთ ყოველი ნომრის შესავალ ნაწილზე, წინასიტყვაობაზე, სადაც მოკლედაა გადმოცემული მთლიანი ნომრის პათოსი.

პირველი ნომერი გასაკვირი არაა, რომ ეძღვნება ესპანეთის სამოქალაქო ომის დაძაბულობას, რომელიც ქვეყანაში ახალი დაწყებულია და რომლის შუაგულშიც აქტიურად არიან ქალებიც. ჟურნალის პირველ ფურცელზე იკითხება შემდეგი: „მაშ, აქ ვართ, ჩვენი დროის შუაგულში, მზად ვართ მივყვეთ იმ გზას, რომელიც მიგვიყვანს საბოლოო შედეგამდე და ქალს დაუსახავს ახალ ხედვას“. „თავისუფალი ქალები“ შესავალ სიტყვაში აპელირებდნენ, რომ ეს ყოველივე წარმოადგენს ერთ-ერთ მორიგ მასკულანურ შეცდომას, ვინაიდან ქალის როლი და პასუხისმგებლობა უგულვებელყოფილია ისტორიული ევოლუციის პროცესში და აქ ქალი მთავარი როლის მქონე ნაკლებადაა, ის უფრო დაუცველი მონშის აპლუაშია.

აქტიურად იყო გამოხატული ის აზრები, რომ ფემინიზმი ომმა მოკლა და ამ ყოველივეში წონასწორობის არარსებობით ცივილიზაციას კოლაფსი ემუქრებოდა. ხოლო, ამ საშინელ გზაჯვარედინზე კი, ეს იყო ის გადამწყვეტი მომენტები ისტორიისთვის, რომლის შემდგომაც მოხდებოდა შეცდომების გამოსწორება, ცნებების დამხობა. შესავალი სიტყვის ბოლოს იკითხება, რომ ეს იყო ამ ჟურნალის დაარსების მიზეზი, რომელსაც სურდა, გაურკვევლობით გაჯერებულ ჰაერში გაჟღერებულიყო მტკიცე და გულწრფელი ქალის ხმა, რომელიც რელიგიის ტირანიას აღარ იქნებოდა დაქვემდებარებული.

ამ სიტყვაში საუბარია, ასევე, პოლიტიკაზე, სადაც ნათქვამია, რომ პოლიტიკა წარმოადგენს ხალხების მართვის ხელოვნებას, თუმცა, წერენ, რომ ეს არის აბსტრაქტული განმარტება, ვინაიდან სინამდვილეში ეს არის სამყაროს ღვთის და ხრწნის საშუალება.

„ჩვენ გვეზიზღება პოლიტიკა, რადგან მას არ ესმის ადამიანური პრობლემები, არამედ კლასობრივი ინტერესები. ეს არის ომის მუდმივი ინკუბატორი. ბოლოს, კი ქალებს მოუწოდებენ ხმის ამაღლებისკენ და საკუთარი საქმიანობის თუ საგანმანათლებლო სფეროებში დაბრუნებისკენ, რათა ეს სიტყვები რეალობაში იქნეს გადატანილი (Mujeres libres, 1936).¹

მომდევნო ნომერიც გრძელდება პოლიტიკური წინასიტყვაობით და ყურადღება გამახვილებულია დემოკრატიაზე, რაზედაც წერენ, რომ დემოკრატიაში გაიარა ევოლუციური ეტაპები და უკვე მისი თავბრუდამხვევი დაღმასვლაა დაწყებული, ვინაიდან იგი ყოველდღიურად აწყდება ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ომი, მუშათა გაფიცვა და სხვ. ნახსენებია, რომ პრესა ცენზურის წინაშე დგას და დემოკრატია, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი არსება, საკუთარ თავში ატარებდა საკუთარი განადგურების ჩანასახს: თავისუფლების პრინციპს (Mujeres libres, 1936).²

ჟურნალის მესამე ნომრის წინასიტყვაობა კი ეძღვნება პარალელების გავლებას ჰიტლერის გერმანიასთან და ჰიტლერამდე გერმანიაში არსებულ ქალთა მდგომარეობასთან. მოყვანილია პროფესორი ბერნერის სიტყვები, რომელიც ბარსელონის ჟურნალ “Tiempos Nuevos”-ში დაინერა, სადაც ამბობს, რომ „თქვენ არ შეგიძლიათ ისაუბროთ ფაშიზმზე, ისე, რომ არ დაინახოთ ქალის ცრემლების მდინარეები“. აქ „თავისუფალი ქალები“ მკაფიოდ მიანიშნებენ იმაზე, რომ თუკი ესპანეთში გაიმარჯვებს ფაშისტური ძალები, მაშინ ომამდე არსებული მცირედი მონაპოვარიც კი, რაც ქალებს გააჩნდათ უფლებების მხრივ, სრულიად გაქრება (Mujeres libres, 1936).³

აგვისტოს ნომერი იწყება სიტყვებით, რომ არსებულ პოლიტიკურ ჩაგვრას, ეკონომიკურ უსამართლობას, ორგანიზებულ აგრესიასა და ბომბების სროლას ქალური სინაზითა და ჰუმანიტარული მსჯელობით ვერ შეამცირებენ ანდაც შეაკავებენ (Mujeres libres, 1936).⁴

1936 წლის მე-5 გამოცემაში „თავისუფალი ქალები“ მაშინდელ ხელისუფლებას, მემარცხენე რესპუბლიკას მოუწოდებდნენ სისწრაფისკენ. „ბრძოლა სიკვდილამდეა“-ასეთი სიტყვებით იწყებოდა შესავალი, სადაც საუბარი იყო, რომ ყოფილიყვნენ სასტიკები, ოღონდაც ომი მალე დაესრულებინათ, რათა ხალხის ის მორალური ფასეულობები, რაც მიღწეული ჰქონდათ, რევოლუციას არ წაერთმია (Mujeres libres, 1936).⁵

მე-6 ნომერი იწყებოდა ფრაზით: „საბოლოო გამარჯვებამდე! მადრიდი დაუმარცხებელია. ხალხი უძლეველია. მადრიდი გმირულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო ფაშიზმს, მადრიდი იწყებს შეტევას, მადრიდი უკვე იმარჯვებს“ (Mujeres libres, 1936).⁶

¹ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936, May). Preface. Mujeres Libres(1), 1-2.

² Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936, June). Preface. Mujeres Libres (2), 1-2.

³ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936, July). Preface. Mujeres Libres (3), 1-2.

⁴ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936, August). Preface. Mujeres Libres (4), 1-2.

⁵ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936). Preface. Mujeres Libres (5), 1-2.

⁶ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936). Preface. Mujeres Libres(6), 1-2.

მომდევნო გამოცემა ქალებისთვის გარკვეულწილად შეცვალა და მოწოდებას წარმოადგენდა, სადაც ყურადღება იყო გამახვილებული იმაზე, რომ ქალების დამოუკიდებლობა განუყოფელია მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობისგან. საუბარია არა ხელფასის გაზრდაზე, არც მეტ-ნაკლებად აღიარებულ ქალურ უფლებებზე, არამედ მომავალ ცხოვრებაზე, თუ რამდენად შეეძლება ქალებს მომავალ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა (Mujeres libres, 1936).⁷

მძიმე და გარდამტეხ 1937 წელს, სადაც რესპუბლიკური მთავრობა ჯერ კიდევ აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა ფაშისტურ ძალებს, „თავისუფალი ქალების“ მე-8 ნომერი იწყება მადლობის გადახდით რესპუბლიკელი მეომრების მიმართ: „ჩვენ მიდრეკილნი ვართ, ავირჩიოთ ეს ორი ემოციური და მარტივი სიტყვები: გმადლობთ, ძმებო“ (Mujeres libres, 1937).⁸

შემდეგ გამოცემაშიც მკაფიოდ იკვეთება მემარცხენე პოზიციები და რესპუბლიკური წყობისადმი მხარდაჭერა. ამ ნომერში იკითხება, რომ სამოქალაქო ომი, არ არის კაპიტალისტური ომი და იწერებოდა შემდეგი: „ჩვენ არ ვართ მოტივირებული, დავიცვათ იგი ტერიტორიით, გვირგვინით. ჩვენ ვებრძვით ორ კლასს და ორ იდეოლოგიას. ჩვენი ომი რევოლუციური ომია. მუშათა ერთობა გაიმარჯვებს (Mujeres libres, 1937).⁹

ამასთან, მე-10 გამოცემის შესავალში ხაზგასმულია, რომ „თავისუფალი ქალები“ ჯვაროსნულ ლაშქრობაში არიან გაუნათლებლობის წინააღმდეგ, რასაც, თავის მხრივ, ეხმარება შემდგომი ნომრის წინასიტყვაობა, სადაც ნათქვამია, რომ ამ მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს სკოლები, ინსტიტუტები, სპეციალური შემსწავლელი კურსები, რომელიც მიზნად ისახავს ქალების გაძლიერებას და მათ ემანსიპაციას (Mujeres libres, 1937).¹⁰

მე-12 ნომერში წარმოდგენილია კონკრეტული პუნქტები, რომელსაც აყალიბებს „თავისუფალი ქალები“, როგორც ანტიფაშისტური საქმის ტრიუმფის საფუძვლად. ესენია: ურბანული მშენებლობების შეჩერება და ამ მასალების გამოყენება ფორტიფიკაციული ნაგებობებისთვის; სასოფლო-სამეურნეო წარმოება ომის პირობებში; კაცების მობილიზება ფრონტებისკენ; ნაწილი მამაკაცებისა, რომლებიც ომის მრეწველობით არ არიან დაკავებულნი, ბატალიონებში განწევრიანება; ქალების ჩართვა ომის სამრეწველო საქმიანობაში და ზოგადად, წარმოების საკითხებში; საბავშვო ბაგა-ბაღების შექმნა, რათა დედებს ჰქონდეთ თავისუფალი დრო (Mujeres libres, 1938).¹¹

ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბოლო ნომერში ვკითხულობთ, გარკვეული სახის შეჯამებას იმ მიზნისა, რითიც დაიწყო ამ ორგანიზაციამ და ჟურნალმა ფუნქციონირება. ვხედავთ, როგორ პროგრესირდნენ და უკვე 1938 წლისთვის მათი რაოდენობა 20 000-ზე მეტსაც შეადგენდა. „ჩვენ არ გვჯერა მოკრძალების. ჩვენთვის ეს არის ან სულის სიღარიბე ან ფარული ამოება. ამიტომაც ჩვენი ქმედებები სავსეა თამამი გამოსატულებებით“ (Mujeres libres, 1938).¹²

ამრიგად, სამოქალაქო ომის პირობებში „თავისუფალი ქალები“ ჩამოყალიბდა, გაიზარდა და შეიძინა პიროვნება. მათ სურდათ, დაემტკიცებინათ, პირველ რიგში, ქალის სტატუსის არსებობა და მოეპოვებინათ საკუთარი თავისთვის უფლება, ჩართულიყვნენ ესპანეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ გენერალი ფრანკოს რეჟიმის დამყარების შემდეგ, ემიგრაციიდან გააგრძელეს საქმიანობა ესპანელი ქალების უფლებების გასაუმჯობესებლად.

⁷ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936). Preface. Mujeres Libres(7), 1-2.

⁸ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1937). Preface. Mujeres Libres(8), 1-2.

⁹ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1937). Preface. Mujeres Libres(9), 1-2

¹⁰ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1937). Preface. Mujeres Libres(10), 1-2

¹¹ Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1938). Preface. Mujeres Libres(12), 1-2

¹² Comaposada Guillen, M., Porch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1938). Preface. Mujeres Libres(13), 1-2.

ლიტერატურა:

- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936, May). Preface. *Mujeres Libres*(1), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936, June). Preface. *Mujeres Libres* (2), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936, July). Preface. *Mujeres Libres* (3), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936, August). Preface. *Mujeres Libres* (4), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936). Preface. *Mujeres Libres* (5), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1936). Preface. *Mujeres Libres* (6), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1937). Preface. *Mujeres Libres* (7), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1937). Preface. *Mujeres Libres* (8), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1937). Preface. *Mujeres Libres* (9), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1937). Preface. *Mujeres Libres* (10), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1938). Preface. *Mujeres Libres* (12), 1-2.
- Comaposada Guillen, M., Poch y Gascon, A., & Sanchez Saornil, L. (Eds.). (1938). Preface. *Mujeres Libres* (13), 1-2.

ქართული ენის მნიშვნელობა ერი-სახელმწიფოს ფორმირებისათვის განათლების პოლიტიკის მიხედვით (1918-1921)

The Importance of the Georgian language for the formation of Nation-State according to the educational policy (1918-1921)

ანა ხვედელიანი

Ana Khvedeliani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
vane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას მნიშვნელოვანი მიმართულებები იყრის თავს, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების პოლიტიკა თავის თავში აერთიანებს როგორც კულტურული, ასევე სამოქალაქო ნაციონალიზმის მარკერებს. მათი მთლიანობა კი ქმნის ერს, როგორც პოლიტიკური და კულტურული ხასიათის ერთობას. ამაში მნიშვნელოვან როლს ქართული ენა ასრულებს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების სივრცის უქონლობის გამო, ილია ჭავჭავაძის და თერგდალეულების მოღვაწეობის მიზანი ქვეყნისათვის კულტურული ნაციონალიზმის განსაზღვრა იყო. მათ კარგად უწყოდნენ, რომ საკუთარი თავის ძიება და ნაციონალური თვითგამორკვევა ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო, რომელშიც მშობლიური ენა, განათლება, ისტორია, კულტურული აღორძინება, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და თვითადმინისტრირება შედიოდა. თერგდალეულებისათვის ქართული ენა იყო ის საფუძველი, რომელზეც საქართველოს ეროვნული მთლიანობა უნდა აშენებულიყო. ამ თვალსაზრისით თერგდალეულთა პრაქტიკულმა მუშაობამ და მათმა უშუალო მონაწილეობამ განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში, საფუძველი ჩაუყარა ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირებას. ილიასეულ ტრიადაში „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ქართულ ენას, როგორც სააზროვნო სივრცის შემომსაზღვრელს და ეროვნული იდენტობის მთავარ მარკერს, წამყვანი პოზიცია უკავია. ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, რომ ილიას ეპოქის ამოცანა ქართველთა კონსოლიდაციისათვის ქართული ენის აღორძინება იყო. დროთა მანძილზე ქართულ ენას ეთნიკურ-ეროვნული საზღვრების გადალახვით ქვეყნის, როგორც სახელმწიფოს ყველა მცხოვრების ინტეგრაცია დაეკისრა.¹

სწორედ 1918-1921 წლებში ვხედავთ ქართული ენის მიერ ეთნიკურ-ეროვნული საზღვრების გადალახვის მცდელობებს. ამ პროცესში სახელმწიფო საკანონმდებლო და ინტელექტუალური აპარატი თანმიმდევრული ნაბიჯებით იყო ჩართული: ქართული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად; მოხდა სასწავლო დაწესებულებების გაეროვნულება; სავალდებულო გახდა ქართული ენის შესწავლა; მასწავლებლებისათვის მოენყო ქართული ენის შემსწავლელი კურსები; შემუშავდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის სტანდარტები; ეროვნულ უმცირესობებს დაევალებათ ქართული ენის შესწავლა; დაიწყო აქტიური მუშაობა ქართულ სასკოლო პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე. თითოეული მათგანი განხორციელდა სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში.

რევოლუციის შემდგომ საქართველოში, დამოუკიდებელი ქვეყნის მოსახლეობის ქართული ენის ცოდნის დონე, მისი შესწავლის მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო. ამიტომაც, ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1917 წლის 19-23 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა

¹ კიკნაძე, ზურაბ (2005). „ილიას მამული“, საქართველო ათასწლეულთა გზაგასაყარზე, გვ.49, თბილისი: არეტე.

საბჭომ დაადგინა საქართველოში ადმინისტრაციულ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, რაც გულისხმობდა საქმის ქართულ ენაზე წარმოებას.² დადგენილება ძალაში შევიდა 1918 წლიდან და ეტაპობრივად განხორციელდა. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე კი დაიწყო ადმინისტრაციული, სახელმწიფო და კულტურული დაწესებულებების გაქართულების პროცესი ანუ გაეროვნულება. ამ პროცესის გასამართივებლად მოხელეთა კავშირიც კი შეიქმნა, რომელთაც ევალეობრად მოხელეთა მომზადება მომავალი ნაციონალიზაციისათვის ყველა დაწესებულებაში საქმეების ქართულად წარმოებისათვის. კავშირმა დააარსა კურსები, სადაც ისმენდნენ ლექციებს ყველა საჭირო დარგის შესასწავლად.³ ეტაპობრივად იხსნებოდა ქართული ენის შესასწავლი კურსები როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოზარდებისათვისაც. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრე-ბიუროში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, რომ ორივე სქესის მოზარდებისათვის უნდა გახსნილიყო ქართული ენის შესასწავლი კურსები მხოლოდ ერთი მიზნით: „კურსებს აზრად ექნება, ხელი შეუწყოს არა ქართველთა და საზოგადოდ ქართული ენის უცოდინართ სახელმწიფო ენის შესწავლის საქმეში“.⁴ 1918 წლის ოქტომბერში, ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ და დაადგინა, რომ „1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული. 2. საქართველოს რესპუბლიკაში ყველანაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულ ენაზე“.⁵ ასევე დადგინდა, რომ სავალდებულო გახდებოდა თბილისის ყველა არაქართულ სკოლაში სახელმწიფო ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება.⁶

ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების და სწავლების გაქართულების შესახებ აქტიური დისკუსია მიმდინარეობდა პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებში. დისკუსიის მონაწილეთათვის სწავლა-განათლების გაეროვნულება ეროვნული იდენტობის გამოკვეთის და სახელმწიფოს არსებობის გარანტიად იყო მიჩნეული, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა მხოლოდ კულტურული თვისება არაა და ის ქვეყნის ეგზისტენციალიზმის, მისი პოლიტიკური არსებობის განმსაზღვრელია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი პეტრე სურგულაძე ჯერ კიდევ 1905 წელს გამოქვეყნებულ მცირე ზომის ნაშრომში „ეროვნული ენა“ მშობლიური ენის მნიშვნელობას სწორედ სახელმწიფოებრიობის, ერი-სახელმწიფოს კონცეფციის რანგში განიხილავს.⁷ წერილში ავტორი გვთავაზობს ენების განვითარების ევოლუციონისტურ ხედვას კაცობრიობის ისტორიაში. აფასებს მას, როგორც ხანგრძლივი კოლექტიური შრომის შედეგს და სვამს კითხვას, რა მნიშვნელობა აქვს სამშობლო ენას ერის კულტურულ ცხოვრებაში? ავტორი იმონებს სხვადასხვა ევროპულ მეცნიერებს, მათ შორის დარვინსაც და ცდილობს, ენის განვითარების მეტაფიზიკურ და თეოლოგიურ ასპექტებსაც შეეხოს. თუმცა, ჩვენთვის საინტერესოა ის ნაწილი, სადაც პეტრე სურგულაძე საუბრობს მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის. საგულისხმოა, რომ ეს მსჯელობა არაფრით ჩამოუვარდება ნაციონალიზმის თეორიების თანამედროვე ავტორების შეხედულებებსა თუ მტკიცებულებებს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და 1905 წელს პეტრე სურგულაძე უკვე გვთავაზობს ცოდნასა თუ ტიპურ ხედვას მოდერნული ერების ჩამოყალიბების შესახებ. ავტორი სვამს კითხვას ენის კულტურული მნიშვნელობისა და ერის ცნების განსაზღვრის შესახებ და აღნიშნავს, რომ ენა არის ის კულტურული ძაფი, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან თაობებს და მუდმივად გადასცემს მათ

² სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N18, ფ. 97.

³ სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N118, ფ.1 04.

⁴ სცსსა, ფონდი N 1935, ანაწერი N1, საქმე N153, ფ. 4.

⁵ სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N47, ფ. 10.

⁶ სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N11, ფ. 1.ფ. 5.

⁷ სურგულაძე, პეტრე. ეროვნული ენა, ტფილისი: ამხ. „ცისკრის“ გამოცემა, N2, 1905.

წინა თაობების შესახებ ცოდნას. აქედან გამომდინარე, ენა არის ის მტკიცე მექანიზმი, რომელიც ერთობის ყველაზე ძლიერი განმსაზღვრელია. ენით განმტკიცებული ერთობა თავის არსს ერში/ნაციიაში ჰპოვებს. რა არის ერი? ერი არ არის მხოლოდ ანთროპოლოგიური ერთობა, რადგანაც არც ერთი ერის შემადგენლობა არაა მონოლითური. არც სახელმწიფოებრივი ერთობაა, რადგანაც არც ერთი სახელმწიფო არ წარმოადგენს ეროვნულ ერთობას მისი არამონოლითურობის გამო. მაშასადამე, ერი არის ისტორიული შემეცნების ფენომენი, რომლის საფუძვლებიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ პერიოდში უნდა ვეძიოთ. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ისეთი მეცნიერებების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანამ, როგორც არის ისტორია, ენათმეცნიერება, ხალხის ზნე-ჩვეულებების შესწავლა, სწავლა-განათლების კერების გაჩენამ და აზრის გადაცემის ისეთმა უნიკალურმა საშუალებამ, როგორც პრესაა, ხელი შეუწყო ერებში ისტორიული წარსულისა და კულტურული ელემენტების ერთად თავმოყრას, მათ ერთობას, შემდგომ კი ერების ნაციონალურ, ეროვნულ თვითგამორკვევას. ავტორის აზრით, ეს უკანასკნელი დაკავშირებულია კულტურულ თვითგამორკვევასთან. კულტურული ელემენტების უმთავრესი ნიშანი კი მშობლიური ენაა, რომელიც განამტკიცებს ერთობას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ერს პოლიტიკური ლეგიტიმაცია არ გააჩნია და მისი პოლიტიკური მდგრადობა სუსტია. მწერლობა, მითები, თქმულებები ერების თვითშეგნების ამაღლების საუკეთესო საშუალებაა. დემოკრატია კი თავისი არსით არეგულირებს ამ საშუალებების მიზნობრივ გამოყენებას: დემოკრატია ეროვნებებს/ერებს უფლებრივად ათანასწორებს. ამ გათანასწორების შედეგი კი ეროვნული ენის დამკვიდრებაა სკოლებში, ალზრდის დაწესებულებებში, ეკლესიასა თუ სასამართლო დარბაზებში. სკოლა, როგორც ორგანიზაცია, მოქცეულია საერთო კულტურულ ფარგლებში, რაც გულისხმობს იმას, რომ სასკოლო ალზრდის საქმე იდეოლოგიურად სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და პოლიტიკაა. სამშობლო ენა სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარი ღერძია. საბოლოო ჯამში, მშობლიურ ენაზე დაფუძნებული განათლება აძლიერებს ეროვნულ ერთობას და ამ ერთობის წევრებს შორის სოლიდარობის განცდას. რაც უფრო მეტად არის ერი კულტურულად განვითარებული, მით უფრო იზრდება ამ ერისათვის მშობლიური ენის მნიშვნელობა და ზოგჯერ მისი მნიშვნელობა გადამწყვეტიც კი ხდება ერის ისტორიაში.

1905 წელს, როდესაც ეს წერილი დაიწერა, საქართველოს პოლიტიკური მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, მაგრამ წერილიდან ჩანს, რომ ავტორს უკვე მკაფიოდ ჰქონდა განსაზღვრული ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი შემდეგი მიმართულებები: მშობლიური ენის როლი, განათლების მნიშვნელობა, ისტორიული მესხიერების ფორმირება, მოთხოვნა ავტონომიაზე და თვითმმართველობის უფლებები. თუმცა, მე-20 საუკუნის დასაწყისი ქართულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტას სხვა გამოწვევების წინაშე აყენებს დამსგავსებულ ინტელექტუალურ ნააზრევი ერთგვარად შემამზადებელ პროექტს ჰგავს კულტურულიდან პოლიტიკურ თვითგამორკვევის ეტაპზე გადასვლისათვის. მაშინდელმა მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ კულტურული ასპექტების განსაზღვრა დაკავშირებულია მომავლის პოლიტიკურ ხედვასთან. შესაბამისად, ეს პროცესი თანდათან მნიშვნელოვანდება და 1918 წელს დეკლარირებული პოლიტიკური ფორმით ვლინდება კიდევ ქვეყნის ცხოვრებაში. პეტრე სურგულაძის ამ მცირე ზომის მონოგრაფიაში ვკითხულობთ ქვეყნის მოწყობის პერსპექტივებს, სადაც ზოგადი მსჯელობის საფუძველზე ავტორი ასაბუთებს ერი-სახელმწიფოს არსებობის მნიშვნელობას და მისი კულტურული ასპექტებით ლეგიტიმაციის ფაქტსაც.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან წერილს შევხებით, რომელიც პეტრე სურგულაძემ 1918 წელს დაწერა. წერილში „საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“⁸ ავტორი კვლავ მნიშვნელოვან დროს უთმობს სახელმწიფოს მოწყობის საკითხს. მას განიხილავს, როგორც

⁸ სურგულაძე, პეტრე. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტამბოლი: კათოლიკე ქართველთა საზნის სტ., N21, 1918.

განსაზღვრულ ტერიტორიაზე იურიდიულად დამონშებულ სუვერენულ ერთობას, რომელიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას პოლიტიკურთან ერთად, კულტურის, მშობლიური ენის, სამშობლოს ისტორიის გააზრებით ახდენს: „უკვე რამოდენიმე ათასი წელიწადია, რაც ქართველი ერი ბინადრობს დღევანდელ მის ტერიტორიაზე. ესაა მისი ისტორიული აკვანი, რომლის ყოველი კუნჭული მოაგონებს მას წარსულ დიდებას, უბედურობას თუ ბედნიერებას. ისაა საფუძველი, სადაც მან გაშალა თავის პოლიტიკურ და კულტურული შემოქმედების ფრთა და სადაც ის ჰპოულობს თავისი მოსალოდნელი განვითარების შესაძლებლობას“.⁹ ავტორი უკვე მიაჩნებს იმ გარემოებაზე, რომ ერი/ნაციას საკუთარი იდენტობის განსაზღვრა ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის მიხედვით მოუწევს. საკუთარი კულტურული იდენტობის განცდა აწი პოლიტიკურ ერთობაში უნდა გარდაქმნას. შესაბამისად, აღნიშნავს, რომ „ეროვნული სახელმწიფო ეროვნულ სწავლა-აღზრდას მოგვცემს. ბევრს შეიძლება ეროვნული სწავლა-აღზრდა მხოლოდ ისე ესმოდეს, როგორც სამშობლო ენის დამყარება სკოლაში. თავისთავად ცხადია, დედაენაზე სწავლა- განათლება მოგვანიჭებს ჩვენი სახელმწიფოს მოპოვებას და არამცთუ სკოლაში, ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებაში საქართველოში ქართული ენა მოიპოვებს თავის ბუნებრივ ადგილს. შედეგად მივიღებთ საოცარ განვითარებას, გამდიდრებას და ამაღლებას“.¹⁰ მისი ღრმა რწმენით, დემოკრატიული პრინციპით მოწყობილი სახელმწიფო შექმნიდა ისეთ სწავლა-განათლების სისტემას, სადაც მშობლიურ ენას გადამწყვეტი როლი მიენიჭებოდა.

ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა და ნაციონალიზაციის პროცესის დაწყების შემდეგაც არ შემწყდარა ენის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. სახელმწიფო ენა განისაზღვრა კონსტიტუციურადაც. საკონსტიტუციო კომისიის თავჯდომარე პავლე საყვარელიძე, საქართველოს კონსტიტუციისათვის მიძღვნილ სტატიათა ციკლში, ერთ მთლიან თავს უძღვნის სახელმწიფო ენის მნიშვნელობის განსაზღვრას ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური მოწყობისათვის. ავტორი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კოლექტიურ და პოლიტიკურ ერთობას, რომლის გამართული ფუნქციონირება სახელმწიფო ენის არსებობის გარეშე წარმოუდგენელია. სახელმწიფო ენა სახელმწიფო აპარატის ლეგიტიმურობის გამოხატულებაა და მისი სააზროვნო, საკანონმდებლო, სამოქმედო ასპარეზი. ასევე, სახელმწიფოებრიობასა და ხალხს შორის ურთიერთკავშირის განმაპირობებელი, რომელიც ამგვარად ფორმულირდება: „ერთი ერი, ერთი სახელმწიფო – ერთი ენა.“¹¹

ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ერი/ნაცია და სახელმწიფო ერთ სიბრტყეში განთავსებული განზომილებებია, რომელთა მაკავშირებელი დასაერთო კულტურული განსაზღვრელი მშობლიური ენაა. ამ ფორმულის მართებულობას ავტორი ისტორიული სინამდვილით ხსნის: 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მრავალეროვანი იმპერიის ნანგრევებზე წარმოიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ თავიანთ სააზროვნო ასპარეზს მშობლიური ენის სახით. ავტორისათვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სწორედ სოციალისტური მიდგომა აღმოჩნდა ყველაზე ახლოს იმ ისტორიულ სინამდვილესთან, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს უპირატესობას აღიარებს კულტურის, სოციალიზმისა და დემოკრატიულობის პრინციპებიდან გამომდინარე. პავლე საყვარელიძე იმონშებს კარლ კაუცკის მოსაზრებას ამგვარ სახელმწიფოში სახელმწიფო ენის როლის შესახებ, რომელიც გამტარია სახელმწიფო პოლიტიკის – „ენა არის ორგანო ყოველი საზოგადოებრივი მოღვაწეობის და პოლიტიკის“.¹² ამგვარად ასაბუთებს ავტორი სახელმწიფო ენის მნიშვნელობას ისეთი დემოკრატიული ქვეყნის განვითარებისათვის, როგორც ახლად შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო.

⁹ იქვე, გვ. 8.

¹⁰ იქვე, გვ. 12-13.

¹¹ საყვარელიძე, პავლე. „საქართველოს კონსტიტუციისთვის,“ საქართველოს რესპუბლიკა, 1920, N52, გვ. 2; N55, გვ. 2.

¹² იქვე, გვ.2.

სწავლების ქართულ ენაზე მოწყობას და სასწავლო დაწესებულებების გაქართულებას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელი ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. სწორედ ამგვარი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობს ავტორი ა. ნატროშვილი სტატიაში „სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში“.¹³ ავტორი სკოლის ნაციონალიზაციის საკითხს განიხილვას პოლიტიკურ ჭრილში: ისეთი სახელმწიფო ინსტიტუციების ნაციონალიზაცია, როგორებიცაა სასამართლო, საზოგადოებრივი დაწესებულებები და საგანმანათლებლო კერები – ქვეყნის დამოუკიდებლობის პირდაპირი შედეგია. როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ნაციონალიზაციის საკითხს, განსაკუთრებით კი თუ საქმე სკოლებს ეხებოდა. სკეპტიკოსები თვლიდნენ, რომ არასაკმარისი ადამიანური თუ მატერიალური რესურსების პირობებში ეს პროცესი შედეგს ვერ გამოიღებდა: არ არსებობდა სახელმძღვანელოები, არ არსებობდა შესაფერისი ტერმინოლოგია, არც მასწავლებლები გამოირჩეოდნენ ქართული ენის შესაბამისი ცოდნით. თუმცა, ავტორი მიიჩნევს, რომ ბრძოლა სამშობლო ენის უფლებისათვის დასრულდა და ახლა თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმის დრო დადგა: „ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ჩვენ უთუოდ ვიხილავთ ნამდვილ გაეროვნებულს სკოლას, სადაც ქართულ ცხოვრებისათვის მომზადებული მოქალაქენი გამოგვეზრდებიან“.¹⁴

ავტორის რწმენით, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს იდეოლოგიის წარმართვა დაკავშირებული იყო სწავლების ნაციონალიზაციასთან, მითუფრო იმ ისტორიული საგანმანათლებლო ტრადიციის გათვალისწინებით, რომელსაც საქართველო ფლობდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრებამდე. მას გამოეცალა ეროვნული ნიადაგი და ქართული ენის სკოლიდან განდევნამ კი მისი სააზროვნო არეალის შეზღუდვა გამოიწვია. ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლითაც ქართველის იდენტობა, მისი „მე“ უნდა ჩამოყალიბებულიყო, ქართული ენის, როგორც სააზროვნო სივრცის, მოსპობით სრულიად გაქრა.

საინტერესოა ის მიმართება, თუ როგორ განსაზღვრავს ავტორი სკოლის ნაციონალიზაციას, რა კრიტერიუმებს უქვემდებარებს მას. ამისათვის ავტორი გვთავაზობს სამშობლოს, ეროვნების, ერის ცნების გააზრებას არამხოლოდ ანთროპოლოგიური, არამედ სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური თეორიების ჭრილში. ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა მოაზროვნის, მათ შორის რენანის ციტატებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოდერნული ერების წარმოშობის პირობებს მე-18 საუკუნის ბოლოდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. მათ საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამშობლოს, ერის/ნაციის, ეროვნების გააზრება დაკავშირებულია კულტურულ ფენომენებთან, განსაკუთრებით კი ენასთან, რომელიც აკავშირებს ერთ ტერიტორიაზე დასახლებულ ადამიანთა ჯგუფებს შორის სოლიდარობის განცდას: „დიდი გავლენა აქვს ამ საქმეში მხოლოდ ენას. ერთი-ერთის შესმენა-გაგება, – აი არსებითი პირობა კრების დაახლოვებისათვის. სხვა და სხვა ენა აზრს მოლაპარაკე ინდივიდუმთა შორის სოლიდარობის დამკვიდრება შეუძლებელია“.¹⁵ სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს ავტორიც სკოლის ნაციონალიზაციის საკითხს, სადაც წამყვანი როლი მშობლიურ ენას უკავია. ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, ხელოვნება, საქართველოს გეოგრაფია არის ის საგნები, რომლებიც უნდა დაექვემდებარონ სკოლის ნაციონალიზაციის პოლიტიკას და წარმართონ ეროვნულ-პედაგოგიურ საფუძვლებზე. ამგვარად, ა. ნატროშვილის სტატიაში ვხედავთ, რომ სწავლების ნაციონალიზაცია და ქართული ენის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აყვანა, პირველ რიგში, უსვამდა ხაზს ქვეყნის პოლიტიკურ სტატუსს, მის დამოუკიდებლობას, ასევე, მის ტრადიციულ, კულტურულ სივრცეში დაბრუნების მნიშვნელობას.

ქართულ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლებას რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას ადასტურებს თბილისის მე-2 ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა წერილი, რომლის ორიგინალის

¹³ ნატროშვილი, ა. „სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში“, საქართველო, 1918, N157, გვ.2; N163, N165, N169, N179, N184.

¹⁴ იქვე.

¹⁵ ნატროშვილი, ა. „სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში“, საქართველო, 1918, N169, გვ. 2.

მოძიება შესაძლებელია სახალხო განათლების სამინისტროს საარქივო მასალებში. წერილიდან ირკვევა, რომ 1918 წელს გიმნაზიის პირველი ოთხი კლასის გაეროვნულება მოხდა. მოსწავლეები იზიარებდნენ იმ მოსაზრებას, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ყველა მაცხოვრებელს ევალებოდა მშობლიური ენის ზედმინევით ცოდნა, განსაკუთრებით კი ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას. რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ სკოლებში მოსწავლეები მოკლებულნი იყვნენ ქართული ენის შესწავლის ფუფუნებას. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ საშუალება მისცა სახელმწიფო აპარატებს, სწრაფად გაეტარებინათ სხვადასხვა რეფორმა, მათ შორის ქართული ენის რეფორმაც და მოსწავლეები თავს ვალდებულად თვლიდნენ, თავადაც დახმარებოდნენ სახელმწიფოს რეფორმის გატარების პროცესში. კერძოდ კი, მოითხოვდნენ დამატებით გაკვეთილებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე საქართველოს ისტორიაშიც. მათი არგუმენტი მდგომარეობდა შემდეგში: „ქართველ ახალგაზრდობას სჭირია ზემინევით ქართული ენის ცოდნა, რომელიც გამოიხატება არა მარტო ქართული წერა-კითხვის შესწავლაში, არამედ ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და მის კანონმდებლობის ცოდნის და შესწავლისაგან“.¹⁶ ამგვარად მოსწავლეები ავლენდნენ იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც ისინი გრძნობენ მშობლიური ენის მიმართ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამოხატვით.

სამშობლო ენის მნიშვნელობის გააზრების აუცილებლობაზე მიუთითებს არა ერთი წერილი, რომელიც იგზავნებოდა სახალხო განათლების სამინისტროს სახელზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს გაგზავნილი წერილი მარტვილის საშუალო სკოლიდან ავქსენტი ფარულავას ავტორობით. წერილი წარმოადგენს ქართული ენის სწავლების მოკლე ანგარიშს მარტვილის უმაღლეს დანყებით სასწავლებლებში.¹⁷ ავტორი ფართო სპექტრით მიმოიხილავს ახალი დროებით გამოწვეულ შესაძლებლობებს, რომლებმაც ქვეყნის გონებრივი და მატერიალური პროგრესი უნდა გამოიწვიონ. ამ პროგრესის უზრუნველყოფა კი მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულ ახალ ქართულ სკოლას შეუძლია. სხვა სტატიების ავტორთა მსგავსად, ავქსენტი ფარულავაც საუბრობს ძველი დროის სასკოლო სისტემის დამანგრეველ როლზე ქართული ცნობიერების განვითარების პროცესში. დღეს კი განათლება თავისუფალი ხალხის ხელშია, რომლის განვითარების უმთავრეს ძალას მშობლიური ენა წარმოადგენს. ავტორისათვის „სამშობლო ენა“ არის ის ენა, „ურომლისოდაც საკაცობრიო იდეალებში ვერც ერთი პიროვნება, ვერც ერთი ინდივიდუუმი თავის წვლილს ვერ შეიტანს“.¹⁸

ავტორი ქართული ენის განვითარების ეტაპებს მიმოიხილავს და მიაჩნია, რომ მე-18 საუკუნეში ქართული ენის ოქროს ხანის შემდეგ აღმავლობის ხანა მხოლოდ ახლა დაუდგა ქართულ ენას, როდესაც მას შეუძლია იქცეს განათლებული მასების ენად, ხალხის ენად. წერილიდან ვიგებთ, რომ ქართული ენის სწავლება მარტვილის სკოლაში მეტ ყურადღებას საჭიროებს. მოსწავლეები კი სწავლობდნენ ლიტერატურას, სიტყვიერების თეორიას, გრამატიკას, ეტიმოლოგიას და სინტაქსს, მაგრამ იმისათვის, რომ მშობლიური ენა მათთვის სააზროვნო სივრცედ ქცეულიყო, საჭირო იყო ქართული ენის და ლიტერატურის ისტორიული და ლიტერატურათმცოდნეობითი პერპექტივიდან დანახვა. ცხადია, ამ მეთოდს ის ახსნა ექნებოდა, რომ თითოეული ნაწარმოები შექმნილია კონკრეტული ისტორიული გარემოს კონტექსტში. როგორც ცნობილია, ლიტერატურა არის ის დარგი, რომელიც აყალიბებს მოსწავლის/ადამიანის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცნობიერებასა თუ პასუხისმგებლობას. ამის შესახებ უნყოდა წერილის ავტორმა და ლოგიკურია, რომ დემოკრატიული ქვეყნის მომავალი ამგვარი აღზრდის პრინციპზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. მასში კი ქართულ ენას, როგორც სააზროვნო სივრცის შემომსაზღვრელს, ნამყვანი როლი ეკისრებოდა.

ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება და მისი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება აისახა სასწავლო სახელმძღვანელოების ქართულად გამოცემის აუცილებლობაშიც.

¹⁶ სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N211, ფ. 32-33.

¹⁷ სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N244, ფ.1-3.

¹⁸ იქვე.

საარქივო მასალების დახმარებით შესაძლებელია, შევიქმნათ წარმოდგენა ეროვნული სასკოლო პროგრამების შესახებ სხვადასხვა საგნისათვის 1918-1921 წლებში. სკოლების ეროვნულ ნიადაგზე გარდაქმნა თავისთავად ეროვნული საგანმანათლებლო გეგმის მიხედვით შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოების აუცილებლობას მოითხოვდა. 1919 წელს განათლების სამინისტროში გაკეთდა მოხსენება, საიდანაც ვიგებთ, რომ რესპუბლიკის სკოლების გაეროვნულება და მისმა რეორგანიზაციამ მრავალი საჭირობოროტო საკითხი გამოკვეთა. ერთ-ერთი მათგანი სახელმძღვანელოებისა და საკითხავი წიგნების სახელმწიფო ქართულ ენაზე გამოცემა იყო. ამ დროისათვის უკვე არსებობდა მრავალი ნათარგმნი თუ ორიგინალური სახელმძღვანელო, მაგრამ ისინი მოკლებულნი იყვნენ სამეცნიერო ღირებულებას. ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სამინისტრომ შექმნა რამდენიმე სარეცენზიო კომისია, რომლებიც საგნების მიხედვით იყო განაწილებული. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კომისიებმა ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ამიტომაც სამინისტროს მიმართავდნენ შუამდგომლობით, დაეარსებინათ მუდმივმოქმედი კომისია, იგივე სასწავლო კომიტეტი სახელმძღვანელოების შედგენისა და რეცენზირების თვალსაზრისით.¹⁹

სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ის განიხილებოდა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მონაპოვარი საუკუნოვანი მონობიდან განთავისუფლების შემდეგ. ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნას და მათი ეროვნული თემატიკით აღჭურვას კულტურულთან ერთად, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. კულტურის ეროვნულ ნიადაგზე წარმართვა თავისი მნიშვნელობით უტოლდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობაში სხვა ქვეყნის მხრიდან ჩაურევლობას. შესაბამისად, მას პოლიტიკური დატვირთვა ეძლეოდა. ამ მოსაზრებას ამყარებენ ის ავტორები და პედაგოგები, რომლებიც თავიანთ სტატიებს ქართული სახელმძღვანელოების გამოცემას ინტენსიურად უძღვნიან. მაგალითად, ლუარსაბ ბოცვაძე 1919 წელს ჟურნალში „განათლება“ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს, რომ თითოეული სახელმძღვანელოს შექმნა ეფუძნება საერთო ეროვნულ მიზანსა და პრინციპებს.²⁰

საარქივო მასალებში გვხვდება სასკოლო პროგრამების ნიმუშები სხვადასხვა საგნისათვის. სტატიაში მაგალითისთვის მიმოვიხილავთ ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთ პროგრამას პედაგოგ მიხეილ აბრამიშვილის ავტორობით. მან ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის სხვადასხვა კლასებისათვის ქართული სიტყვიერების პროგრამა შეადგინა და განმარტებითი ბარათიც დაურთო.

ავტორის აზრით, ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლება ახალ, ეროვნულ ნიადაგზე უნდა წარმართულიყო. ავტორი ქართული სიტყვიერების გარდაქმნის საუკეთესო პირობებს საქართველოს პოლიტიკურ ფორმირებაში ხედავს. მისი აზრით, სწორედ ეს ფორმირება უბიძგებდა ქართულ სიტყვიერებას, ორგვარი გარდაქმნა განეცადა: ქართულ გიმნაზიებში მკვიდრ ნიადაგზე დამკვიდრებულიყო მისი სწავლება და ქართული სიტყვიერების სწავლების სწორად წარმართვა თანამედროვე მეცნიერული საფუძვლებით მომხდარიყო. ქართული სიტყვიერების სწორი სწავლება მოითხოვდა მოსწავლის კულტურულ სივრცესთან ინტეგრირებას. ავტორი ასაბუთებს ქართული სამეცნიერო სიტყვიერების მნიშვნელობას მოსწავლეებში ქართულად აზროვნების განვითარებისათვის და მისი სწავლების უფლებამოსილებას მხოლოდ ქართული ენის კარგ მცოდნეებს ანიჭებს. შემდგომ მსჯელობაში ავტორი მიმოიხილავს სიტყვიერების სწავლების მეთოდებს და გამოჰყოფს კაზმული სიტყვიერების სპეციფიკურ მნიშვნელობას – კითხვის პროცესს. აქ ავტორი მეთოდოლოგიურ პრინციპებთან ერთად გვთავაზობს ლიტერატურათმცოდნეობით პერსპექტივას მხატვრული ტექსტის საუკეთესოდ გააზრებისათვის: კაზმულ სიტყვიერებას მაშინ აქვს მოზარდისთვის განმავითარებელი მნიშვნელობა, როდესაც ის ცხოვრებისეული რეალობით არის გაჯერებული, რადგანაც მხატვრულ ტექსტში ისტორიული გმირები გვანტერესებს არა როგორც

¹⁹ საქართველოს რესპუბლიკა, 1919, N272, გვ. 2.

²⁰ ბოცვაძე, ლუარსაბ. „სახალხო სკოლის პროგრამის ზოგადი ახსნა-განმარტება“, განათლება, 1919, N1, გვ. 45-54.

ისტორიული ჭეშმარიტება, არამედ როგორც ავტორის ინტერპრეტაცია და მისი შესაბამისობა პოლიტიკურ რეალობასთან, რეალურ ყოფასთან. მიხეილ აბრამიშვილი გვთავაზობს მე-2 კლასიდან მე-8 კლასის ჩათვლით ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამას, რომლის მიმოხილვისას ყურადღებას იქცევს ავტორის არა მხოლოდ პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური ხედვა, არამედ დასაბუთება იმ მიზანმიმართული საგანმანათლებლო პოლიტიკისა, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიზნებს შეესაბამებოდა.²¹

XIX საუკუნის 60-იანი წლები გამორჩეულია საქართველოში კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური გარემოს ტრანსფორმაციით, რაც გრძელდება XX საუკუნის დასაწყისში და შემდგომ პერიოდშიც. თერგდალეულების მიერ ეროვნული მოტივების გააქტიურებასთან ერთად, დღის წესრიგში, სოციალური თემატიკაც დგება. ეს განსაკუთრებულ ასახვას ქართულ პრესასა და ლიტერატურაში ჰპოვებს. წოდებათა შორის დამოკიდებულებების გამოხატვა ქართული ლიტერატურის მთავარ მოტივად იქცა. შესაბამისად, მიხეილ აბრამიშვილი ქართული ლიტერატურის შესწავლისთვის სწორედ ამ მოტივებზე ამახვილებს ყურადღებას. მე-5 და მე-6 კლასებისათვის დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხესთან“ ერთად, მოსწავლეებს სთავაზობს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს: „კაკო ყაჩაღი“ არსენას ლექსთან შესადარებლად; „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?“, „აჩრდილი“. ასევე, ლავრენტი არდაზიანის „ისააკ მეჯღანუაშვილი“, რაფიელ ერისთავის „ბერუას ჩაფიქრება“, „სესიას ფიქრები“, „დედაბრის მოთქმა“, დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“, „სოლომონ მორბელაძე“, შიო არაგვისპირელის „ჩემი ბრალი არ არის ღმერთო“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ და ა.შ., გრიგოლ ორბელიანის „განთიადი“, „სალამო მთაში“, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, ალექსანდრე ყაზბეგის „მოდღვარი“, „მამის მკვლელი“ და ა.შ.²²

პოლიტიკურმა და ისტორიულმა მოვლენებმა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ განვითარდა ევროპის ტერიტორიაზე, თავისებური ასახვა ჰპოვა რუსეთის გუბერნიის შემადგენლობაში მყოფ ქართულ კულტურულ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ყოფაზეც. დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია ფაქტი იმის შესახებ, რომ ქართული რომანტიზმის სახელით ცნობილი პერიოდი განმსაზღვრელი და ერთგვარად გარდამავალი პერიოდი აღმოჩნდა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული ქართული კულტურული ნაციონალიზმის ფორმირებისათვის. ქართული რომანტიზმი იქცა ერთგვარ პოლიტიკურ აქტად, რომლის განმაპირობებელი ფაქტორი 1832 წლის შეთქმულების ჩაშლით გამოწვეული პესიზმი იყო. 1832 წლის შეთქმულების მარცხი იყო მთავარი მიზეზი მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ისტორიისა. მას თან მოჰყვა ადამიანთან ცნობიერების, წარმოდგენების, განწყობილებების უღრმესი გარდატეხა.²³ ამ განწყობებმა გამოძახილი ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში. როდესაც მიხეილ აბრამიშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამას გვთავაზობს, განიხილავს ქართულ რომანტიზმად წოდებულ პერიოდს პოლიტიკური პერსპექტივიდან და ქართულ რომანტიზმს „პოლიტიკურ რომანტიზმს“ უწოდებს. სწორედ პოლიტიკური რომანტიზმის გადასახედიდან სთავაზობს ის მოსწავლეებს, მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის განხილვის დროს ეძიონ ქართული რომანტიზმის კავშირები ევროპულთან. ევროპაში ზოგადევროპული რომანტიზმის მოძრაობა მკაფიოდ დაუპირისპირდა განმანათლებლობას და გარდა ინტელექტუალური სფეროებისა, მან მოიცვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზროვნებაც, რამაც საბოლოო შედეგად ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინება და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა გამოიღო ევროპის ტერიტორიაზე. ევროპულ რომანტიზმთან იდეურ კავშირებზე მიაწინებს მიხეილ აბრამიშვილი, როდესაც ქართველ რომანტიკოსებზე საუბრობს,

²¹ სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N644, ფ. 41-44.

²² სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N644, ფ. 42-43.

²³ ასათიანი, გურამ. სათავეებთან, ტომი 2, გვ. 151, თბილისი: ნეოსტუდია.

მათ შორის კი ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომლის რომანტიზმიც ეროვნული ხასიათისაა და პოემა „ბედი ქართლისა“ ყურადღებას იპყრობს მასში დასმული ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის გამო. პოემა არის სასკოლო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი საპროგრამო ნაწილი და ცხადია, ის მხოლოდ ლიტერატურული ღირებულების გამო არ იკავებს ცენტრალურ ადგილს. ქართველ ავტორებთან ერთად, მ. აბრამიშვილი პარალელს ავლებს ევროპელ მწერლებთან და პოეტებთან მათთან იდეური ურთიერთკავშირის დადგენის მიზნით. მაგალითად, ბარათაშვილთან ერთად ის განიხილავს ბაირონის შემოქმედებას. ვახტანგ ორბელიანთან ერთად, მოსწავლეებმა უნდა განიხილონ ადამ მიცკევიჩის შემოქმედებაც და ეძიონ ურთიერთკავშირები და პარალელები ამ ორ ავტორს შორის. ეს პარალელები მხოლოდ ესთეტიკური პრობლემატიკის გარშემო არ ტრიალებს. მასში მოსწავლეებს საერთო ეროვნული მოტივები უნდა მოეძებნათ.

ქართული რომანტიზმის ეპოქიდან მიხეილ აბრამიშვილი გადადის ქართული რეალიზმის მთავარ წარმომადგენელზე გიორგი ერისთავზე, რომლის შემოქმედებაშიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვიდრდება რეალისტური მოტივები. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში აქტიურად იბეჭდება ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი და რედაქტორიც გიორგი ერისთავია. ის აღმავლობის ხანა, რომლითაც ხასიათდება მე-19 საუკუნის ქართული ბეჭდური მედია, სწორედაც გიორგი ერისთავის სახელთან არის დაკავშირებული. მის სახელს უკავშირდება ასევე ქართული თეატრის განვითარებაც. ეს არის პერიოდი, როდესაც თანდათანობით იწყება საკუთარი თავის ძიება და ნაციონალური თვითგამორკვევისაკენ სწრაფვა, რასაც მოსდევს კულტურული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების მკაფიო ეტაპი თერგდალეულების თაოსნობით. სწორედ ამგვარ მკაფიო ხაზმგასმას აკეთებს მიხეილ აბრამიშვილი სასკოლო პროგრამის მიმოხილვისას და ილია ქავჭავაძის შემოქმედების იდეური ანალიზის წვდომას სთხოვს მოსწავლეებს, როდესაც პროგრამაში ილიას მოღვაწეობას თანმიმდევრულად მიჰყვება: 60-იანი წლები საქართველოში მამათა და შვილთა ბრძოლა, ძველი საქართველოსა და მომავლის ურთიერთკავშირის ძიება, წოდებათა შორის დამოკიდებულების გარკვევა ილიას შემოქმედებაში, მოძრობისა და მოქმედების აპოლოგია, 90 –იანი წლები და ილია, ილია, როგორც XIX საუკუნის ქართული ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელი.²⁴

ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემის შესახებ გამოქვეყნებულ მრავალ საგაზეთო სტატიასა თუ საარქივო მასალაში ხაზგასმულია, რომ სახელმძღვანელოს უპირველესი დანიშნულება თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებაა. პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად, მათში ნათლად ჩანს ადამიანის ცნობიერად რეკონსტრუირების იდეა, რომლის მიხედვითაც ახალი დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქის ერთგვარი მოდელი უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამ პროცესში ქართულ ენას, მის ინსტიტუციონალიზაციას გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა.

ამგვარად, დასკვნის სახით ვიტყვით, რომ თვალსაჩინოა განსხვავება XIX საუკუნეში თერგდალეულების მიერ გატარებულ ქართული ენის რეფორმასა და დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას შორის: XIX საუკუნეში პოლიტიკური თვითმოქმედების უქონლობამ ენის, როგორც კულტურული მარკერის გამოკვეთა დასაბა მიზნად. ამ პროცესის მნიშვნელობამ შედეგი 1918-1921 წლებში გამოიღო, რომელიც ქართული ენის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებით გამოიხატა. ერთი მხრივ, ეს ერთგვარი განმტკიცებაა პოლიტიკური დამოუკიდებლობის და სახელმწიფო აპარატების ლეგიტიმაციისა მისთვის დანესებულ საზღვრებში, ასევე, დადასტურება იმ ფაქტის, რომ თერგდალეულების მიერ დაწყებული კულტურული ნაციონალიზმი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდშიც გრძელდება და ამასთანავე, კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის ეტაპად ფორმირდება. ერის კულტურული თვითიდენტიფიცირებისას, როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციური ფრთის მოსაზრება შემდეგ მარკერებს – ქართული ენის, საქართველოს ისტორიის შესწავლის და ეროვნული კულტურის

²⁴ სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ. 43ა.

განვითარების საკითხებს ეფუძნება. თუმცა, დგინდება, რომ კულტურულთან ერთად, მშობლიური ენა ქვეყნის პოლიტიკური ლეგიტიმაციის ნიშანიც არის. ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, ნაციონალიზაციის პროცესი, მისი ინსტიტუციონალიზაცია და კონსტიტუციურად განმტკიცება ადასტურებს მშობლიური ენის, მისი როგორც პოლიტიკური მნიშვნელობის ხაზგასმას ქვეყნის განვითარების ისტორიაში.

ლიტერატურა:

ასათიანი, გ. (2019). სათავეებთან. ტ. 2, თბილისი: ნეოსტუდია.

კიკნაძე, ზ. (2005). „ილიას მამული,“ საქართველო ათასწლეულის გზაგასაყარზე, თბილისი: არეტე.

სურგულაძე, პ. ეროვნული ენა (ტფილისი: „ცისკრის“ გამოცემა, N2, 1905).

სურგულაძე, პ. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო (სტამბოლი: ქართველთა ეროვნული კომიტეტის გამოცემა, N21, კათოლიკე ქართველთა საჯანის სტ. 1918).

წყაროები:

საარქივო მასალები:

- ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი N1935, ანაწერი N1.
სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N47, N153, N211, N244, N644.
- ბ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი N1836.
სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N18, N118, N153.

გაზეთები:

საქართველოს რესპუბლიკა, 1919, N272.
საქართველოს რესპუბლიკა, 1920, N52, N55.
საქართველო, 1919, N157, N165, N169, N179, N184.

ჟურნალი:

განათლება, 1919, N1.

გალის რაიონის ტოპონიმების მორფოლოგიური სტრუქტურა Morphological Structure of Toponyms of Gali District

მონიკა ხობელია

Monika Khobelia

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Sokhumi State University, Georgia

გალის რაიონი მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდინარეებს – ენგურსა და ერისწყალს შორის. ეს რაიონი ენობრივი თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა, რადგან აქ, განსაკუთრებით გალისა და ოჩამჩირის რაიონების მიჯნაზე, აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) მეზობლობამ შექმნა ერთგვარი ენობრივი და ეთნიკური გარდამავალი ზონა, რაც გამოიხატა ბუნებრივ ორენოვნებაში, ორმხრივ ლექსიკურ ნასესხობებსა და ჰიბრიდულ ტოპონიმებში. ჩვენი მოხსენების მიზანს წარმოადგენს გალის რაიონის ტოპონიმების მორფოლოგიური ანალიზი.

საკვლევ ზონაში დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებების, ანუ ოიკონიმთა უმრავლესობა ენობრივად მთლიანად ქართველურია: ნაწარმოებია ქართული სამნიგნობრო ენის, ან მეგრულის ძირ-ფუძეებისა და აფიქსების, ნაწილობრივ სვანური ლექსიკური ერთეულების გამოყენებით. ოიკონიმთა ძალიან მცირე ნაწილი აფხაზურენოვანია. აქვე არის რამდენიმე ჰიბრიდული, ანუ ორენოვანი, აფხაზურ-ქართველური ოიკონიმიც, რომლებიც მსაზღვრელ-საზღვრულის სახითაა წარმოდგენილი.

საკვლევ ზონაში ვხვდებით კომპოზიტად ქცეულ კუთვნილების გამომხატველ კომპოზიტურ, ორფუძიან მეგრულ ტოპონიმებს, რომლებიც წარმოდგენილია სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულის სახით და პირველი კომპონენტი გაფორმებულია ნათესაობითი ბრუნვის მეგრული -იმ/-შ სუფიქსით:

ბულიშინჯი – სოფელი აჩიგვარის თემში. ზედმინევით ნიშნავს „ბლის ხიდს“. ტოპონიმი გაკომპოზიტებული სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულია და აღნიშნავს როგორც კუთვნილებას, ასევე მასალას. ამასთან, ორივე შემადგენელი ფუძე ენობრივად მთლიანად მეგრულია.

თხინაშკარი – სოფელი რეფი-შეშელეთის თემში. ზედმინევით აღნიშნავს „თხილნარის კარს“, შდრ.: მეგრ. თხინა „თხილნარი“, ქართ.-მეგრ. კარი, რომელიც ამ შემთხვევაში თხილნარის მიდამოებს უნდა გულისხმობდეს.

ვეშკუდელი – სოფელი ოტობაის თემში. შდრ.: მეგრ. ვე „ველი“, ნათესაობითი ბრუნვის -შ სუფიქსი, მეგრ. კუდელი „კუდი; ბოლო“, ანუ „ველის კუდი, ველის ბოლო“. ეს ოიკონიმიც კომპოზიტად ქცეული მსაზღვრელ-საზღვრულია.

ამავე ტიპისაა კუთვნილების გამომხატველი კომპოზიტად ქცეული შესიტყვებები, ანუ სინტაგმები, რომელთა პირველ ფუძეებს დაკარგული აქვთ ბრუნვის -იმ// -შ ნიშანი.

ჭუბურხინჯი – სოფელი, დიდი თემი. უნდა ყოფილიყო **ჭუბურიში ხინჯი** „ნაბლის [ხის] ხიდი“. შდრ.: მეგრ. ჭუბური „ნაბლი“, ხინჯი „ხიდი“. ფუძის ცვეთის შედეგად პირველ კომპონენტს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი.

ფიცარღალი – სოფელი ზემო ბარლების თემში. ზედმინევით „ფიცრის ღელე“. ეს ტოპონიმიც კომპოზიტად ქცეული მსაზღვრელ-საზღვრულია. თავდაპირველი ვარიანტი უნდა ყოფილიყო **ფიცარიშ ღალი**.

ამავე ტიპის აფხაზური ტოპონიმებიდან საკვლევ რაიონში მხოლოდ ოიკონიმია წარმოდგენილი:

აჩიგვარა – დიდი სოფელი, თემი მდინარე ოქუმის მარცხენა ნაპირზე. სახელი ორნაწილიანია და ორივე კომპონენტი აფხაზურია: აჩიჯ „ცხენი“, აჯარა „ბაკი, საქონლისათვის შემოღობილი ადგილი“.

ტოპონიმის ზედმინვენითი თარგმანია „ცხენის ბაკი, ცხენის საზაფხულო სადგომი“. თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო **აჩგ აჯარა**, რომლის მდგენელ პირველ სიტყვაში თავკიდურა **ა- ხმოვანი სახელთა ზოგადი ფორმის პრეფიქსია, ხოლო მეორე ფუძის თავკიდურა ა- პრეფიქსს სხვა ფუნქცია ექნებოდა და დაეკისრებოდა ნივთის კატეგორიის მკუთვნელის, ამ შემთხვევაში ცხენის გამოსატყა.** კომპონენტთა შეერთების შედეგად ამოვარდა მეორე ფუძის **ა-** პრეფიქსი, ხოლო პირველი ფუძის ბოლოკიდურა ნეიტრალურმა ხმოვანმა მეგრულ წარმოთქმაში მოგვცა **ი** ხმოვანი.

მაშიკვარა – სოფელი მზიურის თემში. მომდინარეობს ორი სიტყვისაგან: **მაშ** – მამაკაცის პირსახელია, ხოლო **იკვარა** ნიშნავს „მის (მამაკაცის) ღელეს“. კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასის **ი-** თავსართის რედუცირება და ორი სიტყვის გაერთსიტყვიანება ტოპონიმიზაციის ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია აფხაზურ ენაში.

საკვლევ ზონაში ცალკე მოდელია **ატრიბუტული მსაზღვრელი + საზღვრული:**

ფართონოხორი – სოფელი საბერიოს თემში. ტოპონიმი მეგრული ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია, კომპოზიტად ქცეული, პირდაპირი წყობისა. ზედმინვენით აღნიშნავს „ფართო ნასახლარს“.

ფართოღალი – სოფელი ღუმურიშის თემში. ეს ტოპონიმიც კომპოზიტად ქცეული ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია, პირდაპირი წყობისა, აღნიშნავს „ფართო ღელეს“.

ამ მორფოლოგიური მოდელის სხვა ქვესახეობებს შემდეგი ტოპონიმები ექნინან:

დიხაზურგა (1952 წლამდე ეწოდებოდა დიდი ნიფური, რაც „დიდ ნიფელს“ ნიშნავს). შედგება მეგრული ფუძეებისაგან: **დიხა** „მინა“ და მეგრ. **ზურგ-ა** „ბორცვი ხელოვნური მაღალი ბორცვი, ზვინული; ზურგიანი“, ზედმინვენით „ზურგ-ბორცვი“, ანუ გრძლად და ამაღლებულად დაყრილი მინა. აქ საქმე გვაქვს **არსებითი + გაზედსართავებული არსებითი** ტიპის წარმოებასთან.

ნარჩე – სოფელი და თემის ცენტრი. მომდინარეობს **წყარი ჩე** „წყალი თეთრი“ სინტაგმისაგან. ესეც მეგრულ კომპოზიტად ქცეული ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია, პოსტპოზიციური წყობისა. ნარჩე ჰიდრონიმული მოდელი, მკვლევარ პაატა ცხადაიას მართებული შეფასებით, სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით საერთო-ქართველურია. იგი მეგრულია და წყალთეთრს ნიშნავს. მკვლევარი იმონებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დადასტურებულ ჰიდრონიმებს: წყალთეთრა, წყალშავა, წყალნითელა და ნარჩე-საც ამ ჰიდრონიმთა ჯგუფში განიხილავს (პაატა ცხადაია). აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომ სოფელს ნარჩა ეწოდა. (კეკელია, 2022, გვ. 296). ნარჩა აფხაზურად არ იხსნება და იგი ხელოვნური ფორმაა.

ჭყონხუმლა – სოფელი ჭებურხინჯის თემში. მისი ამოსავალი ფორმაა მეგრული **ჭყონი ხუმლა** „მუხა ხმელი“, ანუ კომპოზიტად ქცეული ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული, პოსტპოზიციური წყობისა.

ამავე ტიპის სახელია **ხუმუშქური**. მიღებულია ფონეტიკური ცვლილებების გზით **ხუმლა უშქური**-საგან „ხმელი ვაშლი“.

ბოლო სამი ოიკონიმი გამოირჩევა სიტყვათა თანმიმდევრობის არქაულობით, შდრ. ძველქართული წყობა: საზღვრული – მსაზღვრელი.

ჩხორთოლი – სოფელი, თემის ცენტრი. მეგრ. **ჩხორო** „ცხრა“ + მეგრ. **თოლი** „თვალი (ამ შემთხვევაში იგულისხმება წყაროს თვალი)“, ზედმინვენით „ცხრა თვალი“. კომპოზიტად ქცეული მსაზღვრელ-საზღვრული და ა.შ.

ამ მოდელს განეკუთვნება გალის რაიონის ერთადერთი აფხაზური ოიკონიმი **აკვარიქვა** (სოფელი რეფი-შეშელეთის თემში). შდრ.: აფხ. **აკარა** „ღელე“ და **აქქა** „შავი“, ზედმინვენით „ღელე შავი“. ეს ტოპონიმიც ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია, კომპოზიტად ქცეული. მიღებულია ასე: აფხაზ. **აკარა აქქა > აფხაზ. აკარექა > მეგრ. აკვარიქვა.**

მსაზღვრელად გამოიყენება ასევე ზმნიზებები: **ზემო** და **ქვემო**:

ზემო ბარლები და **ქვემო ბარლები** („ჟიმოლენი ბაღღეფი, თუდოლენი ბარღეფი“), რომელთა გამაერთიანებელი საერთო სახელია **ბარლები**. ადგილობრივი ვარიანტია **ბარღეფი**. **ბარღეფ-**ის ამოსავალი **ბარღი** აღნიშნავს „ადგილზე დაბანაკებას“.

ზემო ცხირი – სოფელი, თემის ცენტრი. ტოპონიმის მეორე ნაწილი აფხაზური არ არის, მეგრული უნდა იყოს, თუმცა ეს სიტყვა ლექსიკონებში არ ჩანს.

ღუმურიში – თემის ცენტრი გალის რაიონში, იგი სამ სოფელს აერთიანებს. ესენია: ზემო ღუმურიში, ქვემო ღუმურიში და ფართოლალი. სიტყვა ღუმურიშის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს, კერძოდ: აფხაზი ისტორიკოსი შ. ინალ-იფა ღუმურიშს (აფხაზ. ღუმრგშ) **-ში** დაბოლოების მქონე აფხაზურ ტოპონიმთა რიგში აერთიანებდა და მიიჩნევდა, რომ **-ში** დაბოლოება **-ფშ** ელემენტის ვარიანტი იყო. მკვლევარი იმონებდა 80 წლის ოქუმელი ალ. ზუხბას გადმოცემას, რომ გალის რაიონის სოფ. ღუმურიშს უწინ აფხაზები გუმრგფშ-ს ეძახდნენო. (კეკელია, 2022, გვ. 281). ბუნებრივია, მკვლევარს ამგვარი მსჯელობა-დასაბუთება სასურველის რეალობის წარმოსაჩენად სჭირდებოდა, რათა მისი აფხაზური წარმომავლობა ემტკიცებინა და ვერ გავიზიარებთ თუნდაც იმიტომ, რომ შ. ინალ-იფა აფხაზურად ვერ ხსნიდა ტოპონიმის პირველ ღუმრ სეგმენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ეტიმოლოგია ვერ დაადგინა.

ამ ტოპონიმს სვანურ სუბსტრატად მიიჩნევს მკვლევარი პაატა ცხადაია. მისი აზრით, ეს უძველესი ქართველური ტოპონიმია. სახელწოდება კი სვანურ ღუმირ // ღუმურ „ნაძვი“ სიტყვას უკავშირდება, **-იშ** კი ნათესაობითი ბრუნვის სვანურ-მეგრული სუფიქსია (ცხადაია, 2003, გვ.190). მსგავსი შინაარსისა და სტრუქტურის ტოპონიმებს ვხვდებით აგრეთვე ენგურს გამოღმა, ნალენჯიხის რაიონში, შდრ.: არკვან-იშ-ი – ოლორის კანიონი (ს. ფახულანი) (ცხადაია, 2004, გვ. 15), ბოგა-შ-ი – მთა-საძოვარი სოფელ მედანში, ტყე-ფერდოები სოფელ მუჟავაში (ცხადაია, 2004, გვ. 18), ბულ-იშ-ი – ტყე-ფერდოები ლეკუკეში (ს. ფახულანი) (ცხადაია, 2004, გვ. 20) და სხვა. ამასთან, მკვლევარს ამბაკო ჭკადუასაც თავის წიგნში „სვანური ტოპონიმია“ დასახელებული აქვს შემდეგი გეოგრაფიული სახელები: ბაბაშ ტყე (მესტია, ნაკი), მდ. ნაკრას მარცხენა კალთაზე (ჭკადუა და სხვანი, 2020, გვ. 23). ბალდიშ მთის სათიბები (ხელედი), ს. ხაჩეშისა და ჯუდარის მთის სათიბები ჩრდ-დასავლ. მდ. მანანაურის მარცხენა კალთაზე (ჭკადუა და სხვანი, 2020, გვ. 26), გოგიშა უბანი (ლენტეხი, სასაში, ჟახუნდერი), ონიანების საგვარეულო ერთ-ერთი თემი (ჭკადუა და სხვანი, 2020, გვ. 59), დაბიშ უბანი (ჩიხარეში), ერთ-ერთი საცხოვრებელი უბანია ჩიხარეში (ჭკადუა და სხვანი; 2020, გვ. 77), დადიამ საძოვარი მთა (ჩიხარეში და ჟახუნდერი), საზაფხულო საძოვარი ჟახუნდერსა და ჩუკულის (ჭკადუა და სხვანი, 2020, გვ. 78).

ჰიბრიდული, ქართულ-აფხაზურია სოფლის სახელი პატრახუნა. სახელწოდება დაიშლება ასე: ქართული **პატრა < პატარა**, აფხაზ. **ახ^გ** „ბორცვი“ და აფხაზ. **ანა** „ძირი, ფსკერი“. მთლიანად **ახ^განა** „ბორცვის ძირი“ გეოგრაფიული ტერმინია აფხაზურ ენაში.

ჰიბრიდულ ტოპონიმთა ჯგუფს შეიძლება მიგვეკუთვნებინა **პირველი აკვალა და მეორე აკვალა** (სოფლები ჭებურხინჯის თემში), რომლებშიც პირველი კომპონენტები უდავოდ ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით აღჭურვილი ქართული რიგობითი რიცხვითი სახელებია, ხოლო მეორე ნაწილი ჰგავს აფხაზურ **აკ^ალა** „პატარა ნაჯახი, ხელცული“ ფორმას (შდრ. მეგრ. **კვალა** „პატარა ნაჯახი“), მაგრამ ამ დაკავშირებას გამორიცხავს ოიკონიმისათვის შეუფერებელი სემანტიკა. ამის გამო ტოპონიმის ეტიმოლოგია შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ზოგადად მეგრული კრებითობის სუფიქსი **-ონ < *-ოვან** პროდუქტიულია მეგრულ ტოპონიმებში და ძირითადად დაერთვის მცენარეთა სახელწოდებებს. იგი აღნიშნავს ადგილს, სადაც რომელიმე მცენარე ხარობს და მიუთითებს ერთგვაროვან მცენარეთა სიმრავლეზე, კრებითობაზე. ვფიქრობთ, ამ მოდელისაა **ლეკუხონა**, რომელშიც ამოსავალია **ლეკუხ-** ფუძე, რომელზეც დართულია **-ონ** და **-ა** სუფიქსები. მეგრულის ლექსიკონებში დასტურდება შემდეგი ენობრივი ერთეულები: **ლეკუხა** – ხეჭრელი, ლეკუხას ტოტს იყენებენ ყალივნის ტარად. შდრ. **ლეკუმხა** (საბა) – ხეჭრელი (მცენარე). **ლეკუხონა** – ადგილი, სადაც ბევრი ხეჭრელი იზრდება. მცენარე ხეჭრელის კრებითობას გამოხატავს ასევე ტოპონიმი **ლეკუმხარა**, სადაც **-არ** სუფიქსია კრებითობის მანარმოებელი.

საკვლევ ზონაში დანიშნულების ქართველური სახელების მანარმოებლად წარმოდგენილია როგორც თავსართ-ბოლოსართი **ო-ე**, ასევე სამნიგნობრო ქართულის კუთვნილი **სა-ო**:

ო-კვინორ-ე – სოფელი ოტობაიის თემში. ამოსავალია **კვინორი** „კვერნა“. **ოკვინორე** ზედმიწევნით არის „საკვერნე“.

ო-ცარც-ე – სოფელი დიხაზურგის თემში. ამოსავალი უნდა იყოს მეგრული **ცარც-** ფუძე. შდრ.: **ცარცუა** „გაფხვიერება, თოხით წვრილად დაფშვანა მიწისა“, მიმღობები: **ოცარცალი** „გასაფხვიერებელი“, **მაცარცალი** „გამფხვიერებელი“, **ნაცარცა** „გასაფხვიერებელი“, **უცარცუ** „გაუფხვიერებელი“ და ა.შ. ვფიქრობთ, ამავე რიგისაა **ო-ცარცე სახელიც**, რაც, სავარაუდოდ, აღნიშნავს ადგილს, სადაც ფხვიერი მიწებია.

სამარქვალო – სოფელი საბერიოს თემში. ამოსავალია მეგრული **მარქვალი** „კვერცხი“. ოიკონიმი მორფოლოგიურ-სემანტიკურად დანიშნულების სახელია და ნიშნავს „საკვერცხეს, საბუღარს“.

სალხინო – თაგილონის თემი. ტოპონიმი ქართული დანიშნულების სახელია. ამოსავალია ლხინ- ფუძე, რაც „მხიარულებას“ აღნიშნავს. ჩვენი ვარაუდით, სოფელს ეს იდეოლოგიზებული სახელი კომუნისტებმა დაარქვეს 1952 წელს, თავდაპირველი სახელწოდება კი ს.ს. ზემო უბანი, ენერისუბანი ყოფილა (ხორავა, 2019, გვ. 234).

სა-ო კონფიქსი გვარებისგანაც აწარმოებს ტოპონიმებს. აქ ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

სამეგრელო-სამურზაყანოში დასტურდება გვარსახელებისაგან სა--ო ცირკუმფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელთა დიდი რაოდენობა (იგივე მოდელი ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვა მხარეებშიც). გალის რაიონში წარმოდგენილია ამ მოდელის შემდეგი ოიკონიმები (სოფელთა სახელწოდებანი): სა-ბერი-ო (სოფ. და თემი; შდრ. გვარი ბერია); სა-ხახუბი-ო (სოფ. ბედის თემში; შდრ. გვარი ხახუბია); სა-ბუთბაი-ო (სოფ. ზემო ბარღების თემში; შდრ. ნაფხაზარი გვარი ბუთბაია); სა-შამუგი-ო (სოფ. ზემო ბარღების თემში; შდრ. გვარი შამუგია); სა-ბულისკერი-ო (სოფლები მუხურისა და ოქუმის თემებში; შდრ. გვარი ბულისკერია // ბულისკირია); სა-მელაი-ო (სოფ. ოქუმის თემში; შდრ. გვარი მელაია) (გვანცელაძე, 2011, გვ. 189-190). ამასთან აღნიშნული ტიპის გვარებში **სა-ო** აფიქსის დართვით ტოპონიმების წარმოებისას გვარ-სახელითა **-ია** დაბოლოების ბოლოკიდური **-ა** მოკვეცილია ხოლმე. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ გალის რაიონში ვერ დავადასტურეთ **-ვა** დაბოლოებიანი გვარისაგან ნაწარმოები დანიშნულების აღმნიშვნელი ტოპონიმები.

ცალკე მოდელია მარტივფუძიანი ტოპონიმები:

ტოგონი ეწოდება სოფელს ერისწყლის მარჯვენა ნაპირას, გალის რაიონის აჩიგვარის თემში. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ძველ ქართულ სიტყვა ტოგონს უკავშირებენ სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში დასახელებულ ტუგუნი ფორმას, „რაც ამფითეატრს უნდა გულისხმობდეს“ (კეკელია, 2022, გვ. 267). თ. მიბჩუანის მოსაზრებით, ოიკონიმის ამოსავალია სვანური ტოგან // ტუგენ – ქვითკირის სახლის ქვედა სართულის (მაჩუბის) კედელში სამეურნეო იარაღების ჩასაწყობად საგანგებოდ ამოჭრილი ადგილი. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ეჭვქვეშ აყენებენ ამგვარ მოსაზრებას და შენიშნავენ: „ტოპონიმის ასეთი მოტივაცია ძნელი გასაზიარებელია, თუმცა კი შეუძლებელი არაა, სვანური ტოგენ // ტუგენ სიტყვის სემანტიკა ძველი ქართულის ტუგენ სიტყვასთან იყოს დაკავშირებული. ავტორები ასევე იმონებენ ტოგონელი ინფორმატორის განმარტებასაც: ტოგონეს ძალიან ღრმა და ფართო წყალზე იტყვიან (კეკელია, 2022, გვ. 267).“

მუხური სოფელი გალის რაიონში, თემის ცენტრი. მომდინარეობს მეგრული მუხურ-ი სიტყვისაგან და აღნიშნავს „მხარეს, კუთხეს“. მეგრულ-სვანური მუხური ფორმა მრავალგზისაა წარმოდგენილი ძველბერძნულ და ქართულ წყაროებში მოხორა // მუხორისი // მუხური ფორმების სახით ახ. წ. V საუკუნიდან (გვანცელაძე, 2011, გვ. 240). შდრ. ოიკონიმი მუხური ჩხორონწყუს რაიონში და მუხურ-ა ტყიბულის რაიონში.

შეშლეთი – პირველი შეშლეთისა და მეორე შეშლეთის საერთო სახელწოდება. 1886 წელს შეშლეთი შედიოდა გუდავის თემში როგორც ერთი სოფელი, ხოლო 1930 წელს – ახალშექმნილ რეგიონ-შეშლეთის სას. საბჭოში. შემდეგ კი სოფელი დაიყო პირველ და მეორე შეშლეთად (ცხადაია, 2003, გვ. 194). მორფოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით იგი მარტივფუძიანია, გამოიყოფა -ეთ სუფიქსი, როგორც ადგილის მანარმოებლად. შეშელი კი აშკარად ადამიანის პირსახელი უნდა იყოს.

ზარნუფა – წარჩის თემი. სახელწოდება აღნიშნავს მცენარე „ძახველს“.

ფშაური – გალის რაიონში ამ სახელის მქონე ორი სოფელია: წარჩისა და ბედიის თემებში. ამოსავალია ფუძე ფშა, აღნიშნავს მდინარის პირას გამომდინარე წყაროსა და ასევე მდინარის პატარა შენაკადსაც. ფუძეს ერთვის **-ურ** სუფიქსი. ამასთანავე, მკვლევარ ა. ქობალიას განმარტებით, ფშაური იგივეა, რაც „ნაკადული, წყაროსწყალი“ (კეკელია, 2022, გვ. 279).

ოქუმი პირველად იხსენიება 1654 წლიდან. მეგრულად ნიშნავს საქუმელეს; შდრ. ქუმელი „მოხალული ფეცილი“.

ფუნყური – წარჩის თემი. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა იმონებენ ხალხურ ეტიმოლოგიას: ამ ადგილას, რასაც უნინ გოჩეხილი რქმევია, კაცს ჩამოუვლია და ცუდი, დაქცეული ადგილის მნახველს უთქვამს: „ფუ, ნწყვილი“. ავტორები თვლიან, რომ ფუ უნდა იყოს ერთგვარი უნაყოფო წითელი ფერის მინის სახეობის აღმნიშვნელი ფუქი სიტყვის ბოლოში მოკვეცილი ფორმა, ხოლო წყური მეგრულში დაქცეული, ჩახრამული ადგილის აღმნიშვნელია და წარმოადგენს ნწყულა „დაქცევა, ჩაძირვა“ ზმნის მიმღობას. მაშასადამე, სინტაგმას, მათი აზრით, შემდეგი გზა უნდა გაევიდეს: ფუქი ნწყური → ფუნყური (კეკელია, 2022, გვ. 278).

ზენი – დიხაზურგის თემი. ტოპონიმი მეგრულია, ზენ-ი აღნიშნავს „ვაკეს, ბარს“, შდრ. რზენი.

ენერი – ნაბაკევის თემი. ენერი//ენნერი აღნიშნავს ახალამონვერილ ტყით დაფარულ ველს. ასევე უნაყოფო მიწას, მაღალ ადგილს. იგივე სახელი ჰქვია აგრეთვე სოფლებს ნალენჯიხისა და თერჯოლის რაიონებში.

თაგილონი – სოფელი გალის რაიონში. ამ სოფლის სახელწოდების შესახებ არსებობს ხალხური გადმოცემა, რომლის თანახმად, სახელწოდება მომდინარეობს მეგრული გამოთქმიდან თაქ გინოლ „აქ ჩავარდნილა“, მოგვიანებით კი მიიღო თაგილონი ფორმა და დარქმევია სოფელს. ენათმეცნიერები ამ მოსაზრებას არ იზიარებენ. ჩვენ ვიზიარებთ თეიმურაზ გვანცელაძის შემდეგ მსჯელობას: თიკონიმის აფხაზური ფორმაა თაგლან, აფხაზურიდან სესხების შემთხვევაში ტოპონიმის მეგრული ფორმა იქნებოდა ***თაგილან-ი**, რომელიც არ დასტურდება, მეგრული თაგილონი ფორმა კი უეჭველად იძლევა აფხაზურში რეალურად არსებულ თაგლან ვარიანტს: გი მარცვალს კანონზომიერად ცვლის პალატალიზებული გ თანხმოვანი, ხოლო ლ და ნ სონორებს შორის მოქცეული ო ხმოვანი ასევე კანონზომიერადაა გარდაქმნილი ა ხმოვნად (გვანცელაძე, 2011, გვ. 239).

რამი – სოფელი ოტობაიის თემში. აფხაზეთის 1953 წლის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ეკუთვნის ოტობაიის საბჭოს (ხორავა, 2019, გვ. 152). რამი აღნიშნავს ტექნიკური დანიშნულების სამრეწველო მცენარეს, მას მეგრულად კიტაიაშ ყუჭელ „ჩინური ქინქარი“ ჰქვია (ოთარ ქაჯაია). ეს კულტურა მე-20 საუკუნემდე არ იყო გავრცელებული საქართველოში. მისი სახელი სოფელს კომუნისტებმა დაარქვეს 30-იან წლებში.

რეჩხი – სოფელი გალის რაიონში. რეჩხი მეგრულად აღნიშნავს „ნიაღვრის მოტანილ ღორღს; ქვალორლიან ადგილს“.

განახლება – სოფელი გალის რაიონში, თემის ცენტრი, ტოპონიმი სალიტერატურო ქართულის კუთვნილებაა. დაარქვეს კომუნისტებმა.

საკვლევ ზონაში ასევე ვხვდებით წინა ვითარების აღმნიშვნელ შემდეგ მეგრულ ტოპონიმებს:

1. ნაბაკვი, მეგრულად ნაბაკია. ბაკ- ფუძეს დაერთვის სალიტერატურო ქართულის ნა-ევ კონფიქსი. შესაძლებელია მეგრულ ნიადაგზე ახსნაც: მეგრ. ბაკ-უ-ა „ტკეპნა“ > **ნო-ბაკ-ია** „ნატკეპნი“. ამ შემთხვევაში გამოსაყოფი იქნება მეგრ. ნო--ია კონფიქსი.

2. ნაჭკადუ – მეგრულ ჭკად- ფუძეს დართვია მეგრული ნა-უ კონფიქსი. შდრ.: ჭკადუა „ჭედვა“. ნა-ჭკად-უ „ნამჭედლური, ყოფილი „სამჭედლო“.

3. ნაჯიხური. ვფიქრობ, რომ ტოპონიმის ამოსავალია მეგრული სიტყვა ჯიხა „ჯიხე“, შესაბამისად, ნაჯიხური არის „ნაჯიხარი“.

ამდენად, განხილული მაგალითები გვაჩვენებენ, რომ გალის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი გეოგრაფიულ დასახელებათა სემანტიკური ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ დომინანტობს საკუთრივ მეგრული სიტყვათწარმოებითი საშუალებები.

ლიტერატურა:

- გვანცელაძე, თ.** (2011). აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირებამ თბილისი: „უნივერსალი“.
- კეკელია, ი.** (2022). აფხაზეთის ტოპონიმია. თბილისი: „არტანუჯი“.
- ცხადაია, პ., და ჯოჯუა, ვ.** (2003). სამურზაყანის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.
- ცხადაია, პ.** (2004). სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი (ნალენჯიხის რაიონი), ნაწილი I, თბილისი: „უნივერსალი“.
- ჭკადუა, რ., გაზდელიანი ე., გიგლემიანი ლ., საღლიანი მ., და შავრეშიანი ნ.** (2020). სვანური ტოპონიმია, თბილისი: „უნივერსალი“.
- ხორავა, ბ., ჭანტურია, ნ.** (2019). აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში, თბილისი: „უნივერსალი“.

განმანათლებლობისა და ბაროკოს ტენდენციები ქართულ მწერლობაში (XVI-XVII საუკუნეები)

Enlightenment and Baroque Tendencies in Georgian Literature (XVI-XVIII Centuries)

ანი ჯავახიშვილი

Ani Javakhishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

XVI-XVIII საუკუნეები დასავლურ კულტურასა და მეცნიერებაში გარდამტეხი პერიოდია, რადგან სწორედ ამ ეპოქაში დაიწყო ე. წ. სამეცნიერო რევოლუცია (scientific revolution) – მიკროსკოპის, ტელესკოპის, ბარომეტრისა და თერმომეტრის გამოგონება, ახალი მიწების აღმოჩენა და მსოფლიო რუკის გაფართოება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მეცნიერების განვითარებას. მეორე მხრივ, XVI-XVIII საუკუნეები დასავლური სამყაროსთვის ერთ-ერთი ურთულესი ისტორიული პერიოდია, რადგან იწყება ევროპული ქვეყნების ფორმირება რელიგიური ომებისა და განხეთქილებების ფონზე. ბუნებრივია, სწორედ ეს კულტურულ-ისტორიული პარადიგმები თავისი სირთულეებითა და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მახასიათებლებით აისახა ბაროკოს მსოფლმხედველობაზე; ბაროკომ, როგორც კულტურულმა ფენომენმა, მიიღო ეკლექტური, ექსპრესიული და არაორდინალური ხასიათი. სწორედ ამ მახასიათებლებს უკავშირებენ თავად ტერმინის ეტიმოლოგიასაც და აღნიშნავენ, რომ „ბაროკო“ მომდინარეობს პორტუგალიური სიტყვისგან და ნიშნავს „უსწორმასწორო მარგალიტს“ (მოსერი, 2008: 11).

ბაროკო კულტურულ-ესთეტიკური მიმდინარეობაა, რომელიც XVI-XVIII საუკუნეებში დასავლურ სამყაროში გავრცელდა და მოიცვა ხელოვნების თითქმის ყველა დარგი: ფერწერა (რემბრანდტი, ველასკესი, ვერმეერი, რუბენსი), სკულპტურა (ბერნინი), არქიტექტურა (ვერსალის სასახლე), მუსიკა (ანტონიო ვივალდი, იოჰან სებასტიან ბახი), ლიტერატურა და თეატრი (პიერ კორნელი, ჟან ბატისტ მოლიერი, ლოპე დე ვეგა, კალდერონ დელა ბარკა).

განმანათლებლობა (ინგ. Enlightenment) კი ფილოსოფიური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული მიმდინარეობაა XVII-XVIII საუკუნის ევროპაში. მიმდინარეობის მთავარი ამოსავალი დებულებაა ადამიანის ბედნიერება, თანასწორობისა და ტოლერანტობის იდეები. ფილოსოფიის მიზანს წარმოადგენს ჩანვდეს და მეცნიერული გზით ახსნას სამყაროს კანონზომიერებები. ამ მიზნით, ამ ეპოქაში ასპარეზზე ხშირად ჩნდება ფილოსოფიური და ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებები. რეალურად სწორედ განმანათლებლობაში ჩამოყალიბებულმა იდეებმა თანასწორობისა და ადამიანის უფლებების შესახებ მისცა დასაბამი შემდგომში ამერიკის დეკლარაციაში წარმოდგენილ დებულებებს. საყურადღებოა, რომ თანადროულ საქართველოშიც აღინიშნება მსგავსი ტენდენცია, პირველ რიგში, აქ განსახილველია იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, რომელიც ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაა და, ფაქტობრივად, ასახავს იმდროინდელი ცოდნის ყველა დარგს: ჰერალდიკა, გეოგრაფია, ისტორია, ფილოსოფია, ონტოლოგია, ლექსიკოლოგია, რელიგია. ნაწარმოების ორი მთავარი პერსონაჟია იონა ხელაშვილი და გლეხი ზურაბა ღამბარაშვილი, სწორედ მათი დიალოგის ფონზეა გაშლილი მეცნიერული მსჯელობები. ამავე რკალში შეგვიძლია განვიხილოთ ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“, რომელშიც უკვე ლიტერატურის თეორიის საკითხებიც კია განხილული, მწერალი განიხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიას, ახასიათებს თითოეულ ქართველ მწერალს.

ბაროკოს ეპოქაში მიმდინარე რთულმა პოლიტიკურმა და რელიგიურმა მოვლენებმა, მეცნიერების სწრაფი ტემპით განვითარებამ გარდამტეხი როლი შეასრულა ადამიანის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. არსებითია, რომ ბაროკომ შეარყია ის მტკიცე ფასეულობები და ფუნდამენტური შეხედულებები, რომლებიც რენესანსმა დააფუძნა. პირველ რიგში, ბაროკოს ეპოქაში მცხოვრებმა ადამიანმა გაიაზრა, რომ სამყარო რენესანსის შემოთავაზებული ოცნების მიხედვით არ განვითარდა: ჰუმანიზმმა და იდეალიზმმა შედეგი ვერ მოგვითანა, პირიქით, მთელი თავისი სისავსით გამოვლინდა ადამიანის ცოდვილი ბუნება, სიკვდილის ძლიერება, სამყაროს ფრაქციულობა. შეირყა იმის რწმენა, რომ ბოროტი ყოველთვის სძლევს კეთილს (შდრ. რუსთველური თეზა – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“), რომ ბოროტება უსუბსტანციოა (შდრ. რუსთველური თეზა „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“). რენესანსული თეზების საპირისპიროდ, ბაროკოს მსოფლმხედველობაში წაიშალა საზღვრები სიკეთესა და ბოროტებას, რეალობასა და სინამდვილეს შორის. სამყარო იქცა გაურკვეველ, ამოუცნობ, ქაოტურ, სუბსტანციად, სადაც არ არსებობს მკვეთრი საზღვრები. ლიტერატურულ დონეზე ეს ტენდენცია კულმინაციურ სახეს იღებს ესპანური ბაროკოს შედეგში, კალდერონის დრამაში „ცხოვრება სიზმარია“, სადაც რეალობისა და წარმოსახვის სუბლიმაცია იმდენად ძლიერია, რომ მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა შეუძლებელი ხდება. ფერწერაში კი შეგვიძლია გავიხსენოთ დიეგო ველასკესის ვირტუოზული ფერწერული ტილო „მენინების პორტრეტი“.

ბაროკო შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „რეაქცია რენესანსზე“ (ნაჭყებია, 2009: 12). თუმცა მნიშვნელოვანია, რომ თემატიკის თვალსაზრისით, ბაროკო ერთთავად აგრძელებს კიდევ რენესანსის ტრადიციებს. კერძოდ, წარმმართველი კვლავ ბიბლიური და ანტიკური თემებია. თუმცა თუ რენესანსი ირჩევდა პოზიტიური ნიშნით აღბეჭდილ სურათებს, ბაროკო მიისწრაფვის დამანგრეველი, დინამიკური, ტანჯვის შემცველი სცენების ასახვისაკენ: რენესანსის ეპოქის ფერმწერები ხშირად ხატავდნენ მადონებს (რაფაელი, ლეონარდო და ვინჩი), მაშინ, როდესაც ბაროკოს ეპოქის მხატვრები უდიდესი დრამატიზმით გამოსახავენ ჯვარცმის ეპიზოდს (რემბრანდტი). რადიკალურად შეიცვალა ტექნიკაც – რენესანსის ეპოქის ტილოების უკანა ფონი ყოველთვის განათებულია, სფუმატოს ტექნიკა კი განსაკუთრებულ სიმსუბუქეს ანიჭებს ფერწერულ ნამუშევრებს, მაშინ, როცა ბაროკოს მხატვრობაში უკანა პლანს მთლიანად იპყრობს შავი ფონი.

ლიტერატურული ბაროკო 1600 წლიდან იწყება და მიიჩნევენ, რომ მისი სამშობლო ესპანეთი და იტალიაა, საიდანაც ის მთელ ევროპაში გავრცელდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ე.წ. პოლიგენეზის თეორია, რომლის მიხედვითაც ბაროკო დასავლური კულტურის განვითარების ბუნებრივი ეტაპია და სხვადასხვა ქვეყანაში დამოუკიდებლად აღმოცენდა ზოგადევროპული საერთო კულტურულ-ისტორიული პროცესების ფონზე (მოსერი, 17). აქვე აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურათმცოდნეები ბაროკოთი შედარებით გვიან დაინტერესდნენ და ეს საკითხი ლიტერატურულ წრეებში ხელოვნების ისტორიიდან შევიდა. ბაროკოს სტილზე ერთ-ერთი უადრესი გამოკვლევა ეკუთვნის ჰაინრიხ უოლფლინს „რენესანსი და ბაროკო“ (1888).

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბაროკოს საკითხი პირველად XX საუკუნის ბოლოს გაუღერდა. 1970-იან წლებში გიორგი გაჩეჩილაძემ წამოაყენა თეორია ქართული ბაროკოს არსებობის შესახებ, რასაც მალევე გამოეხმაურა ირაკლი კენჭოშვილი, რომელმაც XVII-XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურას ქართული აუტენტური ბაროკო უწოდა (იხ. ირაკლი კენჭოშვილი, „ქართული აუტენტური ბაროკოს გამო“, ჟურნ. „ცისკარი“, N9, 1973). 2009 წელს კი გამოიცა მაია ნაჭყებია კვლევა „ქართული ბაროკოს საკითხები“, რომელშიც გამოკვლეულია ქართული ბაროკოს მახასიათებლები „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებების, თეიმურაზ I-ის, არჩილ მეფისა და დავით გურამიშვილის ტექსტებზე დაყრდნობით. წინამდებარე კვლევა, ერთგვარად აგრძელებს და აფართოებს ქართული ბაროკოს კვლევის საკითხებს და თემატიკაში შემოჰყავს XVIII საუკუნის გამორჩეული ქართველი პოეტი, დიპლომატი და ფილოსოფოსი ბესარიონ გაბაშვილი.

ქართულ ლიტერატურაზე საუბრისას ბაროკოს ცნებაში მოვიაზრებთ XVI-XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურას, რომელიც, თავის მხრივ, უამრავ საინტერესო, ეკლექტურ და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ლიტერატურულ ნარატივებსა და პარადიგმებს აერთიანებს. ვფიქრობთ, ლიტერატურულ ტენდენციათა ნაირგვარობის ფონზე ნათლად იკვეთება რამდენიმე ფუნდამენტური ასპექტი, რომლებიც ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ბაროკოს ესთეტიკის ფარგლებში იდენტიფიცირებისა და ინტერპრეტირების შესაძლებლობას გვაძლევს.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ევროპის მსგავსად XVI-XVIII საუკუნეები საქართველოსთვისაც ურთულესი ისტორიული პერიოდია; აღარ არსებობს ერთიანი სამეფო – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები გათიშულნი არიან ერთმანეთისგან, ამასთან, ქვეყანა ებრძვის ორ დამპყრობელს – ირანსა და ოსმალეთს, აღმოსავლეთ საქართველო კი, ფაქტობრივად, მიწასთანაა გასწორებული ლეკთა შემოსევებისაგან. საქართველოს დიდება, ძლიერება, ერთიანობა, რომლის ლიტერატურული გვირგვინიც იყო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მთლიანად განადგურებულია. შესაბამისად, როგორც თანადროულ ევროპაში, ისე XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში სახეზე გვაქვს ჰუმანისტური მსოფლმხედველობის სრული კრიზისი. ფაქტზე ნათლად მეტყველებს ამ პერიოდის ქართული ლიტერატურული ნარატივი, პირველ რიგში, „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებები, რომლებიც რეალურად რუსთველური (ჰუმანისტური, რენესანსული) იდეების სრულ დეკონსტრუქციას წარმოადგენს. რენესანსული იდეებისა და იდეალების დეკონსტრუქცია იკვეთება „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებების სათაურების დონეზეც კი: „სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა“, „ანდერძი ავთანდილისა, რომელი თქვა ჟამსა სიკვდილისა მისისა“. [საკითხის დეტალური გამოკვლევისათვის იხილეთ მაია ნაჭყებია სტატია „ბაროკოს ნაკადი ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებში“ – 22].]

რენესანსთან დაპირისპირება ვლინდება სულხან საბას „სიბრძნე სიცრუისაში“. ნაწარმოების სახელშივე უკვე ვლინდება სამყაროს ამბივალენტური ბუნება – სიცრუეშიც კი შესაძლებელია სიბრძნის დანახვა და პირიქით. მაშინ როცა, „ვეფხისტყაოსანში“ სიცრუე იმანენტურად გულისხმობდა ბოროტებას ონტო-ეგზისტენციალური გაგებით, შდრ: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. რენესანსში სიყვარული ღვთაებრივი გრძნობაა, რომელიც ადამიანს უფლამდე ამალეების შესაძლებლობას აძლევს, შდრ.: „სიყვარული აღგვამალღებს ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ“. მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის, ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებაში კი სიყვარული ტანჯვის გამოხატულებაა: ყოველთვის ტანჯვასთან ასოცირდება და ავსებს სამყაროს ნაკლოვანების მოდელს. აქ სატრფოსთან ბედნიერი ცხოვრება იმანენტურად უარყოფილია და, შესაბამისად, სიყვარულიც ტანჯვის წყაროა ლირიკული გმირისთვის. ადამიანის ნაკლოვანი ბუნებისათვის შეუძლებელია ბედნიერების მიღწევა დედამიწაზე. აღსანიშნავია, რომ ლექსში „სამძიმარი“ ადამიანის ნაკლოვანი ბუნების არსებობა დაკავშირებულია პირველცოდვასთან:

„მოვედინ, ევა,
ტირილით არს მოწვევა,
განახდა წყევა,
სამოთხით განმოსრევა“. (გაბაშვილი, 1962: 135)

აღსანიშნავია, რომ დასავლელი მკვლევრები ბაროკოს სატრფიალო ლირიკაზე მსჯელობისას, აღნიშნავენ, რომ ბაროკოში სიყვარული დესტრუქციულია, რაც ხშირად სწორედ ადამიანის ცოდვილ ბუნებას უკავშირდება. ფ. ჯუარნკე გამოკვლევაში „ბაროკოს პოეზია და experience of contradiction“ წერს, რომ ბაროკოს პოეზიაში შეუძლებელია წყვილის ბედნიერება, რადგან „სასრულობის საზღვრებში შეუძლებელია უსასრულობა“ (Warnke, 44). ენდრიუ მარველის ლექსში „უიმედო შეყვარებულნი“ (“The Unfortunate Lover”) სიყვარულის დასაზღვრულობა სწორედ ადამის პირველცოდვასთანაა წილნაყარი. ბესიკთან ამ ტენდენციის კულმინაციაა პოეტის ლირიკული შედევი „სევდის ბაღს შველ“, რომელშიც სამყაროს მეტაფორაა სევდის ბაღი. ამ ლექსის სათაურშივე გაცხადებულია

პოეტის დამოკიდებულება სამყაროსთან, როგორც მტანჯველ ფენომენტთან, სადაც იმთავითვე შეუძლებელია ადამიანის ბედნიერება.

ამავე თემატიკის რკალში ყურადღებას გავამახვილებთ ბესიკის ლექსზე „ყოვლად წმიდის ქება“, რომელიც სატრფიალო ლირიკის სტილშია დაწერილი, თუმცა ლექსი ღვთისმშობელს ეძღვნება:

„ჯერუსაევრ ქება შენი
არვის ძალუძს, ღვთისა სძალო,
ჯერარს, შეკრბენ ანგელოსნი,
ქვეყნიერნი კაცნი, ქალო,
ჯობს, რომ გიძღვნან კინამ-კასნი,
გუნდრუკ-მური და შტახს-ალო!
ჯვარცმულისა ქრისტეს დედავ,
ცოდვილს მკურნე, დედოფალო!“ (გაბაშვილი, 2017: 45)

ლექსში ვლინდება ამაღლებული, მისტიკური განწყობილება, რომელიც ხაზგასმულია ბიბლიური სახისმეტყველებით – პოეტი ღვთისმშობელს მოიხსენიებს სახარებისეული მეტაფორით და მასღვთის სძალოს უწოდებს. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ოდები დასავლური ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი, რაც თავს იჩენს დასავლური ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ქართულ რეალობაშიც ეს ხაზი საუკუნეების განმავლობაში ვლინდება ჩვენს პოეზიაში, შესაბამისად, ბესიკის ეს ლექსი გვევლინება, ერთი მხრივ, ქართული ჰიმნოგრაფიული საგალობლების გაგრძელებად, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული მოდერნიზმის წინამორბედად (შდრ.: გალაკტიონის „მზეო თიბათვისა“). ეს დეტალიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქართული ბაროკო, ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი საფეხურია.

მეორე უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს XVI-XVIII საუკუნის ქართული მწერლობა ევროპული კულტურის ფარგლებში განვიხილოთ, არის ამ პერიოდის მწერლობაში ქრისტიანული თემატიკის დაბრუნება. ჯერ კიდევ მონღოლების შემოსევებიდან დაწყებული საუკუნეების განმავლობაში საქართველო აღმოჩნდა მუსულმანურ სარტყელში, რამაც, ბუნებრივია, უდიდესი გავლენა იქონია ლიტერატურაზე. XVI საუკუნიდან განსაკუთრებით მომძლავრებულია სპარსული ნაკადი, რაც გამოვლინდა როგორც თემატიკის (შფრ: „ვარდ-ბულბულიანი“, „შამიფარვაზიანი“), ისე სტილისტურ (შდრ: მაჭამური რითმები, მუხამბაზები) დონეებზე. თუმცა ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ უკვე XVI-XVII საუკუნეებში ქართულ ლიტერატურაში მძლავრად იწყებს დაბრუნებას ბიბლიური, ქრისტიანული თემატიკა, აღმოსავლური გავლენა კი თანდათან მცირდება. მოვლენის კულმინაციაა დავით გურამიშვილის „დავითიანი“, რომლის სახისმეტყველებაც მთლიანად დაფუძნებულია ქრისტიანულ მხატვრულ სახეებზე. ქრისტიანული მოტივის ასე მძლავრად დაბრუნება კი უკვე არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური გადაწყვეტილების გამოხატულებაა. სწორედ ამ ფაქტს უსვამს ხაზს მკვლევარი ირმა რატიანი და შენიშნავს: „კულტურული ქრონოლოგია ყოველთვის როდი ემთხვევა ისტორიულ ქრონოლოგიას, არამედ წინ უსწრებს მას“ (რატიანი, 2017: 7).

რენესანსზე რეაქცია და ქრისტიანული თემატიკის წინ წამოწევა, რაც ბაროკოს მსოფლმხედველობის ორი ძირითადი მოდელია, ქართული კულტურის შინაგანი განვითარებისთვის ბუნებრივი მოვლენაა. ჰუმანიზმზე რეაქცია იმთავითვე წარმოშვა ურთულესმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ხოლო ქრისტიანული თემატიკა იმთავითვე წარმმართველი იყო ქართული მწერლობისთვის (იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“ დაწყებული სასულიერო ლიტერატურის ყველა ჟანრი გამოვლინდა ქართულ მწერლობაში: ჰიმნოგრაფია, ჰაგიოგრაფია, ეგზეგეტიკა და ა. შ.). შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ბაროკალური ესთეტიკა ქართული კულტურის განვითარების ბუნებრივი საფეხურია, რაც ეხმიანება უოლტერ მოსერის პოლიგენების თეორიას, რომლის მიხედვითაც, ბაროკო დასავლური კულტურული პროცესის ზოგადი, ტიპური საფეხურია და ის სხვადასხვა ქვეყანაში დამოუკიდებლად აღმოცენდა საერთო ევროპული კრიზისის ფონზე.

ლიტერატურა:

- გაბაშვილი, ბ.** (2017). ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედება, თბილისი: გამომცემლობა „ქართული“
- გაბაშვილი, ბ.** (1962). ბესიკი. თხზულებათა სრული კრებული, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“
- კენჭოშვილი, ი.** (1973). ქართული აუთენტური ბაროკოს გამო. ჟურნალი „ცისკარი“, N9, თბილისი
- ლეონიძე, გ.** (1941). ბესიკის ცხოვრება და შემოქმედება. ჟურნალი „ლიტერატურული საქართველო“, 15. თბილისი
- მოსერი, ვ.** (2008). [Moser Walter], The Concept of Baroque, Revista Canadiense de Estudios Hispánicos.
- ნაჭყებია, მ.** (2009). ქართული ბაროკოს საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2009
- რატიანი, ი.** (2017). კლასიციზმი ევროპულ და ქართულ მწერლობაში. კრებ.: ლიტერატურული მიმდინარეობები (კლასიციზმიდან მოდერნიზმამდე). თბილისი
- ცაიშვილი, ს.** (1962). გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“

სარჩევი / CONTENT

უადრესი წონითი სისტემები საქართველოს ტერიტორიაზე (მოლოდინები და არსებული რეალობა) Earliest Weight Systems on the Territory of Georgia (Expectations and Reality) საბა ბუგიანიშვილი / Saba Bugianishvili	9
არტეფაქტების ორი ჯგუფი გუდიაშვილის მოედნიდან (სფეროკონუსები, ჩიბუხები) Two Groups of Artefacts from Gudiasvili Square (Sphero-Conical Vessels, Tobacco Clay Pipes) თათია ბუნურაძე / Tatia Butsuradze	18
„ცხოველური სტილი“ კოლხური გრავირებული აბზინდების მიხედვით “Animal Style” Based on Colchian Engraved Bronze Buckles თამარ გიორგაძე / Tamar Giorgadze	37
სხეულის რეპრეზენტაცია და გენდერის პერფორმაცია კულტურული დისკურსის ფარგლებში ნანა აბულაძის „აკუმსა“ და ვირჯინია ვულფის „ორლანდოში“ Representation of the Body and Gender Performativity within the Cultural Discourse in the Texts of Nana Abuladze and Virginia Woolf (“Akumi” and “Orlando”) მანანა ერემაშვილი / Manana Eremashvili	44
კავკასიის ომის მემორიალიზაცია აფხაზეთის დე-ფაქტო სახელმწიფოში (1987-2021) Memorialization of the Caucasian War in the De-facto State of Abkhazia (1987-2021) ქეთევან ევაძე / Ketevan Epadze	52
ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის ცნობები თბილისის შესახებ (შედარებითი ანალიზი) References of at-Tabari and Ibn al-Athiri about Tbilisi (Comparative Analysis) ომიკო ეჯიბია / Omiko Ejibia	59
ინტერნაციონალიზაციის პროცესები საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში Processes of Internationalization of the Higher Education System of Georgia ფიქრია ვარდოსანიძე / Pikria Vardosanidze	71
თამარ მეფის ეპოქა და შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულებები სევერიან მაისაშვილის შემოქმედებაში The Epoch of King Tamar and the Portrait Images of Shota Rustaveli in the Works of S. Maisashvili როსტომ კაჭახიძე / Rostom Katchakhidze	77
ანტიგმირის მხატვრული სახის ევოლუცია ქართულ მხატვრულ ტექსტებში Evolution of the Image of Anti-Hero in Georgian Fiction ლალი კუკავა / Lali Kukava	86
„ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა H-ტიპის სოციალური კავშირი H-shaped Social Network of the Characters in “The Knight in the Panther’s Skin” ჯიანფენგ ლი / Jianfeng Li	92

მირზა გელოვანის ომის ლირიკის პოეტიკა The Poetics of Mirza Gelovani's War Lyrics სალომე ლომოური / Salome Lomouri	95
ერის ევროპული კონცეფციები და მათი გავლენა საქართველოში ერის ცნების ფორმირებაზე 1893-1917 წ.წ. European Concepts of Nation and their Influence on the Formation of the Concept of Nation in Georgia (1893-1917) ნინო მაისურაძე / Nino Maisuradze	104
საბჭოთა ეპოქის რეცეფცია გურამ ფანჯიკიძის რომანში „ეშმაკის ბორბალი“ Reception of the Soviet Era in Guram Panjikidze's Novel "The Devil's Wheel" თეა მაჭავარიანი / Tea Matchavariani	108
ფრაზეოლოგიზმები ქართველი და ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა ინგლისურ აკადემიურ ტექსტებში (სასწავლო კორპუსული შედარებითი ანალიზი) Phraseology in English Academic Texts of Georgian and Ethnic Minority Students (Learner Corpus-based Comparative Analysis) მარინე მახათაძე / Marine Makhatadze	115
შუა საუკუნეების იუდაურ-ქრისტიანული ნარატივი ქართველი ერის მშენებლობის პროცესში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი – XX საუკუნის დასაწყისი) Medieval Judeo-Christian Narrative in the Process of Building the Georgian Nation (Second Half of the 19th Century – Beginning of the 20th Century) მიხეილ მეფარიშვილი / Mikheil Meparishvili	123
არისტოფანეს „ლისისტრატეს“ ტრანსკოდირების ძირითადი ხერხები სპაიკლის ფილმში „ჩი-რაკი“ The Basic Ways of Transcoding Aristophanes' Lysistrata in Spike Lee's Movie "Chi-Raq" ნანა მუქერია / Nana Mukeria	133
გენდერი და იდენტობის პოლიტიკა საბჭოთა საბავშვო მხატვრულ ლიტერატურაში Gender and Identity Politics in the Soviet Children's Literature თამარ ნამგლაძე / Tamar Namgladze	149
სახელმწიფო მიდგომები და კულტურული მრავალფეროვნების საკითხები (ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის მაგალითზე) State Approaches and Issues of Cultural Diversity (Museum of Folk and Applied Arts) ირინე საგანელიძე / Irine Saganelidze	158
გივი მარგველაშვილის ეთიკური მრწამსი ანუ როგორ აგრძელებენ პერსონაჟები სიცოცხლეს Giwi Margwelashvili's Ethical Beliefs or How the Characters Continue their Lives მარი სიმონიშვილი / Mari Simonishvili	165

ასურელები საქართველოში: იდენტობის თანამედროვე გამოწვევები (სოფელ ქანდის მაგალითზე) Assyrians in Georgia: Current Challenges for the Identity (the Case of the Village Kanda)	170
თინათინ სოზიაშვილი / Tinatin Soziashvili	
განათლება და ეროვნული იდენტობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) Education and National Identity in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)	178
ნატო სონღულაშვილი / Songhulashvili Nato	
ანტიკურ კულტურაში დამკვიდრებული „სიმპათიის“ ინტერდისციპლინური კონცეფცია პტოლემეაიოსის „ოთხნიგნულში“ The Interdisciplinary Term “Sympathy” in Classical Antiquity and its Use in Ptolemy’s “Tetrabiblos”	189
გვანცა ფოფხაძე / Gvantsa Popkhadze	
ჰედა გაბლერი და კეთილშობილების ელემენტი Hedda Gabler and the Element of Nobility	199
სალომე ჩანადირი / Salome Chanadiri	
ნმიდა მარკოზ მახარებლის ბიოგრაფია Biography of Saint Mark the Evangelist	206
მარიკა ჭითანავა-ლობჯანიძე / Marika Tchitanava-Lobzhanidze	
ესპანელ ქალთა მონოდებები ჟურნალ “Mujeres Libres” წინასიტყვაობის მიხედვით Spanish Women’s Vocations According to the Forewords of the Journal “Mujeres Libres”	212
ელენე ჭირაქაძე / Elene Chirakadze	
ქართული ენის მნიშვნელობა ერი-სახელმწიფოს ფორმირებისათვის განათლების პოლიტიკის მიხედვით (1918-1921) The Importance of the Georgian language for the formation of Nation-State according to the educational policy (1918-1921)	216
ანა ხვედელიანი / Ana Khvedeliani	
გალის რაიონის ტოპონიმების მორფოლოგიური სტრუქტურა Morphological Structure of Toponyms of Gali District	226
მონიკა ხობელია / Monika Khobelia	
განმანათლებლობისა და ბაროკოს ტენდენციები ქართულ მწერლობაში (XVI-XVII საუკუნეები) Enlightenment and Baroque Tendencies in Georgian Literature (XVI-XVIII Centuries)	232
ანი ჯავახიშვილი / Ani Javakhishvili	

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნინო ვაჩეიშვილი
მარიამ ებრაელიძე

გამომცემლობის რედაქტორები:

რუსუდან მიქენაია
მარინა ჭყონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchantchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>